


ელენე გეტრეველი



ნარკვევები ათონის  
კულტურულ-საგანმანათლებლო  
კერის ისტორიიდან



თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი

საქართველოს მენიერებათა აკადემიის  
პ.კეკელიძის სახელობის ხელნაერთა ინსტიტუტი

ელ. ვებრევილი

ნარკვევები ათონის  
კულტურულ-საგანმანათლებლო  
კერის ისტორიიდან



ქართული  
ენების ინსტიტუტი

ედვინება ივანე ჯავახიშვილის ნათელ სსოვნან

რეკენზენტები:

ე. ცაგარეიშვილი  
მ. ქაეთარია

რედაქტორი

ე.გაბიძაშვილი

საბართველოს  
ქართული  
ბიბლიოთეკა



წინამდებარე კრებული წარმოადგენს ათონის ივირონის მონასტრის ისტორიასა და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე ჩემი მრავალწლიანი მუშაობის შედეგს. კრებულში შესულია ცხრა ნარკვევი, რომელთა უმრავლესობა პირველად ქვეყნდება.

ცნობილია, რომ ათონის ძლიერმა კულტურულ-საგანმანათლებლო სკოლამ უღრმესი კვალი დაამჩნია მთელი შუასაუკუნეების ქართულ მწერლობასა და კულტურას, ქართული მეცნიერული, თეოლოგიური და საზოგადოებრივი აზრის განვითარებას. ამასთანავე, დღეს უკვე სავესებით აშკარა ვახსნა, რომ ათონისა და საზღვარგარეთის სხვა ქართული სამწერლობო კერების (შავი მთის, იერუსალიმის და სხვ.) ისტორიის გათვალისწინება აუცილებელია თვით ბიზანტიური კულტურისა და ლიტერატურის შესწავლის დროს.

ეს განსაკუთრებით მას შემდეგ გამომჟღავნდა, რაც გამოიცა ათონის ივირონის მონასტრის ბერძნული აქტების ოთხტომიანი კორპუსი, რომელიც ფაქტიურად ამ მონასტრის ისტორიის მონოგრაფიული შესწავლის პირველ ცდას წარმოადგენს\*.

კრებულის შედგენის დროს გამოვიყენე „ათონის არქივი“ დაცული პარიზის ბიზანტიის ისტორიისა და ცივილიზაციის ცენტრში. იგი შეიცავს როგორც ბერძნულ სამონასტრო აქტებს, ასევე ქართულ და სხვა უცხოენოვან წყაროებსაც.

მე შესაძლებლობა მომეცა უფრო ღრმად გავცნობოდი „ათონის არქივს“ და ქართულ პირველწყაროებზე დაყრდნობით შედარებით სრულად წარმომედგინა ივირონში მოღვაწე ქართველ მწიგნობართა საქმიანობა, მათ შორის ისეთი მოღვაწეებისა, რომელთაგან ზოგი მეტნაკლებად ცნობილი იყო, ზოგიც უცნობი.

\* Actes d'Iviron, I-IV, Paris, 1985, 1990, 1994, 1995. - Archives de l'Athos.

იმედი მაქვს, რომ მათი მოღვაწეობის წარმოჩენა ნაწილობრივ მაინც შეავესებს იმ ხარვეზს, რომელიც არსებობს ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის – ივირონის ისტორიის შესწავლის საქმეში.

„ნარკვევები“ იწერებოდა სხვადასხვა დროსა და ვითარებაში, რის გამოც, რიგ შემთხვევაში ვერ ავცდით გამოვრებებს, ყოველთვის ვერ ხერხდებოდა ახალი (ქართული თუ უცხოური) წყაროებისა და ლიტერატურის დამოწმება, რისთვისაც წინასწარ ვიხდი ბოდიშს.

და ბოლოს, მინდა გულითადი მადლობა გადავუხადო ამერიკელ თანამემამულეებს, ბატონებს: ვახტანგ ჯობაძეს, დათა ჩხატარაიშვილს, ბოცო კორიშელს, გივი გაბლიანს, ლექსო თორაძეს, ნიკო თოფურიას, ზურაბ გამყრელიძეს, ნინო ჯავახიშვილს და ლადო ბაბიშვილს, რომელთაც ხელი მომიმართეს ამ კრებულის მომზადებაში. მადლობას ვუხდი აგრეთვე ჩემს მეგობრებს, კოლეგებსა და მოწაფეებს ხელნაწერთა ინსტიტუტიდან იმ დიდი დახმარებისათვის, რომელიც მათ აღმომიჩინეს კრებულზე მუშაობის პროცესში, განსაკუთრებით კი მათი მამაცაშვილსა და მანანა დოლაჭიძეს.

I. ქართული წყაროები

ჩორდვანელთა დიდი სახლის ისტორიის გასათვალისწინებლად მკვლევარები მიმართავენ სხვადასხვა ხასიათის წყაროებს (ქართულ, ბერძნულ, სომხურ, არაბულს), პირველ რიგში კი, ქართულ ნარატიულ წყაროებს და თორნიკე სვინგელოზისა და იოვანე ვარაზგაჩეს ბრძანებით ოშკსა და კარინში გადაწერილი ოთხი ხელნაწერის მომგებელთა და გადაწერთა ანდერძებს<sup>1</sup>. ამ ოთხი დიდებული ფოლიანტის მნიშვნელობა მართლაც განუზომელია, ვინაიდან მათ დაუცავთ ცნობები ჩორდვანელთა დიდი სახლის წევრებისა და მათი მოღვაწეობის შესახებ როგორც ტაოში, ასევე ბიზანტიაში. მაგრამ ეს ხელნაწერები საგანგებოდ შესწავლილი არ ყოფილა, ამიტომ არც მათი ისტორიული მნიშვნელობა იყო სათანადოდ წარმოჩენილი იმის გამო, რომ ხელნაწერები (სამი მათგანი) ათონის ქართველთა მონასტერშია დაცული და მკვლევართათვის ძნელი მისაწვდომი იყო. მკვლევართა განკარგულებაში აქამდე იყო მხოლოდ ალკვაგარლისა<sup>2</sup> და რ.ბლეიკის<sup>3</sup> პირველადი არასრული აღწერილობანი.

პალეოგრაფიული და კოდიკოლოგიური შესწავლის გარეშე კი შეუძლებელი იყო ამ ოთხი ხელნაწერის ურთიერთმიმართების დადგენა, თითოეული მათგანის შექმნის ისტორიის წარმოდგენა და მათ ანდერძ-მინაწერებში დაცული ისტორიული ცნობების სწორი შეფასება. ამის

<sup>1</sup> ეს ხელნაწერებია: Ath.1 (ოშკის „ბიბლია“), Ath.9 (ოშკის „სამოთხე“), Ath.3 (იოანე ოქროპირის ცხოვრება), მოსკოვის სინოდალური ბიბლიოთეკის N62 („განძის“) ანდერძი, იხ. P.Peeters, Un colophon géorgien de Thornik le Moine. - Anal. Boll., 50, fasc. 3-4, 1932, pp. 359-360.

<sup>2</sup> А.Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, Т.1, вып.1, СПб, 1886.

<sup>3</sup> R. Blake, Catalogue des manuscrits géorgiens de la Bibliothèque de la Laure d'Iviron au Mont Athos. Paris, 1932-1934.



შედგენ ის იყო, რომ ამ ხელნაწერებით დაინტერესებულმა მკვლევარებმა (პ.პეტერსი, ნ.აკინიანი, ნ.ადონცი)<sup>1</sup> ხელნაწერების ანდრძ-მინაწერთა ცნობების სისწორეში ეჭვი შეიტანეს და ისინი არაავთენტურად გამოაცხადეს.

ასეთივე ბედი ეწია ზემოთდასახელებულ მკვლევართა გამოკვლევებში ისეთ ბრწყინვალე ქართულ ნარატიულ წყაროს, როგორც არის „ცხორება იოვანესი და ეფთვიმესი“.

ქართული უძველესი პირველწყაროების გაუფასურების პირდაპირი შედეგი ის იყო, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ფართო ასპარეზი მიეცა ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების თვითნებურ ინტერპრეტაციებს.

დასახელებულ მკვლევართა ნიჰილისტური თვალსაზრისი არაერთხელ გახდა მეცნიერული კრიტიკის საგანი<sup>2</sup>. ეს საკითხი ბოლო დროს განიხილეს ბიზანტინისტებმა ჟლეფორმა და დ.პაპანისანთუმ. მათ გამოააშკარავეს, რომ იოვანეს და ეფთვიმეს „ცხორების“ ზემოთდასახელებულ მკვლევართა მიერ საეჭვოდ მიჩნეული ადგილები თავის დადასტურებას და გამართლებას პოულობენ „ცხორების“ თანადროულ ივირონის ბერძნულ აქტებში<sup>3</sup>.

ვფიქრობთ, ათონის ქართველთა მონასტრის ისტორიის ამსახველ ნარატიულ წყაროებს, პირველ რიგში, იოვანეს და ეფთვიმეს „ცხორებას“ როგორც ფასდაუდებელ ისტორიულ პირველწყაროს, რეაბილიტაცია აღარ ესაჭიროება. რაც შეეხება ზემოთდასახელებულ X საუკუნის ოთხ ხელნაწერს, რომელთა ავთენტურობაში და სანდოობაშია

<sup>1</sup> P. Peeters, დასახ. ნაშრომი, გვ. 358-371; Ակինյանს Ն. Դիւնիկեանց ճիւղագրութիւնը. Հանդէս ամսօրեայ” 1934, №3,4, გვ. 97-113; N. Adontz, Tornik le moine. - Etudes arméno-byzantines. Lisbonne, 1965, pp. 297-318.

<sup>2</sup> ნადონცის კონცეფციის კრიტიკა პირველად მთარხნშივილმა გამოაქვეყნა (Die Anfänge der schriftstellerischen Tätigkeit des hl. Euthimius und der Aufstand von Bardas Skleros. - Oriens Christianus, t. 38 (1954), pp. 113-124.

უკანასკნელად ეს თვალსაზრისი მკაცრად გააკრიტიკა Jacques Noret-მ: La vie la plus ancienne d'Athanase l'Athonite, confrontée à d'autres Vies de saint. - Analecta Bollandiana, t. 103, fasc. 3-4, 1985, pp.243-250.

ამ საკითხს შეეხო აგრეთვე შ. ბადრიძე: საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასა და დასავლეთ ევროპასთან. თბ., 1984, გვ. 16-40.

<sup>3</sup> J.Lefort et D.Papachryssanthou, Les premiers géorgiens à l'Athos. - Bedi Kartlisa, v. XLI, 1983, pp. 27-33; Actes d'Iviron, I, Paris, 1985, pp. 5-6.



შეტანილი ეჭვი, ისინი აქამდე ყოველმხრივ შესწავლილი და შეფასებული არ ყოფილა<sup>1</sup>. დღეს მათი შესწავლისათვის უკეთესი პირობებია შექმნილი. ხელმისაწვდომი გახდა მათი ფოტოპირები და ამდენად, უკვე შესაძლებელია ამ ხელნაწერთა კოდიკოლოგიური და პალეოგრაფიული შესწავლა<sup>2</sup>.

ოშკის „ბიბლიის“, ოშკის „სამოთხისა“ და „განძის“ ხელნაწერთან დაკავშირებით, როგორც უკვე ითქვა, ერთი საერთო პრობლემა წამოიჭრა: არიან ზემოთდასახელებული ხელნაწერების ანდერძები ავთენტურნი, თუ ისინი ხელნაწერების გვიან გადაწერილი პირებია, რომელთაც შემოგვიანახეს როგორც დედნისეული ანდერძ-მინაწერები, ასევე გვიანდელი, მათი გადაწერის დროინდელი ანდერძ-მინაწერებიც, რამაც გამოიწვია ამ ხელნაწერთა ანდერძების ქრონოლოგიური ცნობებისა და ფაქტების აღრევა.

\* \* \*

ოშკში გადაწერილ ხელნაწერთა შორის, რომელთა შექმნა ჩორღვანელთა დიდი ოჯახის წევრებთან იოვანე-თორნიკესა და იოვანე ვარაზგაჩესთან არის დაკავშირებული, ყველაზე აღრეულია „სამოთხე“, გადაწერილი 977 წელს მწიგნობარ სტეფანეს მიერ. ცნობები ამ ხელნაწერის გადაწერა-შემმოსველისა და მომგებლის (შემკვეთის) შესახებ შემოუნახავს ხელნაწერის მომგებლის — იოვანე-თორნიკე სვინგელოზის ანდერძს. გასარკვევია, რა მიმართებაა „სამოთხის“ ხელნაწერის გადაწერისა და მომგებლის, იოვანე-თორნიკეს ანდერძებს შორის.

<sup>1</sup> ოშკისა და კარინის დასახელებული ხელნაწერების ისტორიულ ღირებულებაზე მსჯელობა რომ შეუძლებელია მათი კოდიკოლოგიური და ფილოლოგიური შესწავლის გარეშე, ეს კარგად ემოდა ნადონცს. ის წერდა: „ანდერძები, რომლებიც ათარიღებენ ძველ ქართულ ხელნაწერებს (იგულისხმება ოშკისა და კარინის ხელნაწერები), ცალკე საგანგებო შესწავლას თხოულობენ. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მათ დაუზღვრუდებით უახლოეს მომავალში“ (N. Adontz, დასახ. ნაშრომი, გვ. 313). სამწუხაროდ, ნადონცმა თავისი სურვილი ვერ შეასრულა.

<sup>2</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ გამოქვეყნებულ ათონის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში (ნაკვ. I) შესულია ჩვენთვის საინტერესო ორი ათონური ხელნაწერი (№3, №9); №1 ათონური ხელნაწერის (ოშკის ბიბლიის) აღწერილობა ის „წიგნი ძუელისა აღთქუმისანი“ (ნაკვ. I), 1989, გვ. 559-572). ამავე ხელნაწერის აღწერილობა ადრე გამოაქვეყნა რბლეიკმა: The Athos Codex of the Georgian Old Testament, 1929, pp. 39-56.





„სამოთხის“ (Ath.9) ტექსტს უკავია ხელნაწერის 1-374 ფურცელი დაწერილია შესანიშნავი კალიგრაფიული მთავრულით. მთელი ტექსტის მანძილზე გადამწერისავე კალიგრაფიული ნუსხურით ჩაწერილია რამდენიმე პირის მოსახსენებელი. ესენი არიან: დავით მეფე და მაგისტროსი<sup>1</sup>, იოვანე ვარაზეაჩე და შვილნი მისნი, და ხელნაწერის გადამწერი სტეფანე: „იესუ ქრისტე, ყოველთა სუფევებათა მფლობელო, ადიდენ შენ მიერ კურთხეული მეფე ჩუენი დავით მაგისტროსი და იოვანე და შვილნი მისნი“ (54v: ანალოგიური მოსახსენებლებია 94v-სა და 167r-ზე). მეორე ტიპის მოსახსენებელი ეხება მხოლოდ იოანეს და მის შვილებს: „ქრისტე, შეიწყალე იოვანე და შვილნი მისნი“ (59r, ანალოგიური 182r).

ტექსტის ბოლოს, 374v-ზე წერია წიგნის დასრულებასთან დაკავშირებული მოსახსენებელი, სადაც მოხსენებულნი არიან წიგნის მომგებელი იოვანე ვარაზეაჩე და წიგნის გადამწერი სტეფანე: „ქრისტე, ძეო ღმრთისაო, შეიწყალე სული იოვანესი და სტეფანესი, რომელმან წმიდაა ესე წიგნი დავწერე“. მოსახსენებელი დაწერილია გადამწერის, სტეფანეს, წვრილი კალიგრაფიული ნუსხურით. იოვანესა და სტეფანეს ამ ერთობლივი მოსახსენებლით მთავრდებოდა თავდაპირველად „სამოთხის“ ხელნაწერი.

ამ მოსახსენებლის ქვემოთ მოთავსებულია კიდევ ორი მოსახსენებელი, დაწერილი იმავე სტეფანეს ხელით, ოღონდ საზეიმო კალიგრაფიული მთავრულით. პირველი მოსახსენებელი დაწერილია იოვანე სვანგლოზისათვის, რომელიც „სამოთხის“ მოსახსენებელში პირველად გამოჩნდა, ხოლო მეორე — მისი ძმის, იოვანე ვარაზეაჩესათვის, რომელიც ამ ხელნაწერის სხვა მინაწერებშიც, როგორც ვთქვით, არაერთგზის არის მოხსენიებული და ბოლო მოსახსენებელშიც ჩანს. მოგვაქვს ხელნაწერის დასრულების შემდეგდროინდელი ორი მოსახსენებელი:

1. „წმიდანო მამანო, რომელნი დამიწერიან წიგნსა ამას, მეობკვენით სვანგლოზსა და შვილთა მისთა“ (374 v).
2. „წმიდაო იოვანე ოქროპირო და წმიდაო ეფრემ, მეობკვენით იოვანე ვარაზეაჩეს და შვილთა მისთა წინაშე ქრისტესა“ (374v).

<sup>1</sup> მაგისტროსის წოდებას დავითი ატარებდა 978 წლის ზაფხულამდე. იხ. ქვემოთ.

ამავე 374v-ზე განწესებულია მოსახსენებელი ჩორდვანელი სახლის კიდევ ორი წევრისათვის: იოვანე ვარაზფაჩეს ძის მიქაელისა და ძმის — აბუჰარბისათვის: „წმიდაო ნათლისმცემელო, იოხე შენით ნათელღებულთა თანა მიქაელ და აბუჰარბ“.

ზემოთმოტანილ მოსახსენებლების განლაგება ხელნაწერში, მათი დამწერისა და მოსახსენებელში მოხსენებულ პირთა ვინაობა და ტიტულები, აგრეთვე ამ მოსახსენებელთა ხასიათიც საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ მათი დაწერის მიზანი და ქრონოლოგია.

1. „ოშკის სამოთხე“ (Ath.9) გადაიწერა სტეფანე მწერლის მიერ ოშკში 977 წელს. ხელნაწერის შემკვეთი და ოშკის სკრიპტორიუმის სამწერლობო საქმიანობის გამგებელი იმ დროს იყო იოვანე ვარაზფაჩე, ძე ჩორდვანელისა, ძმა იოვანე-თორნიკესი. მოსახსენებლებში იოვანე ვარაზფაჩესთან ერთად და პირველ ადგილას ტაოს კურთხეული მეფე დავით მაგისტროსია მოხსენებული, რომელიც ოშკის მონასტრის ერთ-ერთი ქტიტორიც იყო და, ამავე დროს, ბუნებრივია, ახლად დამთავრებული ოშკის ლავრის სამწერლობო კერის შექმნისა და განვითარების დიდი მოსურნეც. დავით მაგისტროსისა და იოვანე ვარაზფაჩეს ერთობლივი მოსახსენებელი მოწმობს არა მარტო მათ ახლობლობას, არამედ მათ ერთობლივ ზრუნვასაც ქართული მწიგნობრობის განვითარებაზე.

2. „ოშკის სამოთხე“ (Ath.9) გადაიწერა იოვანე-თორნიკეს მონაწილეობის გარეშე. ამკარაა, რომ ხელნაწერის გადაწერის პერიოდში თორნიკე ტაოში არ არის. 973 წლიდან ის ათონზე ათანასეს ლავრაში მოღვაწეობს<sup>1</sup>. ათონიდან თორნიკე ტაოში ჩამოვიდა 978 წლის ზაფხულში და თან ჩამოიტანა ბიზანტიის კეისართა წერილები დავით მეფისადმი თხოვნით ქართველთა ლაშქრის გაგზავნის შესახებ სკლიაროსის წინააღმდეგ საბრძოლველად. დავითთან თათბირის შემდეგ თორნიკე ქართული მხედრონით გაემგზავრა ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ საბრძოლველად. ბარდა სკლიაროსის დამარცხების შემდეგ (979 წლის 24 მარტი) თორნიკე ბრუნდება ტაოში დიდი ალაფით და ბიზანტიის

<sup>1</sup> იოვანე-თორნიკე იოვანე ქართველთან ერთად მოხსენიებულია 977 წელს ათონის იოანე მახარებლის მონასტერში გადაწერილი ბასილის „სწავლათა“ ხელნაწერის ანდერძში (Ath.32), რაც იმას მოწმობს, რომ იოვანე-თორნიკე ამ დროს ათონზე მოღვაწეობდა (იხ. ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი, ქ. ქურციკიძის გამოცემა. თბ., 1983, გვ. 013).

კეისრისაგან ბოძებული სვინგელოზის პატივით. ამ დროსვე დაიწყო დავითმა ბიზანტიისათვის გაწეული დახმარებისათვის კურაპალატის ტიტული. ამ დროიდან ქართულ წყაროებში თორნიკე იწოდება სვინგელოზად (ნაცვლად პატრიკისა), ხოლო დავითი — კურაპალატად (ნაცვლად მაგისტროსისა). ეს ფაქტი საგანგებოდ არის აღნიშნული ოშკის „სამოთხის“ ბოლოს დართულ თორნიკეს ანდერძში. ამ დროს გადაწყდა დავით კურაპალატისა და თორნიკეს ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე ათონზე დამოუკიდებელი ქართველთა მონასტრის აშენება და თორნიკემ მონასტრისათვის მრევლის გამრავლებისა და საჭირო ხელნაწერების მოპოვების თადარიგი დაიჭირა. ამ დროსვე შეირჩა ათონზე გასაგზავნად ხელნაწერი Ath.9 — ოშკის „სამოთხე“ და გადაწყდა მას დართვოდა მომგებლის, იოვანე-თორნიკეს ანდერძი, სადაც წერილობით აღიბეჭდებოდა ბარდა სკლიაროსზე ბრწყინვალე გამარჯვების ფაქტი. როგორც ჩანს, ამისთვის „სამოთხის“ ხელნაწერს მოსცილდა უკანასკნელი ფურცელი ხელნაწერის გადაშწერის, სტეფანეს თავდაპირველი ანდერძით და დაემატა სამი ფურცელი (ხელნაწერის უკანასკნელი სამფურცლიანი მ რვეული), რომელიც მთლიანად ახალ, მომგებლის ანდერძს დაეთმო.

3. ოშკის „სამოთხის“ ახალი ანდერძი, დაწერილი განსხვავებული ხელით, მრავალი თვალსაზრისით ბრწყინვალე პირველწყაროა დავით კურაპალატის ეპოქის საქართველოს პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების შესასწავლად და ჩორდვანელების დიდი ოჯახის წევრთა ღვაწლის წარმოსაჩინად დავით დიდის საგარეო და საშინაო პოლიტიკაში. ეს ანდერძი ამავე დროს პირველი წერილობითი დოკუმენტია ბარდა სკლიაროსზე ქართველთა მხედრონისა და იოვანე-თორნიკეს დიდი გამარჯვების შესახებ, დაწერილი ამ ბრძოლის გმირის მიერ.

ჩანს, ამ ანდერძს დავით კურაპალატი და თორნიკე დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, რაკი საგანგებოდ მის დასაწერად მოიწვიეს ცნობილი დავით მწიგნობარი შატბერდის სახელმძღვანელო სკრიპტორიუმიდან, სადაც მოღვაწეობდა სახელოვანი მეცნიერი, პოეტი, მწიგნობარი მიქაელ მოდრეკილი და სხვა შესანიშნავი მწიგნობრები: მიქაელ მოდრეკილის ბიძა, მამა დავითი და მიქაელის დისწულები —

იოვანე ბერაა და დავითი<sup>1</sup>. სწორედ ეს უკანასკნელი მოიწვიეს და ვით  
კურაპალატმა და იოვანე-თორნიკემ საპასუხისმგებლო დოკუმენტის  
შესადგენად.

იოვანე-თორნიკეს პირით დავით მწიგნობრის ხელით დაწერილი  
ანდერძი, რომელიც სრული სახით მხოლოდ ახლახან გამოქვეყნდა<sup>2</sup>,  
რამდენიმე ნაწილისაგან შედგება.

სამფურცლიანი ანდერძის პირველი ფურცელი დათმობილი აქვს  
მსჯელობას იმ დროისათვის აქტუალური საღვთისმეტყველო საკითხების  
შესახებ. განხილულია ღვთისმეტყველების სამი ძირითადი პრობლემა:  
სამებისა, მარიამის ღვთისმშობლობისა და „საკურველი შობისა“. სამივე  
საკითხი ერთმანეთს უკავშირდება და ორიგინალური თეოლოგიური  
ტრაქტატის სახეს ატარებს. მასში გამოვლენილი თეოლოგიური პრობ-  
ლემების განხილვისა და არგუმენტაციის უნარი ავტორის დიდ თე-  
ოლოგიურ განსწავლულობას მოწმობს. ამავე დროს ავტორის სტილი  
გამოირჩევა ლაკონურობით და მაქსიმალური შინაარსობრივი დატვირთ-  
ვით. ანდერძში განხილულია წმინდა სამების ბუნების არსი, ადამიანის  
დაბადებისა და მისი ბუნების, ცოდვა-ცხონებისა და მონანიების  
საკითხები.

ანდერძის ერთი მესამედი (ერთი ფურცელი) უკავია მსურფალე  
ვედრებას ცოდვათა პატიებასა და სულის ცხონებაზე. აშკარაა, რომ ეს  
არის ანდერძის დაწერის ძირითადი მიზეზი. ეს არც არის გასაკვირი,  
თუ გავიხსენებთ, რომ ჩორდვანელთა დიდი ოჯახის უფროსი შვილი  
თორნიკე, აქტიურად ჩაბმული ამქვეყნიური ცხოვრების ორომტრიალში,  
დავით მეფის უახლოესი თანამოღვაწე, რომელმაც თავისი ხანგრძლივი  
მხედრული მოღვაწეობის განმავლობაში მრავალი პატივი და დიდება  
დაიმსახურა არა მარტო დავითის, არამედ ბიზანტიის მეფეთა კარზეც,

<sup>1</sup> ამ შესანიშნავმა კოლექტივმა შექმნა ისეთი ბრწყინვალე ხელნაწერები დავით კურა-  
პალატის ზეობაში, როგორიც არის მიქაელ მოდრეკილის იადგარი, პარსლის ოთხთავი,  
შატბერდის კრებული. მწიგნობართა შატბერდული სკოლის მესვეური იყო მიქაელ  
მოდრეკილი. მართლაც, მისი შექმნილი „იადგარი“ მწიგნობრობის, მხატვრული  
გაფორმებისა და კალიგრაფიის შედევრს წარმოადგენს. პინგოროყვას სამართლიანი  
შენიშვნით, „მიქაელ მოდრეკილი იმდენად განთქმული ყოფილა, რომ დავითი თავის  
თავს იხსენიებს არა მამაშვილობით, არამედ მიქაელ მოდრეკილის დისწულობით, რო-  
მელსაც ღმერთმემოსილს უწოდებს“ (გიორგი მერჩულე. თბ., 1954, გვ. 764-765).

<sup>2</sup> ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ათონური კოლექცია, I. თბ. 1986, გვ. 45-47.

ხანში შესული ტოვებს ამქვეყნიურ დიდებას და ბერად შედგება. ვერ  
ოშკში, ხოლო შემდეგ ათონზე და იოვანე ქართველის ხელით <sup>საქმიან</sup>  
შეიმოსება. ამ დროიდან თორნიკე იწყებს ახალ ცხოვრებას. მაგრამ სუ-  
ლის ცხოვებაზე ზრუნვის პერიოდი ხანმოკლე აღმოჩნდება: ის 978  
წელს იხდის ბერის ჩონას და კვლავ, ჯაჭვ-პერანგითა და ჩაფხუტით შე-  
მოსილი, ქართული მხედრიონის მხედართმთავრად ბარდა სკლიაროსის  
წინააღმდეგ საბრძოლველად გაემგზავრება. 979 წლის ზაფხულში იგი  
გამარჯვებული ბრუნდება და ამ ახალი დიდი ცოდვის მონანიებას იწ-  
ყებს: „ხოლო ჩუენ, ცოდვილთა და ყოველთა მორწმუნეთა უსაწყალო-  
ბელესთა, სახელით იოვანე თორნიკ-ყოფილმან და ძმამან ჩემმან იოვანე  
ვარაზვაჩე, რომელთა წმიდაა ესე წიგნი მოვიგეთ, რომელსა ეწოდების  
სამოთხც, რომლისაგან გაპკრთებიან წუეთნი თქუმულთა საღმრთოთანი  
და ამის მიერ ირწყვიან გონებანი მორწმუნეთანი, რამთა ჩუენცა დაგუ-  
წუთეს ნაბერწყალი წყალობისა მისისა და ამის მიერ ვპოვოთ წამალი  
უნდოთა ქცევათა ჩუენთა“<sup>1</sup>. ამას ისევ მოსდევს ვედრება ცოდვათა  
მიტევების შესახებ.

4. ანდერძის უკანასკნელი ფურცელი განკუთვნილია ბარდა  
სკლიაროსზე /გამარჯვებულთა სადიდებლად და სალოცველად, პირველ  
რიგში დავით კურაპალატისა, როგორც ბრძენი მმართველისა და  
მართლმადიდებელთა თვალისა, რომელთა მოღვაწეობის ასპარეზი  
მარტო ტაოთი ან საქართველოთი არ იფარგლება<sup>2</sup>: „მე, იოვანე  
თორნიკ-ყოფილმან, და ძმამან ჩემმან იოვანე ვარაზვაჩე, ძეთა  
სულკურთხეულისა ჩორდვანელისათა, მოვიგეთ და დაწერეთ წმიდაა  
ესე წიგნი, რომელსა ეწოდების წმიდათა მამათა მიერ სამოთხც, რო-  
მელსა შინა იპოვებიან მრავალფერნი მადლნი, მკურნალნი სულისანი,  
სალოცველად და სადიდებლად პირველად ძლიერისა და  
ღმრთისმსახურისა მეფისა და ყოვლისა აღმოსავალისა კურაპალატისა  
დავითისთჳს, რამთა სათნოდ ღმრთისა ქცევათა მისთათჳს დაუმკდროს  
მეუფემან სუფევად დაუსრულებელი, რამეთუ მართლმადიდებლობისა  
თუალი არს და, მსგავსად შემოქმედისა თჳსისა, სიმდაბლისა წესსა შინა  
დაუკლებლად იქცევის და საღმრთოჲსა სიყუარულისა ჯაჭვთა აღჭურ-  
ვილი, და მოწყალეებაჲ ქრისტეს სახედ შეუმოსიეს, რამეთუ სული წმი-

<sup>1</sup> იქვე გვ.46.

<sup>2</sup> იქვე გვ.47.

დად თანამზრახველად აქუს, რომელი ორძის გონებასა შინა მისსა, ვინა მისსა, თარცა თავი აგებულებასა ზედა ნივთიერსა“.

დავით კურაპალატის ამ დახასიათებაში განსაკუთრებით არის ყურადღება გამახვილებული მის ღვთისმოსავობაზე, რომ ის არის „საღმრთოვანა სიყუარულისა ჯაჭვთა აღჭურვილი“ „მართლმადიდებლობისა თუალი“ რომ „სული წმიდაა თანამზრახველად აქუს“ ეს ის მოტივებია, რომლებიც ესადაგება ათონელ ქართველთა და საერთოდ, ბიზანტიის ქართველ მოღვაწეთა მისწრაფებას, დაემტკიცებინათ ქართველთა ჭეშმარიტი მართლმადიდებლობა.

ამას მოსდევს ანდერძის უკანასკნელი ნაწილი, რომელიც უშუალოდ ეხება ანდერძის დამწერს იოვანე თორნიკ-ყოფილს და მის ნათესავებს — ჩორდვანელების დიდი სახლის წევრებს. ანდერძის ამ ცენტრალურ ნაწილში თორნიკე გვაცნობს თავის თავს და თავისი ცხოვრების ძირითად მიჯნებს. ანდერძის ამ ნაწილში სხარტად, ლაკონურად, პოლიტიკური სიტუაციის სწორი გააზრებით და ბარდა სკლიაროსზე გამარჯვების მნიშვნელობის ზუსტი შეფასებით (ყოველგვარი გაზვიადების გარეშე) მოგვითხრობს თორნიკე ამ გამარჯვების ისტორიას.

მთავარი აზრი ამ თხრობისა არის ის, რომ თორნიკემ გაიღო დიდი მსხვერპლი, რათა განემტკიცებინა წმიდანი მეფენი ბიზანტიისა. თავისი დიდი დამსახურების მიუხედავად, თორნიკე ამ გამარჯვების პირველ მიზეზად დავით კურაპალატს ასახელებს, ხოლო შემდეგ თავის თავს: „მათსა შემდგომად სალოცველად თავთა ჩუენთა — პირველად იოვანე თორნიკ-ყოფილისათს და აწ, წმიდათა მეფეთა მიერ იოვანე სჯგელოზისათს“. ამის შემდეგ თორნიკე თხრობას განაგრძობს მხოლოდ თავისი თავის შესახებ: „რომელმანცა სიყუარულისათს ღმრთისა დაუტევა დიდებაა ქუეყანისა და პოვა ზეცისა, რომელი ღმრთისა მიერ ზეგარდამო დიდებასა შინა მათსა და პატიესა წმიდათა მეფეთა მიერ მწრაფლ შეიცვალა ხატი ერისკაცობისა და შეიმოსა სახლ მუელაბნოვეთა“ მაგრამ თავის ახალ მდგომარეობაშიც თორნიკემ „ერთგულებით ჰმსახურა ძელსა ცხორებისასა და წმიდათა მეფეთა“, ე.ი. ეს იყო სამსახური არა მარტო წმიდათა მეფეთა, არამედ ქრისტიანობისაც (ძელისა ცხოველისა). ეს მოხდა მაშინ, „რაჟამს-იგი გამოჩნდა ქუეყანასა საბერძნეთისასა კაცი განლაღებული, და მკდომად აღუდგა წმიდათა მეფეთა“. მაშინ თორნიკემ „ისწრაფა და მოიწია ძლიერისა და ყოვლით კერძოვე უძლეველისა დავით კურაპალატისა და ბრძანებითა

ამათითა დაამჯუჯა განზრახვამ მისი და განამტკიცა წმიდანი მეფენი“. თორნიკემ სულ რაღაც ოთხიოდე სტრიქონში დაწურულად დახატა სრული სურათი: ბარდა სკლიაროსის აჯანყების მიზეზი, ამ აჯანყების მოსალოდნელი შედეგი და ის ოპერატიულობა, რომლითაც დავით კურაპალატმა და თორნიკემ დაამარცხეს საბერძნეთის მეფეთა წინააღმდეგ ამდგარი „განლაღებული კაცი“. შედეგი – წმიდა მეფენი საბერძნეთისა განმტკიცდნენ. ამ ეპიზოდს მხატვრულ ძალას ჰმატებს დავით კურაპალატისა და ბარდა სკლიაროსის დახასიათებები.

დაწურულად და სქემატურად წარმოდგენილ ბარდა სკლიაროსზე გამარჯვების ისტორიას ზუსტად იმეორებს უფრო ვრცლად და ხორცშესხმულად, აუცილებელი მაკავშირებელი ეპიზოდებით, იოვანე და ეფთვიმეს „ცხორება“. ეჭვს არ იწვევს, რომ გიორგი მთაწმიდელს, სხვა წყაროებთან ერთად ჰქონია ოშკის „სამოთხე“, რომელიც დღიდან ქართველთა მონასტრის აშენებისა მის ბიბლიოთეკაში ინახებოდა, როგორც უტყუარი დოკუმენტი ქართული მხედრიონისა და თორნიკეს დიდი დამსახურებისა ბიზანტიის სამეფო კარის წინაშე.

ბარდა სკლიაროსის დამარცხების ეპიზოდით არ მთავრდება თორნიკეს ანდერძი. თორნიკე ლოცვასა და შენდობას თხოულობს თავისი ძმის იოვანე ვარაზვანიჭისთვისაც, რომელიც მასთან ერთად მოღვაწეობდა ოშკში და რომლის ინიციატივითაც გადაიწერა „სამოთხის“ ხელნაწერი. ჩანს, ძმებს შორის დიდი სულიერი ერთობა სუფევდა. თორნიკე ლოცვასა და შენდობას თხოულობს ვარაზვანიჭს შვილებისთვისაც, თავისი მშობლების, ძმებისა და ძმისწულების, ბიძებისა და „ყოველთა სახლისა მიცვალებულთათჳს“.. ანდერძის დასასრულს კვლავ ვედრებაა შენდობისათვის. აქ მთავრდება თორნიკეს ანდერძი.

ამას მოსდევს დამატების სახით ცნობები „სამოთხის“ გადამწერის ანდერძიდან. როგორც უკვე ითქვა, ეს ანდერძი თავიდანვე მოთავსებული იყო „სამოთხის“ ტექსტის დასასრულს (374 v). თორნიკეს ახალი ანდერძის დაწერასთან დაკავშირებით თავდაპირველი (სტეფანეს) ანდერძი გაუქმდა, ხოლო მისი ცნობები გადატანილ იქნა თორნიკეს (მომგებლის) ანდერძის შემდეგ. ეს ცნობები დაწერილია არა პირველი პირით, როგორც ჩვეულებრივ იწერება გადამწერის ანდერძი, არამედ მესამე პირით: „დაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი დიდებულსა ლავრასა ოშკს, საყოფელსა წმიდისა ნათლისმცემელისასა, მამობასა საბაჲსა, ქრისტემან



აკურთხენ! კელითა სტეფანე დეკანოზისაჲთა და მისითავე კელითა მიერაჲსა მოსა. ლმერთმან აკურთხენ! ქრონიკონი იყო რაჲზ“ (977 წ.).

სტეფანეს ანდერძს მოსდევს თორნიკეს ანდერძის დამწერის, დავითის მინაწერი, სადაც ის მკითხველს თავის თავს აცნობს მიქაელ მოდრეკილის დისწულად. ამრიგად, ამ ორი მწიგნობრის (სტეფანესა და დავითის) შესახებ ცნობები ქრონოლოგიური თანმიმდევრობით არის წარმოდგენილი: ჯერ მოხსენებულია „სამოთხის“ გადამწერის ვინაობა, ხოლო შემდეგ „სამოთხის“ მომგებლის ახალი ანდერძის დამწერისა, რომელმაც შეადგინა ეს ანდერძი „სამოთხის“ გადაწერიდან სულ ცოტა წლინახევრის შემდეგ.

ბუნებრივია, ისმის კითხვა: რა აუცილებელი იყო სტეფანეს ანდერძის გადატანა მომგებლის ანდერძის შემდეგ და ამით ხელნაწერის თავდაპირველი აგებულების დარღვევა? ამას მოითხოვდა შუასაუკუნეებში გავრცელებული ქართული წიგნის აგების წესი და ტექნიკა, რომლის მიხედვითაც ჯერ მომგებლის ანდერძი უნდა დაწერილიყო, ხოლო შემდეგ გადამწერისა, ვინაიდან მომგებელი ხელნაწერის შექმნის ინიციატორი და დამფინანსებელი იყო, ხოლო გადამწერი — მხოლოდ მომგებლის ნების შემსრულებელი.

„სამოთხის“ მომგებლის ანდერძის ანალიზმა აშკარა გახადა, რომ „სამოთხე“ ორი ქრონოლოგიური პლასტისაგან შედგება. პირველი და ძირითადია „სამოთხის“ ტექსტი, რომელსაც უკავია 1-374 ფფ. და გადაწერილია 977 წელს ოშკის ლავრაში სტეფანე დეკანოზის მიერ. ამ ძირითად ნაწილში გადამწერის ხელით შესრულებულ მინაწერებში იოვანე-თორნიკე არსად არ იხსენიება, ვინაიდან ამ დროს თორნიკე ათონზე მოღვაწეობს, ხოლო ხელნაწერის შექმნის განმკარგულებელი არის თორნიკეს ძმა — იოვანე ვარაზგაჩე, რომელიც არაერთგზის არის „სამოთხის“ მინაწერებში მოხსენიებული. ამდენად, „სამოთხის“ ძირითადი ნაწილი (ტექსტი) ავთენტურია. როგორც უკვე ითქვა, მას აკლია მხოლოდ სტეფანეს ანდერძი.

ავთენტურია „სამოთხის“ მეორე პლასტიკ — თორნიკეს (მომგებლის) ანდერძი, დაწერილი მისივე კარნახით, ადგილ-ადგილ პირველი პირით. ანდერძს უკავია „სამოთხის“ ტექსტზე შემდეგ დამატებული 375-377 ფურცლები.

თორნიკეს კარნახით შექმნილი ეს დოკუმენტი დაწერილია ეროვნული ღირსების მაღალი გრძნობით, შორსმჭვრეტელი და გამოცდილი



პოლიტიკოსისა და სახელმძღვანელო მოღვაწის დიდი ტაქტიკა და თავდაჭერით. თორნიკეს ანდერძი დიდი ისტორიული ღირებულების მქონე უტყუარი დოკუმენტია, რომელსაც გვერდს ვერ აუვლის ამ ეპოქის შემსწავლელი ვერც ერთი ისტორიკოსი. ამიტომ, რა თქმა უნდა, სრულ გაუგებრობაზე და მასალის არცოდნაზეა აგებული იმ მეცნიერთა თვალსაზრისები, რომლებიც ამ შესანიშნავ ისტორიულ პირველწყაროს უნდობლობას უცხადებენ.

უნიკალური ცნობების შემცველი ოშკის „სამოთხე“ თორნიკემ ათონისთვის შეამზადა, რასაც მოწმობს არა გადამწერის ხელით, თავისებური ნუსხურით დაწერილი მინაწერი: „ქრისტე, ძეო ღმრთისაო, მიაწიე წმიდაჲ ესე წიგნი წმიდასა მას შენ მიერ გამორჩეულსა საყოფელსა წმიდათა მამათათა (!) მთაწმიდას<sup>1</sup>, რომელ არს ათონაჲ“ (374v).

ამ გზით ეს ცნობები გავრცელდებოდა ათონის ბერძენთა მონასტრების საკრებულოშიც და ბიზანტიაშიც, რაც ქართველთა პრესტიჟის ამაღლებას და ბიზანტიის წინაშე ქართველთა დამსახურების წარმოჩენას დიდად შეუწყობდა ხელს.

ეს გადაწყვეტილება თორნიკეს მიუღია ბრძოლიდან ტაოში დაბრუნების შემდეგ, როდესაც დავით კურაპალატთან ერთად გადაწყვიტა, რომ ბრძოლაში მოპოვებული ალაფის უდიდესი ნაწილი ათონზე დამოუკიდებელი ქართული მონასტრის ასაგებად დახარჯულიყო.

### ოშკის ბიბლია (Ath.1)

მეორე ხელნაწერი, რომელიც ათონზე გასაგზავნად შეიქმნა ოშკის ლავრაში, არის ოშკის ბიბლია. ოშკის ბიბლიის კოდიკოლოგიური და პალეოგრაფიული შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ: 1. იოვანე-თორნიკემ განიზრახა ძველი აღთქმის კანონიკური და არაკანონიკური წიგნების თავმოყრა და ერთ წიგნად შეკვრა, რის განხორციელებაც დააკისრა ოშკის მწიგნობრებს. 2. ქართული ბიბლიის (ძველი აღთქმის) ახალი ნუსხის შექმნა იმ დიდი საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილია,

<sup>1</sup> „მთაწმიდა“ ათონის მთის ზედწოდებად პირველად „სამოთხის“ (Ath.9) თორნიკესეულ ანდერძში გვხვდება.

რომელიც თორნიკემ ათონის ქართველთა საკრებულოსთან შეიმუშავა.

ათონზე თორნიკეს ჩასვლის შემდეგ<sup>1</sup> ათანასეს ლავრაში თავმჯდომარეულ ქართველთა საძმოში მწვავედ დადგა საკითხი ქართველთა საძმოს ცალკე გამოყოფისა: „და ესრეთ განზრახვითა მამისა ათანასესი ლავრისაგან განშორებულად ვითარ მილიონ ერთ, უდაბნოსა შუენიერსა წმიდისა იოვანე მახარებელისა ეკლესიამ აღაშენეს და სენაკები, და მუნ იყოფებოდეს...“ („ცხოვრება“ §15,2). მართალია, ტერიტორიულად ლავრიდან გამოყოფილი ქართველთა საკრებულო ორგანიზაციულად მაინც ლავრას იყო დაქვემდებარებული, მაგრამ ეს ნაბიჯი უკვე სერიოზული განაცხადი იყო სრული დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის.

იოანე მახარებლის მონასტერში დაიწყო თავისი მთარგმნელობითი საქმიანობა ეფთვიმემ. 977 წელს აქ გადაიწერა ეფთვიმეს ერთი ყველაზე ადრეული თარგმანი – „სწავლანი ბასილი კესარიელისა“ (Ath.32). დადგა საკითხი სამონასტრო ბიბლიოთეკის შექმნისა. პირველ ხანებში მონასტერში ხელნაწერები გარედან შემოდებოდა. ერთ-ერთი წყარო სამონასტრო ბიბლიოთეკის გამდიდრებისა გახდა სამხრეთ საქართველოდან შემოსული ხელნაწერები. მათ შორის ყველაზე ადრეულია ოშკიდან თორნიკეს მიერ ათონზე წაღებული რამდენიმე ბრწყინვალე ხელნაწერი: „ოშკის სამოთხე“ (Ath.9), „ოშკის ბიბლია“ (Ath.1), გიორგი ალექსანდრიელის იოანე ოქროპირის „ცხოვრება“ (Ath.3) და „განძის“ ხელნაწერი, გადაწერილი „კარინის ქვეყანაში“ თორნიკეს საკუთარ სამონასტრო სკრიპტორიუმში<sup>2</sup>.

„სამოთხისაგან“ განსხვავებით, ოშკის „ბიბლია“ თორნიკეს შეკვეთით შესრულებული წიგნია. ლაშქრობაში წასვლამდე თორნიკეს ოშკის სკრიპტორიუმში ათონის ქართველთა საკრებულოსთვის შეუკვეთია ორი ხელნაწერის გადაწერა: ბიბლიისა (Ath.1) და იოვანე ოქროპირის „ცხოვრებისა“ (Ath.3).

<sup>1</sup> ზუსტი თარიღი თორნიკეს ათონზე ჩასვლისა ცნობილი არ არის. ვფიქრობთ, რომ თორნიკე 973 წელს (ოშკის ლავრის მშენებლობის დამთავრების წელი) ბერად შედგა ოშკის მონასტერში და ცოტა ხნის შემდეგ გაემგზავრა ჯერ ულუმბოს მთაზე, სადაც იოვანე ქართველი ეგულებოდა, ხოლო იქიდან ათონზე, ათანასეს ლავრაში, სადაც იმყოფებოდა იოვანე თავისი შვილით და მოწაფეებით.

<sup>2</sup> მოსკოვის სინოდალური ბიბლიოთეკის ხელნაწერი Gr. 62. იხ. P. Peeters, დასახ. ნაშრომი, გვ. 358-371

11. 262

საქართველოს  
ბიბლიოთეკა

ოშკის ბიბლია ამჟამად წარმოადგენს ორ წიგნად აკინძულ კრებულს. დღეისათვის შეიცავს 954 ფურცელს (რბლეიკის აღწერილობაში — 960 ფ.). ხელნაწერი გადაწერილია ოშკში სამი მწერლის — მიქაელის, გიორგისა და სტეფანეს მიერ. მისი გადაწერა დასრულებულია 978 წელს. ხელნაწერი რვეულებრივი სათვალავის მიხედვით, გადაწერა ოთხ დამოუკიდებელ ნაკვეთად. I ნაკვეთის (1-176 ფფ.) გადაწერია მიქაელი, II ნაკვეთისა (177-528 ფფ.) — აგრეთვე მიქაელი, III ნაკვეთი, რომელსაც ახალი რვეულებრივი სათვალავი აქვს (1-213 ფფ.), გადაწერილია სტეფანეს მიერ. მეოთხე ნაკვეთის პირველი ნაწილი (215-309 ფფ.) გადაწერილია გიორგი გელასის ძის მიერ, მეოთხე ნაკვეთის II ნაწილი (310-421 ფფ.) გადაწერილია მიქაელის მიერ. IV ნაკვეთის ორივე ნაწილს ერთიანი რვეულებრივი სათვალავი აქვს.

ხელნაწერი ძალზე დაზიანებულია, ყველაზე მეტად ბიბლიის I ნაკვეთი, რომელიც რვეულებრივი აღრიცხვის მიხედვით (54 რვეული), შეიცავდა 432 ფურცელს, ამჟამად კი შემორჩენილია მხოლოდ 176 ფ. (I ნაკვეთში 24 რვეულია წარმოდგენილი)<sup>1</sup>. მთლიანად დაკარგულია: 1, 17, 19, 23-49 რვეულები.

ბიბლიას ერთვის მომგებლის (იოვანე-თორნიკეს) ვრცელი ანდერძი, რომელიც დაწერილია სტეფანეს ხელით და უკავია ორი საგვე გვერდი (422v-423r). 423v-ზე კი იმავე სტეფანეს ხელით დაწერილია მეორე მცირე ზომის ანდერძი, რომელიც ეხება მთელ ხელნაწერს: „დაიწერა წმიდაა ესე წიგნი ველითა სამთა მწერალთადათა: მიქაელისითა, გიორგისითა და სტეფანესითა. ჩუენთჳსცა ლოცვა ყავთ, წმიდანო ღმრთისანო, ამენ. ოდეს ესე წიგნი დაიწერა, ქრონიკონი იყო რჳჳ (978 წ.).“

შეიმოსა ველითა გლასაკისა სტეფანესითა, ლოცვასა მომიჰსენეთ, წმიდანო ღმრთისანო მთაწმიდელნო, გულსმოდგინებაა ფრიადი მაქუნდა, განა წერაა და მოსაა ესთენ ვიცოდე“.

სტეფანეს ხელით დაწერილ მომგებლის ანდერძში ხელნაწერის გადაწერის თარიღად მითითებულია 978 წელი. ამ თარიღს საგვებით ესადაგება მიქაელისა და გიორგის გადაწერილ ნაკვეთებში მომგებლის მოსახსენებლები, სადაც მოხსენიებული არიან: მიქაელის ნაკვეთში —

<sup>1</sup> ცნობები აქაც და შემდეგაც ათონის ბიბლიაზე მოგვაქვს რბლეიკისა და ნ. გოგუაძის აღწერილობებიდან.



თორნიკე (143v) და მამამ იოვანე თორნიკე-ყოფილი (148v), თორნიკე პატრიკი (220v), თორნიკე პატრიკი შვილითურთ (397r), თორნიკე პატრიკი და შვილნი მისნი (421r). გიორგის ნაკვეთის მინაწერებში: იოვანე-თორნიკე (271v, 276v).

პატრიკის ტიტულს იოვანე-თორნიკე ატარებდა იქამდე, სანამ მას ბარდა სკლიაროსზე გამარჯვებისათვის ბიზანტიის კეისრები სვინგელოზის წოდებას უბოძებდნენ. ეს მოხდა 979 წლის 24 მარტის შემდეგ. ამრიგად, მიქაელისა და გიორგის გადაწერილ I, II და III ნაკვეთების მოსახსენებლებში მოხსენიებული თორნიკე პატრიკის წოდებით სავსებით ესადაგება ამ მონაკვეთების გადაწერისა და წიგნად შეკვრის დროს (978 წელს). ამ ნაკვეთებში სტეფანეს გადაწერილი წიგნები არა ჩანს. ანდერძის მიხედვით კი მისი მონაწილეობა ივარაუდება, ვინაიდან სტეფანე ანდერძში დასახელებულია ერთ-ერთ გადამწერად. სტეფანეს გადანაწერი ხელნაწერის დაკარგულ ნაწილში უნდა ვივარაუდოთ. I ნაკვეთს, როგორც უკვე ითქვა, დღეისათვის მთლიანად აკლია 23-49 რვეულები (ე.ი. 26 რვეული). ჩანს, ამ ნაკვეთში ერთმანეთს ენა-ცვლებოდა მიქაელისა და სტეფანეს ნაწერი ისევე, როგორც IV ნაკვეთში — გიორგისა და მიქაელისა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ბიბლიის მომგებლის ამ შესანიშნავი ვრცელი ანდერძის უდიდესი ნაწილი, ისევე როგორც „სამოთხის“ მომგებლის ანდერძიც, წარმოადგენს „მართალი სარწმუნოების“ ძირითადი საფუძვლების მწყობრი კონცეფციის გადმოცემას, რომელიც საღვთისმეტყველო ტრაქტატის შთაბეჭდილებას ტოვებს. ახალი აღთქმისა და წმიდა მამათა წიგნებიდან ციტატების მოშველიებით ანდერძში გაშლილია ვრცელი მსჯელობა სამების ერთარსებობის, ძის ორბუნებოვნებისა და მარიამის ღვთისმშობლობის შესახებ „ნიკეის სჯნოდოსის“ ჩამოყალიბებული მრწამსის ფარგლებში, რომელიც არის „საიდუმლოა იგი გამოუთქუმელი“, „სიბრძნე იგი ღმრთისაა“ და „დასაბამი ყოვლისა მეცნიერებისა“, რომელიც გავრცელდა მთელ საქრისტიანო სამყაროში და რომელსაც ეკლესია მარადის ქადაგებს.

სხვა სურათია სტეფანეს მიერ გადაწერილ „მეფეთა წიგნებში“ (ბიბლიის III ნაკვეთი), რომელშიც აგრეთვე არის შეტანილი მომგებულთა მოსახსენებლები და ანდერძი: „დიდებაა ღმერთსა! დაესრულა წიგნი მეფეთა ველითა გლახაკისა სტეფანესითა. საყუარელნო, უკუეთუ დაკლებად რამე იყოს, შემინდვეთ და ქსენებულმცა ვარ წმიდათა შინა

ლოცვათა თქუენტა, ამენ, ამენ! იესუ ქრისტე, ადიდე სულიერად თორნიკ სუნგელოზი და შვილნი მისნი... დაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი ლაგნისა შინა დიდსა ოშქს, საყოფელსა წმიდისა ნათლისმცემელისასა, სალოცველად სულკურთხეულისა თორნიკ სუნგელოზისათჳს და შვილთა მისთა“ (213v). სვინგელოზის წოდებას ატარებს თორნიკე ამავე „მეფეთა წიგნების“ ერთ მინაწერში: „დაესრულა თავი ბ მეფეთაჲ. ქრისტე, შვიწყალე თორნიკ სუნგელოზი და შვილნი მისნი“ (117 v). მინაწერის ადგილი ტექსტში მოწმობს, რომ მოსახსენებლები იწერებოდა წერის პროცესში.

ამ ანდერძისა და მინაწერების საფუძველზე შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ სტეფანეს გადაწერილი „მეფეთა წიგნები“ ოშქის ბიბლიის თავდაპირველ შედგენილობაში არ შედიოდა.

ოშქის ბიბლიის დეფექტურობის გამო (აკლია სულ ცოტა 26 რვეული) შეუძლებელია ხელნაწერის სრული შედგენილობის აღდგენა. რაც შემორჩენილია, ისიც, რიგ შემთხვევაში, დეფექტური დედნებიდან არის გადაწერილი. არსებული სირთულეების გამო, საფიქრებელია, რომ სამ მწიგნობარზე განაწილებული ძველი ალთქმის დედნების თავმოყრა და ოთხ ნაკვეთად გადაწერა ერთდროულად არც დაწყებულა და არც დამთავრებულა.

როგორც ჩანს, „მეფეთა წიგნების“ ცალკე ნაკვეთად გადაწერა ყველაზე გვიან დამთავრდა, რადგან სტეფანემ 977 წელი, შესაძლოა, 976 წელიც „სამოთხის“ გადაწერას მოანდომა, მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგებოდა იგი „მეფეთა წიგნების“ გადაწერას. ბუნებრივია, მისი დასრულება და კორპუსში ჩართვაც უფრო გვიან მოხდებოდა. ამ ვარაუდს ადასტურებს „მეფეთა წიგნებზე“ დართული სტეფანეს ანდერძი, რომელიც მხოლოდ ამ წიგნების შექმნას ეხება. ეს ანდერძი საერთო ანდერძზე გვიან არის შედგენილი, რადგან აქ ოშქის ბიბლიაში შემავალი ძველი ალთქმის სხვა წიგნებისაგან განსხვავებით, თორნიკე იწოდება სვინგელოზად. ეს პატივი კი თორნიკემ მიიღო 979 წლის გაზაფხულზე. ამავე ანდერძიდან ისიც ჩანს, რომ მისი შედგენის დროისათვის უკვე გადაწყვეტილი ყოფილა „ოშქის ბიბლიის“ გაგზავნა ათონის ქართველთა მონასტერში<sup>1</sup>. ეს გადაწყვეტილებაც 979 წლის შემდეგ იქნა მიღებული თორნიკე სვინგელოზისა და დავით კურა-

<sup>1</sup> სტეფანეს ანდერძს ერთვის მისივე ხელით შესრულებული მინაწერი: „წმიდანო მამანო მთაწმიდელნო, გლახაკი ამის მშრომელი ლოცვასა წმიდასა მომიქსენეთ“ (213v).

პალატის მიერ. ამდენად, „მეფეთა წიგნების“ გადაწერა დამთავრებულია ოშკის ბიბლიის დასრულებისა და ხელნაწერისათვის საერთო ანდერძის შედგენის შემდეგ. ეს გვაფიქრებინებს, რომ გადამწერს „მეფეთა წიგნები“ ოშკის ბიბლიაში უნდა ჩაერთო იქ, სადაც ეს მისთვის ტექნიკურად მოსახერხებელი იქნებოდა. ამან კი, თავის მხრივ, განსაზღვრა მისი არატრადიციული ადგილი „ძველი აღთქმის“ წიგნების რიგში.

ამრიგად, ოშკის ბიბლიის ხელნაწერში, ისევე, როგორც ოშკის „სამოთხეში“ ორი ქრონოლოგიური პლასტი გამოიყო. ოშკის ბიბლიის პირველი და ძირითადი პლასტია ის ტექსტი (მთლიანად ხელნაწერი, „მეფეთა წიგნების“ გარდა), რომელიც გადაიწერა 978 წელს სამი გადამწერის – მიქაელის, გიორგისა და სტეფანეს მიერ და რომელსაც ახლავს მომგებლის – იოვანე თორნიკ-ყოფილის, პატრიკის ვრცელი ანდერძი და გადამწერ-შემმოსველის სტეფანეს ანდერძი, სადაც მოტანილია ცნობები ოშკის ბიბლიის პირველი რედაქციის გადაწერის ადგილისა, დაწერის დროისა (978 წ.) და გადამწერების შესახებ.

ოშკის ბიბლიის მეორე, უფრო გვიანდელი პლასტი შეიცავს სტეფანეს მიერ ბიბლიის პირველი პლასტის შეკვრისა და შემოსვის შემდეგ გადაწერილ და ხელნაწერში ჩართულ „მეფეთა წიგნებს“ (I-IV), რომელთაც ახლავს საგანგებოდ ამ წიგნებისათვის დაწერილი ანდერძი, სადაც „მეფეთა წიგნების“ მომგებლად უკვე თორნიკე სვინგელოზია დასახელებული. მამასადამე, ბიბლიის ეს ნაწილი სტეფანეს გადაუწერია 979 წელს, მას შემდეგ, რაც თორნიკემ მიიღო სვინგელოზის პატივი. ამრიგად, არავითარი შეუსაბამობა ოშკის ბიბლიის ორივე პლასტის ანდერძ-მინაწერების ცნობებს შორის არ არსებობს, წინააღმდეგ ზემოთ-დასახელებულ მეცნიერთა (პაპუეტერსი, ნაკინიანი, ნადონცი) მოსაზრებისა. ორივე პლასტის ანდერძ-მინაწერები ასახავენ სხვადასხვა დროს დაწერილ ამ პლასტების ისტორიას. ამავე დროს ორივე ნაწილი თავისი ანდერძ-მინაწერებით ავთენტურია და ამდენად იქ წარმოდგენილი ცნობები სავსებით იმსახურებენ ნდობას.

I და II პლასტის გადაწერას შორის განვლო არა ნაკლებ ერთმა წელმა. მაგრამ დროის ამ მცირე მონაკვეთში მოხდა ისეთი დიდი მნიშვნელობის მოვლენა, როგორიც იყო თორნიკეს მხედართმთავრობით ბარდა სკლიაროსის დამარცხება, და თორნიკესთვის სვინგელოზის პატივის მინიჭება, რაც არ შეიძლება არ ასახულიყო თორნიკეს განკარგულებით ადრე (977-979 წლებში) გადაწერილ წიგნებში. ეს საჭირო

იყო, მით უმეტეს, რომ აღნიშნული ხელნაწერები ათონის ქართულ მონასტერში გასაგზავნად იყო განკუთვნილი.



\*\*\*

მესამე ხელნაწერი, რომელიც აგრეთვე ოშკში გადაიწერა მთაწმიდაზე მისი ვაგზავნის მიზნით, იყო იოვანე ოქროპირის „ცხოვება“, გადაწერილი იოვანე ჩირაას მიერ საბას<sup>1</sup> წინამძღვრობის დროს, იოვანეთორნიკეს ბრძანებით (Ath.3).

ჩვენის ფიქრით, „ცხოვების“ ხელნაწერის გადაწერა თორნიკემ ოშკის მწიგნობარ-კალიგრაფს იოვანე ჩირაას შეუკვეთა 978 წლის ზაფხულში, როდესაც თორნიკე ბიზანტიის მეფეთა საგანგებო დავალებითა და წერილებით ეახლა დავით კურაპალატს. დასრულდა „ცხოვების“ გადაწერა თორნიკეს ტაოში დაბრუნების შემდეგ, 979 წლის ზაფხულში. ამ ვარაუდისთვის საფუძველს გვაძლევს ხელნაწერის მინაწერები, შესრულებული გადამწერის ხელით და მოთავსებული „ცხოვების“ ხელნაწერის დასაწყის ფურცლებზე: „ქრისტე, ადიდე თორნიკე პატრიკი“ (26r), „ქვ ადი (ადიდე) პატრიკი“ (35r). ორივე მინაწერი დაწერილია გადამწერის ხელით ხელნაწერის წერის პროცესში, ე.ი. მანამ, სანამ თორნიკე მიიღებდა სინგელოზის პატივს. ხელნაწერის გადაწერა კი ვადამწერს დაუსრულებია თორნიკეს დაბრუნების შემდეგ (979 წელს), ვინაიდან ხელნაწერის ბოლო ანდერძში თორნიკე უკვე სინგელოზის პატივით არის მოხსენიებული. მოგვაქვს ამ ანდერძის ძირითადი ნაწილი: „დიდებაა შენდა, სამებაო, რომელმან ღირს-მყავ გლახაკი ესე აღსრულებად საქმისა ამის კეთილისა, რომლისათვისცა წადიერ ვიყავი მსახურებისათს ღმრთივ-დიდებალთა უფალთა და წმიდათა მამათასა: პირველად იოვანეთორნიკ სინგელოზისათს და ვარაზვანე იოვანესათს და შვილთა მათთს ერთობით, ადიდენინ ღმერთმან და შეიწყალენ წმიდაჲ ოქროპირი, რომლისა მსგავსნი არიან... ღმერთმან უბედნიერენ თორნიკ სინგელოსსა და წმიდასა ოქროპირსა თანადაუსაყ-

<sup>1</sup> ოშკის ლავრაში საბას წინამძღვრობის წლებში გადაიწერა 977 წელს „სამოთხეც“ (საფიქრებელია, საბა იყო ოშკის ლავრის პირველი წინამძღვარი), ოშკის მშენებლობის დასრულების (973 წ.) შემდეგ.

დრენ, იოვანე-თორნიკს და იოვანე ვარაზეაჩეს და შეილთა მათთა ორ-  
თავე ცხორებათა მეოხ ეყავ, წმიდაო ოქროპირო“ (141r-v)<sup>1</sup>.


„ცხორების“ ანდერძი ორი თვალსაზრისით არის საყურადღებო: 1. ზემოთგანხილულ ოშკში გადაწერილ ხელნაწერთაგან „ცხორების“ ანდერძი ერთადერთია, სადაც გადამწერი იოვანე ჩირაა ხელნაწერის მომგებლებს იოვანე-თორნიკეს და იოვანე ვარაზეაჩეს უწოდებს „უფალთ“, ხოლო თავის თავს მათ მსახურს. ვფიქრობთ, ეს ფაქტიც ადასტურებს ჩვენს ვარაუდს, რომ ამ დროისათვის ოშკის ლავრა ჩორდვანელების დიდი ოჯახის მფლობელობაში იყო.

ანდერძში იოვანე ჩირაა შესთხოვს წმ. ოქროპირს მეოხებას „ორთავე ცხორებაში“ როგორც იოვანე-თორნიკეს, ასევე იოვანე ვარაზეაჩეს შეილებსათვის<sup>2</sup>. ეს იმას ნიშნავს, რომ ანდერძის დაწერის მომენტისათვის მათი შეილები ცოცხალნი არიან. მაშასადამე, თორნიკეს შეილი ან შეილები ჰყოლია, მიუხედავად იმისა, რომ ჩორდვანელების „გენეალოგიებში“ („სამოთხესა“ და „განძის“ ხელნაწერების ანდერძებში) ისინი მოხსენიებული არ არიან. ამ წინააღმდეგობას შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი ახსნა: თორნიკეს და იოვანე ვარაზეაჩეს ჰყავდათ შეილები, რასაც ადასტურებს მათი ზოგადი მოხსენიება ოშკში გადაწერილი სამივე ხელნაწერის ანდერძ-მინაწერებში. ამავე დროს, ოშკის „სამოთხისა“ და „განძის“ მომგებელთა ანდერძებში შეტანილია ჩორდვანელთა სახლის გენეალოგიები, სადაც დასახელებულნი არიან ჩორდვანელთა სახლის მხოლოდ გვარის გამგრძელებლები — ამ სახლის მამრობითი სქესის წევრები, მათ შორის იოვანე ვარაზეაჩე და მისი ძენი. თორნიკეს შთამომავალნი გენეალოგიაში არ ჩანან. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ თორნიკეს ჰყოლია მხოლოდ ქალიშვილები, რომლებიც არ ითვლებოდნენ გვარის გამგრძელებლებად და ამდენად, არც გენეალოგიაში აისახებოდნენ (აქ შეიძლება გავიხსენოთ, რომ თორნიკეს ათონზე ჩასვლამდე ჰქონდა თავისი საკუთარი დედათა მონასტერი (ἡ μὴτις τῆς Ἱβερίας) კონსტანტინოპოლში).

<sup>1</sup> ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (ათონური კოლექცია), I, გვ.29.  
<sup>2</sup> ხელნაწერებში შეტანილ თორნიკეს მოსახსენებლებში მასთან ერთად იხსენიებან მისი ხან „შეილი“, ხან „შეილინი“.



ჩორდვანელთა ოჯახის ბენეალოგიური ტაბულა\*



\* ამ გენეალოგიურ ტაბულაში ვერ დაეძებნა ადგილი ოშკის „სამოთხისა“ (Ath.9) და „განძის“ ანდერძებში მოხსენიებულ თორნიკე დიდის ორ ძმისწულს – ჩორდვანელ პატრიკსა და ბაგრატ პატრიკს, ვინაიდან ანდერძებში არ არის მითითებული, თუ თორნიკეს რომელი ძმისწულები არიან ისინი.

\*\*\*

მეოთხე ხელნაწერი საყურადღებო ცნობებით ჩორდვანელთა დიდი ოჯახის შესახებ არის დღეს დაკარგული „განძის“ ხელნაწერი, რომლის მომგებლის ანდერძმა ჩვენამდე მოაღწია (იხ. ფოტო №1).

„განძის“ ხელნაწერის ანდერძს თავდაპირველად მიაკვლია რ. ბლეიკმა მოსკოვის სინოდალური ბიბლიოთეკის №62 ბერძნულ ხელნაწერში, რომლის თავფურცლად გამოყენებულია დიდი ფორმატის შესანიშნავ თეთრ ეტრატზე დაწერილი „განძის“ თავნაკლები ქართული ანდერძი<sup>1</sup>. ხელნაწერი მოსკოვში ათონიდან არის ჩამოტანილი. რ.ბლეიკმა ანდერძის ტექსტი შესასწავლად და გამოსაკვეთებლად გადასცა ცნობილ ბელგიელ ორიენტალისტს, პ. პეეტერსს, რომელმაც გამოაქვეყნა იგი 1932 წელს გამოკვლევითურთ<sup>2</sup>.

„განძის“ მომგებლის (თორნიკეს) ანდერძს მისი პირველი გამოცემელი ავთენტურად არ მიიჩნევს<sup>3</sup>. ამის საბუთად მკვლევარს მოჰყავს

<sup>1</sup> ამჟამად ხელნაწერი დაცულია მოსკოვის სასელმწიფო ისტორიული მუზეუმის ბერძნულ კოლექციაში.

<sup>2</sup> P.Peeters, დასახ. ნაშრომი, გვ. 358-371.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 362. „განძისა“ და ოშკში გადაწერილი სხვა ხელნაწერების („სამოთხისა“ და „ბიბლიის“) ავთენტურობის საკითხს ეხება ნაკინიანი თავის წერილში: „საქსხანს ს. შოიხსიხანსყ...“ 1934, №3,4, გვ. 97-113; N.Adontz, დასახ. ნაშრომი, გვ. 297-318.



Handwritten text in Georgian script, likely a manuscript or archival document. The text is densely packed and includes various numbers and symbols. At the bottom, there is a signature: *იოანა ჯეაოჯიძეაძე ნა. ნაბია*

ფოტო №1. „განძის“ ანდრძი მოსკოვის ისტორიული მუზეუმის სინოღალური კოლექციის ბერძნული ხელნაწერიდან №62





შემდეგი: სამი პირის (მომგებლის, გადამწერისა და შემოსველის) სახელით დაწერილი ანდერძი ერთი ხელით არის თავიდან ბოლომდე შესრულებული, რის გამოც მას ეს ანდერძი გვიანდელ გადანაწერად მიაჩნია, ისევე როგორც მთელი ხელნაწერი. მკვლევარის აზრით, ამით უნდა აიხსნას ანდერძში არსებული წინააღმდეგობები და შეუსაბამობა<sup>1</sup>.

სინამდვილეში ამ გაუგებრობის საფუძველი გახდა სამივე ხელნაწერში გადამწერთა ანდერძების გადატანა უფრო გვიან დაწერილ მომგებელთა ანდერძების შემდეგ. სწორედ ამ გაუგებრობამ გამოიწვია ის, რომ მკვლევარებმა, რომელთაც ვერ შეძლეს მომგებლის ანდერძის ქრონოლოგიური გამიჯვნა გადამწერის ანდერძისაგან, მომგებლის ანდერძის ცნობა არასანდო წყაროდ გამოაცხადეს.

მომგებელთა ანდერძების შედგენასთან დაკავშირებით წინასწარ გვინდა შევნიშნოთ: ჩვეულებრივ, მომგებლის ანდერძს წერს მომგებლის კარნახით ან მითითებით ხელნაწერის გადამწერი, მაგრამ ზოგჯერ ის იწერება არა გადამწერის, არამედ სხვა, უფრო მაღალი რანგის მწიგნობრის მიერ, ვინაიდან ხშირად მომგებლის ანდერძი იწყება ვრცელი საღვთისმეტყველო პრეამბულით, რასაც რიგითი გადამწერი, რაგინდ დახელოვნებული კალიგრაფიც არ უნდა იყოს ის, ვერ იკისრებს. დიდ მოღვაწეთა და სახელოვან მომგებელთა ანდერძებს, ჩვეულებრივ, წერს კარგად განსწავლული მწიგნობარი. ასეთმა ღრმად განსწავლულმა მწიგნობრებმა შექმნეს ოქსა და კარინში გადაწერილ ხელნაწერთა მომგებლის (თორნიკეს) ანდერძები.

ანდერძში ხელნაწერის გადაწერის თარიღი წარმოდგენილია ორნაირი ათვლით. ეს ათვლები სინქრონული არ არის: ქრონიკონით თარიღი უდრის 981 წელს, ხოლო დასაბამითგან – 991 წელს. ეს აშკარა შეცდომაა, მაგრამ ამ რიგის შეცდომები ძველ ქართულ ხელნაწერებში საკმაოდ ხშირია. ანალოგიური მაგალითების მოტანა მრავლად შეიძლება. უფრო ხშირად ხელნაწერთა ანდერძებში შეცდომით დაან-

<sup>1</sup> იმის გამო, რომ ჩვენამდე მოაღწია „ვანძის“ ხელნაწერის მხოლოდ მომგებლის თავნაკლულმა ანდერძმა, ვერაფერს ვიტყვით მის შინაარსობრივ რაობაზე. „ვანძს“ როგორც თავის ერთ-ერთ საინფორმაციო წყაროს ასახელებს იოვანე-ზოსიმე თავისი ენციკლოპედიური კრებულის (sin.34) ანდერძში. ირკვევა, რომ პირობითი ნიშნების სისტემა, რომელიც მან გამოიყენა „ვაძის“ ძველი რედაქციის კომენტარებისა და დადგენის დროს, მას „ვანძიდან“ გადმოუღია. იხ. სინური ხელნაწერების აღწერილობა, I, გვ. 132.



გარიშებულია წელი დასაბამითგან, უფრო სანდოა ქრონიკონით მუღი თარიღი: თარიღის არასინქრონულობა, რა თქმა უნდა, ვერ გამოდგება „განძის“ მომგებლის ანდერძის არაავთენტურობის დასამტკიცებლად.

ხელნაწერის გადაწერის ადგილზე („კარინის ქვეყანა“) პაპეტერსი საგანგებოდ ჩერდება<sup>1</sup>. მისი აზრით, „კარინის ქვეყანა“ კარგად ესადაგება იოვანეს და ეფთვიძის „ცხოვრების“ ცნობას, რომ სანამ დიდი თორნიკე ათონზე წავიდოდა, ის „თვსა ქუეყანასა მონაზონ იქმნა“. „კარინის ქვეყანაში“ მეცნიერის აზრით, უნდა იგულისხმებოდეს კარინის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე თორთუმის ხეობა, რომელიც IX-X საუკუნეებში დაფარული იყო ქართული მონასტრებით, რომელთა სახელწოდებებსაც სწორად ვხვდებით ამ მონასტრებში გადაწერილ ხელნაწერებში. მეცნიერი აქვე ასახელებს რამდენიმე ქართულ მონასტერს — ოშკი, სახული, იშხანი, ოთხთა ეკლესია, მაგრამ არ აკონკრეტებს, თუ რომელი მათგანი უნდა ვივარაუდოთ „კარინის ქვეყნის“ მონასტრად.

პაპეტერსის ვარაუდზე დაყრდნობით, ნ.აკინიანიც მიიჩნევს, რომ „კარინის ქვეყნის“ მონასტერი, სადაც გადაიწერა „განძის“ ხელნაწერი, ოშკის ლავრა უნდა იყოს. ასევე ოშკი მიაჩნია ნ.აკინიანს იმ მონასტრად, სადაც თორნიკე ბერად უნდა შემდგარიყო, თუმცა რაიმე საბუთი საამისოდ არ მოაქვს<sup>2</sup>.

ამ მცირე წილსვლის შემდეგ დაუზრუნდეთ „განძის“ ხელნაწერს. „განძის“ ხელნაწერი, როგორც ანდერძიდან ჩანს, გადაწერილია სტეფანეზე არანაკლებ ცნობილი მწიგნობრისა და კალიგრაფის მიქაელის მიერ, რომელიც ადრე სტეფანესთან ერთად მოღვაწეობდა ოშკის მონასტრის სკრიპტორიუმში. მისი გადაწერილია ოშკის ბიბლიის ერთი ნაკვეთი. 979 წლიდან კი, მას შემდეგ, რაც თორნიკემ მიიღო მამულები და მონასტერი „კარინის ქვეყანაში“, მიქაელი სტეფანესთან ერთად გადავიდა თორნიკეს ახალ საუფლოში, ალბათ, თორნიკესავე ბრძანებით, და იქ განაგრძო მწიგნობრული საქმიანობა — გადაწერა „განძის“ ხელნაწერი 981 წელს.

„განძის“ მომგებლის ვრცელი ანდერძი, მართლაც, ერთი ხელით არის დაწერილი, როგორც ამას შენიშნავდა პაპეტერსი, მაგრამ ეს ხელი

<sup>1</sup> P.Peeters, დასახ. ნაშრომი, გვ. 370.

<sup>2</sup> აკინიანი, დასახ. ნაშრომი. გვ. 105.



ეკუთვნის არა ხელნაწერის გადამწერ მიქაელს, არამედ ცნობილ მწიგნობარს სტეფანეს, რომელიც იმახად მიქაელთან ერთად კარინის მონასტერში საქმიანობდა<sup>1</sup>. სტეფანე რომ უბადლო კალიგრაფი იყო და დიდად განსწავლული მწიგნობარი, ამაზე მეტყველებს მის მიერ გადაწერილი ოშკის „სამოთხე“ ოშკის ბიბლიის „მეფეთა წიგნები“ და ამავე ხელნაწერის მომგებლისა და გადამწერის ანდერძები. ამასთანავე სტეფანე დაუფლებული ყოფილა ხელნაწერთა „შემოსვის“ (აკინძვის) ტექნიკასაც. მისი შემოსილი ყოფილა როგორც ოშკის ხელნაწერები — „სამოთხე“ და „ბიბლია“, ასევე „განძის“ ხელნაწერიც. ამიტომ არაფერია მოულოდნელი და უცნაური, რომ „განძის“ მომგებლის (თორნიკეს) ვრცელი ანდერძის შემდეგ იგი (სტეფანე) მკითხველს აწვდის ცნობებს ხელნაწერის გადამწერისა და შემმოსველის შესახებ.

რა აკავშირებდა „განძის“ მომგებელ იოვანე-თორნიკეს კარინის ქვეყანასთან?

თორთუმის ხეობაში ოშკის სანახები ჩორღვანელთა დიდი სახლის ერთადერთი საკუთარი მიწა-წყალი არ იქნებოდა. არც ოშკი იქნებოდა ჩორღვანელების ერთადერთი საგვარეულო ლავრა, საკუთარი მონასტერი. ცნობილია, რომ ოშკის ლავრაში მოღვაწეობის წლებშივე, თორნიკე „უფალი“ იყო კიდევ ორი მონასტრისა — ერთი მათგანი ტრაპიზონში იყო (წმ.ფოკას სახელობისა), ხოლო მეორე — კონსტანტინოპოლში (მონასტერი τῆς Ἰβερίας). ეს მონასტრები 979/980 წლებში თორნიკემ გადასცა ბასილ II-ს და სანაცვლოდ მიიღო იმპერატორისაგან სამეფო მონასტერი „კოლობუ“ მამულებითურთ მაკედონიაში და კლემენტოს მონასტერი ათონზე, რომლის ირგვლივაც გაშენდა ათონის ქართველთა ლავრა. ეს გაცვლა გაფორმდა 979/980 წლის სრიზობულით<sup>2</sup>. ასევე არაფერია მოულოდნელი არც იმაში, რომ ჩორღვანელების დიდი სახლის წევრებს მამულები ჰქონოდათ კარინის მიდამოებში. ცნობილია, რომ X საუკუნის პირველი ნახევრის მთელ სიგრძეზე ქართველები სისტემატურად მონაწილეობდნენ ბიზანტიელთა ლაშქრობებში არაქს-ეფერატის ხეობასა და ვანის ტბის სანაპიროებზე განლაგებული არაბული საამიროების წინააღმდეგ. ამის სანაცვლოდ ქართველები

<sup>1</sup> ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა სტეფანეს დაწერილი „განძის“ ანდერძის ხელნაწერ Gr.62-ში შესწავლისა და მისი შედარებისა სტეფანეს გადაწერილ სხვა ხელნაწერთან. ხელის იდენტურობა ეჭვს არ იწვევს.

<sup>2</sup> Actes d'Iviron, I, p.24-25.

ცდილობდნენ მიეღოთ ბიზანტიისაგან განთავისუფლებული ტერიტორიების ნაწილი ამ მხარეში<sup>1</sup>. ზოგჯერ ქართველებს საშუალება ეძლეოდა დათ საკუთარი ძალებითაც გაეთავისუფლებინათ არაბებისაგან ტერიტორიები და დაეპყროთ ისინი. თორნიკეს შეიძლება თვითონაც ჰქონოდა მოპოვებული სამხრეთ ტაოს სანაპირო რეგიონში, კარინის მხარეს, მამულები, შესაძლოა, ბიზანტიის მეფეთაგან ან დავითისაგან ადრევე ჰქონდა ნაბოძები სახელოვანსა და „წყალობათა შინა განთქმულს“, მაგრამ უფრო სავარაუდებელია, რომ ეს ბოძება მომხდარიყო მაშინ, როდესაც ბარდა სკლიაროსთან ბრძოლაში გამარჯვებული თორნიკე დაბრუნდა ტაოში და დავით კურაპალატს ეახლა.

„ცხოვრების“ მიხედვით, ბიზანტიის მეფეებმა დავით მეფეს „ზემონი ქუეყანანი საბერძნეთისანი“ და კურაპალატობა უბოძეს 978 წლის ზაფხულში, როდესაც მისგან მიიღეს თანხმობა ქართული მხედრიონის გაგზავნაზე ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ. ეს ამბავი დაწვრილებით არის აღწერილი „ცხოვრებაში“. ბერძენი იმპერატორის წერილები დავით მეფისადმი ტაოში თორნიკემ ჩაიტანა: „ხოლო იხილა რაჲ იგი კურაპალატმან, ფრიად განიხარა და წიგნები მეფეთაჲ მიითუალა, და ყოველივე საქმე თორნიკე გააცადა, რომლისათჳსცა განზრახვაჲ ქმნეს, რაჲთა ლაშქარნი წარმგზავნენ საბერძნეთს, და სპასალარად თორნიკე განაჩინეს. ხოლო თორნიკე კურაპალატისა და თავისა წიგნები მეფეთა წინაშე წარსცა და ყოველი ნებაჲ კურაპალატისაჲ აუწყა. და მაშინ მისცნეს მეფეთა ზემონი ქუეყანანი საბერძნეთისანი კურაპალატსა, რაჲთა თავისა სიცოცხლესა ჰქონდინ“ („ცხოვრებაჲ“ § 20). ამრიგად, კურაპალატის „ნება“ ბიზანტიის მეფეებმა შეასრულეს ქართველთა ლაშქრის საბრძოლველად წასვლამდე — ე.ი. 978 წლის ზაფხულში (ივნის-ივლისი). თორნიკემ კი მამული კარინის ქვეყანაში, საფიქრებელია, ბრძოლიდან დაბრუნების შემდეგ მიიღო კურაპალატისაგან.

არა ნაკლებ საინტერესოა ბიზანტიის კეისართა თორნიკესთვის მიცემული დაპირება ბრძოლის მოგების შემთხვევაში: „ვიციოთ, რომელ ღმერთი შეგეწევს და ნურარას ორგულობ, და ოდეს ღმერთმან წარგიმართოს, ყოველნი წინააღმდეგომნი ჩუენნი დატყუენ და ყოველივე

<sup>1</sup> შ. ბადრიძე, საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასა და დასავლეთ ვეროპასთან. თბ., 1984, გვ. 12; ვ.კობალიანი, საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში. თბ., 1969, გვ. 17; გეორგიკა. ტ. IV, ნაკვ. II, 1952, გვ. 264-273.



ნატყუენავი მათი შენი იყოს“ („ცხოვრება“ §21). ეს „ნატყუენავი“ „დიდძალი ფრად“ იმდენი იყო (ოქრო, ვერცხლი და სტაგრა) ამით, ჩანს, თორნიკემ „დიდად მოიძაღლა“ კურაპალატი და ბერძენთა მეფეებიც, რაკი მათი წყალობითა და ხელშეწყობით საოცარი ოპერატიულობით აშენდა ქართველთა დიდი ლავრა, და სულ მოკლე ხანში ეს მონასტერი, რომელსაც ბიზანტიის კეისრები მფარველობდნენ, ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი, მძლავრი, მრავალი მამულის მფლობელი გახდა ათონის მთაზე.

„მეფეთა მოწინააღმდეგეთა დატყუენვა“ გამარჯვებულების უფლება იყო. დატყუენვის უფლების მიცემაც ქართველებისთვის და დიდძალი „ნატყუენავის“ მათ ხელში აღმოჩენის ფაქტიც იმას მოწმობს, რომ მთავარ ძალას ბარდა სკლიაროსთან ბრძოლაში თორნიკე და მისი მხედრიონი წარმოადგენდა. სინამდვილეს უნდა ასახავდეს ხარზმის ეკლესიის ივანე სულაამისიყული წარწერის ფრაზა, რომ ქართველთა მხედრიონმა სკლიაროსს სდია ხარსანანის ქვეყნამდე, ადგილ სარვენისამდე, ე.ი. ხარსიანამდე, რომელიც კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობით, კაპადუკიის შიდა ნაწილს წარმოადგენდა<sup>2</sup>. თავისი სამარცხვინო დამარცხება ბერძნებმა არ აპატიეს თორნიკეს. შეიძლება ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ბერძნულ ქრონიკებში (კედრენტან) მიჩქმალულია თორნიკეს წვლილი ამ მძიმე ბრძოლაში.

თუ რა ვითარება შეიქმნა ტაოში დავით კურაპალატისთვის „ზემონი ქუეყანანის“ გადაცემის შემდეგ, ამის შესახებ აზოგვერადე წერს: „განსაკუთრებით ვრცელი მიწები მიიღო დავით კურაპალატმა ბიზანტიის ხელისუფლებისაგან ბარდა სკლიაროსზე მოაოვებული გამარჯვებისათვის. მართალია, სომხეთის ეს ყოფილი ოლქები მას დროებით („რამთა თავისა სიცოცხლესა ჰქონდინ“) ეძლეოდა, მაგრამ საბოლოოდ კეისრის ეს წყალობა-დაპირება კურაპალატმა რეალობად აქცია... გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ტაოელი წარჩინებულები ამ

<sup>1</sup> Е.Такайшвили, Зарзмский монастырь, его реставрация и фрески.-СМОМПК, т.35, 1905, с.19; Дм.Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства.-Записки общества любителей кавказской археологии. кн.1.Тифлис, 1875, с.70; Н. Ломоури, К истории восстания Варды Склира.— თბილ. სახელმწ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 67, 1957, გვ. 35-37; ვ. კოპალიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 40-41; შ. ბაღრიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 40-42.

<sup>2</sup> გეორგიკა, IV, ნაკვ. II, გვ. 298.





ოლქებში რამდენადმე მაინც მაჰმადიანი მფლობელების ადგილებს იჭერდნენ. საამისო არაპირდაპირ მოწმობად, მაგალითად, ჩანს გრიგოლ ბაკურიანის ძის მემამულეობა ჩორმაირის თემში (ჭოროხის სათავეებთან), ფერის ჯოჯიკის ძისა — ტვარწატაფში (ტარუბერანის მხარეა, ზემო არაქსსა და მურად რუს შორის), ჩორდვანელის ძეების (თორნიკესა და ვარაზფაჩისი) — ბასიან-კარინის ქვეყანაში. ეს თემები დაპყრობილია ამათი მამების ერისთობაში და გასაგებია, თუ პირველ მემამულეებად ამ მხარეებში (და ალბათ, სხვაგანაც) ესენივე იყვნენ შეწყწარებულინი... საერთოდ საამისოდ მოწმობაც რომ არ იყოს, ჩვენთვის ნათელია, რომ ტაოელი აზნაურები ახლად შემოერთებულ პროვინციებს ფეოდალურ არისტოკრატიადა მოველინენ, რადგან ეს იყო ამ მიწა-წყლის იბერიაში შესვლის ერთი უმთავრესი გამოსატულება და ნიშანი<sup>1</sup>.

X საუკუნის შუა წლებიდან, როდესაც ქართველები კარინის ტერიტორიაზე შეიჭრნენ, ისინი უკვე მყარად ბატონობენ „კარინის ქვეყნის“ გარკვეულ ნაწილებზე. ამავე პოლიტიკას ატარებენ ქართველები საუკუნის ბოლომდე<sup>2</sup>. მაგრამ ქართველთა განსაკუთრებული გააქტიურება დაიწყო კარინის მიწების დავით კურაპალატისათვის ოფიციალურად ბოძების შემდეგ.

გააქტიურების ერთ-ერთი ფორმა კარინის ქვეყანაში, თორნიკეს მამულში, ქართული სკრიპტორიუმის შექმნა. განურჩევლად იმისა, თუ რა დროიდან და რა სახით ფლობდა თორნიკე მამულს „კარინის ქვეყანაში“, სამონასტრო სკრიპტორიუმი მან შექმნა 979/980 წლებში, და პირველი ხელნაწერი, რომელიც 981 წ. გადაიწერა ამ სკრიპტორიუმში, იყო „განძი“. ეს, რა თქმა უნდა, ტაოს სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ერთ-ერთი გამოვლენა იყო.

ეს სკრიპტორიუმი რომ სწორედ ამ წლებში შეიქმნა და ისიც ოშკის სკრიპტორიუმის ბაზაზე, ამას ადასტურებს სკრიპტორიუმის პირველი გადამწერ-კალიგრაფების ვინაობა. როგორც უკვე ითქვა,

<sup>1</sup> ა. ბოვერაძე, გრიგოლ ბაკურიანის ძის ტაიკონის გაგებისათვის, გვ. 79-80 (გამოუქვეყნებელი წერილი). სამწუხაროდ, მთლიანად აწყობილმა და დასაბუჟდად გამზადებულმა აბოვევრადის ამ შრომამ დღის სინათლე ვერ იხილა. ესარგებლობთ ამ წიგნის შემორჩენილი კორექტურის ფურცლებით, რომლებიც ავტორმა თავაზიანად მოგვაწოდა, რისთვისაც მადლობას მოვასწენებთ.

<sup>2</sup> შ. ბადრიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 14.



გადაწერილია „განძი“ მიქაელის მიერ, ხოლო მომგებლის ვრცელი ანდერძი დაწერილია სტეფანე მწიგნობრის ხელით. მანვე შემოსა „განძის“ ხელნაწერი. მიქაელი და სტეფანე კი, როგორც ვიცით, ოშკის სკრიპტორიუმის სახელმძღვანელო მწიგნობარ-გადაწერელები არიან 977/979 წლებში. ეს ორი საუკეთესო წევრი ოშკის სკრიპტორიუმისა ტაოში დაბრუნების დროისათვის (979 წ.) თორნიკემ გადაიყვანა უსახელო, საფიქრებელია, უკაცურ პატარა მონასტერში „კარინის ქვეყანაში“, თავის ახლად მიღებულ მამულში, რათა ამ გზით საფუძველი ჩაეყარა ქართული სკრიპტორიუმისთვის და შეექმნა ქართული წიგნის ახალი კერა. არ ვიცით, რა ბედი ეწია ამ კერას. რამდენიმე წლის შემდეგ (984 წ.) გარდაიცვალა თორნიკე. „განძის“ მომგებლის (თორნიკეს) ანდერძიდან ვგებულობთ, რომ ხელნაწერი განკუთვნილი იყო ათონზე გასაგზავნად: „მევე, იოვანე სვანგლოზმან მიუძღუნე ესე წიგნი მოძღუარი მართლმადიდებლობისაჲ მთასა წმიდასა ათონას, რომელსა შინა ცხობდებიან კაცნი ჯორცითა მსგავსად უჯორციოთა, და რამეთუ მეცა მას შინა მოვიღე სახე მონაზონებისაჲ“<sup>1</sup>.

ოშკისა და კარინის სკრიპტორიუმებში გადაწერილი ხელნაწერების შემზადება ათონის ქართული მონასტრისათვის და ათონზე გაგზავნა ბიზანტიაში ქართული კულტურისა და მწიგნობრობის ახალი ძლიერი კერის შექმნის პროგრამის ერთ-ერთი ნაწილი იყო.

ამრიგად, „კარინის ქვეყანაში“ შექმნილი ახალი ქართული სკრიპტორიუმი გადაიქცა ოშკის თავისებურ ფილიალად იმ კულტურული პროგრამის განხორციელებისათვის, რომელიც დასახა თორნიკემ ათონის ქართველთა დამოუკიდებელი მონასტრის აშენებასთან დაკავშირებით<sup>2</sup>. ამავე დროს, ამავე გზით ხორციელდებოდა დავით კურა-

<sup>1</sup> P. Peeters, დასახ. ნაშრომი, გვ. 360-361.

<sup>2</sup> აღსანიშნავია, რომ ოშკში და კარინში გადაწერილი „განძის“ მომგებელთა ანდერძი, ისევე, როგორც ოშკში გადაწერილი ხელნაწერები შეიცავენ საღვთისმეტყველო შესავალს, რომელიც დაწერილია მართლმადიდებლური ღვთისმეტყველების ღრმა ცოდნით და ემსახურება სამების ერთარსებობისა და მარიამის ღვთისმშობლობის მტკიცებას. ეს ის საკითხებია, რომლებიც აღელვებდა ორენოვანი ტაოს ქართულ მოსახლეობას. ჩანს, ამ დროს მონოფიზიტობის შემოტევა ძლიერი იყო, რაკი ასეთი თავგამოდებით იცავდნენ ქართველები მართლმადიდებლურ ღვთისმეტყველებას. შემთხვევითი არც ის უნდა იყოს, რომ სწორედ კარინში გადაიწერა დოგმატიკური ხასიათის წიგნი „განძი“ - საფუძველი მართლმადიდებლობისა“. ეს ის კურსია, რომელიც თავიდანვე აიღეს ათონის ქართული საკრებულოს მქსეურებმა: ვფიქრობე მთაწმიდელის დიდ დამსახურებად მი-



პალატის პოლიტიკური პროგრამა ნაბოძები მიწების ათვისებისა. ამ მიზანს ემსახურებოდა სომხურენოვან „კარინის ქვეყანაში“ თორნიკეს მიერ აღმართული ქვაჯვარი სომხური წარწერით: „სახელითა ღვთისათა მე, ჰოვჰანესმა ჩორტვანიკის ძემ, აღმართე ჯვარი ესე ჟამსა მას ვასილისა და კოსტანდისა“<sup>1</sup>.

თუ რა დანიშნულებისა იყო ეს ქვაჯვარი, წარწერიდან არ ჩანს. საფიქრებელია, ეს იყო სასაზღვრო ქვაჯვარი, რომელიც თორნიკეს უფლებებს ამტკიცებდა „კარინის ქვეყანაში“ მიღებულ მიწებზე. მფლობელობის აღმნიშვნელი ასეთი ქვაჯვარები ფართოდ გავრცელებული იყო საქართველოში, თავდაპირველად ხელის გამოსახულებით, IX საუკუნიდან – ჯვრის გამოსახულებით.

თორნიკემ კარინის ქვეყანაში მამულები და მონასტერი მიიღო 979 წლის (სკლიაროსის დამარცხების) შემდეგ, ამიტომ სომხურ-წარწერიანი ქვაჯვარის აღმართვაც 979-980 წლებში უნდა ვივარაუდოთ.

ამრიგად, ჩორდვანელების დიდი სახლის წევრების – თორნიკეს და იოვანე ვარაზვაჩეს მომგებლობით ოშკის სკრიპტორიუმში შექმნილი სამი ხელნაწერისა („სამოთხე“, „ბიბლია“, „იოვანე ოქროპირის ცხორება“) და კარინის ქვეყანაში გადაწერილი „ვანძის“ მომგებლის (თორნიკეს) ანდერძის კოდიკოლოგიურ-პალეოგრაფიული და ისტორიული შესწავლა გვარწმუნებს, რომ ყველა ეს ხელნაწერი ავთენტურია და უშუალოდ არის დაკავშირებული იოვანე-თორნიკესა და იოვანე ვარაზვაჩეს პოლიტიკურ და კულტურულ მოღვაწეობასთან როგორც ტაოში, ასევე ბიზანტიასა და ათონზე.

ჩნეული იყო ის, რომ მან ქართველებს ღვთისმეტყველება ასწავლა, ე.ი. მართლმადიდებლობის დოგმატიკური საფუძვლები.

<sup>1</sup> წარწერა დაზიანებულია: „ჰოვჰანესის“ შემდეგ არ იკითხება ერთი სიტყვა. ვარაუდობენ, რომ აქ იოვანეს ერისკაცობის სახელი თორნიკე უნდა ყოფილიყო. იხ. N.Sargisian, Topographie de l'Arménie (სომხურად), ვიზოწმებთ ნადონცის წერილით: Tornik le moine, გვ. 309. ქვაჯვარი აღმოჩნდა კარინიდან ათი კილომეტრით დაშორებულ სოფელ კარარცთან. ამ ადგილის შესახებ ნადონცი წერს: „ადრე ეს ადგილი აყვავებული ქალაქი იყო“ (იქვე).



ჩორდვანელების დიდი სახლი მჭიდროდ არის დაკავშირებული ათონთან. ცენტრალური ფიგურა ჩორდვანელთა დიდი სახლის წვერთა შორის არის იოვანე სვინგელოზი თორნიკ-ყოფილი, კარგად ცნობილი ბიზანტიის ისტორიაში როგორც ივირონის ქტიტორი და ბარდა სკლიაროსთან ბრძოლის გმირი.

თორნიკეს და მისი სახლის წვერებსაც, რომელთა შორის ბევრს ეკავა ბიზანტიის იმპერიაში მაღალი სამხედრო და ადმინისტრაციული თანამდებობა, არაერთი მკვლევარი შეხვბია. ყველა, ვინც კი ესებოდა ამ საკითხს, ძირითადად ერთსა და იმავე წყაროებს (ბერძნულ, სომხურ, არაბულ, ქართულ) იყენებდა. მაგრამ ამ წყაროების შეფასება და, შესაბამისად, კვლევის შედეგად მიღებული დასკვნებიც ხშირად ერთმანეთის გამომრიცხავი იყო. ერთ-ერთი მიზეზი ამისა კი ის იყო, რომ X-XI სს. I ნახევრის ქართული წყაროები, რომლებიც მათი ავთენტურობის გამო ყველაზე სანდოდ უნდა ყოფილიყო მიჩნეული, ფაქტიურად ბოლო დრომდე შეუსწავლელი რჩებოდა<sup>1</sup>.

პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი წყარო, რომელშიაც მწყობრად არის გადმოცემული ჩორდვანელთა სახლის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლის თორნიკეს ისტორია მისი ბერად შედგომის დროიდან სიკვდილამდე, არის გიორგი მთაწმინდელის მიერ 1044-45 წლებში დაწერილი იოვანესა და ეფთვიმეს „ცხორება“. მიუხედავად იმისა, რომ ამ შესანიშნავმა ქართულმა წყარომ ზოგი მკვლევარის უნდობლობა დაიმსახურა, მის რეაბილიტაციას აქ არ შეუდგებოთ, ვინაიდან მისი მაღალი ღირსება და უტყუარობა (უცდომლობა) უკვე წარმოჩენილია 1985 წელს გამოქვეყნებულ ივირონის აქტების I ტომის წინასიტყვაობაში, რომელიც ეკუთვნის ქლეფორს<sup>2</sup>.

ქართული ნარატიული წყაროებისა და ოშკში გადაწერილი ხელნაწერების ანდერძების მიხედვით, ოშკის ლავრა მისი აშენების დამთავრების დროიდანვე (973 წ.) ჩორდვანელთა დიდი სახლის საკუთარი მონასტერი ყოფილა. ოშკის მონასტრის სკრიპტორიუმში მოღ-

<sup>1</sup> იხ. აქვე წერილი „ჩორდვანელთა დიდი სახლის ისტორიისათვის, I. ქართული წყაროები.

<sup>2</sup> J. Lefort, D. Papachryssanthou, Les premiers géorgiens à l' Athos. - Bedi Kartlisa, XLI, 1983, pp. 27-33; Actes d'Ivion, I. Paris, 1985, pp. 3-13.

ვაწეობდნენ არა მარტო ვარაზეაჩე და იოვანე თორნიკე — ამ „უფალნი“, არამედ ამ დიდი ოჯახის სხვა წევრებიც.

ამავე ნარატიული წყაროებისა და ოშკის ხელნაწერთა ანდერძებიდან აშკარად ჩანს მჭიდრო კავშირი ოშკისა და ათონის სკრიპტორიუმებს შორის და ჩორდვანელთა დიდი სახლის წარმომადგენლების აქტიური მონაწილეობა როგორც ივირონის მშენებლობაში, ასევე მის კულტურულ და სამეურნეო ცხოვრებაში.

თორნიკეს გაზრდილმა ავტორიტეტმა და დამსახურებამ ბიზანტიის იმპერატორის წინაშე ხელსაყრელი პირობები შექმნა როგორც მატერიალური, ასევე უფლებრივი მხრივ დამოუკიდებელი ქართული მონასტრის აშენებისათვის ათონზე. ამ იდეას, რა თქმა უნდა, სავესებით უჭერდა მხარს დავით კურაპალატი, ვინაიდან ქართული დამოუკიდებელი ცენტრის შექმნას ათონზე არა მარტო კულტურული, არამედ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა ქართველთა სამეფოსათვის.

მაგრამ ამ იდეის განხორციელებისათვის არ კმაროდა მარტო დავით კურაპალატისა და თორნიკეს ერთობლივი სურვილი. აუცილებელი იყო იმპერატორების თანხმობა და ხელშეწყობაც. შექმნილ ხელსაყრელ ვითარებაში თორნიკე ამასაც ადვილად მიაღწევდა. ამიტომ, როგორც ჩანს, ბრძოლიდან ტაოში დაბრუნების უმაღლეს მან დაიწყო ზრუნვა ჯერ არ არსებული ქართული მონასტრის ბერებითა და ხელნაწერებით დაკომპლექტებაზე და თადარიგი დაიჭირა: შეარჩია ოშკში ადრე გადაწერილი ოთხივე ხელნაწერი — „სამოთხე“, „ბიბლია“, იოანე ოქროპირის „ცხოვება“, „განძი“.

ამ ხელნაწერების გაგზავნა ათონზე მომეტებლის ანდერძის დაწერის შემდეგ მომხდარა, არა უადრეს 981 წლისა, საფიქრებელია, მაშინ, როდესაც ათონის მშენებლობის პროცესში თორნიკე გაემგზავრა ტაოში „ფიჩოსან და სახელოვან მონაზონთა“ ათონზე წასაყვანად, „რამათა ქართველნი ოდენ იყვნენ მონასტრისა ამის მკვდრნი ყოველნი“ („ცხოვება“ § 25). ქართველი კაცისა და ქართული წიგნის გამრავლება ათონის ქართველთა მონასტერში, ჩანს, მონასტრის ქტიტორის — თორნიკეს წინაშე თავიდანვე მწვავედ იდგა. თორნიკე ყოველ ღონეს ხმარობდა ამ საკითხის მოსაგვარებლად. ვფიქრობთ, რომ „ფიჩოსან და სახელოვან მონაზონთა“ შორის იყვნენ ჩორდვანელთა სახლის წევრებიც, რომელთაც განზრახული ჰქონდათ ათონის ქართველთა მონასტერში ბერად შედგომა და მოღვაწეობა. ეს იმითაც იქნებოდა განპირობებული,



რომ მონასტერი შენდებოდა თორნიკეს სახსრებით, როგორც ჩორდვანელთა სახლის მონასტერი. ვფიქრობთ, ტაოდან 981 წელს წასული ერთი ჩორდვანელთაგანი უნდა ყოფილიყო მიქაელიც, ძე ვარაზგაჩის<sup>1</sup>, რომელიც ორგზის არის ნახსენები ოშკში გადაწერილ ხელნაწერთა („სამოთხე“, „ბიბლია“) ანდერძ-მინაწერებში: „წმიდაო ნათლისმცემელო, იოხე შენით ნათელღებულთა თანა მიქაელ და აბუჰარბ“ („სამოთხე“)<sup>2</sup>.

ბიბლიის „მეფეთა წიგნების“ გადამწერი სტეფანე თავის ანდერძში შენდობას თხოულობს მიქაელ ვარაზგაჩეს ძისათვის, რომელმაც მას „დიდი სიტკბოება აჩუენა“ ამ წიგნებზე მუშაობის დროს<sup>3</sup>.

მიქაელთან ერთად მოხსენიებული აბუჰარბი თორნიკეს ძმა უნდა იყოს, მიქაელის ბიძა. ამ აბუჰარბისათვის უნდა იყოს განწესებული ჩორდვანელის სახლის სხვა წევრებთან ერთად (იოვანე მონაზონი და თორნიკე) ალაბი (№16) ათონის საალაპე წიგნში განგებით „ვითა სვნგელოზისასა სწერია“. განგება მიუთითებს, რომ ალაპში დასახლებული პირები ჩორდვანელთა სახლის წევრები არიან (ამაზე დაწვრილებით ქვემოთ).

მიქაელი, უფროსი შვილი იოვანე ვარაზგაჩისი, მოხსენიებულია ჩორდვანელთა სახლის გენეალოგიებში, რომლებიც შეტანილია „სამოთხისა“ და „განძის“ მომგებლის — თორნიკეს ანდერძებში. „განძის“ ანდერძი დაწერილია 981 წელს, ამ ხელნაწერის ათონზე ვაგზავნის წინ. მამასადაძე, ამ დროისათვის მიქაელი ჯერ კიდევ ტაოშია და საერო პირია. შესაძლებლად მიგვაჩნია დაფუძვით, რომ მიქაელი ჩორდვანელთა სახლის ერთ-ერთი, მაგრამ არა ერთადერთი წევრია, რომელიც წარჩინებულ მონაზვნებთან ერთად წაიყვანა თორნიკემ ათონზე, სადაც იგი შეიმოსა ბერის სამოსით და შეიცვალა სახელი, გახდა გიორგი. ამას გვაფიქრებინებს ზოგი ფაქტი: 1. 981 წლის შემდეგ მიქაელი არ ჩანს არც ქართულ და არც ბერძნულ-სომხურ წყაროებში,

<sup>1</sup> მიქაელ ვარაზგაჩეს ძის შესახებ იხ. აქვე წერილები: „ათონის ქართველთა მონასტრის მესამე წინამძღვრის გიორგის ვინაობისათვის; სამოხელეო ტერმინები ჩოროროდი და ოთხბიზღური.  
<sup>2</sup> ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (ათონური კოლექცია), I, გვ. 48, მინაწ. 12. დაწერილია ტექსტის ხელის მსგავსი წვრილი ნუსხურით.  
<sup>3</sup> R. Blake, The Athos Codex, p.46. სამწუხაროდ, ბიბლიის ფოტოზე, რომლითაც ვისარგებლეთ, დაზიანების გამო ტექსტი ცუდად იკითხება.



იოვანე ვარაზეაჩეს დანარჩენი ორი ძისა და ჩორღვანელთა დიდი სახლის სხვა წევრებისაგან განსხვავებით. 2. ჩორღვანელთა სახლის შესამე თაობის წარმომადგენელთა უმრავლესობისაგან განსხვავებით, მიქაელს არა აქვს ბიზანტიური ტიტული, რაც გვაფიქრებინებს, რომ ის არ ირიცხებოდა ბიზანტიის სამხედრო-ადმინისტრაციულ სამსახურში სწორედ იმიტომ, რომ თავიდანვე სასულიერო ცხოვრებისაკენ მიისწრაფოდა. ამის პირველი ნიშანია მისი მონაწილეობა ოშკის სკრიპტორიუმის საქმიანობაში. მიქაელი თავისი წარმომავლობით, მონაცემებითა და მიდრეკილებით სწორედ ისეთი პიროვნება იყო, როგორსაც ეძებდა თორნიკე ათონის ქართველთა მონასტერში წასაყვანად. თუ ჩვენი ვარაუდი სწორია, რომ მიქაელი ტაოში მეორედ ჩასვლის დროს უნდა წაჰყოლოდა თორნიკეს ათონზე, როგორც მწიგნობრობაში გაწაფული პიროვნება, ცხადია, ის საპატიო ადგილსაც დაიკავებდა ჩორღვანელების მცდელობით აგებულ მონასტერში<sup>1</sup>.

ზემოთმოტანილი არგუმენტების საფუძველზე ვფიქრობთ, რომ მიქაელი იმალეზა ივირონის ცნობილი მოღვაწის, გიორგი I-ის სახელის უკან, რომელიც ქართული და ბერძნული წყაროების მიხედვით, თორნიკეს ძმისწული იყო<sup>2</sup>, უახლოესი თანამოღვაწე იოვანესი და ეფთვიმესი, 1019-29 წწ. მონასტრის წინამძღვარი, რომელმაც თავისი აქტიური საამშენებლო და სამეურნეო მოღვაწეობისათვის „დიდისა“ და „მაშენებლის“ სახელი დაიმსახურა<sup>3</sup>. ხოლო 1029 წელს იმპერატორის საწინააღმდეგო შეთქმულებაში მონაწილეობის გამო დასჯილ იქნა ათონიდან გაძევებითა და გადასახლებით. იოვანეს და ეფთვიმეს „ცხორებაში“ და ივირონის ბერძნულ აქტებში გიორგი იხსენიება მხოლოდ ბერობის სახელით. მისი არც საერო სახელი არის ცნობილი და არც მამის სახელი. მაგრამ ვფიქრობთ, ეს დაბრკოლებას ვერ შექმნის, მონაზვნები, ჩვეულებრივ, მხოლოდ სასულიერო სახელით იხ-

<sup>1</sup> ამის შესახებ იხ. აქვე წერილი: ათონის ივერთა მონასტრის შესამე წინამძღვრის გიორგის ვინაობისათვის.

<sup>2</sup> J. Lefort, D. Papachryssanthou, დასახ. ნაშრომი, გვ. 32; Actes d'Iviron, I, p.33.

<sup>3</sup> იოანე, ეფთვიმე და გიორგი ათონელების ბერძნული „ცხოვრება“. მამჩხანელის გამოცემა, თბ., 1982, გვ. 27-65 (ავტორი დამაჯერებლად ამტკიცებს, რომ XI-XVI სს. ქართულ მოსახსენებლებში ყველგან გიორგი დიდი ვარჩეულია გიორგი მთაწმიდელი-საგან).

სენიებიან. მაგრამ, რა თქმა უნდა, არის გამონაკლისებიც, ძირითადად, ორგვარი ხასიათისა:

1. მონაზონი ორმაგი (საერო, სასულიერო) სახელით იხსენიება მაშინ, როდესაც ეს პიროვნება კარგად არის ცნობილი საზოგადოების ფართო წრეებში უფრო თავისი საერო მოღვაწეობით.

2. მონაზვნები მამის სახელით მოიხსენიებიან მაშინ, თუ მონაზვნის მამა უფრო კარგად არის ცნობილი თავისი მოღვაწეობით ფართო საზოგადოებრივ სარბიელზე, ვინემ შვილი, და მამის საშუალებით შეიძლება შვილის ვინაობის წარმოჩენა.

ამ მეორე შემთხვევასთან უნდა გვეკონდეს საქმე სკილიცას ქრონიკის ცნობილ ტექსტში<sup>1</sup>. აქ მოტანილია რომანოზ არგვირუსის წინააღმდეგ შეთქმულთა სია, სადაც სხვებთან ერთად მოხსენიებულია გიორგი ვარაზვაჩე<sup>2</sup>.

აქვე მინდა შევნიშნო, რომ ასოლიკის ქრონიკაში, როდესაც ისტორიკოსს სურს დაასახელოს ჩორდვანელთა სახლის რომელიმე წევრი და მიანიშნოს მისი ვინაობა, იგი ჩვეულებრივ მიუთითებს ამ პირის ნათესაურ კავშირზე თორნიკესთან, ამ სახლის ყველაზე გამორჩენილ პიროვნებასთან ბიზანტიაში. ასე, მაგ.: „ჩორდვანელი პატრიკი, თორნიკე ბერის ძმისწული“ „ბაგრატ პატრიკი, თორნიკეს ძმისწული“<sup>3</sup>. დასახელებული თორნიკეს ძმისწულები არც ერთი არ არის იოვანე ვარაზვაჩეს ძე. ამის გვერდით, ორ შემთხვევაში ვარაზვაჩეს ძენი იხსენიებიან მამის სახელით და არა თორნიკეს ძმისწულობით<sup>4</sup>.

<sup>1</sup> P.Peeters, Un colophon géorgien de Thornik le moine. - Anal. Boll., 50, 1932, pp. 365-366; J.Lefort, Histoire du monastère d'Ivion, dès origines jusqu' au milieu du XI<sup>e</sup> siècle. - Actes d'Ivion, I, pp. 17-18.

<sup>2</sup> იხ. აქვე წერილი: „ათონის ქართველთა მონასტრის შესამე წინამძღვრის გიორგის ვინაობისათვის“.

<sup>3</sup> J.Lefort, Histoire... - Actes d'Ivion, I, p.16.

<sup>4</sup> ამ ორ შემთხვევაში ვგულისხმობთ სკილიცას ქრონიკის შემომოხსენებულ ივირონის მაშნებელს გიორგი ვარაზვაჩეს და ერმიტაჟის საბჭვდავის წარწერას Τορνικა (πρωτο) σπαθ (αρίω) (καί) στρατηγ(ω) τῷ Βαρά(σ) βατζέ (В.Шандровская, Одно уточнение текста хроники Скилицы по материалам сфрагистики. - Сообщения гос. Эрмитажа, Т.ХL, 1975, с. 46). ვფიქრობთ, წარწერის თორნიკე უნდა იყოს იოვანე ვარაზვაჩეს უმცროსი შვილი თორნიკე მცირე, რომლისთვისაც უნდა იყოს განწესებული იოანე მონაზონთან და აბუპარბთან ერთად ალაბი № 16 ათონის სააღაპე წიგნში.





როგორც ჩანს, ჩორდვანელის ძე ვარაზვაჩე ბერად შედგენილი თავის ძმა თორნიკეზე ნაკლებად არ იყო ცნობილი ბიზანტიის თავისი მოღვაწეობით. შესაძლოა, ამიტომაც იხსენიება ის ჩორდვანელთა გენეალოგიაში ორმაგი სახელით (იოვანე ვარაზვაჩე). ალბათ, ამითვე უნდა აიხსნას ისიც, რომ ჩორდვანელთა სახლის გენეალოგიაში, რომელიც თორნიკეს სახელით არის დაწერილი, თორნიკე აშკარად გამოარჩევს იოვანე ვარაზვაჩეს და მისი ოჯახის წევრებს დანარჩენი ძმებისა და მათი ოჯახებისაგან. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ოშკის ხელნაწერთა ანდერძებში ოშკის მფლობელებად („უფალნი“) და ხელნაწერთა შემკვეთ-მომკვებლებად თორნიკე და იოვანე ვარაზვაჩე გვევლინებიან, მაშინ უნდა მივიჩნიოთ, რომ ეს ორი ძმა ამ სახლის წევრთა შორის განსაკუთრებით პატივცემული და პოპულარული ყოფილა. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ სკილიცას ქრონიკაში ივირონის მაშენებელი გიორგი იხსენიება მამის სახელითაც (გიორგი ვარაზვაჩე). სამწუხაროდ, ცნობები იოვანე ვარაზვაჩეს მოღვაწეობის შესახებ საკმაოდ მცირეა<sup>1</sup>.

თვით გიორგი ვარაზვაჩე ჩორდვანელთა დიდი სახლის ღირსეული წარმომადგენელია: ენერგიული, დიდებული ორგანიზატორი, რომელსაც „დიდი“ და „მაშენებელი“ შეარქვა ივირონის საკრებულომ. იგი მთელი თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობით დავით კურაპალატის საგარეო პოლიტიკის დამცველი და თავისი ბიძის მსგავსად ჩოხოსანი დიპლომატი და პოლიტიკოსია.

\* \* \*

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყარო ჩორდვანელთა სახლის ისტორიის შესწავლისათვის არის ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი, რომელიც შესულია ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერში<sup>2</sup> („ათონის კრებული“) სხვა მასალასთან ერთად.

„ათონის კრებული“ რთული შედგენილობისაა. მან დროთა ვითარებაში დიდი ცვლილებები განიცადა, მასთან ერთად მასში შე-

<sup>1</sup> ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში იოვანე, მამა ეფთვიმესი, და იოვანე ვარაზვაჩე, თორნიკეს ძმა, დიდხანს ერთსა და იმავე პიროვნებად იყო მიჩნეული. ეს მცდარი შეხედულება პირველად დაარღვია ისტორიკოსმა მაქსიმე ბურძინიშვილმა, იხ. იოვანე ვარაზვაჩესათვის: ანალები, I, 1947, გვ. 241, სქ.

<sup>2</sup> კრებული (ხელნაწერი A-558) სრული სახით გამოქვეყნებულია: ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაპებით. თბ., 1901.



მაგალმა სააღაპე წიგნმაც. სააღაპე წიგნი, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის ისტორიული პირველწყარო არა მარტო ათონის ქართველთა მონასტრისა, არამედ საერთოდ ათონისა და ბიზანტიის კულტურის ისტორიისათვისაც, საგანგებოდ იქნა შესწავლილი ნ.ბერძენიშვილის მიერ<sup>1</sup>. აქ წარმოვადგენთ ნ.ბერძენიშვილის დასკვნებს ძალზე სქემატურად და აღაპთა ტექსტებზე ჩვენი მუშაობის შედეგებსაც.

თავდაპირველად 1074 წელს „ათონის კრებული“ შეიქმნა როგორც ეფთვიმე მთაწმიდელის „სამახსოვრო წიგნი“ ქართველთა მონასტერში ეფთვიმეს კულტის განსამტკიცებლად. კრებულში ამ მიზნის შესაბამისად შედიოდა: იოვანეს და ეფთვიმეს „ცხორება“, დაწერილი გიორგი მთაწმიდლის მიერ, ეფთვიმეს სახელზე დაწერილი საგალობლები(2), „აღაპთა წიგნი“ და ბოლოს, იოანე მახარებლის „ცხორება და ქადაგება“, აღწერილი მისი მოწაფის, პროხორეს, მიერ და ბერძნულიდან თარგმნილი ქართულად ეფთვიმეს მიერ. თუ რატომ შეირჩა ეფთვიმეს მრავალრიცხოვანი თარგმანებიდან სწორედ ეს ნაწარმოები კრებულში შესატანად, ამის თაობაზე „იოანე მახარებლის „ცხორებას“ ახლავს განმარტება, რომ იოანე მახარებლის ცხორება ეფთვიმესთვის მისაბაძი მაგალითი იყო.

1074 წელს დაღალისონელის გადაწერილ „ათონის კრებულში“ ჩვენთვის საინტერესო აღაპები თავდაპირველად მოთავსებული იყო ეფთვიმეს „ცხორებისა“ და მისდამი მიძღვნილი საგალობლების შემდეგ, იოანე მახარებლის „ცხორების“ წინ.

დროთა ვითარებაში გაჩნდა საჭიროება იმისა, რომ „ათონის კრებული“, თავიდანვე მოაზრებული როგორც ეფთვიმეს „სამახსოვრო წიგნი“, პირველ ქართველ მამათა სამახსოვრო წიგნად ქცეულიყო. ამისათვის საჭირო გახდა წიგნში დამატებითი მასალის – „ილარიონ ქართველის ცხორებისა“ და იოანე იბერიისა და ილარიონ ქართველის საგალობლების შეტანაც.

„ათონის კრებულის“ ამ ახალ რედაქციაში სააღაპე წიგნს ცვლილებები არ განუცდია, არც ადგილისა და არც შინაარსის თვალსაზრისით. მაგრამ XII ს. 20-იან წლებში კვლავ შეიქმნა საჭიროება

<sup>1</sup> ნ.ბერძენიშვილი, ათონის კრებულის რედაქცია. - საქართველოს ისტორიის საკითხები, IV. თბ., 1967, კვ. 196-216.

„ათონის კრებულის“ დანიშნულებისა და შესაბამისად, შინაარსის შეცვლა-გაფართოების: ის უნდა გადაქცეულიყო ქართველთა მონასტრის სამახსოვრო წიგნად, ხოლო ალაპების წიგნი — მონასტრის ქრონიკად დღიდან მისი დაარსებისა მისი არსებობის მთელ პერიოდში. ამდენად სააღაპე წიგნის მნიშვნელობა კრებულისათვის შეიცვალა და გაფართოვდა. საჭირო გახდა „ათონის კრებულის“ შუაგულიდან მისი გადატანა ბოლოში, რათა ტექნიკურად შესაძლებელი ყოფილიყო არსებული ნაწილის შევსება და მისი შემდგომი გაგრძელება ახალი ალაპებით. „ათონის კრებულისა“ და საკუთრივ სააღაპე წიგნის ახალი გადამუშავება თავის თავზე აიღო ივირონის დეკანოზმა იოანე თაფლაისძემ მონასტრის წინამძღვრის იოანე კალაკალას ბრძანებით. ანდერძში, რომელიც თაფლაისძემ დაურთო მის მიერ გადამუშავებულ ალაპთა ახალ რედაქციას, იგი შემდეგნაირად განსაზღვრავს სააღაპე წიგნის ახალი რედაქციის დანიშნულებას: „ესე ალაპნი იქი-აქა დაფანჩულად ეწერნეს და საჭირო იყვნეს საძებნელად, ხოლო მე, ბრძანებითა წმიდისა მამისა ჩუენისა იოანესითა, ჩემსა შავ დეკანოზობასა გარდაეწერენ დაწყობით, ვითა ჯერ იყო: არარაჲ მეგვმატებია და არცა რაჲ დაგკკლია, თვნიერ ცუდთა სიტყუათა. სხუაჲ ყოველი პირველისაებრ სწერია — ამისთვის გულსაგსე იყვნით, და ვინ სხუასა ალაპსა დასწერდეთ, აშლით ნუ დასწერთ: ადგილი ყოველგან დაგვიტეობია“<sup>2</sup>.

ამრიგად, იოანე თაფლაისძემ თავი მოუყარა მონასტერში არსებულ ალაპებს, საფიქრებელია, ადრე დაწერილს ცალ-ცალკე ფურცლებზე ან სხვადასხვა ხელნაწერთა კიდეებზე, და ამ მასალით შეაგრო უკვე არსებული თორმეტფურცლიანი სააღაპე წიგნი „ათონის კრებულისა“, რომელშიც სულ დაახლოებით ორმოცდაათამდე ალაპი უნდა ყოფილიყო შეტანილი. თაფლაისძის შევსებულ რედაქციაში კი 165 ალაპია.

არის პრინციპული სხვაობაც სინოდისკონის ამ ორ (დაღალისონელისა და თაფლაისძის) რედაქციას შორის. პირველი რედაქცია შეიცავს მოსახსენებლებს და ალაპებს ძირითადად ჩორდვანელთა დიდი სახლის წევრებისათვის როგორც ივირონის ქტიტორებისათვის, რაც გამოიხატებოდა მათთვის თორნიკე სვინგელოზისათვის

<sup>1</sup> აქ იგულისხმება თაფლაისძის მიერ შევსებულ „ალაპთა წიგნის“ მასალა, ვინაიდან, დაღალისონელის სააღაპე წიგნი თავიდან ბოლომდე კალენდარზე იყო გაწყობილი.

<sup>2</sup> „ათონის კრებული“, გვ. 273-274.



განკუთვნილი საალაპე განგების დაწესებაში („ვითა სუნგელოზისასა სწერია“). საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტიპის განგება წესდებოდა მხოლოდ ჩორდვანელთა სახლის წევრებისათვის. ეს ფაქტი იმითაც არის საინტერესო, რომ თავიდანვე ათონის საკრებულოში თორნიკე და მისი სახლი ითვლებოდა მონასტრის ერთპიროვნულ ქტიტორად. ეს რედაქცია შეიცავს აგრეთვე მოსახსენებლებს ქართველი და ბიზანტიელი მეფეებისა, რომელთაც დიდი დახმარება აღმოუჩინეს მონასტრის მისი ძნელბედობის ჟამს (ბაგრატ IV, მარიამ დედოფალი, კონსტანტინე პორფიროგენეტი). მაგრამ მეფეთა მოსახსენებლები, ჩანს, ამ საალაპე წიგნის ამავე რედაქციის მეორე, უფრო გვიანდელი ფენის კუთვნილებაა, რომელიც გიორგი მთაწმიდლის წინამძღვრობის დროს იწერებოდა. დაღალისონელის საალაპე წიგნის მესამე ფენის ალაპები განწესებულია 1056 წლის შემდგომ (ამ წელს გიორგი მთაწმიდელმა მიატოვა ათონი და გაემგზავრა შავ მთაზე), გიორგი მთაწმიდელის მომდევნო წინამძღვრების (არსენი, თეოდორე, გიორგი ოლთისარი) მიერ. მთლიანად ეს რედაქცია ჩორდვანელთა და სხვა მაღალი ფეოდალური არისტოკრატიის, დიდად სახელოვანი პირების საალაპე წიგნის შთაბეჭდილებას ტოვებს. ამისგან განსხვავებით, თაფლაისძის საალაპე წიგნის ალაპები განწესებულია ყველასთვის, ვისაც გარკვეული საალაპე საფასური გადაუხდია. ამიტომ აქ შევხვდებით სულ სხვადასხვა ეროვნებისა და სოციალური წრის წარმომადგენლებს. მათი შემოწირულობა, თუ სხვა სახის დამსახურება ალაპებში დაწვრილებით არის აღწერილი.

დაუზრუნდეთ საკვლევი საკითხისათვის განსაკუთრებით საინტერესო მასალების შემცველ სინოდიკონის I (დაღალისონელისეულ) რედაქციას, რომელიც თავდაპირველად კრებულში თორმეტ ფურცელს მოიცავდა. თაფლაისძის მიერ ამ რედაქციის გადამუშავების პროცესში მექანიკური ჩარევის გარეშე ტექსტის ახალი ალაპებით შევსება შესაძლებელი გახდა მხოლოდ პირველი ხუთი ფურცლის ფარგლებში (შეიცავს 21 ალაპს)<sup>1</sup>. დანარჩენი შვიდი ფურცლის ალაპები კი კალენდარული რიგის დაცვით გადანაწილდა და ჩაერთო საალაპე წიგნის ახალ, თაფლაისძისეულ რედაქციაში.

<sup>1</sup> ამ ხუთ ფურცელზე ახალი ალაპები დაწერილია ფურცლის კიდევსა და თავისუფალ ადგილას.



თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საალაპე წიგნის ხუთე ფურცელი სულ ოცდაერთ ალაპს შეიცავს, უნდა ვივარაუდოთ, რომ სათვის დაკარგული და თაფლაისძის საალაპე წიგნში გადატანილი შვიდი ფურცელი ოცდაათ ალაპს მაინც შეიცავდა. ამ ოცდაათი ალაპიდან სხვადასხვა ნიშნით მხოლოდ თოთხმეტი ალაპის გამოყოფა მოვახერხებთ<sup>1</sup> თაფლაისძის ალაპთა წიგნის საერთო რაოდენობიდან (165).

დალალისონელის საალაპე წიგნის ამ ოცდათხუთმეტი (21+14) ალაპის პერსონალიისა და განგებათა შესწავლამ მიგვიყვანა შემდეგ დასკვნებამდე:

1. გაირკვა, რომ დალალისონელის საალაპე წიგნი არ არის ერთჯერადად დაწერილი ან გადაწერილი ერთპლასტიანი კრებული. ის თანდათან, ნაწილ-ნაწილ იქმნებოდა და გაერთიანდა, როგორც ჩანს, მიქაელ დალალისონელის მიერ.

2. დალალისონელის საალაპე წიგნი შეიცავს სამ ქრონოლოგიურ პლასტს: ამ ალაპთა I პლასტი მოიცავს ალაპებს, დაწერილს 984-1045 წლებში, ე.ი. თორნიკეს გარდაცვალებიდან (984 წლის 15 დეკემბერი), როდესაც დაიწერა პირველი ალაპი ივირონის მონასტრის ქტიტორისა (იოვანე სვანგლოზისა), ვიდრე გიორგი მთაწმიდელის წინამძღვრად არჩევამდე. ეს პერიოდი არის მონასტრის ქტიტორთა და „უფალთა“ ჩორდვანელთა სახლის წევრთა შეუზღუდავი ერთმმართველობის წლები, როდესაც წინამძღვრობის უფლება გადადიოდა მემკვიდრეობით ამ სახლის წევრებზე წინა წინამძღვრის წინადადებით. ივირონის პირველმა წინამძღვარმა იოვანე ქართველმა თავის მომდევნო წინამძღვრებად დატოვა ეფთვიმე და გიორგი<sup>2</sup>. ხოლო ეფთვიმემ – თავის მომდევნო წინამძღვრებად – გიორგი და გრიგოლი<sup>3</sup>. ჩორდვანელთა სახლის საუფლო მონასტრის პირველ წინამძღვრად და განმგებლად კი, ამ მონასტრის ჯერ კიდევ მშენებლობის დროს, თორნიკემ („მონასტრის უფალმა“) დაადგინა იოვანე ქართველი, „თორნიკეს თქსი“ და მამა ეფთვიმესი, მაშასადამე, ჩორდვანელთა სახლის ნათესავი. 1042 წლამდე ივირონის წინამძღვრები არიან ჩორდვანელთა სახლის წევრები ან ნათესავები: იოვანე იბერი († 1005), ეფთვიმე (წინამძღვრობდა 1019 წლამდე), გიორგი I

<sup>1</sup> ვრცლად ამის შესახებ ვმსჯელობთ ჩვენს მიერ დასაბუჯდად მომზადებულ ნაშრომში: „ათონის საალაპე წიგნის შესახებ“.

<sup>2</sup> „ცხოვრება“, § 40,1.

<sup>3</sup> „ცხოვრება“, § 118,6.

წინამძღვრობდა ათონიდან გაძევებამდე (1029 წ.), გრიგოლი —  
დან 1041 წლის ბოლომდე.

გიორგი I-ის გადასახლებაზე გაართულა ეფთვიძეს მიერ წინამძღვრად დასახლებული მეორე კანდიდატის, გრიგოლის, ივირონის წინამძღვრად დადგენა.

გიორგის გადასახლებით ისარგებლა ივირონის ბერძნულმა საკრებულომ, უკუაგდო ჩორდვანელთა სახლის უფლება წინამძღვრობაზე, რაც, ალბათ, გარკვეულად ზღუდავდა მონასტრის ხელში ჩაგდებასათვის გაწეულ მათ საქმიანობას, ამიტომ გრიგოლის მაგიერ მათ აირჩიეს ან განაწესეს მონასტრის ქართული საკრებულოსთვის არასასურველი ვინმე გიორგი, ეროვნებით ქართველი, რომელსაც ქართველებმა „უკეთური“ შეარქვეს.

„ცხოვრებაზე“ დართულ „მოსაქსენებელში“ რომელიც 1042-1043 წლებში უნდა იყოს დაწერილი, შესანიშნავად არის აღწერილი ეს მძიმე წლები მონასტრის ისტორიისა: „ხოლო ვითარცა მამაა გიორგი ექსორიობასა შინა მიიცვალა და ჩუენ ფრიად შემცირებულ ვიყვნით, ჟამი პოვეს ბერძენთა და ვითარცა ცეცხლნი, აღევხნეს ჩუენ ზედა და სრულიად აღმოფხურაა ჩუენი ენება და დაპყრობაა სამკვდრებელისა ჩუენისაჲ. და უმძიმესი ესე იყო, რამეთუ, რომელსა-იგი მაშინ წინამძღვრობაჲ ეპყრა, იგი იყო შემწე მათდა, გიორგი უკეთური“<sup>1</sup> („ცხოვრება“ § 118, 9-10). ამრიგად, მემკვიდრეობით წინამძღვრის დანიშვნა ჩორდვანელთა სახლის წევრთაგან, რასაც თორნიკეს დამსახურებათა გამო ბიზანტიის იმპერატორებიც მფარველობდნენ, არ აწყობდათ ივირონის ბერძენ ბერებს. ამ მაგალითზე კარგად გამოჩნდა თორნიკეს, როგორც ამ მონასტრის მფლობელის, შორსმჭვრეტელობა, როდესაც მან 981 წელს, ჯერ კიდევ მონასტრის მშენებლობის დამთავრებამდე, ტაოდან ათონზე ჩაიყვანა მრავალი სახელოვანი მონაზონი, მათ შორის ჩორდვანელთა სახლის წევრები და „ენება, რამათა ქართველნი ოდენ იყვნენ მონასტრისა ამის მკვდრნი ყოველნი“ („ცხოვრება“ § 25, 1). ამ მიზანს ემსახურებოდა აგრეთვე ჩორდვანელთა სახლის წევრთაგან წი-

<sup>1</sup> ამ ცნობიდან აშკარაა, რომ გიორგი I-ს გადასახლებაში დიდხანს არ უცოცხლია. 1030 წლისათვის, როდესაც ქართველთა სურვილის წინააღმდეგ წინამძღვრად გიორგი II დაადგინეს (1030-1035 წწ.), გიორგი I უკვე გარდაცვლილი იყო (1030 წელს). იხ. J.Lefort, Histoire... - Actes d'Iviron, I, p.45.

ნამძღვართა შერჩევა და დანიშვნა წინა წინამძღვრის რეკომენდაციით, რათა მონასტრის გამგებლობა მუდამ ჩორდვანელთა ხელთ ყოფილიყო.

ერთხელ დარღვეული ამ ტრადიციის აღდგენა ველარ მოხერხდა. ალბათ, ესეც ერთ-ერთი მიზეზი იყო იმისა, რომ ჩორდვანელთა სახლის საკუთარი მო-ნასტერი ამ დროიდან საბოლოოდ ქართველთა მონასტრად გადაიქცა და „ივირონის“ სახელწოდება მიიღო. მაგრამ ეს ძველი ტრადიცია სპონტანურად მაინც იჩენდა თავს და წინამძღვართა შორის დროდადრო შემდეგაც გამოერეოდნენ ხოლმე ჩორდვანელთა სახლის წევრები, საუკეთესონი მონასტრის საკრებულოში. ასეთებად მიგვაჩნია ივირონის ორი წინამძღვარი: 1. არსენ ფარსმან-ყოფილი, ძმა გიორგი ჩორჩანელისა (resp. ჩორდვანელისა). არსენი რომ ჩორდვანელთა სახლის წევრი ან ნათესავია, ამას პირველ რიგში გვაფიქრებინებს დაღალი-სონელის სააღაპე წიგნში მისთვის განწესებული აღაპის (№ 110) განგება: „აღესრულებოდეს ყოვლითა მოსწრაფებითა, ვითარცა თორნი-კისსა სწერია და მამისა იოანესსა“. ამ ტიპის განგებები, სადაც არსენი თორნიკესა და იოანე ბერის დონეზეა დაყენებული, როგორც უკვე ითქვა, ჩვეულებრივ ჩორდვანელთა სახლის წევრებისათვის იყო განკუთვნილი (ამ საკითხზე ქვემოთ უფრო დაწვრილებით შევიჩრდებით). არსენის აღაპი განწესებულია მის გარდაცვალებასთან დაკავშირებით მისი მომდევნო წინამძღვრის თეოდორეს მიერ, ე.ი. მაშინ, როდესაც ჩორდვანელთა სახლის წევრებისათვის უმაღლესი განგებით („ვითა სჯნგელოზისასა სწერია“) აღაპის განწესების წესი უკვე დარღვეულია.

არსენ ფარსმან-ყოფილი ივირონის ერთი ყველაზე აქტიური და ყოველმხრივ გამორჩეული მოღვაწეა. ის უკვე 40-იანი წლებიდან ჩაება (როდესაც დაემოწაფა გიორგი მთაწმიდელს) ეკონომიურად და მორალურად განადგურებული მონასტრის აღდგენისა და აღორძინების საქმეში (№ 110 აღაპი). უფრო ადრე, გიორგის ათონზე ჩასვლამდე, ფარსმანი იღვწოდა მონასტრის ქართული საკრებულოსათვის სასურველი წინამძღვრის, გრიგოლის დადგენისათვის („ცხორება“ § 118, 15-16). ვფიქრობთ, რომ არსენ ფარსმან-ყოფილის წინამძღვრად და თავის შემცვლელად დადგენა გიორგი მთაწმიდელის ინიციატივა იყო, რომელსაც მხარი დაუჭირა მონასტრის ძმობამ.

2. მეორე პიროვნება, რომელიც აგრეთვე ჩორდვანელთა სახლის წევრად მიგვაჩნია, არის გაბრიელი, ევანჯის ძმა, რომელსაც მონაზვნობაში ნიკოლა ეწოდა. მისთვის ორი აღაპი (№№ 48,49) განუ-



წესება ზემოთ მოხსენიებულ მამა არსენს იმ დიდი ქონებისათვის მელიც ვაბრიელს გადაუცია მონასტრისათვის. განგება ალაპისა აქაც უმაღლესია. — „ვითა თორნიკისთჳს სჯგელოზისა სწერია“. განგების მიხედვით, ნიკოლა ჩორდვანელთა სახლის წვერი ან ნათესავი უნდა ყოფილიყო: მისი ძმა ევანეზი (საერო პირი) ნიკოლაზე უფრო პოპულარული პიროვნება ჩანს ათონის ქართველთა შორის, რაკი ალაპში ნიკოლას ვინაობას მისი საშუალებით წარმოადგენენ („ევანეზის ძმისაჲ“). ვფიქრობთ, რომ ჩორდვანელთა სახლის წვერმა თუ ნათესავმა ნიკოლა ვაბრიელ-ყოფილმა ისე გამოიჩინა თავი სასულიერო ასპარეზზე, რომ მონასტრის წინამძღვარი და პროტოსვენგელოზის პატივის მქონე. ამ წოდებებით (მამა და პროტოსვენგელოზი) ნიკოლა ჩანს ივირონის დოკუმენტებში<sup>1</sup> და ქართულ ალაპებშიც: ალაპი № 41 — აქ ის მოხსენიებულია იოანე წინამძღვართან ერთად, როგორც პროტოსვენგელოზი ნიკოლა; ალაპი № 56 — ნიკოლა აქაც იხსენიება როგორც მამა და პროტოსვენგელოზი.

ჩორდვანელთა სახლის წვერებისა თუ ნათესავების ნუსხა საალაპე წიგნში ამით არ მთავრდება. დაღალისონელის საალაპე წიგნის პირველ პლასტში (984-1045 წწ.) გვხვდება რამდენიმე ალაპი, განწესებული ჩორდვანელთა სახლის წვერებისათვის განგებით „ვითა სჯგელოზისათჳს სწერია“, ხოლო მათი ვინაობის გარკვევა და მათი დაკავშირება ამ სახლთან ალაპების ცნობებით ვერ ხერხდება. ეს ალაპებია: 16, 17, 18, 19. აქ მოხსენიებულნი არიან: № 16 ალაპში — იოანე მონაზონი, აბუჰარბი, თორნიკე. საკუთარი სახელების მიხედვით, ესენი არიან ჩორდვანელთა სახლის წვერები. სამივე საკუთარი სახელი დასტურდება ჩორდვანელთა გენეალოგიებში და ოშკში გადაწერილ ხელნაწერთა მინაწერებში. ამ პირთა საკუთარი სახელები გვაფიქრებინებს, რომ ესენი უნდა იყვნენ ჩორდვანელთა სახლის ყველაზე აქტიური და სახელოვანი II და III თაობის წვერები<sup>2</sup>.

<sup>1</sup> Actes d'Iviron, II. Paris, 1990, pp.19,61.

<sup>2</sup> აქ ვრცლად ვერ შევეხებით საკითხს, თუ კიდევ რა დამატებითი არგუმენტები არსებობს ვარაუდისათვის, რომ №16 ალაპის სამეფული ჩორდვანელთა სახლის წვერები არიან. აღენიშნავთ მხოლოდ, რომ აქ მოხსენიებული იოანე მონაზონი იოანე ვარაზეაძე უნდა იყოს, აბუჰარბი - იოანე ვარაზეაძეს ძმა, ხოლო თორნიკე - იოანე ვარაზეაძეს უმცროსი შვილი. ვფიქრობთ, რომ სამივე წვერი ამ სახლისა ათონზე იყო ჩასული (1042 წლამდე) და თავისი კვალი დატოვა იქ (იხ. ქვემოთ), არც იმას გამოე-





№ 17 ალაბი განწესებულია, საფიქრებელია, აგრეთვე ერთი სახლის თუ ოჯახის ოთხი წევრისათვის: კონსტანტინეს, მიქაელისა და სვიმეონისთვის.

№ 18 ალაბი განწესებულია მამა ეგნატისთვის. მამა ეგნატი ჩანს ათონის № 17 ხელნაწერის ანდერძშიც: „ქრისტე, აღიდე სულითა მამამა ეგნატი“ (348v). ხელნაწერი თარიღდება XI ს. I ნახევრით. ორივე შემთხვევაში (ალაბშიც და ანდერძშიც) ეგნატი იწოდება მამად. ამ ზედწოდების მიხედვით კი, გარკვევა იმისა, ეგნატი მონასტრის წინამძღვარი იყო, თუ ივირონის საკრებულოს პატივდებული მოძღვარი, ძნელი სათქმელია, ვინაიდან ზედწოდება „მამამა“ ორივე შემთხვევაში იხმარება. № 17 ხელნაწერიდან არც ის ჩანს – მამა ეგნატი ალაპისა და ხელნაწერის ანდერძის დაწერის დროისათვის ცოცხალი იყო თუ გარდაცვლილი. ვიცით ნამდვილად მხოლოდ ის, რომ მისთვის განწესებულია ალაბი ისეთი განგებით („ვითა სუნგელოზისა“), რომელიც მიუთითებს მის ნათესაურ კავშირზე ჩორდვანელთა დიდ სახლთან.

ალაბთა ამ ჯგუფის უკანასკნელი, მეოთხე ალაბი (№ 19) განწესებულია მარიამ ენკრატისისათვის. ალაპის განგებისათვის მითითებულია წინა ალაბი: „ყოველივე ზემო წერილი ლოცვისა წესი აღესრულებოდეს“, ე.ი. ისევე – „ვითა სუნგელოზისასა სწერია“.

ამრიგად, ოთხივე ალაპისთვის განწესებულია სუნგელოზის განგება. ამავე დროს არც ერთ ალაბში არ არის მითითებული, თუ რა დამსახურებისთვის არის განწესებული ასეთი საპატიო ალაბი. ესეც ჩორდვანელთა სახლის წევრებისათვის განწესებული ალაპების თავისებურებაა. ამრიგად, თითქოს შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ოთხივე ალაბი ჩორდვანელთა სახლის წევრებისათვის არის განწესებული და საალაპე წიგნის პირველი, უძველესი პლასტის, საკუთრივ ჩორდვანელთა სახლის საალაპე წიგნის კუთვნილებაა, რომლის ქრონოლოგიური საზღვრებია 984-1045 წლები. ამ ჩვენს ვარაუდს საფუძველი განუმტკიცა ივირ. 26 ბერძნულმა დოკუმენტმა. ივირონის ბერძნული დოკუმენტი № 26 გა-

რიცხვით, რომ ივირონის ბერძნულ აქტში (№31) გადმოცემულია იოვანე ვარაზაჩეცა და მისი ძის თორნიკეს (დოკუმენტით - თორნიკოს კონდოლოკონი, ელადის სტრატეგი) ათონზე მოღვაწეობის ისტორია. ვრცლად ამის შესახებ იხ. №16 ალაპის კომენტარი, Iviron-ის №31 დოკუმენტის შესახებ. იხ. Actes de Lavra, I, pp.173-174; Actes d'Iviron, I, pp.44-45.

<sup>1</sup> ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (ათონური კოლექცია), I, გვ. 63.

მოქვეყნებულია ივირონის აქტების I ტომში<sup>1</sup>. დოკუმენტი წარმოადგენს ნასყიდობის წიგნს (აქტს): სტეფანოს სოლაბოტას ქალიშვილმა მონაზონმა მონაზონმა და მისმა ძმისწულეებმა (თუ დისწულეებმა) ანამ და ავათე მონაზონმა მიჰყიდეს სიმეონ იბერთა მონასტრის წინამძღვარს (კათილუმენს) ბოლზოსში, ივირონის მეზობლად მდებარე ყანები ოც ნომიზმად. აქტის მიხედვით, მარიამი ყანებს სრულ საკუთრებაში გადასცემს ივირონს და ლებულობს საკრებულოსაგან ოც ნომიზმას, მაგრამ ამ ყანების ნამდვილი ღირებულებაა 40 ნომიზმა, ამიტომ დანარჩენი 20 ნომიზმის ანგარიშში ივირონის წინამძღვარი ვალდებულებას იღებს, განუწყოს მარიამსა და მის ნათესავებს ალაპები ათონის საალაპე წიგნში. სწორედ ეს ერთმანეთის მომდევნო ზემოთგანხილული ოთხი ალაპი №№ 16-19 უნდა იყოს ბერძნული ნასყიდობის აქტის (№ 26) პირობაში ნაგულისხმევი მარიამ მონაზონისა და მისი ნათესავებისათვის განუწყებელი ალაპები. უკანასკნელი ალაპი ამ ოთხეულიდან განუწყებულა თვით მარიამ ენკრატისისათვის, წინა სამი კი — მისი ნათესავებისათვის. ამავე დროს, უკვე აღვნიშნეთ, რომ ოთხივე ალაპისათვის განუწყებულა განგება „ვითარცა სუნგელოზისასა სწერია“; ხოლო, ჩვენი დაკვირვებით, ეს განგება მხოლოდ ჩორდვანელთა სახლის წევრებისა და ნათესავებისთვის იყო განკუთვნილი.

ბუნებრივია, ისმის კითხვა — რა ნათესაური კავშირი შეიძლება ჰქონდეს სტეფანოს სოლაბოტას ასულს მარიამ მონაზონს და მის ძმისწულეებს თუ დისწულეებს ჩორდვანელების დიდ სახლთან? ამაზე პასუხს გვაძლევს იმავე №26 ბერძნული დოკუმენტის ქართული მინაწერები<sup>2</sup>. რომ უფრო ნათელი წარმოადგენა შეიქმნას ამ მინაწერების ხასიათზე, ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას საერთოდ ამ მინაწერების დანიშნულების თაობაზე.

ივირონის ბერძნული აქტების დიდ უმრავლესობას ახლავს თითო ან რამდენიმე სხვადასხვა დროის, მაგრამ ერთი შინაარსის ქართული მინაწერი. ამ მინაწერებში მოკლედ წარმოადგენილია დოკუმენტის შინაარსი (რაობა) ქართულად, ქართული დიპლომატიკური ტერმინოლოგიის დაცვით. მიზანი ამ მინაწერებისა ის არის, რომ ქართული საკრებულოს ყველა წევრს ყველა დროსა და ვითარებაში შეეძლოს

<sup>1</sup> Actes d'Iviron, I, p.240.

<sup>2</sup> იქვე.



ქართულად წაიკითხოს ივირონის მონასტრის ქონებრივი და უფლებრივი მდგომარეობის ამსახველი ამ ბერძნული დოკუმენტების შინაარსი. მელთაც დიდი იურიდიული ძალა ჰქონდა ივირონის ქართული საკრებულოს ქონებრივი და უფლებრივი მდგომარეობის დაცვისათვის, რაც ასე ხშირად ესაჭიროებოდათ მათ მთელი თავისი არსებობის პერიოდში სწორედ ბერძნული მონასტრების ძალადობისაგან თავის დაცვისათვის. ამ მინაწერებს რომ ივირონის ქართველთა საკრებულო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ერთხელ დაწერილი ამ რიგის მინაწერი, დროთა ვითარებაში დაზიანებული თუ გადასული, ხელმეორედ იწერებოდა. ასე გაჩნდა ივირონის ბერძნულ დოკუმენტებზე ქართული მინაწერები, რამდენიმეჯის გამეორებული (გადაწერილი) სხვადასხვა დროს. ასეთივე სურათია № 26 დოკუმენტშიც. აქ არის სამი მინაწერი. ყველაზე კარგად შენახულ მინაწერში იკითხება: „ველი ჩორდმანელისა დისაა ნასყიდი ყანათაჲ, რომელ არიან ბოლბოხსა გუერდით“<sup>1</sup>.

ამრიგად, მიწის (ყანის) გამყიდველი, ქართული მინაწერის მიხედვით, არის „ჩორდმანელის და“, ბერძნული დოკუმენტის მიხედვით კი, სტეფანოს სთლაბოტას ასული მარიამ მონაზონი, იგივე მარიამ ენკრატისი (ათონის საალაპე წიგნის № 19). ცხადია, სამივე შემთხვევაში ერთ პირთან გვაქვს საქმე. მაშასადამე, ამ დოკუმენტის ქართული მინაწერის დაწერისათვის და შესაბამისად, ქართული საკრებულოსთვისაც ყანების ივირონისთვის მიმყიდველი მონაზონი მარიამი კარგად ყოფილა ცნობილი როგორც „ჩორდმანელის და“.

ჩორდმანელის და (სახელის გარეშე) რომ ქართველთა საკრებულოში კარგად ცნობილი, დიდად პატივცემული პიროვნება ყოფილა, ამას ადასტურებს XI ს. მეორე ქართული წყარო — „ცხორება“ გიორგი ათონელისა. „ცხორებიდან“ ვგებულობთ: საქართველოდან კონსტანტინოპოლში დაბრუნებული გიორგი მთაწმიდელი მოულოდნელად გარდაიცვალა. იგი დაასვენეს კონსტანტინოპოლის ქართველთა მეტოქში.

<sup>1</sup> ეს მინაწერები, ჩვეულებრივ, იწერებოდა ან განახლდებოდა ქართველთა მონასტრის ბერძნული დოკუმენტების მორიგი რევისტრაციის დროს მონასტრის დეკანოზის ან ნოტარის მიერ.

<sup>2</sup> Actes d'Iviron, I, p.240; Actes d'Iviron, II, p.18. ამ ქართული მინაწერის ფრანგულ თარგმანში ჩემი მიზეზით დაშვებულია შეცდომა, რომელიც გასწორებულია ივირონის აქტების II ტომში.



გიორგის მოწაფენი და პატივისმცემელნი გლოვობდნენ მოძღვარს ამ დროს „მოიწია დედაკაცი ვინმე, მოწაფე ამის წმიდისაჲ, დააფარს მან ისი და ჩორჩანელისაჲ, რომელი ვერ ეწიფა ხილვასა მისსა (გიორგი მთაწმიდელისა), ვიდრელა ცოცხალ იყო წმიდაჲ“<sup>1</sup>. „ცხორების“ მიხედვით, ფარსმანისა და ჩორჩანელის დაა კონსტანტინოპოლის მცხოვრებია და ისევე, როგორც მისი ძმა ფარსმანი (ბერობაში არსენი)<sup>2</sup>, ადრევე დაემოწაფა (1040-42 წლებში) გიორგი მთაწმიდელს. ჩორჩანელი (ფარსმანის ძმა) ჩორჩანელების ძველი ფეოდალური სახლის მეთაურის ზედწოდება<sup>3</sup>, რომელსაც სახლის მხოლოდ ერთი წევრი – სახლის მეთაური ატარებდა; იგი ფლობდა სოფ. ჩორჩანს, ზანაყსა და ზარზმის მონასტერს. ფარსმანის ძმის ჩორჩანელის სახელი არის გიორგი. ამ სახელით იხსენიება იგი „გიორგი მთაწმიდელის ცხორებაში“ და მისთვის განწესებულ ივირონის ალაპში (№ 50), რომელიც მას განუწყესა მისმა ძმამ, ივირონის წინამძღვარმა არსენ ფარსმან-ყოფილმა. როგორც არსენ ფარსმან-ყოფილი, ასევე გიორგი ჩორჩანელი ივირონის ქართული საკრებულოს დიდად პატივცემული წევრები არიან. ამიტომ არის, რომ ივირონის № 26 ბერძნული აქტის ქართული მინაწერის ავტორი (ივირონის ქართველი ბერი) ყანების გამყიდველ მარიამ მონაზონს ქართულ საკრებულოს აცნობს არა როგორც სთლაბოტას ასულს (№ 26 დოკუმენტი), არამედ როგორც „ჩორდმანელის დას“.

მარიამ მონაზონთან დაკავშირებით ზემოთ განხილული დოკუმენტების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მარიამ მონაზონი, სთლაბოტას ასული – იგივე № 19 ალაპის მარიამ მონაზონია, იგივე ჩორდმანელის და არის (№ 26 ბერძნული დოკუმენტის ქართული მინაწერი), და ბოლოს, იგივე ჩორჩანელის დაა გიორგი მთაწმიდელის „ცხორებიდან“. თუ რა ნათესაური კავშირია სთლაბოტას ასულსა და გიორგი ჩორდმანელს შორის, ეს ძნელი სათქმელია, ვინაიდან ნათესაური ტერმინების ძირითადი სტრუქტურები ვრცელდება ერთი სახ-

<sup>1</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, 1967, გვ. 197.  
<sup>2</sup> შესაძლოა, არსენ ფარსმან-ყოფილის ივირონის წინამძღვრად დადგენით განახლდა ჩორდმანელის სახლის ტრადიცია, რომლითაც ივირონის მონასტრის წინამძღვრობა მხოლოდ ამ სახლის წევრთა უფლება იყო.  
<sup>3</sup> ჩორჩანელთა ფეოდალური სახლის შესახებ იხ. ქვემოთ.

ლისა და გვარის ფარგლებში ერთი თაობის ყველა ნათესავსა მოგვარეზე<sup>1</sup>.

№ 26 ბერძნული დოკუმენტის ქართული მინაწერი სხვა მხრივაც არის საინტერესო: ის ფაქტი, რომ მარიამ მონაზონი ხან ჩორდმანელის, ხან კი ჩორჩანელის დად იწოდება, იმას ნიშნავს, რომ ორივე ფორმა ერთი და იგივე შინაარსის ზედწოდებაა, და რომ ეს ორივე ფორმა გავრცელებული ყოფილა X-XI საუკუნეებში ტაოშიც, სამცხეშიც და ბიზანტიაშიც, საკუთრივ ათონის ქართველთა მონასტრის საკრებულოში.

\* \* \*

ჩორდვანელი, ისევე როგორც ჩორჩანელი, ზედწოდებაა და თავიდანვე სამცხის ჩორჩანელთა დიდი ფეოდალური სახლის დიდ მთავარს ეწოდებოდა, რომელიც სხვა მიწებთან ერთად, სოფელ ჩორჩანის (ზარზმისაგან 7 კმ. დაცილებული) მფლობელი იყო. ჩორდვანელი ჩორჩანელის ფონეტიკური ვარიანტია, რომელმაც ეს სახე მიიღო სამხრეთ ტაოსა და ბიზანტიის აღმოსავლური პროვინციების არეალში. თორნიკეს მამის ჩორდვანელის არც სახელი ვიცით და არც მამის სახელი. ჩორდვანელთა გენეალოგიებში, რომელიც დაუცავთ ოშკის „სამოთხისა“ და „განძის“ მომგებელთა ანდერძებს, ჩორდვანელი არის ზედწოდება და არა საკუთარი სახელი<sup>2</sup>. მაგრამ სახლის უფროსის ჩორდვანელის შთამომავლებში (მეორე და მესამე თაობაში) ჩორდვანელი უკვე საკუთარ სახელად ქცეულა (იხ. აქვე გენეალოგია). ეს უნდა მომხდარიყო X საუკუნის II ნახევარში. ასევე საკუთარ სახელად გადავიდა ჩორდვანელი სომხურ ონომასტიკონში, თუმცა შეინარჩუნა ქართული სუფიქსი -ელ.

<sup>1</sup> იგონინაშვილი, ნათესაობის სოციალური განპირობების პრობლემა. - მაცნე, №2, 1986. შესაძლებლად მიგვაჩნია ვივარაუდოთ, რომ მარიამ მონაზონის დედა (სთლაბოტას მუღლუ) იყო ფარსმანისა და გიორგი ჩორჩანელის მამიდა, ე.ი. სულას და), ხოლო მისი ქალიშვილი - ფარსმანისა და ჩორჩანელის მამიდაშვილი, რომელიც აგრეთვე „დად“ იწოდება. ამაზე მიგვითითებს ისიც, რომ მარიამ მონაზონი და გიორგი და ფარსმანი ერთი თაობის მოღვაწენი არიან და ერთსა და იმავე პერიოდში იყვნენ დაკავშირებულნი ათონთან (გიორგის ათონზე ჩასვლის დროიდან მის გარდაცვალებამდე).

<sup>2</sup> ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ თორნიკეს მამა ჩორდვანელს „სამოთხის“ ანდერძში მიცემით ბრუნვაში ახლავს ემფატიკური ანი, რაც საზოგადო სახელთა ბრუნვისათვის არის დამახასიათებელი. ასეთივე ვითარებაა „განძის“ ანდერძში. ამავე ანდერძებში სხვა საკუთარი სახელები ექვემდებარებიან ძველი ქართული ენის გრამატიკულ ნორმებს: საკუთარ სახელს მიცემით ბრუნვაში არ ახლავს ემფატიკური ა.



უნდა ვივარაუდოთ, რომ ჩორდვანელი (resp. ჩორჩანელი) ამ ზედწოდებას ატარებდა იმ მომენტში, როდესაც მან სამცხე მიატოვა ტაოში გადავიდა თავისი სახლის წევრებთან ერთად. ტაოში სახლის მეთაურმა შეინარჩუნა თავისი თავდაპირველი ზედწოდება, მაგრამ სამცხეს და ჩორჩანს მოწყვეტილმა სახლის მთავრის ზედწოდებამ დაკარგა თავისი რეალური შინაარსი ახალ გარემოცვაში, რის გამოც ადვილად განიცადა ფონეტიკური მოდიფიკაცია.

სამცხის ჩორჩანელთა ფეოდალურ სახლს რთული ისტორია აქვს. ცნობები სამცხის დიდი მთავრის გიორგი ჩორჩანელისა და მისი ოჯახის შესახებ შემოგვინახა ქართულმა აგიოგრაფიულმა თხზულებამ სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრებამ“<sup>1</sup>. დღეს ამ ძეგლის დათარიღებაზეც აზრთა სხვადასხვაობაა. ერთი უეჭველია, რომ ჩორჩანელთა სახლის დიდი მთავრის გიორგი ჩორჩანელის ზეობის პერიოდი IX საუკუნის შუა წლებს არ გადასცილდება. უშვილო გიორგი ჩორჩანელის გარდაცვალების შემდეგ მთელი მისი ქონება და უფლებები გადავიდა მისი დის ლატავრის შვილებზე: სულასა, ბეშქენსა და ლაკლაკზე. იმავე „ცხოვრებიდან“ ვგებულობთ, რომ გიორგი ჩორჩანელის ქონების განაწილების დროს მოხდა დაპირისპირება ლატავრის შვილებს შორის, რომელიც სისხლის ღვრით დამთავრდა, რასაც მოჰყვა არეულობა როგორც ამ ოჯახში, ასევე მთელ სამცხეში. ამ საქმეში ჩაურია გიორგი მაწყვერელი, რომელმაც აწყურის კათედრა დაიპყრო და ჩორჩანელის მამულებსაც დაეპატრონა.

ამ დროიდან წერილობით წყაროებში ცნობები ჩორჩანელთა შესახებ ერთხანს არ ჩანს. ჩორჩანელთა სახლი, რომელიც ლატავრის შვილებისაგან შედგებოდა, დაიშალა. X საუკუნის დამდეგიდან კვლავ ხდება ამ სახლის აღორძინება, ერთი მხრივ, სამხრეთ ტაოში ჩორდვანელთა სახლის სახით, ხოლო მეორე მხრივ, სამცხეში ჩორჩანელთა ახალი სახლის სახით, რომელმაც გააგრძელა ძველი ჩორჩანელების ტრადიცია. ერთი ფუძიდან მომდინარე ეს სახლები ერთმანეთს ენათესავენ ბიან.

<sup>1</sup> ნაჩინაძე, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება როგორც საისტორიო წყარო. თბ., 1975, გვ. 108-115.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 5-30.



ჩორდვანელთა და ჩორჩანელთა შორის ნათესაური კავშირის დასტურება საფუძველს უმაგრებს ჩვენს ვარაუდს, რომ დაღმართის სონელის საალაპე წიგნის I (უძველესი) პლასტი ჩორდვანელ-ჩორჩანელის სახლის წევრებისათვის არის განწესებული. მხოლოდ ამ პლასტის ალაპებისათვის არის დადებული განგება „ვითარცა სუნგელოზისასა სწერია“, ვინაიდან იოვანე სუნგელოზი ითვლებოდა ივირონის მონასტრის ქტიტორად და მფლობელად, მასთან ერთად ჩორდვანელ-ჩორჩანელის სახლის წევრებიც.

ჩორდვანელების დიდი სახლისა და ივირონის მშენებლობასთან დაკავშირებული ქართული პირველწყაროების შესწავლის საფუძველზე მიღებული დასკვნები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:

1. ქართული წყაროები, რომელთაც დაუცავთ ცნობები ჩორდვანელთა დიდი სახლის ისტორიის შესახებ (ოშკის, კარინის, ივირონის ქართულ ხელნაწერთა ანდერძები), მათი ავთენტურობის გამო სავსებით იმსახურებენ ნდობას. ეს წყაროები ერთმანეთს ავსებენ და იოვანეთორნიკეს მიერ ათონზე პირველი ქართველთა მონასტრის აშენების საკმარად სრულ სურათს წარმოაჩენენ, იმ მონასტრისა, რომელსაც თორნიკე თავიდანვე ჩორდვანელთა სახლის საკუთარ მონასტრად ვარაუდობდა.

2. როგორც მონასტრის ქტიტორი და მფლობელი, იოვანეთორნიკე ჯერ კიდევ მონასტრის მშენებლობის პროცესში ზრუნავდა მონასტრის ქართული ხელნაწერების ბიბლიოთეკის შექმნაზე და მონასტრის ღირსეული ქართველი მონაზვნებით დაკომპლექტებაზე, რათა მონასტერში მხოლოდ ქართველები ყოფილიყვნენ, მათ შორის ჩორდვანელთა სახლის წევრები, რომლებიც აქტიურად ჩაებმებოდნენ ივირონის ცხოვრებაში. ამან დიდად შეუწყო ხელი ივირონში მოკლე დროში მდიდარი ბიბლიოთეკისა (ქართულ-ბერძნული) და ლონიერი სკრიპტორიუმის ჩამოყალიბებას, რომელიც გამოცდილი მწიგნობარ-კალიგრაფებითა და მხატვრებით იყო დაკომპლექტებული და აგრძელებდა ქართულ მწიგნობრულ ტრადიციას.

თორნიკეს მიერ ივირონის ეკონომიური და უფლებრივი მდგომარეობის განმტკიცებამ მყარი საფუძველი შექმნა სამწერლობო და კულტურული საქმიანობის სწრაფი განვითარებისათვის. პირველ ათონელ ქართველთა კოლექტივი ჩორდვანელთა სახლის წევრთა მსვეურობით მთელი თავისი სამწერლობო, კულტურული და საზოგადოე-



ბრიგ-პოლიტიკური მოღვაწეობით პირველი დღეებიდანვე ქართველთა სამეფოს ინტერესების დამცველად გვევლინება ბიზანტიამი. ივიროს პერიოდში გადაიქცა უმნიშვნელოვანეს მწიგნობრულ ცენტრად, რომელიც დიდხანს ასაზრდოებდა როგორც საქართველოს მწიგნობრობას, ასევე საზღვარგარეთის ქართული კულტურისა და მწიგნობრობის ცენტრებს.

3. მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს ივირონის მონასტრისა და იქ მოღვაწე ჩორდვანელთა სახლის წევრთა შესახებ სააღაპე წიგნის დაღალისონელისეული რედაქცია. დაღალისონელის რედაქციის სააღაპე წიგნის შესწავლამ შესაძლებელი გახადა რედაქციის შიგნით სამი ქრონოლოგიური პლასტის გამოყოფა, რომელთაგან პირველი (უძველესი) მოიცავს 984-1045 წლებსა და შეიცავს მონასტრის ქტიტორთა და ჩორდვანელთა სახლის წევრებისათვის განწესებულ აღაპებს. სააღაპე წიგნის ეს პირველი ფენა იხსნება იოვანე სვინგელოზის (თორნიკ-ყოფილის) სახეიმო აღაპით. სააღაპე წიგნის ეს უძველესი პლასტი მომდევნო პლასტებისაგან გამოირჩევა აღაპთა აგებულიებით და განგებებით. ჩორდვანელთა სახლის წევრებისათვის განწესებული აღაპის განგებად მითითებულია იოვანე სვინგელოზის აღაპი: „ვითა სვინგელოზისასა სწერია“. ეს ნიშან-თვისება საშუალებას გვაძლევს სხვადასხვა დროის შევსებათაგან უშეცდომოდ გამოვყოთ საკუთრივ ჩორდვანელთა სახლის წევრებისათვის განწესებული სააღაპე წიგნი (დაღალისონელის სააღაპე წიგნის პირველი პლასტი) დანარჩენი პლასტებისაგან და წარმოვიდგინოთ ამ პერიოდში ათონზე მოღვაწე ჩორდვანელთა სახლის წევრებისა და ნათესავების ფართო წრე.

4. ივირონის აღაპებისა, ივირონის ბერძნული № 26 აქტისა და მისი ქართული მინაწერების შესწავლამ შესაძლებლობა მოგვცა ჩორდვანელთა სახლის წარმომავლობის საკითხს შევხებოდით და დოკუმენტური მასალით გაგვემაგრებინა ქართველი მეცნიერების ადრე გამოთქმული ვარაუდი, რომ ჩორდვანელები იგივე ჩორჩანელები არიან: ჩორჩანელები სამცხის ძველი ფეოდალური სახლია. მის განშტოებას წარმოადგენს ჩორდვანელთა სახლი, რომელიც X საუკუნის დამდეგიდან მკვიდრობს სამხრეთ ტაოში, ამ საუკუნის 70-იანი წლებიდან ისინი „უფალნი“ არიან ოშკის მონასტრისა და წარმართავენ მისი სკრიპტორიუმის საქმიანობას. ჩორდვანელთა მონასტრის სახელოვანი წევრი იოვანე სვინგელოზი თორნიკ-ყოფილი „უფალი“ აგრეთვე კარინის ქვეყნის



მონასტრისა, სადაც ოშკის მწიგნობრების მონაწილეობით შეიქმნა ქართული სკრიპტორიუმი.

მამულები და მონასტრები კარინის ქვეყანაში თორნიკეს უნდა მიეღო ბარდა სკლიაროსზე გამარჯვების შემდეგ ტაოში დაბრუნებისას იმ ბერძნული მიწებიდან, რომლებიც ბასილი II კეისარმა გადასცა დავით კურაპალატს დროებით მფლობელობაში. ამ დროიდან კარინის ქვეყანაში ჩორდვანელთა დამკვიდრება და იქ ქართული სკრიპტორიუმის შექმნა ქართული წიგნის გავრცელებისა და რეგიონის გაქართველებისათვის იმ კურსის განხორციელება იყო, რომელიც დასახული ჰქონდა დავით კურაპალატს.

5. ივირონი, როგორც ქტიტორული მონასტერი, ექვემდებარებოდა მონასტრის „უფალთა“ დადგენილ წევრებს: 1. მონასტრის წინამძღვრად წინა წინამძღვრის რეკომენდაციით ინიშნებოდა ჩორდვანელთა სახლის წევრი. 2. ჩორდვანელთა სახლის წევრებისათვის ალაპები იწერებოდა უმაღლესი განგებით: „ვითა სზნგელოზისასა სწერია“. ეს ორივე წესი ძალაში იყო გიორგი I (ვარაზფაჩეს) ათონიდან გაძევებამდე. შემდეგ ის თანდათან ქრება და მხოლოდ დროდადრო იჩენს თავს.

6. თორნიკეს დიდმა ავტორიტეტმა კეისართა კარზე, გამარჯვებამ ბარდა სკლიაროსზე, ნაალაფავმა, საკუთარმა დიდმა ქონებამ და ამ ოჯახის წევრებისათვის დამახასიათებელმა დიდმა ენერგიამ, შეუპოვობამ და ორგანიზატორულმა ნიჭმა ხელსაყრელი ეკონომიკური და უფლებრივი პირობები შექმნა, რომ ივირონი გადაქცეულიყო ათონის ერთ-ერთ მდიდარ, გავლენიან მონასტრად და დიდ კულტურულ-სამწიგნობრო ცენტრად.

7. მონასტერი წელში გატეხა პოლიტიკურ შეთქმულებაში მონაწილეობის მიღებისათვის გიორგი I (ვარაზფაჩეს) ათონიდან გაძევებამ. დადგა მონასტრის ყოფნა-არყოფნის საკითხი. 1030-1040-იან წლებში მონასტრის ბედი ბეწვზე ეკიდა. აქაც ჩორდვანელ-ჩორჩანელთა სახლის წევრების (გრიგოლი, ფარსმან და გიორგი ჩორჩანელი) აქტიურმა მოქმედებამ მიწასთან გასწორებული მონასტერი ფეხზე წამოაყენა. ამ ბრძოლის უკანასკნელ წლებს მოუსწრო გიორგი მთაწმიდელმა. ქართველებმა მოიგეს ბერძნებთან უთანასწორო ბრძოლა. გიორგი მთაწმიდელის ათონზე ჩასვლის დროიდან (1040 წ.) დაიწყო ახალი ხანა ივირონის ისტორიაში.

8. ქართული წერილობითი მასალების მიხედვით, ზედწოდება ჩორდვანელი პატრონიმად ვერ გადაიქცა. უკვე X საუკუნის მეორე ნახევარში ეს ზედწოდება კარგავს თავის რეალურ შინაარსს, სოციალურ და უფლებრივ დატვირთვას. ამ სახლის II და III თაობებში „ჩორდვანელი“ უკვე პრონომად იქცა, მიზეზი ამისა უნდა ვეძებოთ იმაში, რომ ჩორდვანელთა სახლი მოწყდა თავის ძირს — სამცხის ჩორჩანელთა სახლს, ახალი ფეოდალური სახლი შექმნა ტაოში და აქტიურად მონაწილეობდა ტაოს საშინაო და საგარეო პოლიტიკურ ცხოვრებაში, ერთ-ერთი ძლიერი ძალა იყო კურაპალატის კარზე. ამის პირდაპირი შედეგი ის იყო, რომ ამ სახლის მეორე და მესამე თაობათა წევრების უმრავლესობამ თავის სამოღვაწეო ასპარეზად ბიზანტია აირჩია. ბევრმა მათგანმა დიდ პატივსაც მიაღწია კეისართა კარზე, სახელი გაითქვა, მაღალი წოდებები დაიმსახურა. ამ კურსის გამოვლენა იყო ისიც, რომ თორნიკემ ააშენა ქტიტორული მონასტერი, რომელმაც ჩორდვანელთა და ჩორჩანელთა სახლების არაერთი წევრი მიიზიდა. ათონის ქართველთა მონასტერში კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს ერთი ფუძის ორი ვანაყარი სახლის წევრები, რომლებიც ერთმანეთში ნათესაურ კავშირს არ წყვეტენ. მათი ნათესაური კავშირი კარგად იყო ცნობილი ათონის ქართველთა მონასტრის საძმოსთვისაც. ჩორჩანელები იმავე პრივილეგიებით სარგებლობდნენ ჩორდვანელთა ქტიტორულ მონასტერში, როგორითაც ჩორდვანელთა სახლის წევრები. ჩორდვანელთა სახლმა ცოტა ხანს იარსება. XI საუკუნის შემდეგ ამ სახლის წევრები არც ქართულ და არც ბერძნულ-სომხურ წერილობით წყაროებში აღარ ჩანან.

На протяжении последних 10-ти лет, исследуя историю грузинского монастыря на Афоне (Ивирон), я вплотную подошла к вопросу изучения деятельности ктиторов Ивирона, членов грузинского княжеского дома Чордванели. Ознакомившись с основной научной литературой по данной теме, я была удивлена полным пренебрежением ученых (негрузиноведов) к грузинским древнейшим первоисточникам, имеющим непосредственную связь с историей дома Чордванели. Поразило меня также то необычайное упорство и настойчивость, с которой те же ученые, за редким исключением, без учета грузинских материалов, решают вопрос национальной принадлежности дома Чордванели. В итоге, большинство из них приходит к единому мнению, что княжеский дом Чордванели является таойской ветвью армянского дома таронских Торников, который берет свое начало от патрикия Торникия, сына Абу-Ганима (брата таронского князя). Следовательно, патронимом дома Чордванели является Торник, дом же следует именовать Торниковым, а члены дома — армянами халкидонитами.


Существование армян халкидонитов в Армении, Византии и Грузии не вызывает никакого сомнения. Очевидно и то, что в двуязычном Тао и других регионах Грузии с компактным населением армян, были и грузины монофизиты. Их сближению и объединению способствовало многовековое соседство двух народов и общие политико-культурные интересы. Поэтому изучение проблемы армян халкидонитов как в армянской, так и грузинской историографии вполне закономерно и актуально. Однако спекуляцию данной проблемой, с чем мы, к сожалению, часто встречаемся, считаю недопустимой, ибо кроме вреда и дезинформации подобная тенденция ничего хорошего науке не приносит. Именно с таким случаем столкнулись мы при изучении грузинского княжеского дома Чордванели.

А все началось с того, что весьма компетентные ученые (Н. Акинян, П. Пеетерс, Н. Адонц)<sup>1</sup>, не имеющие возможности непосредственного и комплексного изучения древнейших нарративных и документальных грузинских источников, касающихся истории дома Чордванели, и пользуясь только их краткими описаниями, обнаружили в них фактические и хронологические погрешности и, не найдя для них объяснений, признали их ненадежными, т.е. не заслуживающими доверия ученых<sup>2</sup>. Такой подход к изучению древнейших грузинских исторических источников оказал плохую услугу науке. Исключив их из научного оборота и этим лишив эту проблему аутентической документальной базы, ученые тем самым открыли безграничные возможности для беспочвенных предположений и гипотез, которые с большой легкостью распространялись в научных кругах. А основная суть гипотез и концепций сводится к следующему: опираясь на то, что два члена многочисленного дома Чордванели носят имя Торнике, весь дом причисляется к армянскому княжескому дому Торников, конкретно, — к таойской ветви Торников. Из этого следует, что Ивирон, блестящий очаг грузинской культуры и письменности X-XIII веков, ктиторами которого были Торнике и другие члены исконно грузинского дома Чордванели, является продуктом творческих усилий армяно-халкидонитского дома Торников.

Ответ на эту, весьма спорную, концепцию надо искать первым делом в незаслуженно дискредитированных вышеназванных грузинских древнейших письменных источниках.

<sup>1</sup> Н.Акинян, *დასახ. ნაწილობი*; P.Peeters, Un colophon géorgien de Thornik le moine.- Anal. Boll. 50, 1932, pp.358-371; N.Adontz, Tornik le moine.- Etudes arméno-byzantines. Lisbonne, 1965, pp. 297-318.

<sup>2</sup> Речь идет о Житии Иоанна и Евфимия Святогорцев, Житии Георгия Святогорца и о колофонах рукописей, переписанных по велению Торнике в монастырях Ошки, Ивирона и Карина. Справедливости ради следует отметить, что Н.Адонц, видимо, понимал, что колофоны и записи Ошкских грузинских рукописей требовали тщательного изучения до того, как дать им научную оценку. Он писал по этому поводу: "Колофоны, которые датируют древнегрузинские рукописи, требуют специального изучения. Мы надеемся, что в ближайшем будущем вернемся к ним". К сожалению, Н.Адонц к этому вопросу не возвращался.



За последние два десятилетия грузинское источниковедение ощутимо продвинулось вперед. Появились благоприятные условия для создания источниковедческой базы для изучения истории Ивирона. Этому способствовали следующие факторы: 1. Грузинские ученые получили микрофильмы всех грузинских рукописей Ивирона и приступили к их описанию и изучению (опубликован первый том описаний грузинских рукописей Ивирона), благодаря чему стало возможно кодикологическое и историко-филологическое изучение четырех рукописей Ивирона, созданных в Ошки и Ивиране по инициативе Торнике и его брата Иоанна Варазваче. 2. С легкой руки Н.А. Бердзенишвили предметом специального изучения стал Синодикон Ивирона, ценнейший источник истории Ивирона и дома Чордванели. 3. Издание греческих актов Ивирона (т.т. I-IV), осуществленное Парижским центром истории и цивилизации Византии. Греческие акты Ивирона предоставляют ученым новую ценную информацию по истории Ивирона и одновременно контролируют достоверность существующих других разноязычных источников.

Результаты, полученные от филолого-кодикологических исследований названных источников, создают прочную документальную базу, на основе которой более четко просматривается история Ивирона и деятельность его ктиторов, членов княжеского дома Чордванели.

Естественно, в этом кратком сообщении я могу представить только общие итоги проведенной работы, акцентируя внимание на тех фактах, которые легли в основу теории об армянском происхождении княжеского дома Чордванели.

Эта теория основывается на нескольких постулатах:

1. Два члена дома Чордванели носят армянское имя Торник, что указывает на связь этого дома с армянским домом таронских Торников.

2. В армянских хрониках Торнике назван грузином; для армянских же хроникеров это означает, что Торнике был армянином, принявшим грузинское православие (халкидонитство).

3. Местожительством дома Чордванели надо считать регион Карина, где Торнике имел земли и собственный монастырь.



4. Родным языком для Торнике был армянский, свидетельствует обнаруженная близ Карина стелла (хачкар) с армянской надписью "Торнике, сына Чордванели".

Теория построена вполне логично, но только на первый взгляд. На самом же деле изучение грузинских источников истории дома Чордванели выявило полную несостоятельность этой теории.


Изучение колофонов и записей рукописей, созданных в 976-983 годах по велению Торнике и его брата Иоанна Варазваче, показало, что они содержат уникальные сведения о деятельности и составе дома Чордванели. Сведения являются аутентическими и заслуживают полного доверия ученых вопреки мнению Н. Акиняна, П. Пеетерса и Н. Адонца.

Изучение же Синодикона Ивирона показало, что древний пласт этого ценного сборника агапов содержит поминальные записи только для членов дома Чордванели и их родичей. Следовательно, Синодикон Ивирона является также ценнейшим источником для изучения истории дома Чордванели и их родичей.

Анализ вышеназванных письменных источников истории дома Чордванели, в совокупности со сведениями греческих актов Ивирона, свидетельствует о грузинском происхождении дома Чордванели, подтверждаемом характером культурно-политической деятельности видных представителей этого дома. Для Ж. Лефора, издателя греческих актов Ивирона вопрос о национальном происхождении дома Чордванели не стоит. Ж. Лефор однозначно считает Чордванели грузинами, в частности о Торнике синкелле он пишет: "Дебаты о национальном происхождении Торнике (армянском или грузинском) лишены смысла: достаточно знать, что его родным языком был грузинский, а по вероисповеданию он был халкедонитом"<sup>1</sup>. Эти же письменные источники выявили родство между феодальными домами Чордванели и Чорчанели, что является дополнительным доказательством их грузинского происхождения.

Хочу напомнить, что грузинские ученые М. Джанашвили, Е. Такашвили, К. Кекелидзе и А. Богверадзе придерживались мнения, что дом Чордванели принадлежал влиятельному роду Чорчанели.

<sup>1</sup> Actes d'Iviron, I. Paris, 1985, p. 15, note (7).



Предложенная учеными идентификация фамильных прозвищ Чорчанели и Чордванели основывалась на этимологии и фонетическом сходстве этих прозвищ, а также на факте из "Жития Серапиона Зарзмели", где на почве раздела имущества самцхийского архонта Георгия Чорчанели произошел семейный конфликт, за которым последовал распад древнего рода Чорчанели на несколько феодальных домов.

О родстве двух феодальных домов Чорчанели и Чордванели свидетельствуют следующие факты: древний пласт Синодикона (первая часть сборника) открывается поминальной записью для Иоанна Синкелла, т.е. Торнике, учрежденной в день его смерти. Агап имеет богатый и торжественный устав, как это подобало ктитору Ивирона. Этот же устав повторяется и в агапах других членов дома Чордванели, а также в агапах членов дома Чорчанели со следующим указанием: "Как для Синкелла". Следовательно, привилегия, предназначенная для членов ктитурского дома, распространялась и на членов дома Чорчанели, что свидетельствует о родстве феодальных домов Чордванели и Чорчанели.

На представителей дома Чорчанели распространялась и другая привилегия дома Чордванели: до 1042 года только члены ктитурского дома и их родичи утверждались игуменами Ивирона по рекомендации предыдущего игумена, также представителя ктитурского дома<sup>1</sup>. Анализ поминальных записей Синодикона показал, что привилегией быть избранным на должность игумена до 1042 года, иногда и после, пользовались не только представители дома Чордванели, но и дома Чорчанели. Следовательно, братья Ивирона в этом, очень важном для монастыря вопросе, приравнивала представителей дома Чорчанели к членам дома Чордванели, что также свидетельствует о родстве этих двух домов. Это предположение подтверждается еще одним любопытным документом - грузинской припиской греческого акта Iv. № 26.

Греческие акты Ивирона, утверждающие юридический и имущественный статус монастыря, бережно хранились в его стенах. Документы регистрировались нотариусами, составлялись их описи.

<sup>1</sup> H.Métréveli, Note sur le Synodicon.-Actes d'Iviron, II, 1990, pp. 12-17.

При регистрации на обороте греческого документа, специально для грузинских монахов, не владеющих греческим, делались приписки на грузинском языке, раскрывающие содержание документов. Эти приписки, составленные в процессе регистрации, в некоторых случаях содержат дополнительные сведения о субъектах и объектах этих актов и определяют их значение для монастыря.

Грузинскую регистрационную запись имеет и греческий акт Iv. 26<sup>1</sup> (1042 года). Акт является купчей, выданной монахиней Марией, дочерью Стефана Стлаботы (Σθλαβοτα) игумену Ивирона Симеону. В акте сказано: дочь Стлаботы монахиня Мария и две ее племянницы продали Ивиرونу принадлежавший им земельный участок, находившийся около Болбоса<sup>2</sup>, близ земель Ивирона за 40 номисм, из которых 20 номисм они оставили игумену для учреждения поминальных записей для Марии и ее родичей. В грузинской же записи этого акта содержание акта передается следующим образом: "купчая сестры Чордманели купленных (у нея) земель рядом с Болбосом"<sup>3</sup>.

Составителю грузинской записи, современнику, возможно и соучастнику этой сделки, хорошо известны содержание и условия купчей; однако субъекта купчей - владельницу земли - он называет не монахиней Марией, как она представлена в греческом акте, а "сестрой Чордманели". Видимо, под этим прозвищем монахиня Мария хорошо была известна в кругу братии Ивирона.

Сделка между Марией и Ивироном нашла свое отражение и в других письменных документах Ивирона, в частности, в Синодиконе Ивирона, куда были внесены игуменом поминальные записи для Марии и ее родичей, как это было предусмотрено в условиях купчей (агапы №№ 16-19).

Агап № 19 учрежден для самой Марии, агапы же №№ 16-18 - для ее родичей. Все четыре агапа, предназначенные для членов ктиторского дома Чордманели имеют самый почетный устав - "Как

<sup>1</sup> Actes d'Iviron, I, Paris, 1985, pp.240-241.

<sup>2</sup> Болбос находится в Фессалонике, см. карту угодий Ивирона: Actes d'Iviron, II, p.58, fig.5.

<sup>3</sup> В переводе грузинской записи греческого акта Iv. 26 допущена ошибка, которая исправлена во втором томе актов: Actes d'Iviron, II, 1990, p.18, n.10.



для Синкелла". Среди упомянутых родичей Марии в агапах №№ 16-17 фигурируют: Иоанн монах, Абухарб, Торнике, Баграп. Все эти прономы распространены среди членов ктиторского дома Чордванели. Один агап учрежден для игумена Ивилона (№ 18), что также свидетельствует о его причастности к ктиторскому дому Чордванели, ибо, как было уже отмечено, игуменами Ивилона до 1042 года назначались только члены дома Чордванели.

Таким образом, родство монахини Марии с домом Чордванели не вызывает сомнений. Появление в грузинской записи греческого акта, упоминание "сестры Чордманели" вместо "монахини Марии" - не ошибка и не случайность. Прозвище монахини Марии "сестра Чордманели", видимо, бытовало в среде братии Ивилона и нашло отражение в грузинской записи греческого акта. Именно прозвище "сестра Чордманели" давало право игумену Ивилона учредить для агапов Марии и ее родичей особо почетный устав - "Как для Синкелла", предназначенный только для членов дома Чордванели и их родичей.

О широком распространении прозвища Марии в Ивилоне свидетельствует еще один факт: прозвище Марии было присвоено земельному участку, купленному у Марии. В греческом практиконе 1104 года (Iv. 52), который является описью земельных угодий Ивилона, участок рядом с Болбосом, приобретенный у Марии, именуется Чордванелевским (τοῦ Τζιβανέλου)<sup>1</sup>.

Следовательно, для братии Ивилона, которая присвоила участку это название, Мария и "сестра Чордманели" являлись синонимами, но более обычным для них было все же прозвище - "сестра Чордманели".

Нам остается выяснить: кто же такая сестра Чордманели, дочь Стефана Слаботы, какова степень ее родства с домом Чордванели?

В средневековых хрониках и нарративных памятниках (греческих, армянских и грузинских) презентация той или иной малоизвестной личности часто происходит посредством указания на родство этой личности с хорошо известной персоной. Случай с

<sup>1</sup> Actes d'Ivion, I, pp.240-241; II, p.18, n.10; 35, n. 73; 218, 239.

монахиней лишнее тому подтверждение. Поэтому для установления личности Марии необходимо установление личности Чордванели, сестрой которого она названа. Выяснению этого вопроса посвящается специальная глава в нашей работе. Здесь же мы предлагаем полученные результаты. Главный вывод: Чордванели, сестрой которого именуется монахиня Мария, не кто иной, как Георгий Чорчанели, предводитель самцхийского дома Чорчанели. Поэтому, хотя бы очень схематично, надо представить историю этого феодального дома и его отношение к дому Чордванели.

После смерти великого самцхийского архонта Георгия Чорчанели владения и все его имущество унаследовали его сестра и племянники. После смерти сестры Георгия власть перешла к ее сыновьям, создавшим несколько новых феодальных домов. Старший племянник унаследовал фамильное прозвище рода Чорчанели, став предводителем нового самцхийского дома Чорчанели. Ориентировочно к концу IX столетия, вероятно, сразу же после образования нового феодального дома Чорчанели, от дома отделилась одна ветвь под предводительством Чорчанели и перешла на постоянное жительство в Тао. Члены этого дома вскоре развили активную политическую и государственную деятельность как при дворе таойских куропалатов, так и в Византии.

В греческих письменных источниках глава таойского дома под именем Зурбанели, впервые упоминается в середине X века в трактате Константина Багрянородного "Об управлении империи", в грузинских же источниках с 70-х годов X столетия предводитель таойской ветви дома Чорчанели именуется уже как Чордванели.

Независимо от того, как мы объясним образование двух параллельных форм прозвища - Чорчанели и Чордванели, бесспорным фактом остается их существование, подтверждаемое грузинской записью греческого акта Iv. 26.

Нам остается выяснить еще один вопрос: какова была степень родства монахини Марии с домом Чордванели: в греческом акте Iv. 26 монахиня Мария представлена дочерью Стефана Слаботы. Каким образом Мария оказалась сестрой Георгия Чорчанели, отцом которого был Сула? (см. агап Синодикона № 37). Ответ может быть только один: родственная связь Марии с



домом Чордванели проходила по женской линии, т.е. мать могла быть сестрой Сулы, отца Фарсмана и Георгия Чорчанели. Будучи женой Стефана Стлаботы, она проживала со своей семьей в Константинополе, о чем свидетельствует активная деятельность братьев Чорчанели в Константинополе и Ивироне в 30-х годах XI века. Тогда по предложенному варианту Мария должна была быть двоюродной сестрой братьев Чорчанели, а не родной. Это не помешало автору грузинской приписки греческого акта, назвать Марию "сестрой Чордманели", так как в средние века термины, обозначавшие основные родственные структуры, распространялись на всех родичей одного поколения. По этому принципу сестрой могла называться не только родная, но и двоюродная сестра.

Из вышесказанного следует, что два родственных княжеских дома - Чордванели и Чорчанели являются двумя ветвями самцхийского древнего феодального дома архонта Георгия Чорчанели. Следовательно, их негрузинское происхождение полностью исключается.

ცნობები ივირონის ქტიტორთა — ტაოს ჩორდვანელების დიდი ფეოდალური სახლის შესახებ შემოგვინახა სხვადასხვა სასიათის ისტორიულმა პირველწყაროებმა. მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა X საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის, უფრო ზუსტად, 977 და 981 წლებში შექმნილი ორი ხელნაწერის მომგებელთა ანდერძები. ერთია — ე.წ. „ოშკის სამოთხე“ (Ath. 9), გადაწერილი 977 წელს ოშკის მონასტერში ამავე მონასტრის ცნობილი მწიგნობრის სტეფანეს მიერ<sup>1</sup>. „სამოთხის“ ხელნაწერს აქვს ორი ანდერძი: ერთია გადაწერ სტეფანესი, დაწერილი 977 წელს, ხოლო მეორე — მომგებლის — იოვანეთორნიკესი, დაწერილი შატბერდის ლავრის ცნობილი მწიგნობრის დავითის მიერ, რომელიც იყო მიქაელ მოდრეკილის დისშვილი და იოანე ბერას ძმა. მომგებლის ანდერძი დაიწერა 979 წელს, მას შემდეგ, რაც ბარდა სკლიაროსთან ბრძოლაში გამარჯვებული თორნიკე დაბრუნდა ტაოში და განიზრახა ამ ბრძოლაში მონაწილე ქართული მხედრიონის, მისი მხედართმთავრისა და ქართველთა მეფის დავით კურაპალატის დამსახურება წერილობით აღებეჭდა, რათა ეს სასახლო ფაქტი ცნობილი გამხდარიყო როგორც მის თანამედროვეთათვის სამშობლოსა და ბიზანტიაში, ასევე მომავალი თაობებისთვისაც.

ქართული მხედრიონის მიერ ბარდა სკლიაროსის დამარცხების შესახებ პირველხარისხიანი ისტორიული ცნობების გარდა მომგებლის ანდერძი გვაწვდის ფასდაუდებელ ცნობებს ჩორდვანელთა დიდი ფეოდალური სახლის წევრთა შესახებაც, რომლის ყველაზე წარჩინებული წევრი თვითონ თორნიკე იყო და რომლის სახელითაცაა დაწერილი ანდერძი.

ჩორდვანელთა სახლის წევრთა შესახებ მომგებლის ანდერძში მოტანილ ცნობათა შორის გამორჩეული ადგილი უკავიათ თორნიკესთან ერთად თორნიკეს ძმას, „სამოთხის“ მომგებლად წოდებულ იოვანე ვარაზგაჩქასა და მისი ოჯახის წევრებს.

<sup>1</sup> Ath.9 ხელნაწერის აღწერილობა და მასთან ერთად ხელნაწერის ანდერძები შემოკლებული სახით გამოაქვეყნა რბლეიკმა: R.Blake, Catalogue des manuscrits géorgiens de la bibliothèque de la Laure d'Iviron au mont Athos. ხელმოწერა სრული აღწერილობა ანდერძებითურთ გამოაქვეყნდა 1986 წელს, იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ათონური კოლექცია, I, გვ. 30-48.



იოვანე ვარაზგაჩეს ოჯახის შესახებ ანდერძში ვკითხულობთ: „მე, იოვანე თორნიკ-ყოფილმან და ძმამან ჩემმან იოვანე ვარაზგაჩე, სულკურთხეულისა ჩორდვანელისათა, მოვიგეთ და დავწერეთ წმიდაჲ ესე წიგნი... სამოთხს... სალოცველად და სადიდებულად პირველად ძლიერისა და ღმრთისმსახურისა მეფისა და ყოვლისა აღმოსავალისა კურაპალატისა და ვითისთვს... და მერმე იოვანე ვარაზგაჩესთვს და მეუღლისა მისისა და შვილთა მისთა: მიქაელისა და ჩორდვანელ ზორავარისა და ჩოროლოდისთვს და თორნიკისთვს, და ძმისწულთა ჩემთა: ჩორდვანელ პატრიკისთვს და ბაგრატ პატრიკისთვს“<sup>1</sup>.

„ოშკის სამოთხის“ მომგებლის ანდერძის ცნობა იოვანე ვარაზგაჩეს ძეთა რაოდენობის შესახებ მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა, რისი მიზეზიც იყო სიტყვა ჩოროლოდის შინაარსის სხვადასხვაგვარი გაგება.

ამ ხელნაწერის აღმწერელსა და ანდერძის პირველ გამომცემელს რობერტ ბლეიკს მიაჩნდა, რომ ანდერძის მიხედვით, იოვანე ვარაზგაჩეს ჰყოლია ოთხი ვაჟიშვილი: მიქაელ, ჩორდვანელი ზორავარი, ჩოროლოდი და თორნიკ. მისი აზრით, ჩოროლოდი ისეთივე საკუთარი სახელი იყო, როგორც სამი დანარჩენი: მიქაელ, ჩორდვანელი და თორნიკ<sup>2</sup>.

განსხვავებულად ესმის „ჩოროლოდი“ პ. პეეტერსს, რომელსაც ამ სიტყვის მნიშვნელობის ძიება დასჭირდა თორნიკეს მეორე ანდერძის შესწავლისას, რომელიც „განძის“ ხელნაწერს ერთვოდა<sup>3</sup>.

„განძის“ ხელნაწერი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ ერთფურცლიანი მომგებლის ანდერძის სახით, აკინძულია ათონიდან ჩამოტანილი ბერძნული ხელნაწერის თავფურცლად. ბერძნული ხელნაწერი ამჟამად ინახება მოსკოვის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების ბერძნულ ხელნაწერთა სინოდალურ კოლექციაში 62 ნომრით. ანდერძის ფოტო პ. პეეტერსს გაუგზავნა რ. ბლეიკმა. „განძის“ ანდერძის ტექსტი გამოკვლევითურთ გამოაქვეყნა პ. პეეტერსმა<sup>4</sup>.

სანამ „განძის“ ხელნაწერის ანდერძს განვიხილავდეთ, მოკლედ შევეხებით ამ ხელნაწერის შექმნის ისტორიას. „განძის“ ხელნაწერის

<sup>1</sup> ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ათონური კოლექცია, I, გვ. 47.  
<sup>2</sup> R.Blake, Catalogue, p.50.  
<sup>3</sup> P.Peeters, Un colophon géorgien de Thornik le moine.- Analecta Bollandiana, t. L.Paris, 1932, p. 367; ჩოროლოდის საკითხს ეხება J.Lefort-ი: Actes d'Ivion, v. I, p.16, n.2.  
<sup>4</sup> P.Peeters, დასახ. ნაშრომი, გვ. 358-371.



ანდრძიდან ირკვევა, რომ ხელნაწერი გადაწერილია „კარინის ქვეყანაში“ (კარნუ ქალაქში) თორნიკეს საკუთარ მონასტერში, რომელიც მის სამფლობელოში მდებარეობდა. გადაწერილია ხელნაწერი 981 წელს ოშკის ლავრის სკრიპტორიუმის ცნობილი მწიგნობრის – მიქაელის<sup>1</sup> მიერ, ხელნაწერი შემოსა იმავე ოშკის სკრიპტორიუმის მეორე სახელოვანმა მწიგნობარმა სტეფანე დეკანოზმა<sup>2</sup>. მისივე დაწერილია „განძის“ ანდერძის ტექსტიც. სტეფანე დეკანოზმა და მიქაელმა გიორგი მწიგნობართან ერთად 978 წელს ოშკის ლავრაში გადაწერეს ცნობილი „ოშკის ბიბლია“.

ამრიგად, „განძის“ ხელნაწერი, რომელიც „კარინის ქვეყანაში“ შეიქმნა, თორნიკეს საკუთარ მონასტერში თორნიკეს განკარგულებით 981 წელს გადაწერეს და შემოსეს ოშკის ლავრის ორმა სახელოვანმა მწიგნობარმა – მიქაელმა და სტეფანე დეკანოზმა, რომლებიც ადრე, 976-979 წლებში, მოღვაწეობდნენ ოშკის ლავრაში, რომლის „უფალნი“ იმ დროს იყვნენ თორნიკე, ძე ჩორდვანელისა და მისი ძმა იოვანე ვარაზვაჩი<sup>3</sup>. 979-980 წლებში ოშკის ლავრაში თორნიკესა და იოვანე ვარაზვაჩეს განკარგულებით გადაიწერა კიდევ ერთი ხელნაწერი (Ath. 3) – გიორგი ალექსანდრიელის „ცხორება იოვანე ოქროპირისა“<sup>4</sup>. სწორედ ამ ხელნაწერის ანდერძში ძმებს ჩორდვანელებს გადამწერი მიმართავს როგორც „დმრთივდიდებულთა უფალთა და წმიდა მამათა“<sup>4</sup>. საფიქრებელია, რომ ოშკის ლავრის მშენებლობის დამთავრების შემდეგ (976 წ.) ოშკის ლავრა ჩორდვანელთა დიდი სახლის საოჯახო მონასტერი გახდა. ამას გვაფიქრებინებს X საუკუნის 70-იან წლებში ოშკში გადაწერილ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში, ვარდა თორნიკესა და იოვანე ვარაზვაჩესი, ჩორდვანელთა სახლის სხვა წევრების მოსახსენებლების არსებობა.

<sup>1</sup> „განძის“ ხელნაწერის გადამწერი მიქაელი და „ოშკის ბიბლიის“ ერთ-ერთი გადამწერი მიქაელი რომ ერთი და იგივე პირია, ამას ადასტურებს ორივე შემთხვევაში მისი ერთნაირი ზედწოდებაც: „გლახკი მიქაელ მწერალი“.

<sup>2</sup> სტეფანეს გადაწერისას 977 წლის ხელნაწერი „ოშკის სამოთხე“, „სამოთხის“ ტექსტი და „განძის“ ანდერძი რომ ერთი პირის - სტეფანე დეკანოზის გადაწერილია, ამას ადასტურებს ორივე ხელნაწერის კალიგრაფიის იდენტურობა.

<sup>3</sup> ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (ათონური კოლექცია), გვ.29, Ath.3 ხელნაწერის ანდერძი. ხელნაწერის მომკვებლები არიან თორნიკე და იოვანე ვარაზვაჩე.

<sup>4</sup> იქვე



„განძის“ ხელნაწერის მომგებლის ანდერძი, ისევე როგორც „ოშკის სამოთხისა“, შეიცავს ცნობებს ჩორდვანელთა სახლის მფლობელის მადგენლობის შესახებ. ორივე ხელნაწერის მომგებელია თორნიკე. ორივე ანდერძი შედგენილია როგორც მოსახსენებელი და სადიდებელი თორნიკის სულიერი მამის აბულჰერითისა და ჩორდვანელთა სახლის წევრებისა. ორივე ანდერძის ცნობათა მიმწოდებელი თვით თორნიკეა. ამისდა მიუხედავად, ანდერძის ცნობები ჩორდვანელთა დიდი სახლის წევრთა შესახებ სავსებით იდენტურნი არ არიან, მაგრამ რიგ შემთხვევაში ისინი ავსებენ ერთმანეთს და უფრო სრულ სურათს ქმნიან ჩორდვანელთა სახლის შემადგენლობასა და მის ისტორიაზე.

ამ ორ ანდერძში წარმოდგენილია არა მარტო ჩორდვანელთა სახლის წევრების ნათესაური კავშირები, არამედ ზოგი მათგანის სოციალური მდგომარეობაც: თანამდებობები და საპატიო წოდებები, რაც მათ დაიმსახურეს ბიზანტიის იმპერიის სხვადასხვა ადმინისტრაციულ სტრუქტურებში აქტიური მოღვაწეობისათვის. ეს წოდებებია: სვინგელოზი, პატრიკი, მაგისტროსი, ექუსობიტი, ჩოროლოდი, ზორავარი.

ამ ცნობათა მიხედვით ჩორდვანელთა სახლი წარმოგვიდგება როგორც ტაოს ერთ-ერთი გავლენიანი ფეოდალური სახლი, რომლის წევრთა ფართო სამოღვაწეო ასპარეზი იყო როგორც ტაო — დავით კურუპალატის საგამგებლო, ასევე ბიზანტია.

„განძის“ მომგებლის ანდერძშიც, ისევე როგორც „სამოთხის“ მომგებლის ანდერძში, როგორც ზემოთ ითქვა, ცენტრალური ადგილი უკავიათ იოვანე ვარაზვაჩესა და მისი ოჯახის წევრებს: „აწ გვედრებით ყოველთა მორწმუნეთა, მოიჭსენენით, რომელნი-ესე მიჭსენებიან: პირველად მოძღუარი ჩემი იოვანე აბულჰერით, და ძმაჲ ჩემი იოვანე ვარაზვაჩე და შვილნი ჩუენნი სულიერნი და ჳორციელნი: მიქაელ და ჩორდვანელი ექუსოვიტი და ბაგრატ პატრიკი და ჩორდვანელი და მცირაჲ თორნიკე და სულნი მშობელთა ჩემთანი და ძმათა და ყოველთა თჳსთა ჩემთა“<sup>1</sup>.

ორივე ანდერძში თორნიკე ჩამოთვლის თავის ძმისწულებს. „სამოთხის“ ანდერძში ის ასახელებს იოვანე ვარაზვაჩეს, მის მეუღლეს და მის ვაჟიშვილებს: მიქაელს, ჩორდვანელს და თორნიკს. ამის შემდეგ ახსენებს კიდევ ორ ძმისწულს — ჩორდვანელ პატრიკს და ბაგრატ პა-

<sup>1</sup> P. Peeters, დასახ. ნაშრომი, გვ. 360.

ტრიკს, მაგრამ არ მიუთითებს, თუ რომელი ძმის თუ ძმების შვილები არიან ისინი.

„განძის“ ანდერძში იოვანე ვარაზვანეს ძენი არ არიან გაშიჯნულნი სხვა ძმისწულთა — ბაგრატ და ჩორდვანელ პატრიკებისაგან. თორნიკე თავის სუთივე ძმისწულს უწოდებს მისსა და იოვანე ვარაზვანეს სულიერ და სორციელ შვილებს.

ძმისწულთა ამ ჩამონათვალადან თუ გამოვყოფთ თორნიკეს ძმისწულებს — ბაგრატ პატრიკსა და ჩორდვანელ პატრიკს, დაგვრჩება მხოლოდ იოვანე ვარაზვანეს სამი ვაჟიშვილი: მიქაელი, ჩორდვანელი ექუსოვიტი და მცირაა თორნიკ<sup>1</sup>. ე.ი. „განძის“ ანდერძის მიხედვით, იოვანე ვარაზვანეს მხოლოდ სამი ძე ჰყოლია. ამდენად, ჩვენთვის საინტერესო ჩოროლოდი არ შეიძლება იყოს საკუთარი სახელი. როგორც უკვე ითქვა, ამ დასკვნამდე პირველად მივიდა პ. პეეტერსი. მისი აზრით, „სამოთხის“ ანდერძის ჩოროლოდი ადეკვატურია „განძის“ ანდერძის ექუსობიტისა (ანუ ექსკუბიტისა), რომელიც სამხედრო თანამდებობის აღმნიშვნელია (ἐξκουβίτος-εξκουβίταρ)<sup>2</sup>.

ცნობილმა არმენოლოგმა და ბიზანტინისტმა ნადონცმა ნაწილობრივ გაიზიარა პ. პეეტერსის ვარაუდი და დაეთანხმა მას იმაში, რომ ჩოროლოდი არ არის საკუთარი სახელი. ჩოროლოდი მან სომხურ ზედსართავ სახელად მიიჩნია და მიაკუთვნა არა ჩორდვანელს, არამედ ვარაზვანეს უმცროს ვაჟიშვილს თორნიკს, რომელიც „განძის“ ანდერძში „მცირაას“ ზედწოდებას ატარებს („მცირაა თორნიკ“). ამასთანავე ნადონცი შეეცადა ჩოროლოდის ეტიმოლოგიის ახსნას. მისი აზრით, ჩოროლოდის ფუძეა სომხური „ორდი“ — ვაჟიშვილი. ეს ზედსართავი ნადონცმა მიაწერა თორნიკს იმიტომაც, რომ ეს საკუთარი სახელიც სომხური წარმომავლობისაა<sup>3</sup>. ამრიგად, ვერც პ. პეეტერსი და ვერც ნადონცი ვერ ხსნიან ჩოროლოდის მნიშვნელობას, გამოთქვამენ ნაკლებად დამაჯერებელ ვარაუდებს.

<sup>1</sup> ორივე ანდერძში მათი ჩამოთვლის რიგი ერთნაირია. საფიქრებელია, რომ თორნიკეს ძმისწულთა ჩამოთვლაში უფროსობის პრინციპია დაცული. ამავე პრინციპითაა „განძის“ ანდერძში იოვანე ვარაზვანეს ძეთა ჩამონათვალში ჩართული თორნიკეს კიდევ ორი ძმისწული — ბაგრატ პატრიკი და ჩორდვანელი პატრიკი.

<sup>2</sup> P. Peeters, დასახ. ნაშრომი, გვ. 367.

<sup>3</sup> N. Adontz, Tornik le moine.- Etudes arméno-byzantines. Lisbonne, 1965, p.314, n.2.





დღეისათვის პ. პეტერსისა და ნადონცის მიერ გამოთქმული ვარაუდების შემოწმებისათვის მყარი საფუძველი არსებობს, ვინაიდან სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია როგორც ჩოროლოდის მნიშვნელობა, ასევე ექსკუბიტორისა.

ჩოროლოდი იშვიათი ხმარების სიტყვაა. ის არის ტერმინ ჩოროლოდის დისიმილირებული ფორმა. ყველაზე ადრე ეს ტერმინი ქართულ წერილობით ძეგლებში დადასტურდა ადიშის ოთხთავის მათეს თავში. ჩოროლოდის წარმომავლობა და მნიშვნელობა ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქციის მასალაზე (სომხურ და ბერძნულ ოთხთავებთან მიმართებაში) შეისწავლა ედონანაშვილმა.

ჩატარებულმა სამუშაომ ძველევარს საშუალება მისცა დაედგინა ჩოროლოდის წარმომავლობა და ზუსტი შინაარსი.

სიტყვა ჩოროლოდი ძნოლოდ ერთხელ დასტურდება ადიშის ოთხთავის მათეს თავში: „მას ჟამსა შინა ესმა ჰეროდეს ჩოროლოდსა ჰამბავი იესუსი“ (მ. 14, 1)<sup>2</sup>. ჯრუჭ-პარხლის შესაბამის ადგილას კი ვკითხულობთ: „მას ჟამსა შინა ესმა ჰეროდეს, ოთხთა სამთავროთა მთავარსა, ჰამბავი იესუსი“. ამრიგად, ადიშის ოთხთავის ჩოროლოდს შეესატყვისება ჯრუჭ-პარხლის „ოთხთა სამთავროთა მთავარი“. ეს განმარტება უცვლელად გაიმეორა გიორგი მთაწმიდელმა ოთხთავის მისეული თარგმანის ტექსტში, რომელმაც ვულგატის სახელი დაიმკვიდრა.

ბერძნული შესატყვისი ჩოროლოდისა არის ΤΕΤΡΑΡΧΗΣ. ტეტრარხის წოდება ჰეროდეთა დინასტიის მეფეებზე, ჩანს, მემკვიდრეობით გადადიოდა. ტეტრარხის ტიტულს ატარებდა დიდი ჰეროდეს მამა ანტიპატროსი, მისი სიკვდილის შემდეგ ტეტრარხობა რომის იმპერატორისაგან ეზოდა დიდ ჰეროდეს, ხოლო ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ ტეტრარხი გახდა მისი მემკვიდრე ჰეროდე ანტიპა, უკვე იესო ქრისტეს თანამედროვე.

<sup>1</sup> ედონანაშვილი. ადიშის ოთხთავის კომპოზიციები (ოთხთავის სომხურ და ბერძნულ ტექსტებთან მიმართებაში). - მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 29, 1951, გვ. 90,99; მისივე, მასალები ადიშის ოთხთავის წარმომავლობის საკითხისათვის. - მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 32, 1955, გვ. 203-207.

<sup>2</sup> ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, გამოსცა აკაკი შანიძემ. თბ., 1945.



სოფოკლეს ბერძნული ენის ლექსიკონში ტეტრარხი განმარტებულია როგორც ქვეყნის ერთი მეოთხედის მმართველი (the governor of the fourth part of country), ამასთანავე მოტანილია ტეტრარხის სხვა მნიშვნელობებიც: გენერალი, მცირე პრინცი, რაზმის კომანდორი<sup>1</sup>. ყველა შემთხვევაში ტეტრარხი ეწოდება დიდი სახელმწიფოებრივი გაერთიანების (იმპერიის, ქვეყნის) ერთ-ერთი რეგიონის მთავარს, ადმინისტრაციულ და სამხედრო მმართველს. ტეტრარხის თანამდებობა IX საუკუნიდან ბიზანტიის იმპერიის სამხედრო-ადმინისტრაციულ სტრუქტურებში არ ჩანს<sup>2</sup>, ის შეცვალა — დუკა და კატეპანმა.

ტეტრარხი რომ რეგიონის სამხედრო გამგებელიც არის, ეს ჩანს „ოშკის სამოთხის“ ანდერძიდანაც, სადაც ჩორდვანელი მოხსენებულია ერთდროულად როგორც „ზორავარი“ და „ჩოროლოდი“.

გარდა ადიშის ოთხთავის მათეს თავისა, ΤΕΤΡΑΡΧΗΣ ქართული თარგმანი ქართული ოთხთავის ძველი რედაქციების ლუკას თავშიც გვხვდება ორჯერ. საინტერესოა, რომ ორივე შემთხვევაში ეს სიტყვა ლუკას თავში ერთნაირად არის თარგმნილი როგორც ადიშის, ასევე ჯრუჭ-პარხლის რედაქციებში: „ოთხთა საბრძანებულთა მთავარი“ (ლ. 3, 19) და „მეოთხედმთავარი“ (ლ. 9, 7). ორივე შემთხვევაში ტეტრარხი ჰეროდეს ტიტულს გადმოსცემს. სომხურ ოთხთავში ტეტრარხი ყველა შემთხვევაში თარგმნილია როგორც ჩორორდაპეტი, რაც სიტყვასიტყვით მეოთხედის (ჩორორდ) მთავარს (პეტ) ნიშნავს<sup>3</sup>.

ამრიგად, ადიშის ოთხთავში ტეტრარხის სამი სხვადასხვა თარგმანი გვაქვს.

ის ფაქტი, რომ ბერძნული „ტეტრარხის“ ორი უკანასკნელი თარგმანი საესებით ერთნაირია ქართული უძველესი ოთხთავების ორივე რედაქციაში, საგულეებელს ხდის, რომ ტეტრარხის პირველი თარგმანი (ჩოროლოდი) ლიტერატურული გზით (დედნიდან) არ უნდა შესულიყო

<sup>1</sup> E.A.Sophocles. Greek Lexicon. თავისი ძირითადი მნიშვნელობით ტეტრარხი სოფოკლეს ლექსიკონში I-II საუკუნეების წერილობით წყაროებშია დადასტურებული.

<sup>2</sup> N.Oikonomidés, Les listes de préséance byzantines des IX<sup>e</sup> et X<sup>e</sup> siècles. Paris, 1972.

<sup>3</sup> ამ მასალაზე დაყრდნობით ილაპულაძე თავის ძველი ქართული ენის ლექსიკონში ჩოროლოდს შემდეგნაირად განმარტავს: „ტეტრარქი, „ოთხთა სამთავროთა მთავარი“ ან „მთავარი ოთხთა სამთავროთაგანისა“, ასევე განმარტავს ტეტრარხს ი.დვორეცკი: правитель четырех областей или одной четвертой части области (Древнегреческо-русский словарь).



ადიშის ოთხთავში<sup>1</sup>. წინააღმდეგ შემთხვევაში აუხსნელი რჩება ზოგე რამე.  
 1. რატომ გადავიდა სომხური ტერმინი ჩორორდაპეტე ქართულ თავში სახეშეცვლილი (ჩოროროდი)<sup>2</sup>. ასახსნელია ისიც, თუ რატომ არის „ტეტრარხი“ სხვადასხვა თარგმანით წარმოდგენილი ადიშის ოთხთავის მათესა და ლუკას თავებში. მსგავს ფაქტებს, ჩვეულებრივ, ხსნიან იმით, რომ ადიშის ოთხთავი სულ ცოტა ორი განსხვავებული რედაქციის ტექსტს შეიცავს და ორივე რედაქციას არაერთი რევიზია განუცდია. ა.შანიძე იმასაც ვარაუდობს, რომ ოთხთავის ქართული თარგმანის რევიზიის ერთ-ერთი ცენტრი შატბერდის ლავრა უნდა ყოფილიყო<sup>3</sup>, სადაც უძველესი ოთხთავის სამივე ხელნაწერი გადაიწერა.

ჩოროროდი რომ ლიტერატურული გზით არ უნდა იყოს შესული ადიშის ოთხთავში, ამ ვარაუდს მხარს უჭერს ჩოროროდის დისიმილირებული ფორმის ჩოროლოდის არსებობა „ომკის სამოთხის“ ორიგინალურ ანდერძში. ამრიგად, დღესდღეობით ქართულ წერილობით ძეგლებში ჩოროროდი-ჩოროლოდის ხმარების სულ ორადორი შემთხვევა დადასტურებული ადიშის ოთხთავსა და „ომკის სამოთხის“ ანდერძში. ორივე ხელნაწერი ტაო-კლარჯეთის დიდებულ ლავრებში – შატბერდსა და ოშკშია შექმნილი; პირველი – IX საუკუნის ბოლოს, მეორე – X საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში. ჩანს, ამ პერიოდში ეს სომხურ-ქართული ტერმინი ამ ორენოვანი რეგიონის სამეტყველო ენაში ფართოდ ყოფილა გავრცელებული. ამავე რეგიონში უნდა განეცადა ჩორორდაპეტთან შედარებით ცვლილებები მის ქართულ ვარიანტს – ჩოროროდი (ჩოროლოდი).

ის ფაქტი, რომ „სამოთხის“ ანდერძში ჩორდვანელის თანამდებობრივი მდგომარეობა ბიზანტიის იმპერიაში გადმოცემულია ორი სომხური წარმომავლობის ტერმინით (ზორავარი და ჩოროლოდი), გვაფიქრებინებს, რომ ჩორდვანელი უნდა ყოფილიყო მთავარი ბიზანტიის იმპერიის ერთ-ერთი აღმოსავლური პროვინციისა, სადაც სომხურ-ქართული მოსახლეობაც სახლობდა. ამ ვარაუდის სასარგებლოდ ის ფაქტიც გამოდგება, რომ X საუკუნის II ნახევარში ჩორდვანელთა სახ-

<sup>1</sup> ედონანაშვილი, მასალები ადიშის ოთხთავის წარმომავლობის საკითხისათვის, გვ. 205-208.

<sup>2</sup> ედონანაშვილი, იქვე, გვ. 205, შენ.2.

<sup>3</sup> ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, გვ. 011.



ლის სხვა წევრებსაც ჰქონდათ ტაოს მეზობელ პროვინციებში (კარინი, ტრაპიზონის, ქალდიის რეგიონებში) თავისი სამკვიდრო მიწები.

ამრიგად, შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ 979 წლის „ოშკის სამოთხის“ ანდერძის ჩოროლოდი არ არის საკუთარი სახელი. ეს არის სომხური წარმომავლობის სამოხელეო ტერმინი, რომლის სომხური მოდელია ჩორორდაპეტი, ქართულში გავრცელებული ჩორო-ლოდი-ჩოროლოდის სახით. თავის მხრივ ჩორორდაპეტი ბერძნული სამოხელეო ტერმინის – ტეტრარხის თარგმანია, რომელიც დიდი სახელმწიფოებრივი გაერთიანების ერთი მეოთხედის (ერთი რეგიონის) მთავარს ეწოდება. ჩოროლოდი – ჩოროლოდი IX-X საუკუნეებში გავრცელებული იყო ტაო-კლარჯეთის სამწერლობო და სამეცხველო ენაში და მას გარკვეული რეალური შინაარსი ჰქონდა როგორც სამოხელეო ტერმინს. ამ პერიოდში სომხური წარმოშობის სამოხელეო ტერმინების გავრცელების შემთხვევები ტაოსა და კლარჯეთში სხვაც არის ცნობილი – მაგ., ზორავარი და ტანუტერი<sup>1</sup>.

იოვანე ვარაზგაჩეს ძის ჩორდვანელის ზედწოდება ზორავარი და ჩოროლოდი, ერთად თუ ცალ-ცალკე, უნდა გამოხატავდეს ჩორდვანელის თანამდებობრივ მდგომარეობას X საუკ. მეორე ნახევრის ბიზანტიის სამხედრო-ადმინისტრაციული სტრუქტურების მიხედვით და უნდა შეესატყვისებოდეს შესაბამის ბერძნულ სამოხელეო ტერმინს. ეს ბერძნული ტერმინი არ შეიძლება იყოს ტეტრარხი, რომლის თარგმანსაც წარმოადგენს ჩოროლოდი, ვინაიდან IX-X საუკუნეების ბიზანტიის სამხედრო-ადმინისტრაციული სტრუქტურების რეესტრებში (ტაქტიკონებში) ეს თანამდებობა უკვე აღარ არის შეტანილი<sup>2</sup>.

ზემოთ ითქვა, რომ პ. პეტერსმა გამოაქვეყნა და შეისწავლა 981 წლის „განძის“ ხელნაწერის ანდერძი, შეადარა იგი „ოშკის სამოთხის“ 979 წლის ანდერძს და ამის საფუძველზე გამოთქვა ვარაუდი, რომ „ოშკის სამოთხის“ ანდერძში იოვანე ვარაზგაჩეს ძის ჩორდვანელის სამოხელეო მდგომარეობის ამსახველი ტერმინის ჩოროლოდის ბერძნული ადეკვატი უნდა იყოს ექსკუბიტი, რომლითაც იმავე ჩორდვანელის სამოხელეო მდგომარეობაა გადმოცემული „განძის“ ანდერძში.

<sup>1</sup> ი.ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია.- თბზულებანი, VI, 1982, გვ. 333; ა.შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში, 1971, გვ.30.  
<sup>2</sup> N.Oikonomidés, les listes de préséance.



ენახოთ, რა ვითარებაა ამ მხრივ. მაგრამ, სანამ ექსკუბიტორის მნიშვნელობის გარკვევას შევუდგებოდეთ, გვინდა მოვიტანოთ IX-X საუკუნეების ბიზანტიური ტაქტიკონების გამომცემლის ნ.იკონომიდისის გამოთქმული ზოგადი ხასიათის ცნობა ბიზანტიურ სამოსხლეო ტერმინებზე. ის წერს: IX-X საუკუნეების ბიზანტიურ თანამდებობათა ფუნქციები ყოველთვის ბოლომდე ნათელი არ არის. თითოეულ სამსახურს თუ თანამდებობას შეიძლება ჰქონდეს თავისი ძირითადი მოვალეობების გვერდით დამატებითი ფინანსური თუ იურიდიული ატრიბუტები იმ სფეროში, რომელიც მის ადმინისტრაციულ კომპეტენციასთან არის დაკავშირებული. ამავე თვალსაზრისით მნიშვნელობა ჰქონდა იმ პოზიციასაც, რომელიც ამა თუ იმ თანამდებობის პირს მოპოვებული ჰქონდა საიმპერატორო კარზე<sup>1</sup>.

ეს ფაქტორები, ალბათ, გასათვალისწინებელია ექსკუბიტორის ფუნქციების განსაზღვრისათვისაც.

ექსკუბიტორი არის საიმპერატორო სასახლის დამცველი საჯარისო კორპუსის ქირით აყვანილი ჯარისკაცი. ამ კორპუსის მეთაური იყო დომესტიკი.

საიმპერატორო სასახლის შეიარაღებული დაცვა ორი კატეგორიის საჯარისო გაერთიანებებში ერთიანდებოდა. ერთია — საკუთრივ სასახლის მცველთა / კონტინგენტი, რომელიც დაკომპლექტებული იყო უცხოელი დაქირავებული ჯარისკაცებით. ამ სამხედრო კორპუსებს ჰეტერია (hetaireia) ეწოდებოდა, ხოლო ამ კორპუსების მეთაურს — ჰეტერიარხი<sup>2</sup>. ლეონ VI დროიდან, დაახლოებით 941 წლამდე, არსებობდა სამი ჰეტერია: პირველი — დიდი (μεγάλη), რომელიც დაკომპლექტებული იყო მაკედონელებით, მეორე — საშუალო (μέση), რომელიც ღია იყო უცხოელებისათვის და მესამე — სადაც შედიოდნენ ცენტრალური აზიის თურქები და ხაზარები.

ყველაზე გვიანდელი (X საუკ. უკანასკნელი მეოთხედი) ესკურიალის ტაქტიკონი ასახელებს დამატებით მეოთხე ჰეტერიას, რომელიც დაკომპლექტებული იყო დაქირავებული რუსი ქვეითი ჯარისკაცებით<sup>3</sup>. ეს სამხედრო კორპუსები უშუალოდ იმპერატორს ექვემდებარებოდა, ხოლო ამ სამხედრო კორპუსების მეთაურთა ტიტულები

<sup>1</sup> N.Oikonomidés, დასახ.ნაშრომი, გვ.302.

<sup>2</sup> იქვე გვ. 327.

<sup>3</sup> იქვე

(ჰეტერიარხი, მანგლაპიტი, პროტოსპათარი ან სამეფო კატეპანი) სამეფო კატეპანის პატივის კატეგორიას განეკუთვნებოდა.

საიმპერატორო სასახლის დაცვის კორპუსები ერთიანდებოდნენ ტაგმაში (სამეფო ჯარის კორპუსები), რომლის გარნიზონები განლაგებული იყო კონსტანტინოპოლში ან მის მოსაზღვრე პროვინციებში. კონსტანტინოპოლის სამეფო ტაგმა დაკომპლექტებული იყო დაქირავებული პროფესიონალი ჯარისკაცებით, რომელთაც მეთაურობდნენ უმაღლესი რანგის ოფიცრები (დომესტიკი, დრუნგარი, დუკი)<sup>1</sup>.

X საუკუნეში კონსტანტინოპოლის ტაგმას ჰყავდა ოთხი მეთაური, მათ შორის ყველაზე საპატიოდ ითვლებოდა სხოლის დომესტიკი, ე.ი. სასახლის დაცვის კორპუსის დომესტიკი. სხოლის დომესტიკი, როგორც მაღალი რანგის დამოუკიდებელი ოფიცერი, 767 წლიდან ჩანს<sup>2</sup>.

სხოლე, ისევე როგორც ექსკუბიტი, საიმპერატორო სასახლის რიგითი მცველის წოდებაა, მათ შორის განსხვავება, ალბათ, კონკრეტულ ფუნქციებშია საძებარი.

IX-X საუკუნეების წყაროების მიხედვით, სხოლის დომესტიკი, იმპერატორის კონსტანტინოპოლში არყოფნის შემთხვევაში, იმპერიის უმაღლესი მხედართმთავრის ფუნქციებს ასრულებდა<sup>3</sup>.

ექსკუბიტთა დომესტიკის თანამდებობა წყაროებში პირველად ჩნდება 765 წ.<sup>4</sup> ტაქტიკონის ესკურილის ნუსხაში დასახელებულია აღმოსავლეთის და დასავლეთის ექსკუბიტთა დომესტიკები და ამასთანავე საკუთრივ კონსტანტინოპოლის ექსკუბიტთა დომესტიკი, რომელიც ნ. იკონომიდისის ვარაუდით, უფრო დაბალი რანგის თანამდებობაა, ვინემ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ექსკუბიტები. ნ. იკონომიდისი ფიქრობს, რომ ექსკუბიტთა სამ კორპუსად დანაწილება ხანმოკლე მოვლენა იყო, ვინაიდან XI საუკუნის წყაროებში მოიხსენიება ექსკუბიტთა მხოლოდ ერთი მეთაური (დომესტიკი). ალექსი I კომნენის მეფობის დროს კი ეს თანამდებობა სულ ქრება<sup>5</sup>. ასეთ ვითარებაში ვინ შეიძლება ყოფილიყო ჩორდვანელი ექსკუბიტი – რა თანამდებობა ეჭირა მას ბიზანტიის სამხედრო-ადმინისტრაციულ სტრუქტურაში? პირველი, რაც დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, ის არის, რომ ჩორდ-

<sup>1</sup> N.Oikonomidés, დასახ.ნაშრომი, გვ.329.

<sup>2</sup> იქვე

<sup>3</sup> იქვე

<sup>4</sup> იქვე გვ. 265, 270, №. 27, 330.

<sup>5</sup> იქვე გვ. 330.

ვანელი უნდა ყოფილიყო არა რიგითი ექსკუბიტი, არამედ ექსკუბიტთა /  
კორპუსის დომესტიკი, ვინაიდან „ვანძის“ ანდერძის მიხედვით, <sup>1</sup>   
ზორავარი და ჩოროლოდი.

ორივე ამ თანამდებობის მიხედვით, როგორადაც არ უნდა გავში-  
ფროთ ისინი — ერთად თუ ცალ-ცალკე, 979 წლის ანდერძის მიხედ-  
ვით, ჩორდვანელი, ძე იოვანე ვარაზეაჩესი, იმპერიის ერთ-ერთი რე-  
ვიონის სამხედრო-ადმინისტრაციული მმართველი ყოფილა, ალბათ,  
სამხრეთ ტაოს მოსაზღვრე პროვინციისა, სადაც სახლობდნენ როგორც  
ქართველები, ასევე სომხებიც. 981 წლის „ვანძის“ ანდერძის მიხედვით  
კი, ჩორდვანელი უკვე ექსკუბიტთა კორპუსის დომესტიკია, რომელიც  
შედიოდა უშუალოდ იმპერატორის დაქვემდებარებულ ტაგმაში. ბიზან-  
ტიის სამხედრო-ადმინისტრაციულ თანამდებობათა შკალის მიხედვით —  
ჩორდვანელისათვის ეს დაწინაურებას ნიშნავდა. ეს ახალი თანამდებობა  
და საიმპერატორო პატივი ჩორდვანელმა მიიღო 979-981 წლებში, ე.ი.  
მას შემდეგ, რაც ბარდა სკლიაროსთან ბრძოლაში გამარჯვებული  
თორნიკე ქართველთა მხედრიონთან ერთად ტაოში დაბრუნდა დიდად  
დამსახურებული იმპერატორთა წინაშე და სახელმოხვეჭილი. მაღლიერმა  
იმპერატორებმა სათანადოდ დააფასეს ქართველების მიერ იმპერიისათვის  
გაწეული სამსახური და მაღალი სამეფო პატივი და მამულები უბოძეს  
დავით კურაპალატსა და თორნიკეს. სავსებით შესაძლებელია, რომ  
ჩორდვანელიც თავის ბიძასთან — თორნიკესთან ერთად მონაწილეობას  
იღებდა ბარდას წინააღმდეგ ბრძოლაში (მით უმეტეს, რომ ის  
ზორავარის ტიტულს ფლობდა იმ დროისათვის), რისთვისაც იმპერა-  
ტორებმა ისიც დააჯილდოვეს და მიანიჭეს ექსკუბიტთა დომესტიკის  
პატივი.

ამ ჩვენს ვარაუდს ისიც უჭერს მხარს, რომ ექსკუბიტთა დომეს-  
ტიკი იმ დროისათვის პრესტიჟულ თანამდებობად იყო მიჩნეული. ამის  
თაობაზე ნ.იკონომიდისი წერს: IX-X საუკუნეებში „მკაცრად გან-  
საზღვრულ ფუნქციონერთა იერარქიაში არსებითი ცვლილებები არ  
მომხდარა. განსხვავებები უფრო დეტალებში ვლინდებოდა. ამ დროს  
ჩნდება ახალი თანამდებობებიც, ქრება ძველი, უფუნქციო თანამდე-  
ბობები, ხოლო მოძველებული თანამდებობები მოდიფიკაციას  
განიცდიან. ყველაფერი ეს ხდება იმპერატორის დეკრეტების საფუძ-  
ველზე“.

<sup>1</sup> N.Oikonomidés, დასახნაშრომი, გვ. 30-31.



სამოხელეო ტერმინების მოდიფიკაცია ორი სახისა იყო. ხდებოდა ამა თუ იმ თანამდებობის მნიშვნელობის განდიდება ან დაკნინება. მაგ. IX-X საუკუნეებში მეტ მნიშვნელობას იძენს, შესაბამისად იზრდება ექსკუბიტთა დომესტიკის პრესტიჟი. შესაძლოა, ამითაც იყო გამოწვეული ჩოროლოდის შეცვლა მსგავსი შინაარსის ტერმინით — ექსკუბიტით. ჩორდვანელის ეს ახალი თანამდებობა უფრო აახლოებდა ჩორდვანელს და მისი სახლის წევრებსაც საიმპერატორო კართან.

ამით შეიძლებოდა დაგვემთავრებინა ჩოროლოდისა და ექსკუბიტის ტერმინთა განხილვა, კიდევ ერთი სამოხელეო ქართული ტერმინი ოთხმიზდური რომ არ იყოს იმავე ტერმინებთან დაკავშირებული. ჩვენ საჭიროდ ვცანით ოთხმიზდურს შევხებოდით იმიტომაც, რომ ამ ქართული სამოხელეო ტერმინის რეალური შინაარსი ბოლომდე გახსნილი არ არის.

სამოხელეო ტერმინ „ოთხმიზდურზე“ ქართულ წერილობით წყაროებში მცირერიცხოვანი ცნობები მოიპოვება. ამან განაპირობა ის, რომ დღემდე არ არის დადგენილი ამ სამოხელეო ტერმინის ზუსტი შინაარსი. სამეცნიერო ლიტერატურაში ამის თაობაზე გამოთქმულია სხვადასხვა ვარაუდი. ოთხმიზდური რომ „საქვეყნოდ გამრიგე“ მოხელეა, ეს საერთო აზრია, მაგრამ დღემდე დაუდგენელია ამ მოხელის ფუნქციები და ტერმინის ეტიმოლოგია.

ი.ჯავახიშვილი გელათისადმი ბოძებული ორი სიგელის შესწავლის შედეგად შენიშნავს „ოთხმიზდურის“ შესახებ: „იქნებ მხოლოდ დასავლეთ საქართველოში ყოფილიყო ამგვარი სამოხელეო სახელი. არავითარი ცნობები ამ თანამდებობაზე არ მოგვეპოვება. ისიც კი არ ვიცით, დარბაზის კარს მყოფი მოხელე იყო ოთხმიზდური, თუ საქვეყნოდ გამრიგე? თვით აგებულითაც კი ეს სიტყვა უცნაურია“<sup>1</sup>.

ოთხმიზდურზე თავისი თვალსაზრისი გამოაქვეყნა ს. კაკაბაძემ. მისი აზრით, „ოთხმიზდური“ აღნიშნავდა ოთხ-მიზდიანის უფროსს, ე.ი. ჯამაგირიანი ოთხი მსახურის უფროსს და უდრიდა „კარვოსან, აბჯროსან, ქოთლოსანს“<sup>2</sup>. ეს თვალსაზრისი არ გაიზიარა ი.ანთელავამ, რომელმაც „ოთხმიზდური“ ფისკალურ მოხელედ მიიჩნია, რომელიც საერ-

<sup>1</sup> ი.ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, ტ. I. - თხზულებანი, VI, 1982, გვ. 338.

<sup>2</sup> ს.კაკაბაძე, შოთა რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი, თბ., 1966, გვ. 204-205.



ისტაოს მეოთხედში იღებს გადასახადს<sup>1</sup>. ეს თვალსაზრისი „მიზღურის“ მისეულ გაგებას: გადასახადის ამკრეფი.

„მიზღური“ იშვიათი ხმარების სიტყვაა. მისი ყველაზე ადრეული ხმარება დადასტურებულია ბიბლიის „გამოსლვათა“ წიგნის (XXII, 15) საბასეულ რედაქციაში. „მიზღურის“ ნაცვლად ოშკის ბიბლიაში ვკითხულობთ: „სასყიდლად დადგინებული იყოს“, ე.ი. ქირით აყვანილი. ასევე ეს გადმოცემული რუსულ ბიბლიაში: „ВЗЯТЪ НЫЛЪ ВНАЙМЫ ЗА ДЕНЬГЪ“. ამრიგად, „მიზღური“ ნიშნავს დაქირავებულს, საფასით აყვანილ პირს, ხოლო მიზდი კი, საბას განმარტებით, არის „ასაღები რამ სარგო, ქირა“ და არა ფისკალური გადასახადი<sup>2</sup>.

ვნახოთ, რა კონტექსტშია ქართულ წერილობით ძეგლებში ნახმარი სამონეტეო ტერმინი „ოთხმიზღური“. დღეისათვის „ოთხმიზღურის“ წყაროებში ხმარების სულ რამდენიმე შემთხვევაა ცნობილი. აქედან უძველესად ითვლება „დიდი სჯულისკანონი“, რომელიც თარგმნილია ქართულად არა უგვიანეს 1105 წლისა<sup>3</sup>. გვხვდება ეს ტერმინი სამეფო სიგელებშიც: 1187 წლის თამარ მეფის სიგელი, ბოძებული გელათისადმი<sup>4</sup>, 1207/1208 წლის ლაშა გიორგის სიგელი გელათისადმი<sup>5</sup>, 1261/1262 წლის მეფე დავითის (რუსუდანის ძის) სიგელი<sup>6</sup>.

1187 წლის სიგელი წარმოადგენს გელათის სატრაპეზოსთვის არგვეთ-ჭორვილას ბოძების წიგნს, რათა 12 მწირს, რომელნიც მონასტრის აშენების დროიდან განწესებულნი იყვნენ გელათში, ჰქონოდათ მუდმივი საზრდო გელათის სატრაპეზოდან. თამარი თხოულობს თავისი განწესების დაცვას და მიმართავს ქვეშევრდომებს: „აწ ვინცა ჰნახოთ ბრძანებაჲ და სიგელი ესე ჩემი, შემდგომითი-შემდგომად მეფეთა, ერისთავთ-ერისთავთა, ერისთავთა, აზნაურთა, ოთხმიზღურთა, ნაცვალთა, აჯამეთის აბრამდოთა (?), ტყის მცველთა უხუცესთა, გოგნისასა ციხის ციხის-

<sup>1</sup> იანთელავა, ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XIII სს. თბ., 1983, გვ. 199.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> დიდი სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიძაშვილმა, ე. გოუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ, გ. ნინუამ. თბ., 1975, გვ. 180.

<sup>4</sup> ქართული ისტ. საბუთების კორპუსი, 1, თბ., 1984, გვ. 79.

<sup>5</sup> იქვე გვ. 105.

<sup>6</sup> იქვე გვ. 167.



თავთა, ჯელისუფალთა, ვაზირთა და ყოველთა საქმის-მოქმედთა ჩუენთა დიდთა და მცირეთა, დაუმტკიცეთ და ნუვინ მოშალოს“ (გვ.79).

თანამდებობის პირთა ამ ვრცელ ჩამონათვალში ოთხმიზდურს უკავია მეხუთე ადგილი — აზნაურთა შემდეგ, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ოთხმიზდური „დიდთა საქმის-მოქმედთა“ (მოხელეთა) კატეგორიას განეკუთვნებოდა. ასეთივე ვითარებაა დანარჩენ ორ სიგელში: 1207 წლის ლაშა გიორგის გელათისათვის ბოძებულ სიგელში ოთხმიზდურს მოხელეთა ჩამონათვალში კიდევ უფრო საპატიო ადგილი აქვს მიჩენილი: სიგელის დასკვნით ნაწილში ვკითხულობთ: „აწ ვინცა ჰნახოთ ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი: ერისთავთ-ერისთავთა, ოთხმიზდურთა, ნაცვალთა, ტყისმცველთ-უზუცესთა და ყოველთა მათ ქუეშეთა ჯელისუფალთა და საქმისმოქმედთა ჩუენთა, დაამტკიცეთ და ნუ ვინ უშლით ბრძანებასა ამას ჩუენსა“ (გვ. 106).

აქ ოთხმიზდური მოხელეთა ჩამონათვალში უშუალოდ მოსდევს ერისთავთ-ერისთავს და წინ უძღვის — ნაცვალს.

1261/62 წლის მეფე დავითის (რუსუდანის ძის) სიგელშიც ანალოგიური ვითარებაა: „აწ ვინცა ჰნახოთ ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი: ერისთავთ-ერისთავთა, დიდებულთა, აზნაურთა, ოთხმიზდურთა, ტყისმცველთა-უზუცესთა, ტყისმცველთა და [ყოველთა] საქმის-მოქმედთა ჩუენთა, დიდთა და მცირეთა, დაუმტკიცეთ“ (გვ. 168).

აქაც ოთხმიზდური თანამდებობათა ჩამონათვალში მეხუთე ადგილზეა — აზნაურთა შემდეგ, ე.ი. ოთხმიზდური მიეკუთვნება „დიდთა საქმის-მოქმედთა“ ჯგუფს.

სამივე სიგელში მეფის ბრძანება მიმართულია ადგილობრივი მმართველობის მოხელეებისადმი, მაშასადამე, ოთხმიზდურიც არის არა ცენტრალური ხელისუფლების საქმის-მოქმედი ანუ მოხელე, არამედ ადგილობრივი მმართველობის მოხელე, რომელიც ცენტრსაც ექვემდებარება. ეს რომ ასეა, ამას ადასტურებს „დიდი სჯულისკანონიც“, რომელმაც შემოგვინახა ტერმინ ოთხმიზდურის უძველესი (დღესდღეობით) მოსსენიება.

„დიდი სჯულისკანონის“ კანონებრივ განწესებაში წარმოდგენილია ერთი კანონი, რომელიც ეხება ქალის მოტაცების შემთხვევაში მომტაცებლისათვის სასჯელის განწესებას. კანონი ასეა ჩამოყალიბებული: „უკუეთუ ვინმე მხოლოდ აღიტაცოს ვითარ-სახეცა რამდენდაცა მკვეალი ანუ თავისუფალი, დაღაცათუ მისდა დაწინდებული იყოს, დასჯილი თავისა მოკუეთითა მოკუდებოდენ. ხოლო აღტაცებასა



თანაშემწეთა მისთაჲ ჯერ-არს აღტაცებულისა მამათა და ძმათა და მოურავთა და მამულთა და პატრონთადა ჟამსა შინა ზედამოწმებისა მათისასა მომკლველობა მათი. ხოლო უკეთუ განველტენ, ეძიებდედ მათ სამეფოთა ვიდრემე შინა მთავარნი და ეპარხოზნი, ხოლო სამთავროთა შინა ყოველნი მთავარნი და მკედართ-მფლობნი და ოთხ-მიზღურნი და შემამტკიცებლობით მოჰპოლვიდენ<sup>1</sup> დამნაშავეს, ეი. დამნაშავეს ძებნა, კანონის თანახმად, უნდა ხდებოდეს როგორც სამეფოს მასშტაბით მთავართა და ეპარხოზთა მიერ, ასევე ცალკეულ სამთავროებში მთავართა, მხედართ-მფლობელთა და ოთხმიზღურთა მიერ.

მოტანილ კანონში მკვეთრად არიან გამოიჯნული დამნაშავეს მძებნელთა და დამსჯელთა ორი კატეგორიის მოხელენი: ერთი მხრივ — სამეფოს, მეორე მხრივ — სამთავროთა მოხელენი. ამ უკანასკნელ ჯგუფს მოხელეებისას მიეკუთვნება ოთხმიზღურიც. სამთავროთა სამ დასახელებულ მოხელეთაგან ორი — მხედართ-მფლობელი და ოთხ-მიზღური სამხედრო მოხელეთა ტიტულებია. მათ ეკისრებათ დამნაშავეს ძებნა და დასჯა.

სჯულისკანონში ოთხმიზღურის ბერძნული ფარდია დუკი (δὸν δῦκ).

თუ ჩვენ თავს მოვუყრით ქართული სიგელებისა და სჯულისკანონის ცნობებს ოთხმიზღურისა და მისი ბერძნული მოდელის — დუკის შესახებ, ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ დუკი — ოთხმიზღური არის ადგილობრივი მმართველობის მაღალი რანგის სამხედრო მოხელე, რომელიც ცენტრალური ხელისუფლების სამხედრო წარმომადგენელია ადგილობრივ მმართველობაში და ცენტრალურ ხელისუფლებას ექვემდებარება. მაგრამ იმისთვის, რომ უფრო ახლოს მივიდეთ ოთხმიზღურის თანამდებობრივი სტატუსის შინაარსის გაგებასთან, ალბათ, უნდა გავითვალისწინოთ დუკის სტატუსის ევოლუცია ბიზანტიაში.

დუკი სოფოკლეს ბერძნულ ლექსიკონში განმარტებულია როგორც მხედართმთავარი: ἡγεμῶν, στρατοπεδάρχης, στρατηλάτης. Lampe-ს ლექსიკონში დუკი განმარტებულია ისტორიულ ჭრილში: ერთ-ერთი პროვინციის სამხედრო მეთაური იმის შემდეგ, რაც დიოკლეთიანემ გაყო სამოქალაქო და სამხედრო მმართველობა (ძალაუფლება).

ბიზანტიის სამხედრო-ადმინისტრაციული სტრუქტურები და შესაბამისად მოხელეების ფუნქციები განიცდიდნენ ცვლილებებს დროთა

<sup>1</sup> დიდი სჯულისკანონი, გვ. 180.



მსვლელობაში. მნიშვნელოვან რეფორმებს ჰქონდა ადგილი ბიზანტიის პროვინციულ ადმინისტრაციაში X საუკუნეში. ეს რეფორმა აისახა იკონომიდისის გამოცემულ ტაქტიკონის ესკურიალის ნუსხაში, რომელიც 971-975 წლებით თარიღდება. რეფორმით გამოწვეულ ცვლილებათა გათვალისწინებით, დუკი შემდგენიარად არის განმარტებული გამოცემაში: X საუკუნის შუაწლებამდე დუკი დიდი სამხედრო მეთაურის ტიტულია. კერძოდ, დუკის პატივს ატარებდა სხოლის დომესტიკი (საიმპერატორო სასახლის დაცვის კორპუსის მეთაური). X საუკუნის II ნახევრიდან დუკი გვევლინება ბიზანტიის იმპერიის სასაზღვრო პროვინციების მმართველად, სადაც განლაგებული იყო მცირე მოცულობის საჯარისო ნაწილები; თვით დუკი ამ რეგიონის (პროვინციის) მოზრდილი სამხედრო საჯარისო კორპუსის მეთაური იყო, რომელიც შედგებოდა ტაგმის (საიმპერატორო ჯარის) დაქირავებული კავალერიისაგან. ამ ახალი ფუნქციების მქონე დუკი პირველად მოიხსენიება ნიკიფორე ფოკას მეფობის წლებში (963-969)<sup>1</sup>.

დუკის ფუნქციათა ამ განსაზღვრაში ჩვენთვის საინტერესო ორი ძირითადი მომენტი გამოიყოფა: X საუკუნის II ნახევრიდან დუკი არის საჯარისო კორპუსის მეთაური იმპერიის სასაზღვრო პროვინციებში. ესე იგი დუკი რეგიონალური სამხედრო მმართველია, რომელიც მეთაურობს დაქირავებულ საჯარისო ნაწილს (კორპუსს).

ამ პოზიციებიდან თუ შევხედავთ დუკის ქართულ შესატყვისს „ოთხმიზდურს“ და გავითვალისწინებთ მის რეალურ სამოხელეო ფუნქციებსა და ადგილს საქართველოს სახელმწიფო სამხედრო-ადმინისტრაციულ სტრუქტურებში, დავრწმუნდებით, რომ ოთხმიზდური სრულ შესაბამისობაშია რეფორმის შემდეგდროინდელ დუკის ფუნქციებთან.

„ოთხმიზდური“ კომპოზიცია, რომლის პირველი ნაწილი ოთხი – მეოთხედის მნიშვნელობით სახელმწიფო გაერთიანების ერთი რეგიონის აღმნიშვნელია. „ოთხის“ მონაწილეობით შექმნილი სამოხელეო ტერმინი, რომელიც რეგიონალური მოხელის ტიტულატურას წარმოადგენდა, იყო ბერძნული ტეტრარხი, ასევე კომპოზიტის სახით გადასული სომხურში – ჩორორდაპეტე. ხოლო ქართულში – ჩორორდაპეტის გამარტივებული სახით – ჩოროროდი – ჩოროლოდი.

<sup>1</sup> N.Oikonomidés, დასახ. ნაშრომი, გვ. 344. ამავე საკითხს ქება: J.C.Cheyne, Du stratège de thème au duc.-Travaux et mémoire, v.9. 1985, pp. 181-185.



როგორც ჩანს, რომის იმპერიის დროიდან ტეტრ-მა მიიღო სახელმწიფოებრივი გაერთიანების — რეგიონის, პროვინციის მნიშვნელობა, რომელიც სამოხელეო ტერმინებში აისახა.

ამდენად, ოთხმიზდურის ოთხი მიუთითებს იმას, რომ ეს სამოხელეო თანამდებობა ადგილობრივი მმართველობის სამხედრო-ადმინისტრაციულ სტრუქტურას განეკუთვნება, მისი რეალური შინაარსი კი, როგორც ზემოთ ითქვა, შეიარაღებული კორპუსის თუ ჯგუფის მეთაურობაა, რომელსაც სხვა ადმინისტრაციულ მოხელეებთან ერთად რეგიონში წესრიგის დაცვა ევალებოდა.

კომპოზიტ ოთხმიზდურის მეორე ნაწილი მიზდური ამ თანამდებობის მეორე არსებით თავისებურებას მიუთითებს, კერძოდ, იმას, რომ ის მიზდურია, ე.ი. მიზდით, ხელფასით აყვანილი, დაქირავებული, საფიქრებელია, ცენტრალური ხელისუფლების მიერ, როგორც მისი ინტერესების დამცველი ადგილობრივ მმართველობაში. შესაძლოა, დაქირავებული იყო არა მარტო თვით ოთხმიზდური, არამედ ის შეიარაღებული ჯგუფიც, რომლის მეთაურიც იყო ოთხმიზდური, ე.ი. ოთხმიზდური, დღევანდელ ტერმინოლოგიაზე რომ გადმოვიტანოთ, პოლიციის უფროსი იყო ადგილობრივ მმართველობაში.

დაგვრჩა კიდევ ერთი საკითხი გასარკვევ: რა მიმართებაა „ოშკის სამოთხისა“ და „განძის“ ანდერძებში მოხსენიებულ იოვანე ვარაზფაჩეს ძის ჩორდვანელის თანამდებობრივი მდგომარეობის ამსახველ სამოხელეო ტერმინებსა — ზორავარი, ჩოროლოდი და ექსკუბიტტი — და ოთხმიზდურს შორის.

პირველი, რაც უნდა ითქვას ამის თაობაზე, ის არის, რომ ქართული სამოხელეო ტერმინი ოთხმიზდური უფრო გვიან არის შექმნილი (XI საუკუნის დამლევს), ვიდრე ზემოთ ჩამოთვლილი ზორავარი, ჩოროლოდი და ექსკუბიტტი და არც ერთი მათგანის ადეკვატს არ წარმოადგენს, ამავე დროს აერთიანებს ამ თანამდებობებისათვის დამახასიათებელ ძირითად ნიშნებს. ოთხმიზდური, მსგავსად ზორავარისა, მეთაურია შეიარაღებული ნაწილისა, მსგავსად ჩოროლოდისა — რეგიონალური მმართველია და ბოლოს, მსგავსად ექსკუბიტისა — ცენტრალური ხელისუფლების დაქირავებული (მიზდით აყვანილი) მოხელეა, ამ ხელისუფლების ინტერესების დამცველი რეგიონში.

ყველაზე მეტ სიახლოვეს ოთხმიზდური იჩენს რეფორმის შემდეგ-დროინდელ დუკთან, რომლის თარგმანსაც იგი წარმოადგენს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ოთხმიზდური არის ნეოლოგიზმი, შემოტანილი ქარ-



თულ სალიტერატურო ენაში არსენ იყალთოელის მიერ დიდი  
სჯულისკანონის თარგმნის პროცესში, შედგენილი ჩორორდავეტ-  
ჩოროროდის კვალობაზე და X-XI საუკუნეებში დუკისთვის დამახასია-  
ათებელი ფუნქციური მაჩვენებლების გათვალისწინებით.

*Резюме*

Статья посвящается разъяснению термина чоророди, упоминаемого в колофонах двух рукописей конца X века и по-разному толкуемого в научной литературе. В этой связи рассматривается также термин отхмиздури.

Автор разделяет мнение о связи чоророди с армянским чорордапетом, происходившим от греческого тетрарха, означавшего правителя одной четверти большого государственного объединения, и приводит в обоснование этого дополнительный материал.

Критически рассматривая высказанные ранее мнения относительно термина отхмиздури, автор считает его неологизмом, введенным Арсеном Икалтоели. Наибольшую близость указанный термин проявляет к пореформенному дуку, являясь его прямым переводом.

**OFFICIAL TERMS "CHORORODI" AND "OTKHMIZDURI"**

*Summary*

The article in an effort to define the term "Chororodi", mentioned in the entries of two manuscripts of the end of the X century, which has different interpretations in scientific literature. In this respect the term "Otkhmizduri" is also considered.

The author shares the view of the links of "Chororodi" with Armenian chorordapet derived from the Greek tetrarkh, meaning the ruler of the quarter of a big state union. The author provides additional materials for further foundation.

The author critically reviews the views put forward about the term "Otkhmizduri". He considers it to be a neologism, first introduced by Arsen Ikaltoeli. This term is close to the postreform "Duke" by being its direct translation.

ათონის ქართველთა მონასტრის მესამე წინამძღვრის გიორგი I-ის მოღვაწეობის ქრონოლოგია საკმაოდ სრულად არის წარმოდგენილი ქართულ და ბერძნულ წყაროებში.

ქართული წყაროებიდან ცნობები გიორგი I-ის შესახებ<sup>1</sup> შემოგვინახეს იოვანეს და ეფთვიმეს, და გიორგი მთაწმიდლის „ცხოვრებებმა“.

იოვანეს და ეფთვიმეს „ცხოვრებამი“ გიორგი I იწოდება იოვანეს და ეფთვიმეს „თჳსად“ ანუ ნათესავად: იოვანე იბერმა სიკვდილის წინ „ყოველი კელმწიფება და უფლებამა მამსა ეფთვიმეს მისცა, რამთა რომელიცა განგებამ და წესი ენებოს, იგიცა დაუდვას მონასტერსა და მას ზედაცა განკანონოს, და შინა და გარე, ვითარცა ენებოს, ეგრეთ განავოს. და მერმე შემდგომად თჳსა უბრძანა, რამთა გიორგის დაუტეოს მამობამ, რომელი-იგი თჳსივე იყო მათი, კაცი სახელოანი და ფრთხილი ჯორციელთა საქმეთა ზედა. და კუალად უბრძანა, რამთა გიორგი შემდგომად მისა სხუამ დაუტევეს წინამძღუარი, რომელი იპოოს სიტყვთ და საქმით სხუათა უმჯობესი ძმათა შორის“<sup>2</sup>.

სიკვდილის წინ მონასტრის საერო ეპიტროპობა იოვანემ ბასილსა და კონსტანტინე კეისრებს „შეჰვედრა“ და მათვე „შეავედრა“ ეფთვიმე და გიორგიც („ცხოვრება“, 40, 1). როგორც ვხედავთ, გიორგი I ის პიროვნება იყო, რომელსაც იოვანე იბერმა გულდამწვიდებით ეფთვიმეს შემდგომ მონასტრის გამგებლობა მიანდო იმ დიდი დამსახურებისა და სახელისათვის, რომელიც გიორგის მოუპოვებია იოვანეს სიცოცხლეშივე.

პირველი, ყველაზე ადრეული ცნობები გიორგი I-ის ათონზე მოღვაწეობის შესახებ შემოგვინახეს ივირონის ბერძნულმა აქტებმა<sup>3</sup>.

<sup>1</sup> ასე უწოდებთ ქვემოთ ქართველთა მონასტრის მესამე წინამძღვარს გიორგი მთაწმიდლისაგან გასარჩევად. შტრ. კეკელიძე, ერთი ადგილის შესახებ ათონელების ბიოგრაფიაში.— ეტიუდები, II, 1955, გვ. 65.

<sup>2</sup> „ცხოვრებამ იოვანესი და ეფთვიმესი“, ივჯავახიშვილის გამოცემა, 1946. § 39. ქვემოთ დავიმოწმებთ შემოკლებით „ცხოვრება“. ციტირებისას მივუთითებთ პარაგრაფების ნომრებს, როგორც სქოლიოში, ასევე ძირითად ტექსტში.

<sup>3</sup> J.Lefort, D.Papachryssanthou, Les premiers géorgiens à l'Athos.- Bedi Kartlisa, XLI, 1983, pp.27-33; იოანე, ეფთვიმე და გიორგი ათონელების ბერძნული „ცხოვრება“, გამოსაცემად მოამზადა მამანანელმა. თბ., 1982, გვ.49.





995 წლის დეკემბრის დავის წიგნში მოხსენებულნი არიან ეფთვიმე, ძე იოვანე ქართველისა, და გიორგი, ძმისწული იოვანე ქართველისა. 996 წლის ნოემბრის „ბჭობის წიგნში“ აღნიშნულია, რომ იოვანე ქართველი ავადმყოფობის გამო ვერ გამოცხადდა სასამართლოში, მაგრამ გაგზავნა თავისი წარმომადგენლები: შვილი ეფთვიმე ბერი და ძმისშვილი ბერი გიორგი<sup>2</sup>.

გიორგი ათონის რამდენიმე ბერძნული მონასტრის დოკუმენტში მოხსენებულია ეფთვიმესთან ერთად, როგორც მისი ბიძაშვილი<sup>3</sup>.

1020 წლის დეკემბრის ივირონის აქტში (№24) მოხსენიებულია კათიკუმენი გიორგი და მისი ნეტარი ბიძები იოვანე ქართველი და იოვანე სვინგელოზი. ეს დოკუმენტი საინტერესოა იმ მხრივაც, რომ აქ ათონის პროტი ლეონტი საგანგებოდ ჩერდება როგორც იოვანე იბერისა და იოვანე სვინგელოზის, ასევე მათი ძმისწულის გიორგის დამსახურებაზე ათონის მთის საკეთილდღეოდ. აქტში აღნიშნულია, რომ ბასილი კეისარმა ხრიზობულით დაამტკიცა ქართველთა მონასტრის უფლება ერთი უღელი ხარის ყოლისა მონასტრის სამეურნეო სამუშაოებისათვის. ეს გადაწყვეტილება დღემდე ძალაშია – ამბობს ათონის პროტი, – იმ კეთილი საქმეების მარადიული ხსოვნის ნიშნად, რომლებიც მოიმოქმედეს ათონის მთის მიმართ გიორგის ნეტარსწენებულმა ბიძებმა – იოვანე ქართველმა და იოვანე სვინგელოზმა. აქვე აღნიშნულია, რომ გიორგი თავისი საქმიანობით განაგრძობს ბიძების ტრადიციას<sup>4</sup>.

ზემოთმოტანილი ცნობების მიხედვით, გიორგი უკვე 990-იანი წლების დამდეგს ქართველთა მონასტრის ბერია, რომელსაც იცნობენ ათონზე როგორც იოვანე ქართველისა და იოვანე სვინგელოზის ძმისწულს და ეფთვიმეს ბიძაშვილს.

გიორგის, როგორც საპატრიო, დამსახურებულ და გამოცდილ პიროვნებას იოვანე იბერმა ანდერძით დაავალა თავისი გარდაცვალების

<sup>1</sup> J.Lefort, D.Papachryssanthou, დასახ. ნაშრომი, გვ. 32; Actes d'Ivion, I. Paris, 1985, p.155.

<sup>2</sup> იქვე; Actes d'Ivion, I, p. 164, 169.

<sup>3</sup> Actes de Lavra, I, № 19; Vatoped (გამოუქვეყნებელი) 1018 წლის აპრილი-დეკემბერი, დაცულია პარიზის „ბიზანტიის ისტორიისა და ცივილიზაციის ლაბორატორიის“ არქივში.

<sup>4</sup> Actes d'Ivion, I, p.228.

შემდეგ მონასტრის პატრონობა ჯერ ეფთვიმესთან ერთად, ხოლო შემდეგ დამოუკიდებელი<sup>1</sup>.

1016 წლის თებერვლიდან 1018 წლის დეკემბრამდე გიორგი ბერძნულ დოკუმენტებში ჩანს ეფთვიმესთან ერთად, ხელს აწერს როგორც „გიორგი ბერი“, ეფთვიმეს შემდეგ<sup>2</sup>. 1020 წლის 20 დეკემბრის დოკუმენტში გიორგი პირველად იწოდება წინამძღვრად<sup>3</sup>.

გიორგი I-ის პოპულარობას X საუკ. 90-იან წლებში ათონსა და განსაკუთრებით ათანასეს ლავრაში მოწმობს აგრეთვე ათანასეს დიატიპოსი, რომელიც 984-1001 წლებში დაწერილად არის მიჩნეული<sup>4</sup>. დიატიპოსი წარმოადგენს თავისებურ ანდერძ-ტიპიკონს, სადაც ჩამოყალიბებულია ათანასეს უკანასკნელი ნება და განკარგულება ლავრის მომავალი განმგებლებისადმი, რომელთაც ის აბარებს ლავრას მისი გარდაცვალების შემდეგ.

იმის შემდეგ, რაც ათანასე დამოძღვრავს დიატიპოსში ლავრის მომავალ ეპიტროპს იოვანე იბერს, რომელმაც ლავრის რჩეულ ბერთა საკრებულოსთან ერთად უნდა წარმართოს მონასტრის ძმობის სულიერი ცხოვრება, ის იძლევა უკანასკნელ დარიგებებს და თხოვნით მიმართავს მომავალ წინამძღვარს, ეპიტროპს და მთელ საძმოს, რომ საგანგებოდ გაუფრთხილდნენ ათანასესათვის ყველაზე ახლობელ და საყვარელ პირებს, და აქვე ასახელებს მათ: ანტონს, მის მეგობარს იოვანე კალიგრაფს, გიორგი იბერს და სხვ.<sup>5</sup>

ამ გამორჩეულ ბერთა შორის გიორგი იბერის დასახელება მოწმობს იმას, რომ იგი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ლავრაში და ათანასე ათონელის ახლობელი იყო ისევე, როგორც იოვანე იბერი, თორნიკე და ეფთვიმე. გიორგი ერთხანს ლავრაში ცხოვრობდა, აქტიურად იყო ჩაბმული ლავრის ცხოვრებაში და დახმარებას უწევდა ათანასეს მის საქმიანობაში. გიორგის აქტიური ბუნება, მისი მოღვაწეობის ფართო ასპარეზი, საქმის ორგანიზაციის დიდი უნარი კარგად ჩანს ივირონში მისი მოღვაწეობიდან. აღსანიშნავია მისი კონტაქტები ბიზანტიის მთავრებთან და მაღალ მოხელეებთან. გავიხსენოთ, თუ როგორ

<sup>1</sup> იოვანეს ანდერძში ჩამოყალიბებული წინამძღვრის არჩევისა და დადგენის წესი პირველად ათანასე ათონელმა ჩამოაყალიბა ლავრისათვის თავის დიატიპოსში.

<sup>2</sup> J.Lefort, D.Papachrysanthou, დასახ. ნაშრომი, გვ. 31.

<sup>3</sup> იქვე: Actes d'Iviron, I, p.228.

<sup>4</sup> Actes de Lavra, I, p.20.

<sup>5</sup> იქვე, გვ.19.



ახასიათებს გიორგი მთაწმიდელი გიორგი იბერის პიროვნებას, როგორც გიორგი იბერი, რომელიც ცხოვრობდა საქმეთა ზედა ფრთხილ იყო და მის უამისა წარჩინებულთა და მთავართა წინაშე სახელოვან და მთავა ყოველი დიდად პატივს(ს)-სცემდა და ეკრძალვოდა<sup>1</sup>.

1019 წელს მამა ეფთვიმემ უარი თქვა წინამძღვრობაზე და მონასტრის გამგებლობა გადააბარა გიორგის. „ცხოვრებაში“ ეს ფაქტი ასეა გადმოცემული: „ხოლო ვინაათგან წმიდამან მამამან ჩუენმან ეფთ-ვმე წინამძღვრობაჲ მონასტრისაჲ დაუტევეა და გიორგი მამად დაადგინა, (გიორგიმ — ე.მ.) კნინლადა უმეტესნი ზემოქსენებულთა მათ წესთაგანნი შეცვალნა და თუსსა ნებასა და განზრახვასა შეუდგა და სხუათა რათმე წესთა და კანონთა ენება დამტკიცებაჲ. ხოლო დიდსა ეფთვმის, დაღაცათუ უძნდა საქმე ესე, არამედ, ვინაათგან მშჯღობის მოყუარე იყო და საგსე სიყუარულითა, ყოვლადვე არა აცილა, არამედ თუსსა მსახურებასა განკრძალულ იყო და წიგნთა საღმრთოთა თარგმნასა შექცეულ“<sup>2</sup>.

ამრიგად, 1019 წლის შემდეგ გიორგი დამოუკიდებლად, ერთპიროვნულად წყვეტს მონასტრის საქმეებსა და ბევრ რაიმეს ცვლის მონასტრის წესებში სამეურნეო ცხოვრების მოწყობის მიზნით. ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც მან გააკეთა, იყო ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის აშენება, რის გამოც მან „დიდისა“ და „მაშენებლის“ ზედწოდება დაიმსახურა<sup>3</sup>.

სამეურნეო და საამშენებლო სამუშაოთა წარმოებისათვის გიორგის მუშახელი და ხელოსნები ესაჭიროებოდა, რისთვისაც მან მონასტერში მოიზიდა ბერძენი ბერები, რადგან ისინი კარგი ხელოსნები იყვნენ. „ცხოვრების“ ავტორი გიორგის ამ ნაბიჯს არასწორად მიიჩნევს, მაგრამ ამავე დროს გამართლებასაც უძებნის: „ვინაათგან იხილა, რომელ ფრიადი ერი საკმარ იყო სივრცისათჳს მონასტრისა და სიმრავლისათჳს სამსახურებელთაჲსა, და ჩუენ არა დავდგებოდეთ, ბერძენთა მიექცა და იგინი განამრავლა“ (§ 115, 6). მაგრამ, ამავე დროს, „ვინაათგან ჭეშმარიტისა ჯერ-არს თქუმაჲ, — განაგრძობს ობიექტური შემატებანი გიორგი მთაწმიდელი — „უკუეთუ მოვიდის ვინმე ქართველი, რომელსა

<sup>1</sup> „ცხოვრება“, § 115, 3.

<sup>2</sup> „ცხოვრება“, § 115, 1-2.

<sup>3</sup> ვრცლად გიორგის საქმიანობის შესახებ იხ. მამაჩხანელი, „იოანე, ეფთვიმე და გიორგი ათონელების ბერძნული ცხოვრება“, თბ., 1982, გვ. 47-65.



კრებულსა შინა შეეძლის მსახურებამ, რააცა ევმარები, ყოველთავე ფერთა აღაშენის, ხოლო უკუეთუ კრებულსა შინა არა ენების ყოფნა, სადაცა სონასტერთა მონასტრისათა ენების დაჯდომამ, პურსა არავის უყენებ ქართველსა“ (§ 115, 7-8)<sup>1</sup>.

ამრიგად, „ცხოვრების“ ავტორის თქმით, ბერძნების მომრავლებას მონასტერში გიორგიმ იძულებით მიჰყო ხელი, ვინაიდან ამისთვის არსებობდა ობიექტური მიზეზები. ამას თხოულობდა მონასტრის გაზრდილი მამულები და მეურნეობა, სამსახურებრივ სამუშაოთა სიმრავლე და დიდი სამშენებლო საქმიანობა, რომელიც გიორგიმ წამოიწყო. მაგრამ ამავე დროს, ის ივირონში ჩამოსულ ქართველებს განსაკუთრებული მზრუნველობით ეკიდებოდა და არაფერს აკლებდა.

ვინაიდან ბერძენთა მომრავლებამ ივირონში საბოლოოდ მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო ქართველები, ამიტომ მონასტერში „ბერძენთა მომრავლება“ და „ბერძნებისაკენ მიდრეკა“ მომდევნო თაობამ, რომელიც მოწმე გახდა ივირონში ბერძენთა მოქმედების მძიმე შედეგებისა, გიორგის დიდ ბრალდებად წაუყენა, მიუხედავად იმ დამსახურებისა, რომელიც გიორგის მიუძღოდა მონასტრის აღორძინების საქმეში. ივირონის პირველ მაშენებლებს იოვანე ქართველსა და იოვანე სვინგელოზს თავიდანვე ჰქონდათ კურსი აღებული იქითკენ, რომ მონასტერში მხოლოდ ქართველები ყოფილიყვნენ. მაგრამ ამის განხორციელება ძნელი აღმოჩნდა. „ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: „ხოლო იყო რამ თორნიკ აღმოსავლეთს, მრავალნი ფიჩოსანნი და სახელოვანნი მონაზონნი ჩამოიტანნა, სიმრავლე არამცირედი და ენება, რამთა ქართველნი ოდენ იყვნენ მონასტრისა ამის მკვდრნი ყოველნი. გარნა, ვინაათვან ამისი ქმნაა შეუძლებელ იყო, იიძულნეს ბერძენთაცა შემოყვანებად“ (§ 25, 1). ამას მოსდევს ახსნა იმისა, თუ რატომ გახდნენ იოვანე და

<sup>1</sup> „ცხოვრების“ ის ნაწილი, რომელიც შეიცავს „ივირონის“ თავგადასავალს ეფთვიმეს გარდაცვალების დროიდან და მოიცავს გამოცემის 115-118 პარაგრაფებს, კეკელიძის სამართლიანი შენიშვნით (იხ. მისი ათონის ლიტ. სკოლის ისტორიიდან. — ეტიუდები, II, გვ. 220), ეყრდნობა წერილობით ძეგლს, „მოსაქსენებელს“, რომელიც გიორგის ჩაუარდნა ხელთ და მთლიანად დაურთავს „ცხოვრებისათვის“. ამ ნაწილში მოთხრობილია ეფთვიმეს გარდაცვალების შემდეგდროინდელი ისტორია სვიმონის მამობამდე (1040-42 წწ.). არსებობს ვარაუდი, რომ გიორგი მთაწმიდელი უნდა იყოს ამ „მოსაქსენებლის“ ავტორი, ვინაიდან იგი 1040-იანი წლების კონფლიქტის აქტიური მონაწილეა (შდრ. გიორგი მცირე ცხოვრება გიორგი მთაწმიდელისა. ივ.ლოლაშვილის გამოცემა, თბ., 1994, გვ.77).



თორნიკე იძულებულნი: „თუ უნდა და თუ არა...“ შეიწყნარნეს იგინცა“.

მკვეთრად გამოხატული ანტიბერძნული კურსი ივირონის პირველი მაშენებლებისა იმით უნდა აიხსნას, რომ მიუხედავად ათანასეს, იოვანე იბერიისა და იოვანე-თორნიკეს დიდი სიხბლოვისა, უსაზღვრო ნდობისა და ურთიერთპატივისცემისა, ჩანს, ლავრის ბერებსა და ივირონის ბერებს შორის თავიდანვე არსებობდა გარკვეული დაპირისპირება. ამან განაპირობა ისიც, რომ ათანასემ დიატიპოსში საგანგებოდ დამოძღვრა ლავრელები და მოუწოდა ბერებს მშვიდობისა და კეთილგანწყობილებისაკენ.

გიორგი I ივირონის წინამძღვარია 1019-29 წლებში. 1029 წელს რომანოზ არგვირუსის წინააღმდეგ დიოგენის შეთქმულებაში მონაწილეობის გამო გიორგი გააძევეს ათონიდან და კუნძულ მონოვატზე გადაასახლეს, სადაც ის გარდაიცვალა კიდევ („ცხოვრება“, § 116). ამის შესახებ „მოსაქსენებელში“ ვკითხულობთ: „თუ ვითარ იქმნა, ღმერთმან უწყის — განდგომილებაა და ორგულებაა დასწამეს დიოგენისა ვისთჳსმე, რომლისათჳს თქუეს, თუ მისი უნდაო მეფობაა გიორგის და ამის მიზეზისათჳს ექსორია-იქმნა გიორგი მონოვატს და მუნ აღესრულა ექსორიობასა შინა“ („ცხოვრება“, § 117, 2). ამ ცილისწამების ავტორად რომ ქართველებს ბერძნები მიაჩნიათ, ეს ჩანს იმ ვითარებიდან, რომელიც შეიქმნა გიორგის გადასახლებისთანავე: „და ვინაათჳს ბერძნთა ესევითარი ჟამი პოვეს, ველ-ყვეს ყოვლითა ღონისძიებითა, რაათამცა ქართველნი ამის მონასტრისაგან აღმოჰფხურნეს“ („ცხოვრება“, § 117, 1).

ამ ფაქტის შესახებ ცნობებს გვაწვდიან როგორც იოვანესა და ეფთვიმეს „ცხოვრება“, ასევე ბერძენი ისტორიკოსი სკილიცა. მაგრამ სანამ ამ უკანასკნელის ცნობების განხილვაზე გადავიდოდეთ, გავაღვიწყოთ თვალი გიორგის შესახებ ცნობებს ისევ ქართულ წყაროებში. გიორგი მთაწმიდელის „ცხოვრებიდან“ ვგებულობთ, რომ ივირონის ბერებს მონოვატის კუნძულზე მონასტრის გარდაცვალილი ყოფილი წინამძღვარი გიორგი I ათონზე გადმოუსვენებიათ, სავარაუდოა, გარდაცვლის უმაღლვე, და დიდი პატივით დაუსაფლავებიათ მისთვის. სა-

<sup>1</sup> „მოსაქსენებელი“ („ცხოვრება“, § 116,2). იოვანესა და ეფთვიმეს „ცხოვრების“ ავტორი გიორგი მთაწმიდელი ამ ფაქტს ყრუდ მოიხსენიებს და ბერძნებისავე მოგონილ ცილისწამებად მიიჩნევს.



განგებოდ მომზადებულ მარმარილოს ლუსკუმაში მისსავე აშენებულ ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში (დიდ ეკლესიაში). შემდეგ დიდი პატივის ნიშნად გიორგის ლუსკუმაში ჩაასვენეს გიორგი მთაწმიდელის ცხედარიც: „და ესრეთ ცხოველი კიდობნით აღმოვიყვანეთ და ლუსკუ-მასა შინა მარმარილომასა გიორგის თანა მაშენებელისა დავჰკრძაღეთ, ჭეშმარიტად, ვითარცა მეორე მაშენებელი და შემამკობელი ეკლესი-ათამა“<sup>1</sup>.

ამკარაა, რომ ივირონის ძმობის თვალში ამ დროისათვის გიორგი სრულიად რეაბილიტირებულია და მას სამუდამოდ დაუმეკიდრდა „დიდისა“ და „მაშენებლის“ მალალი სახელი, რომელმაც გაუძლო მრავალ საუკუნეს და ტრადიციის სახით თავი იჩინა „ივირონის“ მაშენებელთა იოვანეს, ეფთვიმეს და გიორგის ბერძნულ ცხოვრებაში<sup>2</sup>.

როგორც ჩანს, დიოგენის შეთქმულებაში გიორგის მონაწილეობას ივირონის ქართველ მოღვაწეთა თვალში მისი პიროვნებისათვის ჩრდილი არ მიუყენებია. გიორგის შეთქმულებაში მონაწილეობის „ცილისწამების“ ვარიანტი კი, ჩანს, იყო ის ოფიციალური ვერსია, რომელიც გავრცელდა ივირონის ქართველი ძმობის წრეში გააფთრებული ბერძნებისაგან თავდაცვის მიზნით. სინამდვილეში გიორგის დიოგენის შეთქმულებაში მონაწილეობის ფაქტი ეჭვს არ იწვევს. როგორც ქვემოთ დავინახავთ, შეთქმულების მონაწილეთა შორის გიორგი ერთადერთი ქართველი არ უნდა ყოფილიყო. ჩანს, ამ შეთქმულებას პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა ქართველთა სამეფოსათვის (ისევე, როგორც 1023 წლის შეთქმულებას ბასილი II-ის წინააღმდეგ), რაკი არაერთი ქართველი აღმოჩნდა ამ შეთქმულების აქტიური წევრი. გიორგიმ გადადგა ეს ნაბიჯი, მიუხედავად იმისა, რომ იგი „ჯორციელთა საქმეთა ზედა ფრთხილ იყო“ და ამავე დროს „დიდად წარჩინებულ იქმნა წინაშე რომანოზ მეფისა და დიდად საკუთარ და პატივცემულ“ (§ 116, 1).

ქართველებმა, როგორც ათონზე, ასევე საქართველოში, გიორგი I-ს მისი დიდი დამსახურების გამო, აპატიეს „მიკერძოება“ ბერძნებისადმი და ის შედეგით, რომელიც ივირონის ბერების აზრით, მოჰყვა ამას. გიორგის მხილებისა, ათონიდან გაძევებისა და გადასახლების შემდეგ ქართველების ოპოზიციაში მდგომმა ბერძნებმა როგორც შიგ მონასტერში, ასევე მთელს ათონზე დრო იხელთეს და სამჯერ დაარბიეს ივი-

<sup>1</sup> ძველი ქართული ავოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, გვ. 201.

<sup>2</sup> მამახანელი, დასახ. წიგნი, გვ. 47-65.

რონი. „ცხორებაში“ შესანიშნავად არის აღწერილი ივირონის დარბაზის სურათი უკვე თვითმხილველთა მიერ: „მონასტერი და ჩუენ რომელნი დაშთომილ ვიყვენით მას ჟამსა, დიდსა ღელვასა და მიმოტაცებასა შთავცკვენით, რამეთუ სამგზის დაიტყუნა მონასტერი და, რადცა დრისტი ტურფაჲ იყო მამათა ჩუენთა მოგებული, ყოველი იავარ-იქმნა, და ეგრეთვე განძი და კუმაში. და ვინამთგან ბერძენთა ესვეითარი ჟამი პოვეს, კელ-ყვეს ყოველითა ღონისძიებითა, რამათმცა ქართველნი ამის მონასტრისაგან აღმოჰფხუზუნეს. და ამის პირისათჳს დიდი მოსწრაფებაჲ აჩუენეს და მთაჲ ყოველი თანა-შეიწიეს და საბერძნეთისა დიდებულნი და პალატისა წარჩინებულნი ყოველნი მიდრიკენეს და მრავალი შრომაჲ და ჭირი და რუდუნებაჲ ჩუენ ზედა მოაწიეს“<sup>1</sup>. აქედან აშკარაა, რომ გიორგი წინამძღვრობის პერიოდში თავისი ძალისა და ავტორიტეტის შემწეობით ახერხებდა ბერძენების ალაგმვას. მისი გადასახლებისა და სიკვდილის შემდეგ მონასტრის ქართველ მოღვაწეთა შორის კარგა ხანს არავინ აღმოჩნდა ისეთი, რომ შეძლებოდა დაეცვა ქართველთა მონასტრის ინტერესები.

\* \* \*

ცალკე განხილვას თხოულობს გიორგი I-ის ვინაობა და მისი ნათესაური კავშირი იოვანეს, ეფთვიძესა და თორნიკესთან. ამ საკითხს არაერთი მკვლევარი შეხებიან, მაგრამ ერთიანი თვალსაზრისი დღემდე არ არის შემუშავებული.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ ცნობებს გიორგის შესახებ გვაწვდიან „იოვანეს და ეფთვიძეს ცხორება“ და ათონის მონასტერთა ბერძნული აქტები. „ცხორების“ მიხედვით, გიორგი I „თჳსი“ ანუ ნათესავი ყოფილა იოვანესი და ეფთვიძესი. ასევე იოვანე იბერიის „თჳსად“ იწოდება დიდი თორნიკე („ცხორება“, § 115, 1), ბერძნული აქტების მიხედვით კი, გიორგი ერთდროულად ნათესავია იოვანე იბერიისა და თორნიკე დიდისა. ორივენი გიორგის ბიძებად იწოდებიან, გიორგი კი მათ ძმისწულად ან დისწულად<sup>2</sup>.

<sup>1</sup> „ცხორება“, 116,3 - 117,2.

<sup>2</sup> ბერძნულში დისწული და ძმისწული გარჩეული არ არის (ისევე როგორც ფრანგულში და რუსულში) და ერთი სიტყვით გადმოიცემა.

თუ რა ხარისხის ნათესაური კავშირი არსებობდა იოვანეს, ეფთვიმეს, თორნიკესა და გიორგის შორის, ამაზე ზოგიერთი მინიმუმად „იოვანეს და ეფთვიმეს ცხორებაში“ დაცული: იოვანე იბერის სიმამრი ყოფილა აბუჰარბი, ბიძა თორნიკესი, ძმა თორნიკეს მამის ჩორდვანელისა: ე.ი. იოვანე იბერს ცოლად ჰყოლია აბუჰარბის ქალიშვილი, თორნიკეს ბიძაშვილი (სიმამრს – აბუჰარბსა და მის ვაჟიშვილებს დაუტოვა იოვანე იბერმა თავისი შვილი ეფთვიმე აღსაზრდელად, როდესაც მონასტერში ბერად შედგა).

ასეთ ვითარებაში გამორიცხულია, რომ იოვანე იბერი და თორნიკე მკვიდრი ძმები ყოფილიყვნენ (ამ დროისათვის დაუშვებელია სისხლის აღრევა. შეუძლებელია, რომ იოვანეს თავისი მკვიდრი ბიძის ქალიშვილი შეერთო ცოლად). ვინაიდან იოვანეს და თორნიკეს შორის ნათესაობა (თჳსობა) იოვანეს მეუღლის, აბუჰარბის ქალიშვილის საზით მყარდება, ზოლო გიორგის ბიძები ერთდროულად ყოფილან იოვანე იბერიცა და თორნიკეც, საფიქრებელია, რომ გიორგის ნათესაობაც იოვანე იბერთან ისევე, როგორც თორნიკესი, იოვანეს ცოლის საზით მყარდებოდა. ე.ი. გიორგი უნდა ყოფილიყო თორნიკეს ან ძმისშვილი ან დისშვილი. ზოლო იოვანე იბერი კი გიორგის მამიდის ან დედის ქმარი.

მიუხედავად იმისა, რომ მბერძნიშვილმა გაარკვია<sup>2</sup>, რომ იოვანე იბერი და იოვანე ვარაზეაჩე ძმები არ არიან და რომ იოვანე – ეფთვიმეს მამა და იოვანე ვარაზეაჩე ერთი და იგივე პიროვნება არ არის (რასაც ივირონის ბერძნული აქტებიც უჭერს მხარს), ძველი თვალსაზრისი, რომელიც კაკეკელიძეს ეკუთვნის, დღესაც მეორდება ახალ სამეცნიერო ლიტერატურაში.

როგორც უკვე ითქვა, იოვანე იბერის გვარსახელობის შესახებ ჩვენ არაფერი ვიცით. რაც შეეხება ჩორდვანელების სახლის წევრებს, რომელთაც თორნიკეც ეკუთვნოდა, ამის შესახებ ჩვენამდე მოაღწია წყაროების საკმარისმა რაოდენობამ ქართულ, სომხურ და ბერძნულ ენებზე, რომელთა საფუძველზეც რამდენიმე გენეალოგიური ხეა

<sup>1</sup> იოვანე იბერი რომ არ ეკუთვნის ჩორდვანელების სახლს, ეს იქიდანაც ჩანს, რომ იოვანეს ერობის სახელი აბულჰერიით არ გვხვდება ჩორდვანელების სახლის ონომასტიკონში. ამას ვარდა, არც ანდერძებში ჩანს იოვანე იბერი თორნიკეს ძმად. თორნიკე თავის ძმად ასახელებს იოვანე ვარაზეაჩეს, რომლის გაიგივება იოვანე იბერთან, იმავე ანდერძის მიხედვით, არ შეიძლება.

<sup>2</sup> მაქს.ბერძნიშვილი, იოანე-ვარაზეაჩესთვის. - ანალები, I, 1947, გვ. 239-249.





შედგენილი მკვლევართა მიერ<sup>1</sup>. ამ წყაროთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია თორნიკეს სახელით დაწერილი ანდერძები, რომლებიც ერთვის თორნიკეს შეკვეთითა და განკარგულებით დაწერილ რამდენიმე ხელნაწერს<sup>2</sup>. ერთ-ერთი ასეთი ხელნაწერის — „განძის“ ანდერძის განხილვისას პ. პეტერსმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ თორნიკეს ძმა ატარებს ვარაზვაჩეს სახელს. ამავ დროს ეს სახელი ჩანს სკილიცას ერთ-ერთ ცნობაში, რომელიც ეხება დიოგენის შეთქმულების მონაწილეებს, რომელთა შორის მოხსენებული არიან ქართველები გიორგი და ვარაზვაჩე<sup>3</sup>. ასევე იხსენიებიან გიორგი და ვარაზვაჩე სკილიცასგან მომდინარე გიორგი კედრენტან და ტურინოს კომპილაციაში<sup>4</sup>.

სკილიცასთან ვკითხულობთ: „როდესაც გამოქვდა შეთქმულება, დიოგენი სატუსალოში ჩასვს, მისი თანამრჩეველნი კი პროტონოტროსი და სინკელოსი პოვჰანესი, პატრიკიოსი და სარდალი ევსტათლოს დაფნომელესი, მიქაელ ბურცელის შვილები მიქაელ და თეოგნოსტესი და სამუილ, გეორგი და ვარაზვაჩე, რომელმაც ათონის მთაზე მონასტერი დააარსა, პატრიკიოს თევდატის ძმისწულები სასტიკად სცემეს, მესეს გამზირით გაიყვანეს, მასხრად აიგდეს და გააძევეს“<sup>5</sup>.

<sup>1</sup> ჩორდვანელების სახლის შემადგენლობას სპეციალურად ეხებიან თავის ნაშრომებში: პ. პეტერსი, კაკელიძე, მბერძნიშვილი, ლმენაბდე, ნ. აკინიანი, ნადონცი, აკაყდანი, ზჭუმბურიძე.

<sup>2</sup> ამ ხელნაწერებსა და მათ ანდერძებს ვეხებით აქვე, ცალკე წერილში, ჩორდვანელების დიდი სახლი (ქართული წყაროები), სადაც წარმოდგენთ ჩვენს მიერ შედგენილ ჩორდვანელების სახლის გენეალოგიას კომენტარებით.

<sup>3</sup> P. Peeters, Un colophon géorgien de Thornik le moine. - Anal. Boll., L., 1932, pp. 358-371.

<sup>4</sup> საყაუჩიშვილი, ტურინოს კომპილაციისათვის. - ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, IV, 1924, გვ. 354; მბერძნიშვილი, ტურინოს კომპილაცია. - კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, 1966, გვ. 159-166.

<sup>5</sup> ტექსტი მოგვაქვს იოანე სკილიცას სომხური თარგმანის მიხედვით, რომელიც წინასიტყვაობითა და შენიშვნებით გამოაქვეყნა პრაზ ბარტიკიანმა (ერევანი, 1979, გვ. 393-394). საინტერესოა, რომ ორიგინალთან შედარებით, მთარგმნელს ერთი შეხედვით უმნიშვნელო ვადანაცვლება მოუხდენია ტექსტში (ჩვენ აღვადგინეთ ორიგინალის ტექსტი), მას ფრაზა - „პატრიკიოს თევდატის ძმისწულები“ - ვადაუტანია წინ და დაუკავშირებია გიორგი და ვარაზვაჩესთვის. მის თარგმანში ტექსტი ასეთ სახეს ღებულობს: „პატრიკიოს თევდატის ძმისწულები გიორგი და ვარაზვაჩე, რომელმაც ათონის მთაზე იბერთა მონასტერი დააარსა“. ტექსტის ბარტიკიანისეული წაკითხვით გიორგი და ვარაზვაჩე პატრიკიოს თევდატის ძმისწულები არიან, ხოლო ივირონის მონასტერი ვარაზვაჩემ დააარსა. სინამდვილეში ბერძნული ორიგინალის მიხედვით, „თევდატის



თუ სიტყვასიტყვით გავიგებთ მოტანილი ტექსტის ბუნდობლივ  
 ნაკვეთს, რომელიც ქართველებს ეხება, გიორგი და ვარაზფაჩე რომ  
 სხვადასხვა პიროვნებად შეიძლება მივიჩნიოთ, მაგრამ „მაშენებელი“  
 ათონის ქართველთა მონასტრისა არის მხოლოდ ერთი — ვარაზფაჩე,  
 რადგან ზმნა უშუალოდ მას მოსდევს და მხოლოდობით რიცხვშია.

ვინაიდან პ. პეტერსს ვარაზფაჩეს სახელით ათონის ქართველ  
 მოღვაწეთა შორის არავინ ეგულებოდა, ხოლო გიორგი კი „ცხორების“  
 მიხედვით იოვანეს და ეფთვიმეს უახლოესი თანამოღვაწე და ეფთვიმეს  
 მომდევნო წინამძღვარი იყო, ამიტომ მისი აზრით, არავითარ ეჭვს არ  
 უნდა იწვევდეს ივირონის მესამე წინამძღვრის გიორგისა და სკილიცას  
 ივირონის მაშენებელი გიორგის იდენტურობა. ამიტომ პ. პეტერსმა  
 ჩათვალა, რომ არსებული სახით ბერძნული ტექსტი წარყვნილი იყო და  
 ტექსტის შემდეგ სწორებას წარმოადგენდა: Γεώργιος τε (ὁ)καὶ Βαρα-  
 ζατζέ, ე.ი. გიორგი, რომელიც ვარაზფაჩეა, ანუ გიორგი ვარაზფაჩე, შუა  
 საუკუნეთა ქართულ ონომასტიკონში გავრცელებული ორმაგი სახელი.  
 რაც შეეხება უკანასკნელ ფრაზას, „პატრიკიოს თევდატის ძმისწულები“,  
 პ. პეტერსი მათ არ უკავშირებს გიორგისა და ვარაზფაჩეს.

სკილიცას ტექსტის პეტერსისეული გააზრება<sup>1</sup> ჩვენ საესეებით  
 დამაჯერებლად მიგვაჩნია. ჩვენის მხრივ დაფუძნებულ, რომ როგორც  
 დღეს უკვე საბოლოოდ გარკვეულია, გიორგი I-ს აუშენებია ივირონის  
 ანსამბლის ყველაზე მნიშვნელოვანი ტაძარი ღმრთისმშობლის მიძინების  
 სახელზე, რისთვისაც მან „დიდისა“ და „მაშენებლის“ სახელი დაიმ-  
 კვიდრა. დამსახურებისათვის გიორგი I-ს მონასტრის საკრებულომ  
 მონასტრის საალაპე წიგნში რამდენიმე ალაპი განუწესა<sup>3</sup>. საინტერესოა  
 ისიც, რომ XVI საუკუნის „სულთა მატინანებში“, რომლებიც გამომ-  
 ცემლის ქრ.მარამიძის აზრით, XI-XIII სს. ათონურ დედნებს ემყარება,  
 გიორგი I მონასტრის დანარჩენ ორ მაშენებელთან — იოვანე იბერთან  
 და იოვანე სვინგელოზთან ერთად არის მოხსენიებული, ხოლო ეფთ-  
 ვიმესა და გიორგი მთაწმიდელებისათვის, ქართველთა მნათობთა და

ძმისწულებს“ (სახელის გარეშე) და მნაშავეთა რიგში უკანასკნელი ადგილი უკავიათ.  
 სკილიცას სომხური გამოცემიდან ტექსტი გვითარგმნა ეკავარეიშვილმა, რისთვისაც  
 დიდ მადლობას მოვასწენებთ..

<sup>1</sup> პ. პეტერსის ეს თვალსაზრისი გაიზიარეს კეკელიძემ და აკაუდანმა.  
<sup>2</sup> მამჩანელი, დასახ. წიგნი, გვ.53.  
<sup>3</sup> იქვე გვ. 54.



განმანათლებელთათვის, სასწენებლები ცალ-ცალკე შეტანილი<sup>1</sup>.  
 გად, ათონის ქართველთა ლავრაში გიორგი I-მა სახელი გაითქვა  
 პირველ რიგში როგორც „მაშენებელმა“, ამიტომ აქაც სკილიცა საესე-  
 ბით სწორია, როდესაც მას ათონის ივერთა მონასტრის მაშენებელს  
 უწოდებს. რაც შეეხება ცალკე ვარაზვაჩეს, ის არ ჩანს ივირონის არც  
 ქართულ და არც ბერძნულ წყაროებში. ვარაზვაჩე რომ „მაშენებელი“  
 ყოფილიყო, ცხადია, ეს ფაქტი აღუნიშნავი არ დარჩებოდათ ივირონის  
 მონასტრის ისტორიის ისეთ უტყუარ წყაროებს, როგორც არის  
 „იოვანე და ეფთვიმეს ცხორება“, „გიორგი მთაწმიდლის ცხორება“ და  
 ათონის მონასტრის სააღაპე წიგნი, სადაც ივირონის მონასტრისათვის  
 გაწეული მცირედი სამსახურიც კი ფიქსირებულია.

გიორგი I რომ სწორედ ის პიროვნებაა, რომელსაც სკილიცა  
 ასახელებს შეთქმულთა შორის, იმითაც დასტურდება, რომ ივირონის  
 ქართველ ბერებს მონოვატის კუნძულზე გარდაცვლილი გიორგი  
 გადაუსვენებიათ ათონზე და მის მიერვე აშენებულ ღვთისმშობლის მიძ-  
 ინების ტაძარში დაუსვენებიათ იოვანე იბერიისა და ეფთვიმეს გვერდით.  
 ამრიგად, გიორგი I-ის აშენებულ ღმრთისმშობლის მიძინების ტაძარში  
 ქართველთა მონასტრის მადლიერმა ძმობამ ერთად დაკრძალა მონას-  
 ტრის მაშენებლები და ქართველთა განმანათლებლები – ოთხი დიდე-  
 ბული ქართველი: იოვანე იბერი, ეფთვიმე მთაწმიდელი, გიორგი I  
 მაშენებელი, მონასტრის მესამე წინამძღვარი, და გიორგი მთაწმიდელი,  
 II მაშენებელი.

ვიმეორებთ, ზემოთქმულის საფუძველზე მიგვაჩნია, რომ გიორგი  
 I იგივე სკილიცას გიორგი ვარაზვაჩეა. გიორგი I ვარაზვაჩედ მხოლოდ  
 სკილიცასთან იწოდება. რას უნდა ნიშნავდეს ვარაზვაჩე ამ ორმაგ სახ-  
 ელში, ეს გასარკვევია. გიორგი I-ის ნათესაობა იოვანე იბერთან და იო-  
 ვანე თორნიკესთან ქართული და ბერძნული წყაროებიდან არის ცნო-  
 ბილი. სკილიცას რომ საჭიროდ მიეჩნია გიორგის ვინაობაზე მისი ნათე-  
 საობის საშუალებით მინიშნება, ის ქართველთა შორის იმაზე სახელმოხ-  
 ვეჭილ პიროვნებას ბიზანტიაში, ვიდრე თორნიკე იყო, ვერ მოძებნიდა.  
 თორნიკე გიორგის ბიძა იყო. სკილიცასთან კი გიორგი მოხსენებულია  
 არა როგორც თორნიკეს ძმისწული, არამედ როგორც ვარაზვაჩე.  
 გიორგი, რომელიც დიდად დაახლოებული პირი იყო ათანასე ათონელ-

<sup>1</sup> მამჩანელი, დასახ. წიგნი, გვ-54.

თან, სამეფო კართან და მაღალ მოხელეებთან, არ საჭიროებდა წარდგენას ნათესავებზე მინიშებით.

ფეოდალურ საქართველოში ორმაგი სახელები ორგვარი მნიშვნელობით იხმარებოდა. ერთ შემთხვევაში პირველი ნაწილი ორმაგი სახელისა აღნიშნავს სუბიექტის ბერობის სახელს, მეორე კი ერობისას. ამის მაგალითები ბევრია: იოვანე თორნიკე, იოვანე ვარაზვაჩე. პარალელურად იხმარება: იოვანე თორნიკ-ყოფილი, არსენ ფარსმან-ყოფილი, პეტრე პეტრიკ-ყოფილი, ანტონ ლიპარიტ-ყოფილი.

მეორე შემთხვევაში ორმაგი სახელის პირველი ნაწილი აღნიშნავს პრონომს (საკუთარ სახელს), მეორე კი — პატრონიმს (მამის სახელს). ასე, მაგ.: ლიპარიტ ლიპარიტის ძე, ბასილ ბაგრატის ძე, ჯოჯიკ ჯოჯიკის ძე, ფერსი ჯოჯიკის ძე და სხვ. ამ რიგის ორმაგი სახელები ბერძნულში ხშირად იხმარება მკაცრად აღიარებული „ძის“ გარეშე: გრიგოლ ბაკურიანი, სუმბათ და სერგი ბაკურიანები.

ამრიგად, უნდა ვიფიქროთ, რომ ვარაზვაჩე სახელია გიორგის მამის, დიდი ჩორდვანელის ძის, თორნიკეს ძმისა. ასეთ ვითარებაში, რა თქმა უნდა, გიორგი არ შეიძლება იყოს პატრიკიოს თედატის ძმისწული, როგორც ამას ფიქრობს ჰ. ბარტიკიანი<sup>2</sup>. გიორგი I რომ ჩორდვანელების სახლის წევრია, ამას, როგორც ზემოთაც ითქვა, ადასტურებს ისიც, რომ გიორგის ბიძა იოვანე-თორნიკე, ძე ჩორდვანელისა, ძმა იოვანე ვარაზვაჩესი.

### რა ვიცი ვარაზვაჩეს შესახებ?


ჩორდვანელების სახლის გენეალოგიის მიხედვით, რომელიც ძირითადად თორნიკეს სახელით დაწერილ ოშკში გადაწერილ ხელნაწერთა ანდერძებს ეყრდნობა, ცენტრალური ადგილი დათმობილი აქვს ჩორდვანელის ვაჟიშვილს ვარაზვაჩეს, რომლის ბერობის სახელი ყოფილა იოვანე. თორნიკე თავის ანდერძებში ყველაზე სრულად იოვანე ვარაზვაჩეს ოჯახის წევრებს მოიხსენიებს. ეს, ალბათ, იმით უნდა აიხსნას, რომ იოვანე-თორნიკე და იოვანე ვარაზვაჩე ორივე ოშკის მონასტრის ბერები იყვნენ და, ჩანს, ერთად მოღვაწეობდნენ მონას-

<sup>1</sup> А.П.Каждан, Армяне в составе господствующего класса Византийской империи в XI-XII вв. Ереван, 1975, с. 50, 60.

<sup>2</sup> სკოლიცა, დასახ. გამოცემა, გვ. 394.



ტერმი. ამ ცნობების მიხედვით, იოვანე ვარაზვაჩეს ჰყოლია სამი<sup>1</sup> ან მეტი ვარიანტი.  
ვილი:



იოვანე ვარაზვაჩეს ვაჟიშვილთა შესახებ ცნობები შემოუნახავთ ქართულ, ბერძნულ და სომხურ წყაროებს.

1. მიქაელ ძე ვარაზვაჩესი მოხსენებულია ოშკის ბიბლიის (Ath.1) ერთ-ერთ, ნუსხურით ნაწერ ანდერძში, რომლის ტექსტი დაზიანებულია და დღეს აღარ იკითხება. იგი აღდგენილია რბლევიკის აღწერილობის მიხედვით. ჩვენთვის ამ ტექსტში საინტერესოა მიქაელ ვარაზვაჩეს ხსენება, რომელსაც გარკვეული მონაწილეობა მიუღია ოშკის ბიბლიის შექმნაში.

ანდერძში ვკითხულობთ: „...ქრისტე, მიწვევნი ერთავე სუფევათა შინა... მიქელ ძე ვარაზვაჩესი. დიდი სიტკბოებაჲ მიჩუენეს ამის წიგნისა შრომასა“.<sup>2</sup>

ამის შემდეგ მიქაელ ვარაზვაჩეს ძის სახელი ბერძნულ და ქართულ წყაროებში არსად გვხვდება.

2. ჩორღვანელი ზოროვარი-ჩოროლოდი თორნიკეს შეკვეთით დაწერილი ხელნაწერის („განძის“) ანდერძში ექუსოვიტად არის წოდებული<sup>3</sup>. ჩორღვანელი ზოროვარის შესახებ ცნობები შემოგვინახა ასოლიკმა: „ბარდა ფოკას მხარეზე მყოფ აჯანყებულთა შორის იყო მაგისტროსი ჩორტუანელი, თორნიკე ბურის ძმისწული, რომელიც გამაგრდა დარჯანისა და ტარონის მხარეებში. მის საწინააღმდეგოდ ბასილ კეისარმა გაგზავნა პატრიკიოსი ჟანი, რომელიც პორტეზად იწოდებოდა.“

<sup>1</sup> ქალების შტოს წარმომადგენლები თორნიკეს ანდერძებში არ ჩანან.  
<sup>2</sup> Ath. I, 213v; R.Blake, The Athos codex of the georgian old Testament, 1929, p.46; ნ.გოგუაძე, ძველი აღთქმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, Ath.I - წიგნი ძუელისა აღთქუმისანი, ნაკვ. I ტბ., 1989, გვ. 567.  
<sup>3</sup> იხ. აქვე: სამოხელეო ტერმინები ჩოროლოდი და ოთხმზღური. - ქართული წყაროთმცოდნეობა, VIII, 1993, გვ. 94.



იგი მოვიდა და შეებრძოლა მას (ჩორდვანელს). მეორედ შეებრძოლა მას დროს მან მოკლა [ჩორდვანელი] დარჯანის გავარის ბაგარიჭის ველზე 990 წელს“<sup>1</sup>.

3. თორნიკე ვარაზვაჩეს ძე (თორნიკე „მცირაჲ“). მას ვ. შანდროვსკაია აიგივებს თორნიკე ვარაზვაჩესთან, რომლის სახელი და წოდებები ამოკვეთილია ერმიტაჟის ერთ-ერთ ბეჭედზე (შიფრი M-1265). წარწერაში იკითხება: „Τορνικ(ω) πρωτοστρατη(αριω) και στρατηγ(ω) τῷ Βαρα(σ)βατζε“.

ვ. შანდროვსკაია ვარაუდობს, რომ თორნიკე ვარაზვაჩე პროტოსპათარი და სტრატეგი, იგივე ვარაზვაჩე ქართველია, რომელსაც ახსენებს სკილიცა 1038 წლის თარიღით, როგორც ედესის სტრატეგსა და პროტოსპათარს<sup>2</sup>. ეს ვარაუდი საფუძვლიანად მიგვაჩნია, მიუხედავად იმისა, რომ სკილიცა თორნიკე ვარაზვაჩეს ძეს მხოლოდ მამის სახელით (ვარაზვაჩე) ახსენებს. ჩანს, ასეთი შემთხვევები ორწევრიან ქართულ სახელებთან დაკავშირებით ბერძნულ წყაროებში იშვიათი არ არის. აკაუდანის დაკვირვებით, ანა კომნენი გრიგოლ ბაკურიანის ძეს ზოგჯერ გრიგოლს უწოდებს, ზოგჯერ კი ბაკურიანს<sup>3</sup>.

ამრიგად, იოვანე ვარაზვაჩეს სამი შვილიდან გიორგის სახელს არც ერთი არ ატარებს. ეს ასეც უნდა იყოს, ვინაიდან ცნობები ჩორდვანელების ოჯახის წევრებზე, რომლებიც დაუცავს ოშკის ხელნაწერთა ანდერძებს, დაწერილია იქამდე, სანამ ვარაზვაჩეს ვაჟი ბერად შედგებოდა და სახელს გამოიცვლიდა. ამრიგად, საძებარია, იოვანე ვარაზვაჩეს სამი შვილიდან რომელი უნდა შემდგარიყო ბერად გიორგის სახელით. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ასეთად ვერ მივიჩნევთ ჩორდვანელ ზოროვარ-ჩოროლოდს და თორნიკეს მათი მაღალი სამხედრო წოდებების გამო. გვრჩება მიქაელი. ის მცირეოდენი ცნობები კი, რომლებიც მიქაელ ვარაზვაჩეს ძის შესახებ შემოგვინახა ოშკის ბიბლიამ (იხ. ზემოთ), მოწმობს იმას, რომ მიქაელი, ჯერ კიდევ ერისკაცობაში, ჩაბმული იყო ოშკის მწიგნობართა სამწერლობო საქმიანობაში, იქ, სადაც ბერად იყვნენ აღკვეცილნი მისი მამა — იოვანე ვარაზვაჩე და ბიძა — იოვანეთორნიკე, რომელთა ინიციატივითა და სახსრებით

<sup>1</sup> ასოლიკი, სომხ. გამოცემა, გვ. 251; ვ. კობალიანი, საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში. თბ., 1969, გვ. 62-63.

<sup>2</sup> В. Шандровская. Одно уточнение текста хроники Скилицы по материалам сфрагистики. - Сообщения гос. Эрмитажа, Т. XL, 1975, с. 46.

<sup>3</sup> А. Каждан, დასახ. ნაშრომი, გვ. 60.

არაერთი შესანიშნავი ხელნაწერი გადაიწერა და შემზადდა. აღსანიშნავია ისიც, რომ იოვანე ვარაზგაჩის ძეთა შორის მიქაელი ერთადერთი რომელიც ოშკში გაწეული სამსახურისათვის საგანგებოდ დასახელებულია ხელნაწერის გადაწერის ანდერძში. ასეთ ვითარებაში ბუნებრივია მიქაელის მიდრეკილება სამონასტრო ცხოვრებისადმი, რაც შემდგომ გამოიხატა იმაში, რომ ის გაჰყვა ბიძის იოვანე-თორნიკეს კვალს და ათონს მიაშურა. არც ის არის გამორიცხული, რომ თავიდანვე ის ოშკში შედგა ბერად 979-981 წლებში, ხოლო 981 წელს თორნიკეს მიერ შერჩეულ ტაოს სასულიერო პირებთან ერთად ათონს გაემგზავრა. ჩვენ იმასაც ვუშვებთ, რომ თორნიკემ გიორგი წაიყვანა ათონზე და ჩააბარა თავის „თჳსსა“ და სულიერ მამას იოვანეს. ბიძა-ძმისშვილის გამგზავრება ტაოდან ათონს შეიძლებოდა მომხდარიყო 981 წლის შემდეგ.

979 წლის 24 მარტს ბარდა სკლიაროსზე გამარჯვების შემდეგ იოვანე-თორნიკე პირველ რიგში ბასილსა და კონსტანტინე კეისრებს ეახლებოდა, რათა გაწეული სამსახურისათვის აღთქმული პირობების შესრულება მოეგვარებინა. ამის შემდეგ იოვანე-თორნიკე გაემგზავრებოდა დავით კურაპალატის კარზე, როგორც მისი წარგზავნილი ჯარის მხედართმთავარი, რათა მიღწეული წარმატებები მოესხენებინა, ალბათ, მოპოვებული ალაფიც გაენაწილებინა და აგრეთვე ბასილის დანაპირები „ზემო ქუეყანანის“ ბოძება დაედსტურებინა: ჩანს, იოვანე-თორნიკე კარგა ხანს დარჩა ტაოში, აქტიური მონაწილეობაც მიიღო ახლად მიერთებული „ქუეყნების“ ათვისებაში<sup>1</sup>.

ტაოში ყოფნის დროსვე უნდა შემდგარიყო თავდაპირველი გეგმა ბრძოლაში მოპოვებული დიდძალი ქონების გამოყენებით ათონზე ქართველთა სამმოსათვის ცალკე დამოუკიდებელი მონასტრის აშენებისა და ივირონის ძმობის შევსებისა ტაოდან წაყვანილი ქართველი ბერმონაზვნებით. ტაოში ყოფნის დროსვე თორნიკემ, იოვანე ვარაზგაჩისთან ერთად, არაერთი ხელნაწერის გადაწერა შეუკვეთა ოშკის სახელოვან მწიგნობრებს და, საფიქრებელია, ახლად შემოერთებულ „კარნუს ქუეყანაში“ არსებული ერთ-ერთი ქართული მონასტრის მწიგნობრებსაც, რათა ისინიც ათონს წაეღო და ქართველთა მონასტრისათვის შეეწირა.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ცნობა, რომ თორნიკემ ტაოდან ათონს თან წაიყვანა ქართველები, „ცხორებამ“ შემოგვინახა. ვფიქრობთ,

<sup>1</sup> ამის შესახებ დაწვრილებით ვსაუბრობთ წერილში „ჩორდვანელების დიდი სახლი“.



ამ „სახელოვან მონაზონთა“ შორის უნდა ყოფილიყო მიქაელ ვარაზგაჩესი, ბერობაში გიორგი. იგივე მონაზვნები თორნიკესთან ერთად ძღვნად წაიღებდნენ ქართული მონასტრისათვის ტაოსა და კარნუს ქვეყნებში თორნიკეს სახსრებით და განკარგულებით გადაწერილ ხელნაწერებსაც. ეს უნდა მომხდარიყო 981 წელს. ამ დროს დამთავრდა „კარნუს ქუეყანაში“ გადაწერა „განძის“ ხელნაწერისა, რომელიც ისევე როგორც ოშკის სხვა ხელნაწერები, ათონზე წასაღებად იყო ნაგარაუდები. 983 წელს თორნიკე უკვე ათონზე ჩანს და თავისი სახსრებით უკვეთავს ეფთვიმეს თარგმნილი „კლემასის“ ხელნაწერის გადაწერას (Ath. 5).

ამრიგად, ვფიქრობთ, რომ შემოთმობუნილი საბუთები საკმარისი საფუძველია მიქაელ ვარაზგაჩეს ძისა და ქართველთა მონასტრის შესამე წინამძღვრის გიორგი I-ის იდენტიფიკაციისათვის.

და ბოლოს, გვინდა დაგუბრუნდეთ შემოთგანხილულ სკილიცას ცნობას დიოგენის შეთქმულების მონაწილეთა შესახებ, სადაც დასახელებულნი არიან პატრიკოს თევდატის ძმისწულნი. განვიხილოთ, თუ რამდენად შეეფერება სინამდვილეს კპარტიკიანის ვარაუდი<sup>1</sup> იმის თაობაზე, რომ გიორგი და ვარაზგაჩე ორი სხვადასხვა პირია და იმავედროულად ორივენი თევდატის ძმისწულები არიან. ფერსი და თევდატი ჯოჯიკ ერისთავთ ერისთავის ვაჟები არიან, იმ ჯოჯიკის ძენი, რომელიც თორნიკესთან ერთად იბრძოდა ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ<sup>2</sup>.

1001 წელს დავით კურაპალატის გარდაცვალების უმაღლესი ბასილი II ჩავიდა ტაოში, რათა დაებრუნებინა დავით კურაპალატის ანდერძით კეისრისათვის დატოვებული „ზემონი ქუეყანანი“. უკან დაბრუნებისას ბასილი კეისარმა შემოერთებული ტერიტორიის არასანდო დიდგვაროვან ფეოდალთაგან გაწმენდის მიზნით, ტაოს მოარიდა და კონსტანტინოპოლში წაიყვანა ყველაზე სახელოვანი გვარის შვილები: ბაკურიანი, ძმები ფერსი და თევდატი, უბოძა მათ პატრიკიოსობა და, საფიქრებელია, ჩააყენა კიდევ იმპერიის სამსახურში. ერთხანს ფერსი და ჯოჯიკი,

<sup>1</sup> იოანე სკილიცა, დასახ. გამოცემა, გვ. 393-394.  
<sup>2</sup> კედრენის (Cedrenus, t.2, p. 465. 16-17) ცნობით, პატრიკოს თევდატის ვაჟიშვილს ჯოჯიკს 1016 წელს ეკავა დოროსტოლის სტრატეგის თანამდებობა (А.Каждан, დასახ. ნაშრომი, გვ. 59). ჯოჯიკ პატრიკიოსმა მოახატინა მოგვიანებით, 1036 წელს, ოშკის ტაძარი (იხ. ეთაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში. თბ., 1960, გვ. 57-58).





ჩანს, ბიზანტიაში იყვნენ<sup>1</sup>. 1019 წელს კი ფერსი ჯოჯიკის ძე ოჯახით ისევ ტაოშია. ამის შესახებ ცნობებს გვაწვდის გიორგი მთაწმიდელის „ცხოვრება“: 1022 წელს ფერსი ჯოჯიკის ძე ამხილეს, როგორც ბასილი კეისრის წინააღმდეგ შეთქმულების აქტიური მონაწილე და თავი მოჰკვეთეს, ხოლო მისი მეუღლე<sup>2</sup> „ერიოურთ თჳსით“ (118, 2) კონსტანტინოპოლს გადაასახლეს. ფერსის მეუღლის მსლებლებს შორის იყვნენ მისი სულიერი მამა და მოძღვარი გიორგი მწერალი და გიორგი მწერლის ძმისწული გიორგი (შემდგომში ათონის ცნობილი მოღვაწე, მთარგმნელი და წინამძღვარი). ფერსის ოჯახმა კონსტანტინოპოლში დაჰყო 12 წელი. ამ ხნის განმავლობაში მისი ვაჟიშვილები, ალბათ, ბიზანტიაში მოღვაწეობდნენ. 1029 წელს ფერსი ჯოჯიკის ძის ვაჟიშვილები (თევდატის ძმისწულები) ჩანან რომანოზის წინააღმდეგ შეთქმულთა შორის, რომლებიც საჯარო გაკიცხვის შემდეგ სხვა შეთქმულებთან ერთად გადაუსახლებიათ. ამრიგად, მამის სიკვდილით დასჯის სულ შვიდიოდე წლის შემდეგ ფერსის შვილები თვითონ აღმოჩნდნენ კეისრის წინააღმდეგ ახალი შეთქმულების აქტიური მონაწილენი, შესაძლოა, შეთქმულების ორგანიზატორებიც. ამას გვაფიქრებინებს დასჯილთა შემადგენლობა. სკილიცას ცნობით, დაისაჯნენ იმპერიის მაღალი თანამდებობის პირნი და მოხელეები – ალბათ, ამ შეთქმულების ორგანიზატორები. მათ შორის ჩანან გიორგი და ვარაზფაჩე (ანუ გიორგი ვარაზფაჩე) და ფერსის ვაჟიშვილები.

ამრიგად, ფერსის მეუღლე მოქსწრო ჯერ ქმრის სიკვდილით დასჯას, ხოლო 1029 წელს შვილების გადასახლებას – ორივე შემთხვევაში კეისრის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობის გამო. 1034 წელს ფერსის მეუღლეს ნება დართეს მამულებით დაბრუნებისა.

ამგვარად, ჯოჯიკ ერისთავთერისთავი, თავისი ვაჟიშვილებით და შვილიშვილებით, ჩორდვანელების სახლის წევრებთან ერთად, ბიზანტიაში მოღვაწე იმ ქართველთა რიცხვს განეკუთვნება, რომლებიც მხარში უდგნენ ქართველ მეფეებს – დავით კურაპალატსა და გიორგი პირველს მათი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პოლიტიკის განხორციელებაში, რაც ქართული სამეფოს ბიზანტიის ვასალობისაგან განთავისუფლების გეგმებს ემსახურებოდა.

<sup>1</sup> А.Каждан, იქვე.

<sup>2</sup> ფერსის მეუღლე იყო X საუკ. დასასრულისა და XI ს. I ნახევრის ცნობილი მოღვაწისა და მწიგნობრის ბასილ ბაგრატის ძის და.



განსაკუთრებით საინტერესოა პოლიტიკურ შეთქმულებაში იერიშის მონასტრის წინამძღვრის გიორგი ვარაზგაჩეს მონაწილეობა. ცხადია, დიდი ჩორდვანელის შვილიშვილს, იოვანე იბერიისა და თორნიკეს ნათესავს, რომელმაც ქართველთა საეპარქიო მოღვაწეობით „დიდისა“ და „მაშენებლის“ სახელი დაიმსახურა, და ამავე დროს „დიდად წარჩინებულ იქმნა წინაშე რომანოზ მეფისა და დიდად საკუთარ და პატივცემულ“, რომანოზის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობის დროს პირადი ინტერესები არ ამოძრავებდა. აქაც თავი იჩინა ჩორდვანელების სახლის ტრადიციამ (თავისი ქვეყნის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა). ამას ხელს უწყობდა აგრეთვე ქვეყნის ინტერესებით განპირობებული ეროვნული სულისკვეთება, დიდი მასშტაბის კულტურულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობა, რომელიც ქართველთა მონასტრის პირველი მამების დროიდან ტრადიციად დამკვიდრდა ათონის ქართველ მოღვაწეთა შორის. ცხადია, ბასილის წინააღმდეგ ქსიფეს აჯანყებაში (1023 წ.) ფერსი ჯოჯიკის ძის მონაწილეობა, ასევე დიოგენის შეთქმულებაში (1029 წ.) გიორგი ვარაზგაჩეს და ფერსის ვაჟიშვილების მონაწილეობა ქართველთა სამეფოს პოლიტიკური გეგმების განხორციელებას ემსახურებოდა, რომელშიც ჩაბმული იყვნენ ტაოს სამეფოს ფეოდალური არისტოკრატიის ყველაზე თვალსაჩინო სახლების წევრები — საერო და სასულიერო პირები.

ამ პოზიციიდან კიდევ ერთხელ გვინდა დავსვათ საკითხი, თუ რამდენად შესაძლებელია სკილიცას ზემოთმოტანილი ცნობის ისეთი ინტერპრეტაცია, რომელსაც გვთავაზობს ჰ. ბარტიკიანი. შეიძლება თუ არა, რომ დიოგენის შეთქმულების მონაწილე გიორგი და ვარაზგაჩე ფერსი ჯოჯიკის ვაჟიშვილები იყვნენ. უფრო კონკრეტულად: რამდენად შესაძლებელია, რომ ათონის ქართველთა მონასტრის წინამძღვარი გიორგი, დიოგენის შეთქმულების მონაწილე, ფერსი ჯოჯიკის ძის ვაჟიშვილი იყოს?

ზემოთ ითქვა, რომ გიორგი მთაწმიდელი, ავტორი იოვანე და ეფთვიმეს „ცხოვრებისა“, ჯერ კიდევ სულ ყრმა დაუახლოვდა ფერსი ჯოჯიკის ძის ოჯახს. ათი წლის გიორგი ფერსი ჯოჯიკის ძის ოჯახში მიიყვანა მისმა ბიძამ გიორგი მწერალმა. გიორგი მთაწმიდელი მრავალი წლის განმავლობაში ტაოსა და კონსტანტინოპოლში ფერსის ოჯახში ცხოვრობს, ამ ოჯახის წევრია, ნაშვილები, და მუდამ ფერსის მეუღლის მზრუნველობის ქვეშ არის. ცხადია, ასეთ ვითარებაში ფერსის ვაჟიშვილები გიორგისათვის ძალზე ახლობლები იყვნენ და მათი კონსტან-



ტინოპოლში მოღვაწეობაც მისთვის კარგად იქნებოდა ცნობილი, ვითარებაში შეუძლებელია დავუშვათ, რომ გიორგი მთაწმიდელს სცოდნოდა, რომ ივირონის მესამე წინამძღვარი ფერსი ჯოჯიკის ძის შვილი იყო და ამაზე არაფერი ეთქვა „ცხოვრებაში“, სადაც გიორგი წინამძღვრის მოღვაწეობა და შეთქმულებაში მონაწილეობის ისტორიაა აღწერილი. მით უმეტეს, რომ როდესაც „ცხოვრების“ ავტორი გიორგი წინამძღვრის ვინაობაზე საუბრობს, მის ნათესავად („თჳსად“) აცხადებს თორნიკეს და იოვანე იბერს. როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, ეს ნათესაობა ჩორდვანელების სახლთან პირდაპირი იყო, ვინაიდან გიორგი ბერძნულ წყაროებში თორნიკეს ძმისშვილად, ვარაზგაჩეს ძედ და დიდი ჩორდვანელის შვილიშვილად იხსენიება. როგორც ვხედავთ, სკილიცას ცნობის ჰბარტიკიანისეული ინტერპრეტაციისათვის, რომ გიორგი და ვარაზგაჩე იყვნენ თევდატის ძმისწულები, ფერსი ჯოჯიკის ძის ვაჟიშვილები, საფუძველი არ არსებობს.

### წინათქმა

იოვანე იბერისა და ეფთვიმეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყოველ მონაკვეთში მათ ირგვლივ იქმნებოდა თანამედროვე და თანამოღვაწე მწიგნობართა გუნდები, რომლებიც კარგად ხედავდნენ, რომ ათონზე პირველი ქართველების გამოჩენით და მათი მოღვაწეობით დაიწყო ახალი, მეტად მნიშვნელოვანი ხანა როგორც ქართული სახელმწიფოს ცხოვრებაში, ასევე ქართული კულტურისა და მწერლობის ისტორიაში. ისინი ცდილობდნენ ყოველმხრივ ამოსდგომოდნენ მათ მხარში და ამავე დროს შეეფასებინათ იოვანესა და ეფთვიმეს საქმიანობა და საქვეყნოდ ცნობილი გაეხადათ მათი მოღვაწეობის შედეგები. ქართველი მწიგნობრების ეს საერთო განწყობილება გამოიხატა მათდამი მიძღვნილ რამდენიმე „სამახსოვრო წიგნში“. ამგვარი ტრადიცია სხვადასხვა ფორმით გრძელდებოდა ეფთვიმეს გარდაცვალების შემდეგაც და დასრულდა XVIII საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც ივირონის ბერძნული საკრებულოს ანონიმმა ბერმა ძირითადად ქართულ წყაროებზე დაყრდნობით დაწერა იოვანე, ეფთვიმე და გიორგი ათონელების „ცხოვრება“ ბერძნულად.

თუ რას და როგორ ემსახურებოდნენ ეფთვიმეს სიცოცხლეში შედგენილი „სამახსოვრო წიგნები“, ნათლად აქვს ჩამოყალიბებული ეფთვიმეს სვინაქსარული „ცხოვრების“ ავტორს ბასილი ბაგრატიის ძეს.

ეფთვიმეს სვინაქსარული ცხოვრება დაიწერა 1028-29 წლებში მის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. სვინაქსარული „ცხოვრება“ მიზნად ისახავდა იოვანეს და ეფთვიმეს მრავალმხრივი მოღვაწეობის შეჯამებას და შეფასებას და მათი პიროვნული თვისებების წარმოჩენას.

სვინაქსარული „ცხოვრება“ დაწერილია ამ ჟანრისათვის დამახასიათებელი ინფორმაციული მასალით დატვირთული ლაკონური სტილით, თუმცა სიტყვაძუნწობამ ავტორს არ შეუშალა ხელი, გაეთვალისწინებინა ბიზანტიის იმპერიაში მიმდინარე პოლიტიკური და იდეოლოგიური პროცესები და ამ მოვლენათა ფონზე წარმოეჩინა იოვანეს და ეფთვიმეს

<sup>1</sup> იოვანე, ეფთვიმე და გიორგი ათონელების ბერძნული ცხოვრება, მ. მაჩხანელის გამოცემა, თბ., 1982.

მოღვაწეობის ხასიათი და მნიშვნელობა. მისი აზრით, ეფთვიმე ღმრთის განგებით მოეწვინა ქართველებს და არა მარტო ქართველებს, „მადლმან სულისა წმიდისამან მდიდრად დაიუნჯა მის შორის, რომლისა მიერ იქმნა წინამძღუარ უცთომელ და მკურნალ სულთა, ვიდრემდის განჯდა ჳამა სათნოებათა მისთაჲ ყოველსა სოფელსა“.<sup>1</sup>

ამ დახასიათებაში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ის, რომ ეფთვიმეს სათნოებათა შესახებ „განჯდა ჳამა ყოველსა სოფელსა“ – მთელ ქვეყანაზე. ამ ზოგადი შეფასების შემდეგ ავტორი გადადის ეფთვიმესადმი მომადლებულ მადლთა განხილვაზე, რომელთა შორის მას ყველაზე მნიშვნელოვნად მიაჩნია მისი მთარგმნელობითი საქმიანობა, რისთვისაც „წყალობამან ღმრთისამან“ მოუვლინა იგი ქართველებს, როგორც „ახალი ოქროპირი და მისცა პირსა მისსა ენაჲ ცეცხლისაჲ და აღძრა თარგმანებად წიგნთა საღმრთოთა“.<sup>2</sup>

ეს უკანასკნელი შედარება მარტო რიტორიკული სამკაული როდია, ამ შედარებით ავტორმა წარმოაჩინა ეფთვიმეს პიროვნების ინდივიდუალობა და მისი მოღვაწეობის ძირითადი მიმართულებები: მართლმადიდებლობის შეუპოვარი დამცველი იგი აგრეთვე მგზნებარე პოლემიკოსიც ყოფილა. საფიქრებელია, რომ ეფთვიმეს მწვერმეტყველება გამოვლინდა მღვდელმსახურების დროს სამოძღვრო ქადაგებებში. მისი ნიჭის ეს მხარე კარგად ყოფილა ცნობილი თანამედროვეთათვის.

და მაინც, სად უნდა ვეძებოთ „სამახსოვრო წიგნების“ შექმნისა და მათი ფართოდ გავრცელების მიზეზი? ამაზედაც პასუხს ისევ ბასილი ბაგრატიის ძის ეფთვიმეს სვინაქსარულ „ცხორებაში“ ვპოულობთ. ჩამოთვლის რა ეფთვიმეს სათნოებებს, ბასილი ბოლოს ურთავს: მრავალ სათნოებასთან ერთად ეფთვიმეს „აქუნდა ესეცა დიდი სათნოებაჲ – დაფარვაჲ სათნოებათა თვისთაჲ და ამისთვის უმრავლესნი სათნოებანი აღუწერელად დაშთეს“.<sup>3</sup> საფიქრებელია, ეს იყო მიზეზი იმისა, რომ მისმა თანამოღვაწეებმა და მოწაფეებმა განიზრახეს ეფთვიმეს „დაფარული სათნოების“ საპირისპიროდ სრულად წარმოეჩინათ ეფთვიმეს განუზომელი ღვაწლი ქართველთა ნათესავისა თუ „ყოველსა სოფელსა“ წინაშე, ღვაწლი, რომელიც მის თანამედროვეთა დიდ

<sup>1</sup> გიორგი მთაწმიდელი, ცხორებაჲ იოვანესი და ეფთვიმესი, 1946, გვ. 57. ქვემოთაც ამ გამოცემით ესარგებლობთ.

<sup>2</sup> იქვე გვ. 57

<sup>3</sup> სვინაქსარული რედაქცია... გვ. 60.

განცვიფრებას იწვევდა, რასაც საგანგებოდ აღნიშნავს ბასილი ბაგრატიონი: „ხოლო თარგმანებაჲ წიგნთაჲ ნამეტნავად და გვრგვინად და სართად და კიდევანად ყოველთა სათნოებათა მოეგო, რომელი-იგი ფრიად საკვრველ არს, თუ ესოდენტა მოლუაწებათა თანა ვითარ აღწერნა ესოდენნი თარგმანებანი, გინათუ ესოდენტა თარგმანთა თანა ვითარღა უძლო აღსრულებად ესოდენტა მოლუაწებათა, გარნა ძალითა ღმრთისაჲთა ქმნა ორივე ესე ფრიად მალლად და დიდებულად“<sup>1</sup>.

ეს განცვიფრება დღესაც, XX საუკუნის დასასრულსაც, არ შენელებულა, პირიქით, უფრო გამძაფრდა.

თუ რა საშუალებით მოახერხეს „სამახსოვრო წიგნთა“ შემდგენლებმა ეფთვიმეს „დაფარულ სათნოებათა“ გამქლავება, ამის წარმოჩენას ემსახურება წინამდებარე გამოკვლევა.

\* \* \*

იოვანე ქართველისა და ეფთვიმეს ათონზე მოღვაწეობის დასაწყის ეტაპზე, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც მთაწმიდას ჩასული პირველი ქართველები ათანასეს ლავრასა თუ იოანე მახარებლის მონასტერს აფარებდნენ თავს და ორგანიზაციულად ათანასეს ლავრასთან იყვნენ დაკავშირებულნი, ქართველთა საკრებულოში სულ რამდენიმე (დაახლოებით შვიდი) ადამიანი ერთიანდებოდა; ამიტომ მთელი სიმძიმე ქართველების სამოღვაწეო პროგრამის შედგენისა, მწიგნობართა თავმოყრისა, სათარგმნი ლიტერატურის შერჩევისა ქართული პოლიტიკური და კულტურული ინტერესების გათვალისწინებით მთლიანად იოვანე ქართველის, იოვანე-თორნიკესა და ეფთვიმეს მხრებზე გადადიოდა.

მას შემდეგ, რაც გამოჩნდა ქართული მცირე საკრებულოს ცალკე გამოყოფისა და დამოუკიდებელი ქართული მონასტრის აშენების რეალური შესაძლებლობა, პირველ პლანზე დადგა საკითხი საკრებულოს გაძლიერებისა მწიგნობრებითა და „სახელოვანი მონაზონებით“. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი გადადგა თორნიკემ. იოანეს და ეფთვიმეს „ცხოვებაში“ ვკითხულობთ: „ხოლო იყო რაჲ თორნიკ ადმოსაგლეთს, მრავალნი ფიროსანნი და სახელოვანნი მონაზონნი ჩამოიტანნა, სიმრავლე არამცირედი და ენება, რაჲთა ქართველნი ოდენ იყვნენ მონასტრისა ამის მკვლრნი“ („ცხოვება“, § 25, 1). ეს უნდა მომხ-

<sup>1</sup> სვინაქსარული რედაქცია..., გვ. 61.



დარიყო 981 წელს. თვალსაჩინო ქართველ მწიგნობართა მრავალთა ათონის ქართველთა ახლად შექმნილ მონასტერში არც იოვანე ქართველი აკლებდა ცდას: გაიგო რა, რომ მისი ყოფილი თანამოღვაწენი (საფიქრებელია, ოთხთა ეკლესიიდან) იოვანე გრძელისძე და არსენ ნინოწმიდელი პონტოს უდაბნოს ერთ-ერთ მონასტერში მარტომყოფელთა ცხოვრებას ეწეოდნენ, იოვანემ მათ ეპისტოლე გაუგზავნა: „წარავლინეს ძმაჲ ერთი და მიუწერეს წიგნები, ვითარმედ: „წმიდანო მამანო, გუეუწყა სიწმიდისა თქუენისათჳს და ვცანთ მანდა ყოფაჲ თქუენი და ფრიად გულკლებულ ვართ, რომელ არა ინებეთ ამას წმიდასა და სახელოვანსა მთასა მოსლვაჲ, რამათამცა თქუენი წმიდაჲ ლოცვაჲ მოგუედო. აწ ვევედრებით სიწმიდესა თქუენსა, რამათა მოხვდეთ და ერთგან ვიყოფებოდით, ვინამთგან უწყით, რომელ ჩუენცა უცხოებასა ვართ“. ეს წერილი რომ წაიკითხეს, „მათცა გაესუენა და მეორესა ხოლო წელსა ჩამოვიდეს“ („ცხოვრება“, § 37, 1). ამ ამბავმა დიდად გაახარა ათონელი მამები, „სინარულითა აღიესნეს და მადლი შეწირეს ღმრთისა და მოწლედ მოიკითხნეს და სულიერად და ჯორციელად ნებისაებრ მათისა ალაშენნეს, და უდაბნოსა ადგილსა სენაკები უშენეს და ღმრთისა სათნოთა მოქალაქობითა ცხოვნდებოდეს“ („ცხოვრება“, § 37,2). თუ ვისი მეშვეობით განხორციელდა იოვანე ქართველის დაკავშირება პონტოს უდაბნოს ქართველ მარტომყოფებთან და ვინ ჩამოიყვანა ისინი ათონზე, ამის შესახებაც არსებობს ცნობები თვით იოვანე გრძელისძის გადაწერილ ეფთვიძეს თარგმნილ მათეს თავის თარგმანების სამწიგნეულის მესამე (ბოლო) წიგნის ერთ-ერთ ანდერძში: „უფალო იესუ ქრისტე, ღმერთო ჩუენო, ადიდე მამაჲ მიქაელ და მიჰმადლე წყალობისა ჩუენისათჳს საუკუნესა: იგი ჰქმენ მიზეზ ჩუენისა აქა მოსულისა. ლოცვა ყავთ მათთჳს, წმიდანო, ღმრთისათჳს“ (ათ. 10, 35 სწავლის ბოლოს). ამ ანდერძის მიხედვით, ათონის მოღვაწე მამა მიქაელს ჩამოუყვანია პონტოს უდაბნოდან ათონზე იოვანე გრძელისძე და არსენ ნინოწმიდელი.<sup>1</sup>

<sup>1</sup> ვინ იყო მამა მიქაელი და რა როლი შეასრულა მან იოვანე ქართველისა და ეფთვიძეს თანამდგომთა პირველი გუნდის ჩამოყალიბებაში და მათი მოღვაწეობის პროგრამის განსაზღვრაში, ამაზე ქვემოთ.

ჩანს, იოვანე გრძელისძე და არსენ ნინოწმიდელი ათონზე ჩავიდნენ X საუკუნეანსკენელ წლებში ან XI ს. დამდეგს. ყოველ შემთხვევაში, 1002 წლისათვის იოვანე გრძელისძე უკვე აქტიურად არის ჩართული ეფთვიძეს მთარგმნელობით საქმიანობაში. მათეს თავის თარგმანების ეფთვიძესეული თარგმანის ერთ-ერთ ანდერძში აღნიშნულია,

თუ რა შეფასება მიიღო ათონის ქართული მონასტრის საკრებულოში იოვანე გრძელისძისა და არსენ ნინოწმიდელის გაწეულმა საქმიანობამ, ცნობები ამის შესახებ შემოგვინანა ისევ იოვანე და ეფთვიმეს „ცხოვრებამ“. „ცხოვრების“ პირველსავე პარაგრაფში, რომელსაც „წინათქმის“ ფუნქციაც აკისრია, იოვანე გრძელისძე და არსენ ნინოწმიდელი იოვანე ქართველისა და ეფთვიმეს ღონის მოღვაწეებად არიან წარმოდგენილნი, რომელნიც განგებით მოუვლინა ქართველებს ღმერთმა: „განგებულებითა თუსითა უმჯობესსა ყოველთასა განაწესებს და მიუწითმელითა სახიერებითა თუსითა თვთოეულთა ჟამთა შინა ღირსთა და სათნოთა თუსთა გამოაჩინებს სარგებელად კაცთა ნათესავისა და სადიდებელად ღმრთიებისა თუსისა, რომელმან ჩუენთაცა ამათ ჟამთა შინა გამოაჩინნა ნეტარნი მამანი ჩუენნი: იოვანე და ეფთვმე და იოვანე<sup>1</sup> და არსენი ეპისკოპოსი ნინოწმიდელი და იოვანე გრძელისძე და შემდგომითი-შემდგომად სხუანი იგი მოწაფენი მათნი და მობაძენი სათნოებისა მათისანი, რომელთა სახელები აღწერილ არს წიგნსა მას ცხოვრებისასა“ („ცხოვრება“, § 1).

თვით ეფთვიმე შემდგენაირად აფასებდა იოვანე გრძელისძისა და არსენ ნინოწმიდელის პიროვნებებსა და საქმიანობას: „ჭეშმარიტად წამა მათთჳს ღმერთშემოსილმან მამამან ჩუენმან ეფთვმე, ვითარმედ „უკუანამსკნელთა ამათ ჟამთა არღარა გამოჩინებად არიან ესევეთარნი სრულნი და მაღალნი სათნოებითა“ („ცხოვრება“, 104, 13). რით დაიმსახურეს ამ მოღვაწეებმა ეფთვიმეს და გიორგი მთაწმიდელის ეგზომ მაღალი შეფასება?

იოვანე გრძელისძემ და არსენ ნინოწმიდელმა ათონზე ჩასვლისთანავე ქართული მონასტრის საკრებულოსთან მამა მიქაელის აქტიური ჩარევით შექმნეს იოვანესა და ეფთვიმეს თანამდგომთა და თანამოღვაწეთა გუნდი, რომელმაც მიზნად დაისახა მხარში ამოსდგომოდა იოვა-

რომ ამ თარგმანის 1002 წლის ეფთვიმეს ავტოგრაფული ნუსხა იოვანე გრძელისძემ „შეპზადა“.

<sup>1</sup> იოვანე უნდა იყოს იოანე-თორნიკე. „იოვანე, იოვანე და ეფთვმე“, როგორც პირველი ქართველი ათონელები, ასევე ერთად არიან მოხსენიებულნი იოვანე და ეფთვიმეს „ცხოვრებაზე“ დართულ „მოსაქსენებელში“, სადაც ვკითხულობთ: „ვინაიფიან მაღლითა და წყალობითა ღმრთისამათა აღიძრნეს წმიდანი მამანი ჩუენნი: იოვანე და იოვანე და ეფთვმი და ამას წმიდასა მთასა მოიწინეს ნათესაყუდელად სულთა მრავალთა და განმამრავლებელად ნათესავისა ჩუენისა“ (ცხოვრება, 118,2). ესენი არიან იოვანე ქართველი, იოვანე-თორნიკე და ეფთვიმე.





ნეს და ეფთვიმეს მათ საქმიანობაში, რაც, პირველ რიგში, ეფთვიმეს თარგმანთა გადაწერასა და გავრცელებაში გამოიხატა. მათი მიზანი კი ერთი იყო: ეფთვიმესა და იოვანე ქართველის საზოგადოებრივი და მთარგმნელობით-შემოქმედებითი მოღვაწეობის შეფასების საფუძველზე წარმოჩენილიყო ამ ორი დიდი ქართველის მოღვაწეობის ეროვნული მნიშვნელობა. მართლაც, ეფთვიმეს საგანმანათლებლო მოღვაწეობის შედეგად დიდად ამაღლდა ქართველთა განსწავლულობა საერთოდ, კერძოდ კი, ქართველთა მონასტრის საკრებულოში, რამაც ხელი შეუწყო ქართული მონასტრის პრესტიჟის ამაღლებას ათონის უდაბნოს სამონასტრო თვითმმართველობაში და შესაძლებლობა მისცა ქართულ საკრებულოს, წინ აღდგომოდა (ათანასე ლავრელის გარდაცვალების შემდეგ) ბერძნების მიერ წამოწყებულ აშკარა თუ ფარულ ბრძოლას.

იოვანესა და ეფთვიმეს ბერძნების წინააღმდეგ ბრძოლის იდეოლოგიური საფუძველი იყო მათ მიერ ჩამოყალიბებული პოზიცია, რომ ქართველთა სარწმუნოებას არასდროს შეხებია მწვალებლობა. ქართველები მუდამ მართლმადიდებლობას იცავდნენ. ამავე დროს, ბიზანტიაში მოღვაწეობის მანძილზე ქართველებმა მიაღწიეს განსწავლულობის მაღალ დონეს და განათლებითა და შემოქმედებითი პოტენციით არაფრით არ ჩამორჩებოდნენ ბერძნებს. ეს თვალსაზრისი XI-XII საუკუნეებში განსაზღვრავდა არა მარტო ათონის მონასტრის ქართველთა საკრებულოს მწიგნობართა მოღვაწეობის მიმართულებას, არამედ საზღვარგარეთის სხვა ქართულ სამწიგნობრო კერებში მოღვაწე ქართველი მეცნიერებისა და მთარგმნელების დამოკიდებულებას სათარგმნი მასალისადმი და თვით ამ მასალის თარგმნის მეთოდებს.

ათონზე ამ მიმართულებით ეფთვიმეს საქმიანობა განდა იმის საწინდარი, რომ მან სიცოცხლეშივე მტკიცედ დაიმკვიდრა ზედწოდება ქართველთა ნათესავის განმანათლებლისა, რომელმაც გაანათლა ქართველთა გონება „ღმრთისა სათნოათა მეცნიერებითა“.

დავუბრუნდეთ ეფთვიმეს თანამდგომთა პირველ გუნდს — იოვანე გრძელისძესა და არსენ ნინოწმიდელს.

ივ. ლოლაშვილი თავის საინტერესო ნაშრომში — „ათონურ ქართულ ხელნაწერთა სიახლენი“<sup>1</sup> საგანგებოდ ჩერდება ეფთვიმეს

<sup>1</sup> ი. ფანცულაია, ათონის ივერიის მონასტრის ქართულ ხელნაწერთა კატალოგი. — ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A კოლექცია), ტ. IV, 1954, გვ. 177, N1140; ივანე ლოლაშვილი, ათონურ ქართულ ხელნაწერთა სიახლენი. თბილისი, 1982, გვ. 58-76.



თარგმნილი იოანე ოქროპირის მათეს თავის თარგმანების შემცველ ხელნაწერებზე – ათ. 10-სა და ათ. 13-ზე. მკვლევარი მიიჩნევს, რომ ათ. 10 არის 1002 წელს ეფთვიმეს ხელით დაწერილი (ავტოგრაფი); ათ. 13 კი – 1002 წლის ავტოგრაფის ნუსხა, გადაწერილი 1008 წელს არსენ ნინოწმიდელის, იოანე გრძელისძისა და იოანე ოქროპირად წოდებულის მიერ.

ათონის ამ ხელნაწერთა შესწავლამ სულ სხვა სურათი წარმოაჩინა. გაირკვა, რომ არც ათ. 10 (იკლოლაშვილის მიერ ეფთვიმეს ავტოგრაფად მიჩნეული) და არც ათ. 13 არ წარმოადგენენ მათეს თავის თარგმანების დამოუკიდებელ ნუსხებს. ისინი ნაწილბია ერთი ხელნაწერისა, რომელიც სამ ნაწილად, ანუ სამ წიგნად არის გადაწერილი. ეს სამი ხელნაწერია: ათ. 13, ათ. 4 და ათ. 10. სამივე ხელნაწერი, წარმოდგენილი თანმიმდევრობით, ერთმანეთს აგრძელებს. სამივე ხელნაწერს ახლავს გადამწერთა ანდერძები, საიდანაც ვგებულობთ შემდეგს:

1. მათეს თავის თარგმანების სამწიგნეული გადაწერილია ათონის ქართველთა მონასტერში იოანე გრძელისძის, არსენ ნინოწმიდელისა და იოანე ოქროპირად წოდებულის მიერ.

2. სამწიგნეული წარმოადგენს 1008 წლის ნუსხას მათეს თავის თარგმანების 1002 წლის ეფთვიმეს ავტოგრაფული ხელნაწერისა, რომელიც სამ წიგნად ყოფილა თავიდანვე დაწერილი.

3. 1008 წლის ნუსხა სამწიგნეულისა ზუსტი პირია ეფთვიმეს ავტოგრაფისა, რომელიც დღეისათვის არ ჩანს. მისმა 1008 წლის ნუსხამ შემოგვინახა ავტოგრაფის არა მარტო ტექსტის ზუსტი პირი, არამედ იოვანესა და ეფთვიმეს ყველა ანდერძ-მინაწერი.

4. 1008 წლის „თარგმანების“ სამწიგნეულის სამივე წიგნს ახლავს გადამწერთა ანდერძებიც, რომლებიც შეიცავენ იოვანესა და ეფთვიმეს საზოგადოებრივ-ლიტერატურული საქმიანობის შეფასებას და მისი ადგილის განსაზღვრას ქართული მწიგნობრობისა და ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბების პროცესში. ამ თვალსაზრისით 1008 წლის მათეს თავის თარგმანების სამწიგნეული უნდა შეფასდეს როგორც ერთ-ერთი პირველი „სამასსოვრო წიგნი“, შექმნილი იოვანეს და ეფთვიმეს სადიდებლად.

5. ათ. 10 ხელნაწერი, რომელიც იკლოლაშვილმა ეფთვიმეს ავტოგრაფად მიიჩნია, შედგენილია არა 1002 წელს, არამედ 1008 წელს, ამიტომ ის არ შეიძლება იყოს ეფთვიმეს ავტოგრაფი, ვინაიდან ეფთვიმეს ავტოგრაფი 1002 წელს შეიქმნა.



„სამახსოვრო წიგნების“ შექმნის მიზანი, როგორც ითქვამის, იქნა იმის თარგმანთა გამრავლება და პოპულარიზაცია იყო, ამასთანავე, იოვანეს და ეფთვიმეს ერთობლივი მოღვაწეობის შეფასება და მისი ადგილის განსაზღვრა ქართული მწერლობის განვითარების პროცესში.

თვალსაზრისი ამ საკითხზე პირველად ჩამოყალიბდა სწორედ იოვანე და ეფთვიმე ათონელების მრავალრიცხოვან ანდერძებში, რომლებიც ჩართულია ეფთვიმეს ადრეული თარგმანების ავტოგრაფულ ხელნაწერებში. ეფთვიმეს ეს უძველესი ავტოგრაფები დღეისათვის დაკარგულია. ჩვენამდე მოაღწიეს მხოლოდ ეფთვიმეს სიცოცხლეშივე შესრულებულმა ავტოგრაფების პირებმა. მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ზემოთდასახელებული ეფთვიმეს 1002 წელს თარგმნილი იოანე ოქროპირის მათეს თავის თარგმანები, გადანუსხული 1008 წელს<sup>1</sup> და „დილოლონის“ და სხვა ასკეტური თხზულებების კრებული, გადაწერილი ავტოგრაფიდან 1011-13 წლებში<sup>2</sup>. სწორედ ამიტომ საჭიროდ მივიჩნით, პირველ რიგში, თვით იოვანე ქართველის თვალსაზრისის განხილვა მისი და მისი შვილის მწიგნობრულ და ეროვნულ-საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე პირველ პერიოდში (1002 წლამდე), რომელიც მოიცავდა მათი ერთობლივი საქმიანობის 30-წლიან მონაკვეთს. ამ წლებში ეფთვიმემ იოვანე ქართველის ხელმძღვანელობითა და აქტიური ხელშეწყობით შეასრულა თავისი თარგმნილი პროდუქციის უდიდესი ნაწილი. ამ თარგმანთა სია შეადგინა იოვანე ქართველმა და დაურთო 1002 წელს თარგმნილ მათეს თავის სახარების თარგმანების ეფთვიმესეულ თარგმანს, რომელიც, იოვანე ქართველის თქმით, ეფთვიმეს თარგმანთა შორის მოცულობით ყველაზე დიდი და სათარგმნელად ყველაზე რთული, ხოლო შინაარსით ყველაზე მნიშვნელოვანი იყო „ქართველთა ნათესავის“ სულიერი და გონებრივი განათლებისათვის.

სამწიგნეულის პირველი ნაწილი (ათ. 13) თავნაკლულია, იწყება ხელნაწერი ნაკლული „წინათქმით“, რომელიც საღმრთისმეტყველო ტრაქტატის შთაბეჭდილებას ტოვებს და მიზნად ისახავს ქრისტიანული ღმრთისმეტყველების ჩამოყალიბებისა და მისი შემდგომი განვითარების გზის ჩვენებას იოანე ოქროპირის ჩათვლით. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მათეს თავის თარგმანების ჩვენთვის ცნობილ გამოცემებში „წინათქმა“ ვერ დავადასტურეთ. ტრაქტატის შინაარსი, ავტობულება და დანიშ-

<sup>1</sup> ხელნაწერი (სამწიგნეული) - ათ. 13, ათ. 4, ათ. 10.

<sup>2</sup> A.1103 ხელნაწერი.



ნულება კი გვაგვარაუდებინებს მისი ბერძნული დედნის არსებობას „წინათქმას“ ხელნაწერში მოსდევს „თარგმანებთან“ დაკავშირებული 90 „სწავლათა“ საძიებელი, რომელსაც წინ უძღვის ეფთვიმეს განმარტებითი შენიშვნა: „ვინამთვან წმიდასა მას მამასა ჩუენსა, იოვანე ოქროპირსა, ესრეთ ჰქონდა ჩუეულებაჲ, რაათამცა წარმოთქუა თარგმანებაჲ სახარებისაჲ მყოვარ ჟამ და მერმე, აღსასრულსა ზედა, სწავლასა წარმოიტყოდა, ამისთვის ძალი თითოეულისა სწავლისაჲ აქა დაგვწერია, რაათა, რომელსაცა ეძიებდეს, ადვილად პოოს, რამეთუ ესრეთ არს ბერძულთაცა წიგნთა შინა“.

„სწავლათა“ საძიებელი მთავრდება ათ. 13 ხელნაწერის გადამწერის, იოვანე გრძელისძის, პირველი ანდერძით: „ქრისტე, აკურთხე და გაუსვენე სულსა მამისა იოვანესსა და აკურთხე მამაჲ ჩუენი ეფთვმე, შემდგომად ღმრთისა ამათ სულთა ცხორებისა მომცემელნი ქართველთა ნათესავსა და გარდაიკადე შრომისა მათისათვის“ (ათ. 13, 4v). ამ ანდერძს მოსდევს მათეს თავის თარგმანების I ნაწილის კუთვნილი 18 თავი.

„სამახსოვრო წიგნის“ ამ პირველსავე ანდერძში იოვანე გრძელისძე განსაზღვრავს იოვანე ქართველისა და ეფთვიმეს მთავარ დამსახურებას „ქართველთა ნათესავის“ წინაშე შემდგომად ღმრთისა. სწორედ იოვანე ქართველი და ეფთვიმე არიან პირველნი, რომლებიც ზრუნავდნენ „ქართველთა ნათესავის“ სულიერ ცხოვრებაზე.

გადამწერთა მეორე ანდერძი ერთვის იოანე ოქროპირის სულიერ სწავლათა „ზანდუკს“. ამ ანდერძში ეფთვიმეს მოღვაწეობა უფრო ფართო თვალსაწიერით არის დანახული: „...ბრძანებითა ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა ეფთვმესითა ჩუენ, გლახაჲნი და ცოდვილნი არსენ ნინოწმიდელი და იოვანე გრძელისძე და ოქროპირი, ღირს ვიქმნებით დაწერად კელითა ჩუენითა წმიდათა ამათ წიგნთა, თარგმანებულთა განმანათლებელისა წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთვმესითა ბერძულისაგან ქართულად ნუგეშინისმცემელად ყოველთა ქართველთა და სალოცველად და სადიდებულად მამისა ეფთვმესა, რომელი გამოჩნდა ჟამთა ამათ უკუანამთა სწორი პირველთა წმიდათა, (სალოცველად) მამისა მიქაელისა და გიორგი და ძმათა ჩუენთა სულიერთა და კორციელთა.

„და მოსაქსენებელად სულისა კურთხეულისა იოვანესსა, რომელი-იგი არს ამის ყოველისა კეთილისა მიზეზი, რომელმან განზარდა



და განსწავლა მამამ ეფთვიმე და ღირს-გუყუენა ჩუენ ესეველითა კეთილთა, ღირსმცა არს სული მათი წარუვალთა მათ კეთილთა.

„და მოსახსენებლად სულსა მოძღუართა, მშობელთა და ძმათა, ნათესავთა სულიერთა და ჯორციელთა“ (ათ. 13, 260 r-v).

ხელნაწერის გადამწერთა ანდერძის მიხედვით, ეფთვიმე განმანათლებლის მიერ თარგმნილი წიგნის გადანუსხვა ორ მიზანს ემსახურებოდა: 1. ნუგეშინისცემა ყოველთა ქართველთა, 2. სალოცველად და სადიდებლად, პირველ რიგში, ეფთვიმესი, რომელიც ბოლო ჟამს გამოჩნდა სწორი პირველთა მათ წმიდათა.

ანდერძიდან არ ჩანს, თუ ვის გულისხმობს გადამწერი „პირველ წმიდათა“ ქვეშ: წინათონური პერიოდის პირველ ქართველ მთარგმნელებს, თუ მსოფლიო ეკლესიის მამებს? ვფიქრობთ, აქ პირველი ქართველი მთარგმნელები უნდა ივარაუდებოდნენ, ვინაიდან სამწიგნულის გადამწერთა სხვა ანდერძებშიც ეფთვიმე შედარებულია პირველ ქართველ მთარგმნელებთან, რომლებსაც ათონის ქართველ მწიგნობართა წრეში, ჩანს, დიდად აფასებდნენ. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ არც ის არ არის გამორიცხული, რომ სამწიგნულის გადამწერებს ეფთვიმე მსოფლიო ეკლესიის წმიდა მამებთანაც შეედარებინათ. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ამის მაგალითებიც გვხვდება „სამახსოვრო წიგნის“ შემქმნელთა ანდერძებში.

„მათეს თავის თარგმანების“ 1008 წლის ნუსხა მისმა შემქმნელებმა მოიაზრეს როგორც „სამახსოვრო წიგნი“ ეფთვიმეს სადიდებლად, მამა მიქაელის, მამა გიორგის და სულიერთა და ხორციელთა ძმათა სალოცველად და მოსახსენებლად გარდაცვლილი იოვანე ქართველისა, რომელიც იყო „ყოვლისა კეთილისა მიზეზი“, ვინაიდან გაზარდა და განსწავლა მამა ეფთვიმე და ამით ღირს ყო ქართველთა ნათესავი ეფთვიმეს თარგმანებითა და მოღვაწეობით მონიჭებული სიკეთისა.

თუ შევაჯამებთ „სამახსოვრო წიგნის“ მოყვანილ ანდერძებს, სამი მომენტი გამოიკვეთება: 1. იოვანე და ეფთვიმე გამოცხადებული არიან ქართველთა განმანათლებლებად, რომელთაც ერი განანათლეს სულიერად და გონებრივად. 2. ეფთვიმე თარგმნიდა ბერძნულიდან ქართულად ნუგეშინისსაცემელად ყოველთა ქართველთა. 3. იოვანე ქართველი იყო „ყოველთა კეთილთა“ მიზეზი, როგორც მშობელი, აღმზრდელი და განმსწავლელი ეფთვიმე მთაწმიდელისა.

მიუხედავად იმ დიდი როლისა, რომელიც იოვანე ქართველმა შეასრულა ეფთვიმესთან ერთად ათონის მწიგნობრული სკოლის

შექმნასა და მისი ეროვნულ-საგანმანათლებლო პროგრამის შედგენასა და წარმართვაში, „სამახსოვრო წიგნების“ შექმნელთა ანდერძების მთელი პათოსი იქითკენაა მიმართული, რომ ზედმიწევნით სრულად წარმოაჩინონ ეფთვიმე, მისი საქმიანობა და პიროვნება. ამის გამო „სამახსოვრო წიგნების“ მიზანი, პირველ რიგში, ეფთვიმეს განდიდება, მისი პიროვნების წარმოჩენა და მისი დამსახურების გაცხადებაა.

„თარგმანების“ გადამწერთა მიერ წარმოდგენილი იოვანესა და ეფთვიმეს მოღვაწეობის ძირითადი მახასიათებლები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მათზე ადრე ჩამოაყალიბა უფრო სრულად და მასშტაბურად თვით იოვანე ქართველმა თავის ერთ-ერთ ანდერძში (სამწიგნეულის მე-სამე წიგნში, ათ. 10).

იოვანე ქართველის ეს ცნობილი ანდერძი „თარგმანების“ სამწიგნეულში უშუალოდ მოსდევს „თარგმანების“ თეოლოგიურ „წინათქმას“, რომელიც შეიცავდა ლეგენდას იოანე ოქროპირის მიერ მათეს თავის თარგმანების დაწერის შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ „წინათქმა“ სამწიგნეულში შეტანილია როგორც I (ათ. 13), ასევე III (ათ. 10) წიგნებში, იოვანეს ანდერძი „წინათქმას“ მხოლოდ III წიგნში ერთვის, და ამავე დროს ეფთვიმეს მიერ 1002 წლამდე ბერძნულიდან თარგმნილ წიგნთა ნუსხების შესავლის ფუნქციას ასრულებს. ეს სია იოვანემ საგანგებოდ შეამზადა „თარგმანების“ 1002 წლის ეფთვიმეს ავტოგრაფულ ნუსხაში შესატანად. იოვანე ქართველის ეს ანდერძი — შესავალი და, მასთან ერთად, ეფთვიმეს თარგმნილ წიგნთა სია ერთად წარმოადგენს იოვანე ქართველის თავისებურ ანგარიშს მისი და ეფთვიმეს ერთობლივი მთარგმნელობითი საქმიანობისა.

ამავე დროს იოვანეს ანდერძი „წინათქმასთანაც“ არის დაკავშირებული, ვინაიდან ის აგრძელებს „წინათქმის“ თხრობას, ქრისტიანულ სამყაროში იოანე ოქროპირის მათეს თავის თარგმანების გავრცელების ისტორიას უკვე საქართველოს ფარგლებში: „ხოლო ენასა ამას ჩუენსა ქართულსა არავინ-სადა პოვნილ იყო აქამომდე (იგულისხმება მათეს თავის თარგმანება — ე.მ.), რამეთამცა გამოეხუნეს წმიდანი ესე წიგნნი თარგმანებანი წმიდისა სახარებისანი, არამედ საბერძნეთისა ეკლესიანი და პრომისანი სავსე იყვნეს ამათვან, ხოლო ჩუენისა მის ქუეყანისანი — ნაკლულევან, და არა ესე ოდენ წიგნნი აკლდეს ენასა ჩუენსა, არამედ სხუანიცა მრავალნი“.



ამას მოსდევს იმის გადმოცემა, თუ რა გააკეთა იოვანე ქართველი ველმა იმისათვის, რომ ეს დიდი დანაკლისი შეეცხო ეფთვიმესთან ერთად: „ამისთვის მე, გლახაკი ესე, ვითარცა ნარჩევი ყოველთა მონაზონთაჲ, იოვანე, მწუხარე ვიყავ ამის საქმისათვის, რომელ-ესე ნაკლულევან იყო ქუეყანაჲ ქართლისაჲ წიგნთაგან და დიდი ხარკებაჲ მოლუაწებად ვაჩუენე და შვილი ჩემი ეფთვიმე განვსწავლე სწავლითა ბერძულითა სრულად და გადმოთარგმანებად წარვჰმართე წიგნთა ბერძულისაგან ქართულად, და აღიწერნეს ჩუენ მიერ“.

როგორც ითქვა, იოვანეს ამ ანდერძს მოსდევს ეფთვიმეს მიერ 1002 წლამდე ბერძნულიდან ქართულად თარგმნილ წიგნთა ნუსხა, შედგენილი იოვანე ქართველის მიერ. ამ სიის შემდეგ იოვანე ქართველი აგრძელებს თავის ანდერძს: „აწ ჟამსა სიბერისა და უძღურებისა ჩემისა წარვმართე შვილი ჩემი ეფთვიმე და ვიხარკე, რაჲთა „თარგმანებაჲცა მათეს თავისაჲ“ წმიდისა სახარებისაჲ დაწეროს ენასა ჩუენსა, რომელ-იგი სიმრავლისა შრომისა აქამომდე არა დაგვეწერა, რამეთუ, ვითარცა ხედავთ, დიდი წიგნი არს და ძნელად გამოსათარგმანებელად ბერძული-საგან, ვარნა შეწევნამან სულისამან და მეოხებამან წმიდისა თანა ღმრთისმშობლისამან... ყო გამარჯუებაჲ და აღქარულა დაუკლებულად წმიდაჲ ესე წიგნი, რომელი უშუენიერეს არს ყოველთა წიგნთა“ (ათ. 10, 331 რ).

ამრიგად, ამ უძველესი და „უშუენიერესი“ წიგნის თარგმანის განხორციელება სულიწმიდისა და ღმრთისმშობლის მეოხებით, იოვანეს აზრით, მათი დიდი გამარჯვება იყო, მაგრამ იოვანე ქართველისათვის მთავარი მაინც იყო არა ეს კონკრეტული ფაქტი, არამედ ის, რომ მათი ერთობლივი გარჯითა და ხარკებით „ქუეყანაჲ ქართლისაჲ“ აღივსო წიგნებით, ხოლო ქართველთა ნათესავი განათლდა სულიერად და გონებრივად. ანდერძში განსაკუთრებით ხაზგასმულია თვით იოვანეს დიდი გარჯა, რომელიც მან გასწია ეფთვიმეს აღზრდისა და განსწავლისათვის, რათა იგი, როგორც მთარგმნელი და განმანათლებელი, თავისი ქვეყნისა და ერის სამსახურში ჩამდგარიყო.

ამრიგად, ყველაზე მაღალი და ზუსტი შეფასება როგორც ეფთვიმესი, ასევე იოვანეს მოღვაწეობისა თვით იოვანეს ცკუთვნის.

ამავე ტალღაზეა აწყობილი იოვანესა და ეფთვიმეს თანამედროვეთა და თანამოღვაწეთა პირველი გუნდის მიერ წარმოდგენილი შეფასებები იოვანეს და ეფთვიმეს ერთობლივი მოღვაწეობისა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თვით იოვანე ქართველი „თარგმანების“ „წინათქმას“ და მის გაგრძელებას ანდერძითურთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, რაკი „წინათქმას“ შემდეგი სიტყვები წაუშლავარა: „ვინცა ამას წიგნსა სწერდეთ, ესე ანდერძი თანა დაწერე, ქრისტეს სიყუარულსა“ (ათ. 10, 332 v).

ანალოგიური ვედრება-განკარგულება „თარგმანების“ ეფთვიმესეულ ავტოგრაფულ ხელნაწერში წამძღვარებული აქვს ეფთვიმეს განმგებლურ ანდერძს: „გვედრებით ყოველთა, რომელნი ამას წიგნსა წერდეთ, ესე ანდერძი დაუკლებულად თანა დაწერეთ, ვინ არა დაწეროს, დიდსა ბრალსა თანამდებ არს“<sup>1</sup>.

ამ განკარგულებას მტკიცედ იცავდნენ ეფთვიმეს თარგმანთა პირველი გადამწესებულები ეფთვიმეს სიცოცხლეში. მამა-შვილი კი ამ გზით თავს იზღვევდა, რათა დაეწიებინა არ მისცემოდა მათი დამსახურება და ღვაწლი ქართველთა ნათესავის ისტორიულ მესხიერებაში. ამაზევე ზრუნავდნენ ეფთვიმეს ავტოგრაფების პირველი მწიგნობარ-მწესებრები, როდესაც თავიანთ ანდერძებში მიმართავდნენ „მომავალ ნათესავს“.

იოვანესა და ეფთვიმეს ამ „ვედრება-განკარგულებამ“ და მათი თანამედროვე და თანამოღვაწე მწიგნობრების მაღალმა პასუხისმგებლობამ, მათდამი უდიდესმა მოწინააღმდეგეობამ და თავიანთი ცეცხლით შემოგვიანსა დღეისათვის დაკარგული ეფთვიმეს ავტოგრაფთა ისეთი ზუსტი ნუსხები, ურომლისოდაც ჩვენი ცოდნა მათი მოღვაწეობის ხასიათზე და მასშტაბებზე, მათ პიროვნულ თვისებებზე მეტად მწირი იქნებოდა.

ეფთვიმეს თანამოღვაწე მწიგნობართა გუნდის წევრები ამ განკარგულების დაცვის დროს ცდილობდნენ, ავტოგრაფულ ხელნაწერთა მათ მიერ შექმნილი ნუსხები გადაეციათ იოვანესა და ეფთვიმესათვის მიძღვნილ „სამახსოვრო წიგნებად“, სადაც შესაძლებელი იქნებოდა, სრულად, ეფთვიმესა და იოვანეს ანდერძ-მინაწერთა ცნობების კვლადკვალ, წარმოეჩინათ მათი დამსახურება ქართველთა ნათესავისა და ქართველთა სამეფოს წინაშე. იქვე, იოვანეს და ეფთვიმეს ანდერძებზე მიბმულ საკუთარ ანდერძებში, რომლებიც მათთან შეკამათების ინტონაციაზეა აწყობილი, მწიგნობრები ცდილობდნენ, გამოეკვეთათ

<sup>1</sup> „განმგებლურ“ ანდერძს ეფთვიმე უწოდებს ხელნაწერის მთავარ ანდერძს, სადაც წარმოღვრილია ყველა მონაცემი ხელნაწერის შექმნის შესახებ.





აგრეთვე იოვანესა და ეფთვიმეს პიროვნული თვისებები, თავისებურებანი და მათი ზნეობრივი სახე.

ამ პრინციპზეა აგებული ეფთვიმეს თანამედროვე და თანამოღვაწე სამი მწიგნობრის არსენ ნინოწმიდელის, იოვანე გრძელისძისა და იოვანე ოქროპირად წოდებულის მიერ შექმნილი ზემოთდასახელებული ორი სამახსოვრო წიგნი: 1. მათეს თავის თარგმანების ეფთვიმეს თარგმანის შემცველი სამწიგნეული (ათ.13, ათ.4, ათ.10) და 2. გრიგოლ ჰრომთა პაპის „დიאלოღონისა“ და სხვა ასკეტურ თხზულებათა კრებული A-110 ხელნაწერი. პირველი შეიქმნა 1008 წელს, მეორე – 1011-1013 წლებში. მიუხედავად იმისა, რომ ერთი და იმავე მწიგნობართა მიერ გადაწერილი და მოაზრებული ორივე „სამახსოვრო წიგნი“ სულ სუთიოდე წლის მანძილზეა შექმნილი, მათ შორის სტრუქტურული სხვაობები მაინც შეინიშნება. რაც შეეხება მამა-შვილის მოღვაწეობის შეფასებით მომენტებს, როგორც ზემოთ ითქვა, ისინი, ძირითადად, იოვანე ქართველის ანდერძებში ჩამოყალიბებული დეფინიციების ფარგლებში თავსდებიან.

ჯერ კიდევ იოვანეს სიცოცხლეში, თვით იოვანეს მონაწილეობით ქართველთა ელიტარულ წრეში ჩამოყალიბდა და განმტკიცდა თვალსაზრისი, რომ იოვანესა და ეფთვიმეს მოღვაწეობის ყველაზე თვალსაჩინო დამსახურება მათ საგანმანათლებლო საქმიანობაში გამოიხატა. თუ რა იგულისხმებოდა „განმანათლებლობაში“, ამაზე პასუხს ვპოულობთ მათეს თავის თარგმანების სამწიგნეულის წინათქმაში<sup>1</sup>, სადაც ვკითხულობთ: განაკაცებულმა სიტყვამ „მოგუშადა მეორე სამყაროა სულიერი, რომელ არს ეკლესიაა, ფრიად უძჯობესი და უაღრესი ხილულისა ამისა და განაწესნა მას შინა მნათობნი ბრწყინვალენი: მოციქულნი, წინამწარმეტყველნი, მღვდელთმოდღუარნი, მოწამენი და მა-

<sup>1</sup> ზემოთ ითქვა, რომ „წინათქმა“ ორგზის არის შეტანილი „სამწიგნეულში“: „თარგმანების“ ტექსტის წინ (I წიგნი) და ბოლოს (III წიგნი). ერთ თხზულებაში „წინათქმის“ ორჯერ შეტანის ფაქტი მოწმობს იმას, რომ ეფთვიმე მას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. „წინათქმა“ იწყება სამყაროს შექმნის ბიბლიური ისტორიით, ამას მოჰყვება სიტყვის განხორციელებისა და ქრისტიანობის გავრცელების ისტორია, ბრძოლა მართლმადიდებლური ქრისტიანობის განმტკიცებისათვის ერთკულ მიმდინარეობათა დაძლევის გზით. ამ პროცესში გადაწყვეტი როლი შეასრულა ვანგების ნებით მოვლენილმა იოანე ოქროპირმა (გადმოცემულია ლეგენდა იოანე ოქროპირის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის შესახებ) და მისმა ეგზეგეტიკურმა თხზულებებმა. „წინათქმის“ ავტორისა და წარმომავლობის საკითხი თხოულობს ცალკე შესწავლას.



მანი, რომელთა მიერ „განანათლებს ნათესავსა კაცთასა და გონებათა მათთა გულისკმისყოფად წმიდისა სამებისა“. ეფთვიმეს თანამედროვეთა რწმენით, ეფთვიმე სწორედ ის წმიდა მამა იყო, რომელმაც სულიწმიდის წინამძღვრობით იკისრა ქართველთა ნათესავის განათლება და მათი გონების „აღყვანება წმიდისა სამებისა გულისკმისყოფად“. სამწიგნეულის პირველი წიგნის ერთ-ერთი გადამწერის ანდერძში იოვანეს და ეფთვიმეს განმანათლებლობა ასეა განმარტებული: „ლოცვა-ყავთ წმიდათა მამათაჲს იოვანეს, რომელ არს მიზეზ, და ეფთჲმისჲს, რომელ არს მთარგმნელ, რომელთა განგუანათლნეს ღმრთისა სათნოათა მეცნიერებითა“ (ათ. 13, 275 v). აქაც განათლება საღმრთო მეცნიერების (ღმრთისმეტყველების) წვდომას გულისხმობს.

იოვანესა და ეფთვიმეს მოღვაწეობის აქ წარმოდგენილ გავრცელებულ შეფასებასთან ერთად, სამწიგნეულის გადამწერთა ანდერძებში გვხვდება ეფთვიმეს მთარგმნელობითი საქმიანობის ისეთი იდეოლოგიური ასპექტებიც, რომლებიც პირველად მათ მიერაა დანახული და განხორციელებული. ასე, მაგ.: სამწიგნეულის მესამე წიგნის ერთ-ერთი გადამწერის ანდერძში ვკითხულობთ: „წმიდაო და სასოო ჩუენო და სამკაულო ყოველთა ქრისტიანეთაო, ოქროპირო, მეოხ ექმენ წინაშე ქრისტეს, ღმრთისა ჩუენისა, მამათა ჩუენთა იოვანეს და ეფთჲმეს, რომელმან-ქეს თარგმნა ბერძულისაგან ქართულად თჲნიერ სომხურისა“ (ათ. 10, 268 v). ეს ანდერძი დაწერილია ეფთვიმეს სიცოცხლეში 1008 წელს. ამ ანდერძიდან აშკარაა, რომ ეფთვიმეს მიერ ბერძნულიდან ქართულად თარგმნა „თჲნიერ სომხურისა“, ე.ი. შუალედური სომხური თარგმანის გარეშე, ის დიდი სიახლე იყო, რომლითაც ეფთვიმე დაუპირისპირდა თავის წინამორბედ მთარგმნელებს (პირველ წმიდა მამებსა და მწიგნობრებს).

ეფთვიმეს მთარგმნელობითი მოღვაწეობის შეფასება ე.წ. პირველ მთარგმნელებთან მიმართებით სამწიგნეულის სხვა ანდერძებშიც გვხვდება.

ეს არსებითი თავისებურება ეფთვიმეს მთარგმნელობითი საქმიანობისა მოგვიანებით გიორგი მთაწმიდელის განხილვისა და შეფასების საგანი გახდა. გიორგი მთაწმიდელის ინტერესი ამ ფაქტისადმი სავესებით ბუნებრივი იყო, ვინაიდან სწორედ ამ მიზნის ირგვლივ გაერთიანდნენ როგორც ათონის ქართველთა მონასტრის პირველი საკრებულო, ასევე ქართველი ათონელების მომდევნო თაობები, რომელთა ყველაზე თვალსაჩინო და თანმიმდევრული მოღვაწე იყო გიორგი მთაწმიდელი.



გიორგი მთაწმიდელმა თავისი დამოკიდებულება თანამდგომთა პირველი გუნდისა და „სამაქსოვრო წიგნთა“ შემქმნელი მწიგნობრებისადმი მკაფიოდ ჩამოაყალიბა იოვანესა და ეფთვიძეს „ცხოვრების“ შესავალშივე: „დაღაცათუ ჩუენ შემდგომად მრავლისა ჟამისა ღმრთისა მიმართ მისლვისა მათისა (იოვანესა და ეფთვიძესი — ე.მ.) ჯელ-ჟავათ მცირედთა ამათ სიტყუათა აღწერად, გარნა ურწმუნომცა ნუენ არს, რამეთუ ჩუენ თავით თუსით არარაჲ აღგუწერია, არამედ რაჲ-იგი ვისწავეთ კაცთა სარწმუნოთაგან და სულიერთა მამათა, რომელთა-იგი ეხილენეს და ემსახურა მათდა, რომელნი-იგი უცხო იყენეს ყოვლითურთ ტყუელიისაგან, და საესე მადლითა ზეგარდამოდთა და თვთ მებრ მათ საქმეთაგან, რომელნი-იგი დუმილით წამებენ და ჳამაღლად ქადაგებენ ღუაწლთა და შრომათა მათთა: ლავრაჲ ესე დიდებული და ყოვლითა შუენიერებითა შექცული და ყოვლითა სამკაულითა განშუენებული, რომელი-ესე მრავლითა შრომითა და ოფლითა აღაშენეს მათ ნეტართა განსასუენებელად სულთა მრავალთა, რომელსა შინა აღჳმართნეს ეკლესიანი ცათა მობაძაენი და აღავსნეს იგინი წიგნთა მიერ ღმრთივ-სულიერთა და განაბრწყინენეს იგინი ხატთა მიერ პატრიოსანთა“ („ცხოვრება“, § 4, 1-3).

„ცხოვრების“ ამ პასაჟში გიორგი მთაწმიდელი წარმოაჩენს პირველი ათონელების დამსახურების სრულ სურათს, ამასთანავე ასახელებს იმ წყაროებსა და იმ პირებს, რომელთაგანაც მოიპოვა უტყუარი, თვითმხილველთაგან მოწოდებული ცნობები მამა-შვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. ესენი იყვნენ იოვანე გრძელისძე, არსენ ნინოწმიდელი, იოვანე, ოქროპირად წოდებული, მამა მიქაელ, მამა გიორგი და მათი მრავალრიცხოვანი დამხმარე და ხელშემწყობი პირი, რომლებიც XI საუკუნის დამდეგიდანვე (1001 წლიდან) დაკავშირებული იყვნენ ეფთვიძესთან.

ათონზე გიორგის ჩასვლის დროისათვის ბევრი მათგანი უკვე გარდაცვლილი იყო (იოვანე გრძელისძე და არსენ ნინოწმიდელი), ზოგი კი განაგრძობდა მწიგნობრულ საქმიანობას, მათ შორის მამა მიქაელი და მამა გიორგი, რომელთა საფასითა და ხელშემწყობით 1008 წელს შეიქმნა ეფთვიძესადმი მიძღვნილი პირველი „სამაქსოვრო წიგნი“ (მათეს თავის თარგმანების „სამწიგნეული“).



საფიქრებელია, რომ სწორედ მამა მიქაელი და მამა გიორგი იყვნენ ის სარწმუნო სულიერნი კაცნი, რომელთაც „ეხილვნეს და სახურა“ იოვანესა და ეფთვიმესთვის და რომელთაც მიაწოდეს გიორგი მთაწმიდელს უტყუარი ცნობები მათ შესახებ.

რაც შეეხება ჩვენთვის საინტერესო ცნობას პირველი „სამახსოვრო წიგნიდან“, რომ ეფთვიმე ბერძნულიდან თარგმნიდა „თვნიერ სომხურისა“, ამ საკითხისადმი გიორგის დამოკიდებულება ჩამოყალიბებულია მისსავე „ცხორებაში“ ძირითადად იმ მონათხრობის საფუძველზე, რომელსაც ასე უხვად აწვდიდა გიორგი მთაწმიდელი თავის უახლოეს მოწაფეს გიორგი მცირეს. „ცხორებაში“ კი ამ საკითხის თაობაზე ვკითხულობთ: „დალაცათუ პირველითგანვე გუქონდეს წერილნიცა და სარწმუნობაჲ ჭეშმარიტი და მართალი, გარნა ქუეყანაჲ ჩუენი შორს იყო ქუეყანისაგან საბერძნეთისა. და ვითარცა თესლნი არაწმიდანი შორის ჩუენსა დათესულ იყვნეს ბოროტნი იგი თესლნი სომეხთანი, გულარძნილნი და მანქანანი, და ამის მიერ ფრიად გუევენბოდა, რამეთუ ნათესავი ჩუენი წრფელ იყო და უმანკოჲ; ხოლო იგინი რეცა მიზეზითა წესიერებისაჲთა, რეცა ცთუნებად გუაზმნობდეს, და რომელნიმე წიგნიცა გუქონდეს მათგან თარგმნილნი“.<sup>2</sup> ამ აბზაცში გაშლილი და გაშიფრულია ის, რაც სულ რამდენიმე სიტყვითაა აღნიშნული 1008 წლის „სამახსოვრო წიგნის“ ერთ-ერთი ვადამწერის ანდერძში.

გიორგი მთაწმიდელის ინტერესი ამ ფაქტისადმი საესებით გასაკუბია, ვინაიდან, როგორც ზემოთ ითქვა, სწორედ ამ ახალმა მიმართულებამ მთარგმნელობით საქმიანობაში გააერთიანა ამ მიზნის ირგვლივ ათონის მონასტრის ქართული საკრებულოს რამდენიმე თაობა, პირველ რიგში, ეფთვიმეს საქმიანობის უშუალო გამგრძელებლები — გიორგი მთაწმიდელი და მისი თანამოაზრენი და თანამდგომნი.

„მათეს თავის თარგმანების“ სამწიგნეულის მწიგნობარ-ვადამწერთა ანდერძები ერთობლიობაში წარმოაჩენენ 1005 წლამდე იოვანე ქართველისა და ეფთვიმეს მოღვაწეობის მასშტაბურ სურათს და თანამედროვეთა და თანამოღვაწეთა თვალით დანახული მათი ღვაწლის შეფასებას. ამავე მიზანს ემსახურებოდა მეორე „სამახსოვრო წიგნი“, მიძღვნილი უმთავრესად ეფთვიმესადმი. მეორე „სამახსოვრო წიგნის“ შემქმნელები იგივე მწიგნობრები არიან, რომლებმაც შექმნეს პირველი

<sup>1</sup> მამა მიქაელისა და მამა გიორგის შესახებ უფრო დაწვრილებით იხილეთ ქვემოთ.  
<sup>2</sup> ძეგლები, II, გვ. 123.



„სამახსოვრო წიგნი“. მეორე წიგნის საფუძვლად მწიგნობრებმა შეარჩიეს ერთ-ერთი უკანასკნელი თარგმანის („დილოლონის“) ეფთვიმესეული ავტოგრაფი, შექმნეს ამ ავტოგრაფის ნუსხა (A-1103), რომელსაც, თავის მხრივ, დაურთეს მრავალრიცხოვანი ანდერძი, სადაც თავისი დამოკიდებულება გამოხატეს ეფთვიმეს მოღვაწეობისა და პიროვნებისადმი.

პირველი „სამახსოვრო წიგნისაგან“ განსხვავებით, მეორე წიგნს წინ უძღვის „წინათქმა“, სადაც ამ წიგნის შექმნის მიზანია ჩამოყალიბებული. სამწუხაროდ, „დილოლონის“ „წინათქმა“, რომელიც მოთავსებულია ხელნაწერის თავფურცელზე, მეტად თვალსაჩინო და საპატიო ადგილას; დაზიანებულია, აკლია დასაწყისი, მაგრამ შემორჩენილი ნაწილიც საშუალებას იძლევა წარმოვიდგინოთ მისი თავდაპირველი აღნაგობა. „წინათქმა“ შედგება ორი ნაკვეთისაგან. პირველი ნაკვეთი (თავნაკლული) ეხება იოვანე ქართველს, მეორე — ეფთვიმეს. ორივეს მოღვაწეობა ამ ნაკვეთებში შეფასებულია ცალ-ცალკე და ამავე დროს ერთობლიობაში. მოგვყავს „წინათქმის“ შემორჩენილი ტექსტი სრულად, 1 ნაწილი: „... ვინ აღდგომილ არს ესოდენ მარგი და ნუგეშინისმცემელი და სიქადული ქართველობისაჲ და ყოველთა სწორად განმანათლებელი ამით წიგნებითა და სხვთა ყოვლითა საქმითა, სულიერითა და ჯორციელითა. და ნაწილი ამათი პირველთა წმიდათა თანა არს მოლუაწეობისა მათისათჳს“.

„წინათქმის“ ეს პირველი მონაკვეთი იოვანე ქართველს უნდა ეხებოდეს, ვინაიდან ის გარდაცვლილად მოიხსენიება — „ნაწილი ამათი პირველთა წმიდათა თანა არს მოლუაწეობისა მათისათჳს“. ადრესატი დასახელებული იქნებოდა „წინათქმის“ დაკარგულ დასაწყისში.

საინტერესოა, რომ იოვანე მიჩნეულია „ყოველთა სწორად განმანათლებელად ამით წიგნებითა“. ე.ი. მისი დიდი წვლილი ბერძნულიდან ქართულად წიგნების თარგმნაში საგანგებოდ არის აღნიშნული, ისევე,

<sup>1</sup> A-1103 ხელნაწერს სხვადასხვაგვარად ათარიღებენ. ერთი ყველასათვის აშკარაა, რომ ხელნაწერი ვერ გადაიწერებოდა 1113 წელზე ადრე და არა უგვიანეს 1119 წლისა. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ პირველი „სამახსოვრო წიგნის“ სამწიგნურულის მესამე წიგნი (ათ. 10) მწიგნობრების მიერ იწერებოდა ორი წლის მანძილზე (იხ. ათ. 10, ფ. 326), მაშინ ამ ანალოგიით A-1103-ის ვადაწერის დასრულების თარიღად უნდა მივიჩნიოთ 1015-1016 წლები.

<sup>2</sup> საქართველოს სასულიერო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A კოლექცია), ტ. IV, შეადგინა ქრისტინე შარაშიძემ. თბილისი, 1954, გვ. 83.



როგორც ეს პირველი „სამახსოვრო წიგნის“ იოვანესა და ეფთვიმეს და გადამწერ-მწიგნობართა ანდერძებშია წარმოდგენილი. „წინათქმის“ მეორე ნაწილი არის ეფთვიმეს შეფასება და შესხმა: „ხოლო შემდგომად ღმერთშემოსილისა მამისა იოვანეს მიცვალებისა ესე წმიდისა გრიგოლ პაპისაჲ და სხუანი ესე გუთარგმანეს სანატრელმან მამამან ეფთვემ, რომლისათჳს მიაგენ ღმერთმან დიდებისამან ორსავე ცხორებასა ქართველთა განათლებისათჳს“ (დასახ. აღწერილობა, გვ. 83).

ამრიგად, „წინათქმაში“ წარმოდგენილია ორი პერიოდი ეფთვიმეს მოღვაწეობისა: პირველი – მისი ერთობლივი მოღვაწეობა იოვანე ქართველთან – 1005 წლამდე და მეორე – ეფთვიმეს მოღვაწეობა იოვანეს გარდაცვალების შემდეგ. მეორე „სამახსოვრო წიგნისათვის“ იოვანე გრძელისძემ და არსენ ნინოწმიდელმა შეარჩიეს „დილოლონი“, რომელიც ეფთვიმემ იოვანეს გარდაცვალების შემდეგ თარგმნა. ამრიგად, „წინათქმაში“ ავტორმა გააერთიანა ეფთვიმეს მოღვაწეობის ორივე პერიოდი, ამავე დროს მამა-შვილის მოღვაწეობა ცალ-ცალკე შეაფასა. მეორე „სამახსოვრო წიგნი“ კი შეიქმნა „დილოლონის“ ეფთვიმეს ავტოგრაფული ნუსხის საფუძველზე.

ამრიგად, ერთი და იმავე მწიგნობრების (იოვანე გრძელისძის, არსენ ნინოწმიდელის) შექმნილი ორი „სამახსოვრო წიგნი“ ავსებს ერთმანეთს და გაიაზრება როგორც ერთმანეთის ვაგრძელება, სადაც მათ მიერ დართულ ანდერძებსა და „წინათქმაში“ წარმოჩენილია იოვანეს და ეფთვიმეს ღვაწლი ქართველთა განათლებისათვის, როგორც იოვანეს სიცოცხლეში, ისე მისი გარდაცვალების შემდეგ.

თუ პირველ „სამახსოვრო წიგნში“ მთავარი აქცენტი გაკეთდა იოვანე ქართველზე, მეორე წიგნის ცენტრალური ფიგურაა უკვე ეფთვიმი, მისი მთარგმნელობითი საქმიანობა და მისი პიროვნება.

„დილოლონიში“ პირველ რიგში ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ ეფთვიმესა და იოვანეს მოღვაწეობის შეფასებები სცილდება ვიწრო ეროვნულ ფარგლებს და ზოგად ქრისტიანულ განზომილებებში განიხილება, ასე, მაგ.: გრიგოლ ჰრომთა პაპის „დილოლონის“ ლათინურიდან ბერძნულად მთარგმნელის, ზაქარიას, შესახებ „დილოლონის“ პირველი თავის ბოლოს წერია: „ესე წინამდებარე წიგნი განგვმარტა პირველგსენებულმან ნეტარმან ზაქარია და დაგვტევა საუზჯე სულიერი და თავსა თჳსსა მოატყუა სასყიდელი იგი დამარხული კეთილთა მათ და სარწმუნოთა მნეთათჳს“ (A-1103, 11 v.). ამის გასწვრივ „დილოლონის“ ქართული თარგმანის გადამწერი წერს: „ვითარ აქებს მთარგმნელსა მას



ზაქარიას, არა უკუანა არს წმიდაჲ მამაჲ ჩუენი ეფთჳმე და უფროსსა შესხმასა და გვრგვინსა ღირს არს, რომელმან აწ ქართულად თარგმანა (11 v. I სვეტის ბოლოს). გადამწერის აზრით, არავისზე ნაკლები არ არის ეფთვიმე. პირიქით, მის მიერ შესრულებული თარგმანისათვის ეფთვიმე უფრო მეტი ქებისა და გვირგვინის ღირსია, ვინემ ზაქარია.

ახალი ტენდენცია, ღირსებებით, მოღვაწეობის მასშტაბებით და მნიშვნელობით იოვანე და ეფთვიმე დააყენოს მსოფლიო წმიდა მამების გვერდით, აშკარად ჩანს „დილოლონის“ გადამწერთა ანდერძებშიც და „წინათქმაშიც“.

„დილოლონის“ — მეორე „სამახსოვრო წიგნის“ გადამწერთა ანდერძები განსხვავდებიან პირველი „სამახსოვრო წიგნის“ გადამწერთა ანდერძებისაგან იმითაც, რომ „დილოლონში“ დიდი რაოდენობითაა შესული ორმაგი ანდერძები, სადაც შეწყვილებულად არის წარმოდგენილი ეფთვიმეს ავტოგრაფული ნუსხიდან გადასული ეფთვიმესა და იოანეს ანდერძები და მათ გვერდით გადამწერთა ანდერძები, რომლებშიც, ასე ვთქვათ, გადამწერები კომენტარს უკეთებენ მამა-შვილის ანდერძებს.

შეწყვილებული ანდერძების გადამწერთა კომენტარებში ძირითადად გამახვილებულია ყურადღება ეფთვიმეს მაღალ ქრისტიანულ ზნეობაზე, მის პიროვნულ თვისებებზე, მის სიწმიდებზე და, რაღა თქმა უნდა, მის განმანათლებლობაზე. მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს:

**ეფთჳმე**

**გადამწერი**

- |   |  |
|---|--|
| 1 „ლოცვა ყავთ გლახაკისა ეფთჳმესთჳს“ (A-1103, 11 v).                                     | „წმიდაო, მდიდარი ხარ შენ, არა გლახაკი წინაშე უფლისა (11 v).  |
| 2 „წმიდაო ბენედიკტე, მეოხ მეყავ წინაშე უფლისა. ლოცვა ყავთ გლახაკისა ეფთჳმესთჳს“ (37 v). | „წმიდანო ღმრთისანო, ლოცვა ყავთ და აკურთხეთ არა გლახაკისა, არამედ ღიღისა და წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთჳმესთჳს“ (37 v).                            |
| 3 „ლოცვა ყავთ გლახაკისა ეფთჳმესთჳს“ (58 r).   | „ესე მამისა ეფთჳმის დაწერილია. ლოცვა ყავთ და აკურთხეთ, რომელმან ესე სულთა განმანათლებელი გვთარგმანა, ღიღისა და წმიდისა მამისა ეფთჳმისთჳს“ (58r). |



4 „ლოცვა ყავთ ცოდვილისა ეფთჳმესთჳს. წმიდაო გრიგოლ, შენ მიერ აღწერილთა ამთ წმიდათა მამათა თანა მეოხ გუეყვენით წინაშე უფლისა“ (64 r).

5 „ლოცვა ყავთ გლახაკისა ეფთჳმესთჳს, მთარგმნელისა და შემინდვეთ: მრავალთა ზრუნვათაგან, დიდითა შრომითა და ჭირითა დამიწერია. წმიდაო გრიგოლ, მეოხ მეყავ წინაშე ღმრთისა“ (117 v).

„ესე ზემოწერილი წმიდისა მამისა ეფთჳმესია. ხოლო ჩუენ მიერ — არა ცოდვილი, არამედ ღმერთშემოსილი და უკუანათა ჟამთა მეორე ოქროპირი, რომელმან ესე წიგნი თარგმანა. და რომელნი იკითხვიდეთ, ლოცვა ყავთ მათთჳს და ნეტარისა მამისა იოვანეს სულისა.

ქრისტე, შეიწყალე და აკურთხე წმიდა მამადმთავარი არსენი და წმიდანი მამანი მიქაელ, გიორგი, ოქროპირი, საბა“ (64 r).

„ესე თჳთ წმიდასა მამასა ეფთჳმეს დაუწერია, ხოლო მე, გლახაკი იოვანე გრძელისძე ამას დავსწერ, ვითარმედ არა გლახაკი, არამედ მდიდარი და სულთა დიდებული წინაშე ღმრთისა და ფრიად მრავალნი წიგნნი გვთარგმანნეს ქართველთა ენასა, დიდად სულთა მაცხოვარნი. და დიდი სასქენებელი დაუც ქართველთა თანა წმიდასა მამასა იოვანეს და წმიდასა მამასა ეფთჳმის. აწ, ვინცა იკითხვიდეთ განმანათლებელსა ამას წიგნსა, ლოცვა ყავთ სულკურთხეულისა მამისა იოვანესთჳს, ყოვლისა კეთილისა მიზეზი ივინია, და მერმე განმანათლებელი დიდი ეფთჳმე აკურთხეთ, რომელმან გვთარგმანნეს ესე წიგნი და მრავალი სხუამ, რომლისა თანა გარდაიკადენ ღმერთმან დიდებისამან შრომისათჳს, რამეთუ პირველთაცა მთარგმნელთა გარდაჰმატეს. და კუალად ლოცვა ყავთ წმიდისა მამადმთავრისა არ-



სენისთვის. ფრიად უშრომია და  
უკეთესი მათი დაწერილია...  
წერს იოვანე გრძელისძე — ჯმ. 117  
v-118r. დასახ. აღწერილობა, გვ. 79).

ამ ანდერძში, გარდა იმისა, რომ ეფთვიმე უკანასკნელი დროის მეორე ოქროპირად არის გამოცხადებული, ის კვლავ შედარებულია „პირველთაცა მთარგმნელთა“, რომელთაც ეფთვიმემ „გარდაჰმატა“.

აქვეა მოხსენიებული იოვანე გრძელისძე, რომელმაც „შეჰმზადა“, „დილოლონის“ ხელნაწერი ისევე, როგორც უფრო ადრე (1002 წელს) მათეს თავის თარგმანების ეფთვიმესეული ავტოგრაფი.

6 „წმიდაო ნიკოლას, მეოხ მეყავ წინაშე უფლისა, ლოცვა ყავთ, წმიდანო ღმრთისანო, გლახაკისა ეფთვმესთვის, რომელმან ესე ბერძულისაგან გამოვთარგმნე“ (219r).

„ესე სიტყუანი თვთ წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთვმესნია. ვითა ნუსხა(სა) ეწერა, მეც ვგრე აღვწერე აწ ვინ აღმოიკითხვიდეთ წმიდასა ამას წიგნსა, გულსმოდგინედ ლოცვა ყავთ უსხეულოთა მიმსგავსებულისა ნეტარისა მამისა ჩუენისა ეფთვმესთვის და ღმერთშემოსილთა შშობულთა მათთათვის, რომელთა ესევითარითა კეთილითა განანათონეს ქართველთა გონებანი“ (აღწ. გვ. 81, 219 r).

მოტანილი ორმაგი ანდერძების შინაარსიდან ნათლად ჩანს ეფთვიმესადმი მიძღვნილი „სამახსოვრო წიგნების“ მნიშვნელობა და დანიშნულება: წარმოაჩინონ მამა-შვილის დიდი დამსახურება არა მარტო მათი თანამედროვე ქართველთა ნათესავის, არამედ მომავალი თაობისათვის იმ დაპირისპირებისა და კონტრასტების მეშვეობით, რომელთაც ქმნიან ანდერძების შეპირისპირებული წყვილები: ერთის მხრივ, ეფთვიმეს ანდერძების უკიდურესი ლაკონურობა და სისადავე, ამასთანავე ასკეტური თვითდამცრობა, მეორეს მხრივ, „სამახსოვრო წიგნების“ შემქმნელთა დიდი სურვილი ეფთვიმეს ანდერძების საპირისპიროდ წარმოაჩინონ „უსხეულოთა მიმსგავსებულის“, ახალი დროის მეორე ოქროპირის, დიდი ეფთვიმეს მთარგმნელობითი საქმიანობის, მოღვაწეობისა და მოქალაქეობის ყველა ასპექტი და მისცენ მას ღირსეული შე-



ფასება, ხოლო თვით ეფთვიმეს ანდერძების სისადავე და სიმართლივე მიაწერონ დიდი ეფთვიმეს უკიდურეს თავმდაბლობას, რასაც საგანგებოდ ბოდ აღნიშნავენ კიდევ საკუთარ ანდერძებში. ამის მაგალითად გამოდგება „დილოლონის“ გადამწერ-შემდგენელთა ერთ-ერთი შეწყვილებული ანდერძი:

ეფთვიმე: „ლოცვა ყავთ ცოდვილისა ეფთვმესთჳს“ (აღწ. გვ. 83, 285 v). გადამწერი (არსენი): „ესე სიმდაბლითა სასენი სიტყუანი თვთ ეფთვმესნია, ვითა თარგმანებულსა მათსა ნუსხასა ეწერა, ეგრეთვე მე-უღირსმან არსენი, აღვწერე. აწ ვინ აღმოიკითხვიდეთ წმიდასა ამას წიგნსა, ყოველნი აკურთხევედით უსხეულოთა მიმსგავსებულსა მამასა ჩუენსა ეფთვმეს, რომელმან აღავსო ყოვლითა სულიერითა კეთილითა ესე წიგნი და ყოველნი ქართველთა ენანი თარგმანებითა მათითა“ (აღწ. გვ. 83, 285 v).

მოტანილი ანდერძები საინტერესოა იმიტაც, რომ აქ გვხვდება ქართველთა ეთნოსის აღმნიშვნელი ტერმინები: „ნათესავი ქართველთა“, „მომავალი ნათესავი“, „ქართველობა“ („სიქადული ქართველობისა“).

მიუხედავად იმისა, რომ „სამახსოვრო წიგნების“ იოვანეს და ეფთვიმეს ანდერძებსა და ამ წიგნების შემქმნელ მწიგნობართა ანდერძებს შორის საერთო ბევრია პირველ ათონელთა ერთობლივი მოღვაწეობის შეფასებაში, მაინც ხერხდება მათ შორის მიჯნის გავლება და თითოეულისათვის განკუთვნილი ეპითეტებისა და მოღვაწეობის ძირითადი სფეროს და, შესაბამისად, დამსახურების განსაზღვრა. ამ თვალსაზრისით თუ შევხედავთ წარმოდგენილ მასალას, იოვანე ქართველისათვის ყველაზე მორგებული დახასიათებაა: „მიზეზი ანუ საწყისი სიკეთისა“, როგორც მშობელი, აღმზრდელი, განმსწავლელი ეფთვიმესი, რომლის მთარგმნელობითმა საქმიანობამ მრავალი სიკეთე მიანიჭა ქართველთა ნათესავს, გაანათლა იგი სულიერად და გონებრივად.

„სამახსოვრო წიგნები“ გამოხატავენ იოვანესა და ეფთვიმესადმი მათი თანამედროვე მწიგნობრების დამოკიდებულებას; ამავე დროს „სამახსოვრო წიგნებმა“ მოამზადეს ნიადაგი საზოგადოებრივი აზრის შექმნისა პირველი ქართველი ათონელების მთარგმნელობითი და ეროვნულ-საგანმანათლებლო მოძრაობის შესახებ, რომელიც გავრცელდა არა მარტო ათონსა და კონსტანტინოპოლში, არამედ ყველგან, სადაც ჟღერდა ქართული ენა, სადაც აღწევდა ბერძნულიდან ქართულად ეფთვიმეს თარგმნილ წიგნთა ძალა.

„სამახსოვრო წიგნები“ იქცა ყველაზე სანდო პირველწყაროდ/ იმათთვის, ვისაც სურდა თავისი სიტყვა ეთქვა პირველ ათონელთა პატივსაცემად. მათ შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ გიორგი მთაწმიდელი, რომელმაც ერთ-ერთ წყაროდ „სამახსოვრო წიგნებიც“ გამოიყენა, როდესაც შექმნა სწორუპოვარი მატრიანე ათონის ქართული მონასტრის საკრებულოსა და მათი მესვეურების — იოვანე იბერიისა და ეფთვიმეს შესახებ, რომლებიც ნახევარი საუკუნის მანძილზე მართავდნენ ქართული მწერლობისა და კულტურის ამ ახალ კერას. ფაქტიურად თვით ეს „ცხორებაც“ იოვანესა და ეფთვიმეს მოსახსენებელ წიგნად იყო მოაზრებული. სწორედ ამიტომ პირველი „მოსახსენებელი წიგნების“ განხილვა გვინდა დავასრულოთ „მოსახსენებელ წიგნთა“ გიორგი მთაწმიდელისეული შეფასებით.

გიორგი მთაწმიდელი იოვანესა და ეფთვიმეს „ცხორებისათვის“ ფართოდ სარგებლობდა მათდამი მიძღვნილი „სამახსოვრო წიგნებით“ და მათი თანამედროვე და თანამოღვაწე მწიგნობრების ნაამბობით. ამ წყაროთა საფუძველზე გიორგიმ ჩამოაყალიბა თავისი თვალსაზრისი როგორც პროვნულად იოვანესა და ეფთვიმეს მოღვაწეობის შესახებ, ასევე იმ ახალი ლიტურატურული მიმართულების შესახებ, რომელსაც პირველმა ქართველმა ათონელებმა ჩაუყარეს საფუძველი. „სამახსოვრო წიგნთა“ შემდგენელთა კვალობაზე, გიორგი მთაწმიდელი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იოვანეს პროვნებასა და მოღვაწეობას: „ესეცა (იოვანე) აღიდა ღმერთმან და სახელოვან ყო ყოვლითა სათნოებითა და უფროას ყოვლისა სანატრელისა მის შვილისა მინიჭებითა, რომელ არს ნეტარი ეფთჳმე, რომლისა-იგი სახელი ოდენ კმა არს სათნოებათა მისთა სიმაღლისა გამოჩინებად“ („ცხორება“, § 5). ამას მოსდევს წარმოჩენა ეფთვიმეს დამსახურებისა: „რომელი-იგი გამოჩნდა სამკაულად ნათესავისა ჩუენისა და მობაძავად წმიდათა მოციქულთა, განანათლა ქართველთა ენა და ქუეყანა, რამეთუ ვითარცა წამებუნ მის მიერ თარგმნილთა წიგნთა შინა აღწერილნი ანდერძნი, ამის ღირსისა მოღუაწეობითა განსწავლულ იქმნა ყოვლითა სიბრძნითა განმანათლებლად და შემამკობელად ეკლესიათა ჩუენთა, რომლისა-იგი ნამუშავევი ახარებს შორიელთა და მახლობელთა და თარგმნილთა მისთა წიგნთა სიტკბოება, ვითარცა ნესტჳ ოქროსაჲ ვმა-მაღალი ოხრის ყოველსა ქუეყანასა, არა ხოლო ქართლისასა, არამედ საბერძნეთისასაცა, რამეთუ ბალაჰვარი და აბუკურაჲ და სხუანიცა რაოდენნიმე წერილნი ქართულისაგან თარგმნნა ბერძულად“ („ცხორება“, § 5).



როგორც ვხედავთ, ის ეპითეტები, რომლითაც ამკობს გიორგი მთაწმიდელი მამა-შვილს „ცხოვრებაში“, უფრო ადრე გვხვდება სხვადასხვა ფორმით და სხვადასხვა მოცულობით თვით იოვანეს და ეფთვიმეს ანდერძებში, ხოლო შემდეგ უფრო გამოკვეთილად, უკვე თვალსაზრისის სახით ჩამოყალიბებული, „სამახსოვრო წიგნების“ ანდერძებში.

იოვანესა და ეფთვიმეს მოღვაწეობის ვრცელი და მრავალმხრივი დახასიათების შემდეგ, რომელიც სავსებით მიესადაგება „სამახსოვრო წიგნების“ ანდერძებში ჩამოყალიბებულ თვალსაზრისს, გიორგი მთაწმიდელი გულისტკივილით აღნიშნავს, თუ რა რიგ დიდი განსხვავებაა, რაც იყო ქართველთა მონასტერში იოვანესა და ეფთვიმეს სიცოცხლეში, იმასთან შედარებით, რაც მას დახვდა 1040 წელს ათონზე ჩასულს: „ვინაფთვან დღეთა ამათ უკუანაძსკნელთა მოვიწინით და, ვითარცა ხედავთ, ფრიადი სიგრილე იხილვების ჩუენ შორის, ნუუკუე ვინმე ჰგონებდეს და აცთუნებდეს თავსა თვსსა, თუ პირველითვან ესრეთ იყვნეს ძმანი ჩუენნი; ნუ იყოფინ! არამედ ყოვლითა წესიერებითა და საღმრთოათა მოქალაქობითა ცხოვნებოდეს, ვიდრემდის სამგზის სანატრელნი იგი მამანი ჩუენნი იოვანე და ეფთვმე განაგებდეს და იპრობდეს წესსა წინამძღურობისასა, რომელნი-იგი ყოვლითურთ, მსგავსად პირველთა მათ ღმერთშემოსილთა მამათა, უძლოდეს მათდა რწმუნებულსა მას სამწყსოსა, ვინაფთვან კულა ნეტარმან იოვანე შეისუენა და ღმერთშემოსილმან მამამან ჩუენმან ეფთვმე იჯმნა წინამძღურობისაგან, მიერითვან განმრავლდა ჩუენ შორის ყოველი სულმოკლება და სიგრილე. არამედ ვევედრნეთ ღმერთსა, რაათა მეოხებითა მათითა კეთილად განავოს ჩუენიცა ესე ცხოვრება და არა ვუებულ გუყვნეს, არცა განგუაშორნეს სანატრელთა მათ მამათა და ძმათა ჩუენთა სიხარულსა და განსუენებასა საუკუნესა მას შინა ცხოვრებასა“ („ცხოვრება“, § 6).

ქართველთა საკრებულოს დაქინების მიზეზს გიორგი მთაწმიდელი იმაში ხედავდა, რომ გიორგი ვარაზფაჩემ, რომელიც ეფთვიმემ დაადგინა თავის მაგიერ მონასტრის წინამძღვრად, გადაუხვია ეფთვიმეს პრინციპებს და დაარღვია იოვანესა და ეფთვიმეს სამონასტრო ცხოვრების წესი.

სავსებით შესაძლებელია, რომ სწორედ იმ დიდმა სხვაობამ, რაც დაინახა ათონზე ჩასულმა გიორგიმ ეფთვიმეს ზეობის დროინდელ ათონის ქართველთა მონასტრის საკრებულოსა და იმას შორის, რაც მას

დახვდა ათონზე 1040 წელს, გაზარდა მისი ინტერესი იოვანესა და ეფთვიმეს მოღვაწეობისადმი და გაუღვიძა სურვილი, სათანადო პატივი მიეზღო მათთვის, აღეწერა მათი ცხოვრება და მოღვაწეობა და შექმნა მათი კულტი, რაც პრაქტიკულად განახორციელა კიდევ. შექმნა საძვალე, სადაც ჩაასვენა იოვანე და ეფთვიმე და მათი პირველი თანამოღვაწენი იოვანე გრძელისძე და არსენ ნინოწმიდელი და შექმნა „გუადრუცი შუენიერი“, სადაც სხვათა წმიდათა ნაწილებთან ერთად ჩაასვენა ეფთვიმეს მარჯვენა ხელი, რომელმაც ამდენი სიკეთე მოუტანა ქართველებს (ძეგლები, II, გვ. 132).

ამრიგად, გიორგი მთაწმიდელის რწმენით, მისი თანამედროვე ათონის ქართველთა მონასტრის საკრებულოს წევრთა ხსნა „სულმოკლებისა“ და „სიგრილისაგან“ მხოლოდ იოვანესა და ეფთვიმეს „საღმრთოთა ცხორების“ წესის აღდგენაშია, რომელიც მსგავსი იყო „პირველთა მათ ღმერთშემოსილთა მათ მამათა“ წესისა. სწორედ ამიტომაც ეფთვიმეს ცხოვრების წესის აღდგენას ცდილობდა გიორგი მთაწმიდელი დღიდან ათონზე დამკვიდრებისა. ამიტომაც, რომ სწორედ გიორგი მთაწმიდელი ითვლება ეფთვიმეს აღიარებულ მოწაფედ და მისი საქმის გამგრძელებლად. გიორგი მთაწმიდელმა, როგორც ეფთვიმეს საქმეთა ერთგულმა გამგრძელებელმა, ეფთვიმეს სადიდებლად შექმნა იოვანესა და ეფთვიმეს „ცხორება“, როგორც „მოსახსენებელი წიგნის“ თავისი ვარიანტი. მაგრამ სანამ ჩვენ შევეხებოდეთ ეფთვიმეს სინაქსარულ „ცხორებას“ და იოვანესა და ეფთვიმეს ვრცელ „ცხორებას“, როგორც „სამახსოვრო წიგნის“ უკანასკნელ სახეობას, გვინდა შევეხოთ იოვანესა და ეფთვიმეს მადიდებელთა მეორე გუნდის მიერ შექმნილ „სამახსოვრო წიგნებს“.

XI საუკუნის 30-იან წლებში იოვანესა და ეფთვიმეს მადიდებელთა პირველ ჯგუფს გამგრძელებლები გამოუჩნდნენ. შეიქმნა მაქებელთა მეორე ჯგუფი ზაქარია ბანელისა და გრიგოლ მთაწმიდელის მსგავსობით. ჯგუფში გაერთიანდა რამდენიმე მწიგნობარ-კალიგრაფი და მომხატველი: ზაქარია მირდატის ძე, არსენი, ბასილი ეტრატაძე და ისაკ ულუმბოელი.

ეს ჯგუფი კარგად იცნობდა პირველ „სამახსოვრო წიგნებს“, იზიარებდა ამ წიგნებში ჩამოყალიბებულ შეფასებებს, რომელიც იმ დროისათვის გავრცელებული და დამკვიდრებული იყო, როგორც საზოგადოებრივი აზრი, ყველგან, სადაც კი ქართველთა ნათესავი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. ამასთანავე მეორე ჯგუფმა წამოსწია ეფთ-



ვიმეს თარგმანებთან დაკავშირებული ერთი ისეთი საკითხი, რომელიც დრომ მოიტანა და გადაწყვეტასა და შეფასებას თხოულობდა. ეს ბერძნულიდან ქართულად ეფთვიმეს თარგმნილი ტექსტების დაცვა სხვათა ხელყოფისა და „ჩხრეკისაგან“. ეს პრობლემა მთელი სიმწვავეით დაისვა 1030-1034 წლებში მეორე ჯგუფის ერთ-ერთი წევრის ისაკ ულუმბოელის მიერ გადაწერილ ეფთვიმეს თარგმანთა შემცველი ორი ხელნაწერის ანდერძებში. ესენია: ათ. 21 (შეიცავს ეფთვიმეს თარგმნილ ფსევდომაკარის „სწავლანს“) და Q-34 ხელნაწერი (შეიცავს მაქსიმე აღმსარებლის „სიტყვის-გებას“, რომელიც გიორგი მთაწმიდელის შედგენილ ეფთვიმეს თარგმანთა ნუსხაში შემდეგნაირად იწოდება: „მაქსიმეს რვათა გულის-სიტყუათათჳს“).

ფსევდომაკარის „სწავლანის“ ხელნაწერის ანდერძში ისაკი მიმართავს წიგნის მომხმარებლებს შემდეგი სიტყვებით: „მსახურნო ქრისტეს ღმრთისანო, ვინ სწერდეთ ამის წიგნისაგან, ღმერთმან გარწმუნოს: სიტყუასა ნუ გამოსცვალებთ, ნუცა შეჰმატებთ, რამეთუ ვჰგონებ, თუ არავინ არს ამას ჟამსა უბრძენეს მის ნეტარისა ქართველისა“. ისაკი ამ აზრს ავითარებს მაქსიმეს „სიტყვის-გების“ მის მიერ გადაწერილ ხელნაწერის ანდერძშიც: „მთარგმნელი (ეფთვიმე — ემ.) სულიწმიდისა მადლითა საესე იყო და ფრიად მეცნიერ ბერძულ“.<sup>2</sup> ამრიგად, ისაკის აზრით, კარგ მთარგმნელს ორი რამ უნდა ჰქონოდა: სულიწმიდის მონიჭებული მადლი და მაღალი პროფესიონალიზმი, ამ შემთხვევაში, ბერძნული ენის ღრმა ცოდნა. თუ მთარგმნელი ამ მოთხოვნებს აკმაყოფილებს, მაშინ მისი თარგმანები სხვათა რევიზიას არ საჭიროებს.

ბუნებრივია, დგება საკითხი, თუ როდის და რატომ გახდა აუცილებელი ქართველ მწიგნობართა წრეში ეფთვიმეს დაცვა სხვათა რევიზიისა და ხელყოფისაგან. ამისი ახსნა საძებარია იმ ურთულეს სიტუაციაში, რომელიც შეიქმნა ივირონში 1029-34 წლებში, მას შემდეგ, რაც მონასტრის წინამძღვარი გიორგი I ვარაზგანე (ეფთვიმეს შემცველი), რომანოზ იმპერატორის ღალატში ეჭვმიტანილი, შერისხულ იქნა და გადასახლებული მონოვატის კუნძულზე, სადაც ის მა-

<sup>1</sup> ფსევდომაკარის თხზულებათა ქართული ვერსია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკლევდა და ლექსიკონი დაურთო გნინუამ. თბ., 1989, გვ.50.

<sup>2</sup> საქ. სახ. მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (Q კოლექცია), ტ. I, გვ. 37-38.



ლევე გარდაიცვალა. ამას მოჰყვა ივირონის გაპარტახება, მამფლობის კონფისკაცია, მიწებისა და სამონასტრო ქონების დატაცება და, რაც ყველაზე მძიმე იყო, ივირონის ქართულ და ბერძნულ საკრებულოთა უკიდურესი დაპირისპირება. გიორგი ვარაზეაჩეს წინამძღვრობის წლებში გამრავლებული, გაძლიერებული და გალალეული ივირონის ბერძენთა საკრებულო არ ერიდებოდა არავითარ საშუალებას, რათა მონასტერი მთლიანად ხელში ჩაეგდო და ქართველები გაეძევებინა არა მარტო საკუთარი მონასტრიდან, არამედ საერთოდ ათონის მთიდანაც. თუ რა ხერხებს მიმართავდა საამისოდ ივირონის ბერძენთა საკრებულო, საოცარი ძალითა და ხატოვანებითა აღწერილი „მოსაქსენებელში“, რომელიც გიორგი მთაწმიდელმა შეადგინა და დაურთო როგორც უტყუარი, სამომავლოდ გასათვალისწინებელი დოკუმენტი, მის მიერვე დაწერილ იოვანესა და ეფთვიმეს „ცხოვრებას“. „მოსაქსენებელში“ ვკითხულობთ: „ხოლო ვითარცა მამამ გიორგი ექსორიობასა შინა მიიცივალა და ჩუენ ფრიად შემცირებულ ვიყვენით, ჟამი პოვეს ბერძენთა და ვითარცა ცეცხლნი აღევზნნეს ჩუენ ზედა და სრულიად აღმოფხურამ ჩუენი ენება და დაპყრობამ სამკჯდრებელისა ჩუენისამ. და უმძიმესი ესე იყო, რამეთუ რომელსა-იგი მაშინ წინამძღურობამ ეპყრა, იგი იყო შემწე მათდა, გიორგი უკეთური... და ამის მიზეზისათჳს დიდსა ჭირსა შინა ვიყვენით და საწუნელ და საძულელ მათდა, და თვთოეულად არცა თუ შესაძლებელ არს ყოვლისავე წარმოთქუმაჲ, რავდენნი გინებანი, რავდენნი შეურაცხებანი და ყუედრებანი მოიწეოდეს მათ მიერ ჩუენ ზედა დღითი-დღე, და ცემითა და გუემითა და მწვალებელად ხადითა შეიწრებულნი დიდსა ურვასა შინა ვიყვენით. და ესეცა ენება, რამათმცა სახელიცა მაშენებელთამ აღმოჰკიცეს“ („ცხოვრება“, § 118, 9-12).

ამრიგად, ათონის ბერძნულმა საკრებულომ ივირონის ქართულ საკრებულოს უმძიმესი ბრალდება წაუყენა — ერეტიკოსობა, რითაც მას აუჯანყა ათონის ბერძენი ბერ-მონაზვნები და ბერძნული მონასტრები. ბუნებრივია, ეს მძიმე ბრალდება ვრცელდებოდა ივირონის ქართველ მაშენებლებზეც, პირველ ქართველ ათონელებზე — იოვანე ქართველსა და ეფთვიმეზე. ბუნებრივია ისიც, რომ ამ აქციას მოჰყვებოდა საპირისპირო რეაქცია არა მარტო ივირონის საკრებულოში, არამედ ბიზანტიაში მოღვაწე ქართველთა ფართო წრეში, პირველ რიგში კი, ეფთვიმეს თანამოღვაწეთა და თანამდგომთა შორის, „სამახსოვრო წიგნის“ შემქმნელთა მეორე გუნდის პროდუქციაში. ამით უნდა აიხსნას ზემოთ



განხილულ ისაკ ულუმბოელის გადაწერილ ხელნაწერთა ანდერძებში კატეგორიული მოთხოვნა ეფთვიძეს თარგმანთა ტექსტების დაცვისა სხვათა ხელყოფისა და ჩხრეკისაგან, ვინაიდან ეფთვიძე თარგმნიდა სულიწმიდის მადლმოსილი და ჩხრეკასა და რევიზიას არ ექვემდებარებოდა.

ბერძენთა პოზიციებიდან ეფთვიძეს თარგმანებს, ჩანს, „ჩხრეკდნენ“ არა მარტო ბერძენები, არამედ ქართველებიც. ეფთვიძეს თარგმანთა „ჩხრეკა“, განსაკუთრებით ქართველების მიერ, დიდ აღშფოთებას იწვევდა ქართველ მწიგნობართა შორის. ამას მოწმობს „ათონის კრებულის“ პირველი რედაქციის შემდგენელ-გადამწერის მიქაელ დაღალისონელის ანდერძი, რომელშიც მკაცრად გაკრიტიკებულია ვინმე ოზანის უხამსი საქციელი, რომელმაც გაბედა და ეფთვიძეს თარგმანებში ზოგი რამ „ამოვოცა“, ზოგი კი „ჩაურთო“<sup>1</sup>.

ბერძენთა დიდკაცურ და ამპარტავნულ დამოკიდებულებაზე „უცხოთა“ ანუ არაბერძენთა („ბარბაროზთა“) მიმართ საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას გიორგი მცირეც „გიორგი მთაწმიდელის ცხორებაში“: „რათამს ბრწყინვალე იგი მნათობი ნათესავეისა ჩუენისაა დიდი ეფთჳმე აღმოკვბრწყინდა ნათლად და სინარულად, დიდებად და გვრკვანად, გონიერ-ყოფელად და განმამბრძნობელად უგუნურებისა ჩუენისა, რომელმან უმეცრებისა იგი საბურველი მოსძარცუა გონებათაგან ჩუენთა, და ვითარცა დღემან, ღმრთივ-განათლებულმან, მჭმუნვარე იგი ნისლი უგულისჳმოებისაა განჯადა სულისაგან ჩუენისა და სივრცითა და სიმაღლითა ღმრთივ-თარგმნილთა წმიდათა წიგნთა მისთადათა ნაკლულეგანებად ენისა ჩუენისაა აღავსო, და რომელნი-ესე ბარბაროზ წოდებულ ვიყვენით ელენთა მიერ უსწავლელობისათჳს და უმეცრებისა ჩუენისა, მათ თანავე აღგურაცხნა ღმრთისა მიერ მოცემულითა მით სიბრძნითა თჳსითა“<sup>2</sup>. ამიტომ „უცხო“, მაგრამ განათლებული ქართველებისთვისაც უდიდესი ქება და პატივი იყო, თუ მას ბერძენს შეადარებდნენ და ეტყოდნენ: „პატიოსანო მამაო, კურთხეულ არს ღმერთი, რომელ ვიხილე სიწმიდე შენი, და აჰა ესერა, გხედავ მოწყალე-ბითა ღმრთისადათა, დაღაცათუ ნათესავეით ქართველი ხარ, სხჳთა კულა ყოვლითა სწავლულებითა სრულიად ბერძენი ხარ“<sup>3</sup>. ამრიგად, გიორგი

<sup>1</sup> ათონის კრებული, გვ. 176.

<sup>2</sup> გიორგი მცირე, ცხორება გიორგი მთაწმიდელისა. - ძეგლები, II, გვ. 108.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 151.





მცირის აზრით, ეფთვიმემ ღმრთივეთარგმანებულ წიგნთა წყალობით ღმრთის მიერ ბოძებული სიბრძნით ქართველები განათლებით ბერძნებს გაუთანაბრა.

მიუხედავად იმისა, რომ ეფთვიმეს თარგმანთა წყალობით ქართველები ბერძნული განათლებისა და მეცნიერების მწვერვალებს ეზიარნენ და ბერძნებს ამ მხრივ არ ჩამორჩებოდნენ, ქართველები ბერძენთა გარემოცვაში თავს მაინც ყოველთვის „უცხოელად“ გრძნობდნენ.

„უცხოობა“ მუდმივი თანამგზავრი იყო უცხოეთში მოღვაწე ქართველებისა. ამიტომ ათონისა და საზღვარგარეთის სხვა სამწიგნობრო კერებში მოღვაწე ქართველები ცდილობდნენ, დაკავშირებოდნენ იმავე ცენტრებში მოღვაწე სხვა ეროვნების „უცხოელებს“ და მათთან ერთობაში დაპირისპირებოდნენ ბერძენთა ამბიციებს. ბერძენ-ქართველთა დაპირისპირება ათონზე და საზღვარგარეთის სხვა სამწიგნობრო კერებში კვლავაც შესწავლას თხოულობს, მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხს არაერთი ქართველი და უცხოელი მეცნიერი შეხებია.

ამჯერად კი დაგვკმაყოფილდებით იმის აღნიშვნით, რომ ისაკის მოწოდება და მიმართვა მისი თანამედროვე და მომავალი მწიგნობრებისადმი დაეცვათ ეფთვიმეს თარგმანები „ჩხრეკისა“ და „ველყოფისაგან“, გამოძახილი იყო ათონზე ბერძენ-ქართველთა მწვავე დაპირისპირებისა, რომელმაც თავის კულმინაციას მიაღწია 1019-1034 წლებში და რომლის მოწმე და მონაწილენი იყვნენ ეფთვიმეს „მადიდებელთა“ და „სამახსოვრო წიგნების“ შემქმნელთა მეორე გუნდის წევრები ზაქარია ბანელის მესვეურობით.

ათონზე ქართველების ბერძნებთან ურთიერთობის სირთულე კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული პირველ ქართველ ათონელებს, ამიტომ ისინი ყოველ ღონეს მიმართავდნენ, რომ ათონზე მიეზიდათ „სახელოვანნი და ფიქოსანნი“ ტაოდან ჯერ კიდევ ქართველთა მონასტრის მშენებლობის პროცესში, რათა მონასტერში მხოლოდ ქართველები ყოფილიყვნენ.

თავისი მოღვაწეობის მანძილზე მამა-შვილის ცდა იქითკენ იყო მიმართული, რომ ბერძნების მომრავლებისაგან დაეცვათ ივირონი, ამავე დროს მოეპოვებინათ მაღალი ავტორიტეტი, როგორც ათონის მმართველობაში, ასევე ბერძნულ მონასტერთა საკრებულოებში. იოვანე ქართველის გარდაცვალების შემდეგ იოვანეს ანდერძით ივირონის წინამძღვრობა იკისრა ეფთვიმემ, ხოლო მის დამხმარედ, იმავე ანდერძის თანახ-

მად, განწესდა ეფთვიმეს „თჳსი“ გიორგი ვარაზვაჩე. სამწუხაროდ, ჩვენ ცოტა რამ ვიცით ეფთვიმესა და გიორგი ვარაზვაჩეს ერთობლივი ვაწეობის შესახებ. არც ის ვიცით, თუ რა იყო ეფთვიმეს წინამძღვრობიდან გადადგომის ნამდვილი მიზეზი. ერთი აშკარაა, რომ გიორგი ვარაზვაჩემ წინამძღვრად განწესების დროიდან რადიკალურად შეცვალა ეფთვიმეს დადგენილი ივირონის წესი და განგება, შეუდგა ფართო მასშტაბის აღმშენებლობით საქმიანობას, რისთვისაც მოამრავლა მონასტერში ბერძნები. გიორგი მთაწმიდელი იოვანესა და ეფთვიმეს „ცხოვრებაში“ ფრთხილად და ტაქტიანად ახასიათებს ეფთვიმეს დამოკიდებულებას გიორგი ვარაზვაჩეს მოღვაწეობისადმი: „ვინაფთვან წმიდამან მამამან ჩუენმან ეფთჳმე წინამძღურობაჲ მონასტრისაჲ დაუტეჳა და... გიორგი მამად დაადგინა, კინილა-და უმეტესნი ზემოჴსენებულთა მათ წესთაგანნი შეცვალნა და თჳსსა ნებასა და განზრახვასა შეუდგა და სსუათა რათმე წესთა და კანონთა ენება დამტკიცებაჲ, ხოლო დიდსა ეფთჳმის დაღაცათუ უძნდა საქმე ესე, არამედ ვინაფთვან მშჳდობის მოყუარე იყო და საესე სიყუარულითა, ყოვლადვე არა აცილა, არამედ თჳსსა მსახურებასა განკრძალულ იყო და წიგნთა საღმრთოთა თარგმნასა შექცეულ („ცხოვრება“, § 115, 1-3). მოტანილი ციტატის ქვეტექსტი გვაფიქრებინებს, რომ ეფთვიმეს წინამძღვრობიდან გადადგომის ერთ-ერთი მიზეზი, ალბათ, ისიც იყო, რომ ეფთვიმესა და გიორგის განსხვავებული თვალსაზრისი ჰქონდათ მონასტრის მართვაზე, სამონასტრო წესსა და განგებაზე.

ჩვენ ცოტა რამ ვიცით ეფთვიმეს სამწერლობო საქმიანობის შესახებ წინამძღვრობიდან მისი გადადგომის შემდეგ. მეორე მხრივ, ეფთვიმეს გარდაცვალების გამო ბასილი ბაგრატის ძის მიერ შექმნილ ეფთვიმეს სვინაქსარულ „ცხოვრებაში“ და გიორგი მთაწმიდელის დაწერილ იოვანესა და ეფთვიმეს ვრცელ „ცხოვრებაში“ პირველად ჩნდება ერთი მეტად საგულისხმო ფაქტი, რომ ეფთვიმე თარგმნიდა არა მარტო ბერძნულიდან ქართულად, არამედ ქართულიდან ბერძნულადაც... „ვიდრე სიკუდილადმდე“.

სვინაქსარული „ცხოვრება“:

„ხოლო ამან ნეტარმან არა დამალა ტალანტი, მოცემული ღმრთისა მიერ, არამედ მრავალწილად აღაოოძინა და ფრიადნი წიგნნი თარგმნნა მრავლითა შრომითა და ღუაწლითა და ვიდრე სიკუდილად-



მდე არა დასცხრა პატიოსანი იგი პირი მისი საღმრთო მსახურისა შრომისა. და არა ხოლო ბერძულისაგან ქართულად თარგმნა ღრმანი და ძნაიდ სათარგმანებელნი წიგნნი, არამედ რაოდენნიმე ბერძულადცა ქართულისაგან“

(„ცხოვრება“, გვ. 57).

ვრცელი „ცხოვრება“:

ეფთვიმე „გამოჩნდა სამკაულად ნათესავისა ჩუენისა და მობა-  
ძავად წმიდათა მოციქულთა, განანათლა ქართველთა ენაჲ და ქუეყ-  
ანაჲ, რამეთუ ვითარცა წამებენ მის მიერ თარგმნილთა წიგნთა შინა  
აღწერილნი ანდერძნი, ამის ღირსისა მოღუაწებითა განსწავლულ იქმნა  
ყოვლითა სიბრძნითა განმანათლებულად და შემამკობელად ეკლესიათა  
ჩუენთა, რომლისა-იგი ნამუშაქვეი ახარებს შორიელთა და მახლობელთა,  
და თარგმნილთა მისთა წიგნთა სიტკბოებაჲ, ვითარცა ნესტუ ოქროსაჲ  
ვმა-მაღალი ოხრის ყოველსა ქუეყანასა არა ხოლო ქართლისასა, არამედ  
საბერძნეთისასაცა, რამეთუ ბალაჰვარი და აბუკურა და სხუანიცა  
რაოდენნიმე წერილნი ქართულისაგან თარგმნა ბერძულად“

(„ცხოვრება“, § 5).

ის ფაქტი, რომ ეს ცნობა არ გვხვდება იოვანე იბერის შედგენილ 1002 წლამდე ეფთვიმეს ბერძულიდან ქართულად თარგმნილ წიგნთა სიაში და არც იოვანე ქართველის იმავე 1002 წელს შედგენილ ანდერძში, სადაც შეფასებულია ეფთვიმეს მთარგმნელობითი მოღვაწეობა, გვაფიქრებინებს, რომ ეფთვიმეს ქართულიდან ბერძულად თარგმნა დაუწყია იოვანე ქართველის გარდაცვალების შემდეგ.

სანამ მოტანილი ცნობების განხილვას შევუდგებოდეთ, საჭიროა ამ ორი ნარატიული წყაროს ურთიერთმიმართება წარმოვიდგინოთ: ეფთვიმეს სვინაქსარული და ვრცელი „ცხოვრების“ ურთიერთმიმართების საკითხი შეისწავლა მკვლევარმა ე. გაბიძაშვილმა. მისი დამაჯერებელი მტკიცებით, სვინაქსარული „ცხოვრების“ ავტორია ეფთვიმეს თანამედროვე და თანამოღვაწე, ცნობილი მწიგნობარი, მთარგმნელი, ავტორი ორიგინალური გალობებისა – დიდი ბასილი ბაგრატიძე, რომელიც

<sup>1</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, IV, გვ. 46-96. ბასილი ბაგრატიძის ძის მოღვაწეობის შესახებ იხ. აგრეთვე ელ. მეტრეველი, ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიის ისტორიისათვის. ასპუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, IX, გვ. 183-205.



ამავე დროს გიორგი მთაწმიდელის მოძღვარი და მაკურთხებელი ნიკო-  
 ხახულის მონასტერში. მკვლევარის აზრით, გიორგი მთაწმიდელის დაწ-  
 ერილი იოვანეს და ეფთვიმეს ვრცელი „ცხოვრების“ ერთ-ერთი წყარო  
 ყოფილა ბასილი ბაგრატიძის ეფთვიმეს სვინაქსარული „ცხოვრება“,  
 რითაც არის გამოწვეული მთელ რიგ საკითხებში ამ ორი ავტორის  
 თვალსაზრისთა თანხვედრა.

სავარაუდოა, რომ სვინაქსარული „ცხოვრება“ ბასილი ბაგრატიძის  
 ძეს უნდა დაეწერა ეფთვიმეს გარდაცვალების გამო, არა უგვიანეს 1028-  
 9 წლისა, გიორგი ვარაზვანეს ათონიდან გაძევებამდე (1029 წ.), წი-  
 ნალმდეგ შემთხვევაში სვინაქსარულ „ცხოვრებაში“ 1029-1034 წლების  
 ბერძენ-ქართველთა მწვავე დაპირისპირება თავისი უმძიმესი შედეგებით  
 აუცილებლად აისახებოდა რაიმე ფორმით. აქვე შევნიშნავთ, რომ  
 გიორგი მთაწმიდელმა ივირონის ისტორიის ამ მძიმე პერიოდის  
 აღწერას დიდი ადგილი დაუთმო ვრცელ „ცხოვრებაში“.

ეფთვიმეს სვინაქსარული „ცხოვრებიდან“ ზემოთ მოტანილი ცი-  
 ტატი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში ბასილი ბაგრატიძის  
 ძე იმეორებს ეფთვიმეს მოღვაწეობისა და მთარგმნელობითი საქმიანო-  
 ბის შესახებ ადრე ჩამოყალიბებულ თვალსაზრისს, რომელიც თვით იო-  
 ვანე იბერის 1002 წლის ცნობილი ანდერძიდან მომდინარეობდა. იოვა-  
 ნეს გარდაცვალების შემდეგ ეს თვალსაზრისი ეფთვიმეს თანამდგომთა  
 და თანამოღვაწეთა მიერ ივსებოდა ანდერძისავე ფარგლებში და ახალ,  
 დამატებით ნიუანსებს იძენდა ეფთვიმესადმი მიძღვნილ „სამანსოვრო  
 წიგნებში“.

„ცხოვრებიდან“ მოტანილი ციტატების მეორე ნაწილი შეიცავს  
 გარკვეულ სიახლეს ტრადიციულ თვალსაზრისთან შედარებით. ეს  
 სიახლე პირველად სვინაქსარული „ცხოვრების“ ავტორს შემოაქვს ტრა-  
 დიციულ თვალსაზრისთან შეპირისპირების ფორმით: ეფთვიმემ „არა  
 ხოლო ბერძულისაგან ქართულად თარგმნა ღრმანი და ძნიად სა-  
 თარგმანებელნი წიგნნი, არამედ რაოდენნიმე ბერძულადცა ქართულისა-  
 გან“<sup>1</sup>. გიორგის ვრცელ „ცხოვრებაში“ ეს ახალი ცნობა შეივსო ფაქტი-  
 ური მასალით, ქართულიდან ბერძნულად თარგმნილ წიგნთა დასახელე-  
 ბით.

<sup>1</sup> ძეგლები, IV, გვ.333.

განსაკუთრებით ეამაყებოდით ქართველებს ის არაორდინალური ფაქტი, რომ ათანასეს გარდაცვალების შემდეგ, მისი ანდერძის თანახმად, უძველესი, უდიდესი და ყველაზე გავლენიანი სამეფო მონასტრის — ათონის ლავრის ეპიტროპებად ერთმანეთის მომდევნოდ უნდა განწესებულიყო სამი დიდი ქართველი: იოვანე იბერი, ეფთვიმე და გიორგი I (ვარაზფაჩე) — ივირონის მესამე წინამძღვარი. ამით ათანასე ლავრელმა დაამტკიცა თავისი დიდი ნდობა და პატივისცემა ქართველი თანამოღვაწეებისადმი და სრული უნდობლობა გამოუცხადა არა მარტო ლავრის ბერძენ ბერებს, არამედ საერთოდ ათონის მმართველობას<sup>1</sup>.

ბერძნულ ამპარტავნებას ივირონის პირველი მამები — იოვანე და ეფთვიმე უპასუხებდნენ გულმოწყალებით, მიმტყვებლობით, გულუხვი შესაწირავებითა და შეჭირვებულ მონასტრებზე მუდმივი ზრუნვით. ამას მოწმობს როგორც ივირონის ბერძნული აქტები, ასევე შეწირულებათა ნუსხები, შედგენილი იოვანე იბერიისა და ეფთვიმე ათონელის მიერ. ეს ნუსხები, რომელთა სრული ტექსტები გიორგი მთაწმიდელმა ჩართო იოვანესა და ეფთვიმეს „ცხორობაში“, შეიცავს უაღრესად საინტერესო ცნობებს, რომლებიც ასახავენ ათონზე მამა-შვილის მოღვაწეობის მანძილზე ქართველთა და ბერძენთა ურთიერთობის საინტერესო სურათს და კარგად წარმოაჩენენ მათ პიროვნულ თვისებებს, მათი მოღვაწეობის მიზნებს და იმას, თუ რა დამსახურება მიუძღოდით მათ ათონის ბერძნული საკრებულოების, განსაკუთრებით ათანასეს ლავრის მიმართ.

შეწირულებათა რეესტრების ცნობები მრავალმხრივ საგულისხმოა, განსაკუთრებით პირველ ქართველ ათონელ მამათა მიერ გაცემულ შეწირულებათა რაოდენობისა და მათი ქველმოქმედების მასშტაბების შესახებ. გარდა დრაპკანებში გამოხატული განძისა, „შეჭირვებულ მონასტრებს“ და ცალკე პირებს გადაეცათ დიდძალი უძრავი და

<sup>1</sup> ეს „მძიმე შეცდომა“ ათანასეს არ აბატებს არც მისმა თანამოღვაწეებმა და არც მომდევნო თაობებმა, რაც აისახა ათანასეს „ცხორობის“ ორ ბერძნულ რედაქციაში, სადაც სრულიად იგნორირებულია იოვანე ქართველი და ის ურთიერთობა, რომელიც არსებობდა ქართველებსა და ათანასეს ლავრის საკრებულოს შორის ათანასეს სიცოცხლეში და, პირველ რიგში, თვით ათანასე ლავრელსა და იოვანე ქართველს შორის. ამასთან დაკავშირებით იხ. J.Nolet, La vie la plus ancienne d'Athanase l'Athonite confrontée à d'autres vies de saint. - Analecta Bollandiana, T. 103, fasc. 3-4. Bruxelles, 1985, pp. 243-250.



მოდრავი ქონება: მიწები, ვენახები, სახლები, ნაგებობები, საქონელი (სახეღარი, ჯორი), კუნძული ნეა, იმპერატორის მიერ ნაბოძები თავისი ყოველწლიური შემოსავლით, საეკლესიო ინვენტარი-აკაზმულობა: სხვადასხვა ტექნიკით შესრულებული ხატები და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ბერძნული ხელნაწერების კოლექცია, რომელიც ეფთვიმემ დიდი ხელგაშლილობით უბოძა ლავრას. რეესტრების ცნობები ამდღერებს ჩვენს წარმოდგენას ივირონის ბერძნული სკრიპტორიუმისა და ბიბლიოთეკის, ამასთანავე პირველ ქართველ ათონელთა სამწიგნობრო ინტერესებისა და საქმიანობის შესახებ.

ჩანს, ივირონის ბერძნულ ხელნაწერთა საცავი ეფთვიმესა და იოვანეს მოღვაწეობის წლებში იმ ზომამდე მდიდარი და მრავალფეროვანი ყოფილა, რომ ივირონის მესვეურებს თავისუფლად შეეძლოთ გადაეცათ იშვიათი და უძველესი ხელნაწერები ლავრისათვის, რომელიც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამწიგნობრო ცენტრი იყო ათონზე. ხელნაწერების ეს კოლექცია შეიცავდა 7 დასახელების წიგნს: იოვანე ოქროპირის „მარგალიტი“ (2 წიგნი), ეფრემ ასურის წიგნი, კირილე იერუსალიმელის „სწავლანი“, „სხუაა წიგნი, რომელსა სწერიან ყოველნივე ძუელნი წიგნნი და საწინააღმართეყუელოა და მაკაბელთაა“, „სადღესასწაულოა“ საჩინოთა წმიდათა, „ოთხთავი სტავრამათა შემოსილი“ („ცხორება“, § 31-32).

„ცხორების“ ავტორის სიტყვით, ცნობა „შეწირულობათა“ შესახებ არა ყოფილა სრული, ვინაიდან „არცა თუ შესაძლებელ არს ყოველთა მათ ქველისსაქმეთა მათთა თითოეულად წარმოთქუმაა, რომელთა-იგი უმეტეს ყოველთა სათნოებათა მოწყალებაა შეიტკბო (ეფთვიმემ - ე.მ.) და ვითარცა სამოსელი შეემოსა“ („ცხორება“, § 32). ჩვენის მხრივ იმას დაუმატებდით, რომ ლავრისათვის ბერძნული ხელნაწერების გადაცემა ეფთვიმეს მხრივ მარტო გულისხმობდა აქტი არ უნდა ყოფილიყო, ეს იყო მისი, როგორც ეპიტროპოსის, ზრუნვის გამოხატულება მონასტრის საკრებულოს განათლებასა და ზნეობრივ განწყობა-ამაღლებაზე, რაც მის პირდაპირ მოვალეობას შეადგენდა. ამავე მიზანს ემსახურებოდა მისი ეპიტროპობის წლებში ქართულიდან ბერძნულად საგანმანათლებლო, დისციპლინარული ხასიათისა და სულის მარგებელი თხრობების თარგმნა ბერძნულად, მათ შორის „ბალავარიანისა“ და „აბუკურასი“. საფიქრებელია, რომ ამ წიგნების ბერძნულად თარგმნის საჭიროება, ერთის მხრივ, გაჩნდა მაშინ, როდესაც იოვანე იბერის გარდაცვალების შემდეგ, ათანასეს ანდერძის თანახმად, ლავრის მონასტრის ეპიტროპობა



ეფთვიძეს დაეკისრა, რამაც ლავრის საკრებულოს გალიზიანება წვია, ხოლო მეორეს მხრივ, ეს იყო დროის მოთხოვნა, ვინაიდან IX საუკუნიდან აღმოსავლური მწერლობისა და კულტურისადმი ინტერესი ბიზანტიაში აშკარად გამოიკვეთა. ეს იყო ახალი ტენდენცია, რომელიც ასე ნათლად წარმოაჩინა პოლ ლემერლმა თავის შესანიშნავ წიგნში.

ქართულიდან ბერძნულად თარგმნას ეფთვიძე მამის გარდაცვალების შემდეგ შესდგომა. ზემოთ უკვე ითქვა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში იოვანე იბერს ეს მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი აღუნიშნავი არ დარჩებოდა არც თავის ანდერძებში და არც ეფთვიძეს მიერ თარგმნილ თხზულებათა სიაში, რომელიც მან შეიტანა იოვანე ოქროპირის მათეს თავის თარგმანების ეფთვიძესეული თარგმანის 1002 წლის ავტოგრაფულ ხელნაწერში.

ბუნებრივია, დაისმება კითხვა, თუ რატომ არ არის მოხსენებული ეს ფაქტი ეფთვიძესა და იოანესადმი მიძღვნილ პირველ „სამახსოვრო წიგნებში“, რომლებიც შედგენილია 1008-1013 წლებში ეფთვიძეს უახლოეს თანამოღვაწეთა და თანამდგომთა – იოვანე გრძელისძის და არსენ ნინოწმიდელის მიერ? იოვანესა და ეფთვიძესადმი მიძღვნილი „სამახსოვრო წიგნების“ შექმნის მთავარი მიზანი იყო იოვანეს და ეფთვიძეს საზოგადოებრივი თუ საგანმანათლებლო-მთარგმნელობითი საქმიანობის მასშტაბური წარმოჩენა და მისი შეფასება ქართველთა სამეფოს საშინაო თუ საგარეო ეროვნული პოლიტიკის თვალთახედვით, რათა ამ გზით ხელი შეეწყობოდა პირველი ქართველი ათონელების მოღვაწეობაზე საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებისათვის ეროვნული პოზიციებიდან. ამ მისწრაფებათა ფონზე ქართულიდან ბერძნულად თარგმნილი რამდენიმე სულის მარგებელი თხრობის თარგმნას არ შეიძლებოდა ჰქონოდა რაიმე განსაკუთრებული მნიშვნელობა. ამ ფაქტმა დიდი მნიშვნელობა შეიძინა მაშინ, როდესაც უკიდურესად დაიძაბა ქართველთა და ბერძენთა ურთიერთობა არა მარტო ივირონის ქართულ-ბერძნულ საკრებულოთა შორის, არამედ ათონის სხვა ბერძნულ მონასტრებშიც, განსაკუთრებით ლავრაში, რის შედეგადაც ქართველები აღმოჩნდნენ ათონიდან გაძევების საშიშროების წინაშე.

ამ თვალსაზრისით ქართველები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ იოვანე იბერისა და ათონის უდიდესი ავტორიტეტის ათანასე

<sup>1</sup> P.Lemerle, Le premier humanisme byzantin, notes et remarques sur enseignement et culture à Byzance dès origines au X siècle; Bibliothèque byzantine, Paris, 1971.

ლავერელის უნგარო მეგობრობას, ურთიერთგაგებასა და სულიერ ერთობას, რამაც დიდად შეუწყო ხელი ახლად დაარსებული ქართული მონასტრის (ივირონის) ავტორიტეტის სწრაფ ზრდას ბერძნულ გარემოცვაში, ხოლო ათონის ბერძნული მონასტრების საძმოთა ამკარა გაღიზიანებას.

ამრიგად, ეფთვიმეს მიერ „ბალაგარიანის“ ბერძნულად თარგმნის საკითხიც განხილულ უნდა იქნეს იმ ისტორიული, იდეოლოგიური, კონფესიონალური და ეთნიკური დაპირისპირების ფონზე, რომელიც არსებობდა ათონის მთის სამონასტრო ცხოვრებაში ეფთვიმეს მოღვაწეობის მანძილზე, რამაც, თავის მხრივ, განსაზღვრა ეფთვიმეს მთარგმნელობით საქმიანობაში სათარგმნი მასალის შერჩევის პრინციპები და თარგმნის მეთოდის მრავალსახეობა.

უძძიმესი პერიოდი ივირონის ისტორიაში დაიწყო ეფთვიმეს გარდაცვალების შემდეგ – 1028 წელს და გასტანა 1042 წლის ბოლომდე. 1040 წლიდან ამ მოვლენების მომსწრე და თვითმხილველი იყო ათონზე ჩამოსული გიორგი მთაწმიდელი, რომელმაც ჭეშმარიტი მემატიანის მახვილი თვალთა და საოცარი მხატვრული ძალით აღწერა ივირონში შექმნილი სიტუაცია „მოსაყსენებელში“, რომელიც მან დაურთო იოვანესა და ეფთვიმეს „ცხორებას“.<sup>1</sup>

ამრიგად, „სამახსოვრო წიგნთა“ შემდგენლები არიან ეფთვიმეს თანამდგომთა და თანამოღვაწეთა რამდენიმე თაობის წარმომადგენლები, რომლებიც მხარში ედგნენ ჯერ იოვანესა და ეფთვიმეს, ხოლო 1005 წლიდან ეფთვიმეს. მათი საქმიანობა გამოიხატებოდა იმაში, რომ წარმოეჩინათ ეფთვიმეს, როგორც მწიგნობრისა და მთარგმნელის, სწორუბოვარობა, ამასთან ერთად მისი ზნეობრივი სახე, ძალა და სამონასტრო ცხოვრების ორგანიზაციის დიდი უნარი. ეფთვიმე წარმოდგენილია როგორც დიდი ასკეტი, უმაღლესი ქრისტიანული ზნეობის დამცველი და ამ მაღალი პრინციპების გამტარებელი.

თავისი პრინციპებისა და ავტორიტეტის დაცვა ეფთვიმეს ძვირად უფვდებოდა. ის მუდმივ ბრძოლაში იყო შინაურ თუ გარეშე მტრებთან. ეს ბრძოლა იდეოლოგიური ხერხებით მიმდინარეობდა. მოსახსენებელი

<sup>1</sup> „მოსაყსენებელი“ განხილული აქვს ქ-ნ მარტენ ჰიზარს მის მიერ შესრულებული იოვანესა და ეფთვიმეს „ცხორების“ ახალი ფრანგული თარგმანის წინასიტყვაობაში: Vie de Jean et Euthyme et le statut du monastère des iberes à l'Athos. - Revue des études byzantines, t. 99, 1991, pp. 67-147.



წიგნების შემქმნელები აქაც ეფთვიმეს იდეოლოგიურ დამცველებად გვევლინებიან, რაც მკაფიოდ აისახა „სამახსოვრო წიგნების“ შემქმნელთა ანდერძებში, რომლებშიც შეუცდომლად არის დანახული ბერძენთა და ქართველთა დაპირისპირების ეთნიკური, კონფესიური თუ ეკონომიკური სასიათის მიზეზები და მოძებნილია ეფთვიმეს დაცვის იდეოლოგიური ფორმები, ამასთანავე წარმოჩენილია მისი ღვაწლი ქართველთა ნათესავის, ქართული ეკლესიისა და ქართველთა სამეფოს განათლებისა და ზნეობრივი ამაღლების საქმეში.

1019 წელს ეფთვიმე მთაწმიდელი გადადგა ათონის ქართველთა მონასტრის წინამძღვრობიდან და მონასტერი ჩააბარა თავის ნათესავეებს – გიორგი ვარაზეაჩესა და გრიგოლს.

1019 წლიდან 1029 წლამდე მონასტრის წინამძღვარი იყო გიორგი ვარაზეაჩე. ამ დროის მანძილზე გიორგიმ, როგორც ზემოთ ითქვა, საგრძნობლად შეცვალა ეფთვიმეს დადგენილი სამონასტრო ცხოვრების დისციპლინარული და საორგანიზაციო წესები და გაშალა მონასტერში სამშენებლო და სამეურნეო საქმიანობა. ამისთვის მან ფართოდ გაუღო მონასტრის კარი გარედან მოსულ ბერძნებს, რის შედეგადაც ადგილობრივ ბერძენთა საკრებულო რიცხოვნობრივად გაიზარდა, გაიზარდა მისი გავლენაც და მნიშვნელობაც. ამის პირდაპირი შედეგი ის იყო, რომ 1029 წელს, გიორგი ვარაზეაჩეს ათონიდან გადასახლების შემდეგ<sup>1</sup>, ნაცვლად მამა გრიგოლისა, რომელსაც ეფთვიმეს ნების თანახმად, გიორგის შემდეგ წინამძღვრის თანამდებობა უნდა დაეკავებინა, მონასტრის საძმომ ქართველთათვის არასასურველი ქართველი „გიორგი უკეთური“ დაადგინა. ამას მოჰყვა ძლიერი დაპირისპირება არა მარტო ქართველთა მონასტრის ქართულ და ბერძნულ საძმოთა შორის, არამედ მწვავე კონფრონტაცია ქართულ მონასტერსა და ათონის მმართველობას (პროტატონს) შორის და აგრეთვე ათონის სხვა ბერძნულ მონასტრებთან.

თუ როგორ ვითარდებოდა ეს ურთიერთობები, აღწერილია იოანესა და ეფთვიმეს „ცხოვრებაზე“ დართულ „მოსახსენებელში“, რომელიც იმ ამბების მონაწილეთა და თვითმხილველთა მიერ დაწერილ უტყუარ დოკუმენტს წარმოადგენს. ათონის ბერძენები ქართველებს მძიმე ბრალდებებს უყენებდნენ და მათ ლამის მოსპობითაც ემუქრებოდნენ: „და ვინაფთვან ბერძენთა ესევითარი ჟამი პოვეს, ველ-ყვეს ყოვლითა ღონისძიებითა, რაფთამცა ქართველნი ამის მონასტრისაგან აღმოჰფებურნეს, და ამის პირისათჳს დიდი მოსწრაფებაჲ აჩუენეს და მთაჲ ყოველი თანა-შეიწიეს და საბერძენეთისა დიდებულნი და პალატისა წარჩინებულნი ყოველნი მიდრიკნეს და მრავალი შრომაჲ და ჭირი და

<sup>1</sup> გიორგი ვარაზეაჩეს დაბრალდა რომანოზ არკვირუსის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობა.



რუდუნებაა ჩუენ ზედა მოაწიეს<sup>1</sup> („ცხორება“, § 117, 1-2) მიზეზისათვის, — განაგრძობს მოსახსენებლის ავტორი — „დიდსა შინა ვიყვენით და საწუნელ და საძულელ მათდა (ბერძენთათვის — ემ.) და თვთოეულად არცა თუ შესაძლებელ არს ყოვლისავე წარმოთქემადა, რავდენნი გინებანი, რავდენნი შეურაცხებანი და ყუედრებანი მოიწოდეს მათ მიერ ჩუენ ზედა დლითი-დღე, და ცემითა და გუემითა და მწვალე-ბელად ხადითა შეიწრებულნი დიდსა ურვასა შინა ვიყვენით და ესეცა ენება, რაათამცა სახელიცა მაშენებელთაა აღმოჰყოცეს“ (§ 118, 11-12).

შექმნილ სიტუაციაში ქართული მონასტერი და მისი საკრებულო მოსპობის პირას იდგა: მონასტრის მოძრავ და უძრავ ქონებას დატაცება და ქართველებს ათონიდან გაძევება ემუქრებოდათ. ასეთ რთულ ვითარებაში ქართველთა საკრებულოს საკუთარი ძალების იმედი ნაკლებად ჰქონდა. ამასაც დაუფარავად წერენ „მოსაქსენებელში“: „არა თუმცა უფალი შეწეულ იყო ჩუენდა და მეოხებამა წმიდისა ღმრთისმშობელისაა და მათ წმიდათა მამათა ჩუენთა მადლი და ლოცვაა, დღეს არცამცა ერთი ქართველი არა იპოების ესევითარსა ამას ვრცელსა და დიდებულსა ლავრასა შინა, რომელი-ესე ფრიადითა წარსაგებელითა და მრავლითა ოფლითა მათ წმიდათა მამათა ჩუენთაათა ჩუენ ქართველთათვის აღშენებულ იყო და აღმართებულ“ (§ 117, 3).

ქართული მონასტრისათვის ასეთ უძძიმეს ვითარებაში მონასტრის ქართულ საკრებულოს მაინც აღმოაჩნდა ძალა, გონი და ნებისყოფა, დაეცვა ქართველთა მონასტრის ეკონომიური, უფლებრივი და ეროვნული სტატუსი. შეიკრა მოღვაწეთა გუნდი მამა გრიგოლის მესვეურობით, რომელშიც გაერთიანდნენ ეფთვიძეს მოწაფენი და თაყვანისმცემლნი და პირები, რომლებიც მონასტრის ისტორიის ამ კრიტიკულ მომენტში მას მოუწოდებდნენ. ესენი იყვნენ გიორგი ჩორჩანელი და მისი ძმა ფარსმანი (§ 118, 16).

გრიგოლის თანამოაზრეთა და თანამოღვაწეთა შორის გამოირჩეოდა ნეტარი არსენი, რომელიც იყო კაცი „მარჯულ“ და საფსე გონიერებითა, რომელმან-იგი არა შეიწყალა თავი თვისი, არამედ ყოველივე მოსწრაფებაა აჩუენა დამტკიცებისა ჩუენისათვის, სხუათა რავდენთამე ქრისტეს მოყუარეთა ძმათა თანა“ (§ 118, 14).

<sup>1</sup> „ცხორების“ ტექსტი მოგვაქვს ივჯავახიშვილის გამოცემით: ცხორება იოვანესი და ეფთვიძესი, თბ., 1946.



თუ რა მასშტაბის შეუპოვარი ბრძოლა წამოიწყო ამ გუნდმა ქართველთა მონასტრის თვითმყოფადობის გადასარჩენად, საოცარი ძალით, ხატოვნებითა და ექსპრესიით არის აღწერილი „მოსასვენებელში“: „არცა თუ ეგების, რავდენი ღუაწლნი მოითმინეს, ყოველთავე თითოეულად აღრიცხვაჲ: მიმოსლვაჲ ჩუენი ზღვთ და ჯმელით, და აფხაზეთს და ქართლს სავედრებელთა წიგნთათჳს ბერძენთა მეფეთა წინაშე, და რავდენ გზის მოვილით წიგნი თვთმპყრობელთაჲ და ჩამოვიდით, და კუალად ვინებითა და შეურაცხებითა წარგუდევნიან უსაგზლონი და უჟამურნი ჟამსა ღელვათა-ტენისა და ზამთრისასა, და ესრეთ ანუ თხოვით აღვიდით კუალად სამეუფოდ, ანუ ღმრთისმოყუარეთა კაცთა წყალობითა და კუალად შეესტიროდით და ვესამართლებოდით მეფეთა. და კუალად მუნ აღგვდგინის ღმერთმან მოურნენი და გუზრდიდინ, ვითარ-იგი ქრისტესმოყუარენი ძმანი ჩორჩანელი და ფარსმან, რომელთა-იგი დიდად აღგვპყრეს ჯელი წყალობისაჲ, — ათას წილად მიაგენ უფალმან! და ამათ რაჲ ჭირთა შინა ვიყვენით, არამცირენი განსაცდელნი მოიწოდეს დლითი-დღე ძმათა ზედა და უფრომასად ნეტარსა არსენის, რამეთუ იგუემაცა და მრავალი შრომაჲ დაითმინა, და საპრობილედ შეწყუდევაჲ და კიცხევაჲ და ბასრობაჲ, და ეგრეთვე ძმათა ყოველთა“ (§ 118, 15-17). ხოლო ბერი გრიგოლი ნუგეშს სცემდა ამ დროს საკრებულოს და ამხნევებდა მას, „რაათა არა სულ-მოკლე ვიქმნეთო“ — გვამცნობს „მოსასვენებელი“.

ეს პირველი შეუპოვარი ბრძოლა, მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, ქართველებმა მოიგეს. შემდგომად „დიდთა ბჭობათა და გამოძიებათა ღირსი მამა გრიგოლი წყალობით მოიკითხა“ მეფე მიხეილ IV-მ და დაუბრუნა ქართველებს ადგილი მათი და სამყოფელი „წინაძღომითა და მოღუაწებითა გრიგოლისითა და არსენისითა და ყოველთა ძმათა ჩუენთაჲთა, რომელთა-იგი იღუაწეს ვიდრე სისხლთა დათხევადმდე“ (§ 118, 19). ეს შესაძლებელი გახდა რომანოზ არგვირუსის გარდაცვალებისა (1034 წ.) და მიხეილ IV-ის გამეფების შემდეგ, როგორც ჩანს, 1035 წელს, როდესაც ქართველთა მონასტრის წინამძღვრის გიორგი უკუთურის ადგილი დაიკავა ბრძოლაში გამარჯვებულმა მამა გრიგოლმა. მონასტერში დამყარდა დროებითი სიმშვიდე, მაგრამ „გარდაკდეს რაოდენნიმე ჟამნი და ... კუალად აღეტყინეს ჩუენ ზედა ბერძენნი და მთაჲ ყოველი (ათონი — ე.მ.) აღძრეს და დიდებულნი ყოველნი განდრიკნეს და ენება, რაათამცა პირველი იგი ბჭობაჲ (მიხეილ IV-ისა — ე.მ.) და ღმრთისა-მიერი ჩუენ ზედა წყალობაჲ ცუდ-



მცა ყვეს და ამო“ (§ 118,21). მაგრამ ამჯერადაც, უკვე მიხედვით მეფობის ჟამს, მეორე „სამეფო ბჭობის“ შედეგად აღდგა სამართალი. მიხეილ V-მ (1041 წ.) „ფრიადითა გამოძიებითა განბჭო და ეკლესიაა და მონასტერი ყოვლითურთ მონაგებით და სიმდიდრით ჩუენ გვბოძა და ფრიადი წყალობაა და სიტკბოებაა მოგუფინა“ (§ 118,25), – ვკითხულობთ „მოსაჯსენებელში“. „მეორე ბჭობის“ წინ (1041 წ.) გარდაიცვალა მამა კრიგოლი, ხოლო „ბჭობის“ შემდეგ (1042 წ.) – არსენი. ასე დამთავრდა ეს ტრაგიკული პერიოდი მონასტრის ისტორიისა.

როგორც ჩანს, ამ სასტიკ ბრძოლაში მონასტრის ქართველთა საკრებულო ერთსულოვანი არ ყოფილა, რამაც დიდი ზიანი მიაყენა მონასტერს. იმისათვის, რომ მომავალ თაობას უტყუარი ცნობები მიეღო მონასტრის ისტორიის ამ მძიმე წლების შესახებ, მონასტრის საკრებულომ გადაწყვიტა შეექმნა დოკუმენტი („მოსაჯსენებელი“) მომავალი თაობების გასაფრთხილებლად. ამ „მოსაჯსენებლის“ მთავარი პათოსი მის მოწოდებაშია, რომელიც ყოველ ჟამსა და გარემოებაში ჭკუის სასწავლებლად გამოადგებოდა ქართველ ერს. მოწოდებაში ვკითხულობთ: „ვინაფთჳან ესე ყოველი და ამისა უმრავლესი მოიწია ჩუენ ზედა, და მრავალნი ძმათა ჩუენთაგანნიცა გარდაიქცეს და მიექცეს ჩუენთა წინააღმდეგომთა, და ამის ყოვლისაგან შეგუეშინა და მოსაჯსენებელი ესე აღწერეთ და დავდევით შემდგომად ჩუენსა მომავალთა ნათესავთათჳს, რაფთა არა დავიწყებულ იქმნას და გარეწარ ესევეთარი ესე მრავალფერი ღელვაჲ. და ერთითა ერთობითა ამას ვიტყვთ, ვითარცა ერთისა პირითა ყოველთა ქართველთა თანა, რომელნი სადაცა არიან აღმოსავალისათა და შავისა მთისათა და იერუსალემისათა და სადაცა არიან ძმანი ჩუენნი: უკუეთუ ვინმე გამოჩნდეს ნათესავისა ჩუენისაგან კაცი, – გინა მამასახლისი, გინა იკონომოსი, გინა სსუაჲ ვინ, – და რაფთაცა ღონითა ანუ მანქანებითა, ანუ საფასისა სიხარბითა, ანუ სიყუარულითა ბერძენთაფთა, ანუ კაცისა ვისმე შეპოვნებითა, ანუ სსვთა რაფთმე ზაკუვითა ეორგულოს ამას წმიდასა ადგილსა, გინა განსცეს მიწაჲ მთასა, გინა გარე, ანუ ქართველთა შინა-განმცემელ ექმნეს და ასწყვდნეს და ესე ადგილი ქართველთა თავისა რაფთმე საქმითა გამოუგდოს და იგინი გაასხნეს და ჩუენი საჯსენებელი ამოსწყვდოს, ყოველთა წმიდათა ჯუარითა და მადლითა კრულმცა არს და წყეულ და შერუენებულ და განკუეთილ წესისაგან ქრისტიანეთაჲსა“, და ბოლოს ვკითხულობთ: „მადლითა და ღოცვითა გუაკურთხენ და აღგუაორძინენ უფალმან და საუკუნეთა მათ სატანჯველთაგან გვქსნენ და სასუფეველსა ცათასა



მკვლარ გვჩინენ მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისადათა და წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ეფთჳქესითა და ყოველთა წმიდათადათა, რომელნი საუკუნითგან სათნო-ეყენეს ღმერთსა, რომლისადა არს დიდებაჲ...“ (§ 118, 27-29;33).

1029-1042 წლებში ქართველთა ბრძოლა მონასტრის შენარჩუნებისა და მისი უფლებების დაცვისათვის მარტო მეფეთა კარზე სამართლის ძიებაში არ გამოიხატებოდა. გრიგოლი და მისი მომხრეები ცდილობდნენ ბერძნების წინააღმდეგ იდეოლოგიური ბრძოლაც გაეჩაღებინათ და ამ გზით გაებათილებინათ ყველაზე მძიმე ბრალდება — ქართველთა მწვალებლებად გამოცხადება იმ მიზნით, რათა „სახელიცა მაშენებელთაჲ აღმოჰკიცეს“. ე.ი. ბერძნებს სურდათ გაექარწყლებინათ ის დიდი გავლენა და ავტორიტეტი, რომელიც მოიპოვეს ათონზე ქართველთა მონასტრის მაშენებლებმა, პირველმა ათონელმა ქართველმა მამებმა — თორნიკემ, იოანემ და ეფთჳიმემ. ამ აქციის საწინააღმდეგოდ იმავე მამა გრიგოლის მესვეურობით შემუშავდა პროგრამა ჭეშმარიტი მართლმადიდებლობის მქადაგებლისა და გამავრცელებლის, ქართველი ერის განმანათლებლის ეფთჳიმეს ავტორიტეტის დაცვისა და მისი პიროვნების კულტის დამკვიდრებისა, რაც უნდა გამოხატულიყო, პირველ რიგში, ეფთჳიმეს თარგმანთა კრებულების გამრავლებასა და გავრცელებაში.

ამ პროგრამის განხორციელებას, როგორც ჩანს, გრიგოლი შეუდგა ბერძნებთან კონფრონტაციის პირველსავე წელს (1030 წ.). ეფთჳიმეს დროში ბრძოლა იმითაც იყო გამართლებული, რომ იოვანე და ეფთჳიმე უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდნენ, როგორც ათონის მთის სამონასტრო ფედერაციაში, ასევე საიმპერატორო კარზეც. ისინი გამორჩეული პიროვნებები იყვნენ თვით დიდი ათონელის — ათანასე ლავრელისთვისაც, რომელმაც ანდერძით ჩააბარა მათ თავისი ლავრის სულიერი ცხოვრების ზედამხედველობა (ეპიტროპობა).

ეფთჳიმეს პიროვნებისა და შრომების პროპაგანდის მესვეურთა გუნდში გაერთიანდნენ: თვით მამა გრიგოლი, მისი თანამოღვაწე არსენი, ზაქარია მირდატის ძე, ზაქარია ბანელი მამამთავარი, მისი სულიერი შვილი ბასილი ეტრატაჲ, მალუშის ძე და ისაკი ულუმბოელი.

ამ გუნდმა სულ რამდენიმე წლის განმავლობაში (1030-1034 წწ.) რომანოზ მეფის ზეობის წლებში, იმ რომანოზისა, რომელმაც მიიყვანა 1029-1034 წლებში ქართველთა მონასტერი განადგურებამდე, შექმნა ათონზე, კონსტანტინოპოლის მონასტრებში და ოლიმპზე ეფთჳიმეს



თარგმანთა რამდენიმე შესანიშნავი კრებული, საგანგებოდ გადაწერილი და მოხატული. ამ ხელნაწერთა მომგებლები იყვნენ მამა გრიგოლთა და მამა ზაქარია ბანელი მამამთავარი, ვალაშკერტელი<sup>1</sup>.

საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ განვიხილოთ ეს ხელნაწერები არა მარტო იმიტომ, რომ ისინი ათონისა და კონსტანტინოპოლის ქართველ მოღვაწეთა ერთობლივი პროგრამით არის შექმნილი, არამედ იმიტომაც, რომ ამ ხელნაწერებმა შემოგვინახეს თანამედროვეთა მიერ ეფთვიმეს მოღვაწეობის შეფასებები და, ამასთანავე, ცნობები კონსტანტინოპოლის იმ მონასტრების შესახებ, სადაც გადაიწერა გრიგოლისა და ზაქარია ბანელის ბრძანებით ეფთვიმეს თხზულებათა შემცველი რამდენიმე ხელნაწერი.

1. A-648. მცირე სვინაქსარი (ეფთვიმეს თარგმანი), მომგებელი ზაქარია მამამთავარი, სვინგელოზი, გადაწერილი — ბასილი ეტრატაძე ხელნაწერი მდიდრულად არის დასურათებული.

ზაქარია მამამთავრის ანდერძი: „დაიწერა ქალაქსა შინა დიდსა კოსტანტინოპოლის, ახალსა პრომსა, დასაბამითგანთა წელთა ვითარ ბერძენნი ითუალვენ, ხვლჴ, ინდიქტიონსა ივ, ქართველთა ქრონიკონსა სნ (1030 წ.), მეფობასა პრომანოზისსა, პატრიაქობასა ალექსისსა და ჩემსა მწირობასა პილურის მონასტერსა კელითა შვილისა ჩემისა ბასილი ეტრატაძასითა“ (72 r).

2. A-1. გრიგოლ ღმრთისმეტყველის თხზულებათა კრებული, თარგმანი ეფთვიმე ათონელისა. გადაწერილია კონსტანტინოპოლში 1031 წელს. მომგებელი ზაქარია სვნგელოზი, ბანელი მამამთავარი. A 1

<sup>1</sup> ზაქარია ვალაშკერტელი ბიზანტიის საიმპერატორო კარის ნდობით აღჭურვილი პირი იყო. ეს ჩანს იქიდანაც, რომ მას იმპერატორისაგან სვინგელოზის პატივი ჰქონდა მიღებული. ზაქარიასადმი ნდობა იმაშიც გამოიხატა, რომ ბასილი II-მ 1022 წელს გიორგი I-თან საომარ სიტუაციაში საზავო მოლაპარაკებისათვის შუამავლად ზაქარია მამამთავარი ვალაშკერტელი შერჩია (იხ. აქვე).

ზაქარია ბანელი მამამთავრის, ვალაშკერტელის შესახებ იხ: ემაჭავარიანი, ათონის ივერთა მონასტერი და X-XI სს. ქართული მოხატული წიგნი. - საბჭოთა ხელოვნება, 1980, № 11, გვ. 52-60. ჩვენ ვერ ვეთანხმებით ავტორს იმაში, რომ ბასილი II-ის მიერ ტაოდან გაძევებული ზაქარია ბანელი მამამთავარი 1028-1031 წწ. ათონზე დაკვიდრებული. მისი ბრძანებით შექმნილი ამ პერიოდის ხელნაწერების უმრავლესობა კონსტანტინოპოლშია გადაწერილი, სადაც მას საკუთარი მონასტერიც ჰქონია. ეს, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს იმას, რომ ზაქარია მჭიდროდ იყო დაკავშირებული ათონთანაც, როგორც ამაში ქვემოთ დავრწმუნდებით.

ხელნაწერი თავბოლონაკლულია. მისი ანდერძები შემოუნახავს ამ ხელნაწერის პირს — A 16-ს.

ანდერძები: 1) (A 1-ის მიხედვით): „ქრისტე, მეუფეო დიდებისაო, ადიდე შენმიერთა ზეგარდამოფთა დიდებითა ორთავე შინა სუფევათა ზაქარია სვზგელოზი, ბანაელი მამადმთავარი და მიანიჭე ზეცისა სასუფეველი, ამენ იყვენ. ლოცვა ყავთ უღირსისა და ფრიად ცოდვილისა უცბად მჩხრეკლისა ბასილისთჳს“ (438r)<sup>1</sup>.

2) (A 16-ის მიხედვით): „დაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი, სულთა და ჯორცთა განმანათლებელი ღმრთივ დაცეულსა ქალაქსა შინა კოსტანტინეპოლეს დასაბამითგან წელთა ბერძენთა სათუალავითა ხვლმ<sup>2</sup>, ინდიკტიონსა ივ, ქართველთა ქრონიკონსა სნა (1031 წ.), საბერძენეთს მეფობასა რომანოზისა“ (281 r).

3. Q-34. მაქსიმე აღმსარებლის თხზულებანი, თარგმანი ეფთვიმე ათონელისა, მომგებელი — ზაქარია ბანელი, სვზგელოზი, გადამწერი — ისაკი. დაიწერა ქალაქსა კოსტანტინეპოლს, ზაქარია ბანელის საკუთარ მონასტერში აგიაპანტს (1028-1034 წწ.). გადწერილია ეფთვიმეს ავტოგრაფიდან. შეიცავს ეფთვიმეს ანდერძსაც.

ანდერძები (გადამწერისა): „ხოლო დაიწერა ბრძანებითა და ნუბითა ზაქარია ებისკოპოსისა ბანაელისა და სვზგელოზისაჲთა, კელითა უღირსისა და უცბად მჩხრაკალისა (!) ისაკისითა ქალაქსა კოსტანტინეპოლის, მონასტერსა მისვე ბანაელისა ებისკოპოსისა<sup>3</sup> სვზგელოზისასა ყოველთა წმიდათასა აგიაპანტს, მეფობასა რომანოზისსა.

რაჲ წიგნსა შინა ვპოე, რომლისაგან გარდავწერე, არა გამომიცვალეზია სიტყუჲაჲ, არცა მიკაზმავს, ღმერთი არს მოწამმ<sup>4</sup>, და არცა რაჲ დამიკლია, და თუ რაჲმე დამრჩომოდა, შევაწამე წიგნსა და ჩაურთე, რამეთუ მთარგმნელი სულისა წმიდისა მადლითა სავსე იყო და ფრიად მეცნიერ ბერძულ...“ (336v)<sup>4</sup>.

<sup>1</sup> გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, შედგენილი თბრეგაძის მიერ. თბ., 1988, გვ. 68-69.

<sup>2</sup> იქვე გვ. 119, უნდა იყოს ხვლმ.

<sup>3</sup> ზაქარია ბანელი რომ კონსტანტინოპოლში საკუთარ (მისივე) მონასტერში (აგიაპანტში) ცხოვრობდა, აქამდე შეუმჩნეველი რჩებოდა.

<sup>4</sup> საქართველოს სახ. მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (Q კოლექცია), ტ. 1, თბ., 1957, გვ. 37-38. ვრცლად ზაქარია ბანელი მამამთავრის ბრძანებით შექმნილი ხელნაწერების შესახებ იხ. ემაჭავარიანის დასახელებული წერილი.





4. S-143. მცირე სჯულისკანონი. ეფთვიმეს თარგმანი. ხელნაწერი

ერი თავბოლონაკლულია. მომგებელი — ზაქარია ვალაშკერტელია. გადაწერილი — ბასილი. ხელნაწერს, დაზიანების გამო, ცნობა გადაწერის ადგილისა და თარიღის შესახებ არ შემოუნახავს. ხელნაწერი გამოცემისათვის გამოიყენეს ნ. ზაოზერსკიმ და ახახანაშვილმა. გამოცემაში ხელნაწერის თარიღად მითითებულია 1031 წელი, საფიქრებელია, ხელნაწერის დღეისათვის დაკარგული ანდერძის მიხედვით.

5. ბასილი ეტრატაძის გადაუწერია 1031 წელს კიდევ ერთი ნუსხა მცირე სჯულისკანონისა. ეს არის A-96 ხელნაწერი, რომელსაც ახლავს საინტერესო ანდერძები:

„დაიწერა რჩულისკანონი ესე ქალაქსა ღმრთივდაცვულისა კოსტანტინეპოლის, ახალსა ჰრომსა, ნებიითა და ბრძანებითა... წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლ მთაწმიდელისაძათა, კელითა გლახაკისა, მწარედ ცოდვილისა ბასილი ეტრატი მალუმის ძისაძათა. შრომისათუს ლოცვა ყავთ და უცბად ჩხრეკისათუს შემინდვეთ, ერნო ღმერთშემოსილნო.

დაიწერა წიგნი ესე მონასტერსა ხორას, მეფობასა რომანოზისსა, და ქრონიკონი იყო სნა (1031)(181v-182r)<sup>3</sup>.

მცირე სჯულისკანონის ამ ორი ხელნაწერის (S-143 და A-96) ანდერძებიდან ჩანს, რომ ბასილი ეტრატაძე მალუმის ძეს გადაუწერია „მცირე სჯულისკანონის“ ორი ხელნაწერი. ერთი (S-143) ზაქარია ვალაშკერტელის ბრძანებით, ხოლო მეორე (A-96) გრიგოლ მთაწმიდელის ბრძანებით. A-96 ხელნაწერმა შემოგვინახა ცნობა, რომ ხელნაწერი ბასილს ხორას მონასტერში გადაუწერია 1031 წელს. გამორიცხული არ არის, რომ მცირე სჯულისკანონის მეორე ხელნაწერიც (S-143) აგრეთვე ხორაში იყოს შექმნილი ზაქარია ვალაშკერტელის ბრძანებით. საინტერესოა აღინიშნოს ისიც, რომ მცირე „სჯულისკანონის“ ორივე ხელნაწერი თავსამკაულებით არის მოხატული, რაც გვაფიქრებინებს, რომ ხორაში, სადაც ბასილმა გადაწერა და მოხატა ეს ორი ხელნაწერი, არსებობდა სამხატვრო სახელოსნო, სადაც მუშაობდნენ არა მარტო ბერძენი მხატვარი ოსტატები, არამედ ქართველებიც. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ბასილი ეტრატაძე მალუმის ძე მალალ პროფესიონალი ზმს დაუფლებული მხატვარია, მაშინ ისიც უნდა დაფიქრებოდეთ, რომ

<sup>1</sup> Н. Заозерский, А. Хаханов, Номоканон Иоанна Постника, Москва, 1902.  
<sup>2</sup> ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (S კოლექცია), I, 1959, გვ. 52, № 143.  
<sup>3</sup> ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A კოლექცია), I, 1973, გვ. 393, 395.



ხორა XI საუკუნის I ნახევარში დედაქალაქის ერთ-ერთი ღონიერი სახელმწიფო სამხატვრო სახელოსნო ყოფილა.

ამ საკითხზე იმიტომაც შევიჩრდით, რომ ამ პერიოდის კონსტანტინოპოლის ხორას მონასტრის შესახებ ბერძნულ წყაროებს ცნობები არ შემოუნახავთ.

აქვე დავსძენთ, რომ A-96-ს ერთვის მეფეთა საუკუნო მოსახსენებლები, დაწერილი უფრო გვიან. ეს მოსახსენებლებია: მიქაელ V-ის (1041-1042), ზოიასი და თეოდორასი (1042), კოსტანტინე მონომახსისა (1042-1055), მიქაელ ბერისა (1056-1057), ისაკ I კომნენოსისა, რომელიც ცოცხლად იხსენიება (1057-1059).

ეს მოსახსენებლები მთავრდება ეფთვიმე მთაწმიდელის მოსახსენებლით, სადაც მის მოღვაწეობას ძალიან მაღალი შეფასება ეძლევა: „უსხეულოთა მიმსგავსებულისა წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთვმე მთაწმიდელისა, ახლისა ოქროპირისა, ქართველთა განმანათლებელისა საუკუნომცა არს საჭყენებელი და კურთხევაჲ მისი“ (182r-v)<sup>1</sup>.

განხილული სუთი ხელნაწერიდან სამი ზაქარია ბანელი მამამთავრის ბრძანებით არის გადაწერილი (A-648, A-1, S-143) ბასილი ეტრატაჲ მალუმის ძის მიერ. სამივე მოხატულია და გადაწერილი კონსტანტინოპოლის მონასტრებში: A-648 პილურის მონასტერში, A-1 — კონსტანტინოპოლში, S-143 — ხორას მონასტერში.

ხელნაწერი Q-34 აგრეთვე ზაქარია ბანელი მამამთავრის ბრძანებით არის გადაწერილი, გადამწერია ისაკი. ხელნაწერი გადაწერილია კონსტანტინოპოლში, ზაქარიას საკუთარ მონასტერში, აგიაპანტში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეფთვიმეს თხზულებების გამრავლებას, გავრცელებასა და პოპულარიზაციას ემსახურებოდა გრიგოლ მთაწმიდელიც (A-96), ეფთვიმეს თანამედროვე და „თუსი“ (ნათესავი), და, საფიქრებელია, მოწაფეცა და სულიერი შვილიც, რომელსაც ეფთვიმესავე ნებითა და სურვილით ქართველთა მონასტრის წინამძღვრის თანამდებობა უნდა დაეკავებინა გიორგი ვარაზფაჩეს შემდეგ.

<sup>1</sup> ეფთვიმეს „მოსახსენებელში“ გამოყენებული ეფთვიმეს ეპიტეტები („უსხეულოთა მიმსგავსებელი“, „ახალი (მეორე) ოქროპირი“, „ქართველთა განმანათლებელი“) ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ იოვანე იბერიის სიცოცხლეში († 1005). ისინი სწორად იხმარება ეფთვიმეს თანამოღვაწეთა და თანამდგომთა მიერ შედგენილ ეფთვიმესადმი მიძღვნილ „სამახსოვრო წიგნებში“. იხ. აქვე წერილი: იოვანე და ეფთვიმე ათონელებისადმი მიძღვნილი სამახსოვრო წიგნები.



1030 წლიდანვე, ათონზე ბერძნებთან გამწვავებული ურთიერთობისა და ბრძოლის პირობებში გრიგოლიც, ისევე როგორც ბანელი მამამთავარი, შეუდგა ეფთვიძეს თარგმანთა გამრავლებასა და მისი პიროვნების პოპულარიზაციას. ამ ეროვნული საქმის ორივე მესვეური (მამა გრიგოლი და ზაქარია ბანელი) ერთი პროგრამით მოქმედებდა და ერთსა და იმავე გადამწერ-მომხატველებთან იყო დაკავშირებული. ამის დამადასტურებელია ხელნაწერი A-96 (მცირე სჯულისკანონი), რომელიც გრიგოლ მთაწმიდელის ბრძანებით ხორაში გადაწერა ბასილი ეტრატაძე მალუმის ძემ. საფიქრებელია, იმავე ხორაში ბასილმა გადაწერა ჯერ ზაქარია ვალაშკერტელის შეკვეთით „მცირე სჯულისკანონი“ (S-143), ხოლო შემდეგ იგივე გაიმეორა — მამა გრიგოლის შეკვეთით (A-96), უკვე ათონის ქართველთა მონასტრისათვის. ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა ის, რომ ბასილი მალუმის ძე ერთდროულად მოღვაწეობს როგორც ზაქარია ბანელ მამამთავართან, ასევე მამა გრიგოლთან და ორივე შემთხვევაში ეფთვიძე მთაწმიდელის თარგმანების გამრავლებას ეწევა.

მამა გრიგოლისა და ზაქარია ბანელის თანამშრომლობის მაგალითი სხვაც არის ცნობილი. ამ თვალსაზრისით საინტერესოა კიდევ ორი ხელნაწერი — A-92 და Ath.21.

6. A-92 გრიგოლ ღმრთისმეტყველის თხზულებათა კრებულია, თარგმნილი ეფთვიძეს მიერ. გადამწერნი: ივირონის მოღვაწენი ზაქარია მირდატის ძე, არსენი (მამა გრიგოლის თანამოღვაწენი) და ბასილი ეტრატაძე. დაიწერა ზაქარია ბანელი მამამთავრის ბრძანებით. მოიხატა ბასილი ეტრატაძეს მიერ. ხელნაწერი შეუმოსავს გრიგოლს (საფიქრებელია, მთაწმიდელს). შეიქმნა ხელნაწერი ამ ერთობლივი კოლექტივის მიერ ათონის ქართველთა მონასტერში<sup>1</sup>. ხელნაწერის ანდერძია: „დაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი მთაწმიდას, საყოფელსა წმიდისა ღმრთისმშობელისა, მონასტერსა ქართველთასა, ბრძანებითა ზაქარია მამადმთავრისაჲთა, ღმერთმან ზიარ-ყაენ მათ თანა სასუფეველსა. ახლად თარგმნა წმიდამან და ღმერთშემოსილმან მამამან ეფთვიძე ყოველთა კეთილთა მისთა ზედა და მრავალთა შრომათა ესეცა სრულ ყო და ქართველთა ენასა გამოუცხადა“ (284v).

<sup>1</sup> ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A კოლექცია), I, 1973, გვ. 330.



ხელნაწერი გადაწერილი უნდა იყოს, ისევე როგორც ამ ჯგუფის სხვა ხელნაწერები, ზაქარია ბანელის ბრძანებით მეფე რომანოზის ბის წლებში (1028-1034 წწ.).

7. ამავე პერიოდში (1030 წ.) მამა გრიგოლ მთაწმიდელი გადასაწერად უკვეთავს ოლიმპის ქართველ ბერს ისაკს ფსევდომაკარის ჰომილიათა ეფთვიმესეულ თარგმანს (Ath.21).

Ath.21 ხელნაწერს ახლავს ანდერძი: „ხოლო დაიწერა მთასა წმიდასა ოლიმპოს საბერძნეთისასა, ქუაბსა საყოფელსა ქართველთასა, ეკლესიასა ღმრთისმშობელისასა, ბრძანებითა მამისა გრიგოლისითა, კელითა გლახაკისა და ფრიად ცოდვილისა ისაკისითა მსახრქელისადათა, მეფობასა პრომანოსისა, ოდეს სარკინოზეთს წარვიდა წარმოტყუენვად, ღმერთმან გაუმარჯვენ. ქრონიკონი იყო სნ“ (1030 წ.).

ამრიგად, ორი თავდადებული ეროვნული მოღვაწის – მამა გრიგოლისა და ზაქარია ბანელი მამამთავრის მესვეურობით და განკარგულებით ბიზანტიის ქართულ სკრიპტორიუმებში (ათონის ქართველთა მონასტერში, კონსტანტინოპოლში – ხორასა და აგიაპანტს ანუ პილურში, ოლიმპოს ქართველთა სავანეში) ოთხი ქართველი მწიგნობრის: ზაქარია მირდატის ძის და არსენის, ბასილი ეტრატაჲ მალუშის ძისა და ოლიმპის ქართული მონასტრის ბერის ისაკის მიერ შეიქმნა შვიდი შესანიშნავი ხელნაწერი. ამ ჯგუფს ამოძრავებდა ერთი საერთო მიზანი, რომელსაც ისინი ერთობლივი ძალისხმევით ახორციელებდნენ: ათონის მთის ბერძნებისათვის, რომელთაც მიზნად ჰქონდათ ქართველთა მონასტრის ხელში ჩაგდება და ქართველების ათონიდან გაძევება, შეეხსენებინათ და დაეპირისპირებინათ მონასტრის მაშენებლის, დიდი ეფთვიმე მთაწმიდლის პიროვნება, რომელიც უდიდესი ავტორიტეტითა და პატრივისცემით სარგებლობდა როგორც ათონზე, ასევე ბიზანტიის იმპერატორთა კარზე.

ამრიგად, ათონის ქართველთა მონასტრის ყველაზე მძიმე 1030-1034 წლებში მამა გრიგოლსა და ზაქარია ბანელს საჭიროდ მიუჩნევიათ ეფთვიმეს თარგმნილი შრომების მოხატული ნუსხების გამრავლება და გავრცელება. ამ საქმის განხორციელებაში ჩართული იყო ქართველ მოღვაწეთა და მწიგნობართა საუკეთესო ნაწილი, ვინაიდან მოღვაწეობის ეს სახეობა ათონის ქართველთა მონასტრის აღდგენა-დაბრუნებისათვის შემუშავებული პროგრამის ერთ-ერთი ფორმა იყო.

<sup>1</sup> ფსევდომაკარის თხზულებათა ქართული ვერსია, გვ. 51.



ეფთვიმეს დროშით ბერძნებთან ბრძოლის ეს კურსი, რომელიც დაიწყო ქართველთა მონასტერში XI ს. 30-იან წლებში, შემდგომ წარმატებით განაგრძო გიორგი მთაწმიდელმა.

აქვე გვინდა თავი მოვუყაროთ ზოგიერთ ცნობას მამა გრიგოლისა და ზაქარია მამამთავრის შესახებ. მამა გრიგოლი გარდაიცვალა 1041 წლის დასასრულს, „მეორე ზჭობის“ წინ. 1042 წლის დამდეგს კი მეფე მიქელ V-მ ქართველებს დაუბრუნა ყველა უფლებებში აღდგენილი მონასტერი<sup>1</sup>. ამ ფაქტს გრიგოლი ვერ მოესწრო, მაგრამ მონასტრის საკრებულოსათვის აშკარა იყო, რომ ეს გამარჯვება გრიგოლის დამსახურება იყო. ამიტომ, გრიგოლის მოწაფეებმა და თანამოღვაწეებმა მისი გარდაცვალების შემდეგ (1047 წელს) შექმნეს ხელნაწერი (A 1101) „პირველად მოსაქსენებელად მამისა გრიგოლისა, რომლისა ლოცვითა და მოღუაწებითა მონასტერი გავისაკუთრეთ“, და შეწირეს ათონის ქართველთა მონასტერს „სალოცველად და საქსენებელად მამისა გრიგოლისა“ (248 v)<sup>2</sup>.

ამით შეიძლებოდა დაგვემთავრებინა ეს წერილი, მაგრამ გვინდა შევხვთ კიდევ ერთ საკითხს, რომელიც შემოთავანხილულ ხელნაწერებთან უშუალოდ არის დაკავშირებული. ეს არის ამ ხელნაწერების ცნობები კონსტანტინოპოლის იმ სამონასტრო სკრიპტორიუმების შესახებ, სადაც ზაქარია ბანელი მამამთავრის და გრიგოლის ბრძანებით იქმნებოდა ხელნაწერები, და რომელთა შესახებ ან სულ არ შემონახულა ბერძნულ წყაროებში ცნობები, ან მეტად მცირე რაოდენობით. ესენია: ხორა, აგიაპანტი და პილური.

\* \* \*

ხორას მონასტრის ისტორიას დიდ ადგილს უთმობს რ. ჟანენი თავის ფუნდამენტურ შრომაში<sup>3</sup>. ავტორი იხილავს ყველა არსებულ წყაროსა და ცნობას ხორას აშენების შესახებ და მიდის იმ დასკვნამდე, რომ ვერ ხერხდება ამ მონასტრის აშენების დროის ზუსტი განსაზღვრა. მისი ვარაუდით, IX საუკუნიდან მონასტერი ძალზე დაზიანებული იყო და ბოლოს ნანგრევებად იქცა. 846 წლიდან ალექსი I-ის გამეფებამდე

<sup>1</sup> იოვანეს და ეფთვიმეს „ცხოვრება“, § 118, 26.  
<sup>2</sup> ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A კოლექცია), ტ. IV, 1954, გვ. 75.  
<sup>3</sup> R. Janin, La géographie ecclésiastique de l'empire Byzantin. Part, I, t. III. Paris, 1969, pp. 531-538.



(1081 წ.) ცნობებს სორას მონასტრის შესახებ ჩვენამდე არ მოუღწევია. 1081 წლისათვის კი სორა ახალი გეგმით ფაქტიურად ხელახლა აშენდა. ამ განახლებულ მონასტერში 1081 წელს დასაფლავეს კოზმა კონსტანტინოპოლის პატრიარქი. მონასტერმა დიდი სახელი მოიხვეჭა თავისი მოზაიკებით პალეოლოგთა ეპოქაში.

ამრიგად, სორას მონასტრის ისტორიიდან თითქმის ორსაუკუნენახევარი (234 წელი) ამოვარდნილია. ასეთ ვითარებაში განსაკუთრებით საგულისხმოა ის ცნობები, რომლებსაც გვაწვდიან სორას შესახებ ქართული ხელნაწერები. როგორც უკვე ითქვა, სორაში გადაიწერა და მოხატა ბასილი ეტრატაძე მალუმის ძის მიერ ეფთვიძეს თარგმნილი მცირე სჯულისკანონის ორი ნუსხა.

ქართული ხელნაწერების ეს ცნობები ეხება სორას მონასტრის ისტორიის იმ პერიოდს, რომელზედაც ბერძნულ წყაროებში სრული დუმილია. ქართული ცნობები კი მოწმობენ, რომ XI საუკუნის 30-იან წლებში სორას მონასტერში არსებობდა სკრიპტორიუმი და სამხატვრო სახელოსნო, სადაც ბერძნებთან ერთად მოღვაწეობდნენ პროფესიონალი ქართველი მხატვარ-კალიგრაფები (ფფიქრობთ, ბასილი მალუმის ძე ერთადერთი არ იქნებოდა). სორას მონასტერთან დაკავშირებული იყვნენ იმ დროს კონსტანტინოპოლში მცხოვრები ზაქარია ბანელი მამამთავარი და მამა გრიგოლ მთაწმიდელი.

\*\*\*

ზაქარია ბანელი მამამთავრის ბრძანებით გადაწერილმა ორმა ხელნაწერმა შემოგვინახა ცნობები კონსტანტინოპოლის სხვა მონასტრებზეც — აგიაპანტსა და პილურზე. კონსტანტინოპოლის ეკლესიამონასტერთა ცნობარებში ამ სახელწოდების მქონე მონასტრებს ვერ მივაკვლიეთ. არ იცნობს მათ არც რ. ჟანენის შემოთდასახელებული წიგნი.

აგიაპანტის მონასტერში გადაიწერა ეფთვიძე მთაწმიდელის თარგმნილი მაქსიმე აღმსარებლის თხზულებების კრებული (Q 34). იხ. ზემოთ.<sup>1</sup>

<sup>1</sup> ხელნაწერი უნდა დათარიღდეს 1030-1031 წწ., ვინაიდან ზაქარია ბანელი 1031 წლის შემდეგ არ ჩანს წყაროებში. ყველა შემთხვევაში ხელნაწერის თარიღი 1034 წელს ვერ გადასცდება, ვინაიდან ამ წელს დასრულდა რომანოზის ზეობა.



გადამწერის ანდერძის ცნობის მიხედვით, მონასტერი აგიაპანტი<sup>1</sup> ზაქარია ბანელის საკუთრება ყოფილა. ამაში უცნაური არაფერია, ვინაიდან X-XI სს. კონსტანტინოპოლში ბევრი იყო პატარა-პატარა ქტიტორული მონასტერი, აშენებული თუ შექმნილი ადგილობრივი თუ ჩამოსული სხვადასხვა ეროვნების არისტოკრატებისა და გავლენიანი პირების მიერ. ასე, მაგ.: თორნიკე სვინგელოზს თავისი საკუთარი მონასტრები ჰქონდა: კონსტანტინოპოლში დედათა მონასტერი (ἡ μὲν τῆς Ἰβηρίσσης) და ტრაპიზონში – წმ.ფოკას სახელობისა, რომლებიც თორნიკემ გაუცვალა ბასილ II-ს ათონის მცირე მონასტერსა და მის დომენებში<sup>1</sup>. არ არის ცნობილი, თუ რა დროიდან იყო თორნიკე ამ მონასტრების მფლობელი, ეს მონასტრები მისი აშენებული იყო, თუ იმპერატორების ნაბოძები? ასევე არ არის ცნობილი, თუ რა პირობებში გახდა ზაქარია მამამთავარი აგიაპანტის მფლობელი. ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში გარკვეული ვარაუდისათვის არსებობს საფუძველი.

არისტაკეს ლასტივერტეცის ცნობით, ბასილი II-ის წინააღმდეგ ნიკიფორე ქსიფიასისა და ბარდა ფოკას აჯანყებების დამარცხების შემდეგ, რომელშიც ქართველებიც მონაწილეობდნენ, ბასილი II-მ გიორგი II-ს მოსთხოვა დავით კურაპალატისათვის დროებით ბოძებული მამულების დაბრუნება. გიორგიმ მას უარი შეუთვალა. ბასილმა მასთან მოსალაპარაკებლად და შუამავლად გაგზავნა ზაქარია ბანელი მამამთავარი, იმჟამად ვლასეკერტის ეპისკოპოსი. ზაქარიამ ვერ დაიყოლია გიორგი მეფე ბასილის მოთხოვნათა შესრულებაზე. განრისხებულმა ბასილმა ზაქარია კონსტანტინოპოლში გადაასახლა<sup>2</sup>, საიდანაც იგი ტაოში აღარ დაბრუნებულა. ვფიქრობთ, რომ აგიაპანტის მონასტერი, სადაც გადაიწერა Q-34 ხელნაწერი, ის მონასტერია, რომელსაც კონსტანტინოპოლში თავი შეაფარა ექსორიაქმნილმა ზაქარიამ. საფიქრებელია, ბასილი II-მ კონსტანტინოპოლში ექსორიაქმნილ ზაქარიას აგიაპანტის მონასტერი მუდმივ სამკვიდრებულად მიუჩინა (ე.ი. საკუთრებად დაუმიკვიდრა). კონსტანტინოპოლის ეს მონასტერი ყოფილა ყოველთა წმიდათა სახელობისა, ანუ ბერძნულად აგიაპანტი. ამ სახელწოდების მონასტერს რ. ჟანენის დასახელებულ წიგნში კონსტანტინოპოლის მონასტერთა შორის ვერ მივაკვლიეთ. ამას ართულებს ის

<sup>1</sup> Actes d'Iviron, I, p. 24-25.

<sup>2</sup> არისტაკეს ლასტივერტეცი, ისტორია. ეცავარეშვილის გამოცემა. თბ., 1974, გვ. 51; ემაჭავარიანი, დასახ. წერილი, გვ. 55.

გარემოებაც, რომ ანდერძში მითითებულია მხოლოდ ის, თუ ვისთვისაა მონასტრისა — კონსტანტინოპოლის რომელ რეგიონში იყო იგი მოთავსებული (ადგილის სახელწოდება), აღნიშნული არ არის<sup>1</sup>. საფიქრებელია, რომ მონასტერი მცირე ზომისა იყო და არც თუ სახელმძღვანელო, რაკი ბერძნულ წყაროებში ასახვა ვერ ჰპოვა. ამისდა მიუხედავად, ისევ ქართული წყაროების ცნობების საფუძველზე შეიძლება გამოითქვას ზოგი მოსაზრება ამ მონასტრის შესახებაც. შესაძლებლად მიგვაჩნია ავიაპანტის მონასტერი გავაიგივოთ პილურის მონასტერთან, რომელშიც გადაიწერა 1030 წელს ბასილი ეტრატაჲ მალუმის ძის მიერ ზაქარია მამამთავრის ბრძანებით „მცირე სვინაქსრის“ ხელნაწერი და შეიმკო მაღალი ოსტატობით შესრულებული მრავალრიცხოვანი მინიატურებით (A-648). ამ ხელნაწერის ანდერძში კი, რომელიც ზაქარიას სახელით არის დაწერილი, აღნიშნულია, რომ ხელნაწერი შექმნილია პილურის მონასტერში. იხ. ზემოთ.

ხომ არ არის პილურის მონასტერი, რომლისთვისაც თავი შეუფარებია კონსტანტინოპოლში ექსორიაქმნილ ზაქარიას, იგივე ავიაპანტის მონასტერი, რომელიც მისი საკუთარი მუდმივი თავშესაფარი ყოფილა კონსტანტინოპოლში? ეს ვარაუდი დასაშვებად მიგვაჩნია იმიტომაც, რომ ორივე ხელნაწერი გადაწერილია ბასილი ეტრატაჲს მიერ ზაქარია ბანელის ბრძანებით თითქმის ერთდროულად რომანოზის ზეობაში (Q-34 არა უგვიანეს 1031-1034 წლებისა, ხოლო A-648 ხელნაწერი — 1030 წელს).

უნდა ვიფიქროთ, რომ პირველ შემთხვევაში (Q-34) ზაქარია ბანელმა მონასტერი მხოლოდ სახელწოდებით მოიხსენია (ყოველთაა წმიდათა ანუ ავიაპანტის სახელმძღვანელო), ხოლო მეორე შემთხვევაში (A-648) მისი ადგილმდებარეობის მიხედვით — პილური. მაგრამ რაჟანენტან ვერც პილური ვნახეთ. საფიქრებელია, ეს პატარა მონასტერი დიდი ხანია აღზოცილია პირისაგან მიწისა. და არც თავის დროზე იყო დიდად ცნობილი. ალბათ, ეს იყო ჩვეულებრივი პატარა მონასტერი, რომლის მსგავსი ბევრი იყო ბიზანტიის დედაქალაქში<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ჩვეულებრივ კონსტანტინოპოლის მონასტრებზე (განსაკუთრებით მცირე ზომის) წყაროებში მოითითებენ ერთდროულად მათი ადგილმდებარეობით და სახელწოდებით.

<sup>2</sup> აქვე უნდა შევნიშნოთ, რაჟანენტანის ზემოთ დასახელებული წიგნის დამატებაში, რომელიც შეიცავს მსოფლიო საეკლესიო კრებების წარმომადგენელთა ნუსხებს, ნიკეის 787 წლის საეკლესიო კრების დელეგატთა შორის მოხსენებულია თომა, დელეგატი წმიდა





განურჩევლად იმისა, ჩავთვლით თუ არა მართებულად ვარაუდს აგიაპანტისა და პილურის იდენტურობის შესახებ, დგება ერთი საკითხი, თუ რამდენად შესაძლებელი იყო, უმაღლესი პროფესიონალიზმის მქონე ბერძენი მხატვრების მიერ „მცირე სვინაქსრის“ მინიატურები აგიაპანტის ან პილურის პატარა მონასტერში შესრულებულიყო?

დღეს სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილად უნდა მივიჩნიოთ, რომ „მცირე სვინაქსრის“ მინიატურები შესრულებულია რამდენიმე ბერძნული მოხატული მოდელის მიხედვით ბერძენი მაღალი რანგის ხელოვან-მხატვრების მიერ<sup>1</sup>, რომ სვინაქსრის მინიატურები ოსტატობის მაღალი დონით შეიძლება გვერდით დავუყენოთ X-XI სს. ისეთ ბრწყინვალე მოხატულ ხელნაწერს, როგორც არის ვატიკანის მენოლოგი<sup>2</sup>. ეს კი იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ხელნაწერი ბასილის მიერ უნდა გადაწერილიყო პილურის მონასტერში, ხოლო უნდა მოხატულიყო ბერძენი ოსტატების მიერ კონსტანტინოპოლის რომელიმე ცნობილ სამხატვრო სახელოსნოში, შესაძლებელია, საიმპერატორო სახელოსნოშიც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოქროზე შესრულებული მხატვრობის საფასური, რომელიც უნდა გადაეხადა ხელნაწერთა მომგებელს, ზაქარია მამამთავარს, ძალიან მაღალი იქნებოდა.

XI საუკუნის კონსტანტინოპოლის სამხატვრო სახელოსნოების შესახებ ცოტა რამ არის ცნობილი. გვინდა წამოვაყენოთ კიდევ ერთი ვარაუდი იმის შესახებ, თუ სად შეიძლება მოხატულიყო „მცირე სვინაქსარი“ (A-648). შესაძლებლად მიგვაჩნია ხორას მონასტერში ვიგულთ ძლიერი სამხატვრო სახელოსნო, სადაც შეიძლებოდა მოხატულიყო მაღალი პროფესიონალი მხატვრების მიერ „მცირე სვინაქსარი“. ამ ვარაუდის საფუძველს გვაძლევს ბასილი მალუმის ძის მიერ 1031 წელს ხორაში გადაწერილი და მოხატული „მცირე სჯულისკანონი“ (A-

ლეთისმშობლის პურღოს მონასტრისა (τῆς ἀγίας θεοτόκου του πυργου). შეიძლება ვეფვიქრა, რომ პილური დამახინჯებული ფორმაა პურღოსი, მაგრამ ამას ეწინააღმდეგება ის გარემოება, რომ პურღოსი - ლეთისმშობლის სახელობისაა, ხოლო პილური უნდა ყოფილიყო ყოველთა წმიდათა სახელობისა. პურღოს ადგილმდებარეობა ეანენისათვის უცნობია, ხოლო თ.უსპენსკი ბიზანტიის ისტორიის III ტომში ასყენებს გამაგრებულ ადგილს პურგოს კონსტანტინოპოლიდან ადრიანოპოლის გზაზე (გვ. 739).

<sup>1</sup> Г.Алибегашвили, Художественный принцип иллюстрирования грузинской книги XI-XII вв. Тбилиси, 1973, с. 13, 58, 71-72.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 73.



96)<sup>1</sup>. ეს ფაქტი იმას მოწმობს, რომ XI საუკუნის პირველ ნახევარში ხორას მონასტერში იყო არა მარტო სკრიპტორიუმი, სადაც ბერძნებთან ერთად ქართველებიც მოღვაწეობდნენ, არამედ ძლიერი სამხატვრო სახელოსნოც, სადაც მოღვაწეობდნენ ბერძენი პროფესიონალი მხატვრები და აგრეთვე ბასილი მალუმის ძეც, პროფესიონალი ქართველი კალიგრაფი და მხატვარი, და, ალბათ, არა მარტო ბასილი.

ეს ვარაუდი შეიძლება ზედმეტად თამამი მოგვეჩვენოს იმის გამოც, რომ ბერძულ წყაროებს თითქმის არავითარი ცნობა არ შემოუნახავთ ამ პერიოდში ხორას მონასტრის ფუნქციონირების შესახებ.

\* \* \*

რაკი შევეხეთ კონსტანტინოპოლის იმ მონასტრებს, რომელთა სკრიპტორიუმებსა და სახელოსნოებში ქართველები ქმნიდნენ ქართულ ხელნაწერებს, საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ შევეხოთ კონსტანტინოპოლის შემოგარენში IX საუკუნეში აშენებულ პრომანას ქართულ მონასტერსაც.

ცნობები პრომანას აშენების შესახებ დაუცავს ილარიონ ქართველის (822-875) „ცხოვრების“ ძველ რედაქციებს<sup>2</sup>. ბასილ მაკედონელმა სახელმძღვანელო მოღვაწის ილარიონ ქართველის თესალონიკეში გარდაცვალების შემდეგ განიზრახა ოლიმპოს მთაზე მოღვაწე მისი მოწა-

<sup>1</sup> ბასილი ეტრატაძე მალუმის ძე რომ დახელოვნებული იყო ხელნაწერების მოხატვაში, ამას ადასტურებს ათონზე გადაწერილი გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემოთავანხილული ხელნაწერი (A-92). ამ ხელნაწერის გადაწერაში მონაწილეობას იღებდა სამი მწიგნობარი - დასაწყისი ნაწილი გადაწერა ზაქარია მირდატის ძემ, შუა ნაწილი - არსენმა, ხოლო ბოლო ნაწილი ბასილი მალუმის ძემ. ბასილისეულ გადანაწერში გვხვდება ფერებში შესრულებული თავსამკაულები და საზუღაო ასოები. ზაქარია მირდატის ძის გადაწერილი დასაწყისი ნაწილის ერთ-ერთ მინაწერში, რომელიც მიმართულია მომხატველისადმი, ვკითხულობთ: „თავები დამიტოვებია, ოქრომთა დასვი“. ცხადია, ზაქარია მირდატის ძის მიმართვა ბასილს ქებობდა (იხ. თბრევაძე, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 82, შენ. 2<sup>ა</sup>). ამ მინაწერს პირველმა მიაქცია ყურადღება და შეაფასა ემაჭავარიანმა. იხ.: გადაწერსა და მხატვარს შორის შრომის განაწილების საკითხისათვის ხელნაწერი წიგნის მხატვრული კომპოზიციის შექმნის დროს. - მრავალთავი, IV, თბ., 1975, გვ. 26-27.

<sup>2</sup> მდოლაქიძე, ილარიონ ქართველის ცხოვრების ძველი რედაქციები. თბ., 1974, გვ. 148-153; ლმენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კვრები, ტ. II, 1980, გვ. 183-185; R.Janin, La géographie... Part. I, t.III, pp. 256-257.



ფეებისათვის აეშენებინა მონასტერი კონსტანტინოპოლის მახლობლად მონასტრისათვის ადგილის შერჩევა მათვე მიანდო. ბერებმა შეარჩიეს ადგილი კონსტანტინოპოლის გარეთ სოსთენის (სტენიას) მთავარანგელოზის ეკლესიის მახლობლად ტყიანსა და ვაკე ადგილას ლელეში, რომელსაც რომანა ეწოდებოდა. ამ დროიდან რომანა მოქმედებს როგორც ქართული მონასტერი. მაგრამ რაჟანენი ილარიონის „ცხორების“ ცნობების ჭეშმარიტებაში ბოლომდე არ არის დარწმუნებული, ვინაიდან, ბერძნულ წყაროებში პრომანას არსებობის შესახებ არაფერი ეგულება, თუმცა მისთვის კარგად არის ცნობილი, რომ რუსმა მოგზაურმა ანტონ ნოვგოროდელმა 1200 წელს მოიხილა რომანას ქართული მონასტერი, სადაც წმილარიონისა და სხვა წმიდათა ნაწილები იყო დაცული<sup>2</sup>.

ცხადია, რაჟანენისათვის არ არის ცნობილი XI და XII სს. მიწურულში რომანას ქართველთა მონასტერში გადაწერილი ორი ქართული ხელნაწერი, რომელთა ანდერძებმა საინტერესო ცნობები შემოგვინახეს თვით მონასტრის შესახებაც (A-134, A-1335).

ხელნაწერი A-134 შეიცავს ეფთვიმე მთაწმიდელის თარგმანებს, თარიღდება 1066 წლით. ხელნაწერის ანდერძში ვკითხულობთ: „მადლითა და შეწვენითა წმიდისა მამისა ჩუენისა ილარიუნისითა (!) მეუღირსი გლახაკი პრომანაელი მამაჲ გელასი, ჩემსა წინამძღურობასა ღირს ვიქმენ აღწერებად (!) წმიდასა ამას და სულთა განმანათლებელსა კლემასქსსსა და ცხორებასა წმიდისა და მოციქულთა სწორისა ბაგრატისა სადიდებელად და სალოცველად ღმრთივ დაცეულისა და ძლიერისა აფხაზთა და ქართველთა მეფისა ბაგრატისთჳს და ძისა მათისა გეორგი კურაპალატისთჳს... და სალოცველად სულისა ჩემისა და მშობელთა ჩემთათჳს და ყოველთა მამათა, ძმათა პრომანაელთათჳს.

დაიწერა ველითა სომეონ (!) დვალისაჲთა, სოხასტერსა შინა პრომანასასა, ანა-წმიდას, მეფობასა დოკისასა, მას ჟამსა, ოდეს ბაგრატის ასული მართა სამეფოს იყო, ქრონიკონსა სჳჲ“ (1066 წ.) (296r-v).

ანდერძის გაგრძელებიდან ვგებულობთ, რომ გადაწერეს სჳმეონ დვალს მის მიერ პრომანას სოხასტერში გადაწერილი ეს წიგნი დაუდგია პრომანას ეკლესიაში<sup>3</sup>.

<sup>1</sup> R.Janin, დასახ. წიგნი, გვ. 257, იხ. წიგნში ჩადებული ზოსფორის რუკა.

<sup>2</sup> იქვე

<sup>3</sup> ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A კოლექცია), ტ. 12, თბ., 1976, გვ. 153.



აქ პირველ რიგში აღსანიშნავია ის, რომ ამ დროს რომანული მონასტერია<sup>1</sup>, რომელსაც ჰყავს ქართველი წინამძღვარი „გლახაკი ჰრომანელი მამა გელასი“, რომელმაც თავისი წინამძღვრობის დროს გადააწერინა ეს კრებული რომანაწმიდის სოხასტერში სვმეონ დვალს და დადვა იგი რომანას ეკლესიაშივე. ანდერძში გელასი წინამძღვარი წყევლასა და შერვენებას უთვლის ყველას, ვინც ხელნაწერს პარვით, თხონებით თუ მძლავრობით რომანას ეკლესიიდან გაიტანს.

სავარაუდოა, რომ რომანასთვის ეს ხელნაწერი ერთადერთი არ იყო და რომ ეკლესიის ქართული მრევლი ამრავლებდა ქართულ ხელნაწერებს და იცავდა მათ დატაცებისაგან. გამრავლება წიგნებისა ხდებოდა ჰრომანას სოხასტერში<sup>2</sup>, სადაც ხელნაწერი წიგნის შექმნის ხელოვნებას დაუფლებული განსწავლული ბერები მოღვაწეობდნენ.

ასეთი სოხასტერები (სენაკები) მიუვალ მთებსა და უდაბნოებში ათონის თითქმის ყველა დიდ მონასტერს ჰქონდა. განმხოლოების ჟამს თავის სოხასტერებში (დუმილის ადგილებსა, ჰისინასტერიონებში, სადაყუდებულოებში, ἰσχυαστήριον) ისაღურებდნენ ათანასე ლავრელი, ეფთვიმე ათონელი. სოხასტერებში მყოფობასა და განმხოლოებაში ეწეოდნენ მწიგნობრულ მოღვაწეობას გამორჩეული მარტომყოფი ბერები. ასე, მაგ.: ათონის ქართველთა მონასტრის გალაგნის გარეთ ცხოვრობდნენ იოვანე ქართველის მიერ პონტოს უდაბნოდან ათონის ქართველთა მონასტერში მიწვეული ცნობილი ქართველი მწიგნობარი ბერები — არსენ ნინოწმიდელი და იოვანე გრძელისძე. მონასტრის საკრებულომ ისინი „სულიერად და ჯორციელად ნებისაებრ მათისა აღაშენნეს და უდაბნოსა ადგილსა სენაკები უშენეს და ღმრთისა სათნოათა მოქალაქობითა ცხოვნდებოდეს“ („ცხოვრება“ § 37, 2). ამ ორ სახელოვან ბერს თავისი მიმბაძველებიც ჰყოლია: „სხუანი მობაძავნი მათნი, კაცნი ზეგარდამოათა მადლითა განათლებულნი და ანგელოსთა მობაძავნი ცხოვრებითა“ (§ 104, 1). მარტომყოფელ ბერთა ამ გამორჩეულ ჯგუფს ეფთვიმე შემდეგნაირად ახასიათებდა: „უკუანამსკნელთა ამათ ჟამთა არღარა

<sup>1</sup> ცნობილია, რომ საზღვარგარეთ არსებული ბევრი ქართული მონასტერი (მსგავსად იერუსალიმის ჯვრის მონასტრისა და ათონის ქართველთა მონასტრისა), ადრევე დაკარგეს ქართველებმა და ისინი სხვათა საკუთრებად (ბერძენთა, სომეხთა, თურქთა) იქცნენ.

<sup>2</sup> აქვე მინდა შევნიშნო, რომ ზოგი მეცნიერი სოხასტერს დამოუკიდებელი ქართული მონასტრის სახელწოდებად მიიჩნევს: იხ. В.Н. Лазарев, История византийской живописи. Т. I. 1947, с. 102. ამ შეცდომას სხვებიც იმეორებენ.



გამოჩინებად არიან ესევეთარნი სრულნი და მალაღნი სათნოებეთა, რამეთუ არარაჲ იყო სათნოებაჲ, რომელიმცა არა აქუნდა მათ სრულად ბით და მალაღად და უცთომელად“ (§ 104, 13).

მარტომყოფელი ბერების სენაკების<sup>1</sup> ადგილმდებარეობაზე, ჩვეულებრივ, იმ მიწისა თუ ადგილის სახელწოდებით მიანიშნებდნენ, სადაც აშენებული იყო სენაკები. „ცხოვრიდან“ ვგებულობთ, რომ არსენ ნინოწმიდელისა და იოვანე გრძელისძის სენაკები ქართველთა მონასტრის ერთ-ერთ დომენში იყო აშენებული, რომელსაც კარაბა<sup>2</sup> ერქვა, და რომელიც სვიმეონ მოხუცებულის ტაძრის მახლობლად მდებარეობდა: „განწმედილნი იგი და შრომითა განკაფულნი გუამნი მათნი დაისხნეს საფლავსა შინა წინაშე ტაძარსა წმიდისა სვიმეონ მოხუცებულისასა, ერთსა შინა სამარხვოსა, მახლობელად თუსთავე მათ მოღუაწევისა სენაკთა, რომელ არიან კარავათ“ (§ 104, 14). ამის ანალოგიით შეიძლება დაგუშვათ, რომ ჰრომანას სოხასტერი მდებარეობდა ჰრომანას მახლობლად ანაწმიდის მიწაზე, რომელიც, ალბათ, ჰრომანას დომენს წარმოადგენდა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ათონის მეუღაბნოე მწიგნობრებიც ხელნაწერთა გადაწერასა და შემზადებას სოხასტერებშიც ეწეოდნენ. ასე მოაშზადეს თავის სოხასტერში ეფთვიმეს ზეობაში არსენ მამამთავარმა და იოვანე გრძელისძემ „მათთა მობაძავთა“ თანა ეფთვიმეს თარგმანთა კრებული (A-1103).

ანალოგიური ვითარება იყო ჰრომანაში. ჰრომანას მონასტერი, როგორც ჩანს, კონსტანტინოპოლის ქართული კულტურის ერთ-ერთი მძლავრი ცენტრი იყო. ამას ისიც ადასტურებს, რომ ხელნაწერების გადაწერა აქ არც XII-XIII სს. შეწყვეტილა. ამ დროს შეიქმნა იქ ერთ-ერთი ბრწყინვალე ნიმუში ქართული წიგნის ხელოვნებისა — ვანის სამეფო ოთხთავი (A-1335), ოქრომელნით ნაწერი, ფერადი თავსამკაულეებით, კანონებითა და მინიატურებით შემკული, და განკუთვნილი თამარ მეფისათვის. ცხადია, სამეფო დანიშნულების ოთხთავი უნდა შემზადებულიყო მხოლოდ სახელგანთქმულ სკრიპტორიუმში, ცნობილი მწიგნობარ-კალიგრაფებისა და მომხატველების ერთობლივი ძალისხმევით.

<sup>1</sup> სოხასტერის ქართული შესატყვისია სენაკი. იქ მცხოვრებ მარტომყოფელებს ეწოდებოდათ მესენაკენი ანუ მესენაენი. იხ. „ცხოვრების“ ლექსიკონი.  
<sup>2</sup> ე. ლეფვორმა გაარკვია, რომ Караба ათონის ქართველთა მონასტრის დომენი იყო. იხ. Actes d'Iviron, I, p.34; იქვე, გვ. 71, დომენების რუკა (fig. 4).  
<sup>3</sup> საქართველოს სახ.მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა (A კოლექცია), IV, შეადგინა ქრისტინე შარაშიძემ. თბ., 1954, გვ. 409.

წარმართავდა ამ სამუშაოს თამარის მლოცველი იოანე პირველი პირით დაწერილ ხელნაწერის ანდერძში, რომელიც შესრულებულია საოცარი სინატიფისა და სილამაზის კლასიკური მდივანმწიგნობრულით, ვკითხულობთ: „ესე სახარებაჲ მე, იოვანე უღირსმან საპყარმან და მლოცველმან წმიდის დედუფლის თამარისმან ვიოფლე წერთ ქალაქსა შინა კოსტანტინეპოლს. ლოცვა ყავთ ყოველთა“<sup>1</sup>.

ამ ანდერძის ზემოთ მოთავსებული ბერძნული და ქართული წარწერებიდან ვგებულობთ ვანის კოდექსის ბერძენი მომხატველის სახელს: „ოქროთი მოიწერა ეს წიგნი მიქაელ ოქროთმწერლის კორესელის მიერ“<sup>2</sup>. შესაძლოა, მიქაელ კორესელი როგორც ოქრომწერალი მიწვეულ იქნა რომანას მონასტერში, ან ეს კოდექსი მან მოხატა კონსტანტინოპოლის რომელიმე სამხატვრო სახელოსნოში<sup>3</sup>.

საკითხი, თუ სად მოხატა მიქაელ კორესელმა ვანის ოთხთავი, ცალკე შესწავლას თხოულობს ხელოვნებათმცოდნეთა მიერ. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხის გარკვევას ართულებს ის, რომ დღესდღეობით სათანადოდ შესწავლილი არ არის არც ბიზანტიური სკრიპტორიუმები და არც წიგნის მხატვრული სახელოსნოები, მით უმეტეს ამ სახელოსნოების სამხატვრო სკოლები და მათი მხატვრულ-სტილისტური თავისებურებები.

იოვანე საპყარის მეორე ვრცელი ანდერძიდან კი ვგებულობთ, რომ ის მხოლოდ წერთ არ გარჯილა („უოფლია“), მას ხანგრძლივად უძებნია სანდო დედანი. ის დიდი სიფრთხილით არჩევს დედანს. მან კარგად იცის სახარების ქართულ ენაზე თარგმნის ისტორია და განსხვავებული რედაქციების არსებობა. ყველაზე სრულყოფილ თარგმანად მას გიორგი მთაწმიდელის თარგმანი („ქართული ვულგატა“) მიაჩნია. ის ცდილობს მოიპოვოს ამ თარგმანის უკანასკნელი რედაქციის ავტოგრაფი, რომელიც როგორც საკონტროლო ნუსხა ათონის ქართველთა მონასტრის დიდ ეკლესიაში იყო დაცული<sup>4</sup>. იოვანე საპყარს მოუპოვებია გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფის პირი და გამოუყ-

<sup>1</sup> ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A კოდექსი), IV, 1954, გვ. 409.

<sup>2</sup> თ. ყაუშიშვილი, ზოგი ქართული ხელნაწერის ბერძნული მინაწერები. - მიმოხილველი, II, თბ., 1951, გვ. 455.

<sup>3</sup> ე. მაჭავარიანი, ვანის ოთხთავის დეკორატიული მორთულობა. - ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, II, 1960, გვ. 143.

<sup>4</sup> ც. ჯანკიცი, ვანის, ლაბსყალდისა და ჟმიაძინის ოთხთავთა მიმართებისათვის. - მრავალთავი, IV, 1975, გვ. 5-14.



ენებია იგი ვანის ოთხთავის დედნად. გადასაწერი ხელნაწერის დედანთაშორის იოვანე საპყარის დამოკიდებულებაში კარგად ჩანს გამოცდილი მწიგნობარ-ფილოლოგის პროფესიული ჩვევები.

ამ რანგის მწიგნობარ-კალიგრაფის მოღვაწეობა ჰრომანას მონასტერში მიუთითებს ქართული მწიგნობრობის, კალიგრაფიისა და წიგნის ხელოვნების განვითარების ხანგრძლივ ტრადიციაზე, რომელმაც უმაღლეს დონეს მიაღწია XII-XIII საუკუნეებში.

**დასკვნის მაგიერ:**

იმ ზუსტი მითითებების საფუძველზე, რომლებსაც გვაწვდიან ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ ძველი ქართული რედაქციები ჰრომანას ადგილმდებარეობისა და მშენებლობის შესახებ, იმ ცნობების გათვალისწინებითაც, რომლებიც დაუცავს A-134 ხელნაწერის ანდერძს ჰრომანასთან ახლომდებარე სოხასტერის შესახებ ანაწმიდას, ვფიქრობთ, ალღოიან არქეოლოგს არ უნდა გაუჭირდეს ჰრომანასა და მისი სოხასტერის ნანგრევების მიგნება კონსტანტინოპოლის შემოგარენში, სტენიას მახლობლად.

სვინაქსრის (A 648) ანდერძის პირველი ნაწილი ფაქტიურად წარმოადგენს ზაქარიას მზრდელისა და შემოქმედის დავით კურაპალატის, ზაქარიას მოძღვრების, მშობლებისა და ნათესაების მოსახსენებლებს. ანდერძის მეორე ნაწილი დათმობილი აქვს ცნობებს სვინაქსრის ხელნაწერის გადაწერის ადგილისა და თარიღის შესახებ (1030 წ.): „დაიწერა ქალაქსა შინა დიდსა კოსტანტინოპოლის, ახალსა ჰრომსა, დასაბამითგანთა წელთა ვითარ ბერძენნი ითუალვენ, ხფლჳ, ინდიქტიონსა ივ, ქართველთა ქრონიკონსა სნ (1030 წ.), მეფობასა ჰრომანოზისსა, პატრიაქობასა ალექსისსა და ჩემსა მწირობასა პილურის მონასტერსა, ველითა შვილისა ჩემისა ბასილი ეტრატაჲსითა. ქრისტემან სასყიდელი შრომისა მისისაჲ მიანიჭენ“ (A 648, 72r).

ანდერძში არაფერია ნათქვამი ზაქარიას მოღვაწეობისა და მისი მღელვარე ცხოვრების პერიპეტეიებზე. მხოლოდ ფრანზა: „ჩემსა მწირობასა პილურის მონასტერსა“ მიგვანიშნებს, რომ ის თავისი ნებით არ იყო შეხიზნული კონსტანტინოპოლის პილურის მონასტერში, რითაც მინიშნებულია 1022 წელს ბასილი II-ის მიერ ზაქარიას ტაოდან კონსტანტინოპოლში გაძევების ფაქტი.

სანამ ზაქარიას მოღვაწეობის შესახებ არსებული მცირეოდენი ცნობების განხილვაზე გადავიდოდეთ, შევაჯამოთ ანდერძის საფუძველზე მიღებული მონაცემები:

ზაქარიას ანდერძი შეიცავს X საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის ცნობებს: ზაქარია თავის „მზრდელად“ და „შემოქმედად“ ასახელებს დავით კურაპალატს, რაც იმას მოწმობს, რომ ზაქარიას მშობლები მაღალი არისტოკრატიის წრეს ეკუთვნოდნენ და დავით კურაპალატის დაახლოებული პირები იყვნენ. ჩვენი ვარაუდით, ზაქარია დაფინანსდებოდა გვარის წარმომადგენელი იყო. ამასვე ქვემოთ. ჩანს, ზაქარიას თავიდანვე სასულიერო კარიერისათვის ამზადდებდნენ. სავსებით შესაძლებელია, რომ

<sup>1</sup> „მზრდელი და შემოქმედი“, ჩანს, გავრცელებული გამოთქმაა იმ დროისათვის. თავის „გამზრდელსა და შემოქმედს“ უწოდებს მელქისედეკ კათალიკოსს მისი მწიროვლი იოანე მელქისედეკის მოძღვენი კათალიკოსი (იხ. ნ. ბერძენიშვილი, მცხეთის საბუთი XI საუკუნისა. - საქართველოს ისტორიის საკითხები, IV, თბ., 1967, გვ. 286).





ის მორჩილად, ჯერ კიდევ ყრმა, მიიყვანეს ოთხთა ეკლესიაში<sup>1</sup> X საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, სადაც იგი დაემოწაფა არსენ მამამთავარს<sup>2</sup>, რაზედაც ვრცლად საუბარი ქვემოთ იქნება. არსენმა X საუკუნის მიწურულამდე დაყო მონასტერში, რის შემდეგ მან და მისმა სულიერმა ძმამ იოვანე გრძელისძემ დატოვეს ოთხთა ეკლესია და პონტოს უდაბნოს მიმართეს. იქ მიიღეს მათ იოვანე ქართველისაგან ათონზე მიწვევა. დაახლოებით 1001-2 წლებიდან ისინი ათონის ქართველთა მონასტრის სოხასტერში ცხოვრობენ და ეფთვიმეს უახლოესი პირები და მრჩეველები არიან.

საფიქრებელია, რომ არსენის წასვლის შემდეგ არც ზაქარია დარჩენილა დიდხანს ოთხთა ეკლესიაში. ის შეუდგა მღვდელმსახურებას, მაგრამ სად და როდის, ამის შესახებ ცნობები არ გავაჩნია. ერთადერთი პირდაპირი ცნობა ზაქარიას შესახებ შემოგვინახა X-XI საუკუნეების მიჯნის ქუთაისის ხელნაწერმა №176, სადაც ანდერძში ხელნაწერის მომგებლად მამამთავართა მთავარი ზაქარია არის მოხსენებული. ვფიქრობთ, ემაჭავარიანი სამართლიანად აიგივებს ამ ზაქარიას ზაქარია ბანელთან<sup>3</sup>. როგორც ჩანს, გაორმაგებული წოდებები (მამამთავართა მთავარი, მამათა მამა — ასე მოიხსენიება გიორგი მთაწმიდელი A-584-ის ანდერძში) საგანგებო პატივის აღმნიშვნელი ფორმებია. მამამთავართა მთავარი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ ბანელი, ვინაიდან ბანა ითვლებოდა სამეფო კარის ყველაზე დიდ და გავლენიან საეპისკოპოსო ეპარქიად. ასევე ბანელი მამამთავარი უნდა ყოფილიყო ზაქარიას ანდერძში მის ნათესავთა შორის მოხსენებული ასათი, რომელიც ანდერძში პატრიარქად არის წოდებული (იხ. ქვემოთ).

ბანელი მამამთავარის წოდება ზაქარიამ სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა.

<sup>1</sup> ოთხთა ეკლესია თავისი სემინარიით ერთ-ერთი ყველაზე სახელმძღვანელო მონასტერი იყო, სადაც თავს იყრიდნენ იმდროინდელი მაღალი საზოგადოების წარმომადგენლები. იხ. ეთაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში. თბ., 1960, გვ. 78.

<sup>2</sup> არსენ მამამთავარი იგივე არსენ ნინოწმიდელია, რომელიც წყაროებში არსენ მამამთავარდაც იწოდება. იხ. აქვე წერილი: იოვანე და ეფთვიმე ათონელებისადმი მიძღვნილი „სამახსოვრო წიგნები“.

<sup>3</sup> ე. მაჭავარიანი, ათონის ივერთა მონასტერი და X-XI სს. ქართული მონასტრული წიგნი. საბჭოთა ხელოვნება, 1980, №11, გვ. 56.



ჩანს, ბანელობის დროს ზაქარიამ იმპერატორისაგან დაიმსახურა სასულიერო პირისათვის უმაღლესი პატივი სვინგელოზობა<sup>1</sup>. მისი შემდგომი ურთიერთობა ბასილი II-სთან გვაფიქრებინებს, რომ ზაქარია იმპერატორთან დაახლოებული პირი იყო.

წერილობითი წყაროების თანახმად, ზაქარია ვალაშკერტელი ტაოს პოლიტიკური ცხოვრების ასპარეზზე 1022 წელს გამოჩნდა, იმ დროს, როდესაც მოლაპარაკება წარმოებდა ბასიანში დაბანაკებულ ბასილი II-სა და გიორგი I-ს შორის იმის თაობაზე, რომ გიორგის ბასილისათვის გადაეცა დაეთ კურაპალატისათვის დროებით მიცემული მიწები, რომლებიც დავითის გარდაცვალების შემდეგ ბიზანტიის იმპერატორს უნდა დაბრუნებოდა.

შეთანხმება მათ შორის უკვე მიღწეული იყო, როდესაც ბასილს ამცნეს ნიკიფორე ფოკასა და ქსიფეს აჯანყების ამბავი. ამ ცნობამ ბასილის ყურადღება აჯანყებაზე გადაიტანა. გადაიდო ბასილისა და გიორგის შეთანხმების განხორციელება. შექმნილმა გარემოებამ გიორგი I-ს გადააწყვეტინა, უარი ეთქვა პირობის შესრულებაზე<sup>2</sup>.

იმპერატორის წინააღმდეგ ფოკასა და ქსიფეს აჯანყებისათვის სამზადისი გიორგი I-სათვის, ისევე როგორც მისი მოკავშირე სომხეთის სამეფო-სამთავროებისათვის, ჩანს, კარგად ყოფილა ცნობილი. მეტიც, ბასილთან მოლაპარაკების დროს გიორგი ერთდროულად კავშირს ამყარებდა აჯანყებულებთან. აჯანყებაში მონაწილეობდნენ ქართველებიც<sup>3</sup>. გიორგი დიდ იმედებს ამყარებდა აჯანყებაზე. ამ გზით ფიქრობდა იგი, დაედწია თავი ბასილის მოთხოვნებისათვის. მაგრამ მისი იმედები არ გამართლდა — აჯანყება დამარცხდა. ნათელი გახდა ქართველების მონაწილეობა ამ აჯანყებაში და გიორგის მხარდაჭერა აჯანყებულებისადმი. მას შემდეგ, რაც სასტიკად გაუსწორდა აჯანყებულებს, ბასილი

<sup>1</sup> ზაქარიამ რომ სვინგელოზის პატივი ბანას მამამთავრობის დროს მიიღო, ეს იქიდანაც ჩანს, რომ მის მიერ მოგებულ ხელნაწერთა ანდერძებში იგი ხშირად მოიხსენიება, როგორც ბანელი სვინგელოზი, ვალაშკერტელის გარეშე სურათი ასეთია: A-92 ხელნაწერში იგი მოიხსენიება როგორც ზაქარია მამამთავარი, A-1-ში - ზაქარია მამამთავარი ბანელი სვინგელოზი, S-143-ში - ზაქარია მამამთავარი, ზაქარია მამამთავარი ვალაშკერტელი, A-648-ში - ზაქარია იბერიელი (შდრ. ემაჭავარიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 56).

<sup>2</sup> ვკოპალიანი, საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში. თბ., 1969, გვ. 108-109.

<sup>3</sup> იქვე.



კეისარი კვლავ დაბრუნდა ბასიანში და ისევ დადგა დავით პალატისათვის მიცემული მიწების ბასილისთვის დაბრუნების საკითხი.

არისტაკეს ლასტივერტეცი ვრცლად მოგვითხრობს ბასილი II-ის ლაშქრობის ისტორიას.

არისტაკესის ცნობები კარგად წარმოადგენს ზაქარია ბანელ-ვალაშეკრტელის ცნოვრების ერთ მეტად დრამატულ ეპიზოდს და საინტერესო მასალას გვაწვდის ზაქარიას პიროვნებისა და მისი მოღვაწეობის გახსნისათვის.

პირველ რიგში ყურადღებას იქცევს ის ნდობა, რომელსაც ბასილი უცხადებდა ზაქარია ვალაშეკრტელს. ზაქარიამ ორჯერ შეაჩერა ბასილი გიორგი I-ის წინააღმდეგ ვალაშქრებისაგან, რაც დამლუპველი იქნებოდა ტაოსათვის. მას ორჯერვე მშვიდობიანად სურდა კონფლიქტის მოგვარება. რა თქმა უნდა, ზაქარია ტაოს გადარჩენისათვის იღვწოდა. როდესაც მისი მეორე შუამავლობა ასევე მარცხით დამთავრდა, მხოლოდ მაშინ მიხვდა ბასილი, რომ ზაქარიას ერთგულება მოჩვენებითი იყო და რომ მისი დიპლომატია გიორგი I-ის ინტერესებს ემსახურებოდა. განრისხებულმა იმპერატორმა ზაქარია სამაგალითოდ დასაჯა: როგორც არასანდო პირი გააძევა ტაოდან და საცხოვრებლად კონსტანტინოპოლს გააწესა<sup>2</sup>.

არისტაკესის ცნობით, რასაც ქართული წერილობითი წყაროებიც ადასტურებენ, ზაქარია ტაოში აღარ დაბრუნებულა. ის კონსტანტინოპოლში გარდაიცვალა. არისტაკესის ცნობა, რომ ზაქარიასთვის, არასასურველი შუამავლობის გამო, კონსტანტინოპოლისკენ მიმავალ მის გამყოლებს ბასილი II-ის ბრძანებით ენა უნდა ამოეგლიჯათ, ქართული წყაროებით არ დასტურდება. არაფერია ნათქვამი ამის შესახებ მისი მომგებლობით გადაწერილ ხელნაწერთა ანდერძებში, მცირე სეი-

<sup>1</sup> არისტაკეს ლასტივერტეცი, ისტორია. ქართული თარგმანი გამოკვლევით, კომენტარებით და საძიებლებით გამოსცა ეცაგარიეშილმა. თბ., 1974, გვ. 45, 51; შდრ. Н. Ломоури, К истории восстания Варды Склира. — ისუ შრომები, ტ. 67, 1957, გვ. 35-37; შ. ზადრიძე, საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასა და დასავლეთ ევროპასთან. თბ., 1984, გვ. 42.

<sup>2</sup> ურჩ ქართველთა ტაოდან გაძევების პრაქტიკა ჩვეული ტაქტიკური სელა იყო ბასილისათვის: 1001 წელს დავით კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ ტაოში ჩასულმა ბასილმა რეგიონში წესრიგის დამყარების მიზნით მისთვის არასანდო პირები — ბაკურიანი, ძმები თევდატი და ჯოჯიკ ჯოჯიკის ძენი გააძევა ტაოდან და მათაც საცხოვრებელ ადგილად კონსტანტინოპოლი მიუჩინა.



ნაქსარზე დართულ ვრცელ ავტოგრაფულ ანდერძსა და ასევე ავტოგრაფიული ხასიათის ბერძნულ ლექსში. გაკვირვებას იწვევს თოდ ბასილსა და ზაქარიას შორის მომხდარი ინციდენტის შესახებ სრული დუმილი მისი ინიციატივითა და მონაწილეობით შექმნილ ხელნაწერთა ანდერძებშიც. ზაქარია ბანელი არც ბასილი II-ის გარდაცვალების შემდეგ დაბრუნებულა ტაოში. ის სიცოცხლის ბოლომდე დარჩა კონსტანტინოპოლში; ატარებდა ბანელი მამამთავრისა და ვალაშკერტელის ტიტულს. როგორც ზემოთ ითქვა, ბანელობის წლებში მიიღო ზაქარიამ საიმპერატორო პატივი — სვინგელოზობა.

\* \* \*

ე. მაჭავარიანის ზემოთგანხილულ წერილში წარმოდგენილია ზაქარია ბანელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ზოგადი მონახაზი ავტორის მიერ მოპოვებული და გამოქვეყნებული ახალი მასალის საფუძველზე<sup>1</sup>. ესენია: ქუთაისის ხელნაწერის (K-176) ანდერძი და მცირე სვინაქსრის (A-648) მომგებლის ზაქარია ბანელის ანდერძი, დაწერილი ბასილი მალუშის ძის ხელით. ეს მრავალმხრივ საინტერესო და მნიშვნელოვანი ანდერძი ბოლო დრომდე უცნობი იყო სპეციალისტებისათვის იმის გამო, რომ ანდერძი არ მიაჩნდათ ავთენტურად<sup>2</sup>.

ე. მაჭავარიანმა დაამტკიცა, რომ ანდერძი სვინაქსრის კუთვნილებაა, დაწერილია ხელნაწერის გადაწერის ბასილ მალუშის ძის მიერ. ამ ფაქტის აღიარებით სამეცნიერო ბრუნვაში შემოვიდა 1030 წლის მეტად საინტერესო დოკუმენტი, რომელიც ავტოგრაფიული ხასიათისაა და შეიცავს ზაქარია ბანელის პირით მოთხრობილ ცნობებს მისი ცხოვრებისა და იმ გარემოს შესახებ, სადაც ის აღიზარდა. ანდერძი თავნაკლებია. მოგვაქვს ამ ანდერძის ნაწილი: „...და სალოცველად სულისა მზრდელისა და შემოქმედისა ჩემისა დავით ქართველთა კურაპალატისა, რომლისამცა სული ბრწყინავს სასუფეველსა ცათასა, და საჭსენებულად სულისა მოძღუართა და მშობელთა ჩემთასა: არსენი მამადმთავრისა, ბაკურისა და თეკლადისა, პატრიარქისა ასათისსა, დავითისსა და დაფანჯლისასა“ (A -648, 72r).

ანდერძის მიხედვით, ზაქარია ყოფილა ტაოდან, დაახლოებული დავით კურაპალატთან, რომელსაც ზაქარია თავის „მზრდელსა და შე-

<sup>1</sup> ე. მაჭავარიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 55.

<sup>2</sup> K.C.Кекелидзе, Иерусалимский канонарь. Тифлис, 1912, с. 297.



მოქმედს“ (მისი მოღვაწეობის წარმმართველს) უწოდებს. დავითეს შვი-  
დეგ იგი თავის მოძღვრად არსენ მამამთავარს ასახელებს.

ე. მაჭავარიანი არსენ მამამთავართან დაკავშირებით გამოთქვამს ვარაუდს, რომ იგი უნდა იყოს არსენ II კათალიკოსი (955-980 წწ.), რომელიც ზაქარიასთან ურთიერთობის დროს ჯერ კიდევ მამამთავრის წოდებას ატარებდა<sup>1</sup>. ასეთი ვარაუდი ნაკლებად სარწმუნო ჩანს. 1030 წელს დაწერილ ანდერძში არსენი უნდა მოხსენიებულიყო კათალიკოსად, თავისი უმაღლესი წოდებით და არა მამამთავრად. უეჭვო მოსაზრების გამოთქმა არსენ მამამთავრის შესახებ ჭირს, მაგრამ ვარაუდისათვის საფუძველი არსებობს. ერთი დანამდვილებით შეიძლება ითქვას: ზაქარია ტაოშია დაბადებული და გაზრდილი, მასზე ზრუნავდა დავით კურაპალატი, მისი მოძღვარი კი უნდა ყოფილიყო ტაოში მოღვაწე არსენ მამამთავარი. ჩვენ ასეთ პირად მიგვაჩნია არსენ ნინოწმიდელი მამამთავარი, რომლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის გიორგი მთაწმიდელის მიერ დაწერილი „ცხოვრება იოვანესი და ეფთვიმესი“.

„ცხოვრებიდან“ ვგებულობთ, რომ არსენ ნინოწმიდელმა „დაუტყვევა ეპისკოპოსობა“ და მივიდა დავით კურაპალატის წინაშე (ეს უნდა მომხდარიყო X ს. უკანასკნელ მეოთხედში). დავითმა იგი სიხარულით მიიღო და წარგზავნა ოთხთა ეკლესიაში, სადაც უფრო ადრე ბერად შედგა იოვანე ქართველი, მამა ეფთვიმესი. შესაძლოა, სწორედ ოთხთა ეკლესიაში გაიციუნეს ერთმანეთი იოვანე ქართველმა და არსენ მამამთავარმა. ერთმანეთის პატივისცემა და სიყვარული ორივემ სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა.

არსენი ერთხანს მოღვაწეობდა ამ მონასტერში თავის სულიერ ძმასთან იოვანე გრძელისძესთან ერთად, მაგრამ მალე გამოირკვა, რომ მათ სიმყუდროვესა და მარტომყოფლობას ხშირად არღვევდნენ, „რამეთუ აწყინებდიან მამასახლისნი და ძმანი მონასტრისანი, და კურაპალატიცა ზედას-ზედა მიუწერნ და ევლოგისა წარსცემნ, ვგრეთვე ეპისკოპოსნი და აზნაურნი“<sup>2</sup>. ამის გამო იოვანე გრძელისძე და არსენ მამამთავარი ტოვებენ ოთხთა ეკლესიას და მიდიან „კერძოთა პონტომასათა“, სადაც შეხვდებიან მამასახლისს, რომელმაც მათ „მისცა მონასტერი შუენიერი, ადგილსა უდაბნოსა, და ყოველსავე სავმარსა

<sup>1</sup> ე. მაჭავარიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 56.

<sup>2</sup> „ცხოვრება იოვანესი და ეფთვიმესი“, § 35, 1-5.



მათსა უხუებით მისცემდა“ („ცხოვრება“, § 35, 5). მათ აქაც მონაწილეობა  
სახელი.

ჩვენ არ გამოვრიცხავთ შესაძლებლობას, რომ ზაქარია ოთხთა  
მონასტერში მოღვაწე არსენ მამამთავარს დაემოწაფა და ამიტომაც  
ანდერძში თავის მოძღვრად დაასახელა იგი.

ბონტოს უდაბნოში იოვანე გრძელისძისა და არსენ მამამთავრის  
მოღვაწეობა ცნობილი გახდა იოვანე ქართველისა და ეფთვიმესათვის.  
მამა-შვილმა გადაწყვიტა ამ ორი სახელოვანი ბერის ათონზე მიპატი-  
ქება და შემდეგი შინაარსის ეპისტოლე მისწერა მათ: „წმიდანო მამანო,  
გუეუწყა სიწმიდისა თქუენისათჳს და ვცანთ მანდა ყოფამ თქუენი და  
ფრიად გულ-კლებულ ვართ, რომელ არა ინებეთ ამას წმიდასა და სახ-  
ელოვანსა მთასა მოსლვად, რადთამცა თქუენი წმიდად ლოცვად მო-  
გუელო. აწ ვევედრებით სიწმიდესა თქუენსა, რადთა მოხვდეთ და ერთგან  
ვიყოფებოდით, ვინათგან უწყით, რომელ ჩუენცა უცხოებასა ვართ“  
 („ცხოვრება“, § 36, 2).

ამ ეპისტოლეს მიღებიდან ერთი წლის შემდეგ არსენ მამამთავარი  
და იოანე გრძელისძე ათონზე ჩავიდნენ<sup>1</sup>. ათონელი მამები „სინარულითა  
აღივსნეს და მადლი შეწირეს ღმრთისა და მოწლედ მოიკითხნეს... და  
უდაბნოსა ადგილსა სენაკები უშენეს და ღმრთისა სათნოათა მო-  
ქალაქობითა ცხოვნდებოდეს“ (იქვე, § 37, 2).

იოვანე გრძელისძე და არსენ მამამთავარი ათონის ქართველთა  
მონასტერში უნდა მისულყვნენ არა უგვიანეს 1001 წლისა, ვინაიდან  
1008 წლის „სამახსოვრო წიგნის“ ერთ-ერთი ანდერძის ცნობით, იოვანე  
გრძელისძემ 1002 წელს მათეს თავის თარგმანების ეფთვიმესეული  
ავტოგრაფის „შემზადებაში“ მიიღო მონაწილეობა<sup>2</sup>. არსენ მამამთავარმა  
და იოანე გრძელისძემ ათონის ქართველთა მონასტერში მრავალი წლის  
მანძილზე იმოღვაწეს და დიდი ავტორიტეტი მოიპოვეს არა მარტო  
როგორც წმიდა მამებმა, არამედ როგორც მწიგნობრებმა. არსენი და  
იოვანე ეფთვიმეს მუდმივი მრჩეველები იყვნენ. მათი რჩევით მიატოვა  
ეფთვიმემ წინამძღვრობა, რათა მთელი თავისი დრო მთარგმნელობითი  
საქმიანობისათვის მოენდომებინა. არსენი და იოვანე ეფთვიმეს თანამ-  
დგომნი და თაყვანისმცემელნი იყვნენ. როდის გარდაიცვალა ეს ორი

<sup>1</sup> არსენისა და იოანე გრძელისძის შესახებ დაწვრილებით იხ. აქვე წერილი: იოვანე და  
ეფთვიმე ათონელებისადმი მიძღვნილი „სამახსოვრო წიგნები“.

<sup>2</sup> ელმეტრეველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 7.

მწიგნობარი, ზუსტად არ არის ცნობილი, მაგრამ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ეფთვიმეზე ადრე (1028 წლამდე).

სავარაუდოა, რომ 1022/23 წელს კონსტანტინოპოლში ჩასული ზაქარია შეხვდა იოვანე გრძელისძესა და არსენ ნინოწმიდელს. ამრიგად, ათონზე თავი მოიყარეს ოთხთა ეკლესიის ბერებმა: იოანე ქართველმა, იოვანე გრძელისძემ, არსენ მამამთავარმა და სავარაუდოა, ზაქარია ბანელმა, არსენის სულიერმა შვილმა. მწიგნობართა ამ გუნდის მოღვაწეობა იქითკენ იყო მიმართული, რომ წარმოეჩინათ დიდი ეფთვიმეს მოღვაწეობის ყველა ასპექტი და მისი სახელის უკვდავსაყოფად შეექმნათ ეფთვიმეს სახელზე „სამახსოვრო წიგნები“.<sup>1</sup> ეს საქმე დაიწყო იოვანე გრძელისძემ და არსენ მამამთავარმა (მათ შექმნეს ორი „სამახსოვრო წიგნი“). მათი წამოწყებული საქმე 1030-1034 წლებში განაგრძო ზაქარია ბანელ-ვალაშკერტელმა.

თუ რა დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ იოანე გრძელისძე და არსენ მამამთავარი ათონის ქართულ საკრებულოში, იქიდანაც ჩანს, რომ გიორგი მთაწმიდელმა, რომელმაც ღვთისმშობლის ტაძრის ეგვიტერში შექმნა ათონის ქართველი წმიდა მამების საძვალე, იოანე იბერიისა და ეფთვიმეს გვერდით იოანე გრძელისძე და არსენ მამამთავარი დაასვენა.

მცირე სვინაქსრისათვის დართულ ანდერძში ზაქარია თავის სულიერ მოძღვრად არსენ მამამთავარს ასახელებს ყოველგვარი განმარტების გარეშე, რადგან არსენის პიროვნება კარგად იყო ცნობილი ათონისა და კონსტანტინოპოლის ქართულ და ბერძნულ წრეებში, იქ, სადაც იწერებოდა სვინაქსრის ეს ანდერძი.

დავუბრუნდეთ ისევ ზაქარია ბანელის ანდერძს. როგორც ითქვა, დავით კურაპალატის შემდეგ ზაქარია ანდერძში გვაცნობს თავის მოძღვრებსა და მშობლებს. პირველ რიგში იგი ასახელებს თავის მოძღვარს არსენ მამამთავარს, შემდეგ – მშობლებს. ესენი არიან: ბაკური და თეკლა. მათ შემდეგ დასახელებულია კიდევ რამდენიმე პირი, რომლებიც აგრეთვე მშობელთა და მოძღვართა ჯგუფებში ერთიანდებიან.

„და საჯანებელად სულსა მოძღუართა  
და მშობელთა ჩემთასა არსენი მამად -  
მთავრისა, ბაკურისსა და თეკლამსსა,  
პატრიაქისსა ასათისსა, დავითისსა

<sup>1</sup> ელ. მეტრეველი, დასას. ნაშრომი, გვ. 15.

და დაფანჩულისასა“.

ანდერძი დაწერილია ხელნაწერის ბოლო ფურცელზე გვერდის მარცხენა მხარეს ერთ ვიწრო სვეტად, რომლის მარჯვენა კიდე ხაზზეა გასწორებული. ამან განსაზღვრა ტექსტის განაწილება სტრიქონებად. ტექსტი დაწერილია ხელნაწერის გადამწერის ბასილი მალუშის ძის წვრილი კალიგრაფიული ნუსხურით. დამწერს, როგორც ეტყობა, თავიდანვე განზრახული ჰქონდა, ანდერძში მოხსენიებულ პირთა სახელები მთავრულით დაეწერა, მაგრამ ადგილის სიმცირის გამო ეს განზრახვა ვერ განუხორციელებია: საკუთარი სახელები ზოგი მთლიანად მთავრულით აქვს დაწერილი, ზოგი კი ნაწილობრივ (ასათი), ან ნუსხურით (თეკლა). ეს კარგად ჩანს ანდერძის მოტანილ ნაწყვეტში, სადაც მთავრული ასოები ხაზგასმულია.

მშობლების (ბაკურისა და თეკლას) შემდეგ ზაქარია ასახელებს კიდევ სამ პირს: „სალოცველად სულისა...

პატრიაქისსა ასათისსა დავითისსა

და დაფანჩულისასა“.

ამ ცნობაში ყურადღებას იქცევს პატრიარქი ასათი: ქართული ეკლესიის წარმომადგენლის მიმართ მხოლოდ პატრიარქის წოდების ხმარების სხვა შემთხვევა ქართულ წერილობით ძეგლებში არ გვევლება. რას უნდა ნიშნავდეს ამ შემთხვევაში „პატრიაქი“, ეს გარკვევას თხოულობს. ამ საკითხზე ე. მაჭავარიანი ვრცლად მსჯელობს თავის შემოთდასახელებულ წერილში: „საყურადღებოა, რომ პატრიარქის მხოლოდობით რიცხვში მოხსენიებას მოჰყვება ორი სახელი და გვარიც: „პატრიაქისსა ასათისსა, დავითისსა და დაფანჩულისასა“. ვგულისხმობთ, რომ ეს ერთი პიროვნებაა. პატრიარქად დავითს მივიჩნევთ, კერძოდ, დავით I (944-955)<sup>1</sup>. გარდა იმისა, რომ სახელი დავითი, ასათისაგან განსხვავებით, მთავრულით არის გამოყოფილი, დავითის პატრიარქობის წლები ქრონოლოგიურად ემთხვევა ანდერძის ისტორიულ მონაცემებს. დავითი დაფანჩულთა გვარიდან ყოფილა, ხოლო ასათი დავითის საერო სახელი უნდა ყოფილიყო (აქ საინტერესოა იმ გარემოების აღნიშვნა, რომ X საუკუნის ეკლესიის მამამთავარი პატრიარქად იწოდება. პატრიარქის ტიტულით ცნობილია მელქისედეკ II მცხეთის საბუთის მიხედვით. ანდერძში მოხსენიებული არსენი კი, როგორც ჩანს, არსენ II კათალიკოსია (955-980), რომელიც მამამთავრად იქნებოდა

<sup>1</sup> ე. მაჭავარიანი იმოწმებს 1976 წლის საქართველოს საეკლესიო კალენდარს.



სწორედ დავითის პატრიარქობის ჟამს (არსენ II კათალიკოსი ქართულ წმინდათა ცხოვრების აღმწერელად არის მიჩნეული)<sup>1</sup>.

ამრიგად, ემაჭავარიანს მიაჩნია, რომ პატრიარქი ასათი უნდა იყოს ქართლის კათალიკოსის დავითის (944-955) საერო სახელი, დაფანჩული კი საგვარეულო ზედწოდება იმავე დავითისა, ე.ი. მისი აზრით, აქ დასახელებულია არა სამი პირი, არამედ ერთი.

ვფიქრობთ, რომ ეს იდენტიფიკაცია მოკლებულია მთავარ საფუძველს. ვნახოთ, რამდენად შესაძლებელია ზაქარია ბანელის ანდერძის მონაცემების საფუძველზე ამგვარი დასკვნის გამოტანა.

თუ პატრიარქის სასულიერო სახელად დავითს მივიჩნევთ, მაშინ პატრიარქის ტიტული უნდა დართვოდა დავითს და არა ასათს (ორმაგ სახელებში პირველ ადგილზე ჩვეულებრივ სასულიერო სახელია: პეტრე პეტრიკ-ყოფილი, საბა სულხან-ყოფილი, იოანე თორნიკ-ყოფილი და სხვ. (ე.ი. ანდერძში უნდა ყოფილიყო პატრიარქი დავით ასათი, მიცემით ბრუნვაში კი (როგორც ეს ტექსტშია) უნდა ყოფილიყო: პატრიარქისა დავით ასათისა, ხოლო ამის მომდევნოდ დავითის გვარ-სახელი „დაფანჩულისასა“; ოღონდ „და“ კავშირის გარეშე, ე.ი. პატრიარქისა დავით ასათისა დაფანჩულისასა. ან პატრიარქისა დავით ასათისა და დაფანჩულისასა. წაკითხვის პირველ ვარიანტში დავით ასათ-ყოფილის გვარ-სახელია დაფანჩული, მეორე წაკითხვის მიხედვით კი, დავით-ასათ ყოფილი და დაფანჩული ორი სხვადასხვა პირის აღმნიშვნელი სახელებია, სადაც გვარ-სახელი დაფანჩული გამოყენებულია საკუთარ სახელად.

ამრიგად, ანდერძში მოხსენიებული დაფანჩული უნდა მივიჩნიოთ დაფანჩულთა სახლის უფროსად. აქვე უნდა გავიხსენოთ ანალოგიური შემთხვევები, როდესაც სახლის მეთაური მოიხსენიება გვარ-სახელით და არა საკუთარი სახელით: გიორგი ჩორჩანელი, ჩორჩანელთა სახლის მთავარი, რომელიც მისთვის განწესებულ აღაპში მხოლოდ ჩორჩანელად იხსენიება (ათონის აღაპი №37), ასევე ჩორდვანელთა სახლის მთავარი ჩორდვანელად მოიხსენიება, თმოგველთა სახლის მთავარი — თმოგველად, საკუთარი სახელის გარეშე და ა.შ.

ე. მაჭავარიანს მიაჩნია, რომ დაფანჩული ასათ პატრიარქის გვარ-სახელია, ე.ი. სამივე სახელი ერთ პიროვნებას, კერძოდ, ასათ პატრიარქს გულისხმობს. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ანდერძში დასახელებული ასათ პატრიარქი, დავითი და დაფანჩული — სამი სხვადასხვა პირია, თანაც

<sup>1</sup> ე. მაჭავარიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 56.



ზაქარიას ნათესავები, რომელთაც გარკვეული წვლილი მიუძღვით მის ალზრდის საქმეში. ეს კი იმის საფუძველს იძლევა, რომ ზაქარია ბანელი და მისი ოჯახი დაფანჩულთა სახლის წევრებად ვიგუღვოთ.

რაკი ასათ პატრიარქის იდენტიფიკაცია დავით კათალიკოსთან არ არის დამაჯერებელი, გასარკვევია, თუ ვინ არის იგი და რა ნიშნით ატარებს ასათი პატრიარქის ტიტულს. საფიქრებელია, რომ ასათი იყო ტაოს ყველაზე გავლენიანი მთავარეპისკოპოსი ანუ მამამთავართა მთავარი. ასეთებად კი, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ითვლებოდნენ ბანას საეპისკოპოსოს მესაჭენი. უნდა ვიფიქროთ, რომ ასათ პატრიარქად წოდებული ბანას მამამთავართა მთავარი უნდა ყოფილიყო. ეს თანამდებობა შემდგომ დაიკავა ზაქარია ბანელ-ვალაშკერტელმა, მაგრამ წყაროებში ის პატრიარქად არ იწოდება. ეს გვაფიქრებინებს, რომ ბანელი მამამთავრისათვის პატრიარქის წოდება ტაოში არ გავრცელებულა. და, ჩანს, ზაქარია ბანელის მიერ სვინაქსარზე დართული ანდერძი ამის ერთადერთი დამადასტურებელი წერილობითი წყაროა. ამრიგად, ბანის მამამთავრის მოხსენიება პატრიარქის ტიტულით, როგორც ჩანს, ერთჯერადი მოვლენა იყო, რომელმაც თავისი ასახვა ზაქარია ბანელის მცირე სვინაქსარზე (A-648) დართულ ანდერძში ჰპოვა. ანალოგიური მასალის უქონლობის გამო ძნელი გასარკვევია, ჰქონდა თუ არა რაიმე რეალური შინაარსი პატრიარქის პატივს ტაოს საეკლესიო იერარქიაში. ერთი რამ აშკარაა, პატრიარქის წოდება კი არ ემატება მამამთავართა მთავრის ტიტულს, არამედ ცვლის მას. განსხვავებული ვარიანტი გვაქვს მელქისედეკ კათალიკოსის შემთხვევაში: „მცხეთის საბუთში“ მელქისედეკი თავის თავს წარმოადგენს კათალიკოს-პატრიარქის ტიტულით, ე.ი. თავის ძირითად ტიტულს უმატებს პატრიარქის ტიტულსაც. მიუხედავად ამ განსხვავებისა, ერთი საერთო ნიშანი მაინც აკავშირებს ამ ორ ქართველ პატრიარქს: ორივე შემთხვევაში პატრიარქის ტიტული დაცლილია რეალური შინაარსისაგან და ამიტომ არც ასახავდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დამოკიდებულებას ტაოსა თუ ქართლის ეკლესიის მესაჭეებისადმი. მაგრამ აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ორივე შემთხვევაში ქართული ეკლესიის მესაჭეების ტიტულატურაში პატრიარქის გამოჩენა გარკვეული ქრონოლოგიური მონაკვეთით იფარგლება (X საუკუნის დასასრული და XI საუკუნის 30-იანი წლები) და ამიტომ ტაოსა თუ ერთიანი საქართველოს ბიზანტიასთან პოლიტიკური ურთიერთობის კონტექსტში უნდა იქნას განხილული. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ის პერიოდია, როდესაც ბიზანტიაში ჩნდებიან



რეგიონალური პატრიარქები. ცნობილია, რომ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს X საუკუნიდან გამოეყო ბიზანტიის იმპერიაში გაერთიანებული ან იმპერიის პოლიტიკური გავლენის სფეროში მყოფი რეგიონების რამდენიმე ავტოკეფალური ეკლესია, რომლებმაც XI საუკუნეში ადგილობრივი საპატრიარქო სტრუქტურები შექმნეს. ამ დროიდან ბულგარეთის ადგილობრივი რეგიონალური ეკლესიების ზოგიერთი მესაჭეც პატრიარქის წოდებას ატარებს (მაგ.: დოროსტოლის პატრიარქი, ტირნოვოს პატრიარქი)<sup>1</sup>. არ არის გამორიცხული, რომ ამ შემთხვევაშიც, პატრიარქის ტიტულის საშუალებით ასათ პატრიარქიც და მელქისედეკ კათალიკოს-პატრიარქიც იმ ეკლესიის ავტოკეფალიას უსვამდნენ ხაზს, რომლის საჭეთმპყრობელიც ისინი იყვნენ და ამით განსაზღვრავდნენ თავის დამოკიდებულებას კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მიმართ, რაც იმავდროულად ბიზანტიასთან პოლიტიკური ურთიერთობის ერთ-ერთი გამოხატულება იყო. ჯერჯერობით ამ ფაქტს სხვა ასსნას ვერ ვუძებნით.

ასეთი ნაბიჯი X საუკუნის ბოლოსა და XI საუკუნის 30-იან წლებში, ეტყობა, საჭირო იყო ქართულ ეკლესიათა საჭეთმპყრობელთათვის<sup>2</sup>.

მელქისედეკ კათალიკოსის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ყველაზე სანდო ცნობები შემოგვინახა მისივე „ანდერძმა“, რომელიც „მცხეთის საბუთის“ სახელით არის ცნობილი. საბუთი შეისწავლა და გამოაქვეყნა ნბერძენიშვილმა<sup>3</sup>. მკვლევარის აზრით, „ანდერძი“

<sup>1</sup> Полный православный богословский энциклопедический словарь, с. 1775.  
<sup>2</sup> ვფიქრობთ, ეჭვს იწვევს ვ. სილოგავას მოსაზრება „მცხეთის საბუთში“ დადასტურებული კათალიკოს-პატრიარქის ტიტულატურის შესახებ. ის წერს: „როგორც ცნობილია, მელქისედეკ კათალიკოსის სეკტიცხოვლისადმი „დაწერილის“ დასაწყისი შემონახულია XVII-XVIII საუკუნეებით დათარიღებულ პირში (საბუთის ძველი პირი XII საუკუნისა ამ ადგილას ნაკლულია); ამავე დროს ტექსტის ამ ნაწილში ისეთი რეალიზება წარმოდგენილი, რომლებიც XI ს-ისათვის სხვა წერილობით წყაროებში (როგორც ნარატიული, ისე დოკუმენტური) არ დასტურდება (მაგ. საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელის მოხსენიება „კათალიკოს-პატრიარქის“ ტიტულით). ამიტომ ძნელია ითქვას დაბეჯითებით, მართლა ასეთი ვრცელი და მჭევრმეტყველური შესავლები ჰქონდა თუ არა XI ს-ში კათალიკოსთა „დაწერილებს“ (იგვეავანისვილი, თხზულებანი, ტ. IX, გვ. 533).

<sup>3</sup> ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 217-289.

შედგენილია 1031-1033 წლებში, ხოლო ამ ძეგლში შეტანილია „დაწერილი“ მელქისედეკ ჯერ კიდევ 1029 წელს უნდა დაეწერა.

„დაწერილის“ შესავალში მელქისედეკი თავის თავს ქართლის კათალიკოს-პატრიარქს უწოდებს. აქ ჩამოთვლილია ყველაფერი, რაც მან შესწირა სვეტიცხოველს მისი საჭეთმპყრობელობის ჟამს. შეწირულებათა ეს მეტად შთამბეჭდავი ნუსხა გაკვირვებას იწვევს შესაწირავთა მრავალფეროვნებითა და მასშტაბებით. საკმარისია ითქვას, რომ მას სვეტიცხოვლისათვის „მოუგია“ 135 სოფელი.

ჩვენთვის ამჯერად საინტერესოა ის, თუ რა ურთიერთობა ჰქონდა მელქისედეკს როგორც ქართველ მეფეებთან, ისე ბერძენ იმპერატორებთან. „დაწერილიდან“ ჩანს, რომ მელქისედეკი არაერთხელ ყოფილა კონსტანტინოპოლში და იმპერატორებისაგან არაერთი საბოძვარი მიუღია. „დაწერილში“ დასახელებულია მისი მოღვაწეობის პერიოდის ბიზანტიის სამი იმპერატორი: ბასილი II (+1025), კონსტანტინე (+1028) და რომანოზ არგვირუსი (1028-1034), რომლებსაც ის უხვად დაუსაჩუქრებიათ. „ბასილი მიზოძა მონასტერი დიდი, რომლისა სახელი არს კესტორი<sup>2</sup>, რომელსა სოფელი აქუს: რე: (105)“. იმავე ბასილს უბოძებია: „სკარამანგნი დიდნი გარე შოლვილნი, ვერცხლისა გრგოლითა შეკაზ-მულნი: 8“<sup>3</sup>(8).

ბასილმავე უბოძა მელქისედეკს ღვთისმშობლის ხატი, „შემკული ოქროთა, თუალითა და მარგალიტითა“, ამას გარდა ხუთი ძვირფასი ხატი.

კონსტანტინე იმპერატორსაც უბოძებია ოქროს ხატი. ასევე დიდძალი შესამოსელი მიუღია მელქისედეკს რომანოზ არგვირუსისაგან<sup>2</sup>.

თუ ყველა ეს ცნობა სანდოა, ჩვენ კი არა გვაქვს დაეჭვების საფუძველი, მაშინ ისიც უნდა ვირწმუნოთ, რომ XI საუკუნის 20-30-იან წლებში მელქისედეკ კათალიკოსი არაერთხელ იყო კონსტანტინოპოლში მიღებული და დასაჩუქრებული ბიზანტიის იმპერატორებისაგან.

მელქისედეკის „დაწერილში“ ჩანს მისი ურთიერთობა მხოლოდ ბიზანტიის იმპერატორებთან, მაგრამ ეს არ გამოორიციხავს, მისი მღვო-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 244.

<sup>2</sup> დიდ მონასტერს, კესტორს, რომელიც ფლობდა 105 სოფელს, რუჟენის კაპიტალურ შრომაში ვერ მიაგებენ. საეჭვოდ მიგვაჩნია, რომ ბასილს უბოძებინა მელქისედეკისათვის 105 სოფლის მფლობელი მონასტერი.

<sup>3</sup> ნბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 282.



მარეობის გამო, ასევე მის აქტიურ ურთიერთობას კონსტანტინოპოლის პატრიარქებთან.

ჩვენ არ გვეგულება არც მელქისედეკის თანამედროვეთა შორის და არც მოგვიანო ხანაში ქართველი კათალიკოსი, რომელსაც ასეთი აქტიური კონტაქტი ჰქონოდა კონსტანტინოპოლთან. ვფიქრობთ, ამან განსაზღვრა მელქისედეკის ოფიციალურ ტიტულატურაში პატრიარქის დამატება: კათალიკოს-პატრიარქი. ამასთან დაკავშირებით ისმის რამდენიმე კითხვა: თუ ჰქონდა პატრიარქის ტიტულს მცხეთის კათალიკოსისათვის რაიმე კონკრეტული შინაარსი? როგორ იქნა იგი აღქმული მის თანამედროვეთა მიერ? რა ისტორიული გზა განვლო ამ ახალმა ტიტულატურამ?

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მელქისედეკის „დაწერილში“ არაფერია თქმული იმის შესახებ, რომ მან ოფიციალურად მიიღო პატრიარქის პატივი ბიზანტიაში. დასმულ საკითხებთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს შემდეგი ფაქტები: „დაწერილში“ კათალიკოს-პატრიარქის წოდებით მელქისედეკი მხოლოდ ერთხელ არის მოხსენიებული (დოკუმენტის დასაწყისში), როდესაც „დაწერილის“ ავტორი გვაცნობს თავის თავს. „ანდერძის“ ბოლოს დართულ მეფეთა დამტკიცებებში მელქისედეკი მხოლოდ კათალიკოსად იხსენიება.

ამრიგად, მელქისედეკ კათალიკოს-პატრიარქს მისი თანამედროვე მეფეები და მომდევნო კათალიკოსები „დაწერილის“ მტკიცებულებით ნაწილში მხოლოდ კათალიკოსად მოიხსენიებენ. მაგრამ არა ნაკლებ უცნაურია ის, რომ კათალიკოს-პატრიარქის ტიტულით ჩვენამდე მოღწეულ წერილობით წყაროებში არ იხსენიებიან არა მარტო მელქისედეკის უშუალო შემკვიდრე კათალიკოსები — იოანე (1033-1045 წწ.) და ოქროპირი (1045-1048 წწ.), არამედ არც მათი მომდევნო კათალიკოსები, ვიდრე XIII ს-ის შუახანებამდე. 1260 წლით დათარიღებული კახა თორელის მიერ რკონის მონასტრისათვის მიცემული „დაწერილის“<sup>1</sup> მტკიცებულებით ნაწილში ნიკოლოზ კათალიკოსი თავის თავს მსოფლიო პატრიარქთა თანასწორად თვლის და აღნიშნავს: „ჩუენცა, გლახაკი ქრისტეს მიერ შემდგომად სუთთა პატრიარქთა და უბირველეს მათსა ზეგარდამო მოსულთა უბიწოთა დედისა მისისა გულისთა შეთელილისა კუართისა საუფლოსა მიერ სუეტის-ცხოველის მე-

<sup>1</sup> ცნობა მოგვაწოდა დ.კლდიაშვილმა, რისთვისაც მადლობას მოვასწავებთ.

ქუსე პატრიარქის და ქრისტეს მიერ ყოვლისა საქართველოს კათალიკოსი ნიკოლოზ ვამბაკიძე და წარვწერ“.

კონკრეტულად რა პერიოდიდან არის საქართველოს კათალიკოსის წოდებულებაში პატრიარქის ტიტული რეალური შინაარსის შემცველი, პირდაპირი ცნობის უქონლობის გამო ძნელია განისაზღვროს, ყოველ შემთხვევაში, XIII ს-ის შუახანებში იგი უკვე დადასტურებული ფაქტია.

ეს საკითხი ცალკე შესწავლას მოითხოვს. ჩვენთვის კი საინტერესო იყო იმის გარკვევა, ხომ არ არის რაიმე კავშირი ასათის პატრიარქობასა და მელქისედეკის კათალიკოს-პატრიარქობას შორის. ორივე შემთხვევაში პატრიარქის ტიტულის შემოტანას უმაღლეს სასულიერო პირთა ტიტულატურაში, ჩანს, განაპირობებდა ბიზანტიასთან ურთიერთობის ხასიათი და ამიტომ დროის გარკვეულ მომენტს იყო მორგებული, რის გამოც ამ ტიტულატურას შემდგომში გავრცელება და აღიარება არ მოჰყოლია.

ქრისტიანული ეკლესიის მართლმადიდებლურ და კათოლიკურ ეკლესიებად გაყოფის შემდეგ (1054), პატრიარქი მხოლოდ აღმოსავლური ეკლესიის უმაღლეს მესვეურს ეწოდება. იქამდე კი ცნება „პატრიარქი“ უფრო ვიწრო მნიშვნელობისა იყო და ხშირად როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ რომის იმპერიაში ეპისკოპოსის ნაცვლად იხმარებოდა. ამიტომ, შემთხვევითი არ არის, რომ პატრიარქის ტიტულის ხმარება ქართველი მამამთავრის (ასათ პატრიარქი), თუ ქართლის ეკლესიების მესაჭის მიმართ (მელქისედეკი) დასტურდება ქრისტიანული ეკლესიის გაყოფამდე, ხოლო ეკლესიების გაყოფის შემდეგ, როდესაც ცნება „პატრიარქმა“ ახალი შინაარსი შეიძინა, ეს ტიტული ქართველ საეკლესიო მოღვაწეთა ტიტულატურაში არა ჩანს და მხოლოდ რამდენიმე საუკუნის შემდეგ (XV ს.) მკვიდრდება (კათალიკოს-პატრიარქი ში).

\* \* \*

ყველა მკვლევარი, ვინც კი შეხება მცირე სვინაქსრის (A-648) მინიატურებს, ერთხმად აღნიშნავენ, რომ მინიატურები შესრულებულია რამდენიმე პროფესიონალი ხელოვანის მიერ, რომელთაც ხელთ ჰქონ-

<sup>1</sup> ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. IX-XIII სს. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თენუქიძემ, ვსილოვაგამ, ნ.შოშიაშვილმა. თბ., 1984, გვ. 155; ივჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია: თხზულებანი, ტ. VII, თბ., 1984, გვ. 18.

დათ სხვადასხვა ბერძნული მოდელი, რამაც თავის მხრივ განაპირობა მათი მხატვრულ-სტილისტური ნაირსახეობა.

გაიანე ალიბეგაშვილმა დაწვრილებით და საფუძვლიანად შეისწავლა მცირე სვინაქსრის 72 მინიატურა კომპოზიციის, მხატვრულ-სტილისტური თავისებურებებისა და წარწერების თვალსაზრისით, გამოყო მათ შორის რამდენიმე ჯგუფი. ამასთან წამოაყენა ერთი ზოგადი ხასიათის დებულება: "Если некоторые миниатюры и позволяют думать об участии в украшении кодекса мастера грузина, то такими, в основном, оказываются некоторые из миниатюр, не снабженных греческими надписями".<sup>1</sup>

ამ თვალსაზრისით მან ცალკე ჯგუფად გამოყო ორი წაუწერელი მინიატურა: კეთროვანის განკურნება (ტ. 320) და ასისთავის მსახურის განკურნება (ტ. 326).

ამ ორი მინიატურის სტილისტურ მსგავსებას დამაჯერებლად ავლენს მკვლევარი ფაქიზი ანალიზის საფუძველზე, ამასთანავე აღნიშნავს: "Характерным представляется также своеобразный восточный тип сотника, с короткой нижней частью лица и правильными широкими дугами бровей".<sup>2</sup>

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამ ორ მინიატურას არ ახლავს ბერძნული წარწერები, ალბათ, უნდა ვიფიქროთ, რომ გალიბეგაშვილს შესაძლებლად მიაჩნია, ამ ორი მინიატურის შემსრულებელი ქართველი მხატვარი ყოფილიყო.

ვრცლად ჩერდება მკვლევარი ამავე მინიატურების კიდევ ერთ თავისებურებაზე: ნიადაგის დამუშავების მხატვრულ ტექნიკაზე, რომლითაც ისინი განსხვავდებიან სხვა დანარჩენი მინიატურების უმრავლესობისაგან: ის წერს: "Полосы почвы в этих миниатюрах украшены пучками трав с мелкими цветочками, головки которых исполнены красными и белыми точками", და იქვე ურთავს: "Подобными увиточками украшена почва в миниатюрах с изображением св. Прокопия, св. Афиногена и Марины и пророка Ильи. Но ни по колориту, ни по манере исполнения эти миниатюры не похожи на миниатюры со сценами "исцеления". Наличие одинакового

<sup>1</sup> Г. Алибегашвили, Художественный принцип иллюстрирования грузинской рукописной книги XI-нач. XII вв. 1973, с. 19.

<sup>2</sup> იქვე  
182

декоративного растительного мотива в них может быть связан с использованием одного и того же прототипа".<sup>1</sup>

ამრიგად, გალიბეგაშვილის დაკვირვებით, A-648 ხელნაწერის 3 მინიატურა წმ.პროკოპის, ათენაგენ-მარინასი და ილია წინასწარმეტყველისა შეიძლება გამოიყოს აგრეთვე ცალკე ჯგუფად, ვინაიდან მათთვისაც დამახასიათებელია მინიატურების ნიადაგის დამუშავების იგივე მხატვრული მანერა, რაც ახასიათებს ცალკე ჯგუფად გამოყოფილ „განკურნების“ ორ მინიატურას, რომელთაც წარწერები არ გააჩნიათ.

„განკურნების“ ჯგუფისაგან განსხვავებით, სამმინიატურიან ჯგუფის მინიატურებს ახლავს ბერძნული წარწერები მინიატურის ჩარჩოებს გარეთ. ერთი მათგანი — ათენაგენ-მარინას მინიატურა ჩაკერებულია ამოჭრილი მინიატურის ადგილას. ამავე დროს ეს არის სვინაქსრის ერთადერთი მინიატურა, რომელსაც ახლავს ქართული მთავრული წარწერა „მარინა“, ზედ მინიატურის ფონზე შესრულებული.

ამ ორი ჯგუფის ხუთი მინიატურისათვის დამახასიათებელია მინიატურათა ნიადაგის მსგავსი დამუშავება, ამასთანავე სამმინიატურიანი ჯგუფის მინიატურები, გამორჩეული თავისი ხასიათით და თავისებურებებით, ერთმანეთის მომდევნოდ არიან განლაგებულნი ხელნაწერში შემდეგი რიგით: წმ.პროკოპი (გვ. 119), წმ. ათენაგენი და წმ. მარინა (გვ. 123) და წმ. ილია (გვ. 125). წმ. პროკოპის მომდევნოდ ყოფილა კიდევ ერთი მინიატურა წმ. კვირიკესი და ივლიტასი (გვ. 122), რომელიც ამოუჭრიათ, მისგან შემორჩენილა მხოლოდ ჩარჩო და ბერძნული წარწერა. ამ ოთხ მინიატურას აქვს ერთნაირი ჩარჩო, ხელნაწერის სხვა მინიატურების ჩარჩოსაგან განსხვავებული. „მცირე სვინაქსრის“ მინიატურები, როგორც წესი, ჩასმულია ნახევარი სანტიმეტრის სიგანის მუქი ფერის ჩარჩოში, რომლის ოთხივე კუთხე მთავრდება ერთნაირი ერთფოთლიანი მარტივი დეკორატიული ელემენტით (სწორი ხაზი თავსაკინძით). ზემოთდასახელებული ოთხი მინიატურის ჩარჩოები კი ბევრად უფრო ვიწროა (2-3 მილიმეტრის სიგანის). ისინი შიგნიდან არიან შემოსაზღული სინგურით. დანარჩენ ჩარჩოთაგან ფერთაც განსხვავდებიან. ოთხივე ჩარჩოს ზემო ოთხ კუთხეში აქვს განსხვავებული დეკორატიული ელემენტები ზემო ორ კუთხეში — სამყურა ყვავილი, პირდაპირ კუთხე-

<sup>1</sup> Г. Алибегашвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 65.





ბიდან ამოზრდილი, ქვემოში კი — უფრო დიდი ზომის, კუთხიდან ნავ გაზიდული, ორფოთლიანი რტო.

ყველა აღნიშნული ელემენტი კარგად შემონახა ილია წინასწარმეტყველის მინიატურამ, დანარჩენი სამი მინიატურის ჩარჩოებს კი შემორჩენილი აქვთ ამ დეკორის მხოლოდ ფრაგმენტები, ისევე როგორც კვირიკე და ივლიტას ამოჭრილი მინიატურის ჩარჩოს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ილია წინასწარმეტყველის კომპოზიციის ერთი ნაწილი ვერ მოთავსდა ოთხკუთხა ჩარჩოში, ამიტომ კომპოზიციის შესაბამისად დარღვეულია ჩარჩოს ფორმაც, რაც მიგვანიშნებს, რომ ჩარჩო მხატვრის მიერ იყო გაკეთებული მინიატურის დასრულების შემდეგ მინიატურის ფორმის გათვალისწინებით. ამ ოთხი მინიატურის ჩამოთვლილი თავისებურებანი იმას უნდა მიუთითებდეს, რომ ოთხივე მინიატურა ოთხივე ფურცლის ფარგლებში ერთმანეთის მომდევნოდ არის ჩახატული ერთი მხატვრის მიერ. მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ხელნაწერში ჩაკერებული მინიატურა „ათენაგენ-მარინასი“, რომლის ოქროთი შესრულებული ფონის ცენტრში წმინდანების ფიგურებს შორის კალიგრაფიული ქართული მთავრულით დაწერილია „მარინა“, ამ ორფიგურიანი კომპოზიციის მხოლოდ ერთი წმინდანის სახელი. სრული ბერძნული წარწერა კი ხელნაწერის ტექსტთან დარჩა მინიატურის ამოჭრის შემდეგ. ამჟამად იგი ნაკერის ქვემოთ არის მოქცეული, მაგრამ მაინც გარკვევით იკითხება. ქართული წარწერის არსებობის ფაქტს გალიბეგაშვილი ახსნას ვერ უძებნის: "Возникновение грузинских букв при наличии полной греческой надписи не совсем понятно".<sup>1</sup>

ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში დგება საკითხი: ხომ არ არის მცირე სვინაქსრის ერთადერთი ქართულწარწერიანი მინიატურა ქართველი მხატვრის ნახელავი? ამ ვარაუდის დაშვებას გალიბეგაშვილი გამოიყენებს: „Труднее связать наличие грузинских букв при имеющейся греческой надписи с грузинским происхождением автора данной миниатюры, хотя теплый, с красноватым отблеском колорит миниатюры, далекая от живописных реминисценций манера письма ставит эту миниатюру в несколько обособленное по отношению к другим миниатюрам положение“.<sup>2</sup>

<sup>1</sup> Г. Алибегашвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 19.



თუ ამასთან გავიხსენებთ მკვლევარის მიერ გამოთქმულ საზრებას, რომ ქართველი მხატვრის მონაწილეობა სვინაქსრის მონათვაში მხოლოდ უწარწერო მინიატურებშია სავარაუდებელი, მაშინ ქართულ-ბერძნული წარწერებიანი ათენაგენ-მარინას მინიატურის და ზემოთ დასახელებული სამი მინიატურის მხატვარიც არ უნდა იყოს ქართველი. ამასთან ერთად ოთხივე მინიატურა ერთი მხატვრის ხელიდან ჩანს გამოსული. ვფიქრობთ, ოთხმინიატურიანი ჯგუფი, რომელიც მინიატურის ჩარჩოებით და წერის მხატვრული მანერიითაც გამოირჩევა სვინაქსრის სხვა მინიატურებისაგან, საგანგებო ყურადღების ღირსია, განსაკუთრებით კი ერთადერთი ქართულწარწერიანი „ათენაგენ-მარინას“ მინიატურა. პირველი საკითხი, რომელიც წარმოდგება „ათენაგენ-მარინასთან“ დაკავშირებით, ეს არის ქართული წარწერის წარმომავლობა. ხომ არ იყო იგი ამოჭრილი სვინაქსრის მეორე, ასევე მონათვლი, ქართული სვინაქსრიდან, სადაც მინიატურებს ჰქონდათ ქართული წარწერები, სხვანაირად: ხომ არ არსებობდა მონათვლი მცირე სვინაქსრის მეორე ეგზემპლარი, რომლის გადაშფერი იგივე მალუმის ძე იყო? ამგვარი ვარაუდისათვის გარკვეული საფუძველი არსებობს, ვინაიდან ზაქარია ბანელისა და გრიგოლ მთაწმიდელის მომგებლობით ბასილ მალუმის ძემ გადაწერა და შეამკო „მცირე სჯულისკანონის“ ორი ეგზემპლარი. ასევე ორ ეგზემპლარად გადაინუსხა ზაქარია ბანელის ბრძანებით გრიგოლ ნაზიანზელის „სიტყუათა“ ეფთვიმესეული თარგმანების კორპუსი (A-92 და A-1). იგივე შექმლო გაეკეთებინა მალუმის ძეს „მცირე სვინაქსართან“ დაკავშირებითაც. მაგრამ ყველა მონაცემით „ათენაგენ-მარინას“ მინიატურა თავიდანვე A-648 ხელნაწერის კუთვნილება იყო. ამაში ეჭვი არ ეპარება არც გაიანე ალიბევაშვილს. ამის დასადასტურებლად მოვიტანთ დამატებით არგუმენტებს: 1. „ათენაგენ-მარინას“ მინიატურა ჩასმულია ისეთსავე ჩარჩოში, როგორშიც ოთხმინიატურიანი ჯგუფის დანარჩენი სამი მინიატურა. 2. „ათენაგენ-მარინას“ მინიატურის მეორე მხარეს მოთავსებული ტექსტი დაწერილია ბასილი მალუმის ძის ხელით, ისევე როგორც A-648 „მცირე სვინაქსრის“ მთელი ტექსტი. 3. ტექსტის ეს ფრაგმენტი ზუსტად თავსდება ამოჭრილ სივრცეში.

ამრიგად, ეჭვს გარეშეა, „ათენაგენ-მარინას“ მინიატურა თავიდანვე ყოფილა A-648 ხელნაწერის კუთვნილება: „მცირე სვინაქსრის“ მეორე მონათვლი ნუსხის არსებობის შესახებ ვარაუდისათვის საფუძველი არ არსებობს.



მაშ, როგორ უნდა აიხსნას ამ მინიატურაზე ქართული წარწერის გაჩენა? ვისი გაკეთებულია იგი?

აღსანიშნავია, რომ ოთხმინიატურიანი ჯგუფიდან ამოუჭრიათ 2 მინიატურა: „კვრიკესა და ივლიტასი“ და „ათენაგენ-მარინასი“. ამ ორიდან ერთი „ათენაგენ-მარინას“ ქართულწარწერიანი მინიატურა კვლავ დაუბრუნებიათ ხელნაწერისათვის. ამ ჯგუფის ოთხსავე მინიატურას ახლავს ბერძნული წარწერები: „ათენაგენ-მარინას“ მინიატურა ამოიჭრა წარწერის გარეშე, ხოლო უკან ჩაკერებისას ბერძნული წარწერა ნაკერით დაიფარა. შეიძლება გვეფიქრა, რომ ამის გამო საჭირო გახდა ახალი წარწერის გაკეთება. ვფიქრობთ, ქართული წარწერა უნდა გაკეთებულიყო მინიატურის ამოჭრის შედეგად, რადგან წმინდანთა იდენტიფიკაციისათვის საჭირო წარწერა მინიატურას აღარ გააჩნდა. ამ ნაკლის გამოსწორება უნდა ეკისრა ან ხელნაწერიდან მინიატურის ამომჭრელს, ან ხელნაწერში მის ჩამკერებელს. ორივე შემთხვევაში ეს პირი უნდა ყოფილიყო ქართველი. არც ის არის გამორიცხული, რომ ამომჭრელიც და ჩამკერებელიც ერთი პიროვნება ყოფილიყო, რაღა თქმა უნდა, ქართველი. ამოჭრილ მინიატურაზე ქართული წარწერის გაკეთების ერთადერთი შესაძლებლობა ჩანდა მინიატურის ფონზე, ორ ფიგურას შორის.

ამოჭრილი მინიატურის ქართული მთავრული წარწერა გაკეთებულია ქართველი მწიგნობრის მიერ, რომელიც ფლობდა ქართული კალიგრაფიის მაღალ ხელოვნებას. ასეთად ამ წლებში ჩანს ბასილ მალუშის ძე. პალეოგრაფიული თვალსაზრისით ეს წარწერა XI საუკუნის პირველ ნახევარს არ გადასცდება. ეს ვვაფიქრებინებს, რომ ხელნაწერი A-648, შექმნიდან მოკლე დროში, მას შემდეგ, რაც ამ ხელნაწერის პატრონი ზაქარია ბანელი გარდაიცვალა<sup>1</sup> და მისი საკუთარი მონასტერი ავიაპანტი მოიშალა, ამ მონასტრის სკრიპტორიუმში<sup>2</sup> დაცული ხელნაწერები და მათ შორის მცირე სვინაქსარიც თავისი ბრწყინვალე მინიატურების გამო დატაცების საგანი გახდა. ფაქტია, რომ ოთხასფურცლიანი ხელნაწერიდან ჩვენამდე მხოლოდ 74 ფურცელმა მოაღწია. ხოლო დანარჩენი 72 მინიატურიდან 8 ამოჭრილია.

<sup>1</sup> ზაქარია ბანელი 1031 წლის შემდეგ წყაროებში აღარ ჩანს. ამიტომ საფიქრებელია, ის 1031 წლის ახლო ხანებში გარდაიცვალა.

<sup>2</sup> ავიაპანტის სკრიპტორიუმის შესახებ იხ. ზემოთ.



თუ „ათენაგენ-მარინას“ მინიატურა თავიდანვე მცირე სვინაქსრის კუთვნილება იყო, ბუნებრივია, მინიატურის მეორე გვერდზე მოთავსებული ტექსტის ფრაგმენტი მცირე სვინაქსრის შესაბამისი ნაწილი უნდა ყოფილიყო. ჩვენ ვცადეთ მინიატურის ტექსტის დაკავშირება ძირითად ტექსტთან, მაგრამ ეს არც ისე ადვილი აღმოჩნდა მინიატურის ტექსტის დაზიანების გამო. როგორც ჩანს, ჩაკერების პროცესში მინიატურა სიგრძეში დამოკლდა, რის გამოც მისი ტექსტისა და ძირითადი ტექსტის სტრიქონები ერთმანეთს ასცდა, აზრობრივი კავშირის გაბმა ერთმანეთისაგან აცილებულ სტრიქონებს შორის ძნელი აღმოჩნდა. ტექსტის გამართვისათვის საჭირო იყო, ამ საკითხავის სრული ტექსტი გვექონოდა ხელთ. ასეთი ტექსტის მოპოვება კი შეუძლებელი იყო, ვინაიდან მცირე სვინაქსრის მხოლოდ ამ ერთადერთმა ნუსხამ (A-648) მოაღწია ჩვენამდე. ამიტომ გადავწყვიტეთ გიორგი მთაწმიდელის მიერ თარგმნილი დიდი სვინაქსრისათვის მიგვემართა<sup>1</sup>. მოლოდინი გაგვიმართლდა; მცირე სვინაქსრის დაზიანებული ტექსტი აღმოჩნდა 18 ივლისის დღეზე განწყობილი წმ. იაკინთე ამასტრელის ხსენებისათვის განკუთვნილი სვინაქსარული ცხოვრება. დიდი სვინაქსრის იმავე სვინაქსარული საკითხავის საშუალებით შესაძლებელი გახდა მცირე სვინაქსრის დაზიანებული ტექსტის აღდგენა და გამართვა. ამით მცირე სვინაქსარს დაუბრუნდა იაკინთე ამასტრელის სვინაქსარული ცხოვრების სრული ტექსტი. ამავე დროს გამოჩნდა მცირე და დიდი სვინაქსრების ურთიერთმიმართების ზოგი საინტერესო ასპექტი, რაც მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა როგორც ამ ორი შესანიშნავი მთარგმნელის მთარგმნელობით პრინციპებზე, ისე მათ ბერძნულ წყაროებზეც. მაგრამ ეს საკითხი ცალკე შესწავლის საგანია და იმედია, ამაზე მცირე და დიდი სვინაქსრის გამომცემლები იზრუნებენ.

ამგვარად, ათენაგენ-მარინას მინიატურის მეორე გვერდზე შემორჩენილი ტექსტის რაობისა და სვინაქსარში მისი ადგილის განსაზღვრამ დაადასტურა ვარაუდი, რომ ეს მინიატურა თავიდანვე A-648 ხელნაწერის კუთვნილება იყო.

და ბოლოს, გასარკვევი რჩება ერთი საკითხი: რით უნდა აიხსნას, რომ მხოლოდ ამ მინიატურას აქვს ქართული მთავრული წარწერა — „მარინა“, გაკეთებული მინიატურის ოქროს ფონზე იმ დროს, როდესაც

<sup>1</sup> დიდი სვინაქსრის ტექსტისათვის ვისარგებლეთ მდ. ლაქიძის მიერ გადაწერილი ტექსტით, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.



მინიატურას თავზე ბერძნული წარწერა აქვს, სადაც მოხსენიებულია მინიატურაში გამოსახული ორივე წმინდანი: ათენაგენიცა და მარინაც. როგორც ითქვა, მინიატურა ხელნაწერიდან ამოჭრა წარწერის გარეშე, ხოლო მისი უკან ჩაკერებისას ბერძნული წარწერა ნაკერით დაიფარა და მინიატურაში გამოსახულ წმინდანთა იდენტიფიკაციისათვის აუცილებელი წარწერა გაქრა. ამავე ჯგუფის დანარჩენ სამ მინიატურას კი ყველას ახლავს ბერძნული წარწერა. როგორც ზემოთ ითქვა, ამ ნაკლის გამოსწორება უნდა ეკისრა ამ მინიატურის ამომჭრელს, ან ხელნაწერში მის ჩამკერებელს. პირველ შემთხვევაში ადგილი წარწერის გაკეთებისათვის მხოლოდ მინიატურის ოქროს ფონი იყო, მაგრამ ვინაიდან თავიდანვე მინიატურის სივრცეზე წარწერისათვის ადგილი არ ივარაუდებოდა, ამიტომ ორივე წმინდანის სახელის მოთავსება ფონზე შეუძლებელი აღმოჩნდა. ამან განაპირობა მარტო ერთი სახელის (მარინას) მოთავსება წმინდანთა ორ ფიგურას შორის. თუ ეს ქართული წარწერა გაკეთდა მინიატურის ჩაკერების შემდეგ, მაშინაც წარწერის გაკეთების ერთადერთი შესაძლებელი ვარიანტი ისევ მინიატურის ფონი იქნებოდა, რადგან თავისუფალი სივრცე წარწერისათვის არ არსებობდა. ამრიგად, წარწერა ყველა შემთხვევაში მინიატურის ხელნაწერიდან ამოჭრის შემდეგ გაკეთდა. ამოჭრილი მინიატურის ქართული მთავრული წარწერა გაკეთებულია ქართველი მწიგნობრის მიერ, რომელიც ფლობდა ქართული კალიგრაფიის მაღალ ხელოვნებას. დროის თვალსაზრისით წარწერა დიდად არ უნდა იყოს დაშორებული ხელნაწერის შექმნის პერიოდს (1030 წ.). აქვე ისმის კითხვა, ხომ არ შეიძლება ამ წარწერის გამკეთებელი A-648 ხელნაწერის გადამწერი ბასილი მალუმის ძე ყოფილიყო? (რა თქმა უნდა, მინიატურის ხელნაწერში ჩაკერების შემდეგ). მაგრამ მინიატურის წარწერის შედარებამ სვინაქსარის ტექსტის მთავრულთან მსგავსება არ დაადასტურა. სვინაქსარში გამოყენებული მთავრული ხელი თავისი სისადავით კარგად არის შერწყმული მთელი ხელნაწერის სადა, დახვეწილ კალიგრაფიულ ნუსხურთან. მინიატურის წარწერა კი უფრო სტილიზებული და დეკორატიულია, მოგვაგონებს XI-XII სს. ოქრომჭედლობის წარწერებს. ვინც არ უნდა იყოს ის ქართველი ოსტატი, რომელმაც გააკეთა მინიატურის წარწერა, ის XI საუკუნის I ნახევრის დახვეწილი გემოვნების მქონე ხელოვანი და კალიგრაფი უნდა ყოფილიყო.

ზაქარია ბანელი სვინგელოზი, ვალაშკერტელი, ბერძნულად დაწერილ ლექსში<sup>1</sup> თავის თავს უწოდებს ივერიელ ბერს (ე.ი. ქართველ ბერს). არისტაკეს ლასტივერტეცი თავის „ისტორიაში“ მას „გვარად ქართველად“ (ე.ი. ქართველად) იხსენიებს<sup>2</sup>.

ზაქარიას მთელი სასულიერო, კულტურული თუ საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა ქართულ საქმეს ემსახურება. ზემოთ განხილული ავტობიოგრაფიული ანდერძიც იმას მოწმობს, რომ ზაქარია ქართული მაღალი ფეოდალური წრიდან იყო. ცხოვრების დიდი ნაწილი მან ტაოში გაატარა და ტაოს უდიდესი ეპარქიის, ბანას, მამამთავრობას მიაღწია. ზაქარიამ როგორც ბანელმა, ბიზანტიის იმპერატორისაგან სვინგელოზის პატივი დაიმსახურა. ამავე დროს XI ს. 20-იანი წლებისათვის მან ბანელობასთან ერთად ვალაშკერტის სამწყსოს ეპისკოპოსობაც შეითავსა. მის საეკლესიო წოდებას ვალაშკერტელიც დაემატა.

ყველა ზემოთმოტანილი ფაქტის მიუხედავად, რომლებიც არაერთარ ეჭვს არ ტოვებენ ზაქარიას ქართველობაში, მაინც გამოჩნდნენ მეცნიერები, რომლებმაც ქართველების სომეხ ქალკედონელებად ფერისცვალების დამუშავებული მეთოდისკის მეშვეობით ზაქარია ბანელი მამამთავარი, სვინგელოზი და ვალაშკერტელი სომეხ ქალკედონელად გამოაცხადეს. ამის თაობაზე ვარაუთინოვა-ფიდანიანი წერს: "Аристакэс Ластивертци, рассказывая о Захарии епископе Валаршакертском, называет его "родом грузин" (რაც ავტორის თვალსაზრისით, ეროვნებით სომეხს და „სარწმუნოებით ქართველს“ ნიშნავს, ე.ი. სომეხს, ქართული ან ქალკედონური სარწმუნოების მქონეს)<sup>3</sup>. ზაქარიას არაქართველობის დასამტკიცებლად ავტორს მოაქვს კიდევ ერთი საბუთი, რომელიც ეხება ზაქარიას ვალაშკერტელობას: "Валаршакертская епархия в центре Армении с халкедонитскими традициями, восходящими к VI веку, вряд-ли могла иметь епископом грузина в начале XI в. (в ведение грузинского католикоса Валаршакерт переходит только в XIII в. А в

<sup>1</sup> თ. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 467-468.  
<sup>2</sup> Повествование вардапета Аристакэса Ластивертци. Пер. К.Н.Юзбашяна. М., 1968, с.60.  
<sup>3</sup> В.А.Арутюнова-Фиданян, Армяне-халкедониты на восточных границах византийской империи (XI в.), 1980, с. 62.

XI в. - в период экспансии Византии - Валаршакертская обитель, по видимому, подчинялась Константинополю".<sup>1</sup>

წერილობითი ცნობები იმის შესახებ, თუ რომელ ეპარქიაში შედიოდა ვალაშკერტი და ვის ექვემდებარებოდა იგი XI ს-ში, არ ჩანს.

ვალაშკერტის მხარე ამჟამად თურქეთის ტერიტორიაშია მოქცეული. იგი შეესაბამება ისტორიული სომხეთის ბაგრევანდის ოლქს, მოიცავდა მდარეზის (რაცის) და ბაგრევანის ხეობებს და ესაზღვრებოდა ბასიანს. ამ მხარის ქართველთა სამეფოს დაქვემდებარებაში შესვლა X ს-ის დამლევებიდან არის სავარაუდებელი. ბასიანთან და სხვა ადგილებთან ერთად ვალაშკერტი უნდა შესულიყო ბიზანტიელების მიერ დავით კურაპალატისათვის მისგან გაწეული დანმარების საზღაურად გადაცემულ იმ ტერიტორიებში, რომლებიც დავითის გარდაცვალების შემდგომ სადაოდ იქცა მის მემკვიდრეებსა და ბიზანტიას შორის. იმის ერთ-ერთ დადასტურებად, რომ ქართველებს ხელი მიუწვდებოდათ ვალაშკერტზე, ხოლო ვალაშკერტელი ეპისკოპოსი ექვემდებარებოდა მცხეთის კათალიკოსს, ჩანს X-XI სს-ის მიჯნის სომეხ ისტორიკოსთან არისტაკეს ლასტივერტეცთან ვალაშკერტის ეპისკოპოს ზაქარიას ქართველობისა და მისი ელჩობის შესახებ დაცულ ცნობებში<sup>3</sup>.

ვფიდანიაანის ვარაუდი, ვფიქრობთ, საფუძველს მოკლებულია. რაკი ვალაშკერტის საეპისკოპოსო კათედრა ზაქარია ბანელმა მამამთავარმა შეითვისა, ამით ეპარქიაც ბანას დაუკავშირა. მაშასადამე, ვალაშკერტი ბანას ეპარქიაში შედიოდა უკვე XI საუკუნიდანვე, როგორც მართლმადიდებლური ეკლესია, რაც იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ ამ რეგიონში ქართული მოსახლეობაც სახლობდა და ქმნიდა ეპარქიის მრევლს. ასეთივე ვითარება უნდა ყოფილიყო ყარსის რეგიონის სოფელ ჩანგლის ეკლესიაშიც, რაზეც გვინდა შევანიჭოთ ყურადღება.

ვალაშკერტის ეკლესია არ იყო ერთადერთი სომხეთის ტერიტორიაზე ქართულ-სომხური მოსახლეობით, რომელსაც ორენოვანი მრევლი ჰყავდა და სადაც წირვა ქართულად მიმდინარეობდა. იმავე პერიოდში, XI საუკუნის პირველ მეოთხედში, ზაქარიას ვალაშკერტელობის წლებში, ჩანს, ყარსის ვილაიეთის სოფ. ჩანგლში შეიქმნა მონასტერი

<sup>1</sup> В.А.Арутюнова-Фиданиян, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 62.

<sup>2</sup> დ. კლდიაშვილი, *დაფანჩულთა საგვარეულოს ისტორიისათვის (ვაშლიქვეყნებელი ნაშრომი)*.

<sup>3</sup> გოჩა ჯაფარიძე, *საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამის სამყარო*, თბ., 1995, გვ. 162, 171.



და აშენდა სამონასტრო გუმბათიანი ეკლესია, სადაც, საფიქრებელია წირვა ქართულ ენაზე მიმდინარეობდა. ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს ორი ქართული ასომთავრული წარწერა ჩანგლის ეკლესიისა. ეს წარწერები არ არის სამშენებლო ხასიათისა. ერთი წარწერა სააღაპე განაწესს წარმოადგენს: მაშენებელს განუწესებია სააღაპე შემოწირული თანხის სანაცვლოდ შემოშწირველის (თეოდორეს) სულის სალოცველად სამონასტრო ტრაპეზიდან ორი გარეშე კაცისათვის პურის გაცემა. ეს ქართული სააღაპე წარწერა გულისხმობს ეკლესიასთან მონასტრის არსებობას, სადაც, ალბათ, ძირითადად ქართველები ცხოვრობდნენ<sup>1</sup>.

განუჩრჩველად იმისა, ექვემდებარებოდა თუ არა ოფიციალურად ვალაშკერტის ეპარქია XI საუკუნის პირველ მეოთხედში ქართლის კათალიკოსს<sup>2</sup>, ტაოცა და მისი მეზობელი სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე სომხეთის რეგიონები (ვალაშკერტი, ყარსი) ბიზანტიის პოლიტიკური ინტერესების სფეროში შედიოდა. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ ვალაშკერტის ქალკედონური ეპარქიის ეპისკოპოსობა შეთავსებით ზაქარიას, ბანას მამამთავარსა და სვინგელოზს, ბასილი II ნდობით აღჭურვილ პირს, დაევალა. ეს აქტი იმითაც იყო გამართლებული, რომ ვალაშკერტის და ყარსის ეპარქიაში ქართველთა მრევლი საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო (ამის შესახებ ქვემოთ).

ერთ ბედ ქვეშ მყოფ ტაოსა და მის მეზობელ სომხეთის რეგიონებს იმდენი საერთო საზრუნავი ჰქონდათ, იმდენჯერ გაუწვდიათ მათ კრიტიკულ მომენტებში ერთმანეთისათვის დახმარების ხელი, რომ არაფერია უცნაური და მოულოდნელი იმაში, რომ ორენოვან ვალაშკერტის ეპარქიის ეპისკოპოსად ქართველი ბანელი ეპისკოპოსი განწესებულიყო. ამრიგად, ვფიდანინანის ეჭვი, თუ რამდენად შესაძლებელია სომხეთის ცენტრში არსებულ ვალაშკერტის ქალკედონური ეპარქიის ეპისკოპოსად ქართველი განწესებულიყო, უსაფუძვლოა. ფიდანინანის მიერ დასმულ კითხვაზე ამ შემთხვევაში შეგვიძლია კითხვითვე ვუპასუხოთ: თუ ზაქარია ქალკედონელი სომეხი იყო, მაშინ როგორღა ჩააბარეს მას ტაოს უდიდესი ეპარქიის, ბანას, მესვეურობა? ამ უმაღლეს

<sup>1</sup> ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში 1907 წ. პარიზი, 1938, გვ. 86; В.Беридзе, Место памятников Тао-Кларджети в истории грузинской архитектуры. Тбилиси, 1981, с. 186-187. J.M.Thierry, A propos de quelques monuments chrétiens du vilayet de Kars (Turquie). - Revue des études arméniennes, Nouvelle serie, t. III, 1966, pp. 79-90.

<sup>2</sup> ეს საკითხი სათანადოდ შესწავლილი არ არის.



სასულიერო თანამდებობაზე განსაწესებლად ნუთუ ქართველ მოძებნიდნენ? ვფიქრობთ, რომ ზაქარია ბანელისათვის ვალაშკერტის ეპარქიის ჩაბარებას გარკვეული პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა როგორც ტაოსათვის, ასევე სომხეთის მეზობელი რეგიონებისთვისაც. მთავარი არგუმენტი ზაქარიას სომხობის დასამტკიცებლად ის არის, რომ სომეხი ისტორიკოსი არისტაკესი ზაქარია ვალაშკერტელს „გვარად ქართველს“ უწოდებს, რაც ვფიქრობთ აზრით (და არა მარტო მისი), ნიშნავს სომეხს, რომელიც სარწმუნოებით ქალკედონელია, სომეხს, რომელმაც ქართული მართლმადიდებლობა მიიღო.

ეს მოსაზრება დღეს კრიტიკას ვერ უძლებს. ამ საკითხზე კამათს არ ვაპირებთ, მოვიყვანთ მხოლოდ ეკატარეიშვილის იმ დიდი შრომის დასკვნებს, რომლებიც ავტორმა „გვარად ქართველის“ („ვრაცი აზგავის“) მნიშვნელობის გარკვევისას მიიღო. ამისთვის მან გამოიყენა მდიდარი სომხური საისტორიო მწერლობის ყველა მნიშვნელოვანი ძეგლი. გამოკვლევის შედეგად მიღებულ დასკვნებს ავტორი შემდეგნაირად აყალიბებს:

1. სომხურ წერილობით ძეგლებში (საისტორიო, ლიტერატურული, ეპიგრაფიკული, ანდერძ-მინაწერები) „აზგ“ („გვარი“) და მისი სინონიმური სიტყვები ყოველთვის წარმომავლობაზე, ნათესაობაზე, მოდგმაზე მიუთითებენ.

2. „აზგავ“ („გვარად“) „აღყას“, „ჰაზგე“ („გვარისაგან“), „ყაღც“ და სხვა სინონიმების ამგვარივე ფორმით შედგენილი ეთნიკური სახელები (მაგალითად: „ჰაი აზგავ“ „აყა აღყას“ – „გვარად სომეხი“, „ბაგრატუნი აზგავ“ – „ჩაყაათიისი აღყას“ („ბაგრატუნიანთა გვარიდან“), „აზგავ ჰორომ“ – „აღყას ჰოომ“ („გვარად ჰორომი“), „ი ცელენ ორბელიანც“ – „ი ვხელს საყაყესანს“ „ორბელიანთა გვარიდან“, „ჰაზგე ჰრეიც“ – „ყაღც ჩიხი“ („ურიათა გვარიდან“), „ი მამიკონიან ტომჰე“ – „ი თიანს შაჰიქისნანს“ – „მამიკონიანთა ტომიდან“, „ი ტომჰე ჰაიკა“ – „ი თიანს ჩაყაყ“ – „ჰაიკის ტომიდან“, „ი ზავაკე სენეჟერიმა“ – „ი დასაქს შინს.ქეჩიანაყ“ – „სენეჟერიმის მოდგმიდან“ და სხვ. გარკვეული ხალხის ნაციონალობას აღნიშნავს და არა აღმსარებლობას.

3. ზემოთჩამოთვლილ ეთნიკურ სახელთა მსგავსად „ვრაცი აზგავ“ – „გვარად ქართველი“ – ყოველთვის წარმომავლობით ქართველს ნიშნავს, „ვრაცი აზგავით“ სომეხი ქალკედონელის აღნიშვნის საჭიროება არც ერთ სომხურ წერილობით წყაროში არ დასტურდება.



4. სარწმუნოების, აღმსარებლობის აღსანიშნავად სომხურ წერილობით წყაროებში შემდეგი სიტყვები იხმარება: „კრონქ“ – „ჰავატ“ – საათი, „უხტ“ – იხსი, „ორენქ“ – იქსი, „დავანუთიუნ“ – დასამოქმინ და სხვ. სომეხი ქალკედონელები კი ასე მოიხსენიებიან: „ერკაბნაკ“ – სიქსანსაკ – „ორბუნებიანი“, „ქალკედონიტ“ – ჟაქსიქსიქსი – „ქალკედონელი“, „ჰავანელ ჟოღოვო ქალკედონი“ – სასანსაკ ჟიქსიქსიქსი ქალკედონის კრების მომხრე და „კრონიქ ვრაცი“ – სიქსიქსიქსი რჯულით ქართველი და სხვ.<sup>1</sup>

ამგვარად, „ვრაცი აზგავი“-ს („ქსაფი აფჟა“) – ვარუთინოვა-ფიდანანის და მის თანამოაზრეთა გაგებისათვის საფუძველი არ არსებობს. ეს დასკვნა ვრცელდება არა მარტო ზაქარია ბანელზე, არამედ X-XI საუკუნეების ქართული არისტოკრატიული ოჯახების წარმომადგენლებზე, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასა და ქართული კულტურის განვითარების საქმეში, ამავე დროს კარგად იყვნენ ცნობილი და დაფასებული ბიზანტიის იმპერიაში. ესენი არიან: ძმები ბაკურიანები<sup>2</sup>, ძმები ფერსი და თევდა ვოჯიკის ძენი, ჩორდვანელების დიდი ოჯახის წევრები და სხვანი.

აქვე გვინდა შევხედეთ ერთ ცნობაზე ზაქარიას შესახებ, რომელიც სკილიცას ეკუთვნის: „ვინმე ზაქარია ბერს, თევდატის ნათესავს, კონსტანტინე VIII-მ ენა ამოვლიჯა იმის გამო, რომ იგი აქეზებდა და მოუწოდებდა აჯანყებისაკენ მაღალი წრის წარმომადგენლებს“. ამ ცნობას ეხებიან კიოზბაშიანი და ვარუთინოვა-ფიდანანი.

კიოზბაშიანს შესაძლებლად მიაჩნია სკილიცასთან მოხსენიებული ზაქარია ბერის გაიგივება ზაქარია ბანელ-ვალაშკერტელთან<sup>3</sup>. ამ იდენტიფიკაციას შეუძლებლად მიიჩნევს ვარუთინოვა-ფიდანანი<sup>4</sup>, რომლის პოზიცია ადვილი ასახსნელია: მას მიაჩნია, რომ ზაქარია ბანელ-ვალაშკერტელი სომეხი ქალკედონიტია, ამდენად ქართველი დიდებულის

<sup>1</sup> ე. ცაგარეიშვილი, „ქსაფი აფჟა“-ის („გვარად ქართველი“) მნიშვნელობისათვის სომხურ წერილობით ძეგლებში. - მრავალთავი, XVI, 1991, გვ. 116-117. იხ. აგრეთვე: საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროების შესწავლის საკითხები. რესპუბლიკური სერია. ქალაქი სენაკი. 1990

<sup>2</sup> ბაკურიანის მოღვაწეობის შესახებ იხ. Н. Ломоури, К истории грузинского петрищонского монастыря. Тбилиси, 1981.

<sup>3</sup> Аристакэс, დასახ. ნაშრომი, გვ. 149.

<sup>4</sup> В. Арутюнова-Фиданян, დასახ. ნაშრომი, გვ. 63.



თევდატის ნათესავი ზაქარია ბერი არ შეიძლება გავაიგივოთ საქალკედონიუ ზაქარია ბანელ-ვალაშკერტელთან.

ერთადერთი წერილობითი წყარო ბასილი II-სა და ზაქარია ბანელს შორის მომხდარი კონფლიქტის შესახებ არის არისტაკეს ლასტივერტეცის „ისტორია“. სკილიცას ცნობების წყაროც არისტაკესი უნდა იყოს, ოღონდ სკილიცას არასწორად ჰყავს დასახელებული კონსტანტინე მეფე ბასილი II-ის ნაცვლად. ასეთი უზუსტობანი დამახასიათებელია სკილიცასათვის.

არისტაკესისაგან განსხვავებით, სკილიცასთან ზაქარია არის ბერი და არა ვალაშკერტელი. ამავე დროს სკილიცა ზაქარიას თევდატის ნათესავად მიიჩნევს.

აქ კვლავ უნდა გავიმეოროთ, რომ XI საუკუნის ბერძნული, ქართული და სომხური წყაროებისათვის დამახასიათებელია საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილი პირების მოხსენიება მათ ცნობილ ნათესავებთან მიმართებაში. მაგ.: ასოლიკი ასახელებს პატრიკ ჩორდვანელს, როგორც თორნიკეს ძმისწულს (ასოლიკი, გვ.265)<sup>1</sup>, იგი ასახელებს ასევე მაგისტროს ჩორდვანელს, როგორც თორნიკეს ძმისწულს (ასოლიკი, გვ.252). ორივე შემთხვევაში თორნიკესთან ნათესაური კავშირის აღნიშვნით ასოლიკი გვაცნობს მის ძმისწულებს, რომელთაც იმ დროს ბიზანტიის საზოგადოება, ჩანს, ნაკლებად იცნობდა. თორნიკეს კირეკომენდაცია არ ესაჭიროებოდა.

ანალოგიური მაგალითების მოტანა შეიძლება სკილიცას ისტორიიდანაც.

სკილიცა რომანოზ არგვირუსის მიერ დასჯილ შეთქმულთა სიაში ქართველთაგან გიორგი ვარაზგაჩესთან ერთად ასახელებს აგრეთვე თევდატის ძმისწულებს, სახელების მოუხსენიებლად. ისინი მოხსენიებულინი არიან არა როგორც ძენი ფერსი ჯოჯიკის ძისა, არამედ როგორც ფერსის ძმის – თევდატის ძმისწულები.

სავსებით ბუნებრივია, რომ კონსტანტინოპოლში მცხოვრები ფერსის ვაჟიშვილები სკილიცამ მოიხსენია არა როგორც მეფის მოლატე ფერსის ძენი, არამედ როგორც ძმისწულები თევდატისა, რომელიც, როგორც ჩანს, კარვად იყო ცნობილი ბიზანტიური საზოგადოებისათვის.

<sup>1</sup> Сѣвѣрѣнѣи, Сѣвѣрѣнѣи Сѣвѣрѣнѣи, „Историческіе вѣдѣнія“ С. Мѣтѣрѣвѣ, 1985.



ამრიგად, სკილიცაც თავის „ისტორიაში“ იმავე მეთოდს მიმართავს, რასაც ასოლიკი: თხრობაში შემოყვანილ ფერსი ჯოჯიკის ძის უცნობ ვაჟიშვილებს მკითხველს აცნობს ბიზანტიის საზოგადოებაში კარგად ცნობილი ფერსის ძმის, თევდატის საშუალებით.

იმავე მეთოდს მიმართავს სკილიცა ზაქარია ბერის<sup>1</sup> მიმართაც. ამ შემთხვევაშიც ის მას მკითხველს აცნობს როგორც თევდატის ნათესავს, მაგრამ არ აზუსტებს ნათესაობის ხარისხს. იყო თუ არა სინამდვილეში ზაქარია ბანელი თევდატის, ე.ი. ჯოჯიკთა ნათესავი, ამის დამამტკიცებელი სხვა ცნობები ჩვენთვის ცნობილი არ არის. ჯოჯიკთა სახლის პატრონი იყო ჯოჯიკ ერისთავთერისთავი (ბარდა სკლიაროსთან ბრძოლაში ქართული მხედროვნის ერთ-ერთი მხედართმთავარი). ჯოჯიკ ერისთავთერისთავის შთამომავლები (ძენი) არიან თევდატი და ფერსი. მესამე თაობა — მათი შვილები არიან. შესაძლებელია, ზაქარია ქალთა შტოს მხრივ იყო დაკავშირებული ამ სახლთან<sup>2</sup>.

ერთი კი აშკარაა, რომ სკილიცა, ზაქარიას თევდატის ნათესავად რომ ასახელებდა, იმასაც გულისხმობდა, რომ ზაქარია, თევდატის მსგავსად, ქართველი იყო.

<sup>1</sup> სკილიცა რომ ზაქარიას ქართველ ბერად მოიხსენიებს მისი წოდებების (ბანელი, სინგლოზი, ვალაშკერტელი) გარეშე, ადვილი ასახსნელია: ზაქარია ბანელის დაწერილ ბერძნულ ლექსშიც, რომელიც ერთვის „მცირე სინაქსრის“ ხელნაწერს (A-648), ავტორი თავის თავს „ქართველ ზაქარია ბერს“ უწოდებს. საფიქრებელია, ამ ზედწოდებით ზაქარიას იცნობდნენ კონსტანტინოპოლის მწიგნობართა წრეში.

<sup>2</sup> კონსტანტინოპოლში ყოფნის დროს (1022-1032 წწ.) ზაქარია უთუოდ დაუკავშირდებოდა იქ სანგრძლივად მცხოვრებ თევდატს, მის ოჯახს და ასევე ფერსის ოჯახის წევრებს, რომლებიც 1022 წელს ზაქარიას მსგავსად ტაოდან კონსტანტინოპოლში გადაასახლეს. შესაძლოა, ეს ფაქტიც ვახდა იმის საბაზი, რომ სკილიცამ ზაქარია ნათესაურად თევდატს დაუკავშირა.

## იოანე პატრიკისა და პეტრე პატრიკის იდეოლოგიკაციისათვის



იოანე პატრიკის, პეტრიკ-ყოფილის, მოღვაწეობის შესახებ ცნობებს გიორგი მცირის მიერ დაწერილი გიორგი მთაწმიდელის „ცხორება“ გვაწვდის. ცნობები მეტად საგულისხმო და მნიშვნელოვანია.

ამ პიროვნებამ თავისი მოღვაწეობის ხასიათით დიდი ხანია მიიპყრო მკვლევართა ყურადღება.

გიორგი მთაწმიდელის მოწაფეთა და თანამედროვეთა საქმიანობის შესწავლასთან დაკავშირებით, ჩვენს წინაშე, ბუნებრივია, დადგა საკითხი — მოგვეძიებინა რაიმე დამატებითი ცნობები იოანე პატრიკის მოღვაწეობისა და მისი დამოკიდებულების შესახებ გიორგი მთაწმიდელთან. ამ ძიებას შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ დაიბადა ეჭვი, რომ იოანე პატრიკი — ასეთი პიროვნება — საერთოდ არ არსებობდა, და რომ იოანე პატრიკი პეტრიკ-ყოფილი იგივე პეტრე პეტრიკ-ყოფილია. ამ ვარაუდის სასარგებლოდ მრავალი ფაქტი მეტყველებს. იმ ხელნაწერების შესწავლის შედეგად, რომლებიც საფუძვლად დაედო გიორგი მთაწმიდელის „ცხორების“ ყველა არსებულ გამოცემას, რადიკალურად შეიცვალა ჩვენი კვლევის გეზი და მიმართულება. საჭირო გახდა არა მხოლოდ იოანესა და პეტრეს იდეოლოგიკაციის მტკიცება, არამედ იმის გარკვევა, თუ საიდან გაჩნდა გიორგი მთაწმიდელის „ცხორების“ ყველა გამოცემაში იოანე პატრიკი პეტრიკ-ყოფილი.

რა ვიცი დღეისათვის იოანე პატრიკის შესახებ: გიორგი მცირე, რომელიც იყო გიორგი მთაწმიდელის „თუალით მხილველი და ჯელით მსახური და ყურით მსმენელი სიტყუათა წმიდისა პირისა მისისა“, ამავე დროს ქართველ მთაწმიდელთა საზოგადოებრივი, მთარგმნელობითი, სამწერლობო-სამეცნიერო მოღვაწეობის შემფასებელი, — ცდილობდა გიორგის „ცხორებაში“ რაც შეიძლება სრულად წარმოეჩინა გიორგის როგორც მოღვაწის, მთარგმნელისა და მეცნიერის საქმიანობა. ამისათვის ის სარგებლობდა სხვადასხვა წყაროებითა და მასალებით. გიორგი მთაწმიდელის მთარგმნელობითი საქმიანობის შესახებ მასალები, როგორც ჩანს, გიორგი მცირისათვის იოანე პატრიკსაც მიუწოდებია. „ცხორებაში“ ვკითხულობთ: „ჯერ არს, რაფთა სახელითცა რაოდენნიმე მოვიჭყენე წიგნი, რომელნი მას ნეტარსა უთარგმნიან, რაფთა მათ მიერ ეუწყოს ქრისტეს მორწმუნეთა მოღუაწეობაჲ წმიდისა ამის კაცისაჲ, რამეთუ არა თუ მთაწმიდას და შავსა მთასა ოდენ თარგმნა, რაჲ-

თამცა თვითოეულად აღვრაცხენით, არამედ სამეუფოს და გზას სულუმი  
ბრისა, ანტიოქიას, სუმონ-წმიდას და კალიპოსს და სხუათა ესევეთათა  
ადგილთა, რამეთუ რომელნიმე წიგნნი ორკეცად და სამკეცად გადაწ-  
ერილ არიან, რომელ-ესე მოსაგონებლადცა დიდ არს, ვითარმცა  
ესოდენნი წიგნნი ერთმან კაცმან მზანი თარგმნილი ცხორებასა შინა  
თვსსა აღწერნა, არა რომელმცა ბერძულისაგან სრულიად თარგმნა,  
ვითარ-ესე კაცმან ამან საკვრველმან მალლად და ღმრთივბრწყინვალედ  
აღწერნა<sup>1</sup>. ამას მოსდევს ჩამოთვლა გიორგის მიერ თარგმნილი წიგნე-  
ბისა, რომელიც მთავრდება შემდეგი სიტყვებით: „ხოლო უკუეთუ ვინმე  
იყოს მოსწრაფეთაგანი... და უნდეს ცნობის ძალი თვთეულისა წიგნისაჲ,  
თუ რაჲ სწერია, ამისვე წიგნისა ბოლოსა პოოს აღრიცხულად და გან-  
მარტებულად თვთოეულისა წიგნისა ზანდუკი და ანდერძი  
ღმრთივმუენიერ და ბრწყინვალედ, რომელი წმიდამან ბერმან იოანე  
პატრიკმან, პეტრიკ-ყოფილმან აღწერა, რაჟამს-იგი თავისა თვისსათვს  
გარდაიწერნა წმიდანი ესე წიგნნი, ყოველი წულილ-წულილად  
აღირიცხვა ვალობაჲ და დასდებელი ფრიადითა შრომითა და  
გულსმოდგინებითა“<sup>2</sup>.

როგორ წარმოგვიდგება იოანე პეტრიკ-ყოფილი მოტანილი ცნო-  
ბის მიხედვით? იოანე ყოფილა თავისი დროისათვის განსწავლული პი-  
როვნება და ბიბლიოფილი, გიორგი მთაწმიდელის სამწერლობო საქმი-  
ანობის დიდი დამფასებელი და პოპულარიზატორი. მას თავისთვის  
გადაუწერია გიორგის ყველა თარგმანი, მათზე დართული ვრცელი ან-  
დერძ-ზანდუკებით, ურომლისოდაც გიორგის თარგმანთა მნიშვნელობის  
სრული შეფასება დღესაც ძნელია, ვინაიდან გიორგი მთაწმიდელი  
ათონელთა წრეში პირველი ქართველი მეცნიერი იყო, რომელიც ხელ-  
ნაწერებზე დართულ ანდერძ-ზანდუკ-საძიებლებში წარმოაჩენდა სრულ-  
სურათს იმ დიდი ფილოლოგიური მუშაობისა და მეცნიერული ძიებე-  
ბისა, რომელთაც ის ატარებდა ბერძნულიდან ქართულად თარგმნის  
დროს, რათა ამა თუ იმ წიგნის ქართული რედაქცია შეექმნა (ამავე ტი-  
პისა და მასშტაბის მეცნიერი იყო პალესტინურ კულტურულ გარე-  
მოცვაში მოღვაწე იოანე ზოსიმე (X ს.).

გიორგის ანდერძები და ზანდუკ-საძიებლები ერთვოდა უმეტესად  
გიორგის ავტოგრაფულ ნუსხებს. იოანე პატრიკი, ჩანს, გიორგის უახ-

<sup>1</sup> ძველი ქართული ავტოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, გვ. 146-147.

<sup>2</sup> იქვე, II, გვ. 148.



ლოესი მოწაფეთაგანი იყო, რომელსაც ადვილად მიუწვდებოდა ხელი. გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფებზე, იგი ერთი პირველთაგანი იწერდა გიორგის თარგმანებს ანდერძ-ზანდუკებითურთ. გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფების მოპოვება დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული, ვინაიდან გიორგის მთარგმნელობითი მოღვაწეობის ასპარეზი ძალიან ფართო იყო. გიორგის სიცოცხლეში და მისი გარდაცვალების შემდეგაც მისი ავტოგრაფებისა და ნუსხების მოპოვებას, მათი გადაწერის მიზნით, ცდილობდნენ როგორც უცხოეთის მწიგნობრული კერების (ვფრის მონასტერი, შავი მთა), ასევე საქართველოს მრავალრიცხოვანი სამონასტრო სკრიპტორიუმების მოღვაწენი.

გიორგის თარგმანები, ნუსხების სიმცირის გამო, მის სიცოცხლეში ნელა ვრცელდებოდა როგორც უცხოეთის, ისე ადგილობრივ სამწიგნობრო კერებში, მიუხედავად იმისა, რომ მის მიერ ახლად თარგმნილ ლიტურგიკულ ძეგლებს დიდი კულტურული და პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა ქართული ეკლესიისათვის. გიორგის თხზულებათა ნუსხების ნელი გავრცელების ერთ-ერთი მიზეზი, ალბათ, ისიც იყო, რომ გიორგის წიგნების ანდერძ-საძიებლებში გარკვევა და იმ მოთხოვნების დაცვა, რასაც გიორგი თავის ანდერძებში გადამნუსხველებს უყენებდა, ყველას არ შეეძლო. ეს ხელეწიფებოდათ მხოლოდ კარგად განსწავლულ მწიგნობრებს. ასეთად მიაჩნდა გიორგი მცირეს იოანე პეტრიკ-ყოფილი. ამრიგად, გიორგი მთაწმიდელის „ცხორების“ მიხედვით, იოანე პატრიკი პეტრიკ-ყოფილი ერთი იმ პირთაგანია, რომელიც გიორგი მცირეს ხელს უმართავდა გიორგის „ცხორების“ დაწერისას. „ცხორებიდან“ სხვას ვერაფერს ვგებულობთ იოანე პატრიკის შესახებ. ცნობები მის შესახებ ადრეულ წერილობით წყაროებში არ ჩანს. იოანე კვლავ გამოჩნდა უკვე XVIII-XIX საუკუნეების ბიობიბლიოგრაფიული ხასიათის ნაწარმოებში. ასე, მაგ.: ანტონ პირველის „წყობილსიტყვაობაში“ ვკითხულობთ:

თუკ მამისა იოანე პატრიკ-ყოფილისა.  
 პატრიკი პირველ, მთავარი დიდებული,  
 ქართველთ დიდება, ნეტარი იოანე,  
 მონაზონების მაგალითი საკმაო,  
 წიგნთა თარგმანი, ფილოსოფოსი საღმრთო,  
 ვაქოთ სამართლად, რამეთუ ჰმუნის მისდა.  
 იოანესა — ქრისტესდა შედგომილსა,  
 მისთუკ განსრულსა სოფლისადა, მისთუკ ვჟუარცმულს,

ეკლესიისა ქართველთასა გვრგვნსა,  
ბერძენთა შორის ქება-ჟმა-განსმენილსა,  
სოფლისა მზესა ჰჰუენის შესხმა-ქებანი.<sup>1</sup>

თუ ჩამოვაცილებთ ანტონის იამბიკოებს არაფრისმთქმელ ზოგადსიტყვაობას, დაგვრჩება „ცხორებაში“ მოტანილი ცნობები, არც თუ სწორად გაგებული ანტონის მიერ. ანტონს გიორგის „ცხორების“ მიხედვით იოანე ესახება როგორც დიდად განათლებული მწიგნობარი, რომელსაც ის უკვე თავის მხრივ მიაწერს ყველა იმ თვისებას, რომელიც მის მწიგნობრობას შეჰფერის, მაგრამ ამასთანავე არასწორად გადმოგვცემს იოანეს ზედწოდებას: იოანე პატრიკ-ყოფილი ნაცვლად იოანე პეტრიკ-ყოფილისა. „ცხორების“ მიხედვით კი, იოანე არის პატრიკი, პეტრიკ-ყოფილი. ე.ი. იოანეს საერო სახელი ყოფილა პეტრიკი, სასულიერო კი იოანე. ამიტომ ის არის იოანე პეტრიკ-ყოფილი. ამავე დროს იოანეს ჰქონია პატრიკის წოდებაც. ეს შეცდომა მომდინარეობს, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ხელნაწერთა განსხვავებული წაკითხვებისაგან. გიორგის „ცხორების“ ზოგ გვიანდელ ხელნაწერში პეტრიკის ნაცვლად პატრიკი გვხვდება, იოანეს მაგიერ — პეტრე (იხ. ძეგლები, II, გვ. 177-ის სქოლიოები). პეტრიკი საკუთარი სახელია, ხოლო პატრიკი — ბიზანტიის კეისრისაგან მიღებული პატივი, წოდება. ამდენად პატრიკი არ შეიძლება დაუპირისპირდეს მისი ერობის სახელს, როგორც იოანეს ბერობის სახელი. სამწუხაროდ, ანტონისაგან მომდინარე ეს შეცდომა გადავიდა თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაშიც<sup>2</sup>.

იოანე ასევე პატრიკ-ყოფილად არის მოხსენიებული „ძველ ქართველ მთარგმნელთა სიაშიც“, რომელიც დაუცავს ამბროსი ნეკრესელის ცნობილ კრებულს (H 1283, 31r).

იოანე პეტრიკ-ყოფილის დახასიათებაში უფრო შორს წავიდა იოანე ბატონიშვილი, რომელსაც წყაროდ, ალბათ, ანტონის „წყობილსიტყვაობა“ ჰქონდა ხელთ. მის „მცირე უწყებან“-ში ვკითხულობთ:

„თვის მამისა იოანე პატრიკ-ყოფილისა. ესე იოანე პატრიკი იყო ქართველთა დიდებულთაგანი. ამან ისწავა ღმრთისმეტყველ-ფილოსოფია

<sup>1</sup> ანტონ ბაგრატიონი, წყობილსიტყვაობა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ივ. ლოლაშვილმა, თბ., 1980, გვ. 267.

<sup>2</sup> ანტონ ბაგრატიონი, წყობილსიტყვაობა, გვ. 351, ლმენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, II, 1980, გვ. 166. ჯ.აფციაური, გიორგი მცირის „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება“, თბ., 1959, გვ. 59. ანალოგიური ვითარებაა პეტრე პატრიკის მიმართ.





და ენა ელინთა და სვგათა. და იყო კარგი მხედარი და საქმიანი სხეული დიდებულთა შორის. უკანასკნელ დაუტევა დიდება თვისი და იქმნა მონაზონ. და მრავალნი წერილნი გარდამოიღო ქართულთა ენათა ზედა. და შეამკო ეკლესიანი და განაშენენა, რომელსა სახელ-სდევს ქართველთა გვირგვინად. და მერმე მარტოებით მიეცა ცხოვრებასა და ესრეთ კეთილად დაასრულნა წელინი თვისნი“<sup>1</sup>.

იოანე პატრიკზე განსხვავებული ცნობებია აცაგარლის მიერ გამოცემულ დოკუმენტებში: „ძველთა ქართველთა მთარგმნელთათვის, წმიდათა მამათა და მეცნიერთათვის, რომლის წელს, რომლის-მეფის დროს, ან სადაურნი იყენენ, და ამათ გადმოიღეს ელინურიდან საღმრთო წერილი“. ამ დოკუმენტში იოანე პატრიკზე ვკითხულობთ: „ამავე მეფის დროსა (იგულისხმება ბაგრატ IV) იყენენ ქართველნი ესე მთარგმნელნი: იოანე პატრიკ-ყოფილი, ფილოსოფოსი, პეტრიწად ზედწოდებული, და სტეფანე, 1069 წელსა“<sup>2</sup>.

ზემოთდასახელებულ წყაროებში იოანე პატრიკი ყველგან დასახელებულია მთარგმნელად და საღმრთო ფილოსოფოსად. ამ ცნობებზე დაყრდნობით დ.ბაქრაძე აზუსტებს მისი მთარგმნელობითი მოღვაწეობის სფეროს: „იოანე პეტრიკ ყოფილი იყო მაღალი მეცნიერი და მთარგმნელი პლატონისა და არისტოტელესი“<sup>3</sup>.

როგორც ვხედავთ, უკვე XVIII-XIX საუკუნეებში იოანე პეტრიკ-ყოფილის საკმაოდ ვრცელი ბიოგრაფია შეიქმნა. ამ ცნობებზე დაყრდნობით თანამედროვე ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა განსხვავებული ვარაუდები იოანე პეტრიკ-ყოფილის ვინაობის შესახებ.

კაკეკელიძე ვარაუდობდა, რომ იოანე პეტრიკ-ყოფილი იგივე იოანე ფარნაკელია. — შავი მთის მოღვაწე და ეფრემ მცირის მოძღვარი, რომელმაც ეფრემს ურჩია ქართულისათვის პუნქტუაციის წესების შემოღება ბერძნულის მიბაძვით<sup>4</sup>. ეფრემის მოძღვრად მიიჩნევს იოანე

<sup>1</sup> „მცირე უწყებანი“ ქართველთა მწერალთათვის (XVI-XIX სს.). გამოსაცემად მოამზადა ივ.ლოლაშვილმა, თბ., 1982, გვ. 167-168.

<sup>2</sup> А.Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, т. I, вып. III, с. 267.

<sup>3</sup> დ. ბაქრაძე, საქართველოს მეფე ბაგრატ IV, გვ. 49.

<sup>4</sup> კაკეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ. 253.



პეტრიკ-ყოფილს ს.გორგაძე<sup>1</sup>. ამ ვარაუდების გამოთქმისას და ს.გორგაძეს რაიმე საბუთი არ მოაქვთ. ერთადერთი, რაც ნამდვილად ვიცით იოანე პატრიკ პეტრიკ-ყოფილის შესახებ, არის ის, რასაც გვამცნობს გიორგი მცირე. ამ უკანასკნელს ხელთ ჰქონია იოანე პატრიკის მიერ გადაწერილი გიორგი მთაწმიდელის თარგმანები თავისი ანდერძებითა და ზანდუკებით, სადაც „წულილ-წულილად აღირიცხვა გალობა და დასდებული ფრიადითა შრომითა და გულსმოდგინებითა“. სხვა რაიმე ცნობა იოანე პატრიკ პეტრიკ-ყოფილის შესახებ „ცხოვრებაში“ არ არის. ავტორი გვამცნობს მხოლოდ, რომ ის დიდი თაყვანისმცემელი ყოფილა გიორგი მთაწმიდელისა და დიდი მოწიწებით იწერდა თავისთვის ყველაფერს, რასაც თარგმნიდა გიორგი. იწერდა, როგორც ჩანს, ავტოგრაფებიდან, ანდერძებითა და ზანდუკებითურთ. ამ ცნობიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ იოანე პატრიკი ყოფილა მწიგნობარი და ქართული წიგნის დიდი დამფასებელი, განსაკუთრებით კი გიორგი მთაწმიდელის მიერ შექმნილი წიგნებისა. მას საკუთრად ჰქონია მისივე ხელით გადაწერილი გიორგი მთაწმიდელის თარგმნილი შრომების კოლექცია.

რამდენადაც მცირეა ავტორის ცნობები იოანე პატრიკ პეტრიკ-ყოფილის შესახებ, იმდენად მდიდარია „ცხოვრება“ ცნობებით პეტრე პატრიკის შესახებ. გიორგი მთაწმიდელის „ცხოვრებაში“ დიდი ადგილი უთმობა პეტრე პატრიკ პეტრიკ-ყოფილს, რომელიც დაემოწაფა გიორგი მთაწმიდელს მისი ათონზე დამკვიდრების შემდეგ. პეტრე პატრიკი, რომლის ერობის სახელი ყოფილა პეტრიკი, თავის ძმასთან, იოანე ჭყონდიდელთან ერთად დიდ დახმარებას უწევდა ათონის ქართველთა მონასტერს როგორც ერისკაცობაში, ასევე ბერად აღკვეცის შემდეგაც. „ცხოვრებიდან“ ვგებულობთ, რომ ძმები ბაგრატ IV-ისა და მარიამ დედოფლის (ბაგრატის დედის) დაახლოებული პირები ყოფილან. ამავე დროს ისინი მიღებულნი იყვნენ ბიზანტიის კეისრის კარზე და შუამავალთა როლს ასრულებდნენ ათონის საკრებულოს, ქართველთა მეფესა და ბიზანტიის კეისარს შორის. „ცხოვრებიდან“ იმასაც ვგებულობთ, რომ პეტრეს ბიზანტიის კეისრისაგან ჰქონია ნაბოძები პატრიკის

<sup>1</sup> ნემესიოს ემესელი, ბუნებისათვის კაცისა, 1914, XII-XIII. XXI. მისივე, ნეოპლატონიკური ფილოსოფიის უძველესი კვალი ქართულ მწერლობაში, - „ჩვენი მეცნიერება“, №1, 1923, გვ. 70.

წოდება. იგი კონსტანტინე მონომახსისა და კონსტანტინე X კარზე მიღებული პირი იყო.

განსაკუთრებული ყურადღება და პატივისცემა გამოავლინა პეტრემ გიორგი მთაწმიდელისადმი 1065 წელს მისი კონსტანტინოპოლში ჩასვლის დროს, სადაც გიორგი მოულოდნელად გარდაიცვალა. გიორგის კონსტანტინოპოლიდან ათონზე გადასვენებისა და დაკრძალვის ცერემონიალს მთლიანად პეტრე პატრიკი წარმართავდა. მისივე ინიციატივითა და აქტიური ჩარევით გაიღო თანხა სამპურატორო სალარომ გიორგის მიერ კონსტანტინოპოლში ჩაყვანილი 80 ობოლი ბავშვის ათონზე წარსავზავნად და შესანახად.

თუ გავითვალისწინებთ, რომ „ცხოვებაში“ პეტრე პატრიკი იოანე პატრიკის მსგავსად წარმოდგენილია როგორც გიორგი მთაწმიდელის მოწაფე, მასზე დიდად მზრუნველი და ამავე დროს ბაგრატ IV-ისა და ბიზანტიის კეისართა დაახლოებული პირი, აგრეთვე იმასაც, რომ პეტრე პეტრიკ-ყოფილისა და იოანე ჭყონდიდელის ძმის ეგნატეს გადაწერილი ხელნაწერების ანდერძში პეტრე იწოდება მწიგნობართუხუცესად, მაშინ ის, რაც „ცხოვებაში“ იოანე პატრიკს მიეწერება (მწიგნობრობა, ბიბლიოფილობა) საესებით მიესადაგება პეტრე პეტრიკ-ყოფილს. ბუნებრივია, იბადება კითხვა, ხომ არ არის იოანე პეტრიკ-ყოფილი და პეტრე პეტრიკ-ყოფილი ერთი და იგივე პიროვნება, ხომ არა გვაქვს საქმე საკუთარ სახელთა აღრევასთან? ამ ვარაუდს ბევრი გარემოება უჭერს მხარს: ჯერ ერთი, ძნელი დასაშვებია, რომ გიორგი მთაწმიდელის ორ მოწაფეს და დაახლოებულ პირს ერთი და იგივე სახელი და ზედწოდება ჰქონოდა, რომ ორივეს ერისკაცობის სახელი ყოფილიყო პეტრიკი, ორივეს ჰქონოდა პატრიკის წოდება, ორივე ბერად შემდგარიყო და ორმაგი სახელი ჰქონოდათ: ერთი პეტრე პეტრიკ-ყოფილი, ხოლო მეორე იოანე პეტრიკ-ყოფილი – განსხვავებულია მათი სასულიერო სახელები. აქვე ისიც უნდა დავსძინოთ, რომ ბერად შემდგარი საერო პირი, როგორც წესი, საკუთარი საერო სახელის შეცვლისას ისეთ სასულიერო სახელს ირჩევს, რომელიც იმავე ასოთი იწყება. ეს წესი, მცირე გამონაკლისით, დაცულია საეკლესიო პრაქტიკაში. ამიტომ, საფიქრებელია, რომ პეტრიკს სასულიერო სახელად აერჩია პეტრე და არა იოანე. ისმის კითხვა, საიდან გაჩნდა გიორგი მთაწ-

\* გამონაკლისს ქმნიან უფრო ხშირად ისეთი შემთხვევები, როდესაც საერო სახელი არ არის ქრისტიანული ონომასტიკონიდან (ფარსმანი, თეიმურაზი და სხვ.).

მიდელის „ცხოვრებაში“ ეს ორი სახელი — იოანე პეტრიკ-ყოფილი და პეტრე პეტრიკ-ყოფილი, „ცხოვრებაში“ ორ სხვადასხვა პირად მოდგენილი? ამის ასახსნელად საჭირო გახდა გიორგი მთაწმიდელის „ცხოვრების“ ხელნაწერების პალეოგრაფიული და კოდოლოგიური შესწავლა.

„ცხოვრების“ გამოცემათა და ხელნაწერების შესწავლამ შემდეგი სურათი წარმოაჩინა.

გიორგის „ცხოვრების“ რამდენიმე გამოცემა არსებობს. 1882 წელს მსაბინინმა პეტერბურგში „საქართველოს სამოთხეში“ გამოსცა გიორგი მთაწმიდელის „ცხოვრება“. გამოცემას საფუძვლად ძირითადად „ქართველ წმიდათა ცხოვრებების“ პეტერბურგის ნუსხები დაედო. მან გამოიყენა აგრეთვე საქართველოდან მიწოდებული რამდენიმე ხელნაწერი. ჩვენთვის საინტერესო ადგილას იკითხება: „წმიდა ბერი იოანე პეტრიკ-ყოფილი გარდაიცვალა ათონის მთაზე 1075 წელს“.<sup>1</sup> აქ იოანეს საერო სახელი (პეტრიკი და არა პატრიკი), განსხვავებით ანტონ I და იოანე ბატონიშვილისაგან, სწორად არის გადმოცემული. მაგრამ საიდან აქვს მსაბინინს იოანე პატრიკის მოღვაწეობისა და გარდაცვალების შესახებ ცნობები, არ ჩანს.

1901 წელს „ცხოვრება“ ათონის კრებულის დამატების სახით გამოაქვეყნა მ.ჯანაშილმა<sup>2</sup>. ამ გამოცემას საფუძვლად დაედო 1733 წლის ხელნაწერი A-170, რომელიც წარმოადგენს დომენტისეულ „ქართველ წმიდათა ცხოვრებების“ ტიპის ხელნაწერს. თვით კრებული ამ სახით დომენტის ინიციატივით შედგა 1712-13 წლებში<sup>3</sup>. ხელნაწერში იოანე მოხსენებულია როგორც იოანე პატრიკი, პატრიკ-ყოფილი (?) (ათონის კრებული, გვ. 311, 31), ასევე: პეტრე პატრიკ-ყოფილი (!) (ათონის კრებული, გვ. 330, 36). ორივე შემთხვევაში საკუთარი სახელი პეტრიკი ხელნაწერთა წაკითხვების საფუძველზე შეცვლილია პატრიკით.

1923 წელს პაპეტერსმა ლათინურად გამოაქვეყნა რამდენიმე ქართული ორიგინალური აგიოგრაფიული თხზულება, მათ შორის გიორგი მთაწმიდელის „ცხოვრებაც“.<sup>4</sup> თავის გამოცემას მან საფუძვლად მ.ჯანაშილის გამოცემა დაუდო, სქოლიოში ჩაიტანა ზოგიერთი ვარი-

<sup>1</sup> საქართველოს სამოთხე, გვ. 459, სქ. №4.

<sup>2</sup> ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაპებით, 1901 წ., გვ. 279-351.

<sup>3</sup> ემეტრეველი, ქართული აგიოგრაფიული კრებული და მისი შემდგენელი. - პუშკინის სახ. პუდ. ინსტიტუტის შრომები. ტ. VIII. 1950.

<sup>4</sup> P. Peeters, Histoires monastiques géorgiennes. Bruxelles, 1923, pp. 69-158.



ანტი მსაბინინის გამოცემიდან. ჩვენთვის საინტერესო იოანე პატრიკი და პეტრე პატრიკი ისევე არასწორადაა წარმოდგენილი, როგორც მ.ჯანაშვილის გამოცემაში.

1946 წელს საყოფანოშივილმა გამოაქვეყნა „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია“, ტ. I, სადაც გიორგი მთაწმიდელის „ცხოვრებისათვის“ შემდგენელმა გამოიყენა უძველესი, XI საუკუნის, ნუსხა (S 353), მაგრამ ბევრი რამ გაუსწორებელი დარჩა, მათ შორის პეტრე პატრიკ-ყოფილი.

უკანასკნელად გიორგი მთაწმიდელის „ცხოვრება“ გამოქვეყნდა 1967 წელს „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების“ II ტომში. ეს არის „ცხოვრების“ პირველი კრიტიკული გამოცემა; ტექსტის დასადგენად გამოყენებულ იქნა 11 ხელნაწერი, მათ შორის XI საუკუნის ხელნაწერი S-353, რომელიც გამოცემის ძირითად ხელნაწერად არის აღებული. ამ გამოცემაში წინა გამოცემების მრავალი შეცდომა გასწორდა, მათ შორის: აღდგა ჩვენთვის საინტერესო სახელის სწორი წაკითხვა: პეტრე პატრიკი პეტრიკ-ყოფილი“, მაგრამ ამასთანავე უცვლელად არის შეტანილი იოანე პატრიკი პეტრიკ-ყოფილი.

სქოლიოებში წარმოდგენილი ვარიანტებით შეიძლება მსჯელობა ხელნაწერთა მიმართებაზე და მათ ჯგუფებზე. გამოყენებულ ხელნაწერთა უმრავლესობა XVIII საუკუნისაა. ესენია ერთი ტიპის ქართული აგიოგრაფიული კრებულები, რომელთა შექმნა დომენტი კათალიკოსის სახელს უკავშირდება. მათი ქრონოლოგიური ფარგლებია 1713-40 წლები. ზოგჯერ I ჯგუფისაგან განსხვავებულ წაკითხვებს იძლევა XIX საუკუნეში მარტვილში გადაწერილი ორი ხელნაწერი (Q-48 და Q-49).

უძველესი ხელნაწერის (S-353) შესწავლამ ნათელ-ყო, რომ იგი გიორგი მცირის ნუსხის გადანაწერს წარმოადგენს. ადრე ეს ხელნაწერი მის ავტოგრაფად იყო მიჩნეული, მაგრამ იმის შემდეგ, რაც გამოვლინდა გიორგი მცირის ავტოგრაფი A-584, აშკარა გახდა, რომ S-353 არ არის ავტოგრაფი. S-353, როგორც ჩანს, შავი მთიდან იერუსალიმში მოხვდა. ამაზე მიუთითებს შემკაზმველის, ბარნაბა თბილელის, ანდერძი. ანდერძის მიხედვით, ბარნაბას ეს ხელნაწერი 1570 წელს ხელმოორედ შეუკაზმავს<sup>2</sup>. 1580-იან წლებში ბარნაბა თბილელი საქართველოში

<sup>1</sup> ემეტრეველი, დასახ. ნაშრომი. აქედან შეიძი ერთი ტიპის კრებულია (BCDEFGH), ხელნაწერები ერთმანეთისაგან მცირედ სხვაობენ.

<sup>2</sup> S-353 - ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (S ფონდი), ტ. I, გვ. 410.



დაბრუნდა. არ არის გამორიცხული, რომ მას ხელნაწერი თან წამოეღო ვინაიდან გიორგის „ცხოვრება“ მას საქართველოს წიგნთსაცავებში არ ეგულებოდა. მართლაც, „ცხოვრების“ შემცველი 1713 წელზე ადრეული ხელნაწერი ჯერჯერობით არ ჩანს<sup>1</sup>. S-353 ხელნაწერი კი XVIII საუკუნის დამდეგისათვის ნამდვილად გელათში ინახებოდა. ამას მოწმობს ბაგრატ მეფის ასულის, გელათის მონაზონის ნინოს მინაწერი ხელნაწერზე: „ღმერთო, შეიწყალე ბაგრატის ასული იმერელი ბატონიშვილი ნინო“ (88r). მინაწერი გაკეთებულია 1724 წელს. ამ წელს ნინო გაიპარა მონასტრიდან და ვახტანგ VI ამალას გაჰყვა მოსკოვში. არ არის გამორიცხული, რომ რუსეთში წასვლის წინ ნინოს ეს ხელნაწერი გადაეცა თავისი მამიდისათვის, ბეჟან დადიანის (1715-1728) მეუღლის, თამარისათვის, ვინაიდან ხელნაწერი შემდგომ დადიანების კოლექციაში აღმოჩნდა. ამრიგად, გიორგის „ცხოვრება“, როგორც ჩანს, სწორედ ამ უძველესი ხელნაწერის (S-353) საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ გახდა ცნობილი ქართველი მკითხველისათვის. ამ ხელნაწერიდან იქნა ის შეტანილი დომენტი კათალიკოსის მიერ „ქართველ წმიდათა ცხოვრებების“ პირველ კრებულში. ამავე ხელნაწერიდან გადაიწერა მარტვილში გიორგის „ცხოვრების“ ცალკე წიგნები (Q-48, 49), რომლებიც ამ დროს დადიანების ბიბლიოთეკის კუთვნილება იყო.

ამრიგად, იერუსალიმიდან ჩამოტანილი უძველესი ხელნაწერიდან (XI ს.) გავრცელდა გიორგი მთაწმიდელის „ცხოვრების“ ნუსხები როგორც დომენტის შედგენილი კრებულის, ასევე გიორგის „ცხოვრების“ ცალკე ხელნაწერების სახითაც (Q-48, Q-49). ამდენად, გიორგი მთაწმიდელის „ცხოვრების“ ნუსხების ყველა საეჭვო წაკითხვა უნდა შემოწმდეს უძველესი ნუსხის S-353-ის მიხედვით, რადგან სხვა დედანი გვიანდელი ხელნაწერების გადამწერებს არა ჰქონიათ ხელთ. შეცდომები კი S-353 ნუსხიდან უნდა მომდინარეობდეს ტექსტის სხვადასხვაგვარი და არასწორი ამოკითხვის შედეგად.

\*\*\*

გიორგის „ცხოვრების“ დღეისათვის არსებული ხელნაწერები ორ ჯგუფად იყოფა და ორივე ჯგუფი ერთი დედნიდან, S-353-დან, მომდინარეობს. როგორც ითქვა, ხელნაწერთა პირველი ჯგუფი წარმოადგენს

<sup>1</sup> თუ არ მივიღებთ მხედველობაში ათონურ ხელნაწერს №72, რომელიც ივირონშია დაცული.

ერთი ტიპის „ქართველ წმიდათა ცხოვრებათა“ კრებულებს, რომლებიც ძირითადად იმეორებენ დომენტი კათალიკოსის პირველი კრებულის შედგენილობას. სწორედ დომენტის გამოუყენებია პირველად ხელნაწერი S-353, რომელიც როგორც ითქვა, ამ დროისათვის იერუსალიმიდან საქართველოში იყო ჩამოტანილი და გელათის მონასტრის ხელნაწერთა კოლექციაში ინახებოდა. ხელნაწერთა ეს ჯგუფი, რომელიც გამოყენებულია გამოცემაში (ძეგლები, II), ერთსა და იმავე წაკითხვებს უჩვენებს.

მეორე ჯგუფი ორი ხელნაწერისაგან შედგება. ორივე შეიცავს მხოლოდ გიორგის „ცხოვრებას“ და გადაწერილია მარტივლში რომანოზის მიერ. პირველი (Q-49), I ლიტერით, 1838 წელს არის გადაწერილი აფხაზთა არქიმანდრიტის ანტონ დადიანის შეკვეთით, მეორე (Q-48, K ლიტერით) გადაიწერა 1839 წელს გიორგი ჭყონდიდელის დაკვეთით. რაკი S-353 უკვე დადიანების ბიბლიოთეკის კუთვნილება იყო, საფიქრებელია, რომ გადამწერმა ამ ხელნაწერების დედნად გამოიყენა S-353. მიუხედავად იმისა, რომ ამ ორი ხელნაწერის გადანუსხვას შორის შუალედი სულ ერთი წელია და ორივე ხელნაწერის გადამწერი ერთი და იგივე პირია, ეს ორი ხელნაწერი ერთმანეთისაგან არ მომდინარეობს. ორივე შემთხვევაში გადამწერს უსარგებლია S-353-ით და ჩვენთვის საინტერესო ადგილები ორგანვე სხვადასხვანაირად ამოუკითხავს. ასე, მაგ.: Q-49-ში ვკითხულობთ: იოანე პატრიკი პეტრიკ-ყოფილი, ე.ი. ისე, როგორც ეს I ჯგუფის ყველა ხელნაწერში გვხვდება. Q-48-ში კი — პეტრე პატრიკი პეტრიკ-ყოფილია. Q-48 ხელნაწერი კიდევ ერთ შემთხვევაში იძლევა საკუთარი სახელის განსხვავებულ ვარიანტს. ნაცვლად ტრადიციული „იოანე პატრიკისა“ (ძეგლები, II, 148, 19) — „პეტრე პატრიკი“ იკითხება. ორივეჯერ Q-48-ის გადამწერი ტრადიციული „იოანეს“ ნაცვლად „პეტრეს“ კითხულობს. ამკარაა, რომ ეს სხვაობა დაქარაგმებული საკუთარი სახელის განსხვავებულმა წაკითხვამ გამოიწვია. დედა ხელნაწერის, S-353-ის, შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ამ ხელნაწერში, რომელიც თავისებური, სტილიზებული ნუსხურით არის დაწერილი, წერია პეტრე მაგრამ პარის ქვემო რკალი (მუცელი) ასოს ძირითად კორპუსთან შედარებით უფრო წვრილად არის მოხაზული და ამდენად, უფრო მკრთალად არის შემონახული, რის გამოც მისი ამოკითხვა იქ-დ ადვილი შესაძლებელი იყო (30 v-31 r). ამრიგად, S-353 ხელნაწერში წერია პეტრე პატრიკი და პეტრე ანტიოქიის პა-



ტრიაქი, რაც სწორად გადმოუღია რომანოზს 1839 წ. გადაწერის  
48 ხელნაწერში.

ამგვარად, შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ იოანე პატრიკი არის არასწორად ამოკითხული პეტრე პატრიკი. ამ შეცდომას მრავალი გაუგებრობა მოჰყვა. წესით ეს შეცდომა უნდა გასწორებულიყო უკანასკნელ კრიტიკულ გამოცემაში, სადაც ძირითად ხელნაწერად აღებულია S-353. აქაც, როგორც ჩანს, უფრო ფსიქოლოგიური ფაქტორი ამუშავდა და იძალა ტრადიციამ. ეს არც არის გასაკვირი — იოანე პატრიკი XVIII საუკუნის II ნახევრიდან ისე მტკიცედ დამკვიდრდა ქართული მწერლობის ისტორიაში, რომ მისგან განთავისუფლება ვერც კრიტიკული ტექსტის გამომცემლებმა შეძლეს. ამ შეცდომის წყალობით არარსებულმა იოანე პატრიკმა სამეცნიერო ლიტერატურაში მოქალაქეობრივი უფლებაც დაიმკვიდრა და მდიდარი ბიოგრაფიაც შეიძინა. სინამდვილეში, ყველაფერი, რაც გამოცემებში იოანე პატრიკს მიაწერეს, პეტრე პატრიკს ეკუთვნის.

\* \* \*

ასლა, როდესაც გაირკვა, რომ იოანე პატრიკი იგივე პეტრე პატრიკია, შეიძლება უფრო სრულად წარმოვიდგინოთ პეტრე პატრიკ პეტრიკ-ყოფილის მოღვაწეობის მასშტაბი და მისი ხასიათი.

პეტრე პატრიკი და მისი ძმა იოანე ჭყონდიდელი გიორგის „ცხოვრებაში“ თითქმის ყოველთვის ერთად მოიხსენიებიან და მოღვაწეობითაც ერთმანეთთან დაკავშირებულნი ჩანან. ამიტომ ამ ორი ძმის მოღვაწეობას ჩვენც ერთად განვიხილავთ.

<sup>1</sup> ნუსხურად ნაწერი დაქარაგმებული საკუთარი სახელები იოანე (ი<sup>ე</sup>) და პეტრე (პ<sup>ე</sup>) ვრათიკულად მსგავსია, რის გამოც ამ ქარაგმების გახსნის დროს გადამწერლები ხშირად უშეგბდნენ შეცდომებს. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ აგრეთვე „ცხოვრებაში“ დაქარაგმებული იოანე ბედიელის სახელი (ძეგლები, II, გვ. 177). ხელნაწერთა უმრავლესობაში სწორად არის გახსნილი ქარაგმა — იოანე, მაგრამ რომანოზის გადაწერილ Q-49-ში გახსნილია როგორც თედორე (იხ. ძეგლები, II, გვ. 147, 5, სქ.9), ხოლო პეტრე-ბურგის ხელნაწერი კი კითხულობს პეტრეს (იქვე, სქ.9).

სამეცნიერო ლიტერატურაში შემჩნეულია, რომ გამოცემაში დაბეჭდილი „იოანე პატრიკი ანტიოქიისა“ შეცდომა უნდა იყოს, რადგან როდესაც 1056 წელს გიორგი მთაწმიდელი ჩავიდა ანტიოქიაში და პატრიარქს შეხვდა, საპატრიარქო ტახტზე იჯდა პეტრე. იხ. W.Djobadze. Materials for the study of Georgian monasteries in the Western enviros of Antioch on the Orontes. Louvain, 1976, p.84.





ძმებს (პეტრიკსა და იოანეს) ერთად პირველად კონსტანტინოპოლში ვხვდებით ბაგრატ IV-ისა და მისი დედის, მარიამის, კონსტანტინოპოლში ჩასვლისას და იქ ხანგრძლივი ყოფნის დროს (1054-56 წწ.)<sup>1</sup>. „ცხოვრიდან“ ვგებულობთ, რომ გიორგიმ თავისი წინამძღვრობის დროს აქტიური სამშენებლო და სამეურნეო საქმიანობა გაშალა (გვ. 134-135). მას მიუძღვრათვე კონსტანტინე მონომახისათვისაც, რომლისგანაც მიუღია ტყვია ეკლესიის გადასახურად. გიორგიმ ამ პერიოდშივე შესძინა მონასტერს „ზღვარნი არამცირედნი პრასტინთა მონასტრისა ჩუენისათა და უმეტეს ყოვლისა ზღვარი მისოლიმნისაჲ, სადა-იგი ყოველი ხუასტავი ეკლესიისაჲ უხუებით გამოიზრდების“. ერთი სიტყვით, მან განადგურების პირას მისული ქართველთა მონასტერი ფეხზე წამოაყენა, აღადგინა მონასტრის ძველი უფლებები, დაიბრუნა მიტაცებული მიწები, მოიპოვა ახალი პრასტინნი, „ოქრობეჭედნი მტკიცენი“, დამამტკიცებელი მონასტრის ძველ ოქრობეჭედთა. მაგრამ მონასტერი გადასახადების გამო მანც მძიმე მდგომარეობაში იყო. „დიმოსისაგან დიდსა ჭირსა შინა იყენეს პრასტინნი ჩუენნი“ („ცხოვრება“, გვ. 135). გიორგის მიეცა „ჟამი მარჯუე“ ამ საქმის მოსაგვარებლად. როდესაც 1054 წელს კონსტანტინოპოლში ჩამოვიდნენ ბაგრატ IV და დედოფალი მარიამი კონსტანტინე მონომახთან მოსალაპარაკებლად საქართველოში შექმნილი ვითარების თაობაზე, გიორგი ეახლა მათ. ეს იყო მათი პირველი შეხვედრა. გიორგიმ დიდი შთაბეჭდილება დატოვა მათზე: „იხილეს რაჲ მეფემან და დედოფალმან და ყოველთა მთავართა და წარჩინებულთა მათთა, განიხარეს სიხარულითა დიდითა, რამეთუ ასმიოდა საღმრთოჲ იგი მოქალაქობაჲ მისი“. ამ შეხვედრის დროს გიორგიმ ესრეთ „ყოველივე საქმე მონასტრისაჲ, რაჲცა უნდა, ყოველი კეთილად იურვა. და დიმოსისა საქმე მაშინ გარდასწყდა“ (გვ. 135).

ამ საქმის მოგვარებაში მონაწილეობდნენ კონსტანტინე მონომახი, ბაგრატ IV, მარიამ დედოფალი და არსენ ფარსმან-ყოფილი.

„ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: „გამოითხოვა (მარიამ დედოფალმა — ე.მ.) მონომახისაგან ლიტრაჲ ერთი როქად წმიდისა ამის მონასტრისათჳს და შემოწირა ესე საუკუნოდ საჴსენებელად სულისა თჳსისათჳს წმიდასა ამას ეკლესიასა“.

იგივე ფაქტია აღნიშნული № 100 აღაპში: „მარიამ დედოფალმან, ბაგრატ კურაპალატისა დედამან, ლიტრაჲ ერთი სოლიმნი შეგვქმნა

<sup>1</sup> აღაპი №15.



ბერძენთა მეფისაგან სალოცველად და სასჯენებელად მისდა საუკუნოდ და განგვწყესებია მათთჳს ალაპად ესე დღე, ვითარცა მაშენებელთა და მეფეთა ჩუენთადა“.

ასევე მონასტრისათვის ერთი ლიტრა შეუწირავს თავის „პატივთაგან“ გიორგის მოწაფეს არსენ ფარსმან-ყოფილს (გვ. 136).

მონასტრისათვის გაწეული დახმარებისათვის არსენ ფარსმან-ყოფილისა და მისი ძმის გიორგი ჩორჩანელისათვის ალაპიც დაწესდა: „დავაწესეთ დიდთა განძთა და კუმაშთა მათთათჳს, რომელნი სიცოცხლესაცა და შემდგომად აღსრულებისა ჩუენ ზედა წაეგნეს“ (№ 50).

ალაპებიდან ისიც ჩანს, რომ დიმოსის საქმის გადაწყვეტაში აქტიური მონაწილეობა მიუღიათ პეტრიკსა და მის ძმას იოანეს. № 15 ალაპში ვკითხულობთ: „ესტრატეთ დღესასწაული პეტრიკისდა და ძმისა მისისა იოანესდა ალაპად განგვწყესებიეს: ოდეს დედოფალმან, ბაგრატის დედამან, ლიტრაჲ ერთი სოლიმნი შეგვქმნა და ბაგრატ დიმოსი მოგვწყუდა, ორივე ესე დიდი საქმე მათითა თანადგომითა და მოლუაწებითა სრულ იქმნა“.

პეტრიკისა და იოანეს მონაწილეობა ამ მეტად მნიშვნელოვან ღონისძიებაში „ცხოვებაში“ არ არის აღნიშნული. შესაძლოა, გიორგი მცირემ არც იცოდა ამის შესახებ. ალაპი კი, მომხდარი ფაქტისთანავე (ისევე როგორც მარიამ დედოფლის ალაპი) ახდენს მის კონსტატაციას. როგორც ამ ალაპიდან ჩანს, პეტრიკი და იოანე 1054 წელს კონსტანტინოპოლში არიან. საფიქრებელია, რომ ისინი ბაგრატისა და მარიამის მხლებელთა „მთავართა და წარჩინებულთა“ წევრები იყვნენ, მაგრამ განსხვავებით სხვათაგან, გარკვეული გავლენის მქონენი კონსტანტინე მონომახის კარზე. სოლიმნის დანიშვნა და დიმოსის „მოწყუედა“ სამეფო მონასტერში, როგორც იყო ქართველთა მონასტერი ათონზე, კეისრის ნებაზე იყო დამოკიდებული. როგორც ჩანს, ამ საქმის მოგვარებაში ბაგრატსა და გიორგი მთაწმიდელს შუამავალნი და შუამდგომელნი ჰყავდათ კონსტანტინოპოლში მცხოვრები ქართველი დიდებულების სახით, რომელნიც კეისრის კართან დაახლოებულნი იყვნენ. ასეთებად გვევლინებიან არსენ ფარსმან-ყოფილი, გიორგი ჩორჩანელი<sup>1</sup>, პეტრიკი

<sup>1</sup> ბაგრატის მიერ „დიმოსის მოწყუედა“ გიორგი მცირეს „ცხოვებაში“ აღნიშნული არა აქვს.

<sup>1</sup> ფარსმანი, ჯერ კიდევ ერისკაცობაში, თავის ძმასთან, გიორგი ჩორჩანელთან ერთად დიდ დახმარებას უწევდა ათონის ქართველთა მონასტერს მისი არსებობის ყველაზე მძიმე წლებში (1030-1041 წ.წ.). 1054 წ. არსენ ფარსმან-ყოფილი გიორგის მოწაფეა



და მისი ძმა იოანე, რომელთა თანადგომითა და მოღვაწეობით სრულ იქმნა კონსტანტინოპოლში ორი დიდი საქმე: მარიამ დედოფლისა და სოლიმნის შექმნა და ბაგრატ მეფისაგან „დიმოსის მოწყუება“. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ „ცხოვრებაში“ არც ბაგრატ მეფის ღვაწლი არ არის აღნიშნული. ეს გვაფიქრებინებს, რომ გიორგი მცირე ან არ იყო ამ ამბების საქმის კურსში, ან ვერ აღადგინა 1054 წელს მომხდარი ამბების ზუსტი სურათი.

კონსტანტინოპოლში ყოფნის დროს მარიამი დაემოწაფა გიორგის (ძეგლები, II გვ. 136, 1). საფიქრებელია, ასევე მოიქცნენ პეტრიკი (პეტრიკი იკურთხა გიორგის მიერ სქემით და დაემოწაფა მას) და იოანე, რომელიც სასულიერო პირი იყო. ამ დროიდან პეტრე პატრიკი და იოანე აქტიურად არიან ჩართული ქართველთა მონასტრისა და გიორგის ცხოვრებაში, როგორც მისი ერთგული მოწაფეები და თაყვანისმცემლები: „ცხოვრების“ მიხედვით, პეტრე პეტრიკ-ყოფილი და იოანე, შემდგომ ჭყონდიდელი, ბაგრატ IV-ის ერთგულნი და თანამდგომნი არიან. ამავე დროს ისინი საქართველოს სამეფოს წარმოადგენენ და მის ინტერესებს იცავენ ბიზანტიის კეისრის კარზე კონსტანტინე მონომახის მეფობიდან დაწყებული. სწორედ ამ დიპლომატიური მოღვაწეობის პერიოდში უნდა მიეღო პეტრე პეტრიკ-ყოფილს ჯერ პატრიკის<sup>1</sup>, ხოლო შემდეგ ვესტის<sup>2</sup> პატივი.

გააყვეთ გიორგის „ცხოვრების“ ტექსტს, სადაც პეტრიკი უკვე იწოდება პეტრე პატრიკ პეტრიკ-ყოფილად. „ცხოვრების“ მიხედვით, პეტრე პატრიკი (ადრე შეცდომით იოანე პატრიკად წოდებული) გიორგი მთაწმიდელის მთარგმნელობითი მოღვაწეობის დიდი დამფასებელია.

და უკვე ბერად არის აღკვეცილი. ბაგრატისა და მარიამის ჩასვლის დროისათვის არსენ ფარსმან-ყოფილი გიორგისთან ერთად მიდის კონსტანტინოპოლში მონასტრის დიმოსის საკითხის მოსაგვარებლად. მან თითონაც ურიცხვი შესაწირავი გაიღო მონასტრისათვის (ძეგლები, II, გვ. 136).

<sup>1</sup> პატრიკზე დიდძალი ლიტერატურა არსებობს. ნიკონომიძისი თავის შემაჯამებულ ნაშრომში მას შემდეგნაირად განმარტავს: ეს წოდება ბიზანტიის სამეფო კარზე ოუსტინიანე I-ის დროიდან ენიჭება ყველა გამორჩეულ დიდებულს (დიდგვაროვანს), როგორც საერო, ასევე სასულიერო პირთ. ეს იყო პატივი და არა თანამდებობა. იხ. ΟΙΚΟΝΟΜΙΔΗΣ, Les listes de préséance byzantines des IX<sup>e</sup> et X<sup>e</sup> siècles. Paris, 1979. p. 294-295.

<sup>2</sup> ვესტი, პატივი, თავდაპირველად გულისხმობდა მეფის „საკუთარს“, რომელიც მის შემოსებაში იღებდა მონაწილეობას. ვესტის პატივი ჩანს ნიკიფორე ფოკას დროიდან და გვხვდება XII საუკუნეშიც.



როგორც ზემოთ ითქვა, მან თავისთვის გადაიწერა გიორგის თარგმნილი ტექსტები მისივე ავტოგრაფებიდან, რაც იმას მოწმობს, რომ გიორგის და პეტრეს საერთო ლიტურგიატურული ინტერესები ჰქონდათ და ამ საქმიანაც დაკავშირებულნი იყვნენ ერთმანეთთან, ვინაიდან პეტრეს ინტერესი გიორგის შრომებისადმი არ არის მარტოდენ ბიბლიოფილის ან კალიგრაფის ინტერესი. პეტრე არა მარტო იწერს მათ თავისთვის, არამედ სწავლობს ამ თარგმანებზე დართულ დიდად მნიშვნელოვან ზანდუკებს, ანდერძებსა და წინათქმებს, რომლებშიც გიორგის ჩამოყალიბებული აქვს ბიზანტიური და ქართული გალობის ძირითადი პრინციპები, თავისი თვალსაზრისი მეხელების პოეტურ თარგმანებზე და ბიზანტიური საგალობლების ქართულად თარგმნის მეთოდები.

გიორგი მთაწმიდელმა ახლად თარგმნა ბიზანტიური ლიტურგიკული წიგნებიდან საგალობელთა მდიდარი რეპერტუარი. პეტრე პატრიკი, ქართულ ჰიმნოგრაფიაში კარგად გაცნობიერებული, ხედავდა იმ სიახლეს, რომელიც გიორგიმ შემოიტანა ქართულ მწერლობაში, განსაკუთრებით ქართულ გალობაში. ამიტომ მან „წულილ-წულილად აღირიცხუა გალობაჲ და დასდებელი ფრიადითა შრომითა და გულსმოდგინებითა“. მან შეადგინა გიორგის მიერ თარგმნილი საგალობლების სრული ნუსხა მის ხელთ არსებული თარგმანების მიხედვით. ეს კი მეტად რთული და შრომატევადი სამუშაოა, რომლის შესრულება შეეძლო მხოლოდ ამ საკითხებით სპეციალურად დაინტერესებულ და სათანადოდ მომზადებულ პიროვნებას.

პეტრე პატრიკი რომ რიგითი გადამწერი არ იყო, ეს სხვა ფაქტებითაც დასტურდება: პატრიკის პატივი, მიღებული ბიზანტიის კეისრისაგან, პატრიკის მდგომარეობა სამეფო კარზე და დიპლომატიური მისიები კონსტანტინოპოლში<sup>1</sup> თავისთავად გულისხმობს იმას, რომ პეტრემ ბერძნულიც კარგად იცოდა და სათანადო განათლებაც ჰქონდა მიღებული. საფიქრებელია, რომ გიორგისა და პეტრეს დაახლოება კონსტანტინოპოლში ხანგრძლივად ცხოვრების პერიოდში მოხდა. სხვაგვარად ვერ აიხსნება პეტრეს განსაკუთრებული ინტერესი გიორგის

<sup>1</sup> გიორგის „ცხოვრების“ მიხედვით, პეტრე ორჯერ ჩანს კონსტანტინოპოლში: ერთხელ ბაგრატიანსა და მარიამის იქ ყოფნის დროს, როდესაც ის საერო პირი იყო და პეტრიკის სახელს ატარებდა, ხოლო მეორედ - მართას (ბაგრატ IV-ის ასული) კონსტანტინოპოლში ჩაყვანის დროს (1065 წ.), როგორც უკვე ბერი - პეტრე პეტრიკოვილი.

მთარგმნელობითი მოღვაწეობისადმი და ვერც შესაძლებლობა, მოეპოვე-  
ბინა გადასაწერად გიორგის თარგმანების ხელნაწერები. როგორც  
მით დაინახავთ, გიორგის თარგმანები საქართველოში მხოლოდ მისი  
აქ დაბრუნების შემდეგ გავრცელდა.

პეტრე პატრიკი იყო ბაგრატ IV-ის სახელმწიფო პოლიტიკაში  
აქტიურად ჩაბმული მოღვაწე. ამას თუ დაუმატებთ ცნობებს, რომელ-  
თაც უფრო მოგვიანებით (1085 წ.) პეტრესა და იოანე ჭყონდიდელის  
შესახებ გვაწვდის მათი ძმა ეგნატე, მაშინ კარგად გამოჩნდება მათი  
მოღვაწეობის გზაც. 1085 წელს ეგნატე ხუცესმონაზონის ბრძანებით  
გადაიწერა გიორგი მთაწმიდელის თარგმნილი „საწელიწდო საწინას-  
წარმეტყველო“. მომგებლის (ეგნატეს) ანდერძიდან ვგებულობთ, რომ  
მან ეს წიგნი გადააწერინა მეფეებისა და თავისი ძმების — იოანე ჭყონ-  
დიდელ მთავარეპისკოპოსისა და სზნგელოზისა და პეტრე ვესტისა და  
მწიგნობართუხუცესის სალოცავად. ამგვარად, გიორგის „ცხოვრების“  
მიხედვით ცნობილი პეტრე პატრიკი 1085 წლის ანდერძში ახალ, უფრო  
მაღალ ბიზანტიურ პატივს (ვესტს) ატარებს, ასევე იოანე ჭყონდიდელ-  
საც ამ დროისათვის სზნგელოზის პატივი აქვს მიღებული. ორივე  
შემთხვევაში სავარაუდოა ბიზანტიური კარის წინაშე მათი გარკვეული  
დამსახურება. პეტრე ვესტს მწიგნობართუხუცესის წოდებაც ჰქონია —  
ეს უკვე ბაგრატ IV-ის კარზე. პეტრე ვესტის მწიგნობართუხუცესობა  
სავსებით ესადაგება იმ მწიგნობრულ და ბიბლიოფილურ საქმიანობას,  
რომელსაც ის ეწეოდა კონსტანტინოპოლსა და ათონზე გიორგი მთაწ-  
მიდელის თარგმანებზე მუშაობის დროს. კონსტანტინოპოლი და ათონი  
იმიტომ მიგვაჩნია პეტრე პატრიკის მწიგნობრული მოღვაწეობის ძირი-  
თად ადგილებად, რომ როგორც ეს ეგნატეს გადაწერილი ხელნაწერი-  
დან ჩანს, გიორგის საქართველოში ჩამოსვლამდე აქ მისი თარგმანები  
გავრცელებული არ ყოფილა, მით უმეტეს, მისი ავტოგრაფები, თუ  
ავტოგრაფთა პირველი ნუსხები, რომლებზედაც მიუწვდებოდა ხელი  
პეტრე პატრიკს. ეს ანდერძი სწორედ ამ მხრივ არის საინტერესო,  
მოვიტანთ ნაწყვეტს: „წმიდანო ღმრთისანო, გევედრები ყოველთა მო-  
მავალთა წარსრული ესე, რაჲთა ესე სალოცავი არავინ შეცვალოს, არცა  
უღებ-ყოს. უწყის სიწმიდემან თქუნემან, თუ რაოდენნი წიგნი შემ-  
იძენიან ამის კელესიისადა, საურავითა და წყენითა ზედაჲს-ზედა, ვიდრე  
ჩუენ თანაღა იყო ნეტარი იგი ბერი (ასე უწოდებდნენ გიორგი მთაწ-  
მიდელს, — ე.მ.), მაშინ, და აწ, შემდგომად მიცვალებისა მისისა, საგა-



ლობელნი ყოველნი სრულიად, რომელ მაღლითა ღმრთისადათა არღარაჲსა გუაკლს, რამეთუ პირველ ახალნი წიგნნი ერთადცა არა იყო“.<sup>1</sup>

როგორც ანდერძიდან ვხედავთ, ეგნატეს მრავალი ეკლესიისათვის (მათ შორის წყაროსათვის) თავისი სურვილით შეუძენია გიორგის თარგმანთა შემცველი ხელნაწერები, განსაკუთრებით საგალობელთა შემცველი, ე.ი. ლიტურგიკული ხელნაწერები, პირველ რიგში ეკლესიისათვის სახმარი.

ეგნატეს ანდერძის გარდა საქართველოში გიორგის თარგმანთა სწრაფი გავრცელების შესახებ ცნობები შემოუნახავს გიორგი მთაწმიდელის „ცხორებასაც“. ძეგლიდან იმასაც ვგებულობთ, რომ ის საქართველოში განაგრძობდა ინტენსიურ მთარგმნელობით მოღვაწეობას: „მისდა რწმუნებული იგი ტალანტი ბევრ წილად აღაორძინა, რომელ არს წიგნთა თარგმანებაჲ“; „გარდაიწერნეს წიგნნი მისნი მრავალთა საეპისკოპოსოთა და მონასტერთა და მრავალნი საეკლესიონი წესნი გაჰმართნა“ (გვ. 173). ე.ი. გადაწერა ხდებოდა როგორც ადრე ნათარგმნი (შავი მთის პერიოდისა), ისე საქართველოში თარგმნილი ახალი წიგნებისა.

ფეიქრობთ, საქართველოში გიორგის პოპულარობისათვის ნიადაგი მოამზადეს პეტრე პატრიკმა და იოანე ჭყონდიდელმა. ისიც სავსებით კანონზომიერია, რომ სწორედ მათი ძმა ეგნატე შეუდგა გიორგის თხზულებათა შეძენას, გადაწერას და გამრავლებას. გასაგებია ის მოწიწებაც, რომლითაც იხსენიებს ეგნატე თავის ანდერძში „დიდ ბერს“ — გიორგი მთაწმიდელს. სახელის გარეშე „დიდი ბერის“ წოდებით მოხსენიება უდიდესი პატივი იყო სასულიერო წრეებში. „დიდი ბერი“ უკვე აღიარებული მოძღვარია არა მარტო მონასტრისა, იგი მთელი ერის მოძღვარი და განმანათლებელია. ეს კარგად ჩანს ბაგრატ IV-ის წერილში, რომელიც მან გაუგზავნა გიორგის ანტიოქიაში მისი საქართველოში მოწვევის მიზნით. გიორგის საქართველოში იწვევდა ქართველთა მოწინავე საზოგადოებაც: „იწყო ღმრთისმსახურმან მეფემან ბაგრატ და ძემან მისმან გიორგი დედოფალთა, კათალიკოზთა და ყოველთავე მღვდელთმოძღუართა და მთავართა ვედრებად და წუევად, რაათა აღმოსავლეთს განვიდეს და იხილონ წმიდაჲ იგი და იკურთხნენ და განათლდნენ მის მიერ, და კუალად, რაათა ნამუშაჲკვი იგი მისი ღმრთიემონიჭებული იხილონ და აღივსნენ სიხარულითა“ (გვ. 156). ეს

<sup>1</sup> A 136, ანდერძი, 393v; ქრონიკები, I, გვ. 235.



იყო უკვე მეორე მოწვევა. პირველად 1054 წელს ბაგრატიმა გიორგის კონსტანტინოპოლში გაცნობისთანავე შესთავაზა ჭყონდრდის მთავარეპისკოპოსობა, მაგრამ გიორგიმ არ მიიღო ეს წინადადება. მისი ოცნება იყო, დაბრუნებოდა ლიტერატურულ-მთარგმნელობით საქმიანობას. ამის შესაძლებლობა მას მხოლოდ შავი მთის მყუდრო მონასტერში ჰქონდა. მართლაც, შავი მთის პერიოდი გიორგის მთარგმნელობითი მოღვაწეობისა ყველაზე ინტენსიური და ნაყოფიერი იყო. გიორგის თარგმანებით „განათლდა“ შავი მთა, „აღმოსავლეთი“ კი სრულიად მოკლებული იყო მის წიგნებს. ამას პირდაპირ უსაყვედურებს გიორგის ბაგრატი IV: „წმიდაო მამაო, მანდა, შავსა მთასა, მცირედნი არიან მონასტერნი ჩუენნი, რამეთუ ქუეყანაჲ არს უცხოჲ. ხოლო ჩემი სამეფოჲ ვრცელ არს და დიდ ფრიად და მალალ, და ეკლესიანი და სამღვდელთმოძღურონი და მონასტერნი ფრიად მრავალ და დიდებულ. აწ არწმუნოს ღმერთმან სიწმიდესა თქუენსა, რამათა ჰბრძანო და მოშურე და ჩუენ ვიკურთხნეთ თქუენ მიერ და განენათლდეთ, და კუღლად ეკლესიანი ჩუენნი აღივსნენ მდინარეთა მაგათგან სულთა განმაცხოველებელთა წიგნთა თქუენთა ღმრთივ-სულიერთა“ (გვ. 156).

ბაგრატი ისიც აღელვებდა, რომ შავ მთაზე გიორგის მოღვაწეობის დიდი დამფასებელი იყო ლიპარიტი, ბაგრატის მოსისხლე მტერი. ბაგრატიმა მაშინ დაიწყო გიორგის დაბეჯითებით დარწმუნება საქართველოში დაბრუნების თაობაზე, როდესაც გაიგო, რომ „მოირწყნეს ეკლესიანი შავისა მთისანი წიგნთა მისთა მდინარითა, სულთა განმანათლებელითა, რამეთუ ყოველთა მონასტერთა გარდაიწერნეს, და უფროჲს ყოველთაჲსა დიდად ილუაწა სულითა კურთხეულმან ანტონი ლიპარიტყოფილმან და თვისისა მონასტრისა ბარლაამ-წმიდისათჳს დააწერინა და წმიდასა ამას ბერსა დიდად პატივ უპყრა და ნუგეშინის-სცა და თვისისა მონასტრისაგან გაკუეთილი შეუქმნა და სიმტკიცე თვისთა ჳელითა დაუწერა, და შუენიერი ქებაჲ და მადლობაჲ დაწერა მას შინა ლუაწლთა და შრომათა მისთათჳს. ესრეთ რაჲ ყოველნი ეკლესიანი განშუენდეს სამკაულითა წმიდათა მისთაჲთა, ხოლო ეკლესიანი აღმოსავლეთისანი წუთ ნაკლულევან იყვნეს“ — წერს გიორგი მცირე (გვ. 155).

ბაგრატის საყვედურმა გადააწყვეტინა გიორგის „აღმოსავლეთში“ დაბრუნება, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მას უარი უნდა ეთქვა მთარგმნელობით მოღვაწეობაზე და თავისი ქვეყნის სასიკეთოდ აქტიურად უნდა ჩაბმულიყო სახელმწიფოებრივ და საეკლესიო ცხოვრებაში. რამდენადაც შესაძლებელი იყო, ეს გიორგიმ განახორციელა კიდევ.

ამ წერილში ვერ შევირდებით იმ დიდ საქმეებზე, რასაც გიორგი ეწეოდა საქართველოში მედროვეთა და მომხვეჭელთაგან ქვეყნის განთავისუფლების მიზნით. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ამის საწინდარი იყო მისი ზნეობრივი სრულყოფა, რომელიც გამოსჭვივოდა ყოველ მის მოქმედებაში, მის გულწრფელ და დაუოკებელ სურვილში, დახმარება აღმოეჩინა თავისი ქვეყნისა და ერისათვის.

იგივე მიზანი, თავისი ქვეყნის სამსახური, ამოძრავებდა მას საქართველოს გარეთ მოღვაწეობის დროსაც, კერძოდ, ბრძოლა ქართული მართლმადიდებლობის სიწმინდისა და ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის დასაცავად.

მას შემდეგ, რაც გიორგი ათონელმა უარი განაცხადა ჭყონდიდის კათედრის დაკავებაზე, მისივე რეკომენდაციით, ბაგრატმა გიორგის მოწაფე, საფიქრებელია, იოანე, პეტრიკის ძმა, დაამტკიცა ჭყონდიდელად.

უფრო გვიან (1060 წ.) გიორგი თავის მოწაფეს ჭყონდიდში შეხვდა. ჭყონდიდში ჩასულ ბაგრატ IV-სა და გიორგი მთაწმიდელს დახვდათ ჭყონდიდის ეპისკოპოსი, რომელმაც გიორგი და მისი თანმხლები პირები საზამთროდ ჭყონდიდში დატოვა, „რამეთუ (ჭყონდიდელი) მოწაფე იყო ბერისაჲ“ (გვ. 161), ე.ი. გიორგისი. მეფე კი „სრულიად აფხაზეთს შთასლვად წარემართა“ (გვ. 160).

მართალია, ამ ჭყონდიდელის სახელი „ცხორებაში“ არ არის ნახსენები, მაგრამ, ვფიქრობთ, ეს უნდა იყოს პეტრიკის ძმა იოანე, რომელსაც გიორგი ჯერ კიდევ კონსტანტინოპოლიდან ან ათონიდან იცნობდა და რომელიც პეტრიკთან ერთად გიორგის დაემოწაფა. იოანე ჭყონდიდელი „ცხორებაში“ რამდენჯერმე მოიხსენიება (ამაზე ქვემოთ).

მიუხედავად იმისა, რომ ჭყონდიდელის პიროვნება გიორგის „ცხორებაში“ დადასტურებული ფაქტების გათვალისწინებით ეჭვს არ უნდა იწვევდეს, ქართველ მეცნიერთა მიერ ჭყონდიდელის პიროვნებაზე სხვადასხვა თვალსაზრისი გამოითქვა. თ.ჯორდანიას ეგნატეს ანდერძში მოხსენიებული იოანე ჭყონდიდელისა და სუნგელოზის შესახებ წერს:

<sup>1</sup> ბაგრატ მეფე ასე განსაზღვრავს გიორგის საქართველოში ჩამოსვლის მიზანს: „წმიდაო მამაო, ამისთვის მოვაშურეთ სიწმიდე თქუენი, რამთა ნაკლულეგანება და ცთომამ უწესოა აღმოპოვებურა სრულიად სულთაგან ჩუენთა. დაფარული დაფარულად გუამხილე, ხოლო ცხადი თუალუხუეად განგვმარტე, რამეთუ რააცა მიბრძანოს მამობამან შენმან, ესრეთ შევიწყნარო, ვითარცა პირისაგან წმიდათა მოციქულთაჲსა“ (ძველები, II, გვ. 161).





„ვეგონებ, ეს იოანე წინეთ იყო ბედიელი მთავარეპისკოპოსი სვანეთისა რომელიც საბერძნეთში გაგზავნეს მსლებლად მართა ბაგრატისა“<sup>1</sup>. სოლო პეტრე ვესტის შესახებ თქორდანია ამბობს: „ეს პეტრე შეიძლება იყოს „პეტრე პეტრიკ ყოფილი“, ძმა იოანე ბედიელისა“<sup>1</sup>.

განსხვავებული მოსაზრება წამოაყენა ნ. ბერძენიშვილმა<sup>2</sup>. მისი აზრით, იოანე ჭყონდიდელი 1065 წელს კონსტანტინოპოლში ჩავიდა მართას მსლებლებთან — პეტრე პატრიკსა და იოანე ბედიელთან ერთად (თუმცა მსლებელთა შორის იოანე ჭყონდიდელი დასახელებული არ არის). გიორგი მთაწმიდელის „ცხოვებაში“ მოხსენიებული იოანე ჭყონდიდელი და მისი ძმა პეტრე პატრიკი იგივენი არიან, — აღნიშნავს ნ. ბერძენიშვილი, — რაც 1085 წ. ეგნატეს ანდერძში მოხსენიებული ძმანი იოანე ჭყონდიდელი სვანეთში და პეტრე ვესტი და მწიგნობართუხუცესი“<sup>3</sup>.

როგორც ვხედავთ, ნ. ბერძენიშვილი მსჯელობის დროს ეყრდნობა გიორგი მთაწმიდელის „ცხოვებას“, „ცხოვებისათვის“ წამძღვარებულ გიორგი მცირის საპასუხო ეპისტოლეს, გაგზავნილს გიორგი შეყენებულისათვის და ეგნატეს 1085 წ. ანდერძს. მას მიაჩნია, რომ გიორგი მთაწმიდელის გარდაცვალების „თანდახუედრებული“ იყო იოანე ჭყონდიდელი. ამ მოსაზრებას იზიარებს ბ. კუდავა<sup>3</sup>.

განვიხილოთ ამ წყაროების ცნობები. მოვიტანთ ეპისტოლიდან შესაბამის ტექსტს მთლიანად: „ხოლო ვინაათვან კუალადცა მეორედ მოიწია წმიდა ეპისტოლე თქუენი [გიორგი შეყენებულისა] სიგლახაკისა მომართ ჩუენისა, ვითარცა მრავალყამ ყოფილისა და მის მიერ განათლებულისა და ღმრთისა მსგავსითა სიყუარულითა მის მიერ შეყუარებულისა და უმეტესადლა ვთქუათ თუ, ჟამსა მას სოფლით განსლვისა და ღმრთისა თანა მისლვისა მისისასა, რომელსა-იგი სუროდა და წადიერ იყო, მის თანდახუედრებულისა, და კუალად ღმრთისმოყუარისაცა მის მიერ მთავარეპისკოპოსისა, იოვანეს ვიტყვ ჭყონდიდელსა, ძმასა ნეტარისა პეტრე პატრიკისასა, მო-რამ-ვიდა სამეუფოდ ქალაქად მოციქულად მოვლინებული ბაგრატ აფხაზთა მეფისა მიერ და სევასტო-

<sup>1</sup> ქრონიკები, I, გვ. 233. ამ თვალსაზრისს იზიარებს ჯ. აფციაურიც (იხ. გიორგი მცირის „გიორგი მთაწმიდელის ცხოვება“, 1980, გვ. 57).

<sup>2</sup> ნ. ბერძენიშვილი, საგაზირო ფეოდალურ საქართველოში, ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი. - საქართველოს ისტორიის საკითხები. წ. III, თბ., 1966, გვ. 7-10.

<sup>3</sup> ბ. კუდავა, იოანე ჭყონდიდელი (XI საუკუნის ჭყონდიდელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიისათვის). - არტანუჯი, 1994, №2-3, გვ. 38.



სისა. ამის პირისათვის დიდად იძულებულ იქმნა უღირსება ჩუენი  
 თარცა შვილისაგან მამისმოყუარისა და, უფრომს-ლა ვთქუათ თუ,  
 ქრისტეს მოყუარისა, რამთა ყოველი სახე აღსრულებისა და სოფლით  
 განსლვისა წმიდისა ამის მამისა ჩუენისა უნაკლულოდ მიუთხრათ“ (გვ.  
 103).

ეპისტოლის ზემოთმოტანილ ტექსტს ერთ მთლიანობად კრავს  
 ძირითადი აზრი იმის შესახებ, რომ გიორგი მცირის მაიძულებელი  
 გიორგი მთაწმიდელის „ცხოვრების“ დაწერის საქმეში არის ორი პიროვ-  
 ნება — გიორგი შეყენებული, რომელსაც ამის თაობაზე ორი ეპის-  
 ტოლე გაუგზავნია გიორგი მცირისათვის, და იოანე ჭყონდიდელი, რო-  
 მელიც ბავრატ IV-მ გაგზავნა კონსტანტინოპოლში გიორგი მცირესთან  
 იმავე თხოვნით.

ტექსტში ჩვენ ორ ნაწილს გამოვყოფთ: 1. „ხოლო ვინაეთგან მის  
 თანა დახუედრებულისა“ და 2. „და კუალად ... სევასტოსისა“.

ტექსტის პირველი ნაწილის დინამიკა მიგვანიშნებს, რომ ავტორი,  
 გიორგი მცირე, საუბრობს თავის თავზე, როგორც პიროვნებაზე, რო-  
 მელმაც მიიღო გიორგი შეყენებულის მეორე ეპისტოლე გიორგი  
 ათონელის ცხოვრების დაწერის თხოვნით, პიროვნებაზე, რომელიც დიდი  
 ხნის განმავლობაში იმყოფებოდა თავისი მოძღვრის, გიორგი ათონელის,  
 გვერდით, მის მიერ იყო განათლებული და ღმრთის მსგავსი სიყვარუ-  
 ლით შეყვარებული, უფრო მეტიც, ამა სოფლიდან განსვლისა და  
 ღმერთთან მისვლის ჟამს მასთან იმყოფებოდა, შეესწრო მის აღსრულე-  
 ბას. ტექსტის პირველ ნაწილში აქცენტი მიემართება გიორგი შეყ-  
 ენებულის მეორე ეპისტოლის მიმღებს, ე.ი. გიორგი მცირეს.

რაც შეეხება ეპისტოლის ტექსტის მეორე ნაწილს, იგი იწყება  
 სიტყვებით: „და კუალად ღმრთისმოყუარისაცა მის მიერ მთავარეპისკ-  
 ოპოსისა“. ეს ნაწილი ეხება უკვე მეორე პიროვნებას, იოანე ჭყონ-  
 დიდელს. ტექსტის ორივე ნაწილში ერთსა და იმავე პიროვნებაზე რომ  
 იყოს საუბარი (თუნდაც იოანე ჭყონდიდელზე), მაშინ სრული უაზრობა  
 გამოდის ტექსტის მეორე ნაწილის დაწყება სიტყვებით: „და კუალად  
 ღმრთისმოყუარისაცა მის მიერ მთავარეპისკოპოსისა...“

ამრიგად, ეპისტოლის კონტექსტის მიხედვით გამოდის, რომ  
 გიორგი მთაწმიდელის აღსრულების „თანადახუედრებული“  
 (შესწრებული) ყოფილა არა იოანე ჭყონდიდელი, არამედ გიორგი  
 მცირე. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს აგრეთვე ის გარემოებაც, რომ  
 თვით „ცხოვრების“ ტექსტში, იქ, სადაც საუბარია გიორგის აღსრულე-



ბაზე, ნახსენები არ არის იოანე ჭყონდიდელი. აქ ნათქვამი <sup>კონსტანტინე</sup> აღსრულებას ესწრებოდნენ გიორგი მცირე, სტეფანე და სვმეონ, კაცნი მოხუცებულნი და აზნაურნი, მღვდელნი და დიაკონნი. ეს სამწუხარო ამბავი მაშინვე აცნობეს პეტრე პატრიკს. ამ თხრობაში იოანე ჭყონდიდელი არსად ნახსენები არ არის.

ამრიგად, ეპისტოლისა და „ცხორების“ ტექსტის ცნობები ერთმანეთს ემთხვევა და გამორიცხავს იოანე ჭყონდიდლის დასწრების ფაქტს გიორგი მთაწმიდელის გარდაცვალებაზე (1065 წ.). ისმის კითხვა, როდის ჩამოვიდა იოანე ჭყონდიდელი ბაგრატ IV-ის დავალებით „აღმოსავლეთიდან“ კონსტანტინოპოლში გიორგი მცირესთან? ამის შესახებ „ცხორება“ გვაწვდის ზუსტ ცნობებს. გავიხსენოთ „აღმოსავლეთიდან“ წასული გიორგი მთაწმიდელის და მისი მსლებლების, მათ შორის გიორგი მცირის, ჩასვლა კონსტანტინოპოლში. მათზე ადრე კონსტანტინოპოლში ჩასული იყვნენ მართა უფლისწული, რომელიც თავის რძალად და დედოფლად მიიწვია კონსტანტინე დუკამ, და მართას მსლებლებლად ბაგრატის მიერ წარვლენილი პეტრე პატრიკი და იოვანე ბედიელი მთავარეპისკოპოსი (გვ. 177) და სვხელოზი და სხვა ერი. კონსტანტინოპოლში გიორგისა და პეტრე პატრიკის შეხვედრის მომენტიდან გიორგი მთაწმიდელზე ზრუნვა მთლიანად თავის თავზე აიღო პეტრე პატრიკმა. მან მაშინვე აუწყა მათი ჩამოსვლა კეისარს და მეორე დღეს მისი მიწვევით პეტრემ პალატად მიიყვანა გიორგი. კეისარი მოიხიბლა გიორგის პიროვნებით, წაიკითხა ბაგრატ სევესტოსის სარეკომენდაციო წერილი მისდამი, „უმეტეს გულისკმაყოფიერებაჲ მისი და დიდითა პატივითა მოიკითხა“ და დაჰპირდა მისი ყველა სურვილის აღსრულებას. სამეფო პალატში გიორგის მიღებას ესწრებოდნენ „კაცნი ვინმე დიდებულნი და წარჩინებულნი, პრომნი და სომეხნი, რომელთა თანა იყო ვაგიკ კარელი და სხუანი თავადნი სამეუფოსანი“. აქ მეფის თხოვნით და პეტრეს დასწრებით გაიმართა დისკუსია მართლმადიდებლური, კათოლიკური და სომეხთა სარწმუნოების შესახებ, რამაც საბოლოოდ დაარწმუნა კეისარი გიორგის დიდ განათლებასა და გონიერებაში.

ამავე დროს კონსტანტინოპოლში იყო მამასახლისი მთაწმიდისა, ე.ი. ქართველთა მონასტრისა, რომელმაც იხილა რა გიორგი და გაიგო მისი ჩამოსვლის მიზანი, დიდად გაიხარა და თქვა: „კურთხეულ არს ღმერთი, კეთილად მოვიძლუა უფალი. აჰა ესერა, მონასტერი შენი წინაშე არს შესა“. ე.ი. მას მიაჩნდა, რომ გიორგის წინამძღვრობა

ქართველთა მონასტერში არ შეწყვეტილა. მიუხედავად იმისა, რომ ის წასული იყო, ქართველთა მონასტერი მთაწმიდაზე ელოდებოდა მას როგორც წინამძღვარს.

ამას მოსდევს გიორგის კიდევ ერთი შეხვედრა კეისართან ველსა ფილოპატისასა, სადაც უნდა გადაწყვეტილიყო „აღმოსავლეთიდან“ ჩაყვანილი 80 ობლის ბედი. შეხვედრის წინ პეტრე პატრიქმა და გიორგიმ დაწერეს პიტაკი მეფის სახელზე, რომელშიც გიორგიმ შეხვედრა კეისარს თავისი ობლები. გიორგის შეხვედრებს კეისართან ყოველთვის წარმართავდა პეტრე პატრიქი, რომლისთვისაც სამეფო დარბაზის კარი ყოველთვის ღია იყო. ამ შემთხვევაშიც პეტრემ გააკეთებინა კეისარს ყველაფერი, რაც ესაჭიროებოდა გიორგის და მის 80 ობლოს. კეისარმა გიორგის ყოველგვარი დახმარება აღუთქვა. ამასთანავე გიორგი მთაწმიდელს მიეცა საშუალება სამეფო კარზე კიდევ ერთხელ წარმოეჩინა თავისი ღრმა განათლება სარწმუნოებრივ პრობლემებზე მსჯელობისას და კიდევ ერთხელ დაემტკიცებინა ქართული მართლმადიდებლობის სიწმინდე, რასაც იმ დროსა და სიტუაციაში საქართველოსათვის დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. და ბოლოს, დიდ აქტიურობას იჩენს პეტრე პატრიქი გიორგის აღსრულების შემდეგ. პეტრე პატრიქის დამოკიდებულება ყველაზე კარგად სწორედ ამის შემდეგ გამოჩნდა: „ხოლო ვითარცა განვიდა ჯორცთაგან წმიდაჲ მამაჲ ჩუენი და წარვიდა წინაშე ღმრთისა, მეყსუელად ვაცნობეთ წმიდასა მამასა პეტრეს, ხოლო მან, მოძღურისმოყუარემან, და უფროასლა ვთქუსათ, თუ ღმრთისმოყუარემან, ვითარცა გულისჴმა-ყო ანაზდაითი ესე და მღევანი დაქცევაჲ ჩუენი, იწყლა სასტიკად სული მისი, არამედ წელნი მოირტყნა და მსწრაფლ შევიდა მეფისა“ (გვ. 195). ამ ამბის გამგონე კეისარმა ბრძანა გიორგის მიერ დატოვებული პიტაკის მოტანა. პიტაკში გიორგი სთხოვდა მეფეს ორ რამეს:

1. რათა მას მფარველობა გაეწია 80 ობლისათვის.
2. მთაწმიდის ქართველთა მონასტრისათვის შეექმნა ოქრობეჭედი „დასამტკიცებელი ყოველთა ოქრობეჭედთაჲ, რამათა ყოვლითურთ თავისუფალ და შეუფალ იყოს“ მონასტერი!

<sup>1</sup> ანალოგიური ოქრობეჭედი გიორგი მთაწმიდელმა მოიპოვა კონსტანტინე მონომახისაგან წინამძღვრობის პირველ წლებში, როდესაც ქართველთა მონასტერი უკიდურესად გაღატაკებული იყო და ზრუნავდა დაკარგული მამულების დაბრუნებასა და მოლო-



პიტაკის წაკითხვის შემდეგ კეისარმა უბრძანა პროტონტარქონი, ორი ხრიზობულის შექმნა, ერთი – ობოლთა, ხოლო მეორე – მონასტრის უფლებების დასაცავად (გვ. 196). ორივე ოქრობეჭედი გადასცა პეტრე პატრიკს. ცხადია, ამ საქმის მოგვარება სწორედ მისი დამსახურება იყო.

თუ რა დიდ მწუსარებაში ჩავარდა პეტრე გიორგის გარდაცვალების გამო და რა გულწრფელად დაიტირა მან იგი, ამას გიორგი მცირე საგანგებოდ აგვიწერს: „ხოლო თვთ [პეტრე პატრიკი] თუ რასა არა იქმოდა, ანუ რასა არა იტყოდა გუამსა ზედა მის წმიდისასა, და ვითარცა ცხოველსა, ესრეთ ემდურვოდა და ფერკთა მისთა ცრემლითა დაალტობდა“ (გვ. 196-197).

გიორგის კონსტანტინოპოლიდან ათონზე გადასვენებისა და მისი დაკრძალვის ცერემონიალს, როგორც უკვე ითქვა, პეტრე პატრიკი წარმართავდა. თავდაპირველად გიორგის ცხედარი ივირონის მონასტერში ეფთვიმეს სამარტვილეში მოათავსეს, რომელიც დიდი ეკლესიის სტოაში იყო. მაგრამ მონასტრის ბერებმა გიორგის სამკვიდრო ადგილად ეს სამარტვილე ვერ მიუჩინეს, ვიდრე პეტრე პატრიკს არ ჰკითხეს. სამი დღე ეფთვიმეს წინ ესვენა გიორგი, ხოლო შემდეგ შიგ ეკლესიაში\* გადაასვენეს, სადაც ერთი წელი დაჰყო, „და ყოველთა ღამეთა ლოცვანი და ღამის-თევანი აღესრულებოდის...“, ვიდრე წელიწადმდე ყოველთა წმიდათა ეკლესიასა, ვიდრემდის ბრძანებაჲ მოვიღეთ მისვე პეტრეს მიერ და კაცისა ღმრთისა, პატრიოსნისა ბერისა, წინამძღვრისა და მამასახლისისა ჩუენისა გიორგი ოლთისარისა“ (გვ. 200). აქედან ჩანს, რომ პეტრე გიორგი მთაწმიდელის გარდაცვალების ერთი წლის შემდეგაც ხან ათონზე, ხან კონსტანტინოპოლშია და წარმართავს მის სამკვიდროდ დაკრძალვისა და მისი ხსენების დღის განწესების საქმეს. პეტრეს და გიორგი ოლთისარის ბრძანებით გიორგი მთაწმიდელი ჩაასვენეს ნეტარი მამის გიორგი მაშენებლის ლუსკუმაში, „ეკლესიისა შტოს შინა

ნიერებაზე: „ილუწა (გიორგიმ - ემ.) შეწვენითა საღმრთოთა და აღიხუნა ოქრობეჭედი მტკიცენი ღმრთისმსახურთა მეფეთავან, დამამტკიცებლნი ოქრობეჭედთა ჩუენთანი“ (გვ. 135, 5) - ვკითხულობთ „ცხოვრებაში“. საფიქრებელია, ქართველთა მონასტრისათვის ახალი დამამტკიცებელი ხრიზობულის მოპოვების საჭიროება გიორგისათვის აშკარა ვახდა კონსტანტინოპოლში ქართველთა მონასტრის მამასახლისთან მისი შეხვედრის შემდეგ.

\* „ცხოვრების“ ტექსტში (ძეგლები, II, გვ. 200) ამ ეკლესიას ეწოდება „ყოველთა წმიდათა ეკლესია“. ჩვენი აზრით, უნდა იყოს „ყოველად წმიდის ღვთისმშობლის ეკლესია“.

მარცხნით კერძო, დამართებით ლარნაკსა წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთჳქესსა“ (გვ. 200), „ვითარცა მეორე მაშენებელი და შემამკონიფლიტოსისა ეკლესიათაჲ, თთუესა მისსა. 24-ს“, ე.ი. პეტრე პატრიკმა ამ აქტით გიორგი მთაწმიდელი გამოაცხადა ქართველთა მონასტრის მეორედ მაშენებლად.

ასევე აქტიურად არის ჩართული გიორგის სასწენებელი დღის განწესებაში პეტრე პატრიკი და მასთან ერთად უკვე იოანე ჭყონდიდელი, რომელიც მანამდე არ ჩანდა. მაშასადამე, იოანე ჭყონდიდელი კონსტანტინოპოლში ჩასულა გიორგის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ, ე.ი. 1066 წ. და მონაწილეობა მიუღია გიორგის სამკვიდრო ადგილის შერჩევასა და მისი სსენების დღის განწესებაში. საფიქრებელია, რომ ეს ის ჩამოსვლაა, რომელზედაც გიორგი მცირე დასაწყისშივე წერს: „მო-რაჲ-ვიდა სამეუფოდ ქალაქად მოციქულად მოვლინებული ბაგრატ აფხაზთა მეფისა მიერ და სევესტოსისა“ (გვ. 103), იმისათვის, რომ ეთხოვა გიორგი მცირისათვის გიორგი მთაწმიდელის ცხოვრების აღწერა.

პეტრე პატრიკმა და მისმა ძმამ იოანე ჭყონდიდელმა პირნათლად მოიხადეს ვალი თავისი მოძღვრის წინაშე: მათ განუწყესეს მას სსენების დღე 30 ივნისი. მათვე შეუკვეთეს ხატი „ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისაჲ და ამიერ და იმიერ ორნივე მამანი: წმიდაჲ მამაჲ ეფთჳქე მარჯუენით და მამაჲ გიორგი ერთკერძო, მედრებელად და მეოხად ჩუენტჳს მდგომარენი წინაშე წმიდისა ღმრთისმშობელისა. და ესე წმიდაჲ ხატი წარმოგზავნეს მთაწმიდას<sup>1</sup> და დაუსვენეთ სამარხოსა ზედა წმიდისა მამისა ჩუენისა გიორგისსა“ (გვ. 201-202).

ამით ამოიწურა გიორგი მთაწმიდელის „ცხოვრებაში“ წარმოდგენილი ცნობები პეტრე პატრიკისა და იოანე ჭყონდიდელის შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ ზუსტი ცნობები პეტრე პატრიკის გარდაცვალების თარიღის შესახებ არ გავაჩნია. არსებობს ორი წყარო, რომელთა მიხედვით შეიძლება წარმოვიდგინოთ მისი მოღვაწეობის უკანასკნელი წლები. ეს არის ხელნაწერი S-1696 და ივირონის მონასტრის ალაპი №32. ორივე შემთხვევაში პეტრე სუცესად იწოდება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მას მღვდლის წოდება მიუღია და მღვდელმსახურებას

<sup>1</sup> საფიქრებელია, პეტრე პატრიკმა და იოანე ჭყონდიდელმა ხატი კონსტანტინოპოლის სამხატვრო სახელოსნოში შეუკვეთეს.



ეწეოდა ან ათონის ქართულ ეკლესიაში, ან კონსტანტინოპოლის მედიმე ეკლესიაში (საფიქრებელია, ქართულში). პირველი ვარაუდის სასარგებლოდ ლაპარაკობს ალაპი № 32: „თუესა ინვარსა ივ. ალაპი განგვწესებია პეტრე ხუცისათჳს მე, მამამან იოანე და ყოველთა ძმათა. შემოწირნა ეკლესიასა ამან, კურთხეულმან ძმამან ჩუენმან, პეტრე ხუცესმან სათუეონი ათორმეტთა თუეთანი, თავისა მოგებულნი და თჳსითა ველითა დაწერილნი შჳდად წიგნად, ყოველითურთ სრულნი სტიქარონითა და ყოვლითა საგალობელითა, ვითარცა წმიდისა მამის გიორგის ნუხსათა შინა სწერია, უნაკლულოდ, და ამისა უწინა შემოეწირნეს კურთხევანი სრულნი, მისვე სანატრელისა მამისა გიორგის თარგმნილნი. და ამის ყოვლისათჳს განვაწესეთ დღესასწაულსა წმიდისა და ყოვლად ქებულისა მოციქულისა პეტრეს ჯაჭუთა თაყუანისცემისასა, რაჲთა საუკუნოდ აღესრულებოდის ალაპი მისი ყოველითა მოსწრაფებითა: პანაშვილთა და ყოვლისა ლოცვისა წესითა, წესისაებრ, და ანაფორითა, და ჟამისწირვითა და ძმათა ნუგეშინისცემითა. და ეწდიოს მწუხრსა სამი და სამხრად ოთხი, და ვინცა ვინ შემდგომად ჩუენსა უდებ იქმნას და უგულებელს ყოს და არა გარდაიჯადოს წლითი-წლად, ანუ დააკლოს რაჲ ვინ ანუ ლოცვასა, ანუ ჟამისწირვასა, ანუ ძალი-საებრ ნუგეშინისცემასა ძმათასა, ღმერთსა მან გასცეს პასუხი“.

ამ ალაპში გათვალისწინებულია პეტრე ხუცესის მწიგნობრული საქმიანობა, რაც ძირითადად გამოიხატებოდა გიორგი მთაწმიდელის თარგმანების გადანუსხვაში (განსაკუთრებით მის მიერ თარგმნილი ჰიმნოგრაფიულ-ლიტურგიკული თხზულებებისა). აქ დასახელებულია 7 წიგნად შეკრული 12 თვის თვეები სტიქარონებითურთ. ეს ის სამუშაოა, რომელიც აისახა გიორგი მთაწმიდელის „ცხორებაშიც“<sup>1</sup>.

დღეს უკვე გარკვეულია, რომ გიორგის „ცხორებაში“ ხსენებული იოანე პეტრიკ-ყოფილი იგივე პეტრიკ პატრიკია ანუ პეტრე ხუცესი. ამავე ალაპის საშუალებით შეიძლება განისაზღვროს ამ სამუშაოს შესრულების დროც. ალაპის თანახმად, მას ხელთ ჰქონია მთელი წლის თვენი თავისი სტიქარონებით<sup>2</sup>. ამასთანავე ისიც ცნობილია, რომ გიორგიმ თვეებზე მუშაობა შავ მთაზე დაასრულა. მამასადამე, პეტრე ხუცესს თვეების გადაწერა შეეძლო დაესრულებინა მხოლოდ გიორგის ანტიოქიიდან კონსტანტინოპოლში ჩასვლის შემდეგ (1060 წ.).

<sup>1</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, გვ. 148.

<sup>2</sup> ალაპი №32.

ხუცესობის პერიოდშივე გადაწერა მან გრიგოლ ნაზიანზელის „სიტყვათა“ ეფთვიმე ათონელისა და დავით ტბელის თარგმანთა ერთობლივი კრებული (S-1696). უკანასკნელი წლები რომ მან ივირონში გაატარა, მისი საძმოს წევრი იყო და იქვე გარდაიცვალა, ამასაც აღაპი გვამცნობს, რადგან ის წარმოადგენს დიდად საპატიო საუკუნო მოსახსენებელს გარდაცვლილი პეტრე ხუცესისათვის, განწესებულს იოანე წინამძღვრის (ბუქაისძის) მიერ (1080-1104 წწ.), რისი ღირსნიც ხდებოდნენ მხოლოდ რჩეული მოღვაწენი და საძმოს წევრები.

გვინდა წარმოვადგინოთ კიდევ ერთი საინტერესო წერილობითი ცნობა პეტრიკ პატრიკის შესახებ, რომელიც შემოუნახავს ლიხნის ეკლესიის წარწერას. მოგვაქვს წარწერის ტექსტი: „წმიდაო ღმრთისმშობელო, უბრწუნელო ქალწულო მარიამ, შემეწიე, შემიწყალე, დამიცევე, დამიფარე და მიხსენ ყოველთა წინაშე მდებარეთა ჭირთა და მომავალთა განსაცდელთა, ჩემგან შორს ყვენ! და მეოხ მეყავ წინაშე ძისა შენისა, ჭემმარიტისა ღმრთისა ჩუენისა ქრისტესსა, უღირსსა, მიწასა, ჭიასა, ავლსა და მტუერსა, მონასა და მადიდებელსა და მოსაგსა შენსა ვაჩეს პროტოსპათარსა და იპატოსსა, დისწულსა ჭყონდიდელისასა, მე და პეტრიკ პატრიკსა და მწიგნობართუხუცესსა“.

ამ წარწერაში, რომელიც, ვფიქრობთ, შექმნილია მასში მოხსენიებულ პირთა მიერ ტაძრისათვის გაწეული რაღაც მნიშვნელოვანი სამსახურის გამო, სამი პირია დასახელებული. წარწერის პირველი და მთავარი პერსონაა ვაჩე პროტოსპათარი და იპატოსი, დისწული ჭყონდიდელისა, მეორე პირია ჭყონდიდელი სახელის მოუხსენებლად, მესამე – პეტრიკ პატრიკი.

ჭყონდიდელი, რომელიც თავისი მღვდმარეობის გამო კარგად იქნებოდა ცნობილი თანამედროვეთათვის არა მარტო ჭყონდიდელის ეპარქიაში, არამედ მთელ დასავლეთ საქართველოში, წარწერის შემდგენლების თვალსაზრისით, ალბათ, არ საჭიროებდა ვინაობის განსაზღვრისათვის საკუთარი სახელის დართვას. მეორე მხრივ, თვით ჭყონდიდელი ლიხნის წარწერაში ერთგვარი ორიენტირია ვაჩე პროტოსპათარისა და იპატოსის პიროვნების გაცნობისათვის. თუ ვიმსჯელებთ ვაჩეს ბიზანტიური ტიტულების მიხედვით (პროტოსპათარი და იპატოსი), ის ბიზანტიის იმპერიაში მოღვაწე მაღალი თანამდებობის მოხელე ყოფილა, ნაკლებად ცნობილი დასავლეთ საქართველოში. ამიტომ ბუნებრივია, რომ ვაჩე თავის თავს აცნობს წარწერის მკითხველს ყველა-





სათვის კარგად ცნობილ ჭყონდიდელთან მიმართებაში: ის ჭყონდიდელის დისშვილი ყოფილა.

ეს წესი შუასაუკუნეების წერილობით წყაროებში სხვა შემთხვევებშიც გვხვდება<sup>1</sup>.

ვაჩე, რა თქმა უნდა, ვერ გაითვალისწინებდა, რომ მომავალი მკვლევარებისათვის არა მარტო მისი ვინაობა იქნებოდა საძიებელი, არამედ იმ ჭყონდიდელისაც, რომლის მეოხებითაც იგი თავის ვინაობაზე მიგვიითობს.

ვინ არის ლიხნის წარწერაში მოხსენიებული ჭყონდიდელი? შეიძლება თუ არა მისი ვინაობის და ზეობის წლების დადგენა? ამ საკითხის გარკვევისათვის ისევ ლიხნის წარწერას უნდა მივმართოთ: წარწერაში მოხსენიებული მესამე პირი არის პეტრიკ პატრიკი. მისი ვინაობისა და მოღვაწეობის გარკვევას ეძღვნება წინამდებარე გამოკვლევა.

როგორც ზემოთ ითქვა, გიორგი მთაწმიდელის „ცხოვრებაში“ მოხსენიებული პეტრიკ პატრიკი და იოანე ჭყონდიდელი ძმები არიან. ორივე გიორგი მთაწმიდელს დაემოწაფა (პეტრიკი ბერად აკურთხა გიორგიმ) ბაგრატ IV-ისა და მისი დედის, მარიამის კონსტანტინოპოლში ყოფნის წლებში (1054-56 წწ.). ამავე წლებში, უფრო ზუსტად, 1054 წ. (გიორგი ათონელისა და ბაგრატ IV-ის პირველი შეხვედრის დროს) გიორგის შუამდგომლობით გადაწყდა პეტრიკ პატრიკის ძმის, იოანესათვის ჭყონდიდის კათედრის ჩაბარება, რომელიც ამ დროისათვის ვაკანტური იყო.

ზემოთქმულის საფუძველზე, ლიხნის წარწერა შექმნილი უნდა იყოს 1054-1056 წლებამდე (როდესაც პეტრიკი ბერად აღიკვეცა პეტრეს სახელით).

გარდა თარიღისა, ამ წარწერასთან დაკავშირებით დგება რამდენიმე საკითხი: რატომ ვაკეთდა ეს წარწერა ლიხნის ეკლესიაში და რატომ მოიხსენიებიან წარწერაში ვაჩე და პეტრიკ პატრიკი ერთად? დავიწყით უკანასკნელით:

წარწერის ძირითადი ნაწილი დაწერილია ვაჩე პროტოსპათარისა და იპატოსის მიერ პირველ პირში და მხოლოდობით რიცხვში. ეს ნაწილი წარწერისა მოსახსენებლის დასრულებული ტექსტის შთაბეჭდილებას

<sup>1</sup> ასე. მაგ.: ჩორდვანელთა სახლის ზოგიერთ ნაკლებად ცნობილ წევრს ქართულ და სომხურ წყაროებში მოიხსენიებენ თორნიკესთან ნათესაურ კავშირში.

ტოვებს. რაც შეეხება ბოლო ფრაზას, „მე და პეტრიკ პატრიკსა და...“ მწიგნობართუხუცესსა“, იგი წარწერის ძირითად ნაწილთან თითქოს ორგანულად დაკავშირებული არ ჩანს.

ამავე დროს, ვაჩე პროტოსპათარი თავის თავს წარმოგვიდგენს ჭყონდიდელის დისწულად. თუ ამ ჭყონდიდელში ვიგულისხმებთ იოანეს (ამ დროისათვის კი სხვა კანდიდატურა არ გვევლინება), მაშინ აუხსენელია ის ფაქტი, რატომ არ არის ამ მოსახსენებელ წარწერაში მინიშნებული პეტრიკის ნათესაური კავშირი ჭყონდიდელთან. იქნებ ამოკითხვაში დაშვებულია უზუსტობა, მით უმეტეს, რომ წარწერა რთული ამოსაკითხავი ყოფილა, რაც ჩანს მეცნიერთა მიერ წარწერის ტექსტის სხვადასხვაგვარი წაკითხვებიდან<sup>1</sup>.

ახლა რაც შეეხება საკითხს, თუ რატომ შეიქმნა ეს წარწერა მაინც და მაინც ლიხნის ეკლესიაში.

ლიხნის ეკლესია (რომლის აშენებას ვარაუდობენ X-XI სს., უფრო ზუსტად კი, X ს.)<sup>2</sup> წარმოადგენს დასაუფლებელ საქართველოში ბიზანტიური პოლიტიკისა და კულტურის გავლენის ამსახველ ტაძარს. ამიტომ საფუძვლით ბუნებრივია, რომ სწორედ ლიხნის ტაძარი შეარჩიეს ბიზანტიის სამეფო კარის დიდმა ქართველმა მოხელეებმა ვაჩე პროტოსპათარმა, იპატოსმა და პეტრიკ პატრიკმა საკუთარი მოსახსენებლის შესაქმნელად. მეორეს მხრივ, ის ფაქტი, რომ ვაჩე პროტოსპათარი თავს გვაცნობს ჭყონდიდელის დისწულად, გვაფიქრებინებს, რომ ეს მოსახსენებელი ამავე დროს დაკავშირებული უნდა ყოფილიყო პეტრიკ პატრიკის ძმის, იოანეს ჭყონდიდის კათედრაზე არჩევა-დამტკიცების ფაქტთან. ამ ინტერპრეტაციით გაიბა კავშირი ლიხნის წარწერის სუბიექტებსა და იოანე ჭყონდიდელს შორის.

<sup>1</sup> Brosset, Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie, exécuté en 1847-1848, VIII-e rapp., p. 119.

<sup>2</sup> Л. Рчеулишвили, Купольная архитектура VIII-X веков в Абхазии. Тб., 1988, с. 44.

# თეოფილე ხუცესმონაზონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღდგენის ცდა



ბოლო დრომდე ჩვენ ცოტა რამ ვიცოდით XI საუკუნის II ნახევრის მთარგმნელისა და პოეტის თეოფილე ხუცესმონაზონის შესახებ. ამის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ თეოფილეს სახელთან დაკავშირებული ძირითადი ლიტერატურული პროდუქცია ავტოგრაფების სახით დაცულია ქართული ხელნაწერების ათონურ კოლექციაში (ათონზე), რომელზეც ქართველ მეცნიერებს უკანასკნელ ხანებამდე ხელი არ მიუწვდებოდათ. ისინი მათ მხოლოდ აცაგარელისა და რ.ბლეიკის კატალოგებით ეცნობოდნენ.

მას შემდეგ, რაც სპეციალისტებმა მიიღეს ათონის ხელნაწერთა კოლექციის მიკროფირები, მრავალ სხვა პრობლემასთან ერთად, შესაძლებელი გახდა თეოფილე ხუცესმონაზონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლა. ამ კოლექციის ხელნაწერთა დამუშავებას ერთდროულად შეუდგნენ კაკეელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, შრუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი და ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ფილოლოგთა ერთი ჯგუფი („ორიონი“).

ხელნაწერთა ინსტიტუტმა გამოაქვეყნა ათონის ხელნაწერთა აღწერილობის I ნაკვეთი, სადაც თეოფილეს რამდენიმე ავტოგრაფის აღწერილობა შევიდა (Ath. 20, 36-37 — მეტაფრასული კრებულების ავტოგრაფები)<sup>1</sup> და გამოსაცემად მომზადდა სამივე ხელნაწერი.

ათონურ ქართულ ხელნაწერებს ივლოლაშვილმა სპეციალური ნაშრომი უძღვნა. სხვა ხელნაწერთან ერთად იგი ვრცლად შეეხო თეოფილეს ავტოგრაფულ ნუსხებს (Ath. 20, 29, 36-37), გამოაქვეყნა მათი ანდერძების სრული ტექსტები და ამასთანავე განიხილა რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც დაკავშირებულია თეოფილეს ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან. ამ პუბლიკაციების შემდეგ ჩვენ გარკვეული წარმოდგენა შეგვექმნა თეოფილეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის, მისი განსწავლულობისა და მთარგმნელობითი მეთოდის შესახებ. ამის მიუხედავად, თეოფილეს ლიტერატურული მოღვაწეობის სრულყოფილი შესწავლა მისი თარგმანების პუბლიკაციასთან ერთად

<sup>1</sup> ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (ათონური კოლექცია), I. თბ., 1986.

<sup>2</sup> ივ. ლოლაშვილი, ათონურ ქართულ ხელნაწერთა სიახლანი, თბ., 1982.

უნდა მოხდეს, რასაც, ვიმედოვნებთ, ქართველი ფილოლოგები არ დაგვიწყენებენ. ჩვენ კი, ამჯერად გვინდა შევჩერდეთ თეოფილეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის ზოგიერთ მხარეზე, რომელიც, ვფიქრობთ, გარკვეულად დაგვეხმარება მისი მოღვაწეობის უკეთ შესწავლაში. მასალას ამისათვის თეოფილეს ავტოგრაფების ანდერძ-მინაწერები გვაწვდიან. ზემოხსენებული ავტოგრაფული ნუსხები წარმოაჩენენ თეოფილეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის სხვადასხვა ეტაპებს.

რა ცნობებია დაცული ამ ანდერძ-მინაწერებში თეოფილეს ბავშვობისა და სწავლა-აღზრდის შესახებ? საყურადღებოა ის ფაქტი, რომ თეოფილე თავის მოამბგეთა შორის განსაკუთრებული მადლიერებით იხსენიებს გიორგი მთაწმიდელის მშობლებს, რომელთაც მისი თქმით, დიდი როლი შეუსრულებიათ თეოფილეს ცხოვრებაში. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება Ath. 29 ხელნაწერს (დაბადების წიგნის იოანე ოქროპირის თარგმანება), რომელმაც ჩვენამდე ერთადერთი ავტოგრაფული ნუსხით მოაღწია<sup>1</sup>. ანდერძში თეოფილე ჩამოთვლის თავის მოძღვართ და კეთილისმყოფელთ: „ითარგმნა უკუე წმიდაჲ ესე და დიდებჲა ყოველთა ეკლესიათა წიგნი ღმრთისა მიერ და მისთა მათ აურაცხელითა მოწყალებითა და მეოხებითა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისა, დედისა ღმრთისაჲათა, მადლითა წმიდათა მამათა და მნათობთა სოფლისათა, ამასვე დიდსა ოქროპირსა თანა წმიდისა მამისა ეფთჳქესითა და დიდისა მამისა გიორგი მთაწმიდელისა, აღმზრდელისა ჩემისაჲათა, მწირისა, გლახაკისა და ობლისა, ლოცვითა მოძღუართა და მშობელთაჲათა, ლოცვითა წმიდათა მამათა და დიდთა ბერთა: იოანე რეზუემს ძისა და ბერისა საბამს თუხარსელისა, ბერისა კლიმი მეუდაბნოსა და ნეტარისა ბასილი ულუმბოეკლისა, მოძღურისა ჩემისაჲათა, რომელთა იყავნ ერთბამად საუკუნომცა საქსენებელი და კურთხევაჲ... დაინუსხა უკუე ჳელითა ცოდვილისა თეოფილესითა ქუეყანასა ელადისასა და მთაწმიდას სრულ იქმნა, სადაცა-იგი შეიწირა“.

ამ ანდერძში თეოფილეს ცხოვრების მთელი გზაა ნაჩვენები: ვისთან ჰქონდა მას ურთიერთობა და თანამშრომლობა თავისი ცხოვრების მანძილზე.

როგორც ანდერძიდან ჩანს, თეოფილე „მწირი, გლახაკი და ობოლი“ ყოფილა, ხოლო მისი აღმზრდელი – გიორგი მთაწმიდელი. თეოფილე შემთხვევით არ უწოდებს თავის თავს „მწირს“. საბას გან-

<sup>1</sup> ივ. ლოლაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 53-54.



მარტებით, მწირი არის „უცხო ვინმე უცხოთა ადგილთა იყოფებოდეს და გამოიზარდებოდეს, გინა სულსა ზრდიდეს და წმიდათა ადგილთა მოილოცევდეს“. ჩანს, ადრე დაობლებულ თეოფილეს ერთხანს გიორგი მთაწმიდელის მშობლებმა უპატრონეს, ხოლო შემდეგ აღსაზრდელად თავის ვაჟს გიორგის ჩააბარეს. გიორგის მშობლებისადმი თავისი დამოკიდებულება თეოფილემ საკმაოდ ემოციურად და რიტორიკულად გადმოგვცა სექტემბრის თვის მეტაფრასში (Ath. 20), რომელიც დაიწერა 1081 წელს და ჩვენამდე ავტოგრაფული ნუსხით მოაღწია: „მოიჰსენენ, ღმერთო, მოიჰსენენ პირველ დაძინებულნი მონანი შენნი, მშობელნი სანატრელისა და წმიდისა მამისა გიორგი მთაწმიდელისანი — მარიამ და იაკობ, რომლისა მადლითა და ლოცვითა იქმნა, რაა-ესე იქმნა“.

გიორგის მშობლების შემდეგ თეოფილე მოიხსენიებს თავის მშობლებს: „და კუალად (მოიჰსენენ) უნდონიცა იგი მშობელნი უღირსებისა ჩემისანი — მარიამ და იოანე ცოდვილსა თანა სულსა ჩემსა, რომელმან აღვწერე ესე“<sup>2</sup>.

ჩვენამდე არ მოუღწევია ცნობას, სად და როდის „შეავდრეს“ გიორგი მთაწმიდელს მისმა მშობლებმა ობოლ თეოფილეზე ზრუნვა-პატრონობა. საფიქრებელია, რომ მათი პირველი გაცნობა და თეოფილეს დამოწაფება გიორგის კონსტანტინოპოლში ხანგრძლივი ექსორიობიდან ხასულში დაბრუნების შემდეგ უნდა მომხდარიყო, ე.ი. 1034 წელს. აქ იგი რამდენიმე წლის განმავლობაში მოღვაწეობდა, ვიდრე იერუსალიმსა და შავ მთაზე გაემგზავრებოდა. სწორედ ამ წლებში უნდა ყოფილიყო იგი თეოფილეს აღმზრდელი და მისი მოძღვარი. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ექსორიობიდან დაბრუნებულ გიორგის დედა გარდაცვლილი დახვდა<sup>3</sup>, რაც იმას მოწმობს, რომ თეოფილეზე ზრუნვა მის მშობლებს უფრო ადრე დაუწყიათ, ვერ კიდევ გიორგის კონსტანტინოპოლში ყოფნისას. ამ დროიდან მოყოლებული გიორგი მთაწმიდელს სიცოცხლის ბოლომდე არ შეუწყვეტია თეოფილეზე ზრუნვა, იგი მუდამ იყო გიორგის ყურადღების ცენტრში და მისი

<sup>1</sup> სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I. თბ., 1991, გვ. 546.  
<sup>2</sup> Ath.20-ის აქამდე უცნობი ფრაგმენტი პირველად ივლოლაშვილმა გამოაქვეყნა. იხ. დასახ. ნაშრომი, გვ. 37. სრული სახით ანდერძი ნ.გოგუაძემ გამოსცა ათონის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში (ნაწ. I). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გიორგი მთაწმიდელის მშობელთა ასეთი სასოებით მოხსენიება არ შეგვეხვედრია გიორგის ან მისი რომელიმე თანამედროვისა და თანამოღვაწის ანდერძში.

<sup>3</sup> ძველი ქართული ავტოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, გვ. 118-119.

ხშირი თანამგზავრი შორეულ მოგზაურობებში (იერუსალიმი, შავი მთა, ათონი).



თუ მხედველობაში მივიღებთ თეოფილეს მიერ ბერძნულიდან ქართულად თარგმნილი წიგნების ძალაღებულ დონეს, უნდა ვიფიქროთ, რომ გიორგის იმაზეც უზრუნია, რომ თეოფილეს ფართო განათლება მიეღო კონსტანტინოპოლის უმაღლეს სკოლაში და მიეღწია მთარგმნელ-მწიგნობრისათვის საჭირო დაოსტატებისათვის. ეს უნდა მომხდარიყო გიორგის ათონზე მოღვაწეობის წლებში (1040-1056). არ არის გამორიცხული, რომ დროის რომელიღაც მონაკვეთში თეოფილეს იმყოფებოდა ივირონში.

თავად თეოფილე შემდეგნაირად აგვიწერს გიორგის ღვაწლს მის მთარგმნელ-მწიგნობრად ჩამოყალიბების საქმეში: „მაღლითა მოძღურისა და გამზრდელისა ჩემისა გეორგი მთაწმიდელისაჲთა, — რამეთუ კმა არს ჟსენებაჲ ოდენ სახელისა მისისაჲ შესხმად მისა... აღალო პირუტყუთ-სახჭესე პირი ჩემი და კუალად მეცა უღირსმან ამან ვყავ მრავალი მოსწრაფებაჲ ამისთჳს და სიყუარულისათჳს ამათ წიგნთა... რომელ არს თარგმანებაჲ წიგნთაჲ ბერძულისაგან ქართულად“ (Ath. 20, 3r). ცნობა იმის შესახებ, ამ პერიოდში თარგმნა თუ არა მან გიორგის რჩევით რაიმე ძეგლი, არ მოგვეპოვება.

1056 წელს გიორგი ტოვებს ივირონს და მიემართება ანტიოქიასა და შავ მთაზე, რათა დაუბრუნდეს მთარგმნელობით საქმიანობას. ჩვენი ვარაუდით, მას თან უნდა წაეყვანა თეოფილეს. ამის საფუძველს გვაძლევს ხელნაწერი Ath. 29-ის ანდერძი, სადაც მოტანილია თეოფილეს მოძღვართა ნუსხა<sup>1</sup>. ამ ნუსხაში გიორგის შემდეგ დასახელებული არიან იოანე რეხუემსძე, საბა თუხარსელი, კლიმი მეუდაბნოე და ბასილი ულუმბოელი. თეოფილე მათ თავის მასწავლებლებად და მოძღვრებად ასახელებს, რაც იმას უნდა გულისხმობდეს, რომ თეოფილეს კონტაქტი დაუმყარებია ყოველ მათგანთან და ცხოვრების სხვადასხვა პერიოდში დამოწაფებია მათ. ამიტომ მიგვაჩნია ეს ანდერძი ავტობიოგრაფიულად, ხოლო მისი ცნობები თეოფილეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის სხვადასხვა ეტაპის ამსახველ პირველწყაროდ. ამ ცნობის მიხედვით, თეოფილე გიორგისთან ერთად წასულა ანტიოქიაში. ჩასვლის უმაღლეს შეთანხმების თანახმად, ანტიოქიაში ჩავიდა დედოფალი მარიამი

<sup>1</sup> იხ. აქვე წერილი - ხელნაწერი Ath.29 - როგორც თეოფილე ხუცესმონაზონის ბიოგრაფიის წყარო.

(ბაგრატ IV დედა), იმ განზრახვით, რომ იქიდან წასულიყო იერუსალიმში წმიდა ადგილების მოსალოცავად და ჯვრის მონასტრის სათვის შესაწირავის გადასაცემად. ანტიოქიის ადგილობრივი მთავრობა წინაღუდგა მარიამის ამ სურვილს იმის გამო, რომ მგზავრობა მეტად სასიფათო იქნებოდა. მარიამის თხოვნით შესაწირავის იერუსალიმში ჩატანა იკისრა გიორგი მთაწმიდელმა. მან ანტიოქიიდან იერუსალიმში თან წაიყვანა ერთი „მოწაფე“, ვფიქრობთ, ეს „მოწაფე“ თეოფილე უნდა ყოფილიყო, რომელიც იქ იოანე რესუქსამქს<sup>2</sup> დაემოწაფა. გიორგიმ მოინახულა მშენებარე ჯვრის მონასტერი და გადასცა ჯვრის მაშენებელ პროხორეს მარიამის შეწირულება. იერუსალიმიდან შავ მთაზე დაბრუნებული თეოფილე კვლავ გიორგი მთაწმიდელის მეშვეობით უკავშირდება საბა თუხარსელს, შავი მთის ქართველთა სამწერლობო სკოლის ერთ-ერთ თვალსაჩინო მოღვაწეს. შავ მთაზე თეოფილემ გიორგისთან ერთად ოთხი წელი დაჰყო. აქ გაიღრმავა მან განათლება, ბერძნული ენის ცოდნა და ფილოლოგიური სკოლის მწიგნობრულ საქმიანობაში ჩაება. სწორედ ამ პერიოდში დაინტერესდა თეოფილე ბერძნული მეტაფრასული ლიტერატურით, რაც ამ სკოლის ერთ-ერთი პრიორიტეტული თემა იყო. შავ მთაზე მუშავდებოდა მეტაფრასული ლიტერატურის, ისტორიისა და თეორიის საკითხებიც, რაც შემდგომ ეფრემ მცირის ნაშრომებში სისტემის სახით ჩამოყალიბდა. თეოფილეს საგანგებო ინტერესი მეტაფრასული ლიტერატურისადმი მკაფიოდ გამოვლავნდა და განხორციელდა მის მიერ თარგმნილ მეტაფრასულ კრებულებში (სექტემბრის თვის Ath. 20 და ნოემბრის თვის Ath. 36-37 მეტაფრასები). თეოფილეს მეტაფრასული კრებულების თარგმნა არც შემდგომ შეუწყვეტია. სავსებით დამაჯერებელია კ. კეკელიძისა და ივ. ლოლაშვილის მოსაზრებანი, რომ თეოფილეს განზრახული ჰქონდა მთელი მეტაფრასული კორპუსის თარგმნა.

1060 წელს გიორგი მთაწმიდელმა ბაგრატ IV-ის მოთხოვნით მიატოვა შავი მთა და საქართველოში გამოემგზავრა, რათა დახმარება აღმოეჩინა ბაგრატიანთავის ქართული ეკლესიის რეორგანიზაციის რთულ საქმეში. ვფიქრობთ, გიორგისთან ერთად თეოფილემ ჩამოვიდა საქართველოში. ბაგრატ IV-ს იგი როგორც განათლებული პიროვნება და მწიგნობარი თავის კარზე სამოღვაწეოდ მიუწვევია. აქ დაახლოვებია ის

<sup>1</sup> ძველები, II, გვ. 144.

<sup>2</sup> მისი ვინაობის შესახებ იხ. აქვე: ხელნაწერი Ath. 29.



ბაგრატ IV-ის ძეს გიორგი II-ს, რომელმაც ალლო აულო მის მწიგნობრულ შესაძლებლობებს და შესთავაზა ხელი მიეყო ბერძნულად ქართულად თარგმნის საქმისათვის. ამის შესახებ ცნობა დაუკავს Ath. 20-ის ანდერძს: „ითარგმნა უკუცა წიგნი ესე მეტაფრასი ქალაქსა შინა სამეფოსა კოსტანტინეპოლეს, მონასტერსა შინა ყოვლადშუენიერსა ტრიანდაფლიეს, დედისა ღმრთისასა, უღირსისა მიერ თეოფილეს რეცა ხუცესმონაზონისა და მათვე ველთა მიერ დანიუსსა დასაბამითგანთა წელთა ექუს ათას ხუთას ოთხმეოცდამეცხრესა (=1081 წ.), ინდიკტიონსა ოთხსა ბერძულად, მეფობასა აღმოსავლეთს გეორგი კესაროსისა, ბაგრატის ძისასა, რომლისა ბრძანებითა და მოღუაწებითა ვიწყე თარგმნად წიგნთა საღმრთოთა ელენურისაგან ქართულად“ (Ath. 20)<sup>1</sup>.

1066 წელს გიორგი მთაწმიდელი თურქ-სელჩუკთა შემოსევებისა და ქვეყანაში დატრიალებული უბედურების გამო ტოვებს საქართველოს და 80 ობოლი ბავშვით მიემგზავრება ათონზე. კონსტანტინოპოლში ჩასვლისთანავე გიორგი მოულოდნელად გარდაიცვალა და მისმა მოწაფეებმა იგი ათონზე გადასვენეს. ჩანს, ამ პერიოდში თეოფილე არ ახლდა გიორგის, წინააღმდეგ შემთხვევაში მას აუცილებლად მოიხსენიებდნენ იმ მოწაფეთა შორის, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს გიორგი მთაწმიდელის ათონზე გადასვენების ცერემონიაში. თეოფილე დარჩა ბაგრატის კარზე, სადაც ის მოღვაწეობდა იქამდე, სანამ გიორგი II-მ არ გაეზაფნა კონსტანტინოპოლში ბაგრატ მეფის ასულის მართას გადედოფლებასთან დაკავშირებით (1073-1081). ამ დროიდან თეოფილეს საქმიანობა ხდება მარიამ დედოფლის ზრუნვის საგანი.

მარიამი სამეფო კართან დაკავშირებულ მწერალთა და ფილოსოფოსთა წრეში დედოფლობის პერიოდშიც და შემდგომაც დიდი გავლენით სარგებლობდა თავისი განსწავლულობითა და გონიერებით. ათონის ქართულმა ხელნაწერებმა და აღაპებმა არაერთი ცნობა შემოგვიჩვენეს იმ მზრუნველობისა და მეცენატობის შესახებ<sup>2</sup>, რასაც იჩენდა მარიამი როგორც ბერძენი ფილოსოფოსებისა და მეცნიერების, ისე ქართველი მწიგნობრებისა და მთარგმნელების მიმართ. მარიამი იმაზეც ზრუნავდა, რომ ქართული მწერლობა გამდიდრებულიყო ბიზანტიური მწერლობის ახალი მიღწევების ქართულ ენაზე თარგმნით.

<sup>1</sup> ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (ათონური კოლექცია), ნაკვ. I. თბ., 1986, გვ. 79.  
<sup>2</sup> მარიამის მეცენატობის საკითხი, მისი ურთიერთობა ბიზანტიაში მოღვაწე ქართველობასთან, განსაკუთრებით ათონის მოღვაწეებთან, ცალკე შესწავლას თხოვლობს.





ამის დასტურია თუნდაც ის ცნობა, რომელიც შემოგვინახა „თარგმანების“ ქართული თარგმანის ხელნაწერმა. A 52-ის სათაურში ვკითხულობთ: „თეოფილაქტე წმიდისა მთავარეპისკოპოსისა ვულღარიაჲს/სა, განმარტება იოანნის თავისა წმიდისა სახარებისაჲ, ნამუშაკევი მისი ბრძანებისა მიერ მარადის საქსენებელისა დედოფლისა, უფალა მარიაჲსი/“<sup>1</sup>

ცნობა, რომ სწორედ მარიამის დაკვეთით დაიწერა იოანეს თავის განმარტება, ბერძნულ ხელნაწერებს არ შემოუნახავს. ჩვენი აზრით, სათაური ბერძნულშიც უნდა ყოფილიყო. ამის საბუთად გამოდგება ის, რომ „თარგმანების“ დამკვეთი დედოფალი მოხსენიებულია არა როგორც მარიამი, არამედ როგორც „მარიაჲ“, რაც უთუოდ ბერძნული დედნიდან უნდა იყოს გადმოსული. ქართული ხელნაწერი, რომელსაც დაუცავს ეს ცნობა, XII-XIII საუკუნისაა. ამიტომ ჭირდა ამ ცნობის უკრიტიკოდ მიღება<sup>2</sup>. ბოლო ხანებში გამოვლინდა ამავე ტექსტის ფრაგმენტი<sup>3</sup>, რომელიც პალეოგრაფიულად XI საუკუნის II ნახევრით უნდა დათარიღდეს, ეს კი თეოფილაქტე ოხრიდელის<sup>4</sup> მოღვაწეობის პერიოდია. მაშასადამე, „თარგმანება“ უნდა თარგმნილიყო თეოფილაქტეს კონსტანტინოპოლში მოღვაწეობის წლებში (1088 წლამდე)<sup>5</sup> კონსტანტინოპოლშივე მოღვაწე ქართველის მიერ, რომელიც ამავე დროს მარიამთან დაახლოებული პირი უნდა ყოფილიყო და მისივე ბრძანებით უნდა შესდგომოდა ამ კომენტარების ქართულად თარგმნას. ასეთ პიროვნებად XI საუკუნის 80-იან წლებში კონსტანტინოპოლში ჩვენ გვეგულება თეოფილე ხუცესმონაზონი. ამას მხარს უჭერს ის ფაქტი, რომ თეოფილეს ინტერესი ეგზეგეტიკური თხზულებებისადმი სხვა მხრივაც დასტურდება. ცნობილია, რომ მას ეკუთვნის იოანე ოქროპირის „დაბადების წიგნის“ კომენტარის ქართული თარგმანი.

<sup>1</sup> ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A კოლექცია), I, თბ., 1973, გვ. 141.  
<sup>2</sup> კაკველიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1960, გვ. 317.  
<sup>3</sup> A 1090 დ, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A კოლექცია), ტ. IV, 1954, გვ. 55-56.  
<sup>4</sup> თეოფილაქტე ბულგარელი ანუ ოხრიდელი თავისი დროის ერთ-ერთი ყველაზე განათლებული პიროვნება იყო, რომელიც 1088 წლიდან ოხრიდის მთავარეპისკოპოსის ხარისხს ატარებდა. სწორედ მას მიანდო მარიამმა თავისი შვილის აღზრდაც.  
<sup>5</sup> კაკველიძე, თარგმანებაჲ ეკლესიასტისაჲ მიტროფანე ზმუნრელი მიტროპოლიტისაჲ. თბ., 1920, გვ. XXIV.



იმის საბოლოოდ გასარკვევად, მართლა თეოფილეს მიერ არის შესრულებული თეოფილაქტეს შრომის თარგმანი თუ არა, საჭიროა ზედმიწევნით იქნეს შესწავლილი თეოფილაქტეს ქართული თარგმანი ენობრივი და სტილისტური თვალსაზრისით, შედარდეს თეოფილეს იმ თარგმანებს, რომლებიც ეჭვს არ იწვევენ.

ანალოგიურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე ევსტრატე ნიკიელის „მეტეოროლოგიურ ტრაქტატთან“ დაკავშირებით, რომელიც ასევე მარიამის შეკვეთით არის დაწერილი. ტრაქტატის სათაურში აქაც მოტანილია მიძღვნა: „მეუფე ქალბატონს მარიამ „ალანელს“<sup>1</sup>.

მარიამი დიდად განიცდიდა იმას, რომ თავის სამშობლოსა და მეგობარ-მახლობლებს მოწყვეტილი, გარშემორტყმული იყო ტანტისა და გავლენის მაძიებელი სამეფო კარის დიდებულებით, რომელნიც არაფერს თაკილობდნენ თავისი მიზნების მისაღწევად. ასეთ ვითარებაში ათონსა და კონსტანტინოპოლში მცხოვრები ქართველები ამხნევებდნენ და მარტოობის მძიმე ხვედრს უმსუბუქებდნენ მას. ჩანს, გიორგი II-მ, მარიამის ძმამ, ამ მიზნითაც გამოგზავნა თეოფილე მარიამთან. ვფიქრობთ, ეს თავად თეოფილესაც მისცემდა სამეფო კართან დაახლოებისა და ელიტასთან ურთიერთობის საშუალებას. აქვე და ამ დროს უნდა მიეღო თეოფილეს პროტოსვენგელოზის პატივი (ეს ცნობა დაცულია Ath. 29 ხელნაწერის ანდერძში). საცხოვრებელ ადგილად მას მიუჩინეს სამეფო მონასტერი ტრიანდაფლივი.

ტრიანდაფლივის, იმავე პერიბლეტუს ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის აშენება კონსტანტინოპოლში დაკავშირებულია რომანოზ არგვირუსის სახელთან. მან 1030 წელს განიზრახა აეშენებინა ყველაზე ლამაზი ეკლესია და დიდძალი თანხა დახარჯა მის აგებაზე. ეკლესიას მიუშენა მონასტერი, რომელშიც დასაფლავეს რომანოზი 1034 წელს. ნიკიფორე ბოტანიატმა (1078-1081 წწ.) განაახლა მონასტერი და როდესაც კომნენებმა ის აიძულეს ბერად აღკვეცილიყო, მან თავი ამ მონასტერს შეაფარა, სადაც გარდაიცვალა კიდევ. იგი აქვე დასაფლავეს. ასე რომ, ტრიანდაფლივის მონასტერი და ეკლესია ამავე დროს მეფეთა საძვალეც იყო<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ა. ალექსიძე, მარიამ მართა-ყოფილი და ბიზანტიური რენესანსი. - ლიტერატურული საქართველო, 1 ივლისი, 1988 წ.

<sup>2</sup> R.Janin, La géographie ecclésiastique de l'Empire Byzantin. Part. I, T. III, p. 218.



თეოფილე ტრიანდაფლივის მონასტერში მთარგმნელობითი მუშაობას შეუდგა. აქ თარგმნა მან სექტემბრის მეტაფრასი, რომელსაც უალრესად საინტერესო შესავალი წაუძღვარა, სადაც იგი ბერძნული მეტაფრასტიკის ისტორიას ეხება. Ath. 20 მდიდარია ანდერძებით, რომლებიც ამავე დროს ბიოგრაფიულ ცნობებსაც შეიცავს.

სავარაუდოა, რომ მონასტერში თეოფილე მღვდელმსახურებასაც ეწეოდა: ანდერძიდან ვიგებთ, რომ მას თავისი ხუცესი ჰყოლია (იხ. Ath. 29-ის მინაწერი). მონასტერში, ჩანს, სკრიპტორიუმიც ყოფილა, რომლის სამი წევრის შესახებ ცნობას გვაწვდის Ath. 20-ის თეოფილესეული ანდერძ-მინაწერები. თეოფილე იხსენიებს სკრიპტორიუმის იმ წევრებს, რომლებიც მას ეხმარებოდნენ: „ღმერთმან აკურთხენ პატიოსანი მღვდელი საბა ცოდვილსა თანა სულსა ჩემსა, რომელმან შემიმოსა ესე წიგნი“ (188v), „შეიწყალენ ღმერთმან ჩემი ხუცესი ხრისტოდულე ებრაელ-ყოფილი უღირსსა თანა სულსა ჩემსა, რამეთუ ამის წიგნისა ეტრატის ყოველი მას უკაზმავს“ (188v).

ამ პერიოდში თეოფილეს ყოველმხრივი დახმარება ჰქონდა როგორც ბიზანტიის იმპერატორების, ისე დედოფალ მარიამის და გიორგი II-ის მხრიდან, რაც თეოფილეს თარგმანთა ანდერძებშია ასახული. ჩანს, მარიამი თეოფილეს მთარგმნელობითი მოღვაწეობის კურსში იყო. იგი, ეტყობა, თეოფილეს სათარგმნი რეპერტუარის შერჩევაშიც იღებდა მონაწილეობას. ამავე დროს იგი იყო მის თარგმანთა პირველი მკითხველიც. „პატაპის ცხოვრებასთან“ დაკავშირებით, გელათის № 5 ხელნაწერში (მეტაფრასი) თეოფილეს მიერ ასეთი შენიშვნაა გაკეთებული: „შეისწავე, რამეთუ სიჭაბუკესაცა მეთარგმნა და მარიამს დედოფალსა ჰქონდა, ხოლო აწ სიბერესაცა ვიძიებულე თარგმნად“. მარიამ დედოფალი მატერიალურ დახმარებასაც უწევდა თეოფილეს. Ath. 20-ის ერთ-ერთ მინაწერიდან ვგებულობთ, რომ ხელნაწერისათვის ეტრატის საფასური თეოფილეს მარიამისაგან მიუღია: „ლოცვა ყავთ სანატრელისა მარიამ დედოფლისათჳს, ბაგრატის ასულისა, რამეთუ ამის წიგნისა ეტრატის ფასი მ...“<sup>1</sup> ასეთი ანდერძი და შესხმა არსებობს გიორგი მეფისადმიც დახმარება თეოფილეს ვინმე მიქაელ მღვდელიც: „სანატრელ ყვენ ღმერთმან სული მიქაელ მღვდელისაჲ, რამეთუ ორნი დრაჰკანნი ჰრთავნან აქა მისნი. ლოცვა ყავთ ყოველთა მისთჳს“.<sup>2</sup>

<sup>1</sup> ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ათონური კოლექცია, ნაკვ. I, გვ. 66.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 67



მიუხედავად დახმარებისა, თეოფილეს, ეტყობა, ძალზე მძიმე მდგომარეობაში უბედობდა Ath. 20-ის თარგმნა და წიგნად შეკვრა, რაც კარგად ჩანს ხელნაწერის ანდერძიდან. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, თეოფილემ Ath. 20-ის თარგმნა ტრიანდაფლივში დაიწყო, რომელიც სწორედ იმ კრიტიკულ მომენტში დაამთავრა, როდესაც აჯანყებულმა კომუნებმა ბოტანიური ტახტიდან ჩამოაგდეს (1081 წ.). ალბათ, ეს და ამ ამბებთან დაკავშირებული ვითარება ჰქონდა მხედველობაში თეოფილეს, როდესაც შემდეგ სტრიქონებს წერდა: „სივერაგემან ჟამთამან, შეუწევნელობამან კაცთამან და სიგლახაკემან ჯორცთამან სიძვრესა თანა ეტრატისასა დამიხრწიეს, რამეთუ ორანი ქსელანი მოვიდოდეს დრაჰკანად, თუ არა, მცირეთა შინა ჟამთა მრავალი კეთილი იქმნებოდა“ (Ath. 20, 3v).

უნდა ვიფიქროთ, რომ მას შემდეგ, რაც მონასტერში ნიკიფორე ბოტანიური დამკვიდრდა, ხოლო მარიამმა მიატოვა სამეფო რეზიდენცია და მანგანას მახლობლად სამეფო პალატებში გადავიდა, თეოფილეს ტრიანდაფლივში აღარ დაედგომებოდა და 1081 წელს ის ტოვებს მონასტერს.

თუ საითკენ აიღო გეზი მწირმა თეოფილემ, ეტყობა, ერთხანს კონსტანტინოპოლის ქართველ მწიგნობართა შორის არაფინ იცოდა. არ იცოდა, ალბათ, არც მარიამმა. ჩანს, ტრიანდაფლივის სამეფო მონასტრის მიტოვების შემდეგ თეოფილე კვლავ მწირობას შეუდგა. ჩავიდა ელადის თემის ერთ-ერთ ქართულ, უდაბნოდ წოდებულ, სამონასტრო დასახლებაში (შდრ. ხანძთის უდაბნო, ათონის უდაბნო). აქ ის უკავშირდება მეუდაბნოე კლიმს, მწიგნობარსა და მარტომყოფელს, დაემოწაფება მას და მასთან ერთად ეწევა ასკეტურ ცხოვრებას. ამას გვაფიქრებინებს კლიმის ზედწოდება – მეუდაბნოე (Ath. 29). ალბათ, ამ ფაქტორმა განსაზღვრა ის, რომ კლიმის ბრძანებით, თეოფილე ელადის მონასტერში შეუდგა „პატერიკის თარგმნას“ (A 1105 – თეოფილეს ავტოგრაფი). პატერიკი კი წარმოადგენს ეგვიპტის პირველ მარტომყოფელ მამათა ცხოვრებისა და მოძღვრების გადმოცემას, რაც კარგად ესადაგებოდა თვით კლიმის „მეუდაბნოეობას“ და თეოფილეს მწირობას.

ელადის „ქუყანაში“, თემში, ქართული მონასტრების არსებობის შესახებ ცნობები დაუცავს თამარის ორივე ისტორიკოსს. „ისტორიანსა და აზმანში“ ვკითხულობთ: „გრძელ სადმე არს ყოვლისა მოთხრობილობა, რომელ საბერძნეთს და ყოველსა ელადას-შინანი მონასტერნი



უზუად წყალობა-მიფენილ ყვნა“ (თამარმა)<sup>1</sup>. ანდა: თამარმა კერძოთა ელადისათა და მთაწმიდას, ეგრეთვე მაკედონისათა პეტრონს, კერძოთა თრაკისათა და კოსტანტინეპოლის მონასტრებთა... ესე ყოველნი აღაფსნა ქველის საქმითა“<sup>2</sup>.

Ath. 29-ის ცნობა ადასტურებს „ელადის ქუეყანაში“, თემში, ქართული მონასტრის არსებობას, რომელშიც XI საუკუნის დამლევით მოღვაწეობდა თვით თეოფილე, სადაც ის „პატერიკის“ თარგმნის შემდეგ „დაბადების“ იოანე ოქროპირის კომენტარების თარგმნას შესდგომია.

ამრიგად, ელადის პერიოდი შეიძლება ცალკე ეტაპად გამოიყოს მის ცხოვრებასა და მოღვაწეობაში.

ელადის უდაბნოში მოღვაწე თეოფილეს კვალს ხანგრძლივი ძებნის შემდეგ მიაგნეს. თეოფილეს თარგმნილი „პატერიკის“, A 1105-ის, ერთ-ერთ მოსახსენებელში ვკითხულობთ: „ღმერთმან აკურთხენ ევგენი! ფრიადი შრომაჲ აჩუენა ძიებისათჳსცა და შექცევისა და მოღუაწებისა ჩუენისა. მიეცინ ღმერთმან სასყი-დელი მრავალწილად“ (377v).

ცნობები ევგენის შესახებ ივირონის ისტორიის მასალებში მცირეა. ჟღერის ვარაუდით, ევგენი ივირონის წინამძღვარი უნდა ყოფილიყო ალექსი I კომნენის მეფობის წლებში (1081-1118)<sup>3</sup>. ევგენის და თეოფილეს შეხვედრა უნდა შემდგარიყო ევგენის წინამძღვრად გასდომამდე ევგენისთან შეხვედრამდე თეოფილეს დაწყებული ჰქონდა იოანე ოქროპირის „თარგმანებაჲ დაბადებისაჲ“-ს თარგმნა. ევგენის თხოვნით თეოფილე და კლიმი თარგმნის პროცესში ტოვებენ ელადის უდაბნოს და გადადიან ათონზე, სადაც განაგრძობენ მწიგნობრულ საქმიანობას. თეოფილე ივირონში ამთავრებს „დაბადების“ კომენტარების თარგმნას და სწირავს ხელნაწერს ივირონის ბიბლიოთეკას. ეს უნდა მომხდარიყო არა უადრეს 1085 წლისა, იოვანე ბუქაძისძის მამობის დროს (1085-1104 წწ.). ბერი კლიმი განაგრძობდა მეცნატურ მოღვაწეობას. იოვანე ბუქაძისძის მამობის წლებში ბერი კლიმის ბრძანებითა და საფასით გადაიწერა გიორგი მთაწმიდელის ახლად თარგმნილი „ზატკი“ (Ath. 63), რომლის ანდერძში ვკითხულობთ: „წმიდანო და ღმერთშემოსილნო მამანო, წმიდანი ესე

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მისდევით სკაუზნიშვილის მიერ, II, თბ., 1959, გვ. 91.

<sup>2</sup> ქართლის ცხოვრება, II, გვ. 142; ლმენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, I, თბ., 1962, გვ. 140.

<sup>3</sup> Actes d'Iviron, II, p. 26.



ზატყენი, ახლად თარგმნილნი წმიდისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდისანი, მე, ბერძან კლიმი, დავაწერინე ჩუენითა საკმარითა ყოველითურთ სრულნი და უნაკლონი და შევსწირენ ეკლესიასა ღმრთისმშობლისასა მთაწმიდას: ეტრატი მამისა იოვანესი იყო ბუქაძისა და სხუად ყოველი საკმარი ჩემი. ღმერთმან გუარწმუნოს, ლოცვა ყავთ მისთვის და ვინ რაფათა ცა სახითა წმიდასა ამას ლავრასა გამოახუნეს, ღმერთსა მან გასცეს პასუხი... შეიმოსნეს ველითა ნეტარისა მამისა თევდორესითა“ (Ath. 63).

თუ რამდენ ხანს მოღვაწეობდნენ თეოფილე და ბერი კლიმი ივირონში, ამის თაობაზე ზუსტი ცნობა არ გავაჩნია. ვიცით, რომ კლიმის გარდაცვალებასთან დაკავშირებით მამა იოვანე ბუქაძეს და ნიკოლა პროტოსინგელოზს მისთვის განუწესებიათ ალაპი (№ 41): „ალაპი განუწესეთ ბერსა კლიმის მე, მამამან იოვანე და ნიკოლა პროტოსინგელოზმან თანაწამებითა ყოველთა ძმათაფთა: მოსცნა ეკლესიასა ორნი ცხენნი ლაგამ-უნაგირითა და ლიტრაჲ ერთი ქინატი დრაპკანი, და ხატი წმიდისა კლიმისი, მოჭედილი შიგან ნაწილითა, ამის ყოვლისათვის დღესასწაული წმიდისა კლიმისი მისთვის ალაპად განვაწესეთ: აღესრულეზოდენ დაუკლებელად ანაფორაფთა, პანაშუდთა და ჟამისწირვითა, მერტიკონითა და კრასოულითა, და რაფცა ძალ-ედვას, ძმათა ნუგეშინის-სცენ, და ვინცა ესე დაწერილი შეცვალოს, ღმერთსა მან გასცეს პასუხი“ (A 558, 189r). როგორც კლიმისათვის განწესებული ალაპიდან (№ 41) ჩანს, იგი გარდაიცვალა არა უადრეს 1085 წლისა, რადგან ალაპი ერთდროულადაა განწესებული ნიკოლა პროტოსინგელოზისა და იოვანე ბუქაძის მიერ. ბუქაძეს კი მამად 1085 წლიდან მოიხსენიება. ტექსტის მიხედვით, ალაპი კლიმისათვის განწესებულია იმ დიდი შეწირულებისათვის, რაც მან ელადიდან ათონზე ჩასვლის შემდეგ გადასცა ივირონს.

ეს ალაპი საინტერესოა კიდევ ერთი თვალსაზრისით. ის გარემოება, რომ კლიმს მონასტრისათვის შეუწირავს ორი ცხენი თავისი აკახმულობით, იმას უნდა გულისხმობდეს, რომ კლიმი და თეოფილე ორ ცხენზე ამხედრებული ჩასულან ივირონში და ეს ცხენები კლიმს შემდეგ ივირონის მონასტრისათვის შეუწირავს<sup>1</sup>.

კლიმის გარდაცვალების შემდეგ მწირი თეოფილე კვლავ განაგრძობს მოძღვრის ძეხვას. Ath. 29-ის თანახმად, მისი უკანასკნელი

<sup>1</sup> ანალოგიური შემთხვევა გვაქვს ლიპარიტ ივანეს ძისათვის განწესებულ ალაპში (№55).

მოდღვარი უნდა ყოფილიყო ბასილი ულუმბოელი. თუ როდის და სად შესვდნენ ისინი ერთმანეთს, ძნელი სათქმელია. ვფიქრობთ, რომ ეს უნდა მომხდარიყო 1085 - 1104 წლებში - იოვანე ბუქაძისძის წინამძღვრობის დროს. რაიმე კონკრეტული ცნობა მათი შესვდრისა და ერთობლივი მოღვაწეობის შესახებ წყაროებში ვერ დავადასტურეთ.

სად გაატარა თეოფილემ ცხოვრების უკანასკნელი წლები?

ვფიქრობთ, ის არ უნდა გარდაცვლილიყო ათონზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისთვისაც, როგორც მონასტრის საძმოს წევრისთვის განწესდებოდა ალაპი.

სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრება, რომ 1114 წელს თეოფილე, არსენ იყალთოელი და იოანე ჭიმჭიმელი საზღვარგარეთის სამწერლობო კერებიდან საქართველოში დაბრუნდნენ, საეჭვოდ მიგვაჩნია. თუ ეს სამეული მართლაც ერთად გამოემგზავრა უცხოეთიდან საქართველოში, ეს უნდა მომხდარიყო 1105 წლისათვის, რუის-ურბნისის საეკლესიო კრებაზე დასასწრებად. ამას მხარს უჭერს თეოფილეს ცხოვრების ქრონოლოგიაც.

## ხელნაწერი Ath. 29 – როგორც თეოფილე ხელნაწერის ბიოგრაფიის წყარო

ამ ავტოგრაფული ხელნაწერის ანდერძის ცნობით, თეოფილეს თარგმანი შესრულდა „ლოცვითა მოძღუართა და მშობელთათა, ლოცვითა წმიდათა მამათა და დიდთა ბერთა: იოანე რეზუს ძისა და ბერისა საბაას თუხარსელისა, ბერისა კლიმი მეუდაბნოასა და ნეტარისა ბასილი ულუმბოელისა, მოძღურისა ჩემისათა, რომელთა იყავნ/ერთ/ბამად საუკუნომცა სასწენებელი და კურთხევაა“.<sup>1</sup>

აქ ჩამოთვლილ პირთა შორის თითქმის ყველა ჩანს სხვა წყაროებშიც. ერთი შეხედვით გაკვირვებას იწვევს ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსვლაში“ ამ პირთა ათონის მოღვაწეებად მიჩნევა. „შემდგომად იოანესა და ძისა მისისა ეფთვიმისა და გიორგი მთაწმიდელთა ცხოვრებულან მუნ (ივირონში – ე.მ.) ღირსნი კაცნი: გიორგი ოლთისელი წინამძღვარი, იოანე ნინოწმიდელი, იოანე რეზვაასძე, საბა თუხარელი, კლიმი მეუდაბნოვე, ბასილი ულუმბელი და ღირსი მღვდელი იაკობ მხატვარი – ქართველნი“.<sup>2</sup>

ამ ტექსტზე დაკვირვებამ დაგვარწმუნა, რომ ტიმოთემ ეს ცნობები ათონის ხელნაწერებიდან გადმოიღო, მაგრამ ზოგი რამ შეცდომით, ზოგი კი გაუაზრებლად. ამ სიაში ათონელ მოღვაწეთა შორის იოანე ნინოწმიდელის მოხსენიება შეცდომა უნდა იყოს. ათონის მოღვაწეებიდან (ეფთვიმეს უმცროსი თანამედროვენი) ცნობილნი არიან ერთად მოღვაწე და ანდერძებში ერთად მოხსენიებული (A-1103) არსენ ნინოწმიდელი და იოანე გრძელისძე. შესაძლოა, ამ ორი პიროვნების გვარ-სახელის კონტამინაციის შედეგია ტიმოთეს სიის იოანე ნინოწმიდელი. საინტერესოა ტიმოთეს მეორე ჯგუფი ათონზე მოღვაწე პირებისა: ბერები იოანე რეზვაასძე, საბა თუხარელი, კლიმი მეუდაბნოვე, ბასილი ულუმბელი. ეს ოთხივე პირი მოხსენიებულია „დაბადების“ თეოფილესეულ ანდერძში (Ath. 29) იმავე რიგით. ოღონდ, ანდერძისაგან განსხვავებით, ტიმოთეს ცნობაში ოთხივე მოღვაწე მიჩნეულია გიორგი მთაწმიდელის შემდეგდროინდელ ათონის მოღვაწეებად. როგორც ჩანს, ტიმოთეს ეს ცნობები გადმოუღია Ath. 29 ხელნაწერიდან, რომელიც მას ათონის ქართველთა მონასტრის წიგნთსაცავში უნახავს, ძალიან

<sup>1</sup> ამ ხელნაწერის შესახებ იხ. ივლოლაშვილის დასახ. ნაშრომი, გვ. 53-57.

<sup>2</sup> ტვაბაშვილი, მიმოსვლა, ელექტრეველის გამოცემა. თბ., 1956, გვ. 22.





მნიშვნელოვან წყაროდ მიუჩნევა ათონის ქართველთა მონასტრის ტორიისათვის და უცვლელად გადაუტანია „მიმოსლვაში“ ამ მოღვაწეთა სია. ამას ადასტურებს თავად ტიმოთეს ცნობა მონასტრის „წიგნის საცავის“ შესახებ: „წიგნის საცავსა მონასტრისასა არს ძველი ქართული წიგნი მრავალი: თარგმანი დაბადებისა, კვალად წიგნი საშეებელი „სამოთხე“..., სხვა წიგნი უძილია და სხვანი მრავალნი წიგნი იპოებიან მუნ“. როგორც ვხედავთ, ივირონის მდიდარი ბიბლიოთეკიდან ტიმოთე გამორჩევით ასახელებს მხოლოდ სამს და პირველ რიგში Ath. 29-ს. ათონის ხელნაწერთა კოლექციაში დაცული ეს ხელნაწერი ტიმოთეს ათონზევე გადაწერილად მიუჩნევა, ხოლო ანდერძში მოხსენიებული პირები — ათონის მოღვაწეებად.

სინამდვილეში ანდერძებში დასახელებული ოთხი პირიდან მხოლოდ ბერი კლიმი შეიძლება მივიჩნიოთ ათონის ქართველთა მონასტრის ძმობის წევრად და ისიც სავარაუდოდ. ამ ვარაუდისათვის საფუძველს იძლევა კლიმის ალაპი, შეტანილი ათონის საალაპე წიგნში (№ 41), რომელიც მას განუწესეს „მამამან იოანე და ნიკოლა პროტოსინგელოზმან“. ალაპი საზეიმო ხასიათისაა, ვინაიდან კლიმს მონასტრისათვის საკმაოდ დიდი შეწირულება გაუღია. ალაპების განწესება ყველასათვის ხდებოდა, ვინც კი გარკვეულ სახლაურს გაიღებდა. ამიტომ, სავსებით შესაძლებელია, რომ კლიმი ყოფილიყო არა ათონის ქართველთა მონასტრის, არამედ სხვა რომელიმე მწიგნობრული ცენტრის (მაგ. კონსტანტინოპოლის ან ელადის) რომელიმე მონასტრის ქართველი ბერი, რომელსაც ივირონის მონასტერთანაც ჰქონდა კავშირი.

დანარჩენი სამი პირიდან (თეოფილესთან დასახელებული და ტიმოთეს-თან გამეორებული) კარგად არის ცნობილი საბა თუხარსელი, შავი მთის მწიგნობარი, რომელიც ეფრემის ლიტურატურულ საქმიანობას წარმართავდა. საბა თუხარსელ-სულამასძეზე ეფრემი წერდა: „ყოველივე კეთილი ღმრთისა მიერ, კაცთა მიერ ჩემ ზედა მომავალი, ბერისა საბამასი არს, სასყიდელიცა ღმრთისა მიერ მასვე აქუნდინ“<sup>1</sup>.

მეორე პიროვნება, რიგით პირველი, თეოფილეს ანდერძში არის იოანე რეხვამასძე. იოანე რეხვამასძის შესახებ ცნობები მეტად მცირეა, ამიტომ გარკვეულად რაიმეს თქმა მისი მოღვაწეობის ადგილის, ხასიათისა და მისი თეოფილესთან დამოკიდებულების შესახებ ძნელია. იოანე

<sup>1</sup> კეკელიძე, Симеон Метафраст по грузинским источникам. — ეტიუდები ძველი ქართული ლიტურატურის ისტორიიდან, V. თბ., 1957, გვ. 226.



რეზვამსძის მოსახსენებელი შეტანილია აგრეთვე რუის-ურბნისის „ძეგლისწერის“ სინოდიკონში: „ღირსებით მოკსენებულთა შამათა: „ეფთჳში გრძელისა, იოანე რეზუესძისაჲ შეილითურთ, მიქაელ ჭუამასაჲ და გიორგი ბერისაჲ საუკუნომცა...“<sup>1</sup>

რუის-ურბნისის ძეგლისწერის „სინოდიკონი“ ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი დათმობილი აქვთ იმ საერო და სასულიერო პირებსა და მოღვაწეებს, რომლებიც რუის-ურბნისის საეკლესიო კრების მიმდინარეობის დროს (1105 წ.) ცოცხლები იყვნენ, ხელს უწყობდნენ ან მონაწილეობდნენ მის ორგანიზებაში. ესენი არიან: მეფე გიორგი II, მართა ავღუსტინა, ბაგრატ IV-ის ასული, დავით მეფე აღმაშენებელი და მონაზონი-დედოფალი მარიამი, ბაგრატ IV-ის დედა, რომელიც მეფეთა მოსახსენებელთა ჯგუფში გარდაცვლილად არის მოხსენიებული<sup>2</sup>.

ამას მოსდევს მაღალი რანგის სასულიერო პირთა დასახელება: იოანე კათალიკოსისა, ევსტრატე ბერისა და სულიერი მამისა და გიორგი მწიგნობართუხუცესისა. ცოცხალთა მოსახსენებლები ასე მთავრდება: „სჯულიერისა მოღუაწისა არსენი მონაზონისა კალიპოსელისა მრავალმცა [არიან წყლნი]“.

არსენი მონაზონი, როგორც ეს ბოლო დროის გამოკვლევებში კარგად არის დასაბუთებული, იგივე არსენ იყალთოელია, რუის-ურბნისის ძეგლისწერის ავტორი და დიდი სჯულისკანონის მთარგმნელი<sup>3</sup>. ამით მთავრდება სინოდიკონის I ნაწილი.

სინოდიკონის II ნაწილში მოთავსებულია გარდაცვლილთა მოსახსენებლები. აქ პირთა დასახელების იგივე თანმიმდევრობაა დაცული: იწყება გარდაცვლილ მართლმადიდებელ მეფეთა ზოგადი მოხსენიებით, ამას მოსდევს ასევე ზოგადად მოხსენიება გარდაცვლილ „სანატრელთა და წმიდათა კათალიკოსთა და ნეტართა მღვდელმთავართა და მღვდელთა საუკუნომცა“ სახსენებელი და ბოლოს, ერთვის X-XI საუკუნეების ქართული მწერლობისა და კულტურის ყველაზე თვალსაჩინო თერთმეტი პიროვნების საუკუნო ხსენება. ესენი არიან: I მოსახსენებელი: ეფთჳში და გიორგი მთაწმიდელები, II მოსახსენებელი: დავით ტბელი და სტეფანე

<sup>1</sup> ე. გაბიაშვილი, რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა. თბ., 1978, გვ. 196, დიდი სჯულისკანონი, თბ., 1975, გვ. 558.

<sup>2</sup> ე. გაბიაშვილი, იქვე, გვ. 20-29; დიდი სჯულისკანონი, იქვე.

<sup>3</sup> ივლოლაშვილი, არსენ იყალთოელი, თბ., 1979, გვ. 47-48.

სანანოასძე, III – საბა სულაასძე, ანტონ ტბელი და ეფრემ მცირე... IV – ეფთჳში გრძელი, იოანე რეხუეს ძე შვილითურთ, მიქაელ ჭუაფა და გიორგი ბერი...

„სინოდიკონი“ შესწავლილი აქვს ევაბიძაშვილს. ის წერს: „სინოდიკონის ის ნაწილი, რომელშიც გარდაცვლილ საეკლესიო მოღვაწეთა მოსახსენებლებია მოთავსებული, ქრონოლოგიური რიგით არ არის დალაგებული“<sup>1</sup>. და განაგრძობს: „სინოდიკონში წარმოდგენილი ქართული კულტურის ისტორიისათვის უცნობ პირთა მოღვაწეობის დაახლოებითი ქრონოლოგიის განსაზღვრა ამ ნიშნით არ ხერხდება. მაგ.: ძნელია დადგენა იმისა, თუ რა დროის მოღვაწენი არიან იოანე რეხუესძე, მიქაელ ჭუაფა და გიორგი ბერი. აქ ჩამოთვლილ პირთაგან მხოლოდ ეფთჳმე გრძელი არის ცნობილი, ბაგრატ IV-ის დროის ღრტილის კრების (1046 წ.) მონაწილე და სომეხთა ეპისკოპოს სოსთენთან მოპაექრე. იოანე რეხუესძისა და მიქაელ ჭუაფას შესახებ ქართულ წყაროებში ვერაფერს ვხვდებით“<sup>2</sup>. აქვე ავტორი გამოთქვამს ვარაუდს, რომ უკანასკნელი მოსახსენებლის სტრუქტურა მას აფიქრებინებს, რომ ექვთიმე გრძელი არის ძე იოანე რეხუესძისა, ხოლო მიქაელ ჭუაფა კი ექვთიმე გრძელის შვილი“. ეს ვარაუდი ძნელად გასაზიარებელია, მაგრამ სანამ ამ საკითხს შევეხებოდეთ, გვინდა სინოდიკონის ამ უკანასკნელი ოთხი მოსახსენებლის შედგენის პრინციპს შევეხოთ.

როგორც უკვე ზემოთაც ითქვა, თითოეულ მოსახსენებელში გაერთიანებულია ორიდან ოთხ პიროვნებამდე. ყოველი მათგანი მთავრდება ფორმულით: „საუკუნომცა არს ქსენება და კურთხევა მათი“. ამ ფორმულით გამოიყოფა ყოველი მოსახსენებელი, ხოლო იქ მოხსენიებული პირები თითოეული მოსახსენებლის ფარგლებში ცალკეულ ჯგუფს ქმნიან. მოსახსენებლის დამასრულებელი ფორმულა მიუთითებს, რომ მოხსენიებული პირები გარდაცვლილნი არიან.

ამრიგად, ცალკეულ მოსახსენებლებში მოხსენიებული პირები სინოდიკონის შემდგენელს რაღაც ნიშნით გაუერთიანებია ოთხ მოსახსენებელში. ეს ნიშანია ამ პირთა დამსახურება ქართული ეროვნული კულტურისა და მწერლობის წინაშე. ესენი არიან ქართული მწერლობისა და კულტურის ყველაზე სახელმძღვანელო მოღვაწენი, სულიერი მამები, დიდი ბერები ანუ მოძღვრები, რომელთაც არაერთი სახელოვანი მწიგ-

<sup>1</sup> ე. ვაბიძაშვილი, დასახ.ნაშრომი, გვ. 166.

<sup>2</sup> იქვე



ნობარი გამოზარდეს. ამ თვალსაზრისით შერჩეულ პირველ მოსახსენებელში იხსენიებიან ეფთჳმე და გიორგი მთაწმიდელები შემდეგი ფორმულირებით: „საუკუნოვანსა ნეტარებისა ღირსთა და დიდთა მნათობთა ჩუენთა ეფთჳმი და გიორგი მთაწმიდელთაჲ საუკუნომცა არს ჳსენებაჲ და კურთხევაჲ მათი“. ამ პრინციპით შედგენილ მოსახსენებლის თავში ეფთჳიმეს და გიორგის მოთავსება საესებით ბუნებრივია. შავი მთის სკოლის უდიდეს წარმომადგენელს ეფრემს თავი ეფთჳიმეს და გიორგის მოწაფედ და მათი საქმის გამგრძელებლად მიაჩნდა.

ანდერძებში ეფრემი თავისი მთარგმნელობითი საქმიანობის შთამავგონებლად, მლოცველად და მეოხად უპირველესად ეფთჳიმესა და გიორგის მოიხსენიებდა, ხოლო შემდეგ თავის უშუალო მოძღვრებს და მისი შრომის მომგებლებს. ასეა ავებული ეფრემის თითქმის ყველა ანდერძი (Jer. 43).

X-XI საუკუნის მოღვაწეთა შორის ეფთჳიმე და გიორგი ქართველთა განმანათლებლებად არიან გამოცხადებულნი. ამიტომ არის, რომ სწორედ მათ ადარებენ მნათობებს მათი თანამედროვენი და მომდევნო ხანის მწიგნობარნი და მწერლები. თეოფილე ხუცესმონაზონი პირველ რიგში ასახელებს ეფთჳიმესა და გიორგის როგორც „მნათობებს სოფლისათა“ (Ath. 29), მათ, ვისი მეოხებითაც თარგმნა მან ბერძნულიდან იოანე ოქროპირის „თარგმანებაჲ დაბადებისაჲ“. ზუსტად ასევე უწოდებს მათ „ძეგლისწერის“ სინოდისკონიც: „საუკუნოვანსა ნეტარებისა ღირსთა და დიდთა მნათობთა ჩუენთა ეფთჳმე და გიორგი მთაწმიდელთაჲ საუკუნომცა არს ჳსენებაჲ და კურთხევაჲ მათი“.

ამრიგად, „სინოდისკონში“ ეფთჳიმე და გიორგი მთაწმიდელებისათვის პირველი მოსახსენებლის განწესება იმ თვალსაზრისის ასახვაა, რომელიც შემუშავდა მათ შესახებ XI საუკუნის ქართველ მეცნიერ-მწიგნობართა და მთარგმნელთა წრეში. ეს თვალსაზრისი კი იმაში მდგომარეობდა, რომ ეფთჳიმე და გიორგი ქართულ მწერლობაში ახალი მიმართულების შემქმნელებად იყვნენ მიჩნეული. გარდა იმისა, რომ თავისი ლიტერატურული პროდუქციით მათ დიდად გაამდიდრეს ქართული მწერლობა და ხელი შეუწვევს ქართული ენისა და ლიტერატურის განვითარებას, მათ ასევე სათავე დაუდეს და ბიძგი მისცეს იმ ძლიერ აღმავლობას თეოლოგიასა და მწერლობის დარგებში, რითაც ამ საუკუნემ თავისი ბრწყინვალე წარმომადგენლებით ოქროს საუკუნის სახელი დაიმსახურა. ეფთჳიმე და გიორგი ხელშეუხებელი ავტორიტეტით სარგებლობდნენ ახალი თაობის მთარგმნელებსა და



მეცნიერებს შორის, ე.ი. მათ შორისაც, ვინც შეადგინა რუის-ურბნისის ძეგლისწერის სინოდისკონი (არსენ იყალთოელი – კალიპოსელი).

ამრიგად, პირველი მოსახსენებელი თავისებური პრეამბულაა სინოდი-კონისათვის, რომელმაც განსაზღვრა დანარჩენ მოსახსენებლებში შეტანილ პირთა შერჩევა. ესენი არიან: X-XI საუკუნეების ყველაზე თვალსაჩინო მოღვაწენი: მწიგნობრები, ფილოსოფოსები, მთარგმნელები, რომლებიც ერთნაირი მიზანსწრაფვით იღვწოდნენ ქართული მწერლობის გამდიდრებისათვის.

დავით ტბელი და სტეფანე სანანოასძე, საბა სულაასძე და ანტონ ტბელი და ეფრემ მცირე, ეფთვიმე გრძელი, იოანე რეხუესძე შვილითურთ, მიქაელ ჭუაძე და გიორგი ბერი – ეს მოღვაწენი განაწილებულნი არიან სამ მოსახსენებელში, განაწილების პრინციპი აქ თითქმის გამოკვეთილია: ეს არის განაწილება ქრონოლოგიური რიგისა და მოღვაწეობის ადგილის მიხედვით.

პირველად მოხსენიებულნი არიან იოვანეს და ეფთვიმეს თანამედროვენი: დავით ტბელი და სტეფანე სანანოასძე, რომელთა სახელები წერილობით ძეგლებში ჩვეულებრივ ერთად იხსენიება. ორივე უნდა იყოს X საუკუნის II ნახევრისა და XI საუკუნის I ნახევრის მოღვაწე, რომელთაც აქტიური კავშირი ჰქონდათ ათონთან.

ამრიგად, დავით ტბელი და სტეფანე სანანოასძე არ შეიძლება მივაკუთვნოთ „ძველთა მთარგმნელთა“ ჯგუფს. ისინი ერთ-ერთნი პირველნი ეზიარნენ ახალ ორიენტაციასა და მიმართულებას ქართულ კულტურასა და მწერლობაში, რომელსაც სათავე დაუდეს ივირონის მონასტრის პირველმა მამებმა. მათ შესახებ კაკეკელიძე წერს: „დავითისა და სტეფანეს დამსახურებას სამშობლოს წინაშე, ჩანს, თანამედროვენი დიდად აფასებდნენ. ამით აიხსნება, რომ რუის-ურბნისის კრება მათ სახელებს საგანგებოდ უსვამს ხაზს“.<sup>1</sup> რიგით მომდევნო მოსახსენებელში გაერთიანებულნი არიან: საბა სულაასძე, ანტონ ტბელი და ეფრემ მცირე, შავი მთის სამი დიდი მოღვაწე: ეფრემი და მისი ორი მოძღვარი, რომელნიც წარმართავდნენ ეფრემის მოღვაწეობას. ამრიგად, ამ ჯგუფში იმავე პრინციპით არის გაერთიანებული ერთი სამწერლობო კერის ჯგუფი – სინოდისკონის შემდგენლის თვალსაზრისით, სამი ყველაზე თვალსაჩინო მოღვაწე. შავი მთის კოლექტივის მრავალრიცხოვან

<sup>1</sup> კაკეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ. 182.

დიდად დამსახურებულ მოღვაწეთაგან არსენ იყალთოელს ის სამი გამოურჩევა, რომელთა თანამედროვე თავად იყო.

მეოთხე მოსახსენებელშიც სამი პირია გაერთიანებული: იოანე რეხუეს ძე შვილითურთ, მიქაელ ჭუაბ და გიორგი ბერი. მათ შესახებ თითქმის არაფერი ვიცით, მაგრამ თუ სინოდოკონის აგებულებას და თითოეული მოსახსენებლის შედგენის პრინციპს გავითვალისწინებთ, უნდა ვიფიქროთ, რომ სამივენი ერთი მწიგნობრული კერის წევრები უნდა ყოფილიყვნენ.

მეოთხე მოსახსენებელი ჩვენთვის იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც მასში დასახელებულია იოანე რეხუესძე, რომელიც თეოფილეს ანდერძში ასევე პირველ ადგილზეა მოხსენიებული მის მოძღვართა შორის.

ამ სიით იოანე რეხუესძე წმინდა მამათა კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ, რადგან ანდერძის თანახმად, იქ ჩამოთვლილი პირები მამები არიან: დიდნი ბერნი, მამები და მოძღვარნი<sup>2</sup>. დიდნი ბერნი არიან: ბერი საბა თუხარსელი და ბერი კლიმი მეუდაბნოე. თეოფილე თავის მოძღვრად ასახელებს ბასილი ულუშპოელს. მაშასადამე, მამა უნდა ყოფილიყო იოანე რეხუესძე (მამა უმთავრესად მონასტრის წინამძღვარს ეწოდება, მაგრამ არა ყოველთვის).

ამ ანდერძის მიხედვით ისიც შეიძლება ითქვას, რომ თეოფილეს მლოცველთა შორის იოანე რეხუესძე პირველ ადგილას ჰყავს მოხსენიებული. გამოდის, რომ თეოფილე ჩამოთვლილ მამათა და მოძღვართაგან პირველად იოანე რეხუესძეს დაემოწაფა.

იოანე რეხუესძე რომ XI საუკუნის II ნახევრის ცნობილი მოღვაწე ყოფილა, ეს იქიდანაც ჩანს, რომ მის მომდევნოდ თეოფილე ასახელებს შავი მთის ცნობილ მწიგნობარს, ეფრემ მცირის მოძღვარსა და მისი მთარგმნელობითი მუშაობის წარმმართველს საბა თუხარსელს, სულაძეს. საბას გვერდით იოანე რეხუესძის მოხსენიება შეიძლებოდა იმის მინიშნებად გამომდგარიყო, რომ იოანე რეხუესძეც შავი მთის სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლად მიგვეჩნია. მაგრამ ეფრემის

<sup>1</sup> შესაძლოა, ეს გიორგი ბერი იგივე გიორგია, რომელიც იხსენიება თეოფილეს მიერ თარგმნილ „მამათა ცხოვრების“ ანდერძში: „ბერსა გ/იორგ/ის შეუნდვენ ღმერთმან“ (A 1105, 453v), იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A კოლექცია), ტ. IV, 1954, გვ. 90.

<sup>2</sup> „მოძღურის“ (სულიერი) და „ბერის“ ფუნქციების შესახებ იხ. ევაბიძაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 128, 169.



მრავალრიცხოვან ანდერძებში იგი არა ჩანს, თუ არ მივიღებთ მხოლოდ ველობაში იოანე დამასკელის „წყარო ცოდნისას“ ანდერძებს, სადაც მოხსენიებულია ორი იოანე, ორივე ხუცესი: „ლოცვა ყავთ, ქრისტეს მოყუარენო, გაბრიელისთვის, რომლისა ბრძანებითა ითარგმნა წმიდა ესე წიგნი და კეთილთა მოღვაწეთა ჩემთა და განმადლიერებულთა, ამას თანა მზრდელთაცა და მსახურთა არსენ იყალთოელისა, იოანე და იოანე ხუცესთა, სტეფანესთვის დიაკონისა და უფროას ყოველთა ჩემისა მწყალობელისა, რეცა თარგმანისა“.<sup>1</sup>

ფეიქრობთ, ამ ორ იოანეში იოანე რეხუესძის შეცნობა გაჭირდება, ვინაიდან ის ყველგან (თეოფილეს ანდერძში, რუის-ურბნისის ძეგლისწერაში, ტიმოთეს „მიმოსლვაში“) იოანე რეხუესძედ არის მოხსენიებული და არსად მარტო სახელით.

მესამე წყარო, სადაც იხსენიება იოანე რეხუესძე (რეხვაისძე), არის ტიმოთეს „მიმოსლვა“.

ამ შრომისათვის ტ.გაბაშვილს მრავალი წყარო გამოუყენებია. მან საფუძვლიანად შეისწავლა ათონის ჯვრის მონასტრის სვინაქსარები, მოსახსენებლები, სულთა მატრიანეები, სამშენებლო და კედლის მხატვრობის წარწერები. ჯვრის მონასტერი ტიმოთეს ყურადღების ცენტრშია, ამიტომ ის ცდილობს არაფერი დარჩეს ალუნიშნავი, განსაკუთრებით დიდი ადგილი აქვს დათმობილი „მიმოსლვაში“ ჯვრის მონასტრის აშენებისა და მხატვრის ისტორიას:

„და კვლად იერუსალიმით მივედით მონასტრად ქართველთასა ჯვარს და განვიცადეთ კედელთა ზედა წმიდანი მამანი და მოწამენი საქართველოსანი, ეხატნეს შარავანდითა და გვირგვინითა ესენი“.<sup>2</sup> ამას მოსდევს კედლის ჯგუფურ გამოსახულებაში წარმოდგენილ პირთა ჩამოთვლა. აქედან 4 – წმიდა მოწამე და მამა, 5 – ღირსი მამა, 2 – ღირსი კათალიკოსი, 2 – ღირსი ეპისკოპოსი.

- ღირს მამათა ჯგუფში გაერთიანებული არიან შემდეგი პირები:
- ღირსი მამა ეფთჳში გრძელის ძე ქართველი
- ღირსი მამა მიქაელ ჭუას ძე ქართველი
- ღირსი მამა იოანე რეხვაის ძე ქართველი
- ღირსი მამა დანიელ აბაშვილი ქართველი

<sup>1</sup> ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A კოლექცია), I, №24, გვ. 85.

<sup>2</sup> ტ.გაბაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 85-86.

\* გამოცემაში ეს სახელი გამოჩნეულია.

ღირსი მამა იოანე ჭიმჭიმელი ქართველი.<sup>1</sup>

თუ რამდენად სწორად აქვს გადაწერილი ტიმოთეს<sup>1</sup> ეს წარწერები, დღეს ამის შემოწმება შეუძლებელია, რადგან ნ. ჩუბინაშვილი უკვე 1845 წელს ამ მოხატულობის შესახებ წერდა: „ჩრდილოეთის მხარეს კედელზედ, ბიბლიოტიკის შესავალს ზეიდან, არიან დახატულნი მრავალნი სახენი, და კვალად, სადაც წულუკიძენი ხატიან, იმას ზემოდამაც, მაგრამ ტენისაგან მრავალი ადგილი დაშლილა და ჩამოკვეთულა, სახენი და მათზედან ნაწერნი შაბლალულან, მხოლოდ სჩანს წერილი ქართულის ასოებითა და ძნელად გამოსაცნობია; უთუოდ აქ არიან დახატულნი ის სახენი, რომელთაც მოიხსენიებს ტიმოთე მთავარ ეპისკოპოზი თვის მოხილვაში, და სჩანს, რომ მას ჟამს ადვილად წაიკითხებოდა, გარნა ჩვენ ვერ ვავიგეთ“.<sup>2</sup>

ჯვრის მონასტერი, სულ ცოტა, სამჯერ მაინც მოხატულ-განახლებულა. უკანასკნელად დიდი სარემონტო და სამხატვრო სამუშაოები ჩაატარა ნიკიფორე ჩოლოყაშვილმა, რომელმაც ახალ მოხატულობაში ძირითადად დაიცვა ძველი იკონოგრაფია და გაამდიდრა იგი ჯვრის მონასტრის მოამბაგეთა და მისი ღროის მოღვაწეთა გამოსახულებებით. ჩვენ არც იმის თქმა შეგვიძლია, ჯგუფებად წარმოდგენილ ქართველ მოღვაწეთა სია ტიმოთე გაბაშვილმა ერთი ჯგუფური პორტრეტიდან გადმოიწერა, თუ რამდენიმედან. ყოველ შემთხვევაში, როგორც ნ. ჩუბინაშვილის ზემოთმოტანილი ცნობიდან ჩანს, ჯვრის კედლის მხატვრობაში მან სხვადასხვა ადგილას ორი ჯგუფური პორტრეტი დაადასტურა. შეიძლება იყო მეტიც. ერთი აშკარაა, რომ ტიმოთეს მოყვანილი „ღირსი ქართველი მამების“ სია, რა თქმა უნდა, არ ამოწურავს საერთოდ X-XI სს. ქართველ თვალსაჩინო მოღვაწეთა რაოდენობას; მეტიც, არაფრით არ შეიძლება ითქვას, რომ ესენი იყვნენ XI საუკუნის ყველაზე თვალსაჩინო ქართველი მოღვაწენი. ე.ი. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ოთხი ღირსი მამა რაღაც ერთი ნიშნით არის გაერთიანებული და გამორჩეული. ეს ნიშანი, როგორც ჩანს, არის მათი დამსახურება სწორედ ჯვრის მონასტრის წინაშე. ესენი უნდა იყვნენ XI საუკუნის ჯვრის მონასტრის მწიგნობარნი და მოძღვარნი. ამას გვაფიქრებინებს შემდეგი: ამ ჯგუფის სამი პირველი წევრი: ეფთვიმე

<sup>1</sup> ტგაბაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 85-86.

<sup>2</sup> А. Сагарели, Сведения о памятниках грузинской письменности. Т. I, вып. III. СПб, 1894, с. 46.





გრძელი, მიქაელ ჭუაძე და იოანე რეხუესძე მოხსენიებული არიან  
 რუის-ურბნისის ძეგლისწერის სინოდიკონის უკანასკნელ მოხსენიება  
 ბელში:

ტიმოთეს „მიმოსლვა“

1. ღირსი მამა ეფთჳში გრძელის ძე
2. ღირსი მამა მიქაელ ჭუაძას ძე
3. ღირსი მამა იოანე რეხვაის ძე
4. ღირსი მამა დანიელ აბაშვილი
5. ღირსი მამა იოანე ჭიმჭიმელი

რუის-ურბნისის ძეგლისწერა

1. ეფთჳმე გრძელი
2. იოანე რეხუეს ძე
3. მიქაელ ჭუაძა
4. გიორგი ბერი

დანიელ აბაშვილის შესახებ არაფერი ვიცით, რაც შეეხება იოანე ჭიმჭიმელს, ის თამარის ეპოქის მოღვაწეა, ამდენად, რუის-ურბნისის ძეგლისწერის სინოდიკონში ვერ მოხვდებოდა. ასევე საფიქრებელია, რომ დანიელ აბაშვილის მოღვაწეობის ხანაც სცილდება ძეგლისწერის ქრონოლოგიას.

ჩვენთვის საინტერესოა ის საერთო, რაც არის ჯვრის მონასტრის ჯგუფურ პორტრეტსა და ძეგლისწერის სინოდიკონს შორის.

1. ჩვენ აღენიშნეთ, რომ ჯგუფურ პორტრეტში წარმოდგენილი ქართველი მოღვაწენი რამდენიმე ჯგუფად არიან წარმოდგენილი ტიმოთეს „მიმოსლვის“ სიაში. ჩვენთვის საინტერესო „მამათა“ ჯგუფი ხუთი პირისაგან შედგება. აქედან პირველი სამი XI საუკუნის II ნახევრის მოღვაწენი არიან<sup>1</sup>: ეფთჳმე გრძელი, მიქაელ ჭუაძასძე და იოანე რეხვაისძე. ზუსტად იგივე პირები ერთიანდებიან ძეგლისწერის სინოდიკონის IV მოსახსენებელში.

2. რუის-ურბნისის ძეგლისწერის სინოდიკონი შედგება ოთხი მოსახსენებლისაგან. აქ გარკვეული გეგმით შედგენილია პირველი სამი მოსახსენებელი. თითოეულ მათგანში წარმოდგენილი არიან ამა თუ იმ ქართული კულტურული კერის ყველაზე სახელმძღვანელო X-XI საუკუნეების წარმომადგენლები (ათონის, ადგილობრივი, შავი მთის). ამ მოღვაწეთა მოხსენიებისას (თითოეული მოსახსენებლის ფარგლებში) დაცულია ქრონოლოგიური პრინციპი.

IV მოსახსენებელშიც იგივე პრინციპი უნდა იყოს დაცული. ამას ვკიდასტურებს ჯვრის მონასტრის კედლის მხატვრობის ჯგუფური პორტრეტი.

<sup>1</sup> ამ თარიღს ადასტურებს თეოფილეს „თარგმანება დაბადებისა“-ს ანდერძი.

როგორც ჩანს, XI საუკუნის II ნახევრისათვის ეფთვიმე გრძელყოფილი იოანე რეხვაისძე და მიქაელ ჭუაბ ერთი კულტურული კერის საყოველთაოდ აღიარებული მოღვაწენი არიან. ამით უნდა აიხსნას ის, რომ როგორც კედლის მხატვრობაში, ისე ძეგლისწერის მოსახსენებელში ერთნაირი შემადგენლობით ერთ ჯგუფს ქმნიან.

ძეგლისწერის IV მოსახსენებლის სამეულისა და ჯვრის მონასტრის კედლის მხატვრობის ერთ-ერთი ჯგუფის წევრების დამთხვევა ბუნებრივად სვამს კითხვას, ნიკიფორე ჩოლოყაშვილმა ან მისმა წინამორბედმა ჯვრის მონასტრის მომხატველმა ხომ არ ისარგებლა ჯგუფური პორტრეტის პერსონაჟებისათვის რუის-ურბნისის ძეგლისწერის IV მოსახსენებლით?

რადგან ძეგლისწერის სინოდიკონის მოსახსენებლებში 11 მოხსენიებული პირიდან ჯგუფურ პორტრეტში შეტანილია მხოლოდ სამი და სამივე IV მოსახსენებლიდან, უნდა ვიფიქროთ, რომ მან ისარგებლა IV მოსახსენებლით; შეარჩია ის მოღვაწენი, რომლებიც კომპოზიციისათვის იყო საჭირო, ე.ი. ის პირები, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ იერუსალიმის ქართულ კულტურულ კერასთან. თუ ეს ასეა, მაშინ ხელთა გვაქვს დამატებითი საბუთი იმისა, რომ ჯვრის მონასტრის მხატვრობისა და სინოდიკონის საერთო სამი პირი ჯვრის მონასტრის აღიარებული ქართველი მოღვაწენი არიან.

სამწუხაროდ, ამის დასამტკიცებლად სხვა წერილობითი წყაროები არ გავაჩნია. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ეფთვიმე გრძელი, რომელიც მოსახსენებელშიც და ჯგუფურ პორტრეტშიც მეთაურობს სამეულს, იერუსალიმში მოღვაწეობდა და იერუსალიმელად არის ცნობილი. მისი მოღვაწეობის დროც გარკვეულია, ის ბაგრატ IV-ის დროის მოღვაწეა, მონაწილეობდა 1046 წლის ღრტილის კრებაში.

ფიქრობთ, რომ გარკვეული სისტემითა და მნიშვნელობით შედგენილი სინოდიკონი კიდევ ერთი საბუთია იმისა, რომ არსენ იყალთოელი როგორც რუის-ურბნისის ძეგლისწერის, ასევე სინოდიკონის შემდგენელი ფართოდ განსწავლული მეცნიერია, რომელიც შესანიშნავად იცნობს თავის თანამედროვე მოღვაწეებს, მოძღვართ და მეცნიერებს, ამასთანავე თავის წინამორბედთა საქმიანობას; კარგად აქვს

1 ქ. კვეციანი, ორი ექვთიმე ძველ ქართულ მწერლობაში. - ეტიუდები, IV, თბ., 1957, გვ. 90-104.



წარმოდგენილი მათი მნიშვნელობა და ადგილი ქართული მწერლობის განვითარებაში, რაც ასახა კიდევ სინოდის კონსილიუმში.

მთელი ეს ვრცელი წილსვლა იმისთვის დაგეგმირდა, რომ გაგვეჩვენა, რომელ მწიგნობრულ-განმანათლებლურ ქართულ კოლექტივს ეკუთვნოდა იოანე რეხვამსძე. რომელსაც ასეთი მოწიწებით იხსენიებს თეოფილე ხუცესმონაზონი თავის სხვა მოძღვარ-მასწავლებლებთან ერთად „თარგმანებაჲ დაბადებისაჲ“-ს შემოთმობანილ ანდერძში, და აგვეხსნა, თუ რატომ არიან დასახელებული თეოფილეს მოძღვრებად ათონის, შავი მთისა და იერუსალიმის ცნობილი მოღვაწენი. თუ რას უნდა ნიშნავდეს მათი ხსენება Ath. 29-შემისთვის იხ. აქვე წერილი „თეოფილე ხუცესმონაზონი“.

ადიშის ოთხთავის უკანასკნელ ფურცელზე (387 r) ვაკეთებულია პინა-წერი, რომელიც ნიკოლაოს ჯუმათელს ეკუთვნის: „სახელითა არსება-და [უბადებ(ე)ლისა], ყ(ოვლა)დ წ(მიდი)სა ს(ამ)მ(ე)ზისაათა, მ(ეო)ხ(ე)ზ(ი)თ[ა ყ(ოვლა)დ წ(მიდი)სა] ღ(მრ)თისმშ(ო)ბ(ე)ლისაათა, შეწ(ე)ვნითა და] წყ(ა)ლ(ო)ბითა წ(მიდა)თა მ(თ)ა(ვ)არა(ნ)გ(ე)ლ(ო)ს[თაათა], მ(ეო)ხ(ე)ზითა და შეწ(ე)ვნითა ყ(ოვე)ლ[თა წ(მიდა)თა]ათა, მე, ნ(ი)კ(ო)ლ(ა)ოს, ოდესმე ჯუმათისა] მ(ა)მ(ა)ს(ა)ხლის-ყოფილმ(ან), უღირ[სმ(ან) და] ს(უ)ლითა ს(ა)წყ(ა)ლ(ო)ბ(ე)ლმ(ან), ფ(რ)ია(ღ)ითა ს(არ)კ(ე)ბითა, ამენენ ღ(მერ)თმან კლარჯეთის[ა] მონასტერნი! შევიარენ და შეეკრებენ წ[მიდან]ი ესე წიგნნი: პ(ირვე)ლად წ(მიდა)ა ესე [სახ]სრებაამ ოთხ(თ)ავი, და მრ(ა)ვ(ა)ლ[თ(ა)ვი], და კელთკანონი, მ(ა)მ(ა)თა წიგნი დ[ა] კითხვა-მიგებაამ, უმეტესად ალაშენენ ღ(მერ)თმან [მატ]ხერდი! [ესე] ოთხ(თ)ავი და კელ[თ კანონი]“<sup>1</sup>. (იხ. ფოტო №2) (აქედან ტექსტი არ არის ამოკითხული).

იმავე ფურცლის მეორე ნაწილზე მოთაფებული იყო ადიშის ოთხთავის გადაწერის, დღეს დაკარგულად მიჩნეული თარიღიანი ანდერძი. გადარჩა მხოლოდ ჯუმათელის მინაწერი, რომელიც პირველად ეთაყიანებულა ამოკითხსა და ადიშის ოთხთავის ფოტოტიპურ გამოცემაში გამოაქვეყნა<sup>2</sup>. მინაწერი მან XVII საუკუნის II ნახევრით დაათარილა, ა.შანიძემ იგი XVI საუკუნისად მიიჩნია<sup>3</sup>, ხოლო ზ.ჭუმბურიძემ — XV-XVI საუკუნისად<sup>4</sup>. წარწერა გადაათარილა გსილოგავამ და სავსებით მართებულად მიიჩნია იგი მე-11 საუკუნისად. ამას საფუძველს უმაგრებს ისიც, რომ, ჩვენი დაკვირვებით, მინაწერი შესრულებულია იმავე ხელით, რომლითაც „ცხოვრების“ უძველესი ხელნაწერი — S 353. ამდენად, ნიკოლაოს ჯუმათელი გიორგი მცირის თანამედროვე, მე-11 საუკუნის მოღვაწეა.

<sup>1</sup> ვ. სილოგავა, სვანეთის წერილობითი ძეგლები, I, თბ., 1986, გვ. 48.

<sup>2</sup> Адышское евангелие. - Материалы по археологии Кавказа. Вып. XIV. 1916, с. 11.

<sup>3</sup> ა. შანიძე, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, თბ., 1945, გვ. 015.

<sup>4</sup> ზ. ჭუმბურიძე, ძველი ქართული ხელნაწერების თავგადასავალი, თბ., 1975, გვ. 81-87; მისივე, ქართული ხელნაწერების კვალდაკვალ, თბ., 1983, გვ. 116-120.





ნიკოლას ჯუმათელის მინაწერი მკვლევართა წინაშე მთელ რიგ საკითხებს:

1. საიდან, როდის და რა მიზნით ჩავიდა ნიკოლასი კლარჯეთში, თავისი ინიციატივით, თუ ვინმეს დაფალებით?
2. ვინ იყო თავად ნიკოლასი და რა ურთიერთობა ჰქონდა მას გიორგი მთაწმიდელსა და გიორგი მცირესთან?
3. რას წარმოადგენს მის მიერ გადარჩენილი ხელნაწერები და რა ბედი ეწია მათ შემდგომში?

ნიკოლას ჯუმათელი კლარჯეთში ჩავიდა 1064 წელს ალფ-არსლანის მიერ ახალქალაქის დარბევის შემდეგ. თურქ-სელჩუკთა დაპყრობითი ომები კავკასიაში კარგად არის შესწავლილი სპეციალურ ლიტერატურაში, საკმარისად მოიპოვება ალფ-არსლანის საქართველოში ლაშქრობის ამსახველი აღმოსავლური და ქართული წყაროებიც და გამოკვლევებიც. მათ შორის განსაკუთრებით საყურადღებოა ნ.შენგელიას მონოგრაფია: „სელჩუკები და საქართველო“<sup>1</sup>.

ქართული წყაროებიდან, „მატიანეს“ და „ქართლის ცხოვრების“ გარდა, სამხრეთ-საქართველოს სელჩუკთაგან აოხრების შესახებ საინტერესო ცნობები შემოგვინახეს თვითმხილველმა მწიგნობრებმა: გიორგი მცირემ და ეგნატე ხუცესმონაზონმა. ამ ორი მწიგნობრის ხელნაწერთა ანდერძებში, თვით „ცხოვრების“ ტექსტშიც დიდი ძალითა და ხატოვანებით არის აღწერილი ეს უმძიმესი პერიოდი XI საუკუნის სამხრეთ საქართველოს ისტორიისა<sup>2</sup>.

საჭიროდ მიგვაჩნია მოვიტანოთ ვრცელი ამონაწერი გიორგი მთაწმიდელის „ცხოვრებიდან“:

„ხოლო რაჟამს-იგი სამხილებელად ცოდვათა ჩუენთათჳს ლომი იგი მყვრალი, ბაბილონით აღმოსრული, სიმტკიცესა ზედა მკლავისა თჳსისასა მოქადული, მეორე ნაბუქოდონოსორ, უმჯულოა სურტან (სულტანი-ემ.) გამოვიდა საზღვართაგან თჳსთა მოსრვად ნათესაესა ქრისტიანეთასა, მას ჟამსა შინა ვიყვენით ჩუენ ახალქალაქს ჯავახეთისასა და მუნ ჰყვეს ყოველნივე იგი ობოლნი თჳსნი. და ვსხედით ყოველნივე წინაშე მისსა. შუა დღეს ოდენ განკვრებამა დაეცა ჟამ

<sup>1</sup> ნ. შენგელია, სელჩუკები და საქართველო XII საუკუნეში. თბ., 1968.  
<sup>2</sup> ვგულისხმობთ: გიორგი მცირის მიერ 1083 წელს გადაწერილი „სამოციქულოს“ ხელნაწერის მისეულ ანდერძს (A-584), მისი ბრძანებით გადაწერილ საწელიწდო საწინასწარმეტყველოს“ ანდერძებს და პეტრე პატრიკის ძმის, ეგნატე ხუცესმონაზონის მიერ გადაწერილი მათეს თავის თარგმანების ანდერძს (H-1350, A-192).



რაოდენმე და მეყსეულად განკროთომის სახედ გვბრძანა ყოველთა თარმედ: „უწყოდეთ, რამეთუ რისხვაჲ ღმრთისაჲ მოწვევად არს ამას ქალაქსა ზედა“. და ბრძანა აღკაზმევაჲ ყოველთაჲ. და იყო რაჲ მწუხრი, გამოვედით. და შემდგომად სამისა დღისა მოიწია რისხვაჲ იგი უგრძნულად, რომელსა ყოველნი მეცნიერ ხართ, რამეთუ არა თუ ახალქალაქისა ოდენ მკვდრნი მოისრნეს, არამედ დიდ-დიდნი და წარჩინებულნი მთავარნი და ერისთავნი სამეუფოჲსა ჩუენისანი ძვრ-ძვრად მოისრნეს და წარწყმდეს, რომლისა მიერ ღმრთისმსახური მეფე ბაგრატ დიდსა მწუხარებასა შთავარდა, ვიდრე არა მივიდა კაცი ესე ღმრთისაჲ და სიტყუათა მიერ ნუგეშინის-ცემისათა და მრავალ-სახეთა თხრობათა და უწყებათაგან აღმური იგი მწუხარებისაჲ განუქარვა, ვიდრელა თვთ აღიარებდა, ვითარმედ: „უკუეთუმცა არა მეხილვა სიწმიდე შენი, კინილამცა და მწუხარებისა მიერ მომკუდარ ვიყავო“.

ამ ტიპის პირველწყაროთა რიგს უნდა მივაკუთვნოთ ნიკოლაოს ჯუმათელის მინაწერიც.

ნიკოლაოს ჯუმათელმა კლარჯეთში იხილა მოსახლეობისაგან დაცლილი დაბები და უპატრონოდ მიტოვებული ეკლესია-მონასტრები, ქართული მწიგნობრობის გამოჩენილი და აწ გაპარტახებული კერები. ამ შემზარავი სურათის მხახველმა ნიკოლაოსმა ღმერთს შეჰლაღადა: „აჲშენენ ღმერთმან კლარჯეთისა მონასტერნი“.

ამ ლაშქრობიდან ორი ათეული წლის შემდეგ სამცხე-კლარჯეთში გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც აქტიურად ზრუნავდნენ გავერანებული სამცხე-კლარჯეთის „აღშენებაზე“. მათ შორის იყო ცნობილი ქართველი მოღვაწის, ბაგრატ IV-ის მწიგნობართუხუცესის, პეტრე პატრიკის ძმა ეგნატე, რომელიც 1080-იან წლებში ინტენსიურად იწერდა და სხვებსაც აწერინებდა ხელნაწერებს და შემდეგ სწორავდა გაპარტახებულ ეკლესია-მონასტრებს იქ მწიგნობრული საქმიანობის კვლავ გამოსაცოცხლებლად. ამ დროს დაიწყო კლარჯეთის ახლად შენება, რასაც ასე შესთხოვდა ღმერთს ნიკოლაოს ჯუმათელი. მაგრამ ეს იყო XI საუკუნის 80-იანი წლების რეალობა. უფრო ადრეულ ხანაში კი, ნიკოლაოსის დროს, საჭირო იყო უკაცრიელი კლარჯეთის დანგრეულ მონასტრებში მიტოვებული ხელნაწერების გადარჩენა, რაც თავს იდგა ნიკოლაოსმა და დაღუპვას გადაარჩინა ხუთი უბრწყინვალესი ხელნაწერი. გადარჩენილი ხელნაწერები მან, როგორც ჩანს, გურიამში,

<sup>1</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, თბ., 1967, გვ. 174.

ჯუმათის ეკლესიაში ჩაიტანა, საიდანაც ისინი დროთა ვითარებაში დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში აღმოჩნდნენ. ესენია: სახარება-ოთხთავი, მრავალთავი, კელთკანონი, მამათა წიგნი და კითხვა-მიგება.

ამ ხელნაწერთაგან ოთხთავისა და მრავალთავის რაობა ეთაყიბვილმა და ა.შანიძემ გაარკვიეს. ოთხთავად წოდებული ხელნაწერი არის ადიშის ოთხთავი, რომელზეც მინაწერი ვააკეთა ნიკოლაოსმა. ამჟამად იგი მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დაცული. მრავალთავი, რომელიც „უდაბნოს მრავალთავი“ უნდა იყოს, 1920 წელს ა.შანიძემ გურიიდან ჩამოიტანა და დღეს იგი A-1109 ნომრით ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში.

დანარჩენი სამი ხელნაწერის შესწავლის საფუძველზე გაირკვა:

1. კელთკანონი უნდა იყოს ეფთვიმეს მიერ თარგმნილი „მცირე სჯულისკანონი“, სამონასტრო ყოფაში ფართოდ გამოყენებული საეკლესიო კანონთა კრებული. მიუხედავად იმისა, რომ ამ სახელწოდებით მცირე სჯულისკანონი ადრე არ შეგვხვედრია, მაინც, ვფიქრობთ, კელთკანონი სხვას არაფერს უნდა ნიშნავდეს.

ჩვენი აზრით, კელთ-კანონი უნდა იყოს მცირე სჯულისკანონის ის ნუსხა, რომელიც 1030/1031 წელს გადაიწერა კონსტანტინოპოლში ზაქარია ბანელის ბრძანებით მისივე კუთვნილ მონასტერში აგიაპანტში. რა გზით და როგორ მოხვდა იგი კლარჯეთში, ძნელი სათქმელია, მაგრამ კლარჯეთის მონასტრიდან მისი წამოღების შემდეგ რომ ეს ხელნაწერი დასავლეთ საქართველოში აღმოჩნდა, ამას ადასტურებს ხელნაწერის მინაწერი: „წმიდისა კესარიელი მთავარეპისკოპოსისა მარტვილისა“. აქედან ხელნაწერი მოხვდა დადიანების კოლექციაში (S-143), რომელიც დღეს დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში.

2. მამათა წიგნი უნდა იყოს XI საუკუნის ისაკ ასურისა და კასიანე პროძელის სიტყვათა კრებული, თარგმნილი ასევე ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ. ეს ხელნაწერიც მარტვილის კოლექციის კუთვნილება (№ 3), დღეს იგი ამ კოლექციის სხვა ხელნაწერთან ერთად დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში (Q-36).

3. კითხვა-მიგებაც ეფთვიმეს მიერ თარგმნილი მაქსიმე აღმსარებლის თხზულებათა კრებულის უნიკალური ნუსხა უნდა იყოს, რომელიც გადაწერა ისაკ ულუმბოელმა 1028/1034 წლებში ზაქარია ბანელის ბრძანებით კონსტანტინოპოლში, აგიაპანტში. ეს ხელნაწერიც მარტვილის კოლექციიდან არის (№1), ამჟამად დაცულია ხელნაწერთა





ინსტიტუტში (Q-34). ამ იდენტიფიკაციის სასარგებლოდ ლაპარაკობს ის ფაქტი, რომ ხელნაწერს ეფთვიმესეულ ანდერძშიც „კითხვა-მიგება“ ეწოდება ისევე, როგორც ნიკოლაოსის მინაწერში.


როგორც ვხედავთ, პირველი და მესამე ხელნაწერი ერთი წარმოშობისაა – დაკავშირებულია ზაქარია ბანელის სახელთან და მარტვილის კოლექციაში 1 და 3 ნომრებით არის გატარებული, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ორივე ხელნაწერი მარტვილის კოლექციის ადრეულ ფენას განეკუთვნებოდა. ასევე მარტვილის კოლექციისა უნდა ყოფილიყო „მამათა წიგნიც“, რომელმაც შემდგომ დადიანების კოლექციაში გადაინაცვლა.

საყურადღებოა ისიც, რომ სამივე დასახელებული ხელნაწერი ეფთვიმეს მიერ არის თარგმნილი და გადაწერილია დაახლოებით ერთ დროს, XI საუკუნის I ნახევარში.

საბედნიეროდ, ნიკოლაოსის მიერ კლარჯეთის მონასტრებიდან წამოღებული ხუთივე წიგნი დღეს სახეზეა, ოთხი ხელნაწერი ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში ინახება, ხოლო ერთი – ადიშის ოთხთავი – მესტიის მუზეუმშია დაცული.

გვინდა შევჩერდეთ კიდევ ერთ საკითხზე, რომელიც უშუალოდ უკავშირდება ნიკოლაოს ჯუმათელის პიროვნებას, მისი მოღვაწეობის ასპარეზს. ეს არის გიორგი მთაწმიდელის „ცხოვრების“ უძველესი ნუსხა S-353, რომელიც, როგორც გაირკვა, ნიკოლაოს ჯუმათელის ხელით არის გადაწერილი (იხ. ფოტო №3). საინტერესოა, რომ ნიკოლაოსის მიერ კლარჯეთიდან წამოღებული ხუთი ხელნაწერიდან სამი ხელნაწერი ეფთვიმეს თარგმანს წარმოადგენს, გიორგის თარგმანთაგან კი ნიკოლაოსს ვერც ერთი ხელნაწერისათვის ვერ მიუგნია კლარჯეთში, სადაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოღვაწეობდა გიორგი მთაწმიდელი მას შემდეგ, რაც შავი მთიდან დაბრუნდა საქართველოში. ამას, ჩვენი აზრით, მარტივი ახსნა ეძებნება, რომელიც თავის დადასტურებას გიორგის „ცხოვრებაში“ პოულობს. „ცხოვრებიდან“ ვგებულობთ, რომ გიორგიმ თავისი თარგმანების დიდი ნაწილი საქართველოდან წასვლისას თან წაიღო ჯერ კონსტანტინოპოლში, ხოლო იქიდან ათონის ქართველთა მონასტერში ჩასატანად. წიგნების წაღების პირდაპირი მიზეზი კი ის იყო, რომ გიორგისავე თქმით, მისი თარგმანები განკუთვნილი იყო ოთხმოცი აღსაზრდელის განსწავლისათვის, რომლებიც გიორგიმ თან წაიყვანა კონსტანტინოპოლში, რათა ივირონისათვის შეეწირა ეფთვიმეს სადიდებლად. მაგრამ გიორგი კონსტანტინოპოლშივე გარდაიცვალა.

„ცხორებაში“ აღწერილია პროცესია, რომელიც მიაყენებდა გიორგის ცხედარს ათონისაკენ. ცხედრის ურემს მიჰყვებოდა მისი ბარგით დატვირთული ურმები: „ერთსა ურემსა ზედა, ყოველთა უფრომსსა, დავღვით კიღობანი იგი მამისა ჩუენისაა – ვკითხულობთ „ცხორებაში“ – წიგნნი მისნი ყოველნი და სხუაჲ, რაჲცა საკურთხეველსა სამსახურებელი იყო. ხოლო ვიდუქით ესრეთ, რამეთუ ოთხკერძო გარემოდგომილი ვიყვნით, ვითარცა პირველსა კიღობანსა შუაჴლისა უფლისასა“ (გვ. 198). ასეთი სასოებით მიჰქონდათ გიორგის მოწაფეებს და თაყვანისმცემლებს მისი წიგნებით დატვირთული კიღობანი კონსტანტინოპოლიდან ივირონამდე.



ფოტო №3: ხელნაწერი S-353 (გიორგი მთაწმიდელის „ცხორება“ და საგალობლები) ვადაწერილი ნიკოლას ჯუმათელის მიერ.

ამ ფაქტში უნდა ვეძებოთ იმის ახსნა, რომ ნიკოლასმა მატერიალში ვერ აღმოაჩინა გიორგის მიერ თარგმნილ წიგნთა ვერც ერთი ხელნაწერი. ამითვე უნდა აიხსნას ისიც, რომ სწორედ ათონის ქართულ ხელნაწერთა კოლექციამ შემოგვინახა გიორგი მთაწმიდელის არაერთი ავტოგრაფი. რაც შეეხება ეფთვიმეს თარგმნილ სამ ხელნაწერს,



შესაძლებელია, ისინი თავად გიორგის ჰქონდა ჩამოტანილი ათონიდან საქართველოში.

როგორც ზემოთ ითქვა, ნიკოლასმა გადაწერა გიორგის „ცხოვრების“ უძველესი ნუსხა (S-353) (იხ. ფოტო №3).

ჩვენ საშუალება გვქონდა შეგვესწავლა გიორგი მთაწმიდელის „ცხოვრების“ არსებული ხელნაწერების ურთიერთმიმართების საკითხი. აქ გვინდა აღვნიშნოთ, რომ გიორგის „ცხოვრების“ ნუსხათა შორის ყველაზე სანდოდ მიჩნეულია S-353 ხელნაწერი (XI ს.) და ივირონის ახლად გამოვლენილი XII-XIII სს. ხელნაწერი Ath. 72.

მიუხედავად თავისი სიძველისა, S-353 არ შეიძლება იყოს ის ხელნაწერი, რომელიც გიორგი მცირეს უნდა გაეგზავნა გიორგი შეყენებულისათვის, ვინაიდან იგი ათონური ნუსხისაგან განსხვავებით, დამატების სახით შეიცავს ოთხ სრულ დასდებულს, მიძღვნილს გიორგი მთაწმიდელისადმი. უნდა ვივარაუდოთ, რომ ნიკოლასმა შავ მთაზე გადაწერა არა მარტო „ცხოვრების“ ტექსტი, რომელიც ივირონიდან გაიგზავნა შავ მთაზე, არამედ ის ჰიმნოგრაფიული კანონებიც, რომლებიც, საფიქრებელია, გიორგი შეყენებულმა დაურთო გიორგი მცირის დაწერილ „ცხოვრებას“. ეს მით უფრო სარწმუნოა, რომ გიორგი შეყენებულს თვითვე შეეძლო აეწერა გიორგი მთაწმიდელის ცხოვრების შავ მთაზე გატარებული პერიოდი<sup>1</sup>. გიორგი შეყენებულს რომ ხელეწიფებოდა გიორგი მთაწმიდელის ცხოვრების აღწერა, ეს კარგად ჩანს გიორგი მცირის მიერ გიორგი შეყენებულისადმი გაგზავნილ ეპისტოლეში<sup>2</sup>. ეს იქიდანაც გამოჩნდა, რომ გიორგი მთაწმიდელის ხსენების დღისათვის დაწერილ ოთხ ვალობაში გიორგი დაყუდებულმა შეძლო გიორგი მთაწმიდელის მთელი ცხოვრების წარმოჩენა<sup>3</sup>.

ამრიგად, ნიკოლასს ჯუმათელს S 353-ის გადაწერის დროს დედნად უნდა ჰქონოდა შავ მთაზე გიორგის სახელზე შეთხზული საგალობლებით შევსებული ხელნაწერი. არ არის გამორიცხული, რომ ნიკოლასმა ხელნაწერი ჯვრის მონასტრის შეკვეთით შავ მთაზე გადაწერა და გაგზავნა ჯვრის მონასტერში, ვინაიდან გიორგის „ცხოვრების“ ამ ხელნაწერს ახლავს ჯვრის მონასტრის მკვიდრთა მინაწერები. ერთ-ერთი მათგანია ხელნაწერის ამკინძველის ბარნაბა

<sup>1</sup> იხ. აქვე წერილი: იოანე პატრიკისა და პეტრე პატრიკის იდენტიფიკაციისათვის.

<sup>2</sup> ძეგლები, II, გვ. 102.

<sup>3</sup> საგალობელთა ტექსტები იხ. დანართში.



თბილელის XVI საუკუნის მინაწერი. როგორც ჩანს, ბარნაბა თბილელმავე წამოიღო ეს უნიკალური ხელნაწერი ჯვრის მონასტრის საქართველოში. XVIII საუკუნის დამდეგისათვის ეს ხელნაწერი გამოიყენა დომენტი კათალიკოსმა თავისი ქართული ორიგინალური აგიოგრაფიის კრებულისათვის. იქამდე, ჩანს, გიორგი მთაწმიდელის „ცხოვრების“ ადრეული ნუსხა საქართველოში არ არსებობდა. დომენტი კათალიკოსმა სწორედ S-353-დან შეიტანა თავის აგიოგრაფიულ კრებულში მხოლოდ ამ ნუსხაში არსებული ვალობებიდან ორი საგალობელი.

ეს წიაღსვლა იმისათვის დაგვიჩინდა, რომ გამოგვეთქვა ვარაუდი: შესაძლოა, ნიკოლას ჯუმათელი, ჯუმათის „მამასახლის-ყოფილი“, შემდგომში შავი მთის მოღვაწე გახდა, სადაც იგი დაემოწაფა გიორგი შავმთელს და გიორგი მთაწმიდელს. არ არის გამორიცხული, რომ გიორგი შავმთელმა სწორედ ნიკოლასი გაეზავნა ივირონში გიორგი მცირესთან „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრების“ მოსაპოვებლად. ივირონიდან უკან დაბრუნების დროს ნიკოლასმა შეიარა კლარჯეთში, სადაც ცხოვრების უკანასკნელი წლები გაატარა გიორგი მთაწმიდელმა. იქნებ ნიკოლასი იქ გიორგი მთაწმიდელის ხელნაწერებსაც ეძებდა?

ათონის ხელნაწერ Ath. 72-ს საგალობლები არ ერთვის. ეს იმას ნიშნავს, რომ ის ოთხი კანონი გიორგის სახელზე, რომელიც ნიკოლასის მიერ გადაწერილმა ხელნაწერმა შემოგვინახა, გიორგი მცირეს არ უნდა ეკუთვნოდეს.

ცნობილია გიორგი მთაწმიდელის განსაკუთრებული ტრფიალი საგალობლებისადმი, რასაც მოწმობს მისი საგალობლები თორმეტი თვის თვეების სახით, მისი თეორიული მოსაზრებანი საგალობლების ბერძნულიდან ქართულად თარგმნის შესახებ და ბოლოს, მისი ორიგინალური საგალობლები. შესაძლოა, სწორედ გიორგი შავმთელის ხელშეწყობით იქცა საგალობელთა კრებულების შექმნა გიორგი მთაწმიდელის მთარგმნელობით საქმიანობაში ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებად. ცნობილია ისიც, რომ თვეების უდიდესი ნაწილი გიორგიმ შვე მთაზე თარგმნა.

ეგების ამავე ფაქტორმა განაპირობა გიორგი შავმთელის სურვილიც: დაერთო გიორგის „ცხოვრებისათვის“ მისადმი მიძღვნილი საგალობლები.

როგორც ითქვა, ამ ოთხ კანონში წარმოდგენილია გიორგის ცხოვრების ყველა ეტაპი, ოთხივე ერთად გიორგის მთელი ცხოვრების



სრულ სურათს წარმოაჩენს. ცხადია, ეს საგალობლები „ცხოვრების“ ტექსტს ეყრდნობა.

რამდენად საფუძვლიანია ეს ვარაუდები, ამას გვიჩვენებს შემდგომი კვლევა და ნიკოლაოს ჯუმათელის მინაწერის ამოუკითხავი ნაწილის გაშიფვრა.

თუ შემოთქმულს შევაჯამებთ, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ:

1. გიორგი მთაწმიდელის „ცხოვრების“ დასრულებასთან დაკავშირებით გიორგი დაყუდებულმა „ცხოვრების“ წამოსაღებად ათონზე გაგზავნა ნიკოლაოს ჯუმათელ-ყოფილი.

ნიკოლაოსი ჩავიდა ათონზე და მიიღო გიორგი მცირისაგან გიორგი დაყუდებულისათვის განკუთვნილი ნუსხა. „ცხოვრებას“ წინ უძღვის წინაპქმა („ზედაწერილი“), სადაც გიორგი აუწყებს ამ წიგნის მომგებელსა და მკითხველებს, თუ რა ვითარებაში იქმნებოდა „ცხოვრება“. აქვე ასახელებს ავტორი იმ წყაროებს, რომლებითაც ის სარგებლობდა.

2. ნიკოლაოსი გიორგის „ცხოვრებას“ ათონზევე გაეცნობოდა და ნათლად წარმოიდგენდა როგორც იმ დიდი უბედურების შედეგებს, რაც თავს დაატყუეს თურქ-სელჩუკებმა სამხრეთ საქართველოს (განსაკუთრებით კლარჯეთსა და სამცხე-ჯავახეთს), ასევე იმ ვითარებასაც, რომელშიც აღმოჩნდა იქ მყოფი გიორგი მთაწმიდელი, რამაც აიძულა იგი მიეტოვებინა სამცხე და კვლავ ათონს დაბრუნებულიყო თავისი 80 ობოლი აღსაზრდელით. ამავე „ცხოვრებიდან“ გაიგებდა ნიკოლაოს ჯუმათელი, რომ იქამდე, სანამ გიორგი სელჩუკთა მიერ აოხრებული კლარჯეთიდან სამცხეს გადავიდოდა, ის შატბერდში იყო დაგანებული და იქ მოღვაწეობდა.

ამან გადააწყვეტინა ნიკოლაოსს კლარჯეთში გამგზავრება, რათა იქაური მონასტრები, პირველ რიგში კი, შატბერდი მოეხილა. საფიქრებელია, ნიკოლაოსს იმის იმედიც ჰქონდა, რომ შატბერდში გიორგი მთაწმიდელის ხელნაწერებს მიაგნებდა. ჩანს, გიორგიმ შატბერდიდან თავისი ხელნაწერები და სამუშაო წიგნები თან წაიღო სამცხეში (თავი შეაფარა ახალქალაქს). აწიოკებული კლარჯეთის აოხრებულ მონასტრებში ხეტიალისას ნიკოლაოსმა დაცარიელებულ შატბერდში მიაკვლია ეტრატის ხუთ ხელნაწერს. მათი გადარჩენის მიზნით მან ეს ხელნაწერები თან წაიღო და სამცხეზე გავლით გადავიდა სამეგრელოში, სადაც თავისი ძვირფასი მონაპოვარი, ჩანს, მარტვილის მონასტრისათვის



გადაუცია, თვითონ კი გაუგრძელება გზა კვლავ შავ მთაზე ბრუნებლად.

3. შავ მთაზე ჩასული ნიკოლაოსი ეახლება გიორგი დაყუდებულს და გადასცემს მას მისი ბრძანებით დაწერილ გიორგი მთაწმიდელის „ცხორებას“ და თან გიორგი მცირის თხოვნას, რომ მან (გიორგი დაყუდებულმა) თავისი მალალი გონებით და მადლიანი ხელით შეაგოს „ცხორება“.

4. გიორგი მთაწმიდელის „ცხორების“ შემცველი ხელნაწერების შესწავლამ დაადასტურა, რომ გიორგი დაყუდებულს თავის მხრივ მართლაც შეუვსია გიორგი მცირის დაწერილი „ცხორება“, დაურთავს მისთვის ოთხი გალობანი გიორგი მთაწმიდელის სახელზე. ეს ოთხი საგალობელი წარმოადგენს შესხმასა და გიორგის ცხოვრების ოთხ პერიოდად აღწერას. ამ გზით გიორგი დაყუდებულმა მოიხადა ვალი საყვარელი მოწაფის წინაშე. ასე შეიქმნა გიორგის „ცხორების“ ახალი რედაქცია შავ მთაზე, რომელსაც ათონურისაგან განსხვავებით ერთვის ოთხი საგალობელი.

გიორგის „ცხორების“ ეს რედაქცია შავ მთაზე თავისი ხელით გადაუნუსხავს ნიკოლაოს ჯუმათელ-ყოფილს, შესაძლოა, ჯვრის მონასტრის შეკვეთით, ვინაიდან ნიკოლაოსის ეს ავტოგრაფული ნუსხა XVI საუკუნეში ჯვრის მონასტრის საკუთრება ყოფილა, რასაც ადასტურებს ჯვრის მონასტრის სკრიპტორიუმში ამ ხელნაწერზე გაკეთებული მინაწერები. ამავე ხელნაწერის გვიანდელი (XVIII ს. დამდეგის) მინაწერები მოწმობენ, რომ ხელნაწერი ამ დროისათვის სამეგრელოში იყო და დადიანების კუთვნილებას წარმოადგენდა. მაგრამ ხელნაწერი უფრო ადრე უნდა იყოს ჩამოტანილი საქართველოში, ვინაიდან 1713 წელს დომენტი კათალიკოსის შედგენილ ძველ ქართულ აგიოგრაფიულ კრებულში პირველად არის შეტანილი გიორგი მთაწმიდელის „ცხორება“, რომლისთვისაც დომენტის S-353 ხელნაწერი გამოუყენებია, ვინაიდან ამ ტექსტს კრებულში ერთვის ორი საგალობელი იმ ოთხი საგალობლიდან, რომელიც შესულია S-353 ხელნაწერში.

S 353

67v (134) ჭ.თუშას ივნისსა ლ, მიცვალებად ჟიდიისა მამისა ჩუენისა  
გიორგი მთაწმიდელისაჲ\*

უფალო ღაღადყავსა. დასდებელნი, ჳამა ა  
შენ სიტ.

ახლად მნათობად გამოსჩნდი  
ეკლესიათათჳს  
და სეხნად საქმეთაისა  
იწოდე შენ მუშაკად,  
ნეტარო გიორგი,  
და საესებამ  
ამისი ნაკადულითა  
წიგნთა შენთამთა დაათრვე, მამაო,  
და ბრწყინვალედ გამოაჩინე.

გიხაროდენ, მონაზონთა  
შუენიერებაო,  
გიხაროდენ, სიბრძნითა  
ადესებულო რიტორო,  
გიხაროდენ, თავთა  
მოციქულთა  
მეგობარო, გიხაროდენ,  
ქრისტეს ეკლესიათა შემამკობელო,  
გიორგი, ყოვლად სანატრელო.

გიხაროდენ, წყალობისა  
და სიტკბოებისა  
უშურველო წყაროო,  
გიხაროდენ, თარგმანო  
და ფილოსოფოსო,  
გიხაროდენ,

წმიდისა ღმრთისმშობელისა  
მადიდებელისა ენისა, გიორგი,  
მის მიერვე მონიჭებულო.

სამკვდრებელ სამებისა  
იქმნა გული შენი  
და მის მიერ მოგებრა  
ნიაემან მადლისამან  
და დედაა უფლისაჲ  
გექმნა მოძღუარ  
და აღაღო პირი შენი  
ენითა ცეცხლებრითა მლაღადებულად,  
გიორგი, საწადელო მამაო.

სსშანი, ჰჰაჲ ლ

*მკნეონი*

ღმრთისმეტყუელებისა წყაროჲ,  
იოანე დიდებული,  
გაქუნდა შენ თანაშემწედ საიდუმლოდ  
წმიდისა ღმრთისმშობელისა თანა  
და ესრეთ შეუნიერად  
სთარგმანებდი მალალთა  
წიგნთა შენთა საკვრველთა  
და მათმიერითა  
/შეწევნითა, მამაო,  
აღგვწერენ  
სიმრავლენი წერილთანი,  
გიორგი, სამგზის სანატრელო.

68r(135)

ქნარითა გალობათაჲთა  
შემამკობელად ორღანოდ  
ეკლესიათა გიცნობთ მორწმუნენი,  
ოქრომდინარეთა მათ შენთა  
წიგნთა მიერ, რომელთა -  
იგი დაფარულებაჲ  
განაჲ და განგვცხადე,



მუშაკობისა  
სქხნაო ბრწყინვალეო,  
წყალობისა  
წყაროო დაულევენელო,  
გიორგი, სამგზის სანატრელო.

გაქუნდა ცხორებამ მაღალი  
სიყრმითგან და წამებითა  
წმიდათა წერილთამთა მტკიცე ქმული, მამაო,  
სარწმუნოებამ ჭეშმარიტი  
და გული მწყალობელი,  
ქალწულებამ მაღალი,  
სიმდაბლე და კრძალულებამ  
თუალთამ, ყოვლითურთ  
გონიერად მხედველი,  
მღდელობისა  
კანონო და სიქადულო,  
გიორგი, სამგზის სანატრელო.

### სს'შანი

*მოგიკვიმის, ღმერთო.*

ახლად მნათობად გიცნობთ,  
აღმოსავალით აღმოსრულად,  
კრებულნი მორწმუნეთანი,  
საუნჯედ  
მოდღურებათა და პირად ქრისტეს კკლესიათა,  
სინანულისა ქადაგად  
და უფსკრულად მოწყალებისა  
გლახაკთა,  
ხოლო მუშაკად სიბრძნისა და მგალობელად ღმრთივ  
განბრძნობილად,

მამაო წმიდაო გიორგი,  
მონაზონთა დიდებო.

წიგნთა მათ შენტა მიერ  
პატროსანთა იქმენ, ღირსო,

68v(136)

ყოველთა მიერ საწადელ,  
ყოველთა  
სასურველ, ყოველთა ახარებ, ყოველთა განანათლებ  
და წმიდა/თავე ასწავებ  
ცნობასა ცხორებისასა,  
ქართველთა  
ბრწყინვალეო და შუენიერო მნათობო,  
მამაო წმიდაო ეფთჳმი!  
მონაზონთა დიდებაო.

საღმრთოთა მადლთა მიერ  
აღვსებული, მსგავსად სარკისა  
განწმედილისა, გპოვა რაჲ  
ქრისტემან  
მეუფემან, აღგავსო ბრწყინვალეობითა თუსითა  
და სასწაულთა აღსრულებამ  
მოგანიჭა, ბრძენო, ვინამცა  
მშიერნი  
გამოჰზარდენ და წჳმითა წყურიელნი დაათრვენ,  
მამაო წმიდაო გიორგი,  
მონაზონთა დიდებაო.

სხშანი, ა ბჳმარდი  
ვიხაროდენნი.

ვიხაროდენ, მუშაკობისა  
საღმრთოთა სეხნაო და გონებაო ვრცელო,  
ენაო  
ღმრთისმეტყუელო და აღმწერელო უცთომელო  
თარგმანებითა  
წიგნთა შენთაჲთა,  
ბრძენო,  
რამეთუ გულისხმისყოფამ მიუწდომელი  
მოგეცა შენ  
სიყრმით შენითგან, დიდებულო,  
და ვითარცა რაჲ

ღრუბელმან აღმოიწრიდენ  
მდინარენი სიბრძნისანი  
და დაათრვენ, მამაო,  
გულნი მორწმუნეთანი  
წერილთა მიერ და ეკლესიაჲ  
მსგავსად  
დედოფლისა  
განაშუენე და შუამკვე  
პირად-პირადად.

გიხაროდენ, მრავალმნათობო  
ლამპარო, აღტყინებულო სულისა ცეცხლითა,  
ტრფილო  
სიბრძნისაო და ზიარო მოციქულთაო,  
მონაზონებისა  
და განკითხვისა  
ხატო

69r(137)

პირმეტყუელო და გალობაო დამატკობელო,  
ორღანოო  
კმაშუენიერო და საწადელო,  
ფილოსოფოსო  
და რიტორო ბრწყინვალეო,  
თარგმანო ღმრთივ მოცემულო,  
ჩუენდა მომნიჭებულო  
საკვრველთა მათ შენთა  
წერილთა მიერ მადლთა საღმრთოთა,  
წიგნო  
მასწავლელო  
უმეცართაო და გონიერმყოფელო,  
ღირსო გიორგი.

გიხაროდენ, მოწყალებისა  
წყაროო და სიმდიდრეო უღონოთაო,  
გლახკათა  
მოღუაწეო და მიშუველთა შემოსელო,  
და განწირულთა  
და დავრდომილთა

ძალო,  
უცხოთა შემწყნარებლო და განმსუენებლო,  
ნაეთსადგურო

ყოველთავე დელვაგუემულთაო,  
სოფლისა ზღუასა  
შინა დამარხვისა ჭურო,  
ქალწულებისა ტაძარო,  
სიმდაბლისა საყდარო,  
მღვდარებისა თუალო,  
და ზედგომისა ძეგლო მტკიცეო,  
ხოლო

ყოვლად წმიდისა  
ღმრთისმშობელისა მონაო საკუთარო,  
ბრძენო გიორგი.

სსუანი, ბ გუარდი

ყოველი სასოება.

საშოთვანვე დედისათ  
წმიდა-გყო ღმერთმან, მამაო,  
და ჩუენებისა მიერ  
საღმრთოდასა აუწყა  
მშობელსა შენსა  
წინამსწარ ყოფადი  
სახელიცა შენი  
და საქმეთა  
შენთა სიმაღლე  
და მუშაკობისა  
სეხნად გიწოდა შემსგავსებულად  
და დაიმკვდრა შენ თანა  
სულმან წმიდამან  
სიყრმით შენითვან

და ღმრთივსულიერთა წერილთა თარგმანად გამოგაჩინა,  
ღმერთშემოსილო გიორგი,  
ქართველთა სამკაულო.

აღსლვამ გულსა დაიდევ  
 სათნოებათამ, მამაო,  
 და მათთვის მოგეცა შენ  
 ქრისტეს ღმრთისა მიერ  
 სული სიბრძნისა  
 და ვითარ ღრუბელმან,  
 სწოვე სიტკობეამ  
 ღმრთიესულიერთა  
 წიგნთა უფსკრულით  
 და სთარგმნებდ, ღირსო,  
 და გამოგვცხადენ დაფარულნი  
 საუნჯენი წერილთანი  
 და განგუამდიდრენი,  
 ღირსო გიორგი,  
 რამეთუ სიბრძნე გულისა და სიფრცე ენისაა გაქუნდა შენ,  
 ვინადაცა არენი მადლთანი  
 მოგუფინენ საცნაურად.

დასაბამად სიბრძნისა  
 მოიგე შიში უფლისა  
 და სულიერთა თანა  
 სათნოებათა წარჰმართენ  
 ჯორციელნიცა  
 და სინანულისა  
 ალაგნი უჩუენენ  
 შეცთომილთა,  
 რამეთუ პავლეს  
 მსგავსად ეგზებოდე  
 სიყუარულითა, ვინადაცა, ნეტარო,  
 მოწყალებისა კარავი  
 აღჰმართე, გიორგი,  
 აბრაჰამისებრ,  
 ხოლო სიწმიდითა და ქალწულებითა იქმენ სავანე  
 სამებისა ყოვლად წმიდისა,  
 რომლისადაცა გასუროდა.

სს"ანი, ბ გუერლი

მეჯდომარე.

სიღრმე დაფარული წერილთაჲ  
და სიბრძნისა ტაკუენი მდიდრად აღავსენ  
წყალთაგან სულისათა,  
მონაზონთა დიდებო,  
და ყოვლით კერძო  
შემოიკრიბენ, ვითარცა  
საუნჯემან  
სულიერმან, სიყრმით შენითგან  
წიგნთა ღმერთივსულიერთა  
სიტყვერი სიმდიდრე  
და ტალანტი  
შენი აღაორძინე  
თარგმანებითა მით  
შენითა, რომლითა  
დაატკბენ, გიორგი,  
ჩუენ მორწმუნეთა, საცნობელნი  
და/ეკლესიაჲ  
ბრწყინვალედ განაშუენე.

70r(139)

გული ღმობიერი და სული მწყალობელი  
და ნებაჲ უხვ და გლახაკთა მოყუარე  
გაქუნდა სიყრმით შენითგან,  
ღმერთშემოსილო გიორგი,  
და უღონოთა,  
ობოლთა და დაფრდომილთა  
და შიშუველთა  
შეჰმოსდ და იღუწიდ, ღირსო.  
ამისთვსცა განგეხუნეს  
კარნი წყალობისანი  
ზეგარდამო,  
ქრისტეს, მესნელისა, მიერ  
შესუედ სიხარულსა  
უფლისა შენისა  
სახიერისასა,

ვითარცა მონად მისი ერთგული  
და მობაძავი  
მოწყალებათა მისთაჲ.

დავჰბეროთ ნესტუსა ქებისასა ახალსა  
და ახალნი ესე მნათობნი სოფლისანი  
წიგნთა თარგმანებითა  
შევამკვნეთ, ჰოი მორწმუნენო,  
ვეთუმის თანა  
გიორგი, ყოვლად ნეტარი,  
რომელმან-იგი  
უაღრეს ბუნებათაჲსა  
წამალი განმლეველი  
უქმად გამოაჩინა  
და წჷმანი  
აღადგინნა ლოცვითა.  
ემშაკნი იოტნა  
კაცთაგან, ვინაჲცა  
წინამსწარ ცნობითა  
განშუენებული საკვრველებით  
მთასა წმიდასა  
არაჲვე განეშორა.

ბრწყინვალედ შეგასხამთ და გილაღადებთ ყოველნი  
შემოკრებულნი, ყოვლად ბრძენო გიორგი (წმიდაო),  
საღმართოჲსა  
მუშაკობისა სეხნაო.  
გინაროდენ,  
ტრფილო მოციქულთაო  
და ზიარო

70v(140)

/პირველთავე მოღუაწეთაო,  
გინაროდენ, გურგუნო  
დიდო მონაზონთაო,  
გინაროდენ,  
მღდელობისა კანონო,  
გინაროდენ, პირო  
ეკლესიათაო,

რომელი დღითი-დღე  
 ჰკობ მას შინა და მხიარულ-ჰყოფ  
 შემსხმელთა მისთა  
 გულსა და გონებასა.

მღვდარებითა, მარხვით და ლოცვითა  
 ჯორცთა აღძრვანი დაიმონენ, მამაო,  
 ხოლო მოწყალებითა  
 და გლახკეთმოყუარებითა  
 ლამპარი შენი  
 განაპოხე და სასძლოსა  
 ზეცისასა  
 შესუედი განმზადებული  
 ბრძენთა ქალწულთა თანა  
 და წინაშე ქრისტესა  
 მდგომარე ხარ,  
 ბრწყინვალედ შემკობილი  
 გურგვნითა, ღირსო.  
 ქრისტეს მოციქულთა  
 თანა მეოხ-გუეყავ,  
 ვითარცა გაქუს კადნიერებად,  
 ღირსო ევთჳმი!  
 თუალო მონაზონთაო.

სხუანი, ღ ბუარღი

ადემ.

ვითარცა წყაროა დაუწყუედელი,  
 წიგნთა უფსკრულით გამო  
 აღმომდინარე  
 პირი შენი, მამაო,  
 ურნატთა ეკლესიისათა  
 დაათრობს ღმრთივშუენიერად  
 და საშუებლისა  
 მდინარითა აღავსებს  
 და მხიარულჰყოფს



ქალაქსა ქრისტეს ღმრთისა ჩუენისასა, რამეთუ  
ტრფიალ-იქმენ  
სიბრძნისა და ძალითი-ძალად აღსლვითა  
აჰმალღი შენ ზეცად  
და იხილე ღმერთი ღმერთთაჲ სიონს დამკვდრებულნი  
და სენად სახელისა  
გეწოდა მის მიერ წინაჲსწარ  
მუშაკად სულიერად  
თარგმანებითა წიგნთა შენთაჲთა.

71r(141)

ღირსო მამაო, ბრძენო გიორგი,  
განაშუენენ მოქცევენი  
წელიწდისანი  
საგალობელთა მიერ  
შენთა პატიოსანთა, რომელნი  
სთარგმნენ ყოვლად ბრწყინვალედ  
და უცხოჲსაგან  
ენისა უცხოჲსა,  
ვითარცა თჳსით,  
ესრეთ უცთომელად აღსწერენ იგინი,  
ამისთჳსცა  
შესხმითა საღმრთოჲთა გილაღადებთ ყოველნი:  
გინაროდენ, ზღუაო  
სიბრძნისაო, მყუდროდ მდგომარეო და ებანო  
კმატკბილო, გინაროდენ,  
ათძალო სულისაო და მეგობარო  
ქრისტეს მოციქულთაო,  
რომელთა თანა იდიდები დღეს.

სიმრავლე მგალობელთაჲ, მამაო,  
აღგარებთ, ვითარცა  
მომატყუებელსა  
ჩუენდა სულიერისა  
წერილთა საღმრთოთა სიმდიდრისა,  
ყოვლად ნეტარო გიორგი,  
რომელნი-იგი  
აღსწერენ შუენიერად

და ეკლესიამ  
შეამკვე გალობითა და შესხმითა  
წმიდათამათა,  
ვინაცა ნაკლულევანებაჲ ჩუენი გარდაჰმატე  
თარგმანებითა მით  
შენითა, ამისთვის კრებული ჩუენ მორწმუნეთამ  
პატივ-ესცემთ სამარხოსა  
ნაწილთა შენთასა და ვადიდებთ  
მიცვალებასა შენსა  
ქუეყანით ზეცად, ღმრთივანბრძნობილო.

7iv(142) შურითა საღმრთოთათა აღეტყინე  
და წერილთა საღმრთოთათა  
ტრფილებითა  
მოწყულუმან აღგვწერენ  
სიმრავლენი წიგნთანი, ღირსო  
გიორგი, ყოვლად ნეტარო,  
რომელთა მიერ  
განაცხადე შენთა მათ  
სათნობათა  
სიმაღლე და კუალად ქრისტეს მოციქულთა  
ბრწყინვალესა  
დღესასწაულსა მიცვალებითა მით შენითა,  
ეჰა, წყალობისა  
და უცხოთმოყუარებისა მუშაკო სახიერო,  
გლახაკთა მოღუაწეო,  
ხოლო ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისა  
მონაო საკუთარო  
და ქრისტეს მიერ გვრგვინოსანო.

წარდგომანი, ბ  
მდინარენი.

ჴეშმარიტად ბრწყინვალე შემატება იქმენ  
კრებულსა ყოველთა წმიდათასა, რომელთა-იგი  
შესხმანი განაშუენენ და შეამკვენ, დიდებულო,

საგალობელთა მიერ  
და ცხოვრებასა  
მათსა ყოვლითურთ  
მიემსგავსე, ნუტარო გიორგი,  
და სასწაულთაცა მადლი მოიღე ზეცით  
და წამალსა განმღეველსა ლოცვითა აღვრ-ასხენ,  
რომელი  
პირველ ჩუენებით უწყებულ იქმენ მშობელისა შენისა,  
სამებისა ქადაგო,  
და წიგნთა საკურველთა  
აღმწერელო ყოვლად შუენიერო,  
ეპა, კაცო გულისსათქუმელო  
და ჩუენ, ერისა ამის მორწმუნისა,  
განმაბრძნობელო,  
ხოლო ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისა  
მონაო სარწმუნოო, რომელსა გიღალადებთ:  
გიხაროდენ, წმიდათა  
და დიდთა მოციქულთა  
პეტრეს და პავლეს  
მეგობარო და მათ თანა საგალობელო.  
გიხაროდენ, სულთა  
ბოროტთა მწარედ წარმდევნელო,  
გიხაროდენ, წყალობისა ტრფიალო  
და ქრისტეს მიერ გვრგვნოსანო.

72r(143) სსუად

*რომელმან სისხლითა.*

მდინარეთა მათგან  
სიბრძნისათა  
აღმოივსენ,  
მი-რამ-ეყრდენ  
ხედვათა მიერ მკერდსა ქრისტესსა,  
მაღლითა მით ცხოვრებითა შენითა  
და მორევთა  
სიბრძნისათა დაანთქენ ვნებანი,

ქართველთა შუენიერებაო,  
თარგმანებითა მით  
წიგნთაჲთა, ჰოი, გიორგი  
რომელნი-იგი აღგვწერენ, საკვრველო,  
მიუწდომელად  
აღესებულმან სულითა.  
ამისთჳსცა გილაღადებთ:  
გიხაროდენ,  
ღმრთისა მიერ აღძრულო ბოზლანო ეკლესიათაო,  
გიხაროდენ, თავთა მოციქულთა  
თანა ღირსად  
საგალობელო, მეოხ გუეყავ ჩუენ.

სს<sup>ა</sup>შ<sup>ა</sup>დ, ჳმამ ბ

*მიჰბადე.*

დედაჲ ღმრთისაჲ  
გაქუნდა  
თანაშემწედ, მამაო  
უხილავად ბრძენო,  
და იოანე, ღმრთისმეტყუელთა თავი,  
გიორგი,  
თარგმანო ბრწყინვალეო,  
ხოლო მოღუაწებითა  
ემშაქნი შეჰმუსრენ  
ასპარეჳსა მას ბრძოლისასა,  
მოაკუდინენ  
ასონი ქუეყანისანი,  
მღჳძარებითა  
ლოცვისა თანა და ღამე ყოველ ზედგომისა  
და ზეთითა  
წყალობისა  
და ქველისსაქმისაჲთა  
განაბრწყინვენ უმეტესად  
შრომანი შენნი. ამისთჳსცა ვლაღადებთ  
და ვიტყვთ:

ჭეშმარიტად ღმერთი საკურველ არს  
შორის წმიდათა მისთა,  
რომელსა აქუს  
დიდი წყალობაჲ.

უბალოგადითსა, ჰამაჲ ლ

კივლომთ.

მნათობად საცნაურად გამოსჩნდი  
ქრისტეს ეკლესიათა, ყოვლად ბრძენო გიორგი,  
და თარგმანებითა  
წიგნთა შენთაჲთა შეამკვე, ვითარცა  
72v(144) მონაზონებისა შრომითა, მამაო,  
გემონი ჯორჯთანი სიყრმიტგან დაიმონენ  
და ენებათა ძალნი  
ხედვისა მიერ დასცენ, გიორგი.  
შორის შფოთთა სოფლისათა გაქუნდა ცხორებაჲ,  
დაწყნარებული და მალალი, გიორგი,  
და მოწყალებისა  
ტრფიალებითა სიბრძნე მოგეცა.  
ველ.

ბანძლიმრდასა

მშულდი.

ქრისტეს  
მოციქულთა კუალსა შეუდეგ,  
გიორგი, და მიცვალებითა  
შენითა ცხად-ჰყავ  
მათ თანავე მკვდრობაჲ შენი,  
ეპა, საქმე დიდებული:  
წიგნთა  
შენთა თარგმანებითა  
საკურველჰყავ ცხორებაჲ  
შენი, გიორგი,  
რამეთუ სიკუდილმან და საფლავმან

ვერ დაადუმეს პირი შენი.  
სახე  
შენი იყო საზარელ  
მხილველთა შენტა, მამაო, და  
შენ კითხვისა  
მოძღუარ იქმენ სოფლისა,  
გიორგი, ყოვლად ნეტარო.  
გიხაროდენ შენ უ.

### მსმასა

*ცანი შუენიე.*

საშოდთგან ღმრთისა შეიწირე, გიორგი,  
და სიწოდთგან ვნებათა მძლედ გამოსჩნდი  
და ვითარცა თუალთა მიერ  
პირადთა შეამკვე ეკლესიამ,  
არა ეც ყოვლად პრული წამთა შენტა  
და განსუენებამ ჯორცთა, ნეტარო გიორგი,  
ვინამცა იქმენ წინამძღუარ  
კრებულისა მის მონაზონთადას.  
ხედვითა და საქმითა განბრწყინვებულმან  
საღმრთონი წიგნნი სთარგმენ, გიორგი,  
მოწყალებისა მუშაკო,  
ტადარო ღირსო სიწმიდისაო.  
ცათა დაუტე.

### ღამითგანსა

*ნათელი შენი, უფალო.*

73r(145) ცხორებამ შენი განაბრწყინვე სიბრძნითა, გიორგი,  
რომლისა მიერ აღსწერენ/წიგნნი საკვრველნი  
და მეფეთა და კელმწიფეთა  
მიერ იქმენ საყუარელ.  
გონებამ შენი, მამაო, ღრმა-ჰყავ სიბრძნითა  
სულისადათ მიუწდომელად წერილთაგან  
და მოწყალებამ შენი უხუებით

მიჰფინე გლახაკთა ზედა.

სამარხომ შენი უპყრიეს ეკლესიასა წიაღთა,

ვითარცა რამ შემამკობელისა თვისსამ და ლაღადებს:

აქებდით ჩემ შორის, რომელმანცა

მე ბრწყინვალედ განმაშუენა.

დედად ნათლი.

ღაღატყავსა

ღაღად.

მწიგნობრისა

ველოვნისა საწერელად გამოსჩნდი

და ბაგეთა

შენთა განეფინა მადლი სულისამ,

გიორგი ნეტარო,

შუენიერებო

განაზონთაო.

განაშუენე

ეკლესიამ და შეამკვე, გიორგი,

წიგნთა მიერ

შენთა, მამაო, და ვითარცა წყარომან

ცხოველმან ახარე

გონებათა ჩუენთა

სლვითა მათითა.

ვითარცა რამ

ქუეყანამან კეთილმან შეიწყნარე, გიორგი,

გულსა შენსა

სიტყვური თესლი წერილთამ და წიგნთა

შენთა თავწარსმული

მოგუართუ ჟამსა თვისსა

ათასეულად.

კრძალულებამ

თუალთამ მოიგე, ნეტარო გიორგი,

და ყოვლადვე

არამ განიცდიდ ხატსა უცხოსა.  
ეჰა, საკურველი  
და უზეშთაესი  
ხედვისა წესთამ  
უმეტეს ხარ.

ქართხელარსა  
ბაბილონს სამთა ყრმა.

სიმდიდრესა შინა გაქუნდა უპოვარებამ მაღალი, გიორგი,  
მოწყალებისა მიერ  
და მეფეთა და მთავართა  
პატივისაგან  
მოიგე სიმდაბლე  
ცად ამყვანებელი.

73v(146) სიბრძნისა ტრფიალებითა საცნობელთა გრძნობანი  
დაჰქსნენ და კაცთა შორის  
ქცევითა და სიყუარულითა  
დაყუდებითურთ  
აჰმალღი, გიორგი,  
წყალობისა თანა.

თუთოფერთა სათნოებათა მიერ განჰშუენდი, მამაო,  
და სიბრძნისა ტაბლასა  
მარხვისა მიერ განჰპოხენ,  
ხოლო სასუმელად  
გაქუნდეს შენ ტაკუკნი  
ცრემლთანი, გიორგი.  
ღმრთისმშობელო.

აქართხმეფითსა  
მესნელო.

დამესნელი წამალი  
მაკუდინებელი  
ლოკვითა შენითა



უქმ-პყავ, მამაო,  
რაქამს-იგი პირუტყუთაცა  
ზედა არუენე წყალობად შენი,  
გიორგი საკურველთმოქმედო.

სიმაბლისა მიერ  
დასცენ ეშმაკნი  
და სიყუარულითა  
ღმერთსა შეეყავ  
მოწყალებისა მიერ,  
ნეტარო გიორგი, და აღგვწერენ  
წიგნნი ურიცხუნი საკურველნი.

მწყემს იქმენ მღვდარე  
ცხოვართა ზედა  
პირმეტყუელთა, ღირსო,  
და სწავლათაგან  
შენთა ურწმუნონიცა  
მოიქცეოდეს, გიორგი, და აკურთხევდეს  
ღმერთსა, მადიდებელსა შენსა.

დაგვ.

#### ადიდებდითსა

*შენ, რომელმან მუცე*

შენ, რომელმან თარგმანებითა  
წიგნთა შენთადათა, ვითარცა  
სამუებლისა მდინარითა  
დაათრევენ ჩუენ მორწმუნეთა  
გონებანი და წელიწდისა  
ქოქცევი შეამკვენ, გიორგი,  
გალობით გაქებთ შენ.

გიხაროდენ, თანაზიარო  
მოციქულთაო, გიხაროდენ,  
მუშაკობისა სქნაო,  
გიხაროდენ, მოწყალებისა

სამკვდრებელო, სიბრძნისა ჭურო,  
გიხაროდენ, ახალო ხატო  
მონაზონებისაო.

გიხაროდენ, ყოვლად წმიდისა  
ღმრთისმშობელისა მონაო,  
გიხაროდენ, სიმდიდრეო  
ულონოთაო, გიხაროდენ შენ,  
წიგნთა საღმრთოთა ბრძენო თარგმანო,  
გიხაროდენ, ჰოი, ევთვი!  
ქართველთა სამკაულო.  
სინანულისა ალაგნი  
უჩუენენ შეკოდებულთა  
და მსგავსად მოციქულისა  
ყოველთა ექმენ ყოვლად, რამთა  
უმრავლესნიცა შესძინე ღმერთსა,  
ნეტარო გიორგი, და აწცა  
ოხად ნუ დააცადებ.

**მასვე დღესა, სხუანი ბალოვანი ამისვე წმიდისანი  
უგალოვდითსა უაუღავე.**

წყაროთაგან  
ცხოველთა და უფსკრულთა  
მდიდრად აღმოიწრიდენ  
სიბრძნისა მდინარენი  
წურთითა საღმრთოთა წერილთადათა  
სიყრმით შენიტგან, გიორგი, სამგზის სანატრელო.

საშოთგანვე  
დედისადათ წმიდა-გყო ღმერთმან,  
ყოვლად ბრძენო გიორგი  
და შენ მიერ შეამკო  
ეკლესიაჲ თუსი წიგნთაგან  
და ძლევისა გალობითა უგალობს მარადის.  
კონებისა  
შენისა ტრფიალებად

წარჰმართე ღმრთისა მიმართ  
და ყოვლითურთ განსცვბრდი  
შუენიერებითა მისითა,  
სანატრელო გიორგი, უცხოთა შემწყნარებელო.

ანგელოზთა  
უწმიდესსა ქალწულსა  
და უდიდებულესსა,  
ქერობინ-სერაზინთა  
ცათა უვრცელესსა პალატსა  
ღმრთისა სიტყვასა უგალობდეთ, ერნო.

74v(148) ბანძლიმრდასა

არამ ვინ.

წამითა გონებისადათა  
მოსწყვდენ ეგვპტისა  
პირმშონი ჩნულთა თანა,  
გიორგი, და მარხვითა  
წარჰმართენ სათნოებანი,  
ქალწულებაა  
მოწყალებისა თანა,  
შეიწრენ საცნობელთა  
ხუთეულნი ალაგნი,  
გიორგი, და მოსწრაფედ  
მფლობელ-ჰყავ გული შენი  
მათ ზედა, ხოლო ხედვითა  
შესაგაღნი  
ფრთოანჰყვეენ სიწმიდითა.

სიბრძნისა გამოსავალნი  
განახუენ და უბანთა  
წერილთა საღმრთოთასა  
იქცეოდე, გიორგი,  
და სთარგმნებდ საკვრველად  
ბრწყინვალეთა  
წიგნთა შენტა, ნეტარო.

დედისა მიერ უფლისა  
მოგეცა ზეგარდამო  
სიბრძნე მიუწოდომელი,  
გიორგი, და სიყრმითგან  
მოიგე, სანატრელო,  
კრძალულებამ  
თუალთამ წარუტყუენველი.

კუერთხი იგი აპრონისი,  
ტაკუკი და სასანთლე,  
კიდობანი შჯულისამ  
და ტაბლამ ცხორებისამ,  
ყოვლად უბიწომ დედოფალი  
ღმრთისმშობელი  
ვადიდოთ, მორწმუნეო.

### მსმასა

*ქრისტე ღმერთი.*

ლამპარნი აღანთენ  
მოწყალებისანი  
და შეხუედ სასძლოსა ზეცისასა  
ბრძენთა ქალწულთა თანა,  
ეპა, შეენიერებაო მღდელთა და მონაზონთაო.

სიბრძნისა კარავსა  
ხედვათა ნისლითა  
შეხუედ, მამაო, და განახუენ  
წერილთა საუნჯენი  
და მიერ გუეზრახე თარგმანებითა წიგნთა შენთადათა.

შემატება იქმენ  
ბრწყინვალე კრებულსა  
მამათასა, ბრძენო გიორგი, რომელთა-  
იგი საქსენებელნი

75r(149) შესხმითა და გალობითა შეამკვენ, დიდებულო.

აღმოსავალისა

ბჭე განუღებელი

და კიბე იგი ცად აღწევნული

და საწმისი ცუარისაჲ

შენ ხარ, ქალწულო, უაღრესო დაბადებულთაო.

### ღამითგანსა

*ნათლითა შერი.*

წიგნთა შენტა პატიოსანთა

თარგმანებითა ყოველთა ექმენ საწადელ, ყოველთა ექმენ სასურველ,

ყოველთა ახარებ, ყოველთა განანათლებ,

ყოველთა ასწავებ ცნობასა ცხორებისასა.

ფარულად მოწყალებისათჳს

გლახაკთაჲსა იქმენ სამკვდრებელ სიბრძნისა, რამეთუ

შეიყუარე იგი სიყრმითგან, ნეტარო გიორგი,

მსახურო ყოვლად წმიდისა სამებისაო.

აჰა ესერა, მგალობელთა

სიმრავლესა გარე-მოუცავს სამარხოჲ შენი დიდებული,

ყოვლად ბრძენო გიორგი,

და ქსენებასა

შენსა აქებენ შესხმითა და ვალობითა.

გიხაროდენ, მონათა შენტა

დიდებაო, განმაბრძნობელო და გონიერმყოფელო,

ყოვლად კურთხეულო ქალწულო

ღმრთისმშობელო,

ვითარცა-ესე, რომლისათჳს ვდღესასწაულობთ.

### ღალატყავსა

*სოფლისა ზღუაჲ.*

შესხმანი წმიდათანი

განაფრცენ, დიდებულო,

და ნაკლულევანებაჲ

ქართველთაჲ გარდაჰმატე ყოვლითურთ

წიგნთა მათ შენტა მიერ

და შეამკვენ მოქცევი  
წელიწდისანი.

იქმენ ლამპარ აღნთებულ  
ცეცხლითა სულისადათა  
და ქუეყანასა ზედა  
მყოფი ზეცას ჰმოქალაქობდი,  
ყოვლად ბრძენო გიორგი,  
ვინაადა თვთმპყრობელთა  
იყავ საყურარელ.

75v(150) მოსწრაფებაჲ და მარს/ვაჲ  
მღვძარებისა თანა  
და ლოცვისა წარჰმართენ,  
ხოლო სიმდაბლითა და სიწმიდითა  
მოწყალებისა თანა  
დასცენ ეშმაკთა გუნდნი,  
ბრძენო გიორგი.

გიტვრთავს მკლავთა ზედა,  
ვითარცა ჩჩვლი, სძალო,  
ღმერთი დაბადებულთაჲ.  
ამისთჳსცა გილაღადებთ ყოველნი:  
გიხაროდენ, საყდარო  
ცეცხლისფერო და ეტლო  
სიწმიდისაო.

ქართისაშულარსა  
ყრმათა მათ წმიდათა.

ქრისტეს მოციქულთა კუალსა შეუდეგ სათნოდ ცხორებითა, ნეტარო  
გიორგი,

და შემდგომადცა  
სიკუდილისა არაჲ განეყავ,  
არამედ ბრწყინვალესა წსენებასა მათსა აჰმალლდი ამიერ და აღიწიე  
ღმრთისა მამათა ჩუენთაჲსა.

შიშითა ღმრთისადათა მოაკუდინენ აღძრვანი ჳორცთანი, მამაო,

და წყალობისა

კარნი განუხუენ ყოველთავე

აბრაჰამისებრ და იქმენ კურთხეულ მის თანავე

უკუნითი უკუნისამდე.

ძალითა სულისა წმიდისადათა აღგვწერენ წიგნი საკრველნი, მამაო,  
ამისთვის ვაქებთ

ვსენებასა შენსა წმიდასა

ჩუენ, მორწმუნეთა ერნი, ნეტარო გიორგი, და თაყუანის-გსცემთ  
სამარხოსა ნაწილთა შენთასა.

ფესუედითა ოქროვანითა შემკულ ხარ და შემოსილ, ქალწულო,  
პირად-პირადად

სიტყვსაებრ მგალობელისა,

ვითარმედ პირსა შენსა ლიტანიობდენ მდიდარნი ერისანი,  
წმიდათა სულნი წინამე შენსა.

### აქშრთხაჲდითსა

საჯუმილით.

არმური ვნებათაჲ განჰველე წინამძღურობითა

სულისა წმიდისადათა და წიალ-ჰვედ

ქუეყანად უვნებელობისა, /გიორგი, და მადლითა

განღმრთობილი

აჰმალღი კამარათა ზეცისათა.

ცრემლთა მდინარითა მოჰრწყენ ურნატნი იგი

სულისა შენისანი, ნეტარო, და იქმენ

სამკვდრებულ საღმრთოთასა სიბრძნისა და ესრეთ

აღგვწერენ

საგალობელნი ეკლესიათანი.

დაღაცათუ მღუმარედ იხილვები საფლავსა შინა

ბუნებისაებრ თანამდებისა, არამედ ვითარცა

საყური ჳამალალი, ჳმობს დღითი-დღე, მამაო,

პირი შენი

ეკლესიათა შინა, გიორგი.

გიხაროდენ, ღრუბელო სულმცირეო, რომელსა

წიაღითა გიპყრიეს დაუსაბამოა ღმერთი  
და აწოებ სძესა უაღრეს ბუნებათა.  
გინაროდენ,  
სახილველო შესაძრწუნებელო.

**ადიდებდითსა**

*ღმერთი შუუ.*

გინაროდენ, ახლო მონაზონებისა ხატო,  
გინაროდენ, გულისკმისყოფისა საყდარო,  
გინაროდენ, გონიერებისა სიღრმეო,  
გინაროდენ, თარგმანო  
და ფილოსოფოსო  
ეკლესიათაო და რიტორო  
სიბრძნით აღმწერელო.

გინაროდენ, ღირსო ყოვლისა ნეტარებისაო გიორგი,  
გინაროდენ, მრავალსახეო სულისა სიბრძნეო,  
გინაროდენ, განკითხვისა და სინანულისა ლამპარო,  
გინაროდენ, სეხნაო

მუშაკობისაო,

გინაროდენ, ცოდვისა ქარქუეტთა  
საჯუმილო შემწუველო.

გინაროდენ, შემამკობელო ყოველთა წმიდათაო  
თარგმანებითა წიგნთა შენთადათა.

გინაროდენ, აღწეწეულთა თავისა კეთილთადასა,

გინაროდენ, წყაროო

მოწყალეებისაო,

გინაროდენ, გამომეტყუელთა  
შუენიერებაო.

76v(152) ღირსებით ქებაა შენი ყოვლითურთ უღონო არს ჩუენ მიერ,  
ღმერთშემოსილო მამაო გიორგი,  
რომელმან-ეგე განამრავლენ მოყუარენი  
სასუფეველისანი,  
არამედ მიიღე



უღირსთა ბაგეთაგან შესხმამ ესე,  
სამეზის სანატრელო.

გიხაროდენ, მოციქულთა შუენიერებაო ქალწულო,  
გიხაროდენ შენ, წინაწარმეტყუელთა  
მოსწაევებაო, გიხაროდენ მამათა  
შემწეო და მეოხო  
შემსხმელთა შენთაო,  
გიხაროდენ, ადამის აღდგომაო,  
ღედაო ღმრთისაო.

### სხუანი ბალობანი ავისჲე ჳიიღისანი

უბალობადითსა, ჳჳამდ ლ გუჳრადი  
ეტლთა მფ.

მონაზონთა სამკაულსა  
და დიდსა მნათობსა მოღუაწეთასა  
გიორგის ვაქებდეთ,  
ეკლესიათა დიდებასა,  
უცთომელსა მას აღმწერელსა  
წერილთა საღმრთოთასა,  
ახალსა თარგმანსა ბრწყინვალესა  
ქართველთა ენისასა,  
დიდებით დიდებულსა.

ერჩდი სწავლათა საღმრთოთა  
და წურთასა საღმრთოთა წერილთასა  
შემმწუაღულ იყავ შენ  
ს მით შენითგან, დიდებულო,  
და სიმძიმე უდებებისაჲ  
განიოტე მოსწრაფებით  
მღუძარებითა და ჳედგომითა  
ღამისთევათა მიერ,  
გიორგი, სანატრელო.

სიმდაბლისა საუნჯეთა  
შეჰკრიბე მწყობრი სათნოებათაჲ  
და ზედამდგომელად  
გონებისა ჰყავ შიში ღმრთისაჲ  
და სათნოებათა კიბითა  
აჰმალღდი ძალითი-ძალად  
და იხილე შენ დიდებაჲ ღმრთისაჲ  
და თვთ თავადი ღმერთი  
დიდებით დიდებული.

77r(153) გიხაროდენ და შეიმკვე,  
ჰოი ეკლესიაო ქრისტეს ღმრთისაო,  
ორთა ამათ მიერ  
მნათობთა, რომელნი გიპყრიან  
წილთა შენთა მღუშრიად  
საყვრნი ვამაღალნი  
წიგნთა თარგმანებითა და უგალობდ  
ეზოჲს მოძღუართა შენთა  
და თუალთა ბრწყინვალეთა.  
დიდებულ.

**განძლიერდასა**

განმაძლიე.

სიყრმითგან ვიდრე სიბერემდე  
იწურთიდი, ნეტარო გიორგი,  
დღე და ღამე წერილთა საღმრთოთა.  
ალაღე პირი შენი  
და მოიღე სული სიბრძნისაჲ  
და სეხნად სახელისა  
მუშაკად საღმრთოდ იწოდე.

სიმდიდრე ექმენ უღონოთა  
და უხუებით მისცემდ გლახაკთა  
ქველისსაქმესა, ბრძენო გიორგი,  
რამეთუ უწყოდე შენ,

ვითარმედ მიცემულისა მის  
უფროას იყო, რომელი  
მის მიერ მოგეცემოდა შენ.

რწმუნებული შენდა ტალანტი  
აღაორძინე, გიორგი,  
და ვენაცსა მას სულიერსა  
წერილთა საღმრთოთასა  
მუშაკ-იქმენ და განამრავლენ  
წიგნნი შენნი, რომელთა მიერ  
განითქუმი ყოველსა სოფელსა.

იქმენ შენ წმიდა გულითა,  
ხოლო სახითა და წესითა  
ტკბილ და მწყალობელ გლახაკთა  
და ჩუენებათა მიერ  
საღმრთოთა ჰბრწყინევი, გიორგი,  
და კრძალულებად თუალთაჲ  
მოიგე წარუტყუენველი.

ყოველთა დამბადებ.

### მისებასა

ამჟღერდი.

განჰმარტე  
მარჯუენე და აღსწერენ თუსითა ჯელითა  
საგალობელნი ეკლესიათანი, ბრძენო გიორგი,  
ოფლით შრომითა და ესე ყოველნი  
თარგმანებით

უცხოისაგან /უცხოსა,  
დიდებაჲ განმაბრძნობელსა შენსა.

ცეცხლითა

მარხვისაჲთა შესწუნ ვნებათა ეკალნი  
და ჯუარი შენი მკართა ზედა აღილე  
და ცუდი დიდებაჲ დასთრგუნე, გიორგი,  
სიმდაბლითა,

ხოლო მოწყალებითა  
ანგაპრებისა სიცბილნი დაჰქსნენ.

ცხოვრება

მაღალი მოიგე სიყრმით შენითგან  
და საქმეთა მიერ სიტყუანი დაამტკიცენ  
აღწერილთა შენტანი, ნეტარო გიორგი,  
შუენიერო  
და გულისსათქუმელო  
ქადაგო ცხოვრებისაო.

სამარხო

ნაწილთა შენტამ ყოვლად დიდებული  
უპყრიეს ქრისტეს ეკლესიასა და მოუწოდეს  
ყოველთავე, რამთა უღალადებდენ:  
გიხაროდენ,  
უფსკრულო სიბრძნისაო  
და სიღრმეო წყალობისაო.

ენანი.

ღამითგანსა.

რომელმან ღამისკან.

წერილთაგან საღმრთოთა  
წყურიელი ქართველთა ენამ, გიორგი,  
მოპრწყე თარგმანებითა  
წიგნთა შენტამთა, საგალობელო.

დაფარულთა საქმეთა  
სცნობდი წინამსწარ, ღირსო გიორგი,  
და ზღვსა ღელვათაგან  
დანთქმადნი იქსნენ საკვრველებით.

სიმდაბლე და სიმშვე  
მოიგენ კრძალულებისა თანა  
თუალთამსა და ყოვლადვე  
არამ განიცდიდ ხატსა უცხოსა.

მარხვამ და მღვდარებამ  
წარჰმართენ ქალწულებისა თანა  
და ყოვლითურთ უცხო-ჰყავ  
გონებამ შენი გულისთქუმათავან.

მტკიცე სარწმუნოებამ  
სიყუარულისა თანა გაქუნდა, გიორგი,  
ხოლო ქველისსაქმეთა  
შენთა გამოთქუამა შეუძლებელ არს.  
ღმრთისმშობლო.

**78r (155) ღაღატყაშა**

*მომეტყუენ.*

ევლტოდე დიდებასა  
სოფლისასა, ბრძენო გიორგი,  
და კაცთა მოთნებასა  
წარმწყმედელსა სულთასა  
და სიმდაბლისა მიერ  
შეჰმუსრენ სიმწიით  
ლერწმისა მვეცნი ბოროტნი.

ღელესა გლოვისასა  
დაიდევ აღსლვამ გულსა, მამაო,  
და თვთმპყრობელთა მიერ  
ვედრებითა საყდარი  
მღდელთმოდღურებისამ არამ  
მიითუალე შენ  
სურვილითა მით სიმდაბლისაათა.

სიწმიდისა ცეცხლითა  
მარხვისა თანა შესწუენ ვნებანი,  
ხოლო მოწყალებითა  
ვეცხლისმოყუარებისა  
მლიქნელნი გულისთქუმანი  
იოტენ სიბრძნით,  
გიორგი, ყოვლად სანატრელო.

ორნი ღმრთივბრწყინვალენი  
მნათობნი ეკლესიათანი  
წიგნთა თარგმანებითა  
შევამკენეთ, მორწმუნენო,  
საღმრთოდათა გალობითა  
ეფთჳძის თანა  
გიორგი სამგზის სანატრელი.  
განვერენით.

**ქურთხაშულარსსა**

*ყრმათა ღმრთის.*

ვინმცა იხილნა და არაა განკვრდა  
წიგნთა შენთა სიმრავლესა, გიორგი,  
რომელნი-იგი უაღრეს არიან ყოვლისავე  
სიტყუესა და არამცა ღაღად-ყო,  
კურთხეულ ხარ, უფალო,  
ღმერთო მამათა ჩუენთაო.

სათნოებათა ეტლად განუმზადენ შენ  
ჯორცნი გონებასა მთავარსა, ღირსო,  
ხოლო სული შენი სამკვდრებელ-ჰყავ ქრისტესა  
და ხატებაჲ საღმრთოჲ უქცევულად  
დაჰმარხე, ჰოი გიორგი,  
მამათა სიქადულო.

78v(156)

ვითარცა რაჲ-იგი დიდი ელია  
თჳთმპყრობელთა მხილებდ, მამაო,  
და უწყსოთა წესიერ[ითა] /სწავლითა შენითა,  
ხოლო მსგავსად წინამორბედისა მოუწოდდ  
ცოდვილთა სინანულად,  
ღმერთშემოსილო გიორგი.

ტაძარი ესე, რომელსა შინა  
სხენან პატრიოსანნი ნაწილნი შენნი,  
ბრწყინვალედ განშუენებულ არს წიგნთა მიერ  
შენთა, გიორგი, და ჳსენებასა

შენს შემოპკრებს ქებად  
შვილთა თვსთა, ღირსო.

მოვედით ყოველნი.

### აქურთხავედითსა

ქებით აკ.

ქრისტეს მოციქულთა  
თანა გამოზრწყინდა, მამაო,  
საჯსენებელი შენი წმიდამ, რომელსა-ესე  
აქებენ

შენ მიერ განათლებულნი  
ქართველთა კრებულნი  
და ეკლესიანი  
წიგნთა მათ შენტა მიერ,  
გიორგი, ყოვლად ნეტარო,  
აწ და უკუნითი უკუნისამდე.

აჩრდილნი წიაღ-ჰველენ  
უგულისკმოებისანი  
და დავიწყებისა უზეშთაეს იქმენ,  
გიორგი,  
და საგალობელთა მიერ  
შენტა შუენიერთა  
გუახარე, მამაო,  
ამისთვსცა ვაქებთ  
ჯსენებასა ამას შენსა  
აწ და უკუნითი უკუნისამდე.

სიმდიდრედ გლახაკთა  
დიდძალად გამოსჩნდი, ღირსო,  
და დაერდომილთა კელის ამპყრობელად,  
ანგაპრთა.

მამხილებელ, ხოლო აღვრ  
ამპარტავანთადა,  
ნეტარო გიორგი,

და მასწავლელ მდიდართა  
მოწყალებისა იქმენ,  
ქადაგ სინანულისა შეცოდებულთა.

დადუმნეს ბაგენი,  
მასწავლელნი ცხორებისანი,  
და დაყუნდა კელი იგი შუენიერად  
მწერალი  
და პირი იგი მეტყუელი

79r(157)

შჯულსა უფლისასა, ნეტარო გიორგი,  
ხოლო სული შენი  
ამაღლდა ზეცის ხილვად,  
ღმერთი ღმერთთაჲ სიონს დამკვდრებული.

ცხორებისა სასოჲ.

#### ადიდებდითსა

განკვრდეს.

ეჰა, რაბამ შუენიერ არს კრებაჲ ესე  
ქრისტეს მოციქულთაჲ, რომელსა შინა  
ვიხარებდეთ სულიერად და ვდღესასწაულობდეთ  
და მათ თანავე ვაქებდეთ  
ყოვლად ნეტარსა გიორგის, პოი მორწმუნენო,  
და დედასა ღმრთისასა  
ვადიდებდეთ, ვითარცა  
მიზეზსა ცხორებისა ჩუენისასა.

რიტორად გამოსჩნდი ქრისტეს ეკლესიათა  
თარგმანებითა წიგნთა შნთაჲთა  
და ქნარად მგალობულად ღმრთიემორთულად, მამაო,  
და შენ მიერ განშუენებული  
ღლითი-ღლე შეიკვების ბრწყინვალედ  
საგალობელთა მიერ,  
ყოვლად ბრძენო გიორგი,  
უფსკრულო ვრცელო წყალობისაო.

წამალსა, განმღვევლსა სამსაღისასა,



აღურ-ასხენ, მამაო, ხოლო საუნჯენი  
საზრდელისანი გარდაჰმატენ ლოცვითა შენითა,  
და მწვალებელთა კრებულსა  
დასატეხენ სიბრძნისმეტყუელებითა  
სიტყუათაჲთა, გიორგი,  
და საუკუნოჲ ძლევაჲ  
მიჰმადლე კრებულსა მორწმუნეთასა.

აღმოსავალით აღმოჰბრწყინდი მსგავსად მზისა  
და აღივსე ქალაქსა სამეუფოსა  
და მიერ მიიცვალე ზეცისა ცხორებასა  
და ყოველთა წმიდათა თანა  
ჰსუფევ, მამაო, და სასყიდელსა  
შრომათასა მიიღებ  
ქრისტეს მეუფისაგან,  
გიორგი, ყოვლად საგალობელო.

79v(158)

საკრველთმოქმედსა ილარიონს ვაჟებდეთ,  
ქართველთა დიდსა ბრწყინვალეებასა,  
ხოლო ღირსსა ეფთუმის შვეასხმიდეთ ყოველნი,  
ეკლესიათა შუნეირებასა  
თარგმანებითა მით წიგნთა მისთაჲთა  
და მათ თანა გიორგის  
ნეტარსა ვადიდებდეთ  
და სამთავე ზოგად მეოხს ვიყოფდეთ.

ჰოი, ყოვლად უბიწოო ღმრთისმშობელო ქალწულო,  
შენ ხარ დიდებამ მონათა შენთაჲ  
და შენ ხარ მომნიჭებელი სიბრძნისა და მადლისაჲ  
მსახურთა შენთაჲ და შენ მიერვე  
იქების დღესასწაული ესე  
და აწცა, კურთხეულო,  
მოკვტევენ ცოდვანი  
შემსხმელთა მათთა და მგალობელთა.

გამრავლინე, ჰამად მიორე

სიბრძნისა მკერდსა მიეყრდენ  
მსგავსად მოციქულისა  
და ღმრთისმშობელი დედოფალი  
გაქუნდა გონიერმყოფელად შენდა  
და წერილთა საღმრთოთა მიძღვმისა კითხვისა მიერ  
ორკერძოვე განათლდა გონებაჲ შენი,  
მამაო წმიდაო გიორგი,  
ვევდრე ქრისტესა ღმერთსა  
ცხორებისათჳს სულთა ჩუენთაჲსა.

სხუად, ჰამად ო გუარდი

წყარომ სულისა წმიდისაჲ  
გულსა შინა თჳსსა მოიგე საიდუმლოდ  
სიბრძნისა და მადლისა  
სიმდიდრითა აღვსებულმან,  
ჰოი, სამეზის სანატრელო გიორგი,  
პატივისმცემელნი შენნი ივსნენ მეოხებითა შენითა განსაცდელთაგან,  
[წმიდაო] მამაო, მეოხ მეყავ წინაშე ღმრთისა, ამინ.

80r(159) სხუანი ბალოზანი ამისჲმ წმიდისანი, ჰამად ო გუარდი

უბალოზადითსა

ქუეყანასა მწყუ.

მადლი ბაგეთა შენთა მიჰრონის სახედ  
აღმომცენარე დააწთვე ჩემ ზედა, ტკბილო მამაო,  
რამათა განბრძნობილმან გონებითა  
გვრგვნი ქებისაჲ ღმრთიებრწყინვალედ შეგიოხზნა.

ურნატთა შინა საღმრთოთა მოძღურებათასა  
აღმოსცენდი შენ, ნერგი ევე წმიდაჲ ღმრთივდანერგული,  
და სულისა ნეკტართაგან მორწყული  
ნამუშაყვეად ღმრთისა გამოშინდი, გიორგი.

შრომათა შენთავან ფიალნი აღვსებულნი  
ნელსაცხებელთა სურნელთა მიჰფინენ მორწმუნეთა  
და ეკლესიისა სავსებასა  
საღმრთოთა სიტკბოებითა აღავსებენ.

აღჰმზადა ქებად შენდა, საგალობელო  
ღმრთისა დედაო, ხორომ საღმრთომ ეკლესიისა შვილთაჲ  
საგალობელთა მიერ წმიდათა  
საკუთარმან შენმან მოლუაწემან გიორგი.

### ბანძლიმრდსა

არაჲ ვინ არს წმიდაჲ.

კიდობანი წმიდაჲ

სათნოებათაჲ

შეჰმზადე, სანატრელო,

და მას შინა განერი მომსრველსა მას ფარაოს

მდინარეთა შინა

საწუთრომსათა.

იწურთიდი სიყრმიტვან

შიშა ღმრთისასა

და განისწავლეზოდე

მოლუაწეთა მიერ მაღალთა, სანატრელო,

ლუაწლთა მიმართ სრულთა

ცად აღმაგალთა.

ეწყვე გონიერად

სულთა ბოროტთა

და სპარაზენნი მათნი

აღჭრენ ახოვნებით, სანატრელო გიორგი,

სიმდაბლისა მიერ

და სიმშუდისა.

80v(160)

კალამი სულისაჲ

აღილო სიბრძნით,

დედოფალო წმიდაო,

მაღლთა შენთა მიერ განბრძნობილმან გიორგი

და აღწერნა შენნი  
ქებულეზანი.

### მსგასა

*მესმა მე ქრისტე სმენამ.*

ლხინებისა მდინარედ აღმოგვცენდა  
გონებისა შენისა წყაროდ ბრწყინვალე  
და ეკლესიაჲ ქრისტესი  
დაათრო მდიდრად  
ნეკტარმან ვრცელმან წიგნთა შენტამან.

უტრფიალე სიბრძნესა, ღმერთშემოსილო,  
და შეიყუარე იგი უფროჲს ყოვლისა  
და ვითარცა მარგალიტი  
პატიოსანი  
სულისა საუნჯეთა დაჰმარხე.

საცნობელნი ჯორჯთანი აღიკრძალენ შენ,  
ხოლო /სულისა სახედველნი განაგრცენ  
და კრძალულებისა ძეგლად  
აღგვმართე ჩუენ  
ცხორებაჲ შენი, ბრძენო გიორგი.

იხარებდი სულითა, ღირსო მამაო,  
შრომათა შენთა ზედა პატიოსანთა  
და დედისა თანა ღმრთისა  
იღუწიდი ჩუენთვის  
განრომად მტერისა საბრკეთაგან.

### ღაჰითგანსა

*რამეთუ სხუაჲ შენსა გ.*

ისრითა მით სიყუარულისა  
ღმრთისაჲთა მოწყლულ იქმენ  
სულისა სიღრმედ, მამაო,  
და მტერისა მოწყლულნი  
სწავლათა შენთა მიერ განჰკურნენ.

სიყუარული და მოწყალებამ  
ფრთედ ისხენ, სანატრელო,  
და აღჰფრინდი სიმაღლესა  
მისა, რომელი მაღლით  
გარდამოვდა წყალობისათჳს.

ანეულ ჰყავ ყანამ სულისამ,  
მუშაკო შუენიერო,  
და თესლი გულისჴმისყოფისამ  
დასთესე და მოგვმეკე  
თავწარსხმული წიგნთა საღმრთოთამ.

აგავთა(!) და სახეთა მიერ  
პირველვე იქებოდე,  
ღმრთივიმიმა/დღებულო სძალო,  
ხოლო აწ მოღუაწეთა  
ცხადად ქებაჲ შენი განავრცეს.

მრ(161)

ღალატყაჴსა

ისაკის მიერ.

იქმენ, ნეტარო,  
მიმსგავსებულ ღმრთისა,  
მამა ობოლთა  
და საზრდელ მშიერთა  
და სამოსელ შიშუელთა ჴემშარიტად  
და უღონოთა და ნაკლულევეანთა  
განმამდიდრებელ,  
ღმერთშემოსილო ღირსო გიორგი.

დამჴსნელ გრძნებათა  
გამოშინდი, მამაო,  
ვითარცა დიდი  
მოციქული პეტრე  
სასწაულითა წმიდისა ჯუარისადათა.  
და სირცხვლეულ ჰყვენ ყოველნი  
მტერნი ღმრთისანი

და ღმრთივეგონიერთაგან იდიდე.

იჭურთე, ღირსო,  
უღელი ქრისტესი  
სიჭაბუკითგან  
მკართა შენთა ზედა  
და გამოშინდი მუშაკ სათნოებათა  
სახელისაებრ შენისა  
და ნამუშაკვე  
ქრისტესა იწოდე შენ, გიორგი.

დიდ არს და მაღალ  
სასოებაჲ შენი,  
ღმრთისა დედაო,  
რომლითა აღივსო  
მოლუაწე შენი სანატრელი გიორგი  
და მდინარითა მადლთა შენთაჲთა  
აღგუაფსნა ჩუენცა,  
რომელთა მიერ გაქებთ მარადის.

### ქართისა ულარსსა

*საღმრთოჲსა შურისა.*

ელვანი მადლისანი  
უხუებით მოგვეფინეს შენ, სანატრელო,  
და ყოველი სიბნელე  
კაცობრივი განიოტეს მათ შენგან,  
ვინაჲცა ყოველინვე წულილადნი ხედვანი  
საღმრთოჲსა გულისხმისყოფისანი  
განცხადებულად გქუენნეს.

ბნელითა ცოდვისაჲთა  
დაფარულთა სულთა ნათელ უცთომელ ექმენ  
და გულისთქუმათა ნისლსა  
აოტებდი მათგან სწავლათა შენთა ნათლითა  
და თავსმდებ და დამგებულ ღმრთისა მიმართ იქმენ შენ  
და აღმასუბუქებულ

სიმძიმესა შრომათასა.

v(162) უფსკრულად წყალობისა  
ურიცხუთა სულთა გამოშნდი, გიორგი,  
და შესწირენ უფლისა  
ძღუნად პატიოსნად და ყოვლად საწადელად,  
ვინამცა მრჩობლ განთავისუფლებულნი ურვათაგან  
ორკერძოვე გამოჰზარდენ  
სულით და ჯორცით, მამაო.

დიდ არს დიდებაჲ შენი,  
დედოფალო ყოველთა დაბადებულთაო,  
რომელი ღირსთა შენთა  
გამობრწყინვებ მადიდებელად შენდა  
და მათ მიერ აღავსებ პირთა ჩუენთა ქებად შენდა,  
კურთხეულო ღმრთისმშობელო,  
სასოო განწირულთაო.

აპურთხავედითსა

მთასა ზედა.

ენაჲ შენი  
ოქროსა უწმიდესად  
განაბრწყინვებს  
ქრისტეს ეკლესიასა  
და შეილთა მისთა განაშუენებს მადლითა  
და კსენებაჲ შენი  
საშუებულ სულიერ  
გუექმნების, ბრძენო.

ნათელმან მან

ჰისა ნათლისამან

განაბრწყინვა  
ჯორცთაგან განსლვაჲ შენი  
და თავთა თანა მოციქულთასა გადიდა  
დღესა ამას შინა  
ყოვლად დიდებულსა

მიცვალე ბითა.

ჩუენ თანა რაჲ  
იყავ, ღმერთშემოსილო,  
და მიძლოდე სათნოებათა გზასა,  
აწცა მაღალთა მათგან სავანეთა  
მომხედენ, მამაო,  
და ვნებათა ჩემთა  
ღელვამ დააცხრე.

უვადრეს ხარ  
ყოველთა ტომთა შორის,  
ღმრთისმშობელო,  
ქალწულო სანატრელო,  
რომელი-ეგე ღმერთშემოსილთა მამათა  
ვითარ დედოფალი  
დაბადებულთაჲ  
ჯეროვნად გადიდეს.

ადიდებდითსა

რომელმან წინამსწარ.

ეჰა, შეწევნაჲ მაღლისაჲ  
ნებისყოფელთა მისთაჲ,  
ვითარ მოწამეთა შორის  
ახოვანი გიორგი  
მცველად და თანაშემწედ მიჰმადლა  
მოღუაწესა თჳსსა ღირსსა გიორგის.

ნუ დამივიწყებ, მამაო,  
სამწყსოთა ამათ შენთა,  
ღმერთშემოსილო გიორგი,  
წინაშე სამებისა

82r(163)

განრომად ღელვათაგან /ბოროტთა  
და მიწევნად ნავთსადგურთა ზეცისათა.

მიიცვალე სავანეთა  
ზეცისათა, გიორგი,



და უკორცოთა კრებულსა  
თანა შერებულ ხარ,  
ვითარცა ცხორებისა მათისა  
მოშურნე და მობაძაფი, მამაო.

იხარებ ნათელსა შინა  
სამმნათობი ერისა  
წმიდისა სამებისასა,  
სანატრელო გიორგი,  
რომლისა ვედრებითა შენითა  
ჩუენიცა დამკვდრებად ითხოე.

ვედრე ღმერთსა, მამაო,  
ჩემთვის, რომელმან-ესე  
უნდომ ქებად მოგიძღუნე  
ბაგეთაგან გლახაკთა  
და წარმდებად კადნიერებისათჳს  
მოტევებად უხუებით მომმადლე.

რომელთა გუაქუ თანაშემწედ,  
დედოფალო წმიდაო,  
ჭირთა და ურვათა შინა,  
აწცა ველი აღვკუყარ  
და ლელვამ ვნებათა დააყუდე  
სამწყსოთა შენთაგან და მადიდებელთა.

დიდთა თავთა მოციქულთა  
ორთა მესამედ გიცნობთ,  
ხოლო ათორმეტთა რიცხუსა  
მეთცამეტედ, ღირსო  
ჴამაო, დიდებულო ეფთჳმე!  
და მათ თანავე მეიხს-გიყოფთ ჩუენ.

ღირსი სიტყუამ სიწმიდისა  
შენისაჲ არაჲ მაქუს მე,  
არამედ წადიერებაჲ  
სულისაჲ მიითუალე,  
მამაო დიდებულო გიორგი,

და მეობ-მეყავ წინაშე ღმრთისა.

ვეედრე შვილთა შენტათუს,  
სანატრელო მამაო  
ფფოთში! და გვთხოვე  
ქრისტეს მაცხოვრისაგან  
მშვდობით განსლვამ საწუთროსაგან  
და ჭსნამ საბრკეთაგან ეშმაკისათა.

სულისა ტკივნეულისა  
და უღირსთა ბაგეთა  
უნდომ შესხმამ შეიწირე  
უღირსისა შვილისამ,  
მამაო დიდებულო გიორგი,  
და ნუ მტანჯავ კადნიერებისათუს.

82v(164) სტიქარონი

*ედებთაგან.*

ტაკუკად სიტყვერად, აღსავსედ  
მადლთაგან სულისათა,  
მიგმადლა თუსსა  
ეკლესიასა ღმერთმან  
ვითარცა ნიჭი სამეუფომ,  
უხუებით გარდმომდინარე  
სასუმელსა ტკბილსა  
საღმრთოთა ქებათასა,  
რომლისა მიერ  
ვიშუებთ მარადის მწყობრნი მგალობელთანი  
და ვადიდებთ  
მას, რომელმან ვეცხლ რჩეულ ყო ენამ შენი,  
ჰოი ტკბილო მამაო,  
ტკბილო სულითა, ტკბილო სიტყვთა და გონებითა,  
სანატრელო გიორგი,  
სენნაო კეთილთა მუშაკისაო,  
ვეედრე მაცხოვარსა  
შვილთა და მგალობელთა შენტათუს.

83r(165). სსშანი ბალოზანი წმიდისა მამისა ჩუენისა გიორგისნივე  
ამად ზ გუჲრლი

**უბალოზაიისა**

*წამისყოფითა, ღმერთო.*

მოვედით, მოსურნენო  
წმიდათა ვსენებისანო,  
და სულიერი შესხმად შევკმზადოთ დღეს, რამეთუ  
ვსენებაი მართლისად ქებით აღესრულების  
და მორწმუნეთა ეხარების.

სურვილი ვსენებისა

შენისად აღმძრავს გალობად  
შენდა, მამაო გიორგი, და გვედრები,  
ოხაი

შენი შემეწიენ, რადთა ჯეროვნად  
ვაქებდე დღესასწაულსა შენსა.

არა უკმს მგალობელსა

შენსა, მამაო გიორგი,  
უფსკრულსა სიტყუათასა გამოკულევად, რამეთუ  
ვმობენ

შენ მიერ თარგმნილნი წიგნნი ვმამალლად  
ღმრთისა მიერ დიდებასა შენსა.

მალალ არს საიდუმლოი

შობისა შენისად, სძალო,

ვითარ ქალწული დედა იქმენ და ქალწულვე ხარ.  
დიდნი

დიდებულეზანი იქმნეს შენ შორის

ზეშთა კაცთა ბუნებისანი.

**ბანძლიმრდასა**

*ღმერთო, მაცხოვარო ჩუენო.*

სიყრმით შენითგან, ნეტარო,

შეეყავ ქრისტესა ღმერთსა,  
რამეთუ სიწმიდე მოგვეგო  
ძალად და შემწედ.  
ამისთვის სავანედ სულისა წმიდისა იქმენ  
და ჰასაკისა თანა სიბრძნე  
ღმრთიესულიერი მდიდრად აღორძინდა შენ შორის.

83v (166) შიშა ღმრთისასა შემშჳულენ  
ჯორცნი შენნი, სანატრელო  
გიორგი, და იგი მოივე  
თავად სიბრძნისა  
და ზრუნვამ სოფლისამ ამაოდ დაუტევე  
და მოღუაწებითა ძლიერითა  
სათნო-ეყავ ქრისტესა მეუფესა.

დაღაცათუ უკუანაძკნელ  
მეათერთმეტესა ჟამსა  
დაგადგინა ეკლესიამან  
მუშაკად თვსად,  
არამედ უაღრეს პირველთამასა განაშუენე  
წერილთა თარგმანებითა  
საესებამ იგი დიდებისა მისისამ.

ღმრთისმეტყუელთა იგი კმანი  
და პირველმოსწაფებანი  
წმიდათა მამათმთავართანი  
შენ ზედა, სძალო,  
ცხადად აღესრულნეს, რამეთუ თვთო-სახეთა  
სახელთა მოსწაფებითა  
ჭემმარიტად უქადაგეს დედად მკსნელისა.

მისმასა

რაჟამს ესმა მოსლვამ შენი.

იქადაგებიან წესნი,  
შენ მიერ დადებულნი, დღეს  
ეკლესიასა შინა,

ბრძენო გიორგი,  
და იდიდებთან დღესასწაულნი წმიდათანი  
შენ მიერ თარგმნილთა საგალობელთა მიერ.  
განამრავლე ტალანტი შენი,  
ჰოი, მონათ სახიერო,  
და შეხუედ სიხარულსა  
გამოუთქუმელსა  
უფლისა შენისასა. მომიჯსენენ ჩუენ, რომელნი  
სურვილით ვადიდებთ დღესასწაულსა შენსა.

გარემოს დიდებულისა  
ლარნაკისა შენისა, ღირსო,  
ვითარცა ახალნერგნი  
შვილნი შენნი დღეს  
სიხარულით განსცხრებიან დღესასწაულსა შენსა  
და ადიდებენ მადიდებელსა შენსა.

84r(167)

პირველ საუკუნეთა ღმერთი,  
ზეცას უდედოდ შობილი,  
ქალწულმან უბიწომან  
გამოუთქუმელად  
ჯორჯითა გვშეა ორითა ბუნებითა  
განმადმრთობელი ბუნებისა ჩუენისაჲ.

### ღამითგანსა

*ღამე ბნელი.*

ფრიად გადიდა ქრისტემან, ღირსო გიორგი,  
სასწაულთა დიდთა აღსრულებითა,  
ხოლო სიბრძნითა  
უბრწყინვალეს გყო  
დამტევენელ მადლისა სულისა წმიდისაჲსა.  
განკითხვაჲ სულთაჲ გერწმუნა ღმრთისა მიერ  
განმართლებად ყოველთა ბრალეულთა  
აღსაარებითა  
და ღმობიერად  
სინანულით და გებად ქრისტესა.

წადიერებით აღმასრულებელთა დღეს  
ქსენებასა შენსა, მამაო გიორგი,  
ზეციით მოგუხედენ,  
გვლუწიდ და გუფარევდ  
და თანა-წარგუჟადე ღელვამ განსაცდელთამ.

ევამს ცთომილი, დაშვილი დედობრივი  
ბუნებაი იკურთხა შენ მიერ, სძალო,  
ღმრთისა დედაო,  
და საუკუნომ  
კურთხევამ მოეცა ადამენთა.

### ღალატყამსა

დანთქმული.

კორციელთა თუალთა  
შეკრძალვითა, ყოვლად ქებულო მამაო,  
სულისა  
თუალნი აღგეხილნეს განცდად ბრწყინვალეებასა ქრისტეს ღმრთისა  
ჩუენისასა

84v(168)

და ბრმასა საკრველად მიჰმადლე კურნებაი  
მიბა/ძვითა საუფლოთა სასწაულთამათა.

იყავ, სანატრელო,

მამამ ობოლთამ და შემწყნარებელ

უცხოთა,

მასწავლელ უსწავლელთა და განმამბრძნობელ უმეცართა და

ყოვლად

ყოველთა ექმენ, განმაცხოველებელ

მოძღურებითა და სწავლითა სულიერითა.

ცხორებაი ნეტართა

იოვანესი და ეფთჳმესი

აღსწერე,

წმიდაო, რომელთა საღმრთოსა შურსა ებაძე და ექმენ

განმანათლებელ ქართველთა

ენისა მათისა განვრცელებითა

და სიღრმესა წიგნთასა განმარტებითა.

სასანთლედ ნათლისად  
გიწოდა შენ წინამსწარმეტყუელმან,  
ქალწულო,  
რამეთუ შენგან გამოჩნდა ნათელი და ბრწყინვალეობა  
მამისაჲ ქრისტე.

მას ვევედრე, დედოფალო წმიდაო,  
შეწყალებად და განათლებად სულთა ჩუენთათჳს.

ქართველთა

ყრმათა ბაბილ.

მოგეცა მრჩობლი

მადლი ღირსისა ეფთჳმესი, ბრძენო გიორგი,

ვითარცა ოდესმე პირველ ელისეს

ხალენი ელიამსი,

სიწმიდით მღდელობაჲ

და წიგნთა თარგმანებაჲ.

ეკლესიისა

თჳსისა ეზომასმოდღურად გიჩინა შენ ქრისტემან,

ნეტარო გიორგი, შემამკობელად

საესეებისა მისისა

წიგნთა წიგნთა, წიგნთა

ვითარცა ყუავილითა.

საცნაურ ყოფად

საუკუნომასა დიდებისა შენისა ღმერთმან

მიცვალებაჲ შენი ადიდა დღესასწაულსა

თჳსთა მოციქულთასა,

ვითარცა მათ თანა

მეგობრისა თჳსისაჲ.

ძალი მადლისაჲ

გფარვიდა შენ, ყოვლად წმიდაო ღმერთისმშობელო.

ამისთჳსცა შეუწუველად დაიცევ, ქალწულო,

ცეცხლისაგან საღმრთომასა

სახედ სამთა ყრმათა

აქურთხევედითსა

შუუწ.

ვინ-მე აღრაცხნეს სათნოებათა შენთა  
სიმრავლე, ღმერთშემოსილო,  
სიმდაბლე, სიმშვე და სიწმიდე შენი,  
სიტკბოება და სიწრფოება,  
ყოველთა მიმართ სიყვარული და წყალობა,  
რომელთა მიერ  
დაიმკვდრე სამკვდრებელი მართალთა  
და განბრწყინვებული იხარებ წინაშე ღმრთისა.

საფლავემან ვერ დაადუმა პირი შენი,  
პოი, პირო ეკლესიისაო,  
ღმერთშემოსილო მამაო გიორგი,  
არამედ აწ უფროასად ღალადებს  
დიდებასა და ქებასა ქრისტეს ღმრთისასა  
და გალობასა  
და შესხმასა ყოველთა წმიდათა მისთასა  
შენ მიერ თარგმნილთა საგალობელთა მიერ.

85v(T70)

პირმშოთა ეკლესია იხარებს დღეს  
მგალობელთმთავართა თანა,  
ღმრთისმეტყუელებით გამომეტყუელთა ბრძენთა,  
დღესასწაულსა /შენსა, მამაო,  
რამეთუ ღმრთისმეტყუელებანი მათნი იოხრენ  
სოფელსა შინა  
და აწ მათ თანა კმითა საწადელითა  
ადიდებ ყოვლად წმიდასა სამებასა.

ყოველთა შორის შემსხმელთა შენთა, სძალო  
და დედაო მწსნელისაო,  
უმჯურვალესად გამოჩნდა ღირსი გიორგი  
შემმზადებელ სახიობათა  
და შემკრებელ გალობათა ღმრთიესულიერთა,



ვითარცა ძისა  
შენისა საკუთარი მონამ და აღმსარებელი  
შენი დედოფლად ყოველთა დაბადებულთა.

### ადიდებდითსა

მტკრთველმან.

ქრისტესთვის ფრიად მაშურალსა გუამსა შენსა, მამაო,  
ჯეროვნად პატივ-სცა მეფემან ქუეყანისამან,  
ხოლო სული შენი  
ადიდა მეუფემან  
ზეცათამან უკუდავმან  
დიდებითა საღმრთოითა  
და ნათელსა უსხეულოსა დაამკვდრა.

შენ, მამაო, არაა თუ მოჰკუედ, გან-რამ-ზეედ ჯორცთაგან,  
არამედ ცხოველ ხარ შემდგომად სიკუდილისაცა  
სოფელსა ცხოველთასა.  
მომიჰსენენ წინაშე  
სამებისა წმიდისა  
ქებით შემსხმელნი შენნი  
და გვთხოე შენდობაა ცოდვათა ჩუენთაჲ.

86r(171) ეჰა, საწადელო და ღმერთშემოსილო მამაო,  
და ყოვლადვე სასურველო მოსაეთა /შენთაო,  
გალობაა ესე კინი,  
ზაგეთაგან უღირსთა  
შენდამი შეწირული,  
შეწირე და მომეც  
ნაცვალად მადლი სიწმიდისა შენისაჲ.

სამართლად გნატრიან შენ ნათესაენი კაცთანი  
სიტყუსაებრ შენისა, წმიდაო ღმრთისმშობელო,  
რამეთუ ნეტარებაჲ  
განღმრთობისაჲ შეჰმოსე  
ზუნებასა მოკუდავსა,  
რაჟამს გვშევ მეუფე,

## იბაკონი წმიდისა მამისა ჩუენისა ბიორგისნი

### ჰმად ლ გუჲრდი

არაჲ დააკლდი.

ათორმეტთა მზეთა შორის  
მნათობთა მათ სოფლისათა,  
ვითარცა მთიები ჰბრწყინავს ნათლითა  
ღმრთისმეტყუელებისაჲთა, ბრძენო გიორგი,  
რამეთუ აღიდა  
მიცვალებამა შენი  
დღესასწაულსა თუსთა მეგობართასა  
ქრისტემან ღმერთმან ჩუენმან,  
რომელთა თანა ვადიდებთ, მეოხ-გუყყავ ჩუენ.

### სს'ჴად

ედებთაჲ.

რომელმან შეიპყრის ბრძენნი სიბრძნითა  
გამოუკულებელითა,  
ქრისტემან ღმერთმან  
სოფლით გამოირჩინა  
უმეცარნი და უსწავლელნი  
მოწაფედ და მეგობრად თუსად,  
ხოლო სულითა  
წმიდითა რაჲ აღაესნა  
ღმრთივგანბრძნობილითა,  
წარწყმიდეს სიბრძნე ბრძენთა ამათაჲ,  
რომლისა მიერ  
შენცა აღიესე საკურველად, მამაო,  
სიბრძნითა საღმრთოჲთა  
მეტყუელებად ენათა და თარგმანებად წერილთა,  
ვითარცა ღმრთისმეტყუელთა

მოციქულთა თანა მადლისა  
ზიარქმუნულსა

86v(172) თანა გადიდებთ, მეოხ-გუყყავ ჩუენ.

მერმესა მას შობასა, რაჟამს  
დაჯდეს უფალი განშჯად  
ადამენთა

და დასხდენ ათორმეტთა  
საყდართა ზედა დიდებულნი  
ათორმეტნი მოციქულნი  
შჯად ათორმეტთა

ისრაელიანთასა ტომთა,  
მაშინ მართალნი

მზეებრ განბრწყინდენ, რომელთა შორის ღმრთივბრწყინვალედ  
იხილვები

ვითარცა მონამ სახიერი და სარწმუნომ

და ტალანტისაჲ მის

შენდა რწმუნებულისაჲ. მრჩობლ შემძინელი, ღირსო გიორგი,

და უფლისა შენისა

სიხარულსა ღირსქმნული მოციქულთა

მწყობრსა თანა, რომელთა

თანა გადიდებთ, მეოხ-გუყყავ ჩუენ.

87v(174) სხ'შაჲ.

*ედუბთაჲ.*

მოვედით, მოყუარენო დღესასწაულისანო,

და ვადიდებდეთ ღმერთსა,

რომელმან-ესე

გამოგვბრწყინვა ჩუენ

საქსენებელი დიდებული

ნეტარისა მოლუაწისაჲ,

რამეთუ ამან,

მუშაკმან კეთილმან

ბრძენმან გიორგი,

განმიზადა ჩუენ ტაბლაჲ შუენიერი

წიგნთა საღმრთოთაჲ

და დამიგო ჩუენ პური უკუდავებისამ, მზრდელი სულთამ  
და მიწდია ჩუენ ღუნომ,  
მახარებელი გულთამ,  
ტაკუთაგან საღმრთოთა  
და ევედრების ღმერთსა  
დაუცხრომელად სულთა ჩუენთათუს,  
რამთა ვიქსნენით ჭირთაგან  
და ღირს-ვიქმნეთ ცხორებასა საუკუნესა.

ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო  
კერის ისტორიიდან

წინათქმა .....	3
ჩორდვანელთა დიდი სახლის ისტორიისათვის .....	5
ჩორდვანელთა დიდი სახლი და ივირონი.....	35
О ктиторах Ивирона.....	58
სამოსხელეო ტერმინები „ჩოროროდი“ და „ოთხმიზდური“ .....	67
ათონის ქართველთა მონასტრის მესამე წინამძღვრის გიორგის ვინაობისათვის.....	87
იოანე და ეფთვიმე ათონელეებისადმი მიძღვნილი „სამახსოვრო წიგნები“ .....	107
ზაქარია ბანელი .....	145
ზაქარია ბანელის ანდერძი და ბერძნული ლექსი მცირე სვინაქსარიდან .....	167
იოანე პატრიკისა და პეტრე პატრიკის იდენტიფიკაციისათვის .....	196
თეოფილე ხუცესმონაზონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღდგენის ცდა .....	226
ხელნაწერი Ath.29 - როგორც თეოფილე ხუცესმონაზონის ბიოგრაფიის წყარო .....	239
ნიკოლაოს ჯუმათელი.....	251
დანართი: გიორგი მთაწმიდელისადმი მიძღვნილი საგალობლები.....	263

[60-100]

1/2

71-962  
3